


ISSN 0182—6083




# 新亞

4

1993



ტარიელ ჭანტურია – 60



ვახტანგ ჯავახია – 60

შურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ბატონ  
ტარიელ ჭანტურიასა და ბატონ ვახტანგ ჯავახიას  
ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალ  
წარმატებებით გაეხარებინეთ ჩვენი მრავალთა-  
სიანი მკითხველი.

# ტყეა

პერიოდი № 4

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სალიბრარატურო და საფოტოგრაფიკო-პოლიტიკური  
ყრველთვიური ჟურნალი

დაარსდა 1957 წელს  
1852 წ.  
აქტიური 1957 წ.

თბილისი  
1993

# შინაარსი

## გამოდივიძე, ძნარო!

3. ფსალმუნები — გავრქელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯინაშვილმა

მთავარი რედაქტორი  
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:  
ბაღათური არაბული  
ირაკლი ბაზაქი  
ბიძორგი ბაქანიძე  
(მთ. რედ. მოადგილე)  
ნოდარ გრიბალაშვილი  
ლევან მაღაყონია  
ელზა შებრეველი  
რევაზ მიშველაძე  
დავით მჭედლორი  
მამუკა სალუქვაძე  
ჯაალ სამადაშვილი  
ზურაბ სამადაშვილი  
ირაკლი სამსონაძე  
ვიგნი სულაკაური  
იორაბ ქავერბელიძე  
ჯანსუღ ღვინეიძია  
პანტაზე ღლონტი  
თეიმურ შავლაძე  
შადიშან შამანაძე  
ნუგზარ შატაძე  
მანანა ჩიტიშვილი  
ვაჟა ჩორღელი  
(კმ/გ მდივანი)  
გოღარეი ჩოხელი  
ედიშერ ქაღიძე  
კოტე ჯანდიერი  
ჯანო ჯანელიძე  
შაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი  
ელზა შებრეველი

## კოეზიბა და კროზა

8. შოთა იათაშვილი — ლექსები  
13. ვლადიმერ მაჩაიძე — მოთხრობები. (ბოლოსიტყვაობა ანდრო ბუაჩიძისა)  
23. იმარ თურმანაული — ავტობუსის გაჩენებაზე (ლექსი პროზად)  
25. ლელა გაბუჩი — ლექსები  
27. ჯემალ ძირია — მე, როსინანტი... რომანი. გავრქელება  
52. დედოფალ ბედინიძე — ლექსები  
56. გურამ ნემსაძე — ორო 12. ლექსი  
59. გურამ ბათიაშვილი — თვამავიწყების თამაში უცხოეთა ლოგინებში (პიესა ორ მოქმედებად. წინასიტყვაობა ვასილ კიკნაძისა)  
88. მამა სარიშვილი — ლექსები  
90. შალვა მჭედლოშვილი — ლექსები

## ახალი თარგმანები

93. ვლადიმერ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი. გავრქელება. თარგმნა თამარ ლომიძემ

## ჩირალდანი

112. ბაჩანა ბრეგვაძე — ანტიკური ცივილიზაციის ბვირბვინი. დსაწყისი

## წერილები

143. ავთანდილ არაბული — ისევ „ამბას“ მხტამორ-ფოჯების ფაშო, ანუ ვის ეშვის ქვლი?!  
153. ლიანა კალანდია — სულის „თავგადასასვალი“  
156. ლევან ფრუიძე — „სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში“

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 18

ლოტბარისადმი. უფლის მონა დავითისაგან: მინც  
 ეს გალობა აღავლინა უფლის წინაშე, ოდის  
 უფალმა იხსნა იგი მტრობის ხელთაგან და  
 საულის ხელს გამოარიდა.

### 2. და თქვა:

უფალო, შეგიყვარებ, სიმტკიცევე ჩემო!

### 3. უფალო, ჩემო კლდეო პიტალოვ, ჩემო ციხევე და შემწეო ჩემო!

ო, ღმერთო ჩემო, ჩემი კლდე ხარ, ვსასობ შენით,  
 ჩემო ფარო და რქო ჩემი ცხოვრებისაო,  
 საყრდენო ჩემო!

### 4. უფალს დიდებით მოვიხსენიებ,

ვინძლო მტერთაგან დავიხსნა თავი.

### 5. შემომეხვია სასიკვდილო ბადე-ხლართები

და ავბედიოთმა ნიაღვრებმა შემაწრიალეს.

### 6. ჯოჯოხეთურმა ტკივილებმა გარემომიცვეს

და სასიკვდილო მახეები განმერთხა თვალწინ.

### 7. შეძრწუნებულმა ავძახე უფალს

და გამჩნეს ჩემსას შევღალადე შემწეობისთვის:

ისმინა ჩემი ღალადისი თვისი ტაძრიდან

და მის ყურს მისწვდა ჩემეული მოთქმა-გოდება.

### 8. შეტორტმანდა და შეძრწუნდა მიწა,

ძრწოლვით შეიძრა ფუძენი მათა,

რამეთუ რისხვა აღენთო მისი.

### 9. აღმოხდა კვამლი მისი რისხვისა,

მის ბაგეთაგან გაღმონთხა მომხვრეული ცეცხლი,

აღმოღებული მუგუზლები ცვიოლა მისგან.

### 10. მოღრიკა ცა და გარდამოვიდა,

და მის ფერხთა ქვეშ — უკუნი ნისლის.

### 11. ამხედრდა თავის ქერუბიმზე,

აფრინდა მალა,

გადაიქროლა გრიგალის ფრთებით.

### 12. ბნელი აქცია თავშესაფარად, შემოგარენი — საკუთარ

კარვად,

წყვდიალი იგი — ცათა და წყალთა.

13. მისი ბრწყინვის წინ ჩაიარეს ლეგა ღრუბლებმა —  
 სეტყვით და ცეცხლით გადაიარეს.
14. ხოლო უფალმა დაიგრგვინა ცათა წიაღში  
 და ხმა გამოსცა უზენაესმა —  
 სეტყვით და ცეცხლის ნაპერწკლებით გაიხშიანა.
15. წარმოაგზავნა ქეიბურები და მოისროლა წაღმა-უკულმა,  
 ელვათა წყება  
 ბორენეულად მიმოაბნია.
16. განიხენენ წყალთა წარსადინებლი  
 და წარმოჩინდნენ საფუძველნი სამყაროსა, —  
 უფალო, შენი გამკვინვარებით  
 და შენი რისხვის გრივალთა ქროლვით.
17. გადმომწვდა მადლით, ამომიყვანა,  
 გამომარიდა სიმრავლეს წყალთა.
18. და გამომიხსნა ძლიერი მტრისგან  
 და ჩემზე უფრო  
 ძლევაგამოსილ მობულეთაგან.
19. შეჭირვების ჟამს აღიდრნენ ჩემზე —  
 უფალი იყო მფარველი ჩემი.
20. გამომიყვანა სიხალვათეში,  
 გადამარჩინა, რამეთუ მწყალობს.
21. მიზლო უფალმა ჩემი სიმართლით,  
 ჩემი ხელების სიწრფოებით  
 დამაჯილდოვა.
22. რადგან ვიცავდი მე გზებს უფლისას,  
 ჩემი ღმერთის წინ უკეთურად მე არ მივლია.
23. რადგან წინ მელო მისეული მცნება ყოველი,  
 არ განვდგომივარ კანონებს მისას.
24. რადგან უბიწო ვიყავი მასთან  
 და თავს ვიცავდი შეცოდებისგან.
25. ჩემი სიმართლის კვალობაზე  
 მიზლო უფალმა, —  
 ჩემი ხელების სიწმინდისაებრ მისივე თვალწინ.
26. გულმონწყალესთან გულმონწყალებო,  
 გულით წრფელებს კი — ეგულწრფელები.
27. სამართლიანთან სამართლიანობ,  
 ხოლო უკულმართს მოეპყრობი უკულმართულად;
28. რადგან შენ იხსნი სასომიხდილებს  
 და დაამდაბლებ მელიდურ თვალებს;
29. რადგან აღმინთებ დაშრეტილ ლამპარს —  
 ჩემი ღმერთი და ჩემი უფალი გამისინათლებს  
 დამეულ წყვილად;
30. რადგან მე შენით ვაოტებ ლამპარს  
 და შეწვენითა ჩემი ღმერთისა გარდავევლები ქალაქის  
 ზღუდეს.

31. ღმერთი — წრფელია სავალი მისი,  
 ცეცხლში ნაწრობს ჰგავს სიტყვები უფლის,  
 და ყველა მისი მსასობლის ფარია იგი.
32. რადგან ვინ არის ჩვენი ღმერთი გარდა უფლისა?  
 ანუ ვინ არის სიმტკიცე ჩვენი,  
 თუ არა ჩვენი უფალი ღმერთი?
33. ღმერთი, რომელმაც ძალი მომძაღლა,  
 განასპეტაკა სავალი ჩემი.
34. ფერხნი შემასხა ირემლაღისა  
 და დამადგინა მაღალთა შინა.
35. ჩემი ხელები ხაომრად გაწვრთნა, —  
 რვალის მშვილდს დრეკენ მკლავები ჩემი.
36. შენ მომეც ფარი მაცხოვარების,  
 შენ შემაშველე მარჯვენი შენი,  
 შენ განმადიდე შენმიერი მაცხოვარებით.
37. ჩემს ყოველ ნაბიჯს მიეცა სივრცე,  
 არ დადრეკილან მუხლები ჩემი.
38. მტრებს წინ გავიგდებ, წამოვეწვევი  
 და უკან აღარ შემოვბრუნდები, ვიდრე არ მოვსრავ  
 კაცით-კაცამდე.
39. და-ცა-ვლეწავ და  
 წამოდგომას ვეღარ შესძლებენ,  
 ჩემთა ფერხთა ქვეშ განირთხმევიათ.
40. შენ შემომარტყი მეორული სულსკვეთება,  
 ჩემზე აღმდგარნი განართხე ჩემს ქვეშ.
41. შენი წყალობით ვაოტე მტერი  
 და მოძულენი გავაცამტვერე.
42. შეჰღაღადეს და არ იყო მხსნელი,  
 არა ისმინა უფალმა მათი.
43. წარვხვეტავ მე მათ,  
 როგორც ქარი მტერის კორიანტელს,  
 ვით ქუჩის ტალახს, გავთელავ ფეხქვეშ.
44. შენ დამიხსენი ხალხის დრტვინვისგან,  
 შენ დამადგინე ერების მთავრად,  
 ხალხი, რომელსაც არა ვცნობდი, შემსახურება.
45. ყურს მომკრავენ და გამიგონებენ,  
 უცხო ტომები პირფერულად მომეპყრობიან.
46. გაილევიან უცხო ტომები  
 და თავ-თავიანთ დილეგებში შეძრწოლდებიან.
47. აწ ცოცხალია უფალი ჩემი, კურთხეულია სიმტკიცე ჩემი,  
 დაე მომადლდეს  
 ღმერთი ჩემი მაცხოვარების.
48. ღმერთი, რომელიც იძიებს შურს და  
 ხალხებს მორჩილად განმირთხამს ფეხქვეშ.
49. შენ, ჩემო მხსნელო მტერთაგან ჩემთა! —  
 შენ მომამალლე ცოდვილთა თავზე, რომელნიც ჩემზე  
 აღძრულან ჯანვით,  
 შენ აპარიდე ბოროტს და ავსულს! —

50. მე კი ამისთვის წარმართებში შეგასხამ ქებას  
და სახელს შენსას ვუგალობებ, უფალო ჩემო!
51. ის თავის მეფეს მაცხოვრობას მრავლად მოაგებს  
და არ მოაკლებს მოწყალებას ცნებულს თავისას —  
დავითს —  
და მთელ მის შთამომავლობას,  
აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

**ფსალმუნი 19.**

ლოტბარისაჲში. დავითის ფსალმუნი.

2. ცანი ჰყეებიან ღმერთის დიდებას  
და მისთა საქმეთ განაცხადებს კამარა ცისა.
3. ღღე ღღეს აუწყებს სალაჰარაკოს  
და ღამე ღამეს შუაშველებს მცნიერებას.
4. არ არის მთქმელი,  
არ არის თქმული,  
რომ არ ისმოდეს ძახილი მათი.
5. და მათი ხაზი დედამიწას ბოლომდე მსჭვალავს  
და სამყაროს კიდებამდე განფენილია სიტყვები მათი,  
მან იქ კარავი გააწყო მზისთვის.
6. და იმ კარვიდან გამოდის იგი,  
ვითარცა ნეფე საქორწინო ვავალაკიდან,  
და ხარობს, როგორც ჩაუქი ვინმე,  
ვინც სარბიელი გალია სრბოლით.
7. ცათა აღსავლით ამოდის იგი,  
მათ კიდემდეა წრებრუნვა მისი  
და აღმურს მისას ვერაფერი დაეძალება.
8. სჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს,  
მცნება უფლისა ჭეშმარიტია,  
გულუბრყვილოებს განაბრძნობს იგი.
9. ნება უფლისა მართებულია, გულს გაახარებს,  
მცნება უფლისა შეურყენელია,  
თვალებს სინათლით გაასხივოსნებს.
10. შიში უფლისა — წმინდა შიშია და ჰკიეს იგი  
უკუნისამდე,  
სჯანი უფლისა ჭეშმარიტია  
და მართებული — ყოველთან ერთად.
11. და ჰა, ისინი სასურველნი არიან უფრო,  
ვიდრე ოქრო და ბაჯადლოს ზოდი,  
უფრო უტკბესი — ვიდრე ნექტარი  
და გოლეულის დაღვრილი სიტკბო.
12. და შენი მონაც ნათლება მათით,  
მათ დაცვაშია უდიდესი მოსაგებელი.
13. ვინ შეიმეცნოს შეცდომა თვისი? —  
შემინდე ჩემი დაფარული შეცოდებანი!

14. და შენი მონა განარიდე ავისმზრახველებს,  
 რომ ვერასოდეს იუფლონ ჩემზე! —  
 მაშინ უბიწო ვიქნები ყოვლად  
 და განწმენდილი — უდიდესი ცოდო-ბრალისგან.
15. სასურველ იქნას, დე, შენს წინაშე ჩემი ბაგისგან  
 ნათქვამი სიტყვა  
 და განზრახვანი ჩემი გულისა,  
 უფალო, — ჩემო სიმტკიცეო,  
 მფარველო ჩემო!

### ფსალმუნი 20.

ლოტაბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

2. შეჭირების ეამს შეგისმინოს დაე უფალმა,  
 მეოხად გექმნას იაკობის ღმერთის სახელი!
3. წარმოგივლინოს შემწეობა წმინდა სახლიდან  
 და სიონიდან წამოგეშეელოს!
4. დე, გაიხსენოს ყველა შენი შესაწირავი  
 და შენი ყოვლადღესავლენი მსუყედ მიიძღვნას.
5. მოგავოს გულის სურვილისამებრ  
 და აღვისრულოს ზრახვა ყოველი!
6. ჩვენ კი ვიხარებთ შენმიერი მაცხოვარებით,  
 ღმერთის სახელით აღვმართავთ დროშას, —  
 თხოვნა ყოველი აგიცხადოს უზენაესმა!
7. აწ გულისხმა-გყავ:  
 უფალმა ჩვენმა გამოიხსნა ცხებული თვისი  
 და ზეცის წმინდა საუფლოდან ეპასუხება  
 ძალმოსილებით თავისივე მხსნელი მარჯვენის.
8. ზოგნი — ეტლებს და  
 ზოგნი — ტაიჭებს,  
 ჩვენ კი ჩვენივე ღმერთის სახელს მოვიხსენიებთ.
9. ჩაიმუხლეს და  
 ჩაემხნენ პირქვე,  
 ჩვენ აღვდექით და აღვიმართენით.
10. უფალო ჩვენო,  
 დაიხსენი მეუფე ჩვენი  
 და შეგვისმინე, როდესაც გინმობთ.

ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიჯვილიძე**



## უოთხეტი იანვარი

### სახლი

გამვალტყავებული სახლი  
 ორი პოეტით,  
 ჩანასახით,  
 ლირიკის ტკბილ-მწარე სუნით,  
 კარადაში ჩამოკიდებული ყოველდღიურობით,  
 დილის საუზმით: ორცხობილით და ჩაით,  
 გადმოპირქვევებული ტკივილის ფინჯნებით,  
 რომლებიდანაც ნელ-ნელა წრუპავდნენ სამყაროს,  
 ახლა კი მათში მკითხაობენ ლექსებს და  
 წინაღობით ერთად ნანახ სიზმრებს ეძებენ,  
 ამ სახლის კედლებს რომ მიახატონ,  
 ისევე, როგორც მიახატეს ერთმანეთს ვნება,  
 რომელიც ჯერ უნდა იქცეს ჩანასახად, მერე ბავშვად,  
 პოეტად და სულ ბოლოს კი ადამიანად  
 და მათთან ერთად მორიგოს სულზე  
 წიგნებით, სეგდით და ლირიკის ტკბილ-მწარე სუნით  
 გაჟღენთილი მომცრო ოთახი...

### მე მსურს მიღალატოთ

(პროზული ექსპრომტი-პაროდია დ. ბარბაქაძის ლექსზე)

ო, მშვენიერო ქალბატონო,  
 მოდი, შევხედეთ დღეს ერთმანეთს და  
 ჩვენი ქალაქის კარგად შესწავლილ და უსახურ პეიზაჟებში  
 ნება-ნება გავისეირნოთ.  
 მე შემიძლია დაგპატიჟოთ იაფფასიან კონცერტზე და  
 სიგარეტზე და ღვეზელზე და  
 მთლად უფასოდ შემიძლია მოგართვათ ჩემი  
 შმორიანი ლექსები და ტკბილი ტუნები.  
 ო, მშვენიერო ქალბატონო,  
 გთხოვთ სხვანაირად არ იფიქროთ,  
 მე პოეტი ვარ და კარგად ვიცი,  
 თუ როგორი პოეტური და დახვეწილი და ნაზი ბრძანდებით.  
 თქვენ ბევრი ღამე დაგთენებიათ  
 სასიყვარულო რომანების კითხვაში და  
 მომხიბლავ პრინცზე ფეერიულ ფანტაზიებში.

თქვენი ლოგინი აღსაგესა მირიადი წარმოსახვითი ეროტიკული  
 პოზითა და

მანჭვა-გრეხით წარმავალი ქალწულობის მძიმე წუთებით.

ო, მშვენიერო ქალბატონო,

ჩვენ ხომ უკვე ერთი კვირაა, ერთმანეთი რაც გავიცანით  
 და მოვასწართ ერთმანეთის ინტელექტის და ხუშტურების  
 შეფასება და

ამის დასტურად თქვენ გუშინ უკვე რამდენიმე „უბიწო“ კოცნა  
 ძალღვივითაც კი გადმომიგდეთ.

ო, მშვენიერო ქალბატონო, განა არ ვიცი,

ჩვენი ქალაქის ეზოებსა და სარდაფებში

ლუკმა ამბორზე კუდქიცინა გაქუცული მურა ძაღლები

ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ დაწანწალებენ,

განა არ ვიცი, რომ უფრო მეტიც,

„გაბეზრებულს“ ხანდახან მათთვის

თითო-ოროლა ლუკმაც კი არ დაგიშურიათ,

განა არ ვიცი, თუმც ახლა ამას

არ გეგონოთ, მნიშვნელობა ჰქონდეს რაიმე,

პირიქით, ახლა მე სულ სხვა რამ მინდა, რომ გითხრათ:

ო, მშვენიერო ქალბატონო,

მოდი, შევედიმთ ერთმანეთს და თავზე ხელი გადაეუსვათ და

ჩვენი ქალაქის კარგად შესწავლილ და უსახურ პეიზაჟებში

ნება-ნება გავისვირნოთ.

მე დაგპატიჟებთ იაფფასიან სპექტაკლზე და ნაყინზე და

კამიუსა და ჰაიდგერის კონცეფციებზე ღრმა საუბარზე.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ,

რომ მე ძალიან მდიდარი და ნიჭიერი ვარ

და რომ თქვენ ჩემზე უზომოდ ხართ შეყვარებული.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ვარ ის პრინცი,

რომელზედაც ეროტიკულ ფანტაზიებში დამეგები გითენებიათ.

ო, მშვენიერო ქალბატონო,

თქვენ საოცრად პოეტური და დახვეწილი და ნაზი ბრძანდებით.

და მე, დიახაც, შემომლია ჩავთვალო, რომ

თქვენ ხართ ის ქალი, რომელზედაც უსასრულოდ მიოცნებია.

ო, მშვენიერო ქალბატონო,

ჩვენ შეგიძლია რამდენიმე ხნით

უმტკივნეულოდ და ლამაზად მოვატყუოთ ერთიმეორე.

ჩვენ შეგიძლია რამდენიმე ხნით

ამაღლებულად და ერთგულად ვიცხოვროთ ერთად.

ხოლო შემდეგ, რაღა თქმა უნდა,

ო, მშვენიერო ქალბატონო,

თქვენ მიღალატებთ...

თქვენ მიღალატებთ ლამაზად და უმტკივნეულოდ,

თქვენ მიღალატებთ პოეტურად და დახვეწილად,

თქვენ მიღალატებთ, უკანასკნელ ამბორს მანუქებთ

და ნატიფი და თბილი ღიმილით ხელს დამიქნევთ და

დამშორდებით...

ო, მშვენიერო ქალბატონო,

დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ასე მოხდება...  
 და აბა, მაშ, ნუღარ ვიღელვებთ,  
 მოდი, გვიყვარდეს ერთმანეთი და  
 ვისეირნოთ ჩვენი ქალაქის გაბეზრებულ და უსახურ  
 პეიზაჟებში,  
 მოდი, სანამ ჯერ კიდევ თბილა,  
 დავსხდეთ პარკებში, ჩავეხუტოთ ერთმანეთს და  
 დავემსგავსოთ შეყვარებულებს.  
 მოდი, ვიყოთ ერთად, სანამ შეიძლება, რომ ვიყოთ ერთად...  
 ო, მშვენიერო ქალბატონო, გთხოვთ დამიჯეროთ,  
 რომ ამის მეტი, არაფერი არა მსურს| თქვენგან...  
 თქვენ ღამაზი ხართ, პოეტური ხართ, ჭკვიანი ხართ,  
 დახვეწილი ხართ...  
 თქვენ შეგიძლიათ მიღალატოთ და წახვიდეთ ჩემგან...  
 და მე მინდა, რომ მიღალატოთ და წახვიდეთ ჩემგან...  
 ხოლო მანამდე, ო, ქალბატონო,  
 ო, მშვენიერო ქალბატონო,  
 მოდი, შევლიმოთ ერთმანეთს და თავზე ხელი გადაუუსვათ და  
 ჩვენი ქალაქის გაბეზრებულ და უსახურ პეიზაჟებში  
 ნება-ნება გავისეირნოთ...

### გაორავალი პორტრეტები

ჩვენმა მშობლებმა სახეებზე  
 საკუთარი სახეები გადაგვანატეს...  
 ერთმანეთის სარკეებში იცქირებოდნენ  
 და ისე ქმნიდნენ  
 ენებისა და სიყვარულის საღებავებით  
 თავ-თავიანთ ავტოპორტრეტებს...  
 და გაორებული პორტრეტებია  
 მას შემდეგ ჩვენი სახეები...  
 ორი წყვილი თვალი ჩვენკენ  
 იმზირება დაბნეული  
 და გამალებით რაღაცას ეძებს...  
 იქნებ სარკეს, რათა ახლა  
 მაინც როგორმე ამოიციოს  
 ამოუცნობი საკუთარი არსი და ის სხვა...  
 ის სხვა, რომელიც უკვე მასზე მიხატულია,  
 რომელთან ერთად ნახატია —  
 მისთვის შედეგრი,  
 სხვისთვის იქნებ სულაც ნაღდაბნი  
 და უმზერს მას და ერთსდა ნატრობს:  
 ამ ნახატში,  
 ამ უცნაურ, გაორებულ პორტრეტში იქნებ  
 მაინც გაცხადდეს ის, რაც ასე  
 სწფუროდა მისგან  
 და საკუთარი თავისაგან რაც სწფუროდა,  
 ისიც გაცხადდეს...

## რეკვიემი

ვუძღვნი გაგრაში დაღუპულ  
მშვიდობიან მოსახლეობას

მე მომკლავენ  
შენ მოგკლავენ  
მერე რა  
მაინც მოვა მოვა მოვა  
შემოდგომა ზამთარი აპოკალიფსი  
სამხედრო სწყება სეტყვა  
ხალხით გაჭედილი ავტობუსი...  
მოვა მოვა ყველაფერი  
მოვა აუცილებლად  
და შენ მოგკლავენ  
მას მოკლავენ  
და მერე რა  
ყველაფერი ჩემი რომ მეგონა  
შენი რომ გეგონა  
ჩითის კაბა წიგნები სიზმრები ჩაიდანი  
ყველაფერი მოკლეს  
საქორწინო ბეჭედი მოკლეს  
გრამფონფიტა მოკლეს  
ჩვენი მოლაპარაკე თუთიყუში მოკლეს  
და მერე რა  
ხომ ვიცოდით ერთმანეთს მოგვიკლავდნენ  
ნამკვის ხეს გახამებულ ზეწარს პურის ყუას ყველაფერს  
მოგვიკლავდნენ  
მზე კი მაინც მოვა უჩირცხვილოდ  
მოვა მოვჰ მზე მთვარე წვიმა წერილი ჩვილი  
ტირილით მოვა ტკივილით მოვა მაგრამ მაინც მოვა ჩვილი  
და მერე რა  
მე ხომ მომკლეს  
შენ ხომ მოგკლეს  
ის ხომ მოკლეს  
სახლი ხომ მოკლეს  
ბალი ხომ მოკლეს  
აღუბლის ხე ხომ მოკლეს იმ ბაღში  
ფორთოხლის ხე ხომ მოკლეს იმ ბაღში  
ჩვენი ერთად ჯდომა ხომ მოკლეს იმ ბაღში  
და მერე რა  
ისევ და ისევ იმეორებს  
ჯარისკაცი ლეიტენანტი პოლკოვნიკი პრეზიდენტი  
ხომ მაინც მოვა  
გაზაფხული ზაფხული ყაყაჩო ზღვა  
ქალისა და მამაკაცის ერთმანეთს გადანასკეული სხეულები  
ხომ მაინც მოვა  
კარაქიანი პური ლოყაწითელა ბავშვი მულტფილმი  
ტელევიზორში

ხომ მაინც მოვა  
 აუცილებლად მოვა  
 ყველაფერი მოვა მოვა  
 ოღონდაც ჩითის კაბა წიგნები სიზმრები ჩაიდან  
 ჩვენ რომ მოგვიკლეს  
 ოღონდაც მე და შენ  
 ერთმანეთი რომ მოგვიკლეს  
 ოღონდაც მზე მთვარე წვიმა  
 ასე უსირცხვილოდ რომ მოგვიკლეს  
 და ხომ ვიცოდით რომ მოგვიკლავდნენ  
 ყველაფერს რომ მოგვიკლავდნენ ხომ ვიცოდით და  
 აჰა მოგვიკლეს კიდევ  
 და მერე რა  
 ისევ და ისევ იმეორებს  
 რადიო ლექსი დედამიწა სამყარო  
 ისევ და ისევ ვიმეორებთ ჩვენ  
 ისევ და ისევ ვიმეორებთ ჩურჩულით  
 მე მომკლავენ  
 შენ მოგკლავენ  
 მას მოკლავენ  
 ყველას მოკლავენ  
 ყველაფერს მოკლავენ  
 და მერე რა  
 მერე რა  
 მერე რა  
 რა მერე?

**კაცი-ხე**

ხეო, ნუთუ არ დაიღალე ამდენი დგომით?  
 მოდი, ცოტა ხნით გაგიცვლი ადვილს  
 და ზეცისკენ მე აღმართავ შენს ნაცვლად ხელებს.  
 შენ მხოლოდ ლოცვა წამჩურჩულე რომელიმე  
 და ძალიან ნუ განგაცვიფრებს,  
 აქამდე რომ ღაღადისი ჩემთვის არვის უსწავლებია...  
 ჰე, ხეო, ხეო, ჩაიმუხლე, ჩამოისვენე  
 და მცირე ჟამს როგორმე მენდე, ნუ გამაწბილებ,  
 ეს ხომ ჩემი ბოლო ნატვრაა:  
 ხედ მაინც ვიქცე,  
 კაცად ქცევას თუ ვერ შევძლებ ამ ქვეყანაზე...



## ვლადიმერ მაჩაიძე

# მ ო თ ს რ ო ბ ე ბ ი

### აკვლი

ნახევრად საესე აბაზანის ძვირფასე  
გამხდარი კაცი იდგა. მუხლებზე გაყ-  
ვითლებული ფურცლები ელო და ხელნა-  
წერს ხმამაღლა კითხულობდა. ჩაცვნი-  
ლი ლოყები და შემუშვებული უბები,  
ჭროლა თვალების ჩაცემა და ამობურ-  
ცული, ნაოჭიანი შუბლი თეთრ ღამეებს  
მოგაგონებდათ. ხანდახან მშრალი ხვე-  
ლება ახშობდა ისედაც ჩახლენილ ხმას.  
აგურისფერ ფილაქანზე გამოღვრილ  
წყალში ჭერიდან ჩამოცვნილი, თეთრად  
ატალახებული ბათქაში ფეხსაცმლის  
ღანჩებს ზომავდა და არავეთარ ყუ-  
რადლებას არ აქცევდა კუთხეში მიგდე-  
ბულ, სისუფთავით გამოთაყვანებულ ია-  
ტაკის საწმენდ ჩვარს.

კაცმა კითხვა შეწყვიტა, გვერდზე მი-  
იხედა და იკითხა:

— არ მისმენ?

— არა, ვთამაშობ.

ბასუხი ხუთიოდე წლის ადამიანმა  
გასცა. იგი სერიოზული სახით უყურებ-  
და უსუსურ ტალღებში მოქანავე გემს.

— შენ ვიკითხავდი.

ხელნაწერი ჯიბეში ჩაიღო და წამოდ-  
გა.

— ზღაპრები არ მიყვარს.

— არც მე.

— აბა რატომ სთქვი, დაცემულები ცა-  
ში არიანო?

ემშაკური თვალების სიშავეში ნიშნის  
მოგების სინარული გაკრთა.

— ესე იგი, მისმენდი.

— არა, ვთამაშობდი, — გაჯიუტდა ბი-  
ჭი. — ცაში ღრუბელია!

— ღრუბელი?

— ჰო, ღრუბელი, წვიმას რომ გააწვი-  
მებს.

„ღრუბელი, წვიმას რომ გააწვიმებს.  
რა კარგი ნათქვამია, რა ადვილად და  
კარგად ნათქვამი. წვიმას რომ გააწვი-  
მებს...“ — გაიფიქრა და თმაზე ხელი  
გადაუსვა. ბიჭმა თავი მოარიდა.

— დედა მინდა.

— მალე მოვა... ასე დაიბარა... კანფე-  
ტებსაც მოგიტანს.

— კანფეტი კი არა, ეზოში მინდა!

— ო, მეგობრები მოგენატრა? ერთად  
ვითამაშოთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.  
ვინდა, შენს გემს ღუზა გაუუკეთოთ?

ბიჭი გამოცოცხლდა, პატარა ხელები  
აბაზანაში ჩაყო. ტალღები დაიბადნენ,  
მამლაცინწებოვით წამოიქოჩნნენ და გემი  
მოძებნეს. კაცმა სადღაც ნაფოტი იპოვა,  
გემს ძაფით მოაბა და დიდის ამბით ჩა-  
უშვა წყალში.

— არ იძირება, ეს რა ღუზაა, — აიმრი-  
ზა ბიჭი.

კაცი დაფიქრდა. სახეზე ღიმილმა გა-  
დაურბინა, რაღაც უცხომ, შორეულმა,  
და გაიყოლა წამით ანთებული ღაწვების  
ფერი.

— ასე სჯობია, ჩემო პატარა მეგობა-  
რო, ასე სჯობია... რად გინდა შეჩერება...

მიანდე გემი ტალღებს, აცალე — დაუფლოს სისწრაფის თვითნებობას, შეეებას ქარიშხლის დებოშს. შენ ვერ წარმოიდგენ, რა არის ჩამირვა, არ იცი, რა არის გაუშლელი იაღქნის უძღურება და დაობება, როცა ვერ იტან დგომას, ვედარ იტან დღეთა ერთფეროვნებას, ვედარ იტან ფსკერის შლამში ჩაფლულ ღუზას... რა კარგია, რომ ეს ყველაფერი არ იცი და რა ცუდია, რომ როდესმე გაიგებ ამას.

— მე მაინც მინდა ღუზა.

ბიჭის ხმაში სისველე განნდა. კაცმა ფილაქანს კუთხე ჩამოატეხა და ნაფოტი შეცვალა. გემი ჩაიძირა.

მღუმარედ იღვა ეს ორი უცნაური მეგობარი და განიცდიდა ფსკერზე მოქანავე, ოღენვ გადახრილ გემს. უტბად ბიჭი დიახარა, დასწვდა და გამარჯვებული სახით ამოიღო გემი წყლიდან. კაცმა შევებით ამოისუნთქა, აკანკალებული ხელით ჩამოართვა სათამაშო და თაროზე შემოდო.

ზარი დაირკვა.

— დედაშენია ალბათ, — თქვა და ხელნაწერი ამოიღო. — მისმინე, კარგად მისმინე, ჩემო პატარა მეგობარო, შენთან სერიოზული საქმე მაქვს. რვეული გამომართვი, მინდა გისახსოვრო. ეს ჩემი სულია, ჩემი ცხოვრების იდეა... ათი წელი ვწერდი, ათი წელი... ამის არსებობა არავინ იცის. მოდი, დღეიდან ჩვენი საერთო საიდუმლო იყოს. შემპირდი, რომ არავის არაფერს ეტყვი. არავის არაფერს ანახებ, სანამ არ გაიზრდები და არ წაიკითხავ. მინდა შენ იყო ჩემი პირველი მკითხველი, შემპირდი...

— კარგი.

მთელი საღამო იატაკზე გართხმულ სიბნელესავით უძრავად იწვა იგი დივანზე. მშვიერი საფერფლე დაცივით უმზერდა ზოზინით დარწეულ ძველ კვამლს. ოთახის სიცარიელით შეშინებული სიჩუმე და ზიზუმით შემცბარი პაერი სხვადასხვა ენაზე ღუმდნენ. რატომღაც საკუთარ თავზე მესამე პირში გაიფიქრა ირონიულად: „უკიდურესი სიმარტოვე უიღბლო გენიოსის სახით და ჩაქნული

ხელებით ელოდაო დასასრულს...“ ფიქრად და ამ გაცვეთილმა, თითქოსდა უენებელმა ფიქრმა მაინც საშინლად შეძრა. წამოდგა, ოთახში გაიარა და სიგარეტს მოუკიდა. სუსტი ალით განათებული სილუეტი სარკეში აბარბაცდა. ნერვიულმა ბგერებმა სიჩუმე გააგდეს გარეთ: „ჰო, ეს შენა ხარ? ძლივს ვიცანი, როგორ შეცვლილხარ. გახსოვს, რა ამაყად მისწორებდი თვალს? სად გაქრა შენი სიამაყე? გახსოვს, რა ძლიერი იყავი? რა იქნა შენი სიძლიერე? არ გახსოვს? არ იცი? მე კი ყველაფერი მახსოვს და ყველაფერი ვიცი! გაგახსენებ კიდევ. სიმართლეს მოგახლი პირში. არც შენ მინდობდი ერთ დროს.. რა საცოდავი ხარ, რა პატარა... ადრე კი, ჰმ, ადრე... გვერნა შენს ირგვლივ ტრიალებდა სამყარო, გვერნა ყველაფრის უფლება გქმნდა. ზემოდან დაჰყურებდი ადამიანებს და მოსამართ ტიკინებს უწოდებდი. ეს კიდევ რაა! მატლების ტლიკინა საზოგადოებაო, — გაიძახოდი. ჰო, შენი სიტყვებია. არ გესიამოვნა? მეტსაც ვეტყვი: ზეკაცობის მაძიებელი ქვეკაცი აღმოჩნდი, მშვენიერებას აუბრალოებდი, თანაგრძნობას ზიზლით უცქერდი, სიყვარულს — სიძულვილით. ქრისტეს დასცინოდი და მის მცნებებს მონების ძილისპირული დაარქვი. მაკიაველის კი აღიდებდი. რაღაცას ჯღაბნიდი კიდევ და არავის და არავის უმხელდი. რატომ? რისი გეშინოდა, შენ ხომ ძლიერი იყავი... ხა, ხა, ხა, ძლიერი... მერე? რა იყო მერე? შენ როგორღაც მიხვდი, დაინახე უფსკრული, შეგზარა თვალღია სიბინძურემ და... წაიქციე. უარყოფილი მოგველინა მსაჯულად, მხოლოდ მაშინ იგრძენი, რომ ბოროტი ხარ, მკვლელი! თუმცა არავინ მოგიკლავს და იქეცი ქვეყანაზე ყველაზე სუსტ ადამიანად და ამით ამაღლდი... მაგრამ ამაღლებული ეშმა სრულიად არ არის ანგელოზი! შემოქმედს მონანიება კი არ უყვარს, არამედ აფასებს მას. შენ კი თითქმის ხსნილი იყავი, თითქმის გადარჩი. ეს „თითქმის“ კი თურმე ტრაგედიის ბოლო მოქმედების დასაწყისი ყოფილა. შენ იმდე-

ნად უძლური აღმოჩნდი, ვეღარ შესძელი ხსნის გზას გაჰყოლოდი, რადგან არა მარტო იგრძენი ბოროტი, არამედ იწამე იგი, იწამე, გესმის?! განაზოგადე და ისე მიიღე, ყველაში აღმოაჩინე და აღიარე მისი აუცილებლობა. შენ ვერ შეიცანი სიკეთის ღვთაებრივი სიღიადე — განუყოფელი და უკვდავი. სასაცილოა — ხედავდი ჩრდილს, მზეს კი ვერა... ნუთუ ბრძმას დაბრძავების გეშინოდა?! რწმენამ და იდეამ ძალები მოგცა, იდეა შეგეწიორა, როცა პირიქით უნდა მომხდარიყო. ძალები მოგცა, მაგრამ ვერ გამოიყენე სიცოცხლისათვის, ხსნისათვის და იქეცი იმად, რაც მე ვარ დღეს! შენ იქეცი

„მე“-დ, თვითმკვლელად, შენივე თავის ჯალათად...

აღშფოთებულმა და შეძრწუნებულმა აკანკალებული მუშტი რადაცას მოუღერა, მერე ნელა დაუშვა და გაფითრდა. შემზარავი ხარხარი მიაწყდა ფანჯრებს. ვინ იცინის?! ვინ არის აქ?!

შემღილი ყვირილით სარკეს მიენარცხა, დაკრუნხული თითებით თავისსავე ყელს სწვდა და...მოეშვა.

— შენ... შენ... — ღია თვალებში ტანჯვა გაიყინა.

თიანხში არავინ იყო. საწერ მაგიდაზე ერთტყვიანი რევოლვერი შემინებული სიხუმის ენაზე ღუმდა.

## ალერბია

„ჭოჭოხეთი არის ტანჯვა იმის გამო, რომ სიყვარული უკვე აღარ შეგვიძლია“.

ჭ. ხელინჯერი.

ბოლოს დოსტოევსკიმაც მიატოვა. ის ახლა სრულიად მარტო იყო — მარტო, როგორც უსასრულობა. სიმარტოვემ იმდენად მომაჯადოებელი და სასიამოვნო შვება მოჰკვარა, რომ მალე აუტანელი გახდა. წარსულად ქცეული მომავალი თავზარდამცემი სისწრაფით გაშორდა გაუთავებელ აწმყოს — დაუნდობელი სიცხადით აწეწილი სულის წუთს.

იგი ხალხმრავალ დარბაზში იდგა, უზარმაზარ ტილოს უმზერდა. შეკუმშული, თვალებში მოქცეული, მიგდებული სხეულების ტანჯული სულები ზიზღით უარყოფდნენ საიდანღაც გაჩენილ, უეცრად მოელენილ ბავშვს. ბავშვი სიყვარულს ჰგავდა. ბრბოს თვალებში დაგუბებულმა ზიზღმა, სადაცაა რისხვად რომ ამოხეთქავდა, ირონიულად გაიღიმა, სურათს მიუახლოვდა და შეძრწუნდა: თვალებში სათნოება ენთო, სინათლის ნაზი ნაკადით განათებული წვეროსანიც შეცვლილიყო, დამსგავსებოდა იმას, რასაც მან დიდი ხანია იმედი დაარქვა. წარწე-

რა წაიკითხა და შესცივდა. ილუზიის სუსხი პირველად გაეცნო მას. მიიხედ-მოიხედა. სურათებს ხალხი პორნოგრაფიასავით ათვალთვრებდა.

თითქმის სირბილით გავიდა დარბაზიდან.

ვესტიბიულში მაგნიტოფონს უსმენდნენ. უცნაურმა მელოდიამ გაახევა. ნაცნობი ჟრუანტელი მოედო სულს: ეს ხომ ის იყო, რასაც გამუდმებით ეძებდა თვითონ, რაც უძილო ღამეებს უწამებდა, რისი ანარეკლიც მის ლექსებში კრთოდა.

საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მართალი იყო, მაგრამ აღარ გახარებია. მართალი იყო, თუმცა აღარ არსებობდა ქვეყანაზე ერთი ადამიანიც კი, რომელიც მის სიმართლეს დაადასტურებდა. კეთილად შემურდა იმისი, ვინც გაებდა და ღვთაებრივ სიმშვიდემდე მისული წამება სულის, ქრისტეს წამება, ადამიანური ბგერებით გააუკვდავა.

### მთვარის ქანდაკება ანათეზდა ქალაქს

ფული დასჭირდა. შოვნის არავითარი საშუალება არ ეგულებოდა. ბოლოს ის აზრი ეწვია, უკანასკნელ წამს ყოველთვის რომ უკუგაღებდა ხოლმე. რამდენიმე ლექსი ჯიბეში ჩაიღო და სახლიდან გავიდა.

მხოლოდ ქოლგები არ ემალებოდნენ შუეს. ჩრდილი თავის სტიქიაში ნებივრობდა. ჰაერში გამჟღადარი კატიის სუნი ქალებს მიტმასნოდა და ალბათ ამ სუნით გაღიზიანებული, აყფებულები, ყვირთელ ფერში შესრულებული ფინია ფანჯრის ჩარჩოში წრიალებდა.

ყველაფერი ისე შორს იყო მისგან, როგორც ბავშვობაში სიცხით გათანგულისათვის — საკუთარი ფეხის თითები. ამის განცდა უჩვეულოდ ამშვიდებდა. გამკვლელები უშედეგოდ შეაჩერა. ზოგი დაიბნა, ზოგი გაოცდა, ზოგმა უკმეზად მოიშორა თავიდან. „რა არასრულფასოვანია ადამიანი“, — გაიფიქრა და ბადისკენ გადაუხვია.

არადა, ფული ძალზე სჭირდებოდა. ვაახსენდა, რა ამოდ ებრძოდა პატივმოყვარეობას, სანამ თვითონ არ მოიკლა თავი და ახლა მისი დაუმარხავი გვაში ისე აწუხებდა, როგორც დავიწყებული სიტყვის მიგნება. საფლავი კი ღიდი ხანია გაუთხარა მოთხრობაში, რომლის დამთავრების თავი აღარ ჰქონდა.

განმარტოებულ სკამზე ახალგაზრდა წყვილი შენიშნა. კაცის ხელი სულ არ უხდებოდა ქალის მხარს, რაც ბუნდოვნად ჩანდა. მწვანედ მოთენთილ თვალებს მსუბუქი მხარი მართლა მოუხდა.

— წაიკითხეთ, იქნებ მოგეწონით.

სახემ ქალს შეხედა. ნაოჭებით ეჭვი დაიწერა მუბლზე და ისევ ამოხედა. აღრენილ ხმას ის ბეგრა შეეყვინა, უშუალოდ ფულის მოძრაობას რომ აღძრავს.

— არ ვიცი, — თქვა მან და მწვანედ მოთენთილი თვალები ივრძნო. ხელმა, რომელიც თავის ადგილს უფრო ეხამებოდა, ფული მიაწოდა. კმაყოფილი ღრენით დაწვრილდა ხმა.

მიმავალს მწვანედ მოთენთილი თვა-

ლები მიაცილებდა. მხოლოდ ქალადის კვამლივით მწარედ განცდილი ლექსები შეეცოდა. „მე გამაგიჟებს ცის მორჩილება, რომლითაც უნდა დამიმორჩილოს“ — ეთხოვებოდა მათ.

ფული ხომ ძალზე სჭირდებოდა.

. . . . .

როგორც იქნა, წააწყდა ნამდვილ პოეტს.

ბიბლიოთეკაში იჯდა და „ბოროტების ყვაილების“ ავტორზე ფიქრობდა. კითხვა აღარ შეეძლო. გაეცინა — სათაური სამკაულის მსგავსი ბორკილივით ელოკეთილ ლექსებს. ბოდლერიც კეკლუცობდა უცნაური მიმზიდველობით. ნაზარდი აზრები ბაბუაწვერას ბუსუსებივით ფარფატებდნენ. ახალ მკვდარს ცხოველის სუნი აქვს, გახრწნილს — მცენარის. ბოდლერის საფლავზე კანაფი ამოვიდოდა, ჰაშიში და თოკი... სილამაზის მიამიტობა და განადგურება... „ბოროტების ყვაილებიც“ მსოფლიო პოეზიის კანაფია! ილუზიების ბედნიერი სამყარო და მარყუქში გაყოფილი თავი... ერთადერთი პატივსაცემი მცენარე... ჰაშიში და თოკი...

ფანჯრიდან მუსიკა გადმოძვრა. ელისონის „სურათებში“... ჰალუცინაციების სახლი. ბიბლიოთეკაში მოჩვენება დამრწოდა და ბოდლერის ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა. ბოდლერი და ელისონი... მისი სული ბრძოლის ველს ჰგავდა, უკვდავი ლანდები იბრძოდნენ სიკვდილისათვის...

დაუოკებელთა ლტოლვამ გამოარკვია. მწვანედ მოთენთილი თვალების ძახილმა ყველა ხმა დაფარა.

ის ბიბლიოთეკაში იჯდა და „ბოროტების ყვაილების“ ავტორზე ფიქრობდა.

. . . . .

ავტობუსში იჯდა და „ცისკარს“ უინტერესოდ ათვალევებდა. ეს ჟურნალი არ უყვარდა. მხოლოდ მაშინ კითხულობდა, როცა ფიქრსა და აზროვნებას გაურბოდა. „ცხოვრება იდიოტისა“... შეც-

ბუნდა, აკუტაგავას ცუდად იცნობდა. სტრიქონებს ჩაუღრმავდა და ალეღდა.

აუტობუსი მანქანას მიჰყვებოდა, რომელზედაც ყვევილებით შემთბარი კუბო ესვენა. კუბოში მისი მეგობრის გვაში იყო. მეშვიდე სართულიდან გადმოხტა... მისმა სიკვდილმა, რაღაც უტხო და უხილავი სტიმულით, ჭეშმარიტებას მიაახლოვა. ეს მაშინ შეიცნო, როცა თვითმკვლელის ბარათი წაიკითხა: „კომედიანტები ფორმის გამოსაცვლელად მირბიან... მე კი მაყურებელში გავდივარ... მაპატიეთ... მშვიდობით“. ბარათის კითხვისას იგივე განიცადა, რასაც მხოლოდ შოპენჰაუერის კითხვა განაცდევინებდა. თვალწინ მკაფიოდ წარმოუდგა თავისივე ჩრდილის დევნით დაღლილი, აქოშინებული, თვალბნაღლიანი კენტაური. საოცარი ის იყო, რომ არავინ ტიროდა. თითქოს ყველამ გაიზიარა გარდაცვლილის რწმენა მრავალჯერ მოსვლის და ხსნის!

აკუტაგავასთან უსიხარულო სიახლოვე იგრძნო, რაღაც ისეთი, რასაც ადვილად შეგიძლია თავი დააღწიო, თუ მოინდომებ. იცოდა კი — მოინდომებდა.

წინაღლით ნაპოვნი პორტსიგარი გახსნა და სიგარეტი ამოიღო. პორტსიგარის ერთ მხარეზე ჭადრაკის დაფა იყო გამოსახული, მეორეზე — ფერადი ღრუბლებით მოლიმარი ცა. სიგარეტს მოუკიდა და გაიღიმა — „პორტსიგარი“ აკუტაგავას ცხოვრების (და, შეიძლება, საკუთარისაც) ეპიგრაფად გამოდგებოდა.

აუტობუსი განერდა. კუბოს გადმოსვენებას აღარ დაელოდა — ცარიელი საფლავი მოძებნა. ირგვლივ საიქიოს მოციქულებივით ირეოდნენ შავოსნები. დაუოკებელმა ლტოლვამ აიძულა გვერდზე მიეხედა, — მწვანედ მოთენთილი თვალეები თანაუგრძნობდნენ. უხმოდ მიესალმა მათ.

მწუხარებას მონატრებული თუ მწუხარებაზე შეყვარებული ხალხის საცოდავი ფუსფუსი კუბოს მიასვენებდა. შინაარსისაგან დაცლილი ფორმა მედიდურად იწვა გვირგვინებში. გვაშმა იდეა გაახსენა, ერთი იმ უამრავ იდეათაგან, მის 2. „ცისკარი“, № 4.

მეგობარს ბოლო დროს რომ აწუხებდა. „გოგირდის სუნი ეშმაკის კლასიკური სუნია, გოგირდი კი ყურში გროვდება, იგი ბეგრის ნარჩენია. ამაშია ზუსტად მუსიკის დემონურობა. დემონურია აზრიც — ის ხომ სიტყვის გარეშე არ არსებობს. თვითონ გონებაა ეშმა“, — იტყოდა და დააყოლებდა: „რა თქმა უნდა, სისულელედ ჩათვლი, მაგრამ მულამი ნახე, მულამი, ჩემი დევიზი კი იცი — ჭეშმარიტია ის, რაც მულამურია“ — გაახსენდა და სიბრაღულის გარეშე იგრძნო გვაშის უბირატესობა. კუბოს სახურავზე დარხეულმა დემონურმა ბეგრებმა მწვანედ მოთენთილ თვალეებისკენ უბიძგა.

მივიდა.

ისინი უკვე ერთად იყვნენ.

მისი მოღუშული ოთახი მალე შეეჩვია მწვანედ მოთენთილი თვალეების სიცხეს.

ქალს უყვარდა იგი, უყვარდა ისე ძლიერად და თავგანწირულად, რომ მას ეშინოდა კიდევ. თვითონ დაუძლეველი, შიშველი ლტოლვა გაჩნდა მხოლოდ, მისი დანახვაც კი ვნებას აღუძრავდა. როცა ქალის გული მის გულში სცემდა, სხეულს თავისთვის ტოვებდნენ და მათი ოფლიც კი სიცოცხლით ცოცხლობდა. მწვანედ მოთენთილ თვალებს სიკვდილი სურდათ. ის კი მხოლოდ ქალს გრძნობდა მასში და ეუფლებოდა, — მეტი არაფერი. ერთხელ შეეკითხა თავს: გიყვარს? პასუხს არ დალოდებია, დიდი ხანია იცოდა იგი.

მწვანედ მოთენთილმა თვალეებმა მწუხარე ცოდნას აზიარა: სიყვარულით უკვე აღარ უყვარდა. სინანული შორს იყო მისგან. სულს ერთადერთი ძაფის სიმბოლიკალა უფორიაქებდა. სახლიდან წავიდა, რომ უკან აღარ დაბრუნებულიყო.

დეკემბრის ქარი აედევნა ქუჩაში გამოსულს. შემოდგომას ყვითელი მანტია ფოთლებად გამოეჭრა და ქალაქში მიმოეფანტა. ტანშიშველი და მომაკვდავი ნაკავში ეგდო, ცივი ღიმილით აჩქებდა მიწას თავს და თეთრ სუდარას ივედრებოდა.

სადღაც შოპენს აწვალებდნენ. შოპე-

ნიც სხვა იყო, სულ სხვა. როგორც არასოდეს, ისე მოუნდა მუსიკით გადმოეცა განწყობილება. შეუძლებლობა შემზარავად ახითხითდა.

ფოსტაში შევიდა. ქალაღზე აკვიატებული ლექსი გადაიტანა:

შემინდე, შენში რომ გავიარე,  
შემინდე — ყოფნა სიზმრის ხიბლია,  
განწირულ სულის თანაზიარო,  
სიკვდილი — აი, ჩემი ბიბლია.

კონვერტში ჩაღო და მისამართი დააწერა. ყუთთან მწვანედ მოთენთილი თვალების ეღდა მოელანდა და შეკრთა. კონვერტი დახია. ნახევები ჯიბეში ჩაიყარა და ქუჩას გაუყვა.

არ იცოდა, საით მიდიოდა. ყველაფერი ეხამუშებოდა, სიარულიც კი. გრძობდა, ავად იყო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა — რითი, სახელი ვერ მოეძებნა

მისთვის. ქვას წამოჰკრა ფეხი, წამობორძიკდა, კედელს მიეყრდნო და მიხვდა: — ეს ხომ ალერგიაა! თვითონ სიცოცხლე იწვევდა ალერგიას მასში.

ბავშვები „ამის პატრონმა რა ქნას“ თამაშობდნენ.

თოვდა.

ჩამავალი მზის ნათელი ლაქა ქალაქის სითეთრეს უფრო აჩენდა. ის შერყეული რწმენის სიმადლიდან დაჰყურებდა ბავშვებს. თავის თავში დაფუძნებული მტკივნეული უსაფუძვლობა ცნობდა მარადიულ თამაშს. სამი მილიარდი ფანტის — გონების პატრონი შეჰღაღადებდა ღმერთს: რა ქნას?! რა ქნას?! მისი უპასუხო კითხვების სამრეკლო კი დაჰინებით რეკდა: თავი მოიკლას, თავი მოიკლას...

### ვაკარჯნები, ანუ სიკეთე

(ელვანება ლ. მ.-ს)

საღამოს უკვე ფოთლებიდან წვიმდა. სველი დღე ისე უცნაურად გამჭრალიყო, როგორც სიტყვის მრავალჯერ განმეორებით ქრება აზრი. გულდასმით შეგროვებული საბურავების ავტორგრაფებიდან ქუჩას რამდენიმედა შემორჩენილია. ამაყი სიღატაკის უკანონო შვილები — ცარიელი ურნები გუბეთა შეთითხნილ სარკეებში შეყუჟულიყვნენ. გაყინული თევზით ცივი, რუხი ცა კიდევ უფრო ამძიმებდა გალუმპული ხაზების სურათს.

სიბნელიდან ორნი გამოჩნდნენ.

ყავარჯნებს დაყრდნობილი გოგო ძლივს მოათრევდა და მბლადაცემულ ფეხებს. შეშფოთებანარევი უნდობლობა ისე შეგუებოდა მის მომხიბველ სახეს, როგორც ღრმა, უფერული თვალების გაფანტულ მზერას — სევდა. ბიჭი გამხდარი იყო, წვერგაუპარსავი და დაუდევრად ჩაცმული. ცალი ხელით რეინის ჯაჭვს მოათრევდა, მეორეში ჩამქრალი სიგარეტი დავიწყებოდა და გატაცებით ლაპარაკობდა. ჯაჭვის ნაკვალევი ერთგული ძაღლივით მისდევდა მათ. უკმაყოფილო

ჟღარუნი და უმწეო კაკუნი მუსიკალური ფონი იყო მათი მსვლელობისა.

— მომისმინეთ! მე სრულიად არ მინდა სხვად მიმიღოთ; არც ორიგინალობაზე ვლბ თავს. ერთი ღარიბი მხატვარი ვარ. არ გვეკონოთ, თავს ვისაწყლებდე. მთელი დღე ეხატე... წარმოიდგინეთ, მთელი დღე ხატავდე იმას, თუ როგორ ხატავ, ხატვით ხატავდე ხატვას. ეს სიტყვები იაფფასიანი თამაში არ გვეკონოთ, მათში უდიდესი აზრია.. შეიძლება ცხოვრების აზრიც იყოს. და ბოლოს, საღამოს მიხვდე, რომ არაფერი დავიხატავს, სრულიად არაფერი. შეგაშინოს ტილოს სიცარიელები, გაექცე მას, გამოვარდე ქუჩაში და უცებ იგრძნო, რომ გშია, გწყურია, გცივა... ხომ არ შეგიძლიათ სამი მანეთით დამეხმაროთ?

გოგო შეკრთა, შეწუხდა, ჯიბეები შემოწმნევლად მოინჩხრიკა და საბრალოდ გაიღიმა.

— იცით, ფული არა მაქვს, რაღაც ხურდები...

— არა, არა, ხურდები არ მინდა. თუმ-



ცა ერთი ბოთლი... ცუდად ვარ, ერთი ბოთლი ლუდი ნამდვილად მიშველიდა. გასტრონომი ჯერ კიდევ ღიაა; თუ დამელოდებით, წუთში მოვალ და გაგაცილებთ. გთხოვთ, კარგი?!

— კარგი.

ბიჭმა ფული გამოართვა და ქუჩაში სირბილით გაიჭრა. ჯაჭვი ნაცემი ძაღვით აედევნა. მას არ უნდოდა ლუდი. იგი ხედავდა მინების მიღმა შორს, ძალიან შორს ხეიბარ გოგოს და გული ეწურებოდა. სიგარეტს მოუკიდა და დამწვინდა. დაბრუნებულს გოგო გულთბილად შეხვდა.

— გიშველა?! — გაუცინა.

— მიშველა.

— ჯაჭვი რად გინდათ?! — აქამდე მინდოდა მეკითხა.

— ო, ეს მართლაც საინტერესო ამბავია. ამის პატრონი გუშინ გავიცანი, უფრო სწორად — თვითონ გამეცნო. ტროტუარის კარნიზზე ვიჯექი და მოწყალეობას ველოდი. ისიც, ალბათ, მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, კარგი ძმაკაცივით მომიჯდა გვერდზე და გაიტრუნა. ეტყობოდა, დიდი ხანი არ იყო, რაც თავისუფლებით ტკბებოდა და მაწანწალის მხიარულ, უდარდელ ცხოვრებას ეცნობოდა. ისეთი კეთილი, მშრალი თვალები ჰქონდა, არ შეიძლებოდა ნდობით და სიმპათიით არ გამსჭვალულიყავით. მის სრულ თავისუფლებას — თუკი რაიმე ამდაგვარი არსებობს — მხოლოდ ეს ჯაჭვი უშლიდა ხელს. მეც სიამოვნებით გაუწიე უმნიშვნელო დახმარება: პირჯვარი გადავწერე, ერთი წამოვარტყე და დიდი ხარ-ხეიმის გარეშე მოვაშორე ძალადობის ეს დაწყვეტილი სიმბოლო, უსინდისოდ რომ მივთვლიდა ადამიანს თავის უბადრუკი გოლგოთისკენ.

გოგო უკვე გულწრფელად იცინოდა, იცინოდა ისე მსუბუქად, ყავარჯნები რაღაც დამცინავ ზედმეტობად ჩანდა. აღარც კაკუნის უმწეობა გაურბოდა ჯაჭვის სიბრაზეს, ინთქმებოდა მასში და ქრებოდა.

— მერე? რა მოხდა მერე?! — პათეტიკურად წარმოთქვა ბიჭმა, — ფეხი ჩა-

მოვართვი, გამოვემშვიდობე და სამულამოდ დავეშორდი ერთმანეთს. ჯაჭვი კი ჩვენი ხანმოკლე მეგობრობის მოსაგონებლად დავიტოვე.

გოგო კისკისებდა, იგი აღარ ჰგავდა ტანჯულს. ბიჭს გვერდით სიცოცხლით სავსე, ქალობას მოწყურებული გოგო მიჰყვებოდა.

— თქვენ ძალიან უცნაური ხართ, ჩემს ნაცნობებში თქვენნაირი არავინ არის. არც ასე მომწონებია ვინმესთან ყოფნა. მართალი მითხარით, ვინა ხართ?

ბიჭმა სერიოზული სახე მიიღო, გოგოს დაკვირვებით შეხვდა და დაფიქრდა.

— მე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მათხოვარი ვარ, რომელსაც შეუძლია ხანდახან ხატოს, რომელსაც აქვს პრინციპები, — ეს მათხოვრობის ახალი სახეა; უყვარს თავგადასავლები, სუფთა პაერი, სუფთა სულელები და სამინლად ეზიზღება თვითკმაყოფილი ღორები. თუმცა იცის, უაზრობაა ამაზე ფიქრი, მაინც გამუდმებით იჭყლეტს ტვინს, თუ როგორ შეუძლია ადამიანს იყოს თვითკმაყოფილი, რომელსაც ახლა შია და სურს თავისთავზე ლაპარაკს მორჩეს.

და მან ნერვული გაგულისებით მოისროლა ჯაჭვი. ასფალტზე გასრიალებული ჯაჭვი კედელს მიენარცხა, დაიჭიმა, დაიძაბა, ერთხელ კიდევ აუღარუნდა და მოეშვა.

„ხელოვნების უკანასკნელი ჰარმონიული აკორდი... სინლუნვის უხეში სიმძიმე... უმთფოტზე აყვანილი პოეზია...“ — გაიფიქრა ბიჭმა და ერთ ცნობილ პოეტზე გამოთქმული საკუთარი აზრი გაახსენდა: ის მთელი სიცოცხლე კარებს ახლიდა შუბლს, სწამდა — გაანგრევდა, დაინახავდა იქითა მხარეს, მაგრამ ზედ მიმხმარი ტვინის და სისხლის მეტი ვერაფერი დაინახა. კარი კი ჩაკეტილი არ იყო, გამოღება სჭირდებოდა მხოლოდ... ეს იყო სასაცილომდე მისული ფანატიზმი. და თავის გატეხა სულაც არ ნიშნავს თავის გამართლებას... მიხვდა — უთვალთვალბდნენ და გამოერკვა.

— რაზე ფიქრობდით?

— თქვენზე ვფიქრობდი. რა გაინტერესებთ და რით შემიძლია გავართოთ?! — გოგო შეიმშუშნა.

— გართობა არ მიყვარს. საუბარი ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ თქვენთან საუბარი ძნელია. ხმა ვერ ამრძობია, მეშინია რაიმე სისულელე არ წამომცდეს. როდესაც მართო ვარ, მუდამ ღმერთზე ვფიქრობ, უფრო ხშირად — როდესაც ვუკრავ. იცი, მე ძალიან მიყვარს მუსიკა, მაგრამ არასოდეს ვიძირები მასში, როგორც უმრავლესობა განიცდის... პირიქით, მუსიკა შემოდის ჩემში, მაფორიაქებს, მალუნებს, მამსუბუქებს და მივიწვევ ზევით, ზევით... ვერ ვადმოგვემთ, რას ვერძნობ მაშინ, მგონი — ღმერთს და ბედნიერი ვარ. თქვენ გწამთ ღმერთი?!

— არ ვიცი.

ბიჭს გული ეტკინა. უნდოდა ელაპარაკა ღმერთზე, მის ყოვლისმომცველ სიკეთეზე, მის უსაზღვრო შემწყნარებლობაზე, მაგრამ გვერდით სწორედ იმ „კეთილი“ ღმერთის ბოროტი ხუმრობის თუ საბედისწერო ექსპერიმენტის შედეგი მოხარბაცებდა.

— არ ვიცი... თუმცა ხანდახან წაუაწყდები ისეთ ადამიანებს, რომ პატივისცემით ვფიქრობ მასზე. მაგრამ ხანდახან... ზოგი ხომ ისე მოვიშხამავს სულს, გინდა მიაფურთხო ყველას და ყველაფერს, პირველ რიგში კი იმ გაფუფულ ცინიკოსს, იდიოტური სიჯიუტით რომ გვიმორჩილებს და გვაიბულებს ვუწოლოთ შემოქმედი.

ბიჭმა ისევ მოუკიდა სივარტის და იგრძნო, მეტიც ატანა აღარ შეეძლო, აღარ შეეძლო გოგოს იღლებში ამორჩილი, მკვდრისფერად შეღებილი ხეების დანახვა. „რალაც უნდა მოვისაზრო, რალაც სხვა, რალაც სასიამოვნო, ცოდვაა ბაეში...“ — გაიფიქრა და გოგოც შეღვა.

— მოვედით. ეს ჩემი სახლია. შემოდით, დაისვენეთ, საჭმელსაც მოგიმზადებთ.

— არა, არა, — შეშინდა ბიჭი. — სხვა დროს, ახლა მენქარება, მელოლებიან.

— გელოლებიან? — დანაღვლიანდა გოგო.

— მელოლებიან წიგნები, ცარიელი ტილოები, ცარიელი ფურცლები და, რა თქმა უნდა, ჩემი ცარიელი ოთახი.

ბიჭმა ძალით გაიღიმა და კარი გაუღო. — მაშინ გამოვიტანთ რამეს, კარგი?

მან უარის თქმა დააბირა, როცა წარმოიღვინა მისი წვალბა, ჩოჩვა და ისევ იმ გულისგამაწვრილებელი კაკუნის მოსმენა. მაგრამ გოგოს ღრმა, უფერულ თვალებში ისეთი შემფოთებული ვედრება წაიკითხა, რომ დაეთანხმა. ეს იყო ბოლო სიკეთე, რაც მისთვის შეეძლო გაეკეთებინა. კაკუნი მოახლოვდა. მომხიბვლელი სახე დედობრივი მზრუნველობით იღიმებოდა.

— ბური და ყველი... სხვა არაფერი იყო. რომ შემოსულიყავით...

— მისმინე, შენ კარგი, კეთილი გოგო ხარ. მე შენი სახელიც არ ვიცი, მაგრამ არ მინდა, ნუ მეტყვი, ასე ჯობია. კარგად იყავი. — ბიჭმა ხელი მოუჭირა ცივი ოფლით დაცვარულ თბილ თითებს.

— გამადლობთ, — წაიწურხულა გოგომ და მიტრიალდა.

ფოთლებიდან აღარ წვიმდა. ცარიელ ურნებს გუბეთა შეითხინილი სარკეები დაეხატათ და თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ. გაყინული თევზივით ცივი, რუხი ცა აღარაფერს ამძიმებდა. მან ფრთხილად შემოიღო ბური და ყველი ქვაზე და გაიქცა. უხილავე ჯაჭვი აედევნა. გაექცა ბინდში მოფარფატე ხილვას, გაექცა და მაინც ხელაღდა, როგორ დგებოდა ამბოხებული, საწყალი გოგონა, როგორ აფათურებდა ხელებს, ეძებდა მის იმედად ქცეულ მკვდარ ხეებს, როგორ ეყრდნობოდა და მიიწვედა წინ, მიიწვედა კაკუნით ტანჯვის ფილაქნებზე, უახლოვდებოდა კარს... რომ მხოლოდ იქ გადაეყარა ყვარჯნები, ერთხელ მაინც შემდგარიყო საკუთარ ფეხებზე და... წაქცეულიყო!

მირბოდა ბიჭი და რატომღაც ახსენდებოდა ფრაზა, მის მეგობარს რომ დასცდა წინაღობით: „სულთ ხეიბრები ეყრდნობიან ადამიანებს...“

## ვლადიმერ მანაიძე

ფიქსის თხზვა შეიძლება ადრეულ ასაკში დაიწყოს კაცმა, პოეზია კი უფრო გვიან იწყება, რადგან აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ დრამატულ სიმბოლეს, დრამატულ შინაარსს. სხვა საქმეა, უკვე ფორმაში მოქცეული, რანიონით გაშქლავნდება ეს დრამატიზმი. პოეტის ნიჭის წყობა და პიროვნებისეული თვისება აქ იჩენს თავს. ზოგი პოეტის შემოქმედებაში დრამატიზმი ესთეტიზირებულია, მწყობრ ტროპულ სისტემაშია ჩაქსოვილი და ამის გამო უკუფენილია, ზოგისაში კი პირიქით, ფიქსის ტეხილ აღნაგობაში შედაპირნევე ჩანს აწეწილი ნერვების და აფორიაქებული სულის სამდურავი.

1980 წელს გამომცემლობა „მერანმა“ პირველად გამოსცა უდროოდ გარდაცვლილი პოეტის ფიქსები. ამას დაერთო სხვადასხვაგვარად შედგენილი კიდევ ორი გამოცემა. მე პირველი შთაბეჭდილების ტყვეობაში ვარ — ვერცხლისწყალივით მოძრაავი, წყვეტილი, ზოგჯერ არიტმიული, ეპითეტებით გაჭვდილი გრძელი პერიოდები, მოულოდნელი სახეები... ვლადიმერ მანაიძის ფიქსები დრამატული სიმბაფრის უკანასკნელ ნოტზეა დაწერილი, ამის იქით უკვე აღარაფერი აღარ იწერება და მრავალწერტილის უზარმაზარი სიცარიელე იკავებს დარჩენილ სივრცეს. ამგვარი სიცარიელის შეგრძნება ბევრი ფიქსის შემდეგ ეუფლება ადამიანს. ეს ფიქსები ღირიკული ჟანრის განსაკუთრებულ სახეობას ეკუთვნის. აღსარებითს. აღსარებების რიტმი თავბრუდამბევევია, მოულოდნელად აღძრული და ასევე მოულოდნელად შემწყდარი. ვ. მანაიძის ლექსებში მისი არსებობიდან წამომდგარი ქარიშხალი ტრიალებს. იქნებ ტრივიალურიც იყოს ეს შედარება, მაგრამ მისი სამყარო მართლაც ქარიშხლით მოპირთავებულ სივრცეს წაავებს, რადგან ამ სამყაროში საგნების სიმწყობრეს, ფორმას და წესრიგს მოკლებული, თვალშეუვლები, დაუდგარი სტიქია ბატონობს, სტიქია, რომელსაც ვერ ხედავ, მაგრამ რომლის შესებასაც თითქმის ფიზიკურად გრძნობ. ხშირად გაღიზიანებს კიდევ „ჩავარდნილი“ რითმა, დარღვეული რიტმი, მაღალფარდოვანი თუ გაცეითილი ფრაზა, მაგრამ როცა პოეტის სამყაროს მთლიანობაში შეიგრძნობ, ხვდები, ეს ხარვეზები ისევე ბუნებრივად უთავსდება ქაშელეონივით ავლარებულ მეტაფორებს, როგორც ქვაფენილზე დაღვრილ მზის ხალას შუქს — თალხი ჩრდილი.

ვ. მანაიძე ოცდაექვსი წლისა დაიღუპა. ეს ის ასაკია, როცა სიყმაწვილის ზოგჯერ ნადველგარეულ, მაგრამ მაინც ტეხილ ილუზიებს თანდათან აღწევს კაცი თავს; ცხოვრების უხეშ, პროზაულ, ხშირად მძიმე შთაბეჭდილების შემცველ სინამდვილეს ადამიანი მრავალგზის ეხლება შუბლით. ასაკობრივი კონფლიქტი, გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ — „მწარე გათიშვა“ ოცნებას და სინამდვილეს შორის ახალი არ არის. არა ერთი და ორი ბრწყინვალე შედევრი შექმნილა პოეტის ფაქიზ სულში აღმოცენებული ამ ურთიერთსაპირისპირო შეხების წერტილთა გამოთიშავი თანხვედრის გამოისობით. ვფიქრობ, რომ ვ. მანაიძის შემოქმედებას ამ მგრძნობიარე ნერვის ტოკვა ასაზრდოებს. მისი პოეზია ყმაწვილური ილუზიების ნამსხვრევებისგან შედგება. ეს ის ნამსხვრევებია, უმკაცრეს რეალობასავით ანაზღად წამომართულ კედელზე შეხეთქებით რომ დაიფშენა და დაუდევრად მიმოიფანტა იატაკზე, როგორც ნაძვის ხის სათამაშო. ოღონდ აქ ნადველს და სევდას რაღაც გამომწვევი ფინი, ჰეროიკულ შემართებამდე მისული ბოქმური სულისკვეთება სძალავს. თითქოს რაც უფრო მკაცრია რეალობა, მით უფრო უშიშრად უნდა დახვდეს მას. პოეტი თვითონვე ირწევს ეკალ-ბარდით მოფენილ თავის გზას: „ვევლას მოელის: ცხელი ჩაი, ქა-

ლი, წიგნები, დედის ალერსი, შვილის თოთო თითთა თათუნი, მე დარდიანი  
ამაღამაც გარეთ ვიქნები, ფიქრით ამღვრეულ სულში ლექსებს გააქვთ ხათქუნი“.

ქე ცოტა რამ ვიცი ვლადიმერ მანაიძის შესახებ. ის არ იყო ლიტერატურულ  
კელუარებში მოფუსფუსე კაცი. მღელვარე შინაგანი წვით აღბეჭდილი  
მისი ნაწერები მოწმობს, რომ ცხოვრებაც ასეთივე მოუსვენარი ჰქონდა.

ვიქსების ავტორს სამი მოთხრობაც დარჩა. ეს მოთხრობები პირველად იზი-  
ლავს მზის სინათლეს. ამიტომ უკომენტაროდ გვინდა მივაწოდოთ მკითხველს.  
მხოლოდ ერთს ვიტყვი: აქაც თვალნათლივ გამოსჭვივის უჩვეულო სახეობრივი  
აზროვნებისკენ სწრაფვა და მძაფრი წყურვილი ადამიანში ადამიანურის და-  
ნახვისა.

ანდრო ბუაჩიძე



## ოპარ თურმანაული

### ავტობუსის განჩერებაზე

(ლექსი პროზად)

სიცხისგან შეწუხებულები ერთად დგახართ ავტობუსის განჩერებაზე.

თითქოს ყველა ერთად დგახართ, მაგრამ ყველა თავ-თავის წილ სიცხეს ავინებთ;

და გული-გულში ერთმანეთსაც, რადგან მერე, ავტობუსში როდესაც ახვალთ, ვინც მოასწრებთ სკამზე დაჯდომას, ხომ იფიქრებთ, რომ ყველა თავის ადგილზე ზიხართ. მაგრამ ერთი მათაც ჰკითხეთ, ვინც ფეხზე რჩება.

ცხელა...

ყველანი ოფლად იღვრებით.

ვიღაც თქვენს შორის ურცხვად დადის და იპარავს თქვენს ბოლმიან ფიქრებს, რომ ხვალ თქვენვე გაიცვალთ პურის ლუქაში... დაუძახეთ მილიციელს: „პოეტი ლექსს წერს!“ დაუძახეთ და დაიჭირეთ მილიციელი. პოეტი კი... გაფრთხილება მიეცით პოეტს: ადარ გაცვალის პურზე ლექსები.

ავტობუსი აგვიანებს; ცხელა... მთავრობა რა შუაშია!..

მალე მაინც მოსალამოვდეს!..

საღამოა, ალბათ, პარიზში...

რა დროს ეს არის, მაგრამ მაინც: „პოეტისათვის პურის ლუქას ნუ დაინანებთ...“

მართალი ხართ: „გაანია ძაღლსა და პოეტს!..“

ძაღლს ნუ დატუქსავთ, როცა ყმუის და პოეტს ცრემლს ნუ უსაყვედურებთ: გული უგრძნობთ, მოსახდენი მაინც მოხდება...

ნუ გეშინიათ, უპატრონო ძაღლებო და პოეტებო, ქალები მაინც გაპატრონებენ. პლატონს ვინ ჰკითხავს, ვიდრე ქალები არსებობენ სახელმწიფოში და... თამამად, უფრო თამამად!

ცხელა...

სანაკვე ურნაში და ურნის გარშემო სიგარეტის ნამწვები წვანან და თავიანთ პატრონებზე ლაპარაკობენ; „ქემელის“

ნამწვი, ნარცისივით შეყვარებული, თავისივე თავის სიყვარულით ბოლომდე იწვის.

მდიდარო, სანამ ფული გაქვს, „ქემელი“ და ქალი არც შენ მიგატოვებენ, მაგრამ მაინც მოემზადე სიმარტოვისთვის – შენს სიკვდილთან შენც მარტო დარჩები.

შენ კი, პოეტო, ცხოვრების თითოეულ წუთსაც მარტო შეხვდები.

ვიცი, მოხუცო მწიგნობარო, თამბაქოს არ შეეშვები, რადგან სივარეტის კოლოფზე გაკეთებული წარწერის გარდა სხვაც ბევრი რამ წაგიკითხავს და გიფიქრია.

ცხელა...

ცოტაც მოითმინეთ, მალე ყველანი წავალთ... იმკვეყნად. აქ სხვები მოვლენ, ავტობუსის გაჩერებაზე.

ცხელა... ბავშვი აუტირდა დედას კალთაში.

ბავშვის ტირილიც პროტესტია ამ უკუღმართი ცხოვრებისადმი. ჩვენც ვიტირებდით, მაგრამ ვიცით, არაფერს რომ არ შევლის იგი... დაუძახეთ მილიციელს! ბავშვის ტირილი მოასმენინეთ, წაუკითხეთ ლექსები და პური მიეცით...

ჩვენ, ყველანი დამნაშავე ვართ ღმერთისა და ბავშვის წინაშე.

დაუძახეთ მილიციელს, მანაც იტიროს; იტიროს, ვიდრე მისი ფორმის ტანსაცმელი ცრემლითა და მზით არ გაზუნდება და გლეხი კაცის სამოსელს არ დაემსგავსება...

ცხელა...

ქალაქში ამ გლეხისთვის ნაცნობი მხოლოდ მზე არის და ისიც ასე მტრულად აცხუნებს... გაიშალე მხრებში, გლეხკაცი, აიდე თავი! შენი შვილები გაიზარდნენ, ისწავლეს უკვე... თავს სხვის კისერზეც შეიმაგრებენ.

ცხელა...

ყველა ჯიბეში გიხურთ შაურიანი, ავტობუსიდან ჩასვლისას მძღოლს რომ უნდა მისცეთ.

ოფლის სუნი ამძიმებს ეთერს, ოფლის და წარმავლობისა. მარადისობისათვის მცირე ადგილიც არ ჩანს, არც აქ, გარეთ, ავტობუსის გაჩერებაზე, არც ავტობუსში, არც უფრო შიგნით...

მიწიერი საზრუნავით სავსეა ხალხი.

ავტობუსი ამ ხალხით ივსება.



## ლელა ბაბური

### ჩემს თაობას, ომბაჟოვლილს

ვბერდებიო... ველარ ვწერო  
აღალბებზე შემთვრალ ლექსებს...  
— ოცდახუთის არც კი ხარო, —  
მარტი ფიქრებს დამიზეზებს.  
ვბერდებიო... ველარ ვლალობ,  
უფრო ხშირად მძალავს დარდი...  
— ოცდახუთის არც კი ხარო,  
რის დარდიო, — ჯავრობს მარტი.

ოცნებაო!  
ფრინდი... ფრინდი...  
სიკვდილიდან-სიცოცხლეზე...  
სულო, ფრინდი...  
ფრინდი... ფრინდი...  
ისევ —  
ისევ —  
ნატურის ხეზე!

### ქუნაში

...ჩვეულებრივი გამგლელებივით  
გავცდით ერთმანეთს...  
მხოლოდ ერთი კია:  
ჩვეულებრივ გამგლელებს  
ასე არ ეშინიათ

ერთმანეთის თვალების.  
და არც ასეთი ხაზგასმით  
იყურებინან  
ურთიერთსაპირისპირო მხარეს.

### სურვილი

...ამდერებული ჩიტები  
მე ბევრი მინახავს...  
და ისეთებიც —  
ყელში ჭიკჭიკგარჩილები...  
და მაინც ვერ მივმხვდარვარ,  
მრჩება თუ არა გზა  
უკან მოსაბრუნებელი...  
აღბათ რაღაც გულსაკლავი  
მოგონება უნდა გამყვეს

(მაგალითად, ჩემი გულწასული წამებისა),  
რომ კვლავ შევძლო  
უკან მობრუნება...  
მანამდე კი, რა მძაფრია სურვილი —  
ჩაკვლა ირგვლივ ყოველნაირი ლოგიკა  
და ჩემი ტერფებიდან ამოღებული  
გასრესილი ლოკოკინების  
ნიჟარები გავამთლიანო...

### ბავშვობის აქვით...

...ბავშვობის აქვით  
ბევრ რამეს ვამჩნევ ადამიანებს,  
მაგალითად,  
ვამჩნევ, რომ ისინი  
იმას არასოდეს ამბობენ,  
რასაც ფიქრობენ...  
მაგრან მე, მათგან განსხვავებით,  
ისიც ვიცი,  
რომ ხშირად ადამიანები

იმით, რასაც ამბობენ,  
უფრო იმას ამბობენ,  
რასაც არ ამბობენ...  
ამიტომ, მე ჩემი ბუნებით  
მუდამ ბავშვის მხარეზე ვარ  
(მამასადამე, გულწრფელობის...),  
თუმცა...  
არავითარი მნიშვნელობა არა აქვს,

ვის მხარეს ვიქნები,  
რადგან არც ერთ მხარეს  
არ ვაკლდები და არც ვემატები  
ჩემი ყოფნით ან არყოფნით...

ეს იმიტომ, რომ  
არც არჩევანი ვარ და არც არადანი.  
ამ ფუნქციასაც (ბავშვობის აქეთ)  
ცხოვრება კისრულობს!

ცას შვენის მთვარე — პაწაწინა ცრემლის  
აკიდო.

მზერას იღუმაღ გარინდების  
სხივი მოება.  
უნდა წავიდე...  
მეც ცის კიდეს ჩამოვეკიდო,  
ვიდრე სხეული მოინატრებს უმანკობას.  
საით მივედივარ...  
რად ბნელდება...  
გზაა რა ვიწრო...  
მიწა დაახრჩო, მზეც დაახრჩო  
სისხლის ხუნდებმა.  
უნდა გავიძლო,  
იმ წუთამდე უნდა გავიძლო,  
ვიდრე სამყაროს  
სიყვარული არ მოსწყურდება.

ჩამოიწვერა სინანული იწილ-ბიწილო,  
ჩამოიღვენთა რიჟრაჟეულ  
სტალაგმიტებად.

უნდა ვიძინო...  
თვალხილულმაც უნდა ვიძინო,  
ვიდრე სამყარო  
ულექსობით არ ავმინდება.

ცას შვენის მთვარე — პაწაწინა ცრემლის  
აკიდო,

მზერას  
იღუმაღ გარინდების სხივი მოება.  
უნდა წავიდე...  
მეც ცის კიდეს ჩამოვეკიდო,  
ვიდრე სამყარო დაიბრუნებს უმანკობას.

...ორნამენტები...  
რქავრეხილი ორნამენტები...  
ჩამქრალ კუნჭულში —  
ბნელ კუნჭულში —

პროექტორის შემონათება...  
თვალისმომჭრელი ელვარება  
საქანელასი...  
ბავ-შვო-ბა!

...ვიზებირებდი, როგორც სასწაულს  
დაბადებიდან დაბადებამდე...  
ვიმახსოვრებდი, როგორც სასწაულს  
და ხსოვნის ზღურბლი მხრებით  
დამქონდა...

ვკავდი პეპელას — სამ დღის  
სიცოცხლით,  
ფრთათა სისუსტით, ქართა ვერძლევიით...  
ვიზებირებდი, როგორც სასწაულს...

...არეულ ხლართებში,  
ბნელ მარწუხებში  
და ჭორიან მითქმა-მოთქმაში  
უეცრად ჩნდები...  
და ჩემს ტვინს ამ დროს  
ვიღაც მიღენის  
გადამწვარ მზეთა ნახ საუფლოში...

და ჩემს ტვინს ამ დროს  
ვიღაცა ავსებს —  
შიზოფრენიის ულოგიკობით...  
...აღარსად შემხვდე,  
აღარ შემხვდე,  
აღარსად შემხვდე...  
დე, მტვრის არილში  
ჩაიკარგოს ჩემი ოცნება.

## ჯემალ ქირიძე

# მე, როსინანტი...

რომანი

33.

ქალაქი თოვლის საფარქვეშ დამხვდა. წინა დღეებში ბლომად უთოვია. მანქანის სავალი გზები გაუწმენდათ, ტროტუარები და სკვერები კი ყინვას ისე შეუკრავს, მომავალ გაზაფხულამდე არაფერი ეშველება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ფეხსაცმლის ლანჩას ყინვა ისე ატანდა, ფეხშიშველა სიარულს ოდნავ-და სჯობდა.

ვაჭირვების დროს დონ კიხოტიც გადარჩენაზე ფიქრობდა და ჭკუისათვის უნდა მომეხმო, გამოზამთრებაზე უნდა მეზრუნა. აგერ, შენობას აწერია, კომკავშირის საოქლო კომიტეტიო. თბილისური მაგალითი გამახსენდა და შევედი. ინსტრუქტორს ისე გაუხარდა, თითქოს ჩემს მოსვლას ელოდებოდაო.

— მწყემსად თუ გიმუშავია?

უარის ნიშნად თავი გავაქინე.

— არა უშავს! დოლი გვკონდა, ბატკნების მწყემსები არა გვეოფნის, დღესვე გაემგზავრები შავი მიწებისკენ, კვება უფასო გექნება, სეზონის ბოლოს კოლმეურნეობა ფულითაც გადაგიხდის და ნატურითაც!

სხვა გამოსავალი არა მქონდა და დაეთანხმდი.

ჩამსვეს „გაზიკში“ და თითქმის მთე-

გავრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 2, 3.

ლი დღე მატარეს. ირგვლივ იტალღებოდა ქვიშის ბარხანები, რომლებზეც ცოცხივით გაფშეკილი ბალახი ხარობდა. თოვლს იგი ვერ აკაკებდა, ან იქნებ ამ მშრალ მხარეში არც თოვდა.

მიმიყვანეს ტაფობზე. შუაში ფარეხები. ისმის ცხვრის ბლავილი, პეტელი, ჰაღღების ყეფა-გნიასი.

იქვე მიწურია. მიწისპირს სახურავი ოდნავ სცილდება. კიბით ჩავდივარ ფართო ოთახში. შუაში გაუთლელი ფიცრებისაგან შეჭედილი მაგიდაა, კედლის გასწვრივ კი ფიცარნავია დაგებული და ამ ფიცარნავზე ერთიერთმანეთის გვერდით უნდა ვიძინოთ ერთმა ჭარმაგმა მამაკაცმა, მხარეულმა დედაკაცმა, გოგონებმა და ბიჭებმა. ბიჭებიო, ვთქვი, თორემ უმრავლესობა გოგონები იყვნენ და ახალი „საქმროს“ გამოჩენას, ბუნებრივია, ტაშით შეხედნენ.

დილითვე შევეუდექი საქმეს. მომცეს მოკლეთარიანი, გრძელი მათრახი და გამომიყვეს ას ორმოცდაათი ბატკანი. ისეთი საყვარლები იყვნენ, ჩახუტება მოვინდებოდათ. დაკუნტრუშებდნენ თავის გემოზე. მე კი ისღა მევალებოდა, ახლომახლო საძოვარზე გამედენა და არ გაამფანტოდა. შუადღეს ჭასთან უნდა მიმერეკა და დამერწყულებინა. ჭაში მლაშე წყალი იდგა. ჩვენთვის კი წყალი ცისტერნიან მანქანას მოჰქონდა.

სქელტანიანი წიგნები გვექონდა, ვილის ლაციისის რომანები დამამახსოვრდა. ბექობზე მზეს მივეფიცებოდი და ვკითხულობდი. თუ ბატკნები საჭიროზე მეტად გაიშლებოდნენ, ირველივ შემოვურბენდი მათრახის ტყლაშუნით და ერთად შევეყრიდი.

ბინდისპირზე ფარეხში მივერეკავდი და სხვები, უფრო გამოცდილები მოუვლიდნენ.

მზარეული დაგვახვედრებდა უხვ და ყუათიან ვახშამს. სანთლის შუქზე ვერთობოდით, ვის როგორ შეგვეძლო. რადიომიმღები გვექონდა და ერთხელ თბილისის ტალღა დავიჭირე. გულის ჩხვლეტა დამეწყო, თითქოს სამშობლოდან მთელი საუკუნე ვიყავი გადმოხვეწილი.

მერე მივეყრებოდი გვერდივერდ, თუმცა, რა დამამინებდა, ჩემს გვერდით ხომ გოგონა განაბულიყო და სიბნელეში ელოდა, ვაგებდავდი თუ არ ხელის ვაწვედნას.

ზამთრის თვეებმა ისე ჩაიარა, თოვლი მეტად არც მინახავს. ღამღამობით ციოდა, დილითაც, მაგრამ მზე რომ მდღა აიწვევდა, დათბებოდა და ისე აღერსიანად შემოგვეფინებოდა პირისახეზე, თითქოს მოფერება ეწადა.

მზის ჩასვლის უამი მეტად ღამაზი იყო. მსგავსი რამ ჩემი გზის ბოლოს ვიხილე, ოღონდ ზღვაზე... აქ მზე ჩადიოდა დიდხანს, თანდათან. ცის კიდეს მოედებოდა მეწამული დაფიონი, თითქოს ტრამალებს ხანძარი ეკიდა. ნელდებოდა, რუხდებოდა ფერები, ბინდში გადადიოდა და თავზევით ისეთი გაჩახჩახებული ზეცა გადმოფენებოდა, თითქოს მთელი ვარსკვლავითი ერთბაშად ააბრებდა ძირს ჩამოცვენას.

ადრიან გაზაფხულზე ცხერის ფარები ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ... ჩვენ, ახალგაზრდებს, სატვირთო მანქანამ მოგვაკითხა და იმით ვაკვამგზავრეს.

34.

დღეს აქ საზღვრები შეცვლილია. შავი მიწები ასტრახანის ოლქისთვის იყო მიწერილი, მერე დაუბრუნეს ნამდვილ პატრონს — ყალმუხეთს. რაიონი, სადაც მივემგზავრებოდი, ზედ სტალინგრადის ოლქის საზღვართანაა. სულ მახსოვდა, თითქოს რაიონს კრასნოარმეისკი ერქვა. ახლა რუკაზე ვეძებუ და იმ ადგილებში სულ ჩორნი-იარი, კამენნი-იარი და კაპუსტინ-იარი მხვდება... თუმცა აგერ კრასნოსელსკიცაა...

ასე იყო თუ ისე, შავი მიწების ნახევარუდაბნოები იმ დღეს ვერ გადავლახეთ. სადაც, მიწურში შეგვეყარეს ისევე იატაკზე გვეძინა. მე არც საბანი მქონდა და არც ქვეშაგები. იძულებული ვაგხდი, სიბნელეში ერთ ყმაწვილ გოგოს შევეკვდივოდი. ისიც თბილად იყო და მეც, ოღონდ გამოძინებაზე რა მოვახსენოთ.

მეორე დღეს კვლავ ღია მანქანით გვატარეს. დიდიდან საღამომდე აღარ გათავდა უკიდევანო სივრცეები და დიდიდან საღამომდე გზის გასწვრივ მოჩანდა ჯეირნების უთვალავი ფარები, ტრამალები რომ თეთრად გადაეპენტათ.

მერე სოფლებში შევედით. ვიწრო ეზოები, მტვრიანი გზები, თეთრი ხატები, ალუბლისა და ვაშლის ხეები... სახლებს მიღმა ერთი ორჯერ გაკრთა ვოლგის მუქი ლურჯი ზედაპირი...

სოფლამდე საღამოს ჩავალწიეთ. აქ იყო ის კოლმეურნეობა, რომლისთვისაც ვიმუშავე.

ღამის გასათევად საბაეშო ბაღში მომათავსეს. იმდენი ხორცი ჰქონდათ, დაუნანებლად მიმასპინძლებოდნენ. დიდხანს ვერ შევრჩი. ბულალტერიამ ავანსად რაღაც კაპიკები გამომიწერა, შრომადღებებს წლის ბოლოს დავიანგარიშებთ და, რაც ნატურითა და ფულით გვეკუთვნის, მერე გადავიხდით... მე იმის მომკითხავი არ ვიყავი და შერჩა ჩემი ვალი ფულითაც და ნატურითაც უცნობი რაიონის, უცნობი სოფლის უცნობ კორმეურნეობას.



აქედან დიდი მანძილი არ იყო სტალინგრადამდე. პატარა, მონჯღრეული ავტობუსით გავემგზავრე. მაშინ ქალაქს არც სახელი ჰქონდა შეცვლილი, არც ის ძეგლები არსებობდა, ვუჩუტიჩმა რომ შექმნა. არაფერი გამორჩეული მე აქ არ მინახავს. დამამახსოვრდა პლანეტარიუმი, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სტალინგრადს რომ აჩუქა. და კიდევ ერთი ვინმე სტილიაგა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ახალგაზრდა, რომელსაც ეცვა არა ისე, როგორც ყველას. მთელი ქვეყანა იმ დროს ჩამუქებულ-ჩამოჩანული დადიოდა. არავის ესირცხვილებოდა სამუშაო კომბინეზონით, ზამთარში კი ბამბურებითა და „ვალენკებით“ ან ქირზის ჩექმებით სიარული.

გვიან ღამემდე ხეტიალს შევრჩი. მერღვა მოვიწიდე ვაგზლის სასტუმროში მოწყობა, მაგრამ ადგილი არ აღმოჩნდა. და აი, რამდენიმე ჩემსავით უიღბლოსთან ერთად, ვაგზლის კარებთან ეღვაკარ და ველოდები, როდის გააღებენ. მოძლოდინებებში გვირევიან გოგო-ბიჭი. სწორედ ეს ბიჭია სტილიაგა, აცვია ისე, როგორც მხოლოდ „ნინანგში“ მინახავს. იმ დროს მთელ პრესას მეტი საქმე არაფერი ჰქონდა, ათახსირებდა და ამასხარაუებდა ბურჟუაზიული გემოვნების „ეპიგონებს“. სტილიაგას ეცვა კურტაკი, ძალიან ვიწრო და ამიტომაც დამოკლებული შარვალი, სქელლანჩინიანი „ბუკები“. რაკი მთელი ქვეყანა ამ სტილს დასცინოდა, მეც ირონიულად ვათვალიერებდი ახალგაზრდას, ტაკი-მასხარად მიმანდა, იმას კი, ალბათ, მოსწონდა ეს საყოველთაო გამორჩეულობა და იმიტომაც იცვამდა ასე.

ფული იმდენი აღმომაჩნდა, ბილეთს ეყო ნოვოსიბირსკამდე და დავადექი აღმოსავლეთის გზას.

ვერ ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ, კუიბიშევთან გადავუხვიეთ. ამდენი წლის შემდეგ მგზავრობის დეტალებს რა დამამახსოვრებდა. ერთი-ორი ფრაგმენტი-ღა შემინა... უფა რომ გავიარეთ, ვარეუბანში ზღვა იდგა, წყალდიდობა ყოფი-

ლა... ურალის ტყიან-გორაკიანი მხარე თვალს ახარებდა... ყველანი ფანჯრებს მიეცვივდით, რათა ევრაზიის საზღვარზე თბელისკისათვის თვალი შეგვევლო... დამთავრდა ტყიანი მხარე და გადაიშალა ერთფეროვანი, უკიდევანო ტრამალები, რომლის გადალახვას მატარებელი არაერთი დღე მოუნდა. შორეულ პორიზონტამდე ტრიალებდა დაუმუშავებელი ყამირი, სადაც ადამიანის არსებობის კვალი მხოლოდ ეს რკინიგზა იყო...

ჩავადწიე ნოვოსიბირსკში და გამითავდა ბოლო კაპიკები...

იმდროინდელი ნოვოსიბირსკი დიდზე დიდ სოფელს წარმოადგენდა. რკინიგზის სადგური კი მართლაც გამორჩეული ჰქონდა. ამობოდნენ, ვაგზლის შენობა ევროპაში უდიდესიაო (თუმცა ეს ზომ აზიაა!). რუსებს უყვართ ყველაფერი დიდი. ვრცელი ქვეყნის შვილები არიან და ეამაყებათ, თუ რაიმე ექნებათ სხვაზე გრანდიოზული. შენობა შენობად, მაგრამ ლიანდაგების სიმრავლემ მართლაც ამაბნია. ჩვეულებისამებრ, სატვირთოზე ავიპარე, იმან კი მრავალი საათი მათრია და ისეთ ჩიხში შემეყვანა, უკან ძლივს გამოვადწიე.

კვლავ ნოვოსიბირსკში აღმოვჩნდი, მაგრამ ხუთი წუთიც არ დაყოვნებულვარ, ეგრევე შევახტი დაძრულ შემადგენლობას. ამჯერად გამიმართლა, რადგან ვერავის შევეკითხებოდი, თუ სად მიდიოდა ეს ჩემი მატარებელი.

ტრამალებს მხარე უსიერი ტყეებით შეიცვალა. პეიზაჟი თითქოს ერთფეროვანია, მაგრამ თვალი არ ილღება ვრცელი ნაძვნარის, ფიჭვნარის, არყნარის ყურებით.

დეტალები წარისშალა, მაგრამ ზოგი რამ მაინც შერჩა მეზსიერებას.

პატარა, ტყისპირა სადგურები. ვერ გაიგებ, მათ უკან სოფლები და ქალაქები იმალება თუ არა.

ერთი ამ სადგურთაგანი. მომცრო დარბაზია. ქვის იატაკზე მძინავს. სკამები დაკავებული იყო, დასაჯდომი ადგილი ვერ ვიპოვე და ძირს ჩავეჯექი, ძილმა

თავი წამართვა და როცა გამოძევდებოდა, თვალწინ სკამის ფეხი დაეინახე. ოჰ, ეს მძიმე, უხეში სკამები და დარბაზების მარადი ჭუჭყის სუნი, რომელიც თითქოს ყოველ უჯრედში გამიჯდა და ვერასოდეს მოვიშორებ... შემერცხვა და წამოვიწიე.

თენდებოდა... უცებ მამაკაცი ადგა, კეპი მოიშვლია და მატარებლის მოძლოდინე მგზავრებს ჩამოუარა. არ ვიცი, ჩემი ძილის დროს ვინ რა თქვა, რა მოითხობირეს... კაცი უხმოდ დადის, მგზავრები წვრილ ხურდას უყრიან კეპში... ასე დაიარა მთელი დარბაზი, ხურდა მუჭში მოაგროვა და მე მაძღვეს...

სიცოცხლეში კაპიკის საღირალი არ მომიპარავს!.. შიშვლით სიკვდილი მერჩია. არც მათხოვრობა შემეძლო, ბუნებით მორცხვი ვიყავი და იმიტომ... აქ კი, აგერ, ხურდას მაჩეჩებენ ხელში.

ავიდე! ორი დღის უჭმელი ვიყავი, შავი პურის ნატეხი მენატრებოდა და ავიდე...

მერე მახსოვს მზიანი, თბილი დღეები... ირგვლივ კვლავ უკიდევანო ტაიგაა. მე მოვკალათებულვარ დაბალბორტიან, ცარიელ ვაგონში. ჩემთან ერთად ვიღაც „ზაიაცი“ მოგზაურობს. არც ის მახსოვს, სად ამოვიდა, არც ის, თუ სად ჩავიდა... თბილი ნიავი მიქაქანებს სახეზე, არ მცივა, არც მშია, წყურვილს ვითმენ... სატვირთო შემადგენლობას ორთქლმავალი მიათრებს, ხრჩოლავს, კვამლი ხანდახან ჩემს ვაგონსაც დაეფინება, მაგრამ ისეთი სუფთა ჰაერია, ეს კვამლი ვერაფერს დამაკლებს.

რომელიღაც სადგურის მილიციის ოთახში ვზივარ. მილიციელი თანაგრძნობით მიყურებს, ნაშიმშილარი ხარო, ასკვნის, ამ გზებზე ფეხებს გაჭიმავ, დიდხანს ვერ გაძლებო...

გადავრჩი... კრასნოიარსკში ჩავაღწიე...

35.

ქალაქი მზიანი და თბილი დამხვდა. მაცვია საკმაოდ შელახული ტანისამოსი. თავზე თმა უხვად წამომეზარდა. წვერსაც ხომ ვერსად გავიპარსავდი,

თუმცა პირზე თმა იშვიათად მქონდა.

ბოშათა ბანაკმა ჩამოიარა. დედაკაცები შემომეხვივნენ, აყვანდნენ, რალაცას მეკითხებიან ბოშურ ენაზე. მივხვდი, მეც ბოშა ვვინივარ. ხელები გავასავსავუ, არაფერი მესმის-მეთქი. გამოიღწნენ. საქართველოში საკმაოდ თეთრი ვჩანდი, აქ კი ჩემზე შავები მხოლოდ ეს ბოშები აღმოჩნდნენ.

მივდივარ ქუჩაში და ჩემს უფულო და უნუგეშო მდგომარეობაზე ვფიქრობ. გადავწყვიტე; გემი დროებით ამ ნაპირზე მივაყენო. ვიცი, სადღაც ქალაქის მიდამოებში კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს. აგერ, ცენტრში უზარმაზარი შენობა დგას და კარზე აწერია, რომ აქ ჰესის მშენებლობის სამმართველოა. მოვებნე კადრების განყოფილება. ხელგამლილები მხვდებიან, ვირის მუშა უხსენე და, უარს ვინ გეტყვის.

შუახნის დედაკაცი ბარათს მივსებს და მიხსნის, თუ როგორ უნდა მოვხვდე დაბა სკიტში. მერე ჩანთაში იქექება, ხუთმანეთიანს დააძრობს და მაძღვეს, გეტყობა, ფული არა გაქვსო.

მარჯვენა ნაპირზე უნდა გადავიდე. იქ საწარმოო ბაზაა და რაიმე მანქანას გაყვები. პონტონის ხილია გადებული, სამანქანოს აშენებენ. ენისეი მღვრიე, წყალუხვი და ფართოა. წყალი იმოდენა სივრცეზე მოქოთქოთებს, დანახვად ღირს.

მოვხაზე, რასაც ვეძებდი. შევახტი სატვირთო მანქანას, რომელმაც სოფელ ოვისიანკამდე მიმიყვანა. ამ სოფლის თვზუბა სახელგანთქმული ნაკრძალი „სტოლებზე“. აქ მთიან ტაიგაში მეტად უჩვეულო კლდეებია, ზოგი ადამიანსა ჰგავს, ზოგი ფრინველს ან ცხოველს.

ოვისიანკიდან ფეხით წავიდე. სამანქანო გზა ბოლომდე გაყვანილი არ იყო, მდინარე მანაზე ხიდი შემდგომ აშენდა. ყმაწვილი ქალი დამემგზავრა. სკიტში ექთნად ვმუშაობო, მითხრა. მივდივართ და ვმასლაათობთ. მიხსნის, სკიტი იმ ადგილს იმიტომ ჰქვია, რომ იქ ბერების თავშესაფარი ყოფილა. ერთი ბერი სიყ-



ვარულისაგან გაგიჟებულა და კლდიდან გადავარდნილა. იმ კლდეს ახლაც „ბერის კლდე“ ჰქვიაო.

მივალწიეთ მანამდე. შენაკადი ჰქვია, თორემ ჩვენს რიონზე ნაკლები არაა. მზვარები თურმე შენავეს გადაჰყავდა, სამ-სამი მანეთი მოგვთხოვა. აქ გაცუდ და ჩემი რაინდობა, რაკი სამ მანეთზე მეტი არ მქონდა.

უკვე შეღამებულზე მივედით სკიტამდე. დასახლების ცენტრში, ზედ მდინარის გადასახეზე ცისფერი, ორ-ორსართულიანი კოტეჯები იდგა. ადრე პიონერთა ბანაკი ყოფილა. ირგვლივ, მდინარის გასწვრივაც და აღმა მთებშიც, დიდებული, უღრანი ტაიკა განფენილა. ხის სახლუკები, კოტეჯები, კარები პირდაპირ ამ ტყეშია ჩამაღული. ზევით, მთის თავზე შენდებოდა ძირითადი დასახლება. სახლებს, კლუბს, სკოლას, მაღაზიებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვილი მორებისაგან აშენებდნენ, ხე თავ-ზესაყრელი იყო და არავის ენანებოდა.

ასე გვიან ვისთან უნდა მივსულიყავი და მილიციის ოთახს მივაგენი. ახალგაზრდა ლეიტენანტი დამხვდა. ვითარება უცბად შეაფასა. შენო, მითხრა, უპირველესად გაკრეჭა და დაბანა მოგიხდებო. ეს მცირე ხარჯი, რაკი ჯიბეში არაფერი მიჭყაოდა, თვითონ გაიღო.

დალაქმა გამკრა-გამომკრა მაკრატელი. ხელი თმაზე რომ შემახო, თითები ნახშირისაგან გაუშავდა. ორთქლმავლის კვამლით ქაშაყივით ვიყავი შებოლილი. გაგიჟდა კაცი, ეს რა ვნახეო, მაგრამ გაკრეჭით გამკრიჭა და გამპარსა.

აბნოც იქვე იყო და იქიდან რომ გამოვედი, ლეიტენანტმა ამხედ-დამხვდა, გადარევს ეს ჩვენს გოგოებსო, იწინასწარმეტყველა. ირგვლივ რაც ბიჭები ტრიალებდნენ, ტყუპისცალებივით ერთმანეთსა ჰგაედნენ, მე სხვა ფერისა ვიყავი, გამორჩეული კი ყოველთვის თვალში ხვდება ადამიანს.

მიმიყვანეს ერთ კარავში იმოღენა იყო, შივ ოცამდე საწოლი ეტეოდა. მიმინინეს ადგილი და დავიძინე.

36.

მოკლედ, წარმატებებს მივალწიე, ნახევარუდაბნოში მწყემსის მიწურიდან ციმბირულ კარავში აღმოვჩნდი, გაუზღელი და დაუბანელი, ძილის მაგიერ, გარეცხილ თეთრულში ჩაწვექი და საერთო აბანოც სულ რაღაც კაპიკები ღირდა.

ორი ფოტოსურათი შემომრჩა იმ დროიდან. ერთზე მარტო ვარ. იაფფასიანი, უჯრედიანი პერანგი მაცვია, წვერ-გაუპარსავს თმა სწორად მაქვს ჩამოყრილი, სავარცხელი მაინცდამაინც არ მიყვარდა. მეორე სურათში ჩემი ბედის ზიარი რუსის ბიჭები დგანან. არც ერთის სახელი არ მახსოვს. ერთი, ტანმსხვილი და მორგვივით ბიჭი, წმინდასლავური ტიპი, სმას გადაყოლილი იყო, არაყი თუ არა ჰქონდა, ოდეკოლონით ან ესენციით იჭყიებოდა. მზიან ამინდში ჩვენი კარავი ისე ხურდებოდა, სუნთქვა ჭირდა. ერთხელ შევდივარ და ვხედავ, ეს ჩვენი მორგვი შუა ოთახში გულაღმა გდია, არყისა და სიცხისაგან კვდება. დავავლე წყლით საეხე სათლს ხელი და თავზე გადავათქლიშინე. სიგრილემ სული მოუთქვა, გადარჩინა, თუმცა ვერ მიხვდა, რა დამართა... იმ სურათზე კიდევ ორი რუსია. ფართო შარვლები აცვიათ. სანამ სტალინგრადიდან კრასნოიარსკში გადავბარვდებოდი, მოდამ სხვა მხრიდან დაუბერა. სამარცხვინო ბომს გაკრული სტილიაგები წარსულს ჩაბარდნენ და ვიწრო, მოსხეპილი შარვლების ნაცვლად ახლა შარვლის ტოტებში ბარე ორ მტკაველ ნაჭერს ჩააკრებენ და ისეთი ფართხუნა გამოდის, სპილოს ფეხები გეგონება. ბუგებიც ვიწრო შარვლებს მიჰყვა და მოკასინების ეპოქა იწყება... თუმცა ჩემთვის ეს ჩინური იეროგლიფებია, არც ფული მაქვს საამისო, ტვინიც სხვანაირად მიხურს და სხვა რამ აწუხებს.

კარავთან ახლოს სახერხი ქარხანაა. თავდაპირველად იქ ვიწყებ მუშაობას. დახერხილ ფიცრებს და ნარჩენებს იქიდან აქეთ ვაწყობ ან მანქანაზე ვტვირთავ. შავი სამუშაოს მეტი არც არაფერი

მეხერხება. ასეთ საქმეზე თვეში შეიდა-  
სი მანეთი თუ გამოძიება, ესე იგი, დღე-  
ვანდელი სამოცდაათი... პირველსავე  
დღეს, რაკი საჭმლის ფულიც არა მაქვს,  
ავენს ვითხოვ და ორ-სამ თუმანს გა-  
მომიწერენ, მერე ისევ და, ხელფასის  
დრო რომ მოვა, არც არაფერი მერ-  
გება.

მაინც ვცდილობ, ცხოვრება ავაწყო.  
ლამაზი მხარება ეს მხარე. უღრანი ტყე-  
ები მომწონს, ვრცელი და ძლიერი ენი-  
სეი, წყლის პირას გადმოყუდებული  
კლდეები, ბიბლიოთეკა, კინო, საცეკვაო  
მოედანი, სადაც ჩემი ბუნებრივი სი-  
მორცხვე დიდ გასაქანს არ მაძლევს,  
ჩემზე დიდად თამამი ვოგონები რომ  
არა... მე შეყვარებული ვარ... ერთი კვი-  
რა... ახლა სხვაზე ვარ შეყვარებული...  
წინა დამავიწყდა კიდეც... ცოტა ხანში  
ეს მეორეც დამავიწყდება და მესამე გა-  
მაგიჟებს...

ღილით ადრე ვდგები, ენისეისკენ გავ-  
რბივარ. უნდა გავკაჟდე, ყოველთვის  
ასეთი უღონო და დაღუული ხომ არ  
ვიქნები. ვაჟაკურად ვიხდი და წყალში  
ჩავდივარ. ცურვა არ ვიცი, მღვრიე  
წყალში არც ფსკერი ჩანს. ღონიერი და  
ცივი ნაკადისა მეშინია, მაგრამ ფსკერს  
ფეხებით ვისინჯავ და ისე ვშორდები  
ნაპირს, გათოშილ წყალში ერთი ორ-  
ჯერ ჩაიყურყურებოდა და ამაგმაგე-  
ბული გამოვრბივარ. სამაგიეროდ, ტან-  
ზე რომ ჩავეიცვამ, წუთში ვთბები. სა-  
სადლოში გავრბივარ. საჭმელი აქ ია-  
ფია, მაგრამ ზოგჯერ იმის ფულიც არა  
მაქვს და ნისიას ვკადრულობ, მოლარე  
მიცნობს და მენდობა.

ცხრაზე სამუშაო იწყება და ხუთამდე  
ხელისგულებს ვიტყავებ.

ტანისამოსი სახელმწიფოსი მაცვია,  
ბათინკებიც მომცეს, რეზინის ჩექმებიც...  
ვიღლები და ლოგინზე გაუხდელად  
დავეგდები ხოლმე, აღარც კინო მინდა,  
აღარც ვოგონებთან არსიყოლა.

ცოტა ხანში ღონე მიბრუნდება და  
ყველაფერი მომინდება, წიგნიც, კინოც,  
ვოგონებიც...

საშინელი, სისხლისმწოველი კოლო

იცის, ძალღებვით დაგესვიან, დაგ-  
სისხლიანებენ. კოლოს სეზონი ვათავ-  
დება, ქინქლა მოედება, იმდენია, თვა-  
ლის ვახელა ჭირს.

მახსენდება, რომ ჯერ სკოლაც არ და-  
მიმთავრებია, პუშკინსა და ლერმონტოვს  
ვიზებირებ. ცოტა ხანს ვიარე კიდეც  
აქაურ სკოლაში, მაგრამ ქიმიამი ორია-  
ნი რომ მტყიპებს, მერე არც წავსულვარ.

ჩემი ინტერესები იმაზეა დამოკიდე-  
ბული, თუ ტვინში რომელი ურჩხული  
გაიღვიძებს. თუ პრეზიდენტობა მომი-  
დება, პოლიტიკას, გეოგრაფიას, ისტო-  
რიას მივუბრუნდება, თუ კოსმონავტო-  
ბა — მაშინ ასტრონომიით, ასტროფიზი-  
კით, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგე-  
ბითა ვარ დაკავებული...

ხანდახან გონს მოვევები. კარგადაც  
მესმის, რომ ერთიც და მეორეც ბავშვ-  
ური ზღაპარია. ერთადერთი გზა დამრ-  
ჩენია, მწერალი უნდა ვავხდე. უმაღვე  
ვიწყებ მსოფლიო კლასიკოსების კით-  
ხვას, ბერძნებიდან და რომაელებიდან  
მიყოლებული... ისიც საკითხავია, რო-  
მელ ენაზე უნდა ვწერო. რა თქმა უნ-  
და, ქართულზე, მაგრამ ჩემი ქართული  
საკმაოდ შელახულია, რუსული ჯერაც  
მთლად საკმარისი არაა... ქართულამდე  
აქ ხელი არ მიმიწვდება, ვცდილობ, რუ-  
სულს ჩავუღრმავდე... ვიწერ სიტყვებს.  
მაგალითად, თექის ჩექმებს მარტო „ვა-  
ლენკი“ კი არა ჰქვია, არამედ „ნოსონ-  
კი“, „პიმი“ და ასე შემდეგ. ვწერ უსას-  
რულოდ გრძელ და მოუშთავრებელ  
ფანტასტიკურ რომანს...

ჩვენმა ნორმადარმა ქალმა კეთილი  
თვალეებით შემომხედა. მითხრა, უფრო  
იოლი სამუშაო ხომ არ გინდაო. ძალიან  
ვიღლებოდი, ხერხემალი მტკიოდა და  
თუ ვინმე ღვთისნიერი მომხედავდა,  
უარს რად ვეტყოდი. ჩემი ქმარიო, მით-  
ხრა, გეოდენისტა ჯგუფის ხელმძღვა-  
ნელია, მე თუ ვთხოვ, მიგიღებს, ამაზე  
უკეთესი ხელფასი მაინც გექნებაო.  
მადლობა მოვახსენე... დამიბარეს მეო-  
რე დღეს, გამესაუბრა ნორმადარის ქმა-  
რი, ახალგაზრდა, სიმპათიური ინჟინე-  
რი. იქვე გამაფორმა.

გაცილებით საინტერესო და იოლი საქმე იყო. მომავალი ქალაქის ობიექტებს ადგილებზე ვაგეგმარებდით. თავდაპირველად გრძელი ჭოკი მეჭირა, ხან აქ დავდგებოდი, ხან იქ... მერე ნიველირითა და თეოდოლიტით მარტივი აგეგმარებაც ვისწავლე. მთელი დღე აღმადამა დავძრწოდით. წინასწარ ვიცოდი, სად რა უნდა აშენებულიყო, სად გაივლიდა მომავალი ქუჩები და შარაგზები. ჩვენს ნაკვალევზე ძლიერი ბუღლოზერები მოდიოდნენ, მშვენიერ ტყეებს მოლენაყადნენ და ანადგურებდნენ და არც არავის ენანებოდა...

მოვიდა მოკლე და ღამაზი შემოდგომა. გამოსასვლელ დღეებში უღრანებს ვეწვეოდით ხილნა და კენკრის საქებრად ანდა კრასნოიარსკში ვავემგზავრებოდი, თეატრში ან მუსიკალურ ფესტივალზე... ვილაცამ მითხრა, აქ ქართველებიც ცხოვრობენო. დაეძებნე და ვესტუმრე. ერთი საწარმოს ხელმძღვანელი იყო, მანქანა ემსახურებოდა. ჩამსვა და მეორე ქართველთან, ექიმპროფესორთან წამიყვანა. მშვენიერი პურ-მარილი გაშალეს, ვაქიფეთ და გვიან დამემდე საქართველოზე ვმსჯელობდით.

ახალმა საქმემ პირობები ცოტათი გამოუმჯობესა. კარვიდან ნორმალურ საერთო საცხოვრებელში გადავედი. აქ ერთი რუსის ყმაწვილი შემეინჩნდა, გენა. ან მართლაც მოვეწონე, ანდა წესაერპარტნიორს ემება, რაკი ბინის დაქირავება უნდოდა, მარტოს კი ფული არა ჰყოფინდა. მთის თავზე, ჯერაც ერთადერთი ქუჩის მცხოვრები გვთავაზობდა ოთახს პანსიონით. მამა დარაჯი იყო, დედა — ნოქარი, ბებია და ორიც გოგონა... ჩვენ ორნიც დავემატეთ და საკმაოდ დიდი ოჯახი გამოგვივიდა. ნორმალური კვება, სისუფთავე, თბილი ბინა თითოს ოთხასი მანეთი გვიჯდებოდა, რა თქმა უნდა, იმდროინდელი კურსით. დიასახლისის ნოქრობაც გამომადგა. ზამთრის სუნთქვა რომ ვიგრძენი, უმაღლ გამიჩარხა საკმაოდ სიმპათიური „მოს-3. „ცისკარი“, № 4.

კვიჩა“, მოკლე, ბეწვისსაყელოიანი თბილი ჯუბა. რაკი ოჯახის წევრებით ვიყავი, არც დღეობა-დღესასწაულებს ვაკლდებოდი, საჭიროების შემთხვევაში მხარზე „კორმიისლოს“ გავიდებდი და წყაროდან წყალს ამოვიტანდი, ან შემას დავჩეხავდი.

ზამთარი უცბად მოვიდა. უხვი თოვლი ჩამობარდნა, მკაცრი ყინვები დაიჭირა და სულ მალე ენისეი შეკრა. სანამ პირველი ფანტელები ჩამოცვივდებოდა, მე კვლავ ვებანობდი ცივ წყალში. მაგრამ ერთხელ სიცხე მომცა, ჩვენს პატარა საავადმყოფოში ჩამამწვევდია და მერე ენისეიში არ ჩავსულვარ. ახლა პირველად ვხედავდი ყინულით შეკრულ უზარმაზარ სიერცეს. მერე ზედ მუშაობაც მიწვედა. მომავალ ნავსაყუდელს ვაგეგმარებდით და ყინულში ჭაურებს ვჭკრიდით.

ციმიბირული ყინვა ამ ზამთარმა მაგრძნობინა. მეცვა ბამბურა, დაბამბული შარვალი, თექის ჩექმები, ყურებიანი ქუდი და თბილი ხელთათმანები და მაინც, ყინვა ორმოცს რომ გადასცილდებოდა, მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა. თეოდოლიტისა და ნიველირის დაყენებას ხომ შიშველი ხელები სჭირდებოდა, რკინა კი თითებს წვადა. ჭოკით ხელში წყნარად დგომაც არ შეიძლებოდა, ბუქნაობა და ხელების ტყაპუნიც არაფერს შეელოდა. ყოველ ნაბიჯზე კოცონებს ვანთებდით და ვთებოდით... მკაცრი, მაგრამ მშრალი ყინვა იყო და ამიტომ მისი ატანა შესაძლებელი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, რაც ყინვები დაიწყო, ერთიც არ დამიხველებია. ენისეიზე ბუღლოზერებით გაასწორეს ყინულის ზედაპირი და გაიხსნა სამანქანო გზა კრასნოიარსკისაკენ.

ამასობაში გაიარა ათმა თვემ. მეწვია ჩემი მუდმივი მეგობარი — სევდა. მივხვდი, აქ ერთი დღეც ვერ გავჩერდებოდი. დავეთხოვე სამსახურს, ორ ჩემოდანში ჩავალაგე წიგნები, ხელნაწერები, ხაბაკ-ხუბაკი. გამოვემშვიდობე მასპინძლებსა და მეგობრებს, ახალ დასახ-

ლებას, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში სკოტიდან დიენოგორსკად გადაიქცა და ყინულის ტრასით გავემართე კრასნოიარსკისაკენ...

37.

გეზი აღმოსავლეთისაკენ ავიდე. რაკი დიენოგორსკის თბილ კედლებს მოეცილდი და ციმბირის ყინულოვან მარტოობაში აღმოჩნდი, ერთადერთ თავშესაფრად დახუთული, მაგრამ თბილი ვაგონი ვიგულე და, ჩვეულებისამებრ, ბილეთი იქამდე ავიდე, სადამდეც ფული მეყოფოდა. მეყო კი ხაბაროვსკამდე, რომც მეყოფოდა, ვლადივოსტოკამდე ჩემი პასპორტით ბილეთს არავინ მომცემდა.

თუ შეიძლება ამ მხარეში თვალს რამე მოეწონოს, ეს არის უსიერი ტყეები, ტანკენარი ფიჭვნარები. ცხადია, თუ შენ თბილ კუბეში ზიხარ და მკაცრი ყინვა შენამდე ვერ აღწევს... თეთრი მთები, უსაზღვრო ტყეები, გაყინული მდინარეები... აქა-იქ მიკარგული სოფლები და ქალაქები... ზამთარია, ყინავს. ქალაქსაც კი ჰქვია „ზიმა“.

ანგარსკი... უკვე იგრძნობა დიდი ქალაქის სუნთქვა... ეს ირკუტსკია... ისევ მთები და უცებ თეთრი უდაბნოეთი, რომელიც პორიზონტის მქრქალ სილურჯეში ქრება... ეს ბაიკალია.

დღე დღეს ცვლის, ჩემი მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მიგუგუნებს. აქაური გზისპირეთი ისეთი ლამაზი ვერაა, თოვლიანი სივრცეების სითეთრე თვალებსა ტკენს, მოსაწყენი ხდება... ჯუჯა ხეები სიცოცხლეს თითქოს მოუშთვია...

დაბოლოს, მატარებელმა ხაბაროვსკს მიაკივლა...

38.

ჯერ კიდევ ბაიკალამდე, თბილ ვაგონში, ზემო თაროზე წამოწოლილი, კოსმიური და პოლიტიკური სიმაღლეებიდან ძირს ჩამოვეშვი და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა კარგია განდევნის ცხოვრება, კაცისა, რომელიც განერიდება ადამიანებს, დისახლდება სად-

ღაც, უღრანებში და ბუნების წიაღში ჰპოვებს შვებას... ხომ შეიძლებოდა, ბაიკალის რომელიმე კუნძული შემერჩია, ძელური ქოხი ამეგო და დამეწყო ჩემი რობინზონიადა. ფიქრში ეს მეტად მომხიბლავად მეჩვენებოდა, მაგრამ ბაიკალის ყინულოვანი სივრცეების დანახვისას თბილი ვაგონიდან ჩამოსვლა ვერ გაბუდე.

ახლა, ხაბაროვსკს რომ ვუახლოვდები, სხვანაირად ავაგე ბუკოლიკური რომანის სიუჟეტი. კარგი იქნებოდა, რომ ამურისპირეთის რომელიმე მყარუბულ და ღვთით დავიწყებულ სოფელში ჩავსულიყავი ქოხ-სამკითხველს გამკვდ. ჩავთბუნდებოდი წიგნებში და მისიონერობას ვაჟწევდი. ფანტაზიაში ყველაფერი მწყობრად და ლამაზად გამოძლიოდა, ოღონდ ცხოვრება არად დაგიდევდათ ჩემს ფანტაზიებს.

ჩავედი ხაბაროვსკში. უპირველესად, ჩემი ჩემოდნები ჩავაბარე შემნახველ საკანში, ყინულიან ქალაქში ჩემოდნები სად უნდა მეთრია.

დავუყვივი ცივ ქუჩებს. ფეხზე ბათინკები მაცვია და თითები მეყინება. ტანზე არა მიშავს, ჩემი „მოსკვიჩა“ კარგად მათბობს.

ხაბაროვსკი საკმაოდ დიდი ქალაქი იყო მაშინაც. აღმა-დაღმა ვიარე. ერთგან, გორაკიან პარკში, ბავშვები ყოფილით ციგურაობენ. მეც კი მინდა გავერთო, გავმხიარულდე, მაგრამ უცხო ვარ, არავინ მიცნობს და ჩემი მტერი, — მარტოობის მწველი გრძნობა მუდამ თანა მდევს.

ამსობაში ნაშუადღევაც გადავორდა და მივაგენი კიდევ მრავალსართულიან შენობას. კარებზე აწერია კულტურის სამხარეო განყოფილება. მდივნის მაგიდას ქალიშვილი უზის, ოცი-ოცდარი წლისა. მობრძანდი, დაბრძანდიო. მოუყვივი ჩემი თავგადასავლების შეყვარებულ-შელამაზებული ვარიანტი. სოფლის ქოხ-სამკითხველი რომ ვახსენე, საშუალო სკოლის ატესტატი თუ გაქვსო, შემეკითხა... ცხრა კლასი მქონდა დამთავრებული, ატესტატს ვინ მომცემ-

და. ჯერ ერთი, ამიხსნა, უატესტატოდ არაეინ გაგიშვებო, მეორეც, ბიბლიოთეკარის ხელფასი ჩაის დასალევადაც არ გეყოფათ... შევეყვით საუბარს, ამასობაში ჩამობინდა კადეც. შენ, გატყობ, ღამის გასათვიც არ გექნებო, მიმიხვდა. ამაღამ ჩემთან წაგიყვან, ხვალ, თუ გინდა, უფროსებთან შეგიყვან და თვითონ ელაპარაკეო. ეს რომ მითხრა, ამურული ამბები უცხად გამოიციხა, დაქალს დაურეკა და თხოვა, ამაღამ ჩემთან დარჩიო.

ოროთახიანი ბინა ჰქონდა. ერთ ოთახში თვითონ მოთავსდნენ, მეორეში გასაშლელი საწოლი გამაშალეს და იმაზე დამაწვინეს.

ბინას მალალი, ფილებით მოპირკეთებული, ჰოლანდიური ღუმელი ათბობდა. ნახშირი უკვე ჩამწვარიყო და წითელი ნაკვერცხლები დვოლიდა. დაწოლის წინ ღუმელს ავხედე და საჭაერო გახსნილი დავინახე. ალბათ ეშმამ მიბიძგა, უფრო უცოდინარობამ, ცხადია. ვიფიქრე, მიუკეტავ, თორემ სითბო სულ გაიპარება-მეთქი. მივკეტე და ჩაეწვიქი.

უმალ ჩამეძინა. იმ ღამის ძილი თურმე ბეწვის ხილზე გასვლას ნიშნავდა და ღმერთმა დაგვიფარა. გოგობს დროზე რომ არ ეგრძნოთ საშიშროება, დილით ვერც ერთი ვერ გავიღვიძებდით. ღრმა ბურანში ვარ და ვგრძნობ, რომ მანჯღრევენ. თვალები ძლივს გავახილე, თავი მისკდება ტკივილისაგან... პერანგის-ამარა წამომდგომიან, კარ-ფანჯარა დაუღიათ და შიშველს გარეთ მაგდებენ.

ბარბაცით გავედი პაერზე და ტანისამოსი უკვე ყინვაში ჩავიცვი. მრცხენია ჩემი სიბრყვისა, მასპინძლებს თვალებს ვერ ვუსწორებ. წადი, გაიარე, ფანგბადი ჩაისუნთქეო, მეუბნებიან, თვითონ კი საფეთქლებს იხევენ და კვნესიან... კულამოძუებული წამოვედი.

მთელი დღე გული ცუდადა მაქვს, საფეთქლებზე ჩაქუჩები მირახუნებს და ნამთვრალევივით მოთავებული დავდივარ. იძულებული ვარ, რამე მაინც ვიღონო, მონანიების სიტყვით ავდივარ ჩემს მასპინძელთან. ფერდაკარგული უზის

მაგიდას, საყვედურს არ მეუბნება. ნაცნობს ურეკავს ხე-ტყის ტრესტში, მოვიდესო, ჩემზე ეუბნებიან. თავხელობა არ მყოფნის, ცოტა ფული ვთხოვო, შემნახველი საკნიდან ჩემი ჩემოდნების გამოსასყიდად მჭირდება.

დავემშვიდობე, დარწმუნებული ვარ, მალე ისევე შეეხვდები ჩემს კეთილ მასპინძელს.

ტრესტში ხნიერი კაცი მესაუბრება. ხაბაროვსკში სამუშაოს ვერ იშოვი და არც ჩაგწერენო. აქედან ოთხმოც კილომეტრზე პატარა დასახლებაა, ხორი ჰქვია, იქ ხე-ტყის კომბინატი გვაქვს და გაემგზავრეო. ვერც ამას ვუუბნები, ფული ჩამასესხოს ჩემოდნების გამოსასყიდად.

ვიფიქრე, წავალ იმ ხორში, დავიწყებ მუშაობას, მომცემენ ავანსს. ჩამოვირბენ ხაბაროვსკში, ჩემოდნებსაც გამოვიყიდო და ნაცნობ გოგონებსაც ვინახულებ-მეთქი.

შევახტი მატარებელს და ხორში ჩავედი...

### 39.

რკინიგზა რომ უსურის შენაკადს, მდინარე ხორს გადაკვეთს, იქაა პატარა ქალაქი ხორი. არაფერი რომანტიკული ასეთ დასახლებებს არ აცხია. რუსული სოფლებისაგან იმით გამოირჩევიან, რომ უფრო მეტი ქოხია ჩამომწვრივე-ბული და ერთი დიდი ხე-ტყის საწარმო აღმართულა გაყინული მდინარის პირას, რომლის გაღმა ჯუჯა ხეები შავ ლაქებად ამჩნევიან თეთრ ტრამაღს.

ამხედ-ღამხედეს ამ კომბინატში, მიხვდნენ, დიდი ვერაფერი ვირის მუშაა, ეს უფრო გადამფრენ ფრინველსა ჰგავსო. დროებით ჩამასახლეს თავიანთ კუთვნილ სასტუმროში და მითხრეს, იფიქრე ერთი-ორი დღე, თუ აქაურობა მოგეწონება, იმუშავე, თუ არადა, აღმოსავლეთ-დასავლეთით გზა ხსნილიაო.

სასტუმრო ერქვა, თორემ პატარა ქოხი იყო, სულ ორი-სამი ოთახისაგან შედგებოდა და დიასახლისად იშვიათი ქოფაკი ედგა, რომელსაც პირიდან ყფი-

სა და ღაღაღის მეტი არაფერი ამოსდი-  
ოდა.

თუმცა საქმე საყვფად რატომ არ ექ-  
ნებოდა, ზედავდა, კაპიკის გადამხდელი  
არ ვიყავი, თანაც ისიც იფიქრა, ეს აქ  
შემშლილ რომ ჩაძაღლდეს, პასუხიც მო-  
მეთხოვებაო. ამიტომ უკვე დაძველე-  
ბულ, ზმელა პურს მომიყრიდა ჯიჯლი-  
ნით, თუმცა სამათხოვროდ მე ხელი არ  
გამიწვდენია. უმჯობესი იქნებოდა, კე-  
კასიური სიამაყით უარი მეთქვა ამ და-  
მამცირებელ ძღვენზე, მაგრამ კუჭი  
რომ წვას დაგიწყებს, ის შავი პურის  
დაღობული ნაფხჩვენები შოკოლადის  
ფილად მოგეჩვენება.

ჩემს გარდა, ერთი სტუმარიც ჰყავდა.  
მივლინებით იყო ჩამოსული, რაკი სა-  
ხელი არ მახსოვს, ივანედ მოვისხსენი-  
ებ. ამ ივანს ჩემი „მოსკვიჩკა“ მოუვი-  
და თვალში და შემომიციცდა. ნაირ-  
ნაირი ამბები მიაშბო, ერთი ორჯერ ლო-  
რიც მომიჭრა და მერე გულუბრყვილო  
სიფათით მთხოვა, ზაბაროვსკში მივიდი-  
ვარ, მათხოვე შენი „მოსკვიჩკა“ და ცოტა  
ხნით ჩემი ტყაპუჭი ატარეო. მისი ტყა-  
პუჭი, დღევანდელი „დუბლიონკა“ რო-  
მაა, ის იყო. იმან რა იცოდა, მრავალი  
წლის შემდეგ ფასები რომ ყირაზე დად-  
გებოდა და ამნაირ დუბლიონკებზე ხალ-  
ხი გადაიწეოდა. დამიტოვა ეს თავისი  
ტყაპუჭი, ჩაიცვა ჩემი „მოსკვიჩკა“ და  
ამის შემდეგ აღარ მინახავს. ვიფიქრე,  
ეს დედაკაცი მთლად სულს ამოშხდის-  
მეთქი და ერთ საღამოს სასტუმროში  
აღარ დავბრუნდი.

დავრჩი რკინიგზის სადგურზე. მა-  
ღალჭერიანი მოსაცდელი ოთახი აქვს  
იმ სადგურს. რამდენიმე მძიმე სკამი  
დგას. კედელთან მაღალი ნელ-თბილი  
ღუმელია და ამოღენა ოთახის სიცივეს  
ვერ უშკლავდება.

მოსაცდელში ჩემს გარდა, ერთი მა-  
წანწალაკაა. რაღაც ჯღანები აცვია,  
თითქმის შემოპარცულია. მგონი, კუზმა  
ჰქვია. დალილები მივევდებით მე და  
კუზმა სკამებზე. სიცივისაგან ამაკმა-  
გებულნი წამოვხტებით და ვიწყებთ  
ბოლოთის ცემას ან ვეფერებით ნელ-

თბილ ღუმელს, ამასობაში კი გასარ-  
თობად თავის თავგადასავალს მიყვება.

თურმე პატიმრად იყო იაკუტიაში და  
ამ შუა ზამთარში გაათავისუფლეს. გა-  
ზაფხულამდე ვერ მოითმინა და იქიდან  
აქამომდე ყინულოვან ტრაქტს გამოჰყ-  
ვა. სანამ რკინიგზამდე გამოაღწევდა, ბა-  
რე ოთხასი კილომეტრი გაიარა, ხან  
შემთხვევითი მანქანით, ხან ფეხით...  
ახლა ჯიბეში კაპიკი არ უჭყლიდა და  
უბილეთოდ აპირებდა დასავლეთისაკენ  
ვადწევას.

როცა გაიგო, ვლადივოსტოკისაკენ  
მინდოდა წასვლა, გამაფრთხილა, ხო-  
რის შემდგომ გადასარბენზე მატარებ-  
ლებს ამოწმებენ და საშვის გარეშე  
აღარ გაგიშვებენო. უმჯობესია, მანქა-  
ნით გააღწიო და მერე ახვიდე მატარე-  
ბელზეო.

ამ რბენა-ლაპარაკში კიდეც გათენდა,  
მზემაც გამოიხედა, თუმცა სითბო და  
შეება არ მოუტანია.

მომიკიდა ხელი კუზმამ, ჩემთან წამო-  
დიო და სასადილოში შემიძღვა.

— გოგოებს ჩემი საღამი!—თავი ღრმად  
დაუკრა ოფიციალტებს და ჩიტვიით აჭიკ-  
ჭიკდა, ასეთი და ასეთი გაჭირვება გა-  
დამხდა, ფეხით ამდენი გამოვიარე, რკი-  
ნიგზამდე ძლივს ჩამოვალწიე და უფუ-  
ლობის გამო შემშლილ ნუ დაგვხოცავ-  
თო.

დატრიალდნენ კეთილი ქალები. კუთ-  
ხის მაგიდასთან დაგვსვეს და ბორშნით  
მოპირთავებული თეფშები დაგვიდგეს  
წინ. ამას კატლეტები და წიწიბურა  
მოაყოლეს, თითო ჭიქა კომპოტიც. ამა-  
ზე გემრიელად კარგა ხანია არ მეჭამა.

მაღლოდს საპასუხოდ, კუზმას ჯი-  
ბეში სამმანეთიანი ჩაუკუჭვს და სასა-  
დილოდან გავედით.

კუზმა არც აქ გამოემშვიდობა, სა-  
მანქანო ტრასამდე გამომყვა, თვითმც-  
ლელი გაანერა და მძლოლს შეეხვეწა:

— თუ მძა ხარ, ეს ბიჭი ერთ გადა-  
სარბენზე გაიყვანე, ხომ იცი, მატარებ-  
ლიდან ჩამოავდებენ და ამ ყინვაში აბა,  
სად უნდა წავიდეს!

მძლოლმა თავი დაუქნია, კუზმამ კი



ჯიბიდან ის სამშანეთიანი ამოიღო და მე ჩამიკუჭა, თავისთვის შაურიანიც არ დაიტოვა.

ღმერთო, ხელი მოუმართე ასეთ კაცებსა და ქალებს, რომელთა სულელებში სიკეთის ცეცხლს ვერავითარი გაჭირვება ვერ ჩააქრობს!

დარჩა კუზმა ამ მოსაწყენ ხორში, მე კი თვითმცლელმა მრავალი საათი მატარა ყინულიან გზაზე. რომელიღაც საღვურთან მიმიყვანა და იქ ჩამომსვა.

იმ სამი მანეთით უახლოეს საღვურამდე ავიღე ბილეთი, რა თქმა უნდა, იმ იმედით, რომ თვით ვლადივოსტოკამდე ვერავინ ჩამომავლდება. საერთო ვაგონის ხალხით გაჭვდილ კუბეში ვიწროდ ჩავეკეხე და ჩავთბუნდი.

თან მივდივართ, თან ვჭორაობთ. ერთმა მითხრა, ისეთი ყინვებია, ამ ბათინკით თითები მოგყვინებაო. ფეხები მართლაც სულ მეყინებოდა. სანაცვლოდ თქვის ჩექმები შემომთავაზა და გავესუცვალე.

მოკლედ, რაც დივნოვორსკში დანასისხლად შევიძინე, გზა-გზა მიმოფანტე და ისე ჩავედი ვლადივოსტოკამდე. ხაბაროვსკში დატოვებულ ნივთებს რას ვჩიოდი, ჩემი ფანტასტიკური რომანების ხელნაწერებიც შიგ ჩამრჩა და თუ გული მწერლობისკენ გამიწვედა, ყველაფერი ნულიდან უნდა დამეწყო...

40.

ვლადივოსტოკის ერთ ვარეუბანს ამურის ყურეს რომ გადაჰყურებს, „მორსკოი გოროდოკი“ ჰქვია. აქ ძირითადად ზღვაოსნებს უშენებდნენ ბინებს და, ალბათ, ამიტომაც შეარქვეს ასე. აი, აქ მოვეწყვე სამშენებლო სამმართველოში შავ მუშად, ჩავსახლდი ორსართულიანი საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე... მეორეზე გოგონები ცხოვრობდნენ! ოთახში ექვსნი ვიყავით, ძირითადად ჩემი ასაკისა და ჩემნაირად უგზო-უკვლოდ მოხეტიალენი. ამათ ჩემსავით ცაში ასვლა არა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ცხოვრების მიზნად არაფერი და გოგონები გაეხადათ... მომცეს სამუ-

შაო ტანისამოსი, რაც მთავარია — ბათინკები, რადგან უკვე გამოიდარა, თოვლი სწრაფად დადნა, ამინდი ატირებას აპირებდა, მე კი ისევ ის თქვის ჩექმები მეცვა...

სამუშაო მძიმე და უმადური იყო, ღონე არ მყოფნიდა. შავმა მუშამ ან რა უნდა გააკეთოს მშენებლობაზე, მიიტანე-მოიტანეს მეტი. ბეტონის ხსნარით სავსე ჯალამბარი თუ შეექვსე სართულზეა ასატანი, უღონო თითები თავისთავად მეხსნება და ძირს მივარდება, რაც, ცხადია, პარტნიორს დიდ სიამოვნებას არ ანიჭებს. დღის ბოლოს ისე ვიღლები, ვოცნებობ, შინამდე მივალწიო, ხელ-პირი დავიბანო და ლოვინზე წამოვწვე. შრომის წილ კი ისეთ ჯამაგირს მაძლევენ, ერთი ხელფასიდან მეორემდე ვერ მომყვება, მსესხებელიც არავენაა და თვეში ისეთი დღეებიც გაერევა, შავი პურის ნატეხი რომ სანატრელი მიხდება.

ერთადერთი გამონათება, ხელფასის დღეს რომ დასვენება მოჰყვება, ისაა. შემძლია, ცენტრში გავემგზავრო, ნორმალურ კაფეში ვისადილო, კინოში კი არა, თეატრშიც შევიდე... ან სანაპიროზე გავისეირნო, რეიდზე ჩამომწყრივებულ ხომალდებს გავხედო...

ბოლოს და ბოლოს, ერთი ნაბიჯილა დამრჩა ამერიკამდე, სულ რაღაც წყნარი ოკეანა გადასალახი, აი, ამ წყლებს მიღმა იგი და მაშინ დაიწყება ჩემი ცხოვრების ახალი, რომანტიკული ნაწილი...

ოღონდაც, ფული მაღვე შემომადნება ხელში და მაღალი ოცნებებიდან მიწიერ სურვილებამდე დავეშვები. გამოვიკეტები საერთო საცხოვრებელში, ვუყურებ გოგო-ბიჭების გაუთავებელ ღლაბუსს. ამურულ ამბებს მთლად არც მე ვაკლდები, სხვებისგან იმიტად განვსხვავდები, რომ სქელტანიან რომანებს ვკითხულობ, ზანდახან კი ახალ ფანტასტიკურ რომანს ჩავეუჯდები. ამ რომანის გმირია კოსმონავტი, რომელიც ავარიის შედეგად ამაზონის ჯუნგლებში

ჩამოვარდა და ახლა მარტოდმარტო აპირებს იქიდან გამოღწევას.

გაზაფხული მინც გაზაფხულია. ამურის ყურეში პაწაწინა აისბერგები აღარ დატივტივებენ. თოლიების ალიაქოთია დღენიადავ. გარემო მთები ამწვანდა და კორაკებზე შეფენილი ვლადივოსტოკი დია ამფითეატრს დაემსგავსა:

მეზრდება მძიმე და უმადური შრომა, უფულობა, უღონობა და ამ დროს სანაპიროზე ვკითხულობ პატარა განცხადებას, რომ მზადდება ექსპედიცია კამჩატკაში, გვჭირდება „სანაპიროს მატროსები“... კი ბატონო, აგერა ვარ სანაპიროს მატროსი. ეს ხომ ნაღდად სჯობია შავი მუშის ხელფასსა და ბეტონის თრაქვას...

ვეთხოვები სამშენებლო სამმართველოს და ვიწყებ სეზონურ სამუშაოს სამხედრო ტოპოგრაფიულ უწყებაში...

41.

ეს მგზავრობა უკვე აღწერილი მაქვს. „დიდობანას თამაშის“ გმირი ნიკანორ ბეაღავა ვლადივოსტოკიდან კამჩატკამდე გემ „ოხოტსკიით“ ვამგზავრე.

ომის დროს ამ რკინის ურჩხულზე ზარბაზნები ეყენა. წითელ კუთხეში გამოფენილი იყო მისი საბრძოლო გზის რუკა და აღწერილობა. დიდი არაფერი გმირობა ჩაუდენია. მერე იარაღი მოაცილეს და ოკეანეოგრაფიულ სამსახურს გადასცეს.

„ოხოტსკიზე“ თითქმის ორმოცდაათამდე ახალგაზრდამ მოვიყარეთ თავი.

ვლადივოსტოკიდან დღისით გავედით. გემბანიდან ქალაქის ამფითეატრი მეტად შთამბეჭდავად ჩანდა. ჩაუარეთ მრისხანე კრეისერებს, გ'ანტურ ლაინერს „საბჭოთა კავშირი“, რომელიც, ამბობდნენ, გერმანიას წაართვეს... პეტრე დიდის ყურე უკან მოვტოვებ და გაშლილ ზღვაში გავედით.

პირველად მივცურავდი ასე შორს... საოცარი სანახაობაა, თავზე გადმომხობილი ლურჯი ცა და ჰორიზონტის ლურჯი წრე, რომლის ცენტრშიც ჩვენ მივტორტმანებთ. ნიავე უბერავს და

ზღვის ლურჯ სივრცეს ტალღების თეთრი ქაფი ქერცლავს.

თოლიები კარგა ხანს მოგყვებიან, ყრანტალებენ, ანძებზე ისვენებენ და ისევ ნაპირისაკენ ბრუნდებიან.

ნაკალეზე თეთრ ჩქერალს ვტოვებთ, იმათში დღეფინები თამაშობენ, უკან მოგყვებიან.

თანდათან ბინდდება... ზარი რეკავს. ვახშამზე ვეხმობენ.

მაღიანად მივირთმევთ, გემბანზე ავდივარ და ვვრძობ, რომ გული მერევა. ტყუილად მქონდა თავის იმედი, ზღვის ავადმყოფობა ვერ ავიცილდი.

ჩავედივარ კუბრიკში, ვწვები, დაძინებას ვცდილობ... მარწვეს. ზევით შემისვრის, მერე თითქოს უფსკრულში ვვარდები, საწოლი მეცლება და დაბლა მივფრინავ. ამ დროს გული თითქოს სადღაც იძირება... სანამ ბოლომდე ჩავეწვევდი, საწოლი ისევ მაღლა იწევს, ამიტაცებს, ამწევს. ასე აღმა-დაღმა მახურთავენ და ის წუთიც დგება, გემბანზე რომ უნდა ავვარდე და მოაჯირს გადავეყულო.

უკვე ღამეა და ვერავინ მხედავს. პროექტორებით განათებულ სივრცეში იხსნება უფსკრულის პირი, გემი ცხვირით შიგ ვარდება, კიჩოს ზევით შეაგდებს, მეორე წამს გემის ცხვირი მაღლა ასრიალდება...

ცივა. უკან, დახუთულ კუბრიკში ვბრუნდები.

დღე დღეს მისდევს. წითელ კუთხეში საზღვაო რუკა ჰკიდია, ზედ გავლებულ ხაზს ყოველდღე ფანქრით ემატება. ჩვენ იაპონიის ზღვაზე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მივცურავთ.

გემზე საქმე არაფერი გვაქვს. დღეში სამჯერ ვჭამთ. გული კი მერევა, მაგრამ, საოცარია და, მადა არ მაკლდება, რაც მეკუთვნის, ბოლომდე მივირთმევ.

ბიბლიოთეკაში წიგნები საკამაოა და დროს არ ვკარგავ.

თითქმის ყოველდღე კინოსეანისა, ერთი და იგივე ფილმი გადის—„ადმირალი უშაკოვი“. მეზუთუჯერ რომ ვნახე, არც უშაკოვის ნახვა მინდოდა, არც

კორფუს აღება მაინტერესებდა და არც ის, რომ სუვოროვი უშაკოვთან მიჩმანობას ნატრობდა.

რამდენიმე დღეში თითქოს მივეჩვიე გემის რწევას, უსიამოვნო შეგრძნება მაინც მაწუხებს, მაგრამ ვუძლებ.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მკვეთრად აღმოსავლეთისაკენ გადავიხარეთ.

ლაპერუზის სრუტით გავდივართ. ჩრდილოეთის ჰორიზონტთან ლანდებად ჩანს სახალინის გორაკიანი მხარე, სამხრეთისაკენ ჰოკაიდოს ნაპირია. ზღვაში პატარა კუნძულები წამომართულა.

კაცი რომ წყალში ჩაეშვას, რამდენიმე საათში იაპონიის ნაპირებთან მიცურდება. ოღონდ მე ის კაცი არა ვარ! ცურვისე მეხერხება, ორ-სამ მეტრს თუ გაუძლებ...

მშვიდობით, ჰოკაიდო, შენს ნაპირებზე მე ვერასოდეს მოვხვდები!

წინ ოხოტსკის ზღვაა და გემი კვლავ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიცურავს.

ამერიკული თვითმფრინავები გადავვიფრენენ ხოლმე თავზევით, გვზვერავენ.

ზღვა ვრცელია და უდაბური, იშვიათად თუ გაივლებს ჰორიზონტზე უცხო ხომალდი.

რამდენიმე დღეც და უცბად ჰორიზონტის კიდეზე, მარჯვნივ, მთათა ბუნდოვანი მოხაზულობა ჩნდება.

ეს კამჩატკაა, მისი დასავლეთი ნაპირი...

მთელი დღე მივცურავთ ნაპირის გასწვრივ. მოწყენილობა ჩამოვიბერტყვით, გამოვცოცხლდით. გემის ირგვლივ ზღვაც გამოცოცხლდა. მოფრინდნენ თოლიები, ანძებზე შემოსხდნენ, თავს დაავყვრანტალებენ. ანდა გემის გასწვრივ მოგვევებოან. ან ნაკვალევზე მათხოვრობენ, რაიმეს თუ გადაუგდებ, ჰაერში იჭერენ.

შორიანლო ჩაკვიარა ზღვის ღომების ქარავანმა. შავი, სლიპინა სხეულები მზის შუქზე ზიშმიმებენ, მძიმე სხეულს მალდა ისვრიან, ტალღებს აპობენ.

მზემ დასავლეთს ცეცხლი წაუკიდა. ისეთი დაფიონი დაღვა, თითქოს ნახევარ ზეცასა და ზღვის კიდეზე ხანძარი

გიზგიზებსო. მერე მზის უზარმაზარ წითელი დისკო წყალში ჩავორდა და დაღამდა.

ღუზა ჩაუშუთი.

ნისლიანი დილა გათენდა, ნაპირი თითქოს გამქრალიყო.

გემბანიდან კატარდა ჩაუშუთი, ტვირთი ჩაზიდეთ. ამ დღეებში დღევას თითქოს შევეჩვიე, გული გამომიკეოდა, მაგრამ მძიმე გემი მძიმედ ქანაობდა და იოლი ასატანი იყო, კატარდას კი ტალღები ბურთივით ისროდა და ნახევარ საათში ბოლო მომიღო.

გემს მოვშორდით და ნაპირისაკენ ავიღეთ გეზი. ნისლში აქა-იქ შავი მეჩენები ურჩხულებივით იყო ამოჩრილი. ნისლი, ტყვიისფერი წყალი, შავი მეჩენები და ჩვენი კატარდის ნელი თუხთუხი...— უცნაური, რომანტიკული ხიბლით ქავე დილა იყო. ყოველივე ამას თითქოს მე კი არ ვხედავდი, რომელიღაც სათავედასავლო წიგნში კვითხულობდი... მდინარე უტხოლოკის შესართავს შევევით, ნაპირის მდელიზე ტვირთი გადავიტანეთ და რამდენიმე ყმაწვილიც დაუტოვეთ. სანამ უკან ვაგებრუნდით, ზღვა გავექცა, წყლის დონემ სწრაფად იკლო და ზედ შესართავთან ქვიშის მეჩენზე გავიჭედეთ. ირგვლივ ნისლის ფარდა ეკიდა და ტალღების ჩუმი ტყლაშუნი ისმოდა... ასე გავიდა რამდენიმე საათი. კონსერვის ქილა გაგზნენით და ვისადილეთ.

მერე დაიწყო ზღვის მოქცევა, წყლის დონემ აიწია, მდინარე აღმა არეკა და ტალღებმა მეჩენს მოგვეწყვიტა, აგვატივტივა.

დავბრუნდით გემზე, კვლავ ტვირთი ავიღეთ და ნაპირისაკენ გავეშურეთ. ამჯერად სამნი უნდა ვადმოვმსხდარიყავით ნისლიან ნაპირზე.

ამ ადგილას, მდინარე უტხოლოკსა და მდინარე კვაჩინას შორის, ხმელეთი ზღვაშია შეჭრილი. 446 მეტრის სიმაღლის გორაკია წამომართული და ორი კონცხი გაწოლილა. ჩრდილოეთის კუთხეში უტხოლოკისა, სამხრეთისაკენ კი კონცხი „იუენი“... აქ უნდა დავრჩენილიყავით კლდის ძირას.

კატარლამ ნაპირს ვერ მიაღწია. წყალი მარჩხი იყო და ირგვლივ უამრავი მენჩი შავად ამოჩრდილყო.

რეზინის გასაბერი ნავი ჩაუშვით, ტვირთი მასზე გადავზიდეთ და გზა ნინბებით გავაგრძელეთ.

აგერ ქვიშის პლაჟიც, სასწრაფოდ გადავტვირთეთ ყუთები და ტომრები, წყალს გავარიდეთ და დავეტოვეს.

ამასობაში ნისლი გაიფანტა, სივრცე გადაიშალა. ზღვის უბეში ვყოფილვართ. ჩრდილოეთით კლდეები და ზღვაში ჩამოშვავებული უზარმაზარი ლოდები მიიგრანებოდა. წყლის სივრცე რამდენიმე კილომეტრზე დაეფარა უამრავ მენჩისა და წყალში ჩაცვნილ ლოდს. უკუქცევის დროს ეს სივრცე ბარე ერთ-ორ კილომეტრზე იცლებოდა წყლისაგან, მოქცევის დროს კვლავ იჭებოდა.

ჩვენი სამუელის მეთაური იყო ბებერი მეზღვაური იგორ კუზმინი. მე და ჩემი კბილა ყმაწვილი მას ვემორჩილებოდით. რატომღაც მოეწონდი და კარგად მექცეოდა. ის ყმაწვილი აითვალწუნა. იმ საცოდავს ღამით ეპარებოდა და, ალბათ, იმიტომ. ერთი თვის შემდეგ გაუშვა კიდევ ძირითად ბაზაში, უტხოლოკის შესართავთან და შემცვლელად სხვა ყმაწვილი გამოგვიგზავნეს.

იმ პირველ დღეს სასწრაფოდ დავდგით კარგები. ერთი, უფრო ჩათბუნებული, დასაძინებლად, ერთიც, მოღიავებული, სასადილოდ.

იგორ კუზმინი ჩვენი პატარა ექსპედიციის კოკიც გახლდათ, საკმაოდ გემრიელ სადილებს აკეთებდა, ოღონდ ცხიმად მულამ სელაბის ქონს ხმარობდა და ყველაფერი თევზის სუნით ყარდა. იმ ზაფხულს კორიაკებისაგან დათვის ზორციც ვიშოვეთ, ირმისაც, ფრინველიც მოვინადირეთ, მაგრამ ყველაფერს თევზის სუნი უდიოდა და ამას ვერსად გავქექცოდით.

კარავთან კამკამა წყარო ამოდიოდა, ისეთი ცივი იყო, დაღვევა გაგვიჭირდებოდა. მეორე მხარეს, ას ნაბიჯზე, ღელე ჩამოდიოდა. იმ ღელეს ბადით გადავზიდავდით და რამდენიმე საათში ათი-

თხუთმეტი, წითელი ხიზილალით გატიკნული, მხარისტოლა ორაგულები ამოგვქონდა. რაკი მოზიდული სურსათი სამი თვე უნდა გამოგვეზოგა, იგორ კუზმინი ზუსტად ნორმით გვაკვებავდა, სამაგიეროდ შემწვარი ორაგული იმდენი გვქონდა, რამდენსაც კუჭი გაუძლებდა.

პურს ძირითად ბაზაზე აცხოზდნენ. ყოველ მესამე დღეს გავეშურებოდი იქითკენ, ფართო პლაჟს მივყვებოდი. იგი მოფენილი იყო ტალღების მიერ მოყრილი ათასგვარი ხარახურით, უმეტესად კი შუშის ტივტივებით და ბადეების ნაგლეჯებით, რაც უფრო იაპონელ მეთევზეებს რჩებოდათ. სწორედ ამ ბადეების მთელ ნაწილებს ვიყენებდით სათევზაოდ. ერთგან პლაჟი წყდებოდა, კლდეები ზღვასთან გადიოდა. მოქცევის დროს კლდის ძირას ტალღები გასასვლელს კეტავდა, მე კი ზედ კლდეზე გავდიოდი, არცთუ უსაფრთხო გზით, რაც სპორტულ აზარტსა და სიამოვნებას მანიჭებდა. ბაზაში ათ დღეში ერთხელ გაზეთებიც მოქპონდათ, ცოტაოდენი წიგნიც იყო, სამი დღის მარაგ პურსაც წამოვივლენდი და უკან ვბრუნდებოდი.

წიგნები მეც მქონდა წამოღებული, უფრო ინგლისურის სახელმძღვანელოები: ამერიკაში თუ მოვხვდებოდი, ენა ზომ უნდა მცოდნოდა! კარგა ხანს ვივარჯიშე, მაგრამ ლექსიკონი არა მქონდა, ვეღარ დავძლიე, თანაც ტვინი ისევ გაღმომიბრუნდა, მომდევნო რომანს ვწერდი და ეს სახელმძღვანელოები სანაპიროზე ქვიშაში ჩავმარხე.

სამუშაო არც ისე ძნელი იყო. სამ ადგილას ზღვაში დავაყენეთ ჭოკები, პირველი ნაპირთან ახლოს იყო, მეორე იორას მეტრზე, ოღონდ კონცხის გარეონილის გასწვრივ, მესამე - ნახევარ კილომეტრზე. ყოველ საათში საგანგებო ყურნალში უნდა შეგვეტანა წყლის დონე. მოქცევის დროს პირველი ჭოკის მონაცემი კმაროდა. უკუქცევის დროს პირველი შიშვლდებოდა და მონაცემი მეორეზე უნდა აგველო. მერე ეს მეორეც შიშვლდებოდა და მაშინ მესამემდე მი-

დიოდით. ასე უნდა გაგვეკეთებინა უწყვეტად დღისა და ღამის მანძილზე. ყოველ მეოთხე საათს კი საჭირო იყო ქარის მიმართულებისა და სიჩქარის გაზომვა, ატმოსფერული ნალექის აღრიცხვა. ამიტომ რვა-რვა საათს ვმორიგეობდით, ღამდამოებით კი სამიდან ორს ეძინა და ერთი ფხიზლობდა.

მეტად საინტერესო ადგილას ვცხოვრობდით. ცივილიზაციას თითქოს აქ ფეხი არც დაედგა. კონცხის თავთან, კლდეების ნაპრალებში, თოლიების ბაზარი იყო, დღე და ღამე ისმოდა მათი ყარყაში, კივილი, ყეფა, წკმუტუნნი, ვაი და ვუი... ზღვის სივრცეზე ხანდახან გაიწელებოდა ზღვის ღომების ჯოგი... უკუქცევის დროს, ქვაზე დამინებული სელაპი ჩამორჩებოდა წყალს, უმწეოდ ფართხალებდა, ჩვენი ეგორ კუზმინი კი ნაჯახით ნადირობდა ამ უწყინარ და ღამაზ ცხოველზე, ქონს აღნობდა და ასხამდა უზარმაზარ იაპონურ ტივტივაში. ეს იყო დაახლოებით სამი ფუთის ტევადობის შუშის სფერო. ერთ ადგილას ნახვრეტის ჩატეხა მოახერხა ბებერმა ეშმაკმა. ოღონდ მცდელობა გაუცუვდა სეზონის ბოლოს, გორაკიდან კენჭი ჩამოგორდა, შუშა გააპო და ეს ამდენი ნაჯახირევი ცხიმი ქვიშაში ჩაიღვარა. უწია საცოდავი პირუტყვეების ცოდვამ!

თოლიების ბაზარი ვახსენე. კონცხზე სხვა ფრინველებს ისინი არ გააჭაჭანებდნენ, მაგრამ დანარჩენი სანაპირო ხნდახან ჭილყვაკებით გადაშავდებოდა... ბაზასთან ერთადერთი კორიაკი ცხოვრობდა. ის იტყოდა ხოლმე, ან ფული რად მინდა, ან საჭმლის მარაგი, გავისვრი ჰაერში, ერთი საფანტაინი ტყვია დუჟინ ფრინველს ჩამომიყრის, საუზმეც ის იქნება, სადილიც და ვახშამიცო.

გორაკის თავზე ხანდახან მგლის ყმული ან მელიის წკაწკაკი ისმოდა. ეს წუწკი მელიები ღამდამოებით მოცუნტულდებოდნენ და სამზარეულოდან თევზს გვპარავდნენ. რამდენიმეჯერ დათვიც მობაჯბაჯდა. ნახვით არ მინახავს, მაგრამ დიდილით კარვის ირგვლივ ქვიშაში ნაკვალევი ბლომად იყო,

ამიტომ ღამის მორიგეობის დროს ფრთხილად ვიყავით. ერთ ხელში ბასრი ნაჯახი მეჭირა, უფრო საკუთარი თავის გასამზნევებლად, თორემ რომელი დათვის მომრევი მე ვიყავი. მეორე ხელში ისეთი ნათურა მქონდა, ას მეტრზე მიანათებდა და ნაჯახზე უფრო ქმედით იარაღად ის მიმანდა. ერთხელ მესამე ჭოკისაკენ რომ მივდიოდი, ბნელში ლოდზე რაღაც შეინძრა და წყალში მოადინა დგაფუნი. რა თქმა უნდა, დათვზე ნაკლები არ მეგონა, თუმცა იქნებ სულაც სელაპი დავაფრთხე ჩემი ნათურით.

სტუდენტობის დროს ამ თემაზე მოთხრობაც კი დავწერე — „ძუ დათვი“, მივიტანე „საქართველოს ბუნებაში“, მიმიწონეს კიდევ და დამიკარგეს კიდევ!

ყველაზე საინტერესო ზღვის წვრილფეხობა იყო. აქ, ზაფხულის მიუხედავად, საკმაოდ ციოდა. ტანზე მფრინავის ბეწვიანი კომბინეზონი მეცვა. ჩემი რვეულით და კალმით მზის გულზე გავწეობოდი. ზღვის უკან დახევის შემდეგ ლოდის ოღროწოღრობებში პაწია ვუბურები რჩებოდა და იმ პატარა ხელისდადება ვუბურაში უამრავი ჭია, ზოჭო, ზღვის ვარსკვლავი და რაგინდარა დაცოცავდა. ალბათ, თავი ცალკე სახელმწიფოს მოქალაქეებად წარმოედგინათ.

ზაფხულმა აამწვანა მთის კალთები. ხევში ბოლომდე არ დამდნარა თოვლის ჯიშით, მაგრამ ფერდობზე უამრავი ჯუჯა ფიჭვი, არყი და კენკრა ხარობდა... კედრის ვირჩიდან მშვენიერი საკნატუნა ცვიოდა. ზავსზე გაწოლილ ლურჯ მოცეს იმდენი ნაყოფი ესხა, მთელი ფერდობი ცისფრად იყო დაწინწკლული. ნაყოფს ბეშვით მივირთმევდით. ერთხელ იმდენი მოვაროვე, „ღვინო“ დავაყენეთ, ოღონდ დუდილის დროს ბოთლი ავიფეთქა და მთელი კარავი შიგნიდან წითლად შეგვიღება.

ხანდახან აცივდებოდა, უწყვეტი წვიმები წამოვიდოდა. კარავშიც წვეთები ცვიოდა. ჩემს კომბინეზონში წყალი ვერ ატანდა. საძილე ტომარაც გარედან ბრეხენტის მქონდა და იმაში ჩაბთუნე-

ბულს, ეს წვეთები სულაც არ მალე-  
ვებდა.

ხანმოკლე ზაფხული მალე მოთავდა.  
წვიმებმა მოუხშირა. ზღვის მღელვარე-  
ბამ იმატა. ერთხელაც ტალღებმა კარ-  
ვამდე მოაღწია. დაშალეთ და უფრო  
მალლა, ფერდობზე გადავსახლდით...  
აღრიანი შემოდგომა აქ უკვე ზამთრის  
მასწავლებელია. ეგორ კუზმინს საგრძ-  
ნობლად დაუგროვდა გამხმარი თევზი-  
ცა და ხიზილალაც... სელაპის ქონის  
ამბავი ერთგვარად გაუცუდდა, მაგრამ  
ნაწილობრივ მაინც მოასწრო ზარალის  
ანაზღაურება.

ერთ დღეს თავზევით ვერტმფრენი  
აგუგუნდა, გაზეთები გადმოგვიყარა და  
მზად იყავითო, გვაცნობა.

მასალები შევკართ, მოვაწესრიგეთ.  
მალე ზღვის კიდეზე ჩვენი „ოხოტსკი“  
წამოიშორა და ნაპირს რეზინის ნავი  
მოადგა... იქიდან კატარღაზე გადავბარ-  
გდით, კატარღიდან — გემზე...

გაუდევქით გზას უკან, ვლადივოს-  
ტოკისაკენ. გემის წითელ ოთახში  
კვლავაც „ადმირალ უშაკოვს“ გვიჩვენ-  
ებდნენ...

43.

კაი ორი წელი გავიდა, რაც ზუგდი-  
დიდან წამოვედი. მთელი ამ ხნის მან-  
ძილზე ორადორი წერილი გავგზავნე  
შინ. ჩემებმა იცოდნენ, რომ ცოცხალი  
ვიყავი და მეტი არაფერი. იმ ექსპედი-  
ციაში ერთი სომეხიც ერია, რომ დამი-  
ნახავდა, „ზემლიაკო“, დამიძახებდა.  
ასე! როცა შორსა ხარ წასული, ყველა  
კავკასიელი „ზემლიაკია“, ქართული კი  
კრასნოიარსკს შემდეგ არავინ შემხვედ-  
რია და ისე მომენატრა შინ დაბრუნება,  
ახლობლების ნახვა და ქართულ-მეგრუ-  
ლი ლაპარაკი, რომ ზურგი შევაქციე  
წყნარ ოკეანესაც და მის გაღმა მდებარე  
ამერიკასაც... კიდევ კარგი, კამჩატკაში  
ყოფნისას ხელფასი გვენახებოდა, ამი-  
ტომ იმდენი ავიღე, მინიმალურ ხარ-  
ჯებს დამიფარავდა. უკვე თურამეტისა  
გაუზღი და სიცოცხლეში პირველად  
კაცს დავემსგავსე. ვიყიდე კოსტიუმი,

რაც აქამდე არ მცმია, ტყავის ლამაზი  
ფეხსაცმელი და, რაც მთავარია, მატა-  
რებლის ბილეთი ვლადივოსტოკი-მოს-  
კოვი-ინგირო.

იმ დროს მატარებელი ისე ნელა მი-  
ჩინავდა, ცოტადა დააკლდა ერთ თვეს.  
ამ გზის აღწერას აღარ შეეუდგები.  
რადგან ჩვეულებრივი პლაცკარტის ვა-  
გონის ჩვეულებრივი მგზავრი ვიყავი.  
რუსეთის მქრქალი ზეცა და მისი უსას-  
რულო სივრცეების ღია ფერები უკვე  
მგლიოდა.

ქუჩის ბოლოდან ჩვენი სახლის წინ  
წამოძაროულ მსხალს რომ გავხედე,  
თვალეში თითქოს სივრილე ჩამელვა-  
რა. მუქი ლურჯი ცის ფონზე ფართოდ  
გაშლილიყო მსხლით დახუნძლული  
ვარჯი.

მეგონა, მოვისვენებდი, მაგრამ შინ  
ცოტა ხანს დავრჩი. სოფლელი ნათესა-  
ვები ვინახულე, მეგობრებთან ენა მო-  
ვიფხანე. ამით საშუალო უკვე დაემთავ-  
რებინათ. ზოგი ჩემი თანაკლასელი  
უმაღლესშიც გამწესებულებიყო, ზოგიც  
მუშაობდა. ჯუმბერი ზღვაზე წასულიყო,  
საკაბოტაჟე ბუქსირზე დაცურავდა.  
ერთხელ მე და გიგლა ფოთში წავედით  
მის მოსანახულებლად... თვითონ გიგ-  
ლა სწავლაში გამორჩეული იყო, მათე-  
მატიკას ხომ სულ მისგან ვიწერდი,  
რატომღაც შეეშინდა თბილისში ბედი  
ეცადა და ის წელი გაუცდა. ორივე უსაქ-  
მურები ვიყავით, თანაც მე ატესტატიც  
არა მქონდა და ჩვენი ათასნაირი თამაშ-  
თამაშა მსჯელობიდან ის გამოდნა, რომ  
გადაწვევით, ჩვენს ასაკში არამი პუ-  
რის ჭამას სჯობია სადმე ცოტათი წა-  
ვიმუშაოთო... იქნებ მაშინ თავი ზედ-  
მეტადაც მომეჩვენა, რაღაცნაირი ოჯა-  
ხური დისკომფორტი ვიგრძენი...

ასეც გადაწვევით! ერთ მშვენიერ  
დღეს, — ასე იწყება ყველა ახალი თავ-  
გადასავალი, — ყოველგვარი ფანტასტი-  
კური ჩანაფიქრების გარეშე, სამუშაოს  
სამებრად სოჭისაკენ დავიძარით. იქ  
გიგლას ახლობლები ცხოვრობდნენ და  
იქნებ დაგვხმარებოდნენ კიდევ. ქვეშე-  
ნეულად, ალბათ, ისიც გვიბიძგებდა,



რომ ახალგაზრდები ვიყავით, სისხლი გვიდუღდა, სოჭი კი მეტად მომხიბლავი ასპარეზი ჩანდა.

რამდენიმე დღე მართლაც შევრჩით იქაურობას. ზღვაზეც ვიბანავით, ქალაქში ვისეირნეთ. ერთხელ მღაზიაში შევიხედე. მოლარე გოგონა მეტად ლამაზი მომეჩვენა და, ალბათ, ზედმეტი ცნობისმოყვარეობით დავაკვირდი. თითქოს მიწიდანო, ფხიზელი რაზმელები ამოვივრუნენ, მტაცეც ხელი და შტაბში მიმიყვანეს, იმ მოლარეს თვალბს რას უჭუჭუნებდიო. ალბათ, აკ-კაპონე ვეგონე. ლამაზი იყო და იმიტომ-მეთქი. პასპორტი შემომიწმის და მიბრძანეს, უფლება გაქვს, სოჭში ერთი დღე სტუმრობდე, მერე კი აქედან უნდა აითესო. ასე იყო, ჩვენს ყველაზე თავისუფალ ქვეყანაში ზუსტად უნდა გცოდნოდა, სად გაჩერდე და სად არა.

მეორე დღესვე გავემგზავრეთ კრასნოდარში. იქ სამუშაოს ძებნის ნაცად ხერხს მივმართე, კომკავშირის სამხარეო კომიტეტში შევყავი ცხვირი. გახარებულიება უმალ გამოგვიწერეს კომკავშირული საგზურები და გავგამგზავრეს სტანიცა პავლოვსკოეში, სადაც შაქრის ქარხანა შენდებოდა...

#### 44.

პირველი მძაფრი შთაბეჭდილება, სტანიცამ ჩვენზე რომ მოახდინა, ტალახი იყო. სიცხიანი ზუგდიდი რომ დავტოვეთ, წინდაუხედავად ხალვათად ჩავივიცი. ფეხზე ყავისფერი, ჩანერუტებიანი საზაფხულო ფეხსაცმელი მეცვა. ავტობუსიდან რომ გადმოვივდი, პირდაპირ შავ ტლაპოში ჩავუფალი. გივლამ სიცილი დამაყარა, მაგრამ თვითონაც მოუწია ტლაპოში გატოპვამ, რაკი მთელი ქუჩა შავად აგლესილიყო.

სიცილის წუთი მეც დამიდგა, როცა კადრების განყოფილებაში ვერაფრით გავაგებინე, რომ ჩემს მძაკაცს ჰქვია „გივლა“ და არა „კიკლა“.

თავდაპირველად კარგი ამინდები იდგა. სტანიცის ირგვლივ ფართო ველები გადაყვითლებულიყო. ტყის საცავ ზო-

ლებში აუარებელი გარგარი და ჭერამი მწიფდებოდა. ერთი თვე ბინად ვიდექით. დიასახლისის ძროხა ჰყავდა, ბლომად იწყელებოდა და ყოველ დილა აბაზად თითო ლიტრ რძეს გვიდგამდა მაგიდაზე. მერე საერთო საცხოვრებელში გადავბარგდით, ხის გრძელ ბარაკში.

ჩვენს ბრიგადას ერქვა „რაზნორაბოჩების“, ესე იგი, რაც კი უმაღური და მცირეშემოსავლიანი საქმე გამოჩნდებოდა, სულ ჩვენი გასაკეთებელი იყო. საოცარია, რამდენი ადამიანი დაეხეტება დედამიწაზე, მთელი ცხოვრება ვერაუთარ, თუნდაც უმცირეს ხელობასაც რომ ვერ სწავლობს. იქნებ იფიქრონ, ეს უნიჭობით მოსდგამთ და ამიტომ მათი ერთადერთი ხვედრი ბარ-ნიჩაბაო. ჩვენს ბრიგადაში სხვადასხვა ასაკისანი ვიყავით, ქალებიც და კაცებიც, მაგრამ უნიჭო და უვიცი არავინ იყო. საღადაც აზროვნებდნენ, ზოგნი წიგნიერნიც გვერია, მაგრამ ვინ იცის, ცხოვრება ვის რანაირად აეწყობა... ამასთან, ეს მარტივი და გულუბრყვილო სულები ინსტინქტურად ისწრაფოდნენ რაღაც ამდლებულსა და მშვენიერებისაკენ, რასაც ეს დუხჭერი, მოუწყობელი ყოფა ვერ აძლევდათ.

ერთხელ, მცირე შესვენებისას, თხრილის ძირში, დაღლილი ქალებით გარშემოხვეულმა, მზეს მიფიცებულმა, თვალები დავხუჭე და ხმადაბლა, ერთგვარი რიტმით დავიწყე მოყოლა იმისა, თუ როგორ გავედი სტანიციდან, რომ ჩემს წინ გვირილებით მოფენილი ველია, რომ უცებ საიდანღაც გამოჩნდა თეთრსამოსიანი ასული, თავზე გვირილების გვირგვინი ედგა, მხრებზე ჩალისფერი თმა ეფინა, თვალები ცასავით ღურჯი და ღრმა ჰქონდა, ტუჩები აღისფერი.. მივედი, სახეში ჩაეხედე და ხმადაბლა ვუთხარი — „მე შენ მიყვარხარ!“

ამ დროს თავზე ბრიგადირი წამოვავდგა და დავგძახა, შესვენება დამთავრდაო. ქალებმა დაუსისინეს, ენა ჩააგდებინეს... მე კი წარმოსახულ ასულს ვი-

თომ ბავშვზე ვეამბორე და თვალი გავაზი-  
ლე.

ამ მარტივმა, სახელდახელოდ შეთხ-  
ზულმა ნოველამ მოხიზლა ქალები და  
მერეც არაერთხელ მიხვდნენ მსგავსი  
რამ მოყვებო. მათ არ აინტერესებდათ  
უჩვეულო ფაქტორები, საშინელებები  
და ცხოვრების უხეში რეალობანი, რა-  
საც ისედაც ყოველდღე ხედავდნენ. ესე-  
ნი იზიბლებოდნენ იმ ინტიმური ნიუან-  
სებით, რაც ამდღებულ სიყვარულს  
ახლავს, იმ მიუწვდომელი ხიბლით მშვე-  
ნიერებისა, რაც თითქოს არსებობს კი-  
დეც, მაგრამ ვერა და ვერ მოგიხელთე-  
ბია.

ხანდახან ვკამათობდი პოლიტიკაზე,  
ცხოვრების აუკარგზე. მე ნაკითხი და  
ბრიყვი, ისინი უწიგნურნი და ბუნებრი-  
ვი ჭკუით დაჯილდოებულნი. მე წიგნის  
სქოლასტიკით შეიარაღებული, ისინი  
ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრ-  
ძენებულნი. მე ვჯახნიდი მათ და  
ვერძნობდი უპირატესობას. ისინიც  
გრძნობდნენ ამ უპირატესობას და თავს  
მიხრიდნენ. ესაა პარადოქსი ჩვენი არ-  
სებობისა, როცა არაჭეშმარიტი ჭეშმა-  
რიტზე ძლიერია, თუ მას ახლავს ფანა-  
ტიზმი და თვითრწმენა.

ყინვიანი ზამთარი გადავიტანეთ. ციმ-  
ბირის შემდეგ ვგონებ არ უნდა გამჭირ-  
ვებოდა, მაგრამ ციმბირის ყინვაში ყვე-  
ლაფერი ქათქათებდა და ჰაერიც გამჭ-  
ვირვალე იყო. აქ კი ყოველივე შავ ტა-  
ლანში აღესილიყო და თვალს არაფე-  
რი ახარებდა. ქარხნის რუხი კონსტრუქ-  
ციები, ჟანგისფერი დანადგარები და  
ბეტონის ხსნარი... მძიმე შრომას ვასა-  
ხარელი არაფერი მოსდევდა, გარდა წიგ-  
ნისა და კინოსი ანდა ვოკოებისა, თუმ-  
ცა ამასაც აკლდა სიხარული, რაკი  
გავიდა დრო ბავშვური გატაცებებისა და  
ჭეშმარიტი სიყვარულის საგანი არსად  
მხვდებოდა, რაც მარტოობის უსიხარუ-  
ლო გრძნობას მიმძაფრებდა და ყოველი  
დღე და საათი დაკარგულად მერყენებო-  
და.

პიესა დავეწერე, ისიც ფანტასტიკური,  
კოსმოსზე და შორეულ გაფრენებზე,

მისი გმირები კი პუშკინის სონეტებით  
ესაუბრებოდნენ ერთმანეთს... ხანდახან  
როსტოვში ჩავდიოდით. დიდი ქალაქი  
გვიზიდავდა და იქ ლიტერატურული  
ჟურნალის რედაქციას ვაახლე ჩემი ხელ-  
ნაწერი, თუმცა მერე თვითონვე არ  
მომეწონა და მოსაკითხად არც გამოვ-  
ჩენილვარ... ერთხელ ბალეტზე ვიყავით,  
„გედების ტბა“ ვნახეთ. დარბაზი  
გრძელი და ვიწრო, არასაბალეტო იყო,  
მაგრამ აღტაცების ის გრძნობა დღემდე  
შემრჩა.

გაზაფხულმა სტანიცაც და მიმდებარე  
ველებიც გაალამაზა. ტალახს მაინც ვერ  
გადაურჩიით, მაგრამ მიდამო ალუბლის  
ყვავილებით გადაჭრელდა.

გაზაფხული სიყვარულის დროა, მშვე-  
ნებლობაზე ვოგონებით ავსილი მთელი  
მატარებელი ჩამოდვა. გამოიწვევდა ჭახ-  
ჭახებდნენ და ჩვენც მხარს ეუბამდით,  
მაგრამ ყოველივე ეს გულს არ ეკარე-  
ბოდა. ჩემი ფერია ციდან ჯერაც არ ჩა-  
მოფრენილიყო და ეს მზიარული, სულ-  
სწრაფი ახალგაზრდობა, ამწუთიერი  
სიამოვნების მეტს რომ არაოფერს დაგი-  
დევდათ, ვერ შემივსებდა სიცარიელეს...  
სულის ძახილს მოპასუხე არა ჰყავდა...

ამიტომაც ჩემს არსებობას კვლავ ფან-  
ტაზია კვებავდა, წაროსახვა იყო სულ  
სხვა სამყარო, ამ ტალახიან სტანიცაზე  
მალლა რომ ამიტაცებდა და ყოველ-  
დღიურ ბიწს მასობრებდა.

თავი უკვე დაბერებულად ვიგრძენი.  
განსაკუთრებული ცხოვრებით უნდა  
მეცხოვრა და ვერ ვიცხოვრე. სიყმაწ-  
ვილემშივე უნდა მომხევეჭა სახელი და  
დიდება, სირბილს კი შევრჩი. გასაკვი-  
რი არც იქნებოდა, თუ ასაკოვანი კაცი  
უმაღლეს მწვერვალს აიღებდა, გასა-  
ოცარი ის იქნებოდა, სიყმაწვილემშივე  
გამეკეთებინა ის, რასაც იშვიათად თუ  
ვინმე შეძლებს.

ეს წუხილი სულ სხვა ფიქრებში გა-  
დიხარდა. ადამიანი ერთხელ იბადება.  
ამიტომ დიად საქმეს უნდა შეეჭდო.  
აქ წავება უფრო მოსალოდნელია, მაგ-  
რამ რისკი ვაჟაკის საქმეა. მთავარია  
იღეა, მიმდევარი ყოველთვის დაიძებ-



ნება... ვიჯექი რუკასთან და სამყაროს გადაკეთებაზე ვზრუნავდი... კონსტიტუციის პროექტი შევადგინე, „სამხრეთის დიდი რესპუბლიკისა“. ეს უნდა ყოფილიყო უზარმაზარი ფედერაცია, რომელიც მოიცავდა აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთს, თვით ამიერკავკასიის საზღვრებამდე. ამ სუპერიმპერიის დედაქალაქი იქნებოდა ქაირო... ირანისა და თურქეთის გარდა, აქ შემოვიდოდა სამადსამი რესპუბლიკა, — არაბეთისა, ბანტუსი და სამხრეთ აფრიკისა... მოკლედ, დედადიწის ზურგზე მსგავსი აზრი არავის მოსვლია და, რაღა თქმა უნდა, მაღლიერი კაცობრიობა სულ „ვაშას“ ძახილით შემეგებებოდა...

ამ ფიქრებსა და ჭმუნვაში ზაფხულიც გადაგორდა და ჩქარი შემოდგომაც დადგა. კვლავ დამწიფდა გარგარი და ჭერამი. სამხედრო კომისარიატიდან კი უწყებები გვაახლეს, ჯარში წასვლის დრომ მოციწიათ და გაემზადეთო.

მე და გივლამ გადავწყვიტეთ, სანამ ჯარში თავს გვიკრავენ, ერთი ბაქოში ჩავისეირნოთ, დრო გავატაროთო. იმას მართლაც ასე ეგონა, მე კი ჩემი იღუმალი ჩანაფიქრი მამოძრავებდა.

ავიღეთ ხელფასები და ჩავედით ბაქოში...

## 45.

ცივი და ქარიანი ქალაქი, ადრე რომ მახსოვდა, გამოცვლილიყო. ცაზე მზე კამკამებდა. ქუჩები მზიარულ ხალხს გაეხსო, აივნებზე ხალიჩები უდმოეფინათ და ყოველი მხრიდან აღმოსავლური მუსიკა ისმოდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს აღმოსავლურ ბაზარში ვართ ანდა რაღაც სახალხო ზეიმიად. შემდგომ სხვა დროსაც ყოფილვარ ბაქოში, მაგრამ ხმათა და ფერთა ის სიუხვე მეტჯერ არ განმეორებულა.

ბევრი ვირბინეთ, დავიქანცეთ და ბოლოს ჩვენს ჯიბეს დაეტყო, უკან დაბრუნების დრო რომ დადგა. „მე არ ვბრუნდები!“ — მოკლედ მოვჭერი. მეგობარმა გამიგო, იცოდა, დიდი საქმისათვის ვიყავი დაბადებული. ხელი ხელს

დაუუკარით და ის სტანიცაში გაბრუნდა. შემდგომ გავიგე, ფული არც იმას ეყო და გზა საბარგო მატარებლებით გაიარა. სტანიცაში უმაღლ ჯარში უკრეს თავი და ვოლგისპირეთში წაიყვანეს, საიდანაც მრავალი წლის შემდეგ ინჟინრად დაბრუნდა.

მე კი სასაზღვრო ქალაქ ასტარასკენ მიმავალ მატარებელზე ავედი. ბილეთს, ცხადია, ბოლომდე არავინ მომცემდა, სადამდეც შეიძლებოდა, იქამდე ავიღე. ვფიქრობდი, ლენქორანს რომ მივადწევი, იქიდან ტალიშის მთებით ირანს გადავალ-მეთქი. არ ვიცო, მთების გადალახვას როგორ მოვახერხებდი, მაგრამ ამჯერადაც ჩემმა სიღარიბემ მიმუხთლა. ვაგონის გამცილებელი მეტად ფხიზელი აღმოჩნდა და კუთხეში მიმიწყვდია. ფული რომ მქონოდა, ალბათ, თავს დამანებებდა, მაგრამ რაკი ჯიბეში კაპიკი არ მიჭყაოდა, აყვირდა, ქვეყანა შემიყარა. სწორედ ამ დროს მატარებელს მესაზღვრეთა რაზმი ამოწმებდა და წუთში იმათთან მიმათრევს. როცა ვაიგო, ქართველიაო, გამცილებელი საშინლად შეწუხდა, რატომ არ მითხარი, ბიწო, ქართველი თუ იყავი. მე სომეხი მეგონე, თორემ ამათ როგორ ჩაგაბარებდიო. ამ სიტყვებისთვის მაღლობელი ვიყავი.

ჩამიყვანეს ასტარაში. დახურული მანქანა დამახვედრეს და ათიოდე წუთში აღმოვჩნდი ერთსართულიან კოტეჯში. ვისოსებიან ოთახში გამომამწყვდიეს. მაიორი დამელაპარაკა. მისი წოდება მეპატარავა და არაფერი ვთქვი. პოლკოვნიკი მომიყვანეს. კუკუ-დამაღლიანანს აზრი არა ჰქონდა და ირანში მივდიოდი-მეთქი, ვამცნე. ასეც ვფიქრობდიო და გამეცალა. კვლავ ის მაიორი შემრჩა.

არ იყო ცული კაცი, მამაშვილურად მელაპარაკებოდა. ერთხელ ვიღაც ჩასუქებული ძია დამახვედრა, თამბაქოს ახრჩოლებდა და უბის წიგნაკის გამალეობით იწერდა რაღაცას. ეს კაცი მწერალიაო, ამიხსნა მაიორმა, მესაზღვრეებზე წერს წიგნებსო. რუსი იყო და მისი გვარი არსად გამეგონა. თავმოყვარეობამ მათქმევინა, მეც კი ვწერ რაღაცებს-

მეთქი. იმან ყურიც არ გააპარტყუნა, ეტყობა, ჩემნაირ „მწერალს“ უამრავს შესევედროდა.

მაიორი დაქოქილი იყო, ენამზეობდა. ირანში რომ ჩახვიდოდი, რას მოიმოქმედებდიო. შენ ხომ სხვანაირად ხარ გაზრდილი და უმალ გაიყიდებიო. თუ დაგიჭირეს, ყველაფერს დაგაფუჭვენიებენო. რა მქონდა დასაფუჭავი, მაგრამ მამაცურად ვუპასუხე, რომც მაწამონ, ვერაფერს წამომადღვენიებენ-მეთქი. თუ გინდათ სცადეთ და მაწამეთ-მეთქი. ვიცოდი, არ მაწამებდნენ, თორემ ჩვეულებრივი ბორმანქანისა სიკვდილივით მეშინია.

ეს დაკითხვა პირველი მოთელვა იყო, მეტი არაფერი. გამაყოლეს რამდენიმე შაშხანიანი ჯარისკაცი, ჩამსვეს მატარებელში და გამაგზავნეს უკან, ბაქოში...

46.

საკანი საკმაოდ მოზრდილი ოთახია, ძირს პარკეტი ავია. კედლები ლურჯადაა შეღებილი, ჭერი — თეთრად. ერთი, ვისოსებიანი სარკმელი აქვს, გარედან რკინის ფურცლითაა აჭვდილი და ცის მცირე ნაფლეთიდა ჩანს. ერთი პატარა მაგიდა დგას, რკინის საწოლი და ერთი ტაბურეტი. რკინის კარის ჭუჭრუტანიდან ხანდახან ზედამხედველი იჭყიტება. დანახვით ვერ ვხედავ, მაგრამ ჩხაკუნით მესმის.

სარტყელი ამაცალეს, ფეხსაცმლის ზონარიც, კალამიც არ შეიძლება, მჭრელი იარაღიაო.

დღეში სამჯერ კარზე სარკმელი გაიხსნება და ჩემს თალია საჭმელს მომაცვდიან: დილით ჩაი, პური, შუადღეზე წვინიანი და ფაფა, საღამოს ისევ ჩაი და პური.

დღის მანძილზე ნახევარსაათიანი სეირნობა მიწევს. შენობიდან ვიწრო დერეფნით გავყავართ. აქ პატარა, ოთხკუთხა ეზოა, მაღალი კედლებით შემოზღუდული, თავზევით ცა მოჩანს. წინ და უკან ბოლთასა ვცემ და ცას ავხედავ. თან ვოცნებობ ზღაპრულ სასმელზე: დალევ და ფრენას ისწავლი. გაშლი მკლა-

ვებს და ცაში გაუჩინარდები, გვერდებისაგან ხომ პირს დაადებენ შენი გუშავები.

დღე გრძელია. წუთები ნელა მოძრაობს. ამ დროს ერთადერთი საზრდო ისევ და ისევ წვიგია. ციხის ბიბლიოთეკიდან მამარავებენ. არჩევანის საშუალება არა მაქვს, რასაც მომიტანენ, ის უნდა ვიკითხო. ხანდახან გამომართლებს, ნიზამის „ისკანდერ-ნამეს“ წავაწყვლება. აკადემიურ გამოცემას რუსულ ენაზე. სხვა დროს კი მოაქვთ სქელტანიანი რომანები, რომლის ყდაზე აწერია „ქვანახშირი“ ანდა „ფოლადი“. ასეთი წიგნები ხომ უამრავი იწერებოდა და აქ ადამიანები კი არა, გმირებად ნახშირის მტვერი და გამდნარი რკინა იყო...

ჩემს გამომძიებელს ერქვა რასულ-ზადე. ერთი გავასქელი და პირმრგვალი კაცი იყო, წესიერების განსახიერება, ცოტა ქალურიც. წინ ქალადის გროვა ელო და დღეში ოთხი საათი ჩემი ნახუტურევის ასო-ასო ჩაწერას უნდებოდა. დიდრონი, დახატული ასოებით ავსებდა გვერდს, გაეცანი და მოაწერეო, მეტყუოდა. მშვიდად მისმენდა, იშვიათად ღიზიანდებოდა, ეს მაშინ, როცა ჭკუის სწავლებას მომინდომებდა, მე კი უხეშად აუუჯანყდებოდი.

ამას, ალბათ, ათასი გიჟი ენახა, მაგრამ ჩემნაირი არა. მე რომ ჩემს საკანში „ისკანდერ-ნამეს“ ვკითხულობდი, თურმე უშიშროების უშიშარი ჩინოსანი დროს არ კარგავდნენ. ჩაგრიადლდნენ სტანიცაში, დაკითხეს მთელი ბრიგადა და მშენებლობის ხელმძღვანელები, რათქმა უნდა, ჩემი მეგობარიც. იმან თურმე, პატარა კაცი არ გვეგონოთ, მსოფლიო მოვლენააო, დაარეხვა და ჩემი დაწერილი „კონსტიტუცია“ უჩვენა. მეორე ჯგუფი ამ დროს ზუგდიდში ჩალიჩობდა, იქაური მამაცი ჩეკისტები ფეხზე დააყენა და არათუ ჩემი, დაძმების ოჯახებიც შეამოწმეს. ამოდენა მუშაობის შედეგი იყო ორი გვერდი ხელნაწერი, რომელსაც აახლეს მოკლე ანოტაცია, აქ ჰვტორი პარიზში თავისი მოგზაურობის შესახებ ვევაბო.



„როდის იყავი პარიზში?“ — გამჭრ-  
ახად შეკითხება გამოძიებელი. შეკითხ-  
ვის აზრი ჩემამდე გვიან დადის. ძლივს  
ვისხსენებ, რომ მე კი არა, ჩემი ფანტა-  
ტიკური რომანის პერსონაჟი იყო პარი-  
ზში, თანაც 2240 წელს, ჩემს გამოძი-  
ებელს კი ჰგონია, ევროპა ფეხით მაქვს  
მოვლილი და ამას ვუძალავ.

ერთი თვის მუშაობის შემდეგ რასულ  
ზადემ ვერანაირი დასკვნა ვერ გამოი-  
ტანა და, რაკი თვითონ დარწმუნებული  
იყო, ნორმალური ჩინოვნიკი ვარო, ჩემს  
ნორმალურობაში შეიტანა ეჭვი. მომკი-  
დეს ხელი, ჩამსვეს დახურულ მანქანა-  
ში. სამწუხაროდ, მანქანას სარკმელა  
არა ჰქონდა და ჩემამდე მხოლოდ მხი-  
არული ქალაქის ხმები აღწევდა.

მანქანიდან პირდაპირ კიბეზე შევღ-  
ვი ფეხი და თავი შეურაცხადთა საავად-  
მყოფოში ამოვეყავი...

47.

„შეურაცხადი“ რბილადაა ნათქვამა,  
რუსები „უმაღლიშონის“ ეძახიან. ხალხი  
არას დაგიდევს ამ იწილო-ბიწილოს და  
ჩვეულებრივ ამ დაწესებულებას საგო-  
ჟოს ეძახის. განაგონი მქონდა, ლოლა  
ბიცოლამაც ჩამოაღწია ერთ დროს ბა-  
ქოს ფსიქიატრიულშიო. თვითონ საავა-  
დმყოფო რას წარმოადგენდა, მე არ  
ვიცი, მაგრამ ჩვენი განყოფილება, აღ-  
ბათ, სუკისა იყო და ციხისაგან არც გა-  
სხვავდებოდა.

ფართო ოთახში სამოცამდე საწოლი  
მტეოდა. ამას იქით ერთი ოცდაათად  
გილიანი ოთახიც იყო, გვერდით — უფ-  
რო პატარა, მძიმე ავადმყოფთათვის და  
სასადილოც. მძიმე ავადმყოფებში ერთი  
ერია, არაფერსა ჭამდა და ეს იყო მისი  
დაავადება. ამაზე შემზარავი არა მინა-  
ხავს რა, ცარიელი ჩონჩხი უფრო მიმზი-  
დელი სანახავი იქნებოდა.

დანარჩენები ნორმალურ ადამიანებად  
მეჩვენებოდა.

სოფლელი კაცი გავიცანი, ფანჯრის  
რაფაზე ვიჯექით და დიდხანს ვისაუბ-  
რეთ. ვიფიქრე, ასეთ ნორმალურს აქ რა  
უნდა, ასე ხომ შეიძლება სულაც ჯანმ-

რთელი ადამიანი გამოამწვევდით და ავა-  
დმყოფად გამოაცხადო-მეთქი. იმდენი  
მელაპარაკა, მართლაც საღი გონებას  
პატრონად მივიჩინე და უცებ დასძინა,  
აქედან თუ გავედი, სოფლის მალაზია  
უნდა გაქურდოლო. თურმე ეს ყოფილა  
ამისი სიგიჟე, ეს ჰქონდა ამოჩემებული.

სიმულანტებიც იყვნენ. ღმერთმა უწ-  
ყის, მართლაც სიმულანტობდნენ, თუ  
ტვინი ყირაზე ჰქონდათ. ერთს შვიდი  
წელი ელოდა და უკვე მეორე წელი  
სრულდებოდა, რაც გიჟს თამაშობდა. მე  
რომ მკითხონ, მერჩივნა შვიდი წელი  
ციხეში ვყოფილიყავი, ვიდრე ორი წე-  
ლი საგიჟეთში.

ველაზე მეტად დამამახსოვრდა მავა-  
ნი, თავის თავს აშოტ ჟელეზნი-კუკუ-  
რუზნის რომ ეძახდა. იგი ცოტა მოგვი-  
ანებით მოიყვანეს. გაიღო კარი და ზღუ-  
რბლზე წამოიმართა მალალი და გამწ-  
ლეული დონ კიხოტი, ზედმიწევნით ის-  
ეთი, როგორიც რუსულ ფილმში მენა-  
ხა პირი დავადე. კეხიან ცხვირზე და  
ჩავარდნილ ლოყებზე რომ არაფერი  
ეთქვა, წვერიც დონ კიხოტით ჰქონდა  
დაყენებული. შემოვიდა და უმაღ ქადა-  
გად დავარდა:

— მოგესალმებით, მეგობრებო! მე ვარ  
აშოტ ჟელეზნი-კუკურუზნი! აშოტ ჟე-  
ლეზნი სომეხთა მეფის აშოტის საპა-  
ტივემლოდ დავირქვი, ხოლო კუკუ-  
რუზნი ჩემი მეგობრის ნიკიტა ხრუშჩო-  
ვისა!

მეგონა, ანგლობდა, მაგრამ ისე სერი-  
ოზულად და დაჟინებით გვიმტკიცებდა,  
მისი გადარწმუნება შეუძლებელი იყო.

ამ აშოტს მსოფლიო პრობლემები აწ-  
უხებდა, სურდა ვველა ქალაქისათვის  
სახელი შეეცვალა. პეტერბურგს უსამა-  
რთლოდ შეუცვალეს სახელიო, ქაქანენ-  
და, მას თავისი სახელი უნდა აღუდგეს,  
სამაგიეროდ მოსკოვს უნდა დავარქვათ  
ლენინგრადიო, ბაქოს — აზიზბეკოვიო,  
ერევანს — შაუმიანიო... თბილისს რაღა  
დავარქვათ-მეთქი, შევეკითხე. დიდხანს  
იფიქრა და ბეჭედი დასვა: თბილისს არ-  
სენა უნდა დავარქვათო. ეტყობა, მეხსი-

ერებაში მეტი ქართული სახელი ვერ მოიძია.

აშოტის გამოჩენამ გაგვაშინარულა. კეთილი კაცი იყო, ცდილობდა ჩვენს გართობას და გამოსდიოდა კიდევ. ოღონდ ყოველთვის სამხიარულოდ როდი ვგქონდა საქმე. ხანდახან მძვინვარე ავადმყოფი მოჰყავდათ. ანდა გუშინ ვიღაც კრავივით წყნარი და უცოდველი რომ ჩანდა, დღეს გამძვინვარებოდა და სამიში ხლებოდა. შემოცვივებდნენ გრენადერებივით კუნთებდაბერილი სანიტრები და ზეწორით გაქაჩავდნენ, რკინის საწოლზე ისე მიაბამდნენ, საბრალო ძვრასაც ვერ მოახერხებდა. მერე მოვიდოდა ექიმი, გაუკეთებდა ნემსს. ზოგი უმალ გასუსებოდა, მიყუჩდებოდა, ზოგი კი ყვიროდა. ერთი ასეთი დაბმული ვაჟკაცი რამდენიმე დღე და დამე მთელი ძალა. თა და ღონით ღმერთს უხმობდა: „ალაჰ! ალაჰ!..“ თავზარდამცემი იყო ამის მოსმენა. უფრო კი გულს ის მიკლავდა, იქნებ სულაც არ იყო გიჟი და გამკითხავი არავინ ჩანდა. სწორედ ამისი შემეშინდა, ამ უღმერთოებმა მართლაც გიჟად არ ჩამთვალონ-შეთქი. მართალია, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი უნდა გაემხდარიყავი, მაგრამ გიჟი მაშინ ვიქნებოდი, თავი უკვე ბელადად მიმეჩნია. ცხოვრებაში მილიარდიდან ერთი შანსი ყველასა აქვს. ჩემზე გიჟებიც ზომ გახდნენ პროლეტარიატის ბელადები. მათგან განსხვავებით, მე ადამიანს დასახერხებლად ვერ გავიძებნებდი...

ასე იყო თუ ისე, შეურაცხადად თუ ჩამთვლიდნენ, თავისუფლება და ნემსები არ ამცდებოდა, ჯანმრთელობის შემთხვევაში, საზღვრის დარღვევის მცდელობისათვის შეეძლოთ ერთიდან სამ წლამდე მოეკვრებინათ. ჰოდა, გიჟის პასპორტს ისევე ციხე ვარჩიე და ექიმ ქალს ვუთხარი, „მე ჯანმრთელი ვარ! ისიც ვიცი, ამისი დამტკიცება როგორ შეიძლება! მე დაგიწერთ ნოველას შეურაცხადაზე, რომელიც მოარჩინეს!“

მომცეს ქალაღლი და ფანქარი. საკმაოდ რიგიანი რუსულით დაწვერე ამაზე იმაზე, ვაგონის კუბეში თუ როგორ შეე-

ზედი ჩემს ძველ მეგობარს, რომელიც ადრე მძიმე ფორმის შიზოფრენიით იყო დაავადებული და თურმე განიკურნა.

ექიმმა წაიკითხა ჩემი ობუსი და საბუთს დააწერა: „საესეებით ჯანმრთელია“.

მეორე დღესვე შემაბრუნეს ციხის საკანში. ერთხელ კიდევ დამკითხა რას ულ-ზადემ. განცხადება დამაწერინა მთავრობის სახელზე, ასე და ასე, ამიერიდან დიადი საბჭოეთის საზღვრებს აღარ დავარდევ, ვიზის გარეშე უცხოეთს არ გავემგზავრები (ვიზას კი ვინ სულელი მოგცემს!), ოღონდ ახლა გამიშვით-შეთქი.

პასუხს ათიოდე დღე ველოდე და მართლაც გამათავისუფლეს. ბილეთი მომცეს სტანიცა პავლოვსკოემდე, თან ცნობა გამატანეს, ჯარში წასვლა იმიტომ დაავგიანდა, ბაქოში უშიშროებამ დააკავა. რაზე და რისთვის, შიგ არ ეწერა, მაგრამ კომისარიატს ჩავაბარე და პასუხი არავის მოუთხოვია. ეგ იყო, გოგლასთან ერთ ნაკადში ვერ მოვხვდი, მე ბოლო ნაკადს მიმავლეს...

48.

სტანიცა დაცარიელებული დამხვდა. ვისაც ახლოს ვიცნობდი, ჯარში წაყვანათ, თანამდებობის პირნი კი თითქოს გამიბროდნენ. სამუშაოზე ვერ დავბრუნდებოდი, დრო არ მრჩებოდა. ფული კვლავაც არ მქონდა და ერთადერთი ილა დამრჩენოდა, ჯარში წავსულიყავი. ასევე განვაწყვე ჩემი თავი, რაც მოსახდენი იყო, მოხდა! რაკი ასეა სავალდებულო, ასე სჭირდება ბალტიიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულ დიად სამშობლოს, ვალდებული ვარ ეს სამი წელი ვიმსახურო... დეზერტირობას ვერ ვიკადრებ!

მივედი კომისარიატში, ჩავაბარე ცნობა, აი, ამის გამო დავიგვიანე-შეთქი. ხვალვე გაუდივართო-მითხრეს. „ხვალ“ რომ მოვედი, „ზეგო“... ასე შეგკვირბეს ორ-სამჯერ. ყოველ შეკრებაზე ჯარში წამსვლელებს უამრავი გამცდილებელი მოჰყვებოდა, დედიკოები და მამიკოები, დები და ძმები... მოჰქონდათ არა-



ვი და სანოვაგე, ფულებსაც ჩუქნიდნენ... ერთადერთი უცხო ხილი მე ვიყავი, არარუსი, უთვისტომო... ღობეს მიყრდნობილი ვიდექი ჩემთვის და კუჭი მეწვოდა.

ბოლო დღეს მოხუცებული ქალი მოვლადებოდა. ფეხებს ძლივს მიაღვამდა. ამომხედა და მითხრა:

— შეილო, მე აქვე ვცხოვრობ! სარკმელში ვიხედები და ვხედავ, შენ არავინ გაცილებს. დედაშვილობას, მე გავაცივლებ! ავერ, საგზალი ვაგამზადე, ნუ მიწყენ, მეტი არაფერი მქონდა! — პირველადი გადამსახვა და წავიდა, თან გაზეთში შეხვეული რაღაც დამიტოვა.

უკვე ვაგონში გავხსენი. მოხარული დედალი იყო, მუნდირში მოხარული კარტოფილი, ხორციანი ღვეზელები. მარილიც არ დაეიწყებოდა... ახლაც მახსოვს იმ დედაბრის სათუთი პირისახე, მისი სახელი არ ვიცი და გვარი. ღმერთო მაპატიე და, იმ ასაკში იყო, ახლაცოცხალი აღარ იქნება, მაგრამ ის მცირედი სიკეთე ჩემთვის აუწონავია და ავერ, წლობით მათბობს.

ბიჭებს იმდენი ხორავი მოჰქონდაო, მშიერს ვინ დამტოვებდა, მაგრამ რაკი მეც „გამაცილეს“ და „საგზალიც“ მქონდა, თავს ისე დაჩაგრულად არა ვგრძნობდა.

თითქმის ორი კვირა მივემგზავრებოდი და ბოლოს უკრაინაში აღმოვჩნდი, ტერნოპოლის ოლქის ქალაქ ჩორტკოვში.

49

მომცრო ქალაქი იყო. გორაკზე გადმომდგარი შენობებიდან ორი გამოირჩეოდა. ერთი იყო კათოლიკური კოსტელა, წითელი აგურის ცადატყორცნილი ტაძარი. მისი შპილი თითქოს განასახიერებდა ზესწრაფვას, ციურ ლტოლვას, ღმერთთან მიახლოების წადილს.

მეორე გამორჩეული შენობა სწორედ ჩვენი იყო. გასაკვირიც კია, ეს ლურჯი სახლი, რაიც ალბათ კონსერვატორიისათვის ან თუნდაც ინსტიტუტისათვის, უფ-

რო შესაფერი იყო, სამხედრო ნაწილს ჩაეგლო ხელთ. თუმცა ჩვენი ნაწილი ხოჩნვეულებრივი არ გახლდათ. იქ სამხედრო სასწავლებელი იყო და დიდის გულმოდგინებით გვასწავლიდნენ ელექტროტექნიკას, უფრო სწორად, თვითმფრინავის ელექტროაღჭურვილობას. ქალაქის განაპირას პატარა აეროდრომიც გვექონდა, სადაც რამდენიმე ჩამოწერილი თვითმფრინავი გვეყენა. მათზე კი დამონტაჟებული იყო მოძველებული აპარატურა, უცხოეთის დაზვერვას რომ იოტისოფენადაც არ აინტერესებდა.

დასაძინებლად გამოვიყვეს ჩვეულვებრივი მაღალჭერიანი, პარკეტისანი ოთახი, ორიარუსიანი საწოლებით. ამის წყალობით ერთ ოთახში მთელი ოცეული ეტეოდა. მე მეორე იარუსზე ვიძინებდი. მომცრო კარადა ფეხთით მედგა. ღამით იმასთან უნდა დამეწყო ჩექმები და ფეხსახვევები, ზედ კარადაზე კი კონხტად დაკეცილი ფარაჯა და გალიფე — ყველაფერი ისე იყო განაგარიშებული, დილით რომ ექვსს თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, არც ადრე და არც გვიან, მორიგე იღრიალებდა: „პოდიო-ო-ომ!“ და მეორე იარუსიდან მოვფრინავდი, შარვლის ტოტებს ფეხს ჰაერშივე გავუყრიდი. სახვევიც კონხტად უნდა მქონოდა ფეხზე შემოხვეული და ჩექმებიც ზუსტად მორგებული. ამას სულ თხუთმეტი ოცი წამი სჭირდებოდა. თუ ოდნავ დავაგვიანებდი, უკანვე შეგვაბრუნებდნენ, ლოგინში ჩავგაწვენდნენ და კვლავ ისმოდა — „პოდიო-ო-ომ!“

ზაფხულსა და ზამთარში მისურისამარა ჩავვიყვანდნენ ეზოში, „სირბილთ ია-არ!“ და თხზარკი ცხენებივით გავკვინდებოდი.

აქოშინებულებს, ნახევარი საათი გვრჩებოდა პირის გასაპარსად, დასაბანად, მოსაწესრიგებლად.

მომდევნო ნახევარი საათი პოლიტიკანათლებას ეთმობოდა. დილითვე თუ არ განათლდებოდი და არ შევიტყოფდი სოციალიზმის უპირატესობის ამ-

ბავს, საღამომდე, ვინ იცის, ტვინში რა ეშმაკი ჩაგვიჯდებოდა.

ოცეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი იყო. რატომღაც კეთილი თვალის გადმოხედა და სხვებთან შედარებით ნაკლებ მაწვალებდა. პირზე ნიღაბფარებულნი რომ დავრბოდით, სული მეხუთებოდა, ამიტომ აირწინაღში ლოყასთან თითს შევიყოფდი და პაერს შევუშვებდი. ამ ჩემს ეშმაკობას თვალს აარიდეზდა, სხვებს კი დიდხანს მოძღვრავდა, ან სასჯელს რამეს დაადებდა. არ ვიცა, ქართველობა მოსწონდა ჩემი თუ უღონობის გამო ვებრალეზოდი. ისე, მთელ ნაწილში ერთადერთი ქართველა მე ვიყავი.

შეამჩნიეს, რომ ხშირ-ხშირად ქაღალდებში ვიქექებოდი, თავისუფალ დროს რაღაცას ვწერდი და უშალ კედლის გაზეთი ამკიდეს, თანაც აგიტატორად დამინიშეს. კედლის გაზეთი ყოველთვის მეჯავრებოდა. პირველი, ბითურული ნომრის შემდეგ თავიდან მოვიშორე. აგატატორობა კი დიდი შეღავათი იყო. იატაკის რეცხვისა და სხვა შაეი სამუშაოს ამბებში ისედაც ცხვირი ყოველთვის მქონდა ჩაყოფილი და დილით, პოლიტიგანათლებლისთვის განკუთვნილ ნახევარ საათში ისე ჩამოკაკალავდი ყველაფერს, გაზეთების წაკითხვა არც სჭირდებოდათ. ოღონდაც, ლენინის აზრით, მთავარი იყო აღრიცხვა, რაც იქამდე დავიდა, რომ საქმე არცაა მთავარი, მე კი სწორედ აღრიცხვაში, ესე იგი, საკუთარი ღვაწლის გაბუქებაში მოვიკოჭლებდი.

ამოდენა შენობაში სასადილო არ გექონდა. დღეში სამჯერ დავეწყოზოდით და რიხიანი სიმღერით, ქირზის ჩექმების ბრაგაბრუვით გავივლიდით მთელ ქალაქს და სადღაც, გარეუბნის სასადილოში ესადილობდით... ეს იყო ჩვენი გასეირნებაც... კარანტინიაო, და სხვა დროს გარეთ ცხვირს არ გვაყოფინებდნენ.

სამაგიეროდ რვა საათი უნდა გვემეცადინა, მერე თვითმეცადინეობაც გავმეგრძელებინა და მხოლოდ დღის ბოლოს

გვეჩებოდა ერთი ან ორი საათი პირადა საქმეებისათვის. ჩემი პირადი საქმე ან კითხვა იყო, ან წერა. უკვე არც მახსოვს, რას ვწერდი. ერთხელ საქმაოდ გრძელი პროზაული ღექსი მოვაქინმაჩე, რაღაც გორკის „სიმღერა შეგარდენზეს“ მაგვარი და „ოგონიოკში“ გავაგზავნიკ, პასუხად კი გულის ამაჩუყებელი ლოცაკურთხევა და დაბეჭდვაზე უარი მომივიდა.

ზამთრის სამხედრო მანევრებზე გავვიყვანეს. ძუნძულთ ვირბინეთ ათი კილომეტრი, მერე თოვლიან გორაკზე გავიშალენით და ცეცხლი დაეუშინეთ არარსებულ მტერს. რამდენიმე დღე გრძელდებოდა ეს თამაშობანი. ერთი სამხედრო ოფიცერი ტრაბახობდა, სამი წლიწინ უნგრეთში ვიყავი, ტანკებით გავაბრტყელებთ მთელი ქვეყანაო. გასაკვირი არაფერი იყო, იქ ხომ სოციალიზმის მტრები აჯანყდნენ და მუშათა კლასიკინაღამ წაართვეს ხელისუფლება. ოღონდ ამ კაცის მოსმენა მაინც არ მსიამოვნებდა. რაკი სოციალიზმი კარგია, ყველას უნდა უნდოდეს, თუ არ უნდა, ძალით რატომ მოვახვიოთ თავს-მეთქი. ოქრო-ვერცხლითაც რომ ამავსო, თუ არ მინდა, არ მინდა და, ესაა!

ნაწილის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი იყო. ისეთი მრისხანე ვიღაცა, ჯარისკაცებს ახლო გავლისაც გვეშინოდა. უკვე რამდენი თვე გავიდა, ჩვენ კი ქალაქში არც გავვისეირნია. ერთხელ, სადილზე მარშით რომ მივდიოდით, თვალი კინოაფიშას მოვკარი, „მაია წყნეთელი“ ეწერა. ისე მომინდა კინოში წასვლა, თავზევით ძალა აღარ იყო, მიუუკაკუნე იმ კაციჭამიას კარს. „და! და!“ — გამომძახა. წესების დაცვით შევედი, სულ ლანჩის ბრაგუნით, ფეხი ფეხს მავარტყე, მხედრული საღამით მივესალმე და ყოჩაღად შევძახე: „ნება მომეცით, მოგმართოთ!“ „გისმენთ!“ — ცოტა გაკვირვებული ჩანდა ამ სითამამით. ასე და ასე, ქალაქში ქართული ფილმი გადის, ჩემთვის მისი ნახვა ისეთი საქმეა, თითქოს შევბუღებაში გავმევიით საქართველოში-მეთქი. იმწამსვე გამომწერა საშ-



ვი და გამომიწოდა. იმ სამსჯეს ბარე ათი სხვა ჯარისკაცის გვარიც მივაწერეთ და ქალაქში გავედით. მე მართლაც კინოში, სხვები საეშმაკოდ, ზოგს არაყი უნდოდა, ზოგს გოგოებთან ღლაბუცი.

ასე, თითქმის უკონფლიქტოდ მიდიოდა ეს მოსაწყენი სამსახური. იყო, რა თქმა უნდა, წერილი შეჯახებებიც, ამბოხიც, სასჯელიც, მაგრამ ისეთი არაფერი. აქ რომ მოსაყოლად ღირდეს. ის-ღა მადარდებდა, დრო რომ მეკარგებოდა და ვბერდებოდი, მაგრამ დეზერტირობა ზნეობრივი მოტივის გამო არ შემეძლო, ამასობაში კი კაცობრიობა ჩემი დახმარების გარეშე პირდაპირ გმინავდა.

ცხრა თვის სამსახურის თავზე, როცა უკვე შევევეუე აზრს, რომ სამი წელი ფარაჯას ვერ გავიხდიდი, ჩვენმა მკაცრმა ზემოქმედმა, კარგად მოსუქებულ, გატიუნულ ღორს რომ ჰგავდა, შემომცინა და მითხრა: „ახალი ამბავი თუ გაიგე, დღეს შინ მიდიხარ!“

მეგონა, დამცინოდა. ნასაუზმევს გამომიძახეს იმ მკაცრ პოლკოვნიკთან. ცომივით რბილად დამხვდა, ხელი ჩამომართვა და გამზადებული საბუთები გამომიწოდა, თან ის ცნობაც მოაყოლა, სე-

ქომი რომ მომცეს და მრავალმნიშვნელოვნად მირჩია, ეს ქაღალდი არსად დაკარგო.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე. იმ დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, ჯარი მილიონ ორასი ათასი კაცით შეემცირებინა. ჩვენს ნაწილს ეს არ ეხებოდა, მაგრამ ნაწილის სარდლობამ აუტკივარი თავი რად ავიტკივოთო და მე, როგორც საექვო პიროვნება, თავიდან მომიშორეს. ცოტათი შეურაცხყოფილი კი ვიყავი ასეთი უნდობლობით, მაგრამ ძალიან დავდონდიო რომ ვთქვა, არავინ დამიჯერებს.

ჩემი ნაკლებ იღბლიანი თანამებრძოლები დააწყვეს, ჩამოვუარე, სათითაოდ ხელი ჩამოვართვი. უფროსმა ლეიტენანტმა სადგურამდე გამაცილა. შინაურულად ვისაუბრეთ, სულაც არ ყოფილა მკაცრი კაცი. ერთი ბოთლი არაყი ვიყიდე, დავსხედი. მე ასი გრამი დაველიე, იმან დანარჩენი. მომხიბლავი გეგმაც დავაწყეთ იმაზე, თუ როგორ ჩამოვიდოდა იგი სტუმრად საქართველოში, მაგრამ ეს უკვე ფუჭი ლაპარაკი იყო, რადგან იმ დროს თვითონ არ ვიცოდი, სად აღმოჩნდებოდი.

დასასრული იქნება



## დალილა ბედიანიძე

მიწისქვეშა გადასასვლელში მიწაზე ზის ბრმა მუსიკოსი  
და თავის ბრმა გიტარაზე

უკრავს ასე თვალდახუჭული.

იქვე, კიბეზე ჩამომჯდარა მთვრალი, თავი მუხლზე უდევს,  
უსმენს და ფიქრობს: „სიმთვრალე ტკივილს მთლად ვერ  
შეეღის!

სიმთვრალე ტკივილს მთლად ვერ აყუნებს!“

ბრმა მუსიკა ბარბაცით დადის მიწისქვეშა გადასასვლელში,  
ავსებს ჰაერს, კედლებს, გასასვლელს...

ის ვერ ხედავს, კაცები როგორ დაემსგავსნენ მშიერ მგლებს და  
ქალები — ძუ მგლებს...

ბავშვები — ლეკვებს, ასე ღრენით რომ დასდევენ ერთიმეორეს.  
კიბეზე ზის მთვრალი მგელი,

მარცხენა მუხლზე უდევს თავი

და სვამს მუსიკას, როგორც წამალს,

რომ ტკივილმა არ ჩააძალოს.

მიწისქვეშა გადასასვლელში ბრმა მუსიკოსი ბრმა გიტარაზე  
უკრავს, უკრავს თვალდახუჭული.

ბრმა მუსიკა — მისი პატრონი.

### საპნის ბუშტები

ეს ქარი — საპნის ბუშტების მწყემსი —

ბრჭყვიალა ჯოგებს მიერეკება.

ღამაზია ასე ცხოვრება — საპნის ბუშტში უნდა შემკვრე და

ქარს დაელოდო და როცა ქარი მალღა წავიღებს

და საკუთარი სახლის ფანჯარას ასცილდება,

ასე ფრენით გაბრუებულს გავიწყდება,

რომ საპნის ბუშტი იქვე გასკდება და ღია ცაში ვერ გაჩერდება.

სანამ ბოლომდე გაიზრდებოდე, გონს მოხვიდოდე

და ზრდის ტკივილებს თავს დაადწვევდე,

ასე უნდა უყურო საპნის ფერად ბუშტებს...

ეს ქარი — საპნის ბუშტების მწყემსი — სად არ დაძვრება.

გაიზარდე და ისეთ ჭკაუზე დადექი, რომ

აღარ მოგინდა, საპნის ბუშტში შემპვრალიყავი.

გირჩენია, ფანჯარასთან დადგე და ისე გამოხედო,

მეზობლები საპნის ბუშტებს როგორ უშვებენ  
და ბუშტები როგორ სკდებიან ღია ცაში...  
და მერე კი – საქმეს მიხედო.

ეს ქარი – საპნის ბუშტების მწყემსი –  
ბრჭყვიალა ჯოგებს მიერეკება...  
არ არის ცუდი სანახაობა...

### მტკვრი

ჩუმი შრიალით ჩამოდის მტკვრი  
და ეფინება გაშლილ ყვავილებს,  
კოცნის და ეკვრის ყვავილის მტკვრი ყვავილებს გულში.  
ჩუმი შრიალით ჩამოდის მტკვრი  
და ეფინება სახლებს და ხეებს, პიანინოებს და სურათებს,  
ხმებსა და თვალებს, სხეულს და ხელებს  
და რამდენჯერაც გადაწმენდ, ის ისევ მოდის.  
მტკვერთან ბრძოლაა ჩვენი ყოველი დაყვირება, მტკვერთან  
ბრძოლაა

და სიმღერაც მტკვერთან ბრძოლაა.  
ცისფერი მტკვერი, ყვითელი მტკვერი, შავი მტკვერი,  
მანდარინის ყვავილის მტკვერი, ყურძნის მტკვერი და სიმინდის  
მტკვერი,

ხორბლის და ჭვავის და ცაცხვის მტკვერი,  
კინოთეატრის ფარული მტკვერი...  
ტკბილი მტკვერი, მწარე მტკვერი, მახრჩობელა და გემრიელი  
და გზების მტკვერი – მიტოვებული და ერთგული ქოფაკივით  
რომ მოსდევს მანქანას

რუხი მტკვერი  
და როგორც კი გაჩერდები, მოვა და ზედ დაგეფინება რბილად,  
ალერსით,  
მოვა და ასე დაგეფინება, რომ შენ დაგფაროს და თვითონ კი  
შენით გამოჩნდეს.

მტკვერი... მტკვერი... მტკვერი... მტკვერი  
და ამ მტკვერში დაღუპული ჯარისკაცები.  
ჩვენი სიცოცხლე გადის ასე, მტკვერთან ბრძოლაში.

და ყველა მტკვერი ასეა თურმე,  
მოდის და ეკვრის ფეხებზე პატრონს.  
გაწმენდ და – წუთში შენს ჰაერს ურევს,  
რომ კელავ მოვიდეს და მოენატრო.

### ნეტავ

ნეტავ, რა გინდა, რა გენატრება,  
თვალები რატომ აღარ გიცინის?  
ლურჯი თვალები... ლურჯი თვალები...  
განათებული უცხო სიცივით.

თქვი, რა დალიე? შესანდობარი?  
შესანდობარი? თუ – სადღეგრძელო?  
ვინ გაგონდება, თქვი, მეგობარი?  
თუ – სიყვარული საბედისწერო?

ეს დღეც გავიდა მთვრალი წვიმებით,  
 მძიმეა გული — იჭვთა მსახური  
 და კრთის საღამო, როგორც იმედი  
 და ნაღვლიანად სულში ჩამყურებს.

აღარ იღარდო, აღარ იღარდო,  
 აღარ იღარდო, თორემ მოკვდები!

სიცოცხლე მიდის. დავჯდები მარტო  
 და შენს სიყვარულს დაველოდები.

და მენატრება, და მენატრება  
 ლურჯი თვალები... სხვა — არაფერი  
 და დარდი, როგორც ჭიქა, გატყდება,  
 როდესაც მომწმენდს ცრემლს შენი ხელი.

ო, რა ველური სიყვარულით ეფერება ნაწვიმარზე  
 მზე დედამიწას...

როგორ ეხვევა, როგორ კოცნის, ეწურჩულება,  
 როგორ დაემებს სველ თვალებში ბედნიერებას,  
 როგორ დაემებს სველ სხეულში ბედნიერებას.

ო, რა ველური სიყვარულით ეფერება ნაწვიმარზე,  
 ნაწვიმარზე მზე დედამიწას

და როცა წვიმა დაბრუნდება მონატრებული,  
 მზის მხურვალებით, მზის სურნელით მთვრალი მიწა  
 გაუწვდის ხელებს და ველური სიყვარული დაუფლება.  
 გაღიმებული ყვაილები აფეთქებიან,  
 მთვრალი პეპლები ბარბაცით წავლენ წვიმისაკენ,  
 მდინარეები ძარღვებივით დაიბერება

და წვიმის გულში ჩახუტებულს დედამიწაზე დაეძინება.

ო, რა ველური სიყვარულით ჩაეკვრება გულში  
 ნაწვიმარზე მზე დედამიწას,  
 როგორ დაემებს მის წიაღში ბედნიერებას.  
 და ასე ერთად ბერდებიან და როცა მათი ჟამი ჩამორეკს,  
 ო, რა ველური სიყვარულით დააკვდება მზე დედამიწას.

ბედნიერებით საესე ჰაერი...

ვინც ჩაისუნთქავს, აივსება ბედნიერებით.

### ქალაღლის ჩიტი

არ შემძლია, დიდი ვიყო, როცა შენ მივალ  
 და ქალაღლის ჩიტი დამხვდება აივანზე,

არ შემძლია!

რა გინდა ჩემგან, ქალაღლის ჩიტო, რად არ მასვენებ?

მე ზომ ბავშვი აღარა ვარ.

შენ იცი, საით მიდის ბავშვობა?

რძიანი ზეცა, რძიანი თმა, რძიანი ბავა, რძიანი ხმა,  
 რძით დაბანილი თვალები და რძით მთვრალი დილა...

შენ იცი, საით მიდის ბავშვობა?

საბავშვო ბაღის ეზოში თოვლი და თოვლზე —

თეთრი ქალაღლის ჩიტი...

თავის ენაზე ჭიკჭიკებს და თავისი თბილი ქვეყნისაკენ

გაფრენამდე

გვემშვიდობება.

არ შემოდია, დიდი ვიყო, ჭკვიანი ვიყო,  
 შინ რომ მივალ და ქალაღის ჩიტი დამხედება მასპინძელივით.  
 ქალაღის ჩიტი!  
 ხომ გამისტუმრე ბავშვობიდან, ხომ გამისტუმრე!  
 და რამდენი ჩემისთანა ვესტუმრა მერე,  
 რამდენმა ასე აგაფრინა და დაგაფრინა, —  
 იმათთან რატომ აღარ მიდიხარ, რა გინდა ჩემგან?  
 შენ იცი, საით მიდის ბავშვობა?  
 და თუ იცი, მაშინ — მითხარი და მეც იქ წავალ,  
 რადგან მხოლოდ დრო გავიდა, სხვა არაფერი არ მომხდარა,  
 არ შემოდია, დიდი ვიყო, ჭკვიანი ვიყო, როცა შენ გხედავ.  
 მე არც ფრენა დამვიწყებია და არც — სიცილი  
 და თუ იმისთვის მოხვედი, რომ გამახსენო — ჩიტივით ფრენა  
 მეც შემოდია,  
 მეც გაგახსენებ — დაბლა მიწაა, დაბლა მიწაა!  
 მერე შენს ფრთებზე მე ვიპოვი საკუთარ სახელს და ვაკოცებ  
 როგორც ბავშუს — ფრთხილად... ფრთხილად... ფრთხილად...  
 არ შემოდია, დიდი ვიყო, ჭკვიანი ვიყო,  
 როცა ჩემი სახლის ფანჯარას ქალაღის ჩიტი ეხეთქება.  
 არ შემოდია.

### ე ლ ე ნ ე

ო, მშვენიერი ელენეს აჩრდილს, მშვენიერ აჩრდილს  
 დროა, ბოდიში მოუხადოს კაცობრიობამ  
 ტროას ომის დაბრალებისთვის.  
 განა ელენეს სილამაზე იყო მიზეზი,  
 როცა პარისმა დედოფალი მოსტაცა ბერძნებს?  
 განა ელენეს სილამაზე იყო მიზეზი,  
 როცა ბერძნებმა აიკლეს ტროა?  
 ოჰ, დროა, დროა, მშვენიერი ელენეს აჩრდილს  
 მაპატიეო, შეევედროს კაცობრიობა.  
 მოტაცებული და უცხოთა შორის უცხო...  
 დედა-დედოფლის სილამაზე და მეფე მამის ჭკვიანი მზერა  
 და მამის ხელი ხანდახან რომ ესიზმრებოდა  
 და ისეთი ბედნიერი იყო ხოლმე,  
 გაღვიძება აღარ უნდოდა.  
 დროა, ბოდიში მოუხადოს ყველამ, ვისაც სისხლი უყვარს  
 და ტყუილები ამით დამთავრდეს.  
 სისხლის წყურვილი არ ასვენებს, სისხლის წყურვილი  
 ახრჩობს, სტანჯავს, გონებას ართმევს...  
 და სისხლის სუნით გაგიჟებული მარსის მსახური  
 მოსაკლავი ხარით ბლავის, მოსაკლავი ხარით დარბის...  
 და მშვენიერი ელენეს ღიმილს ეფარება, ვითომდა — იცავს.  
 დროა, ბოდიში მოუხადოს კაცობრიობამ მშვენიერი ელენეს  
 აჩრდილს  
 და დროა, თავი დაანებოს, დიდი ხანია.

## გურამ ნემსაძე

ორი 12

იძვროდა წყალზე სული ღვთისა  
და ქანაობდნენ უფსკრულები,  
შფოთავდა მიწა  
უსახური და უდაბური.  
და იყო ბნელი, სანამ ქვეყნად იქმნა ნათელი.  
ყოველი ჩრდილი შედეგია ნაკლული ნათლის,  
წინარე ბნელის ნაწილია და ნათესავი.  
რადგან ყველაფერს ამა სოფლად  
თავის ჩრდილი აქვს,  
მეც მყავხარ, ჩრდილო, ჩემი მსგავსი  
და ჩემი სახის.  
მე თუ მეკუთვნი და ჩემგანვე მომდინარეობ  
და სინათლეა შენი სახის გამომსახველი,  
შუქია შენი გამჩენელი,  
მაგრამ თუ ძალგამს, გამოანათო,  
ან თვითონვე დაბადო შუქი?  
ხანდახან დამის სიბნელეში ვაიტრუნები,  
ტბორი რომ ფარავს არემარეს,  
ბინდი რომ მეფობს,  
სინათლე გამხელს თუ ლამპარი აკიაფდება,  
და კვლავ ჩემთან ხარ ძველებურად  
შენ, ჩრდილო ჩემო.  
იღუმალეა შენი არსის საკითხავია,  
არის ჩრდილებში უცოდველი  
ანდა ცოდველი?  
ან თუ ვსმენია, ნათესავი შენი ჯილაგის  
ცად ასულიყოს?  
ცა უჩრდილოა,  
ამიტომაც არის ნათელი.  
შენ დაბლა ცხოვრობ,  
მიწაა მხოლოდ ცოდვილების დედა სამშობლო —  
ველებით,  
გზებით,  
ღრანტეებით  
და დარბაზებით.

რადგან ხელობა სხვა ჩრდილებთან შეხმატკბილების  
 იცი უნაკლოდ,

იქნებ გამანდო ამ მისნობის მეც საიდუმლო,  
 რომ კაცთა შორის გამოვძებნო

ურთიერთშერწყმის ანდამატი  
 და ოქროს კვეთი.

შენ უწყვი თვითონ, გარემოსთან თანხმობა მიჭირს  
 და ხშირად ბედის ანაბარა საფრთხეს შევრჩები,  
 გამწირავს კენტად მეგობარიც და თავს უშველის.

შენ ჩემთან რჩები, ჩემო ჩრდილო,  
 ერთგული მარად,

როგორც ნიშანი უტყუარი ჩემი არსების.

წუთისოფელი წამიერი გაელვებაა,

ეს მზისქვეშეთიც სამუდამოდ მასპინძლობს არვის,  
 შენც ჩემთან ერთად საფლავად ჩახვალ,

დრო ჩართულია,

მზის საათის ჩრდილის ისრები წრეში ბრუნავენ,  
 წარმავალია ყოველივე და მიქრის ჟამი.

საგნებს თუ ვხედავთ თვალსაჩინოდ,  
 შენი მაღლია,

შენი ანბანით იკითხება სხეულთა ფორმა  
 და მოცულობა,

მაგრამ თუ სულზე გიფიქრია, — ის უჩრდილოა,  
 უმთავრესია,

უხილავი,

არის მაღალი.

თუმცა საუბარს ამ თემაზე ზამს მოვერიდოთ,  
 ჩვენ ვითლა ავნსნათ სულის სუფევა  
 დაუსაბამო,

უსასრულო და საკვირველი.

მე ვერც შუქ-ჩრდილის გამოვია ავანჩავანი.

ალიგიერი ასე ამბობს:

„...რომ ყოვლადბრძენმა,

შექმნა თუ არა ცა და მიწა — მიუჩინაო

მბრძანებელი — დეე მწყემსობდეს

კანონი შუქთა თანასწორი განაწილების“.

ჩრდილო, შენ ფერიც არ გაკლია,

არც მოძრაობა,

დილის სივრილე გმატებს სიღურჯეს,  
 ზოლო შუადღეს იისფერი სამოსი გშვენის;  
 საღამოს ჩრდილო, შენი ფერიც დაქანცულია,  
 მიედინები ყავისფერად,

მდორედ

და ზღაზენით.

დამშვიდობება შენთან, ჩრდილო, ვით მოვახერხო  
 საუბრის შემდეგ,

ჩამოგართვა ხელი, როგორც კაცს ემშვიდობება მეორე კაცი?

ჩემი ფიქრით ჩემთან ერთად თანმავალი ხარ,  
შენდამი ჩემი შეკითხვებიც არის მრავალი.

აი, რომ მოვკვდე,

და მზისქვეშე იწვეს უსულოდ  
მრავალ ტკივილთა დამთმენელი ეს ჩემი ტანი,  
ვიცი, რომ შენი მოძრაობაც გაირინდება,  
ცალბი ქვეთინით

ყურთასმენას არ შეურაცხყოფ  
და როგორც მიწყივ,

ნათლის ჩქერალი იკამკამებს საბაღნაროში,  
ხეივანებად დააფენენ სფინქსები ჩრდილებს,  
სხვაც ბევრი მოვა წარმავალი

და ჩემი მსგავსი,  
მოვლენ და წაეღენ უსასრულოდ,  
ისევ და ისევ.



## მართალი პიესა

ბურამ ბატიშვილს „ციხის“ მკითხველბთან ჩემი წარდგენა არ სჭირდება. მას კარგად იცნობენ როგორც დრამატურგს. იცნობენ მის როლებს („თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“), კრიტიკულ წერილებსა და საზოგადო მოღვაწეობას. ერთი სიტყვით, გურამ ბათიაშვილი მრავალმხრივ საინტერესო მწერალია, მას ჰყავს თავისი მკითხველი, ხოლო მის პიესებს მაყურებელი. საუკუნის მეოთხედზე მეტია, ქართული თეატრის რეპერტუარს ამშვენებს მისი არაერთი პიესა. სამაგალითოდ „ვალცი“ კმარა.

„ვალი“ უფროსად „ციხისკარი“ დაიბეჭდა. ანტიემპირიული საბჭოთა იმპერიის ფონზე ერთობ „უცნაურად“ ეღერდა მაშინ გ. ბათიაშვილის პიესა.

ერთი ძარღვიც არ აუტოკედებოდათ, ისე გულგრილად ტოვებდნენ რუსი ებრაელები საბჭოთა რუსეთს. „ვალცი“ კი სულის შემძვრელ ტკივილი იყო გამოხატული: ტკივილი საქართველოს დატოვებისა, ქართული მიწის ყვილი-სა. საქართველოს სიუვარულით იყვნენ ანთებულინი „ვალის“ გმირები.

„ციხისკარი“ მკითხველებმა მაშინ გულთან მიიტანეს გ. ბათიაშვილის პიესა. ახლა კი იგი სულ სხვა ხასიათის პიესით ხვდება თავის მკითხველებს. პიესაში თითქმის ერთობ გამოქვეყნულია ქართველ ქალთა ხახეები, მაგრამ ჩვენს კირვარამზე დაფიქრებული კაცი უფროდ იგრძნობს, „ამ სიძულვილში რაოდენიც სიუვარულია“.

გ. ბათიაშვილის ახალი პიესის პირველი სცენები მოულოდნელია სიმწვავეთა და უბეში პირდაპირებით. ეს შეფუთების, გაღიზიანების ნერვული რეაქცია იმ მოვლენაზე, ჩვენს ყოფაში რომ იჩინა თავი.

უკვე მწერლობის თემად იქცა თურქეთში საშვიარზე წასული ზოგიერთი ქართველის უწინააღმდეგო. მათ შესახებ კარგა ხანია შეიქმნა საზოგადოებრივი აზრიც, პიესა კი თავისებურად ებასუხება ამ მოვლენას, ასე რომ აშფოთებს ჩვენს სულს. ავტორი გულისტკივილით წერს მასზე. შეიძლება ნაწარმოების უკუღმართად წაიხიხვაც, თუ მასში მხოლოდ ხეყს დაღინაზება. სეჰსუალური აღვირახსნილობა აქ ღრმა სოციალური და ეთიკური მოტივებითა განპირობებული. პირველი მოქმედება ერთი მოტივით, ერთი ხაზით

ვითარდება, სადაც ფულის კეთების უნია უმთავრესი. მეორე მოქმედებაში იგი დრამატულ სიმძაფრეს იძენს და იწყება გმირთა თვითგანმენდის პროცესი, ვხედავთ გზასადელითა ტანჯვას. დოლარების მაძიებელ ქალთა ბედში უბრალო პიკანტურ პასაჟებზე ბევრად უფრო ფართო პლანის სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენა შეიგრძნობა.

ბოლოს და ბოლოს, სინამდვილეს ხომ უნდა გავუსწოროთ თვალი. როდემდე უნდა ვმალეთ ჩვენი ხალხის შემარცხვენილი ფაქტები? მერე და რამდენი? განა ეს არ იმსახურებს მწერლის უზრადღეობას? განა დროზე არ უნდა ჩამოვკრათ ზარები, რათა სილტაკემ თუ გამდიდრების სურვილმა არ დაარღვიოს წინებრივი კრიტიკიუმები? სწორედ ზარის ასეთი ჩამოკვრაა გ. ბათიაშვილის პიესა და გამგონმა უნდა გაიგოს იგი..

გ. ბათიაშვილის ახალმა პიესამ ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მტკივნეული პერიოდი გამახსენა, კერძოდ, სანკტ-პეტერბურგში გადასახლებულთა თუ თავისი ნებით წასულთა ბედი. ქართული არისტოკრატის სრული გადაგვარების სურათებია გადმოცემული მე-19 საუკუნის I ნახევრის მოღვაწის ავთანდილ თუმანიშვილის პიესაში „ოთხი ლაპარაკი“.

ა. თუმანიშვილის „ოთხ ლაპარაკში“, რომელიც სცენები უფროა, ვიდრე დასრულებული პიესა, პირდაპირ, ყოველგვარი შეუღამაზების გარეშეა დახატული ქართველი თავადიშვილი ქალების გარყვნილი ცხოვრება. ისინი ერთმანეთს უყვებიან, ვინ რომელ კაცთან როგორ იცხოვრა, რომელ კაცს რომელი სჭობდა და ა. შ. საუბარია გულახდილად და პირდაპირ, უფრო პირდაპირ, ვიდრე ამას გ. ბათიაშვილის პიესის გმირთა პირიდან ვისმენთ.

ა. თუმანიშვილის „ოთხი ლაპარაკის“ ადრესატები დაკონკრეტებულია. პიესის შეხავალში ვკითხულობთ: „სანკტ-პეტერბურგსა შინა თქმული ავთანდილ თუმანიშვილისაგან ბაგრატ სოციალისტის ცოლის დაზედ კენინა სოფიოზედ და გაბას ქალზედა და ბაგრატის გამდელის გულდასტაზე და კენინა დარეჯანის გოგოს გულისაბაზე“.

გ. ბათიაშვილის პიესა თუმანიშვილის სცენებს მხოლოდ იმიტომ შევადარე, რომ უწინააღმდეგოების ანალოგიური პრობლემა წარსულშიც აქ



უხედავთ. ეკონომიკური გადატაკების პროცესში ეროვნულიც იბაღება და პირადულიც. რასაკვირველია, ეს არ მოიცავს ყველას და ყველაფერს, მაგრამ უზენოთა ზვედრიც ხომ ქვეყნის სატიკვარია? სოციალური კრიზისები უპირველესად სწორედ ზნეობას ეხება. დიდი სულიერი ჭიდილია პროცესში და ახალი ზნეობრივი სიმაღლეებიც ჩნდება, მაგრამ მანამდე ათასი უფსკრულია გადასალახავი.

გ. ბათიაშვილის პიესის გმირები მარტო სხეულით კი არა, სულიერადაც იფიტებიან ყოველდღე. სულის შემძვრელია მათი შეხვედრა თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან. წამიერად ასეც იფიქრებ, თითქოს ძველი საქართველოს ზნეობრივი უპირატესობა ახლისას შეხვდა და დაუპირისპირდა, მაგრამ, იმდენად სარისკოა ასეთი ასოციაცია, რომ უმალ გშორდება ამგვარი ფიქრი. ათასი საპირისპირო მაგალითია თანამედროვე საქართველოს ზნეობაშიც და ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ გასაკვირი და საფიქრალი სწორედ ის არის თუ როგორ მოხდა, რომ

ასე გადაგვარდა ჩვენი საზოგადოების ნაწილი? როდის დაიწყო ზნეობრივი დაცემის ეს პროცესი? რატომ არ ითქვა მის პირველსავე ნიშნულზე ხმაშალალი სიტყვა? იქნებ მარტო სოციალურ სფეროებში არც არის ყველაფრის მიზეზთა მიზეზი? იქნებ მართლაც არსებობს შინაგანი, რაღაც უფრო მყარი დამაკვივრებელი ხაზი ა. თუმანიშვილის არისტოკრატიისა და გ. ბათიაშვილის პიესის ქალებს შორის?

აი, ასეთ, ათასგვარ საფიქრალსა და სატიკვარს ავციშლის ხოლმე მხატვრული ქმნილება, როცა თავისი უკომპრომისო პირდაპირობით ეხება დღევანდელობას, ჩვენი ყოფის არცთუ სასიამოვნო მხარეს.

გ. ბათიაშვილის პიესაში შესაძლოა არის საკამათო მომენტებიც, მაგრამ მთავარია ტიპიკლით ნათქვამი სიმართლე.

სიმართლის მოყვარე მკითხველი კი გულგრილად ვერ წაიკითხავს მას!

ვასილ კიკნაძე

## გურამ ბათიაშვილი

# თავდავიწყების თამაში უცხოთა ლობინებში

პიესა 2 მოქმედებად

მოქმედი პირნი:

- ნინიკო – 26-28 წლის
- თინა – 23-24 წლის
- მაია – 18-19 წლის
- ვასო – 30-32 წლის
- პოლიციელი – 40-45 წლის

- ნური – 60-65 წლის
- ვრიდონი – 32-35 წლის
- ნიკალი – 37-40 წლის
- ორი თავდასხმელი

სასტუმრო, რომლის ერთ ოთახშიც ეს ამბავი ხდება, ზღვის პირას დგას.

დროდადრო გვესმის ტალღების ჩქაფუნა.

ტალღები მშვიდად მოისწრაფიან ნაპირისაკენ და მასთან მოახლოებისას უხეშად, შრიალით იშლებიან ქვიშაში. გვიანი შემოდგომის მზიანი დილაა.

მზის სხივები უღიმღამოდ იფანტება სასტუმროს ნომერში. ლოგინიდან მაია წამოდგება, ხალათს აიღებს და ზანტად მიეშურება აბაზანისაკენ.

აბაზანიდან წყლის ჩხრიალი ისმის. მეზობელი ოთახიდან ვიღაც გავიდა და კარი ისე ძლიერ გაიჯახუნა, რომ პაწია მაგიდაზე ჭიქები ერთმანეთს მიეხალა.



**თინა** (საწოლში). კარვით, რა, ნამუსი არა გაქვთ? (გადაბრუნდება და ისევ ძილს მისცემს თავს).

**მუმიინის ხმა**. აალაჰუ აკბარ! აალაჰუ აკბარ!

**მაია** (შემოდის. ხალათს იკრავს. აივანზე გამავალ კარს გამოაღებს. სწორედ ახლა შემოიჭრება ოთახში ზღვის ხმა. ტალღები რიტმულად მოისწრაფიან ნაპირისაკენ. მაია პაწია მაგიდიდან რამდენიმე ფურცელს აიღებს, თვალს გადაავლებს და იწყებს მონოლოგს ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატებიდან“). „იცი, რა მოხდა შენს შემდეგ? ნადირად ქცეული მაჰმადიანნი მუმილივით მიეხივნენ ჩვენს სიმაგრეს. ვხედავ, ანანია გლახა მოფოფხავს მტკვრის პირას, ფრიალო კლდეზე. გაჭირვებით, ძლივს მოაღწია ჩემს სარკმლამდე. ხელში ბავშვი ეჭირა“.

**მუმიინის ხმა**. აალაჰუ აკბარ... აალაჰუ აკბარ!

**მაია** (შეკრთა). ზახრუმა!

**მუმიინი** (კიდევ უფრო ხმამაღლა გაჰყვირის, ამიტომ მისი ხმა მთელ ქალაქს ეღება).

აალაჰუ აკბარ! აალაჰუ აკბარ!

მაია ყურადღებად იქცა. ელოდება, კვლავ როდის მოუწოდებს მუმიინის მაგნიტოფონზე ჩაწერილი ხმა ხალხს ლოცვისაკენ, მაგრამ ამაოდ. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ამ სიჩუმეში მკაფიოდ ისმის, როგორ მოხდევს ტალღა ტალღას.

**მაია** (მონოლოგს განაგრძობს). „დიდებული საქმე მოხდა იმ დამეს, ოთარბეგ, დიდებული! როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებს ის ამბავი მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაშინდა მიეხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ადამიანად...“ (შეღებება, რადგან არ მოსწონს კითხვის თავისი მანერა). გააფრენს, ეს მონოლოგი რომ ასე ვთქვა, გააფრენს: იდიოტო, ყვეყნო, ბატოო, — იყვრებს (გარინდება. ფიქრობს, შინაგანად მობილიზებას ცდილობს და უფრო გააზრებულად იწყებს მონოლოგის კითხვას). „მაშინდა მიეხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ადამიანად

მოცოდვა გლახა ანანია და მითხრა (კვლავ შეღებება, ნათქვამს გონების თვალს გადაავლებს, როგორც ჩანს, მოსწონს. განაგრძობს.), მოცოდვა გლახა ანანია და მითხრა: მაჰმადიანნი შენს შვილს ეძებენ, ყველაზე მეტად მისი ეშინიათ, აქეთ მომეცი შენი შვილი და მაშინ მოგგერი, როცა დრო დადგება. დაე, ჩემი შვილი მოკვდეს მაგის მაგიერო. გამომართვა ჩვილი და გაქრა. ხოლო როცა ოთახში მტარვალნი შემოიცივდნენ, ხელში ანანიას შვილი მეჭირა. მოღალატე თავადიშვილებმა ორივე ერთად გამოგვათრიეს სასახლიდან, დედოფლად მომრთეს, ხელში ოქროს სინი მომაჩვენეს, ზედ უკვე აღებული ციხის ვასალება დადეს და მტკვრში დამარჩქეს (ხელგაწვლილი დაიჩოქებს და ლამის ცრემლმორეული შესძახებს.). მეერ ის საცოდავი ბავშვი...“

**თინა** (ამასობაში თავს წამოსწევს, თვალს იფშენებს). ერთი მაგ შენი თავადიშვილების და მათი მეზობელ-ნათესავეებისა, რა გააწყალე, ქალო, გული!

**მაია** (თინას ყურადღებას არ აქცევს, ზეინაბის ტექსტის კითხვას განაგრძობს). „მერე ის საცოდავი ბავშვი შებოჭვს და ჩემს წინ დააგდეს. მობრძანდა გამარჯვებით მთვრალი, ცხენზე ამხედრებული სოლეიმიან ხანი...“

**თინა**. შენ თუ არ გეძინება, მე რაღას მერჩი?

**მაია**. „დაჰხედა ბავშვს და... ცხენმა შიგ გულში ჩასცა ფეხი. ო, როგორ შესწივლა საცოდავმა, შესწივლა უკანასკნელად!“ (სახეზე ხელებს აიფარებს).

**თინა** (საწოლზე გადაკოტრიალდება). მორჩა! გაათავებს, რა! იქნება ახლა მაინც დამაძინო!

**მაია**. აქამდე ვინ გიშლიდა?

**თინა**. მაშაყირებ? ისეთი ტრაგიკული ვიჭირავს, ისე მაგრად ახურებს, რა დამაძინებს.

**მაია**. მე კი არა, დედოფალი.

**თინა**. შენა ხარ დედოფალი? შენ საქართველოს დედოფალი ხარ?

**მაია**. არ ვარგა?

**თინა**. მაგარი ხარ!

**მანია.** მითხარი რა, სიმართლე მითხარი!

**თინა.** გეზუმრები, მაკო, იცი, რა კარგი იყავი?!

**მანია.** წადი!..

**თინა.** მართალს გეუბნები. ძილშიც კი ჩამესმა და ჟურნალტელმა დამიარა-  
**მანია.** აბა, არ შეგაგინებს?

**თინა.** ვინა, ვინ უნდა შეგაგინოს, ქალო, გლიჯავდი!

**მანია.** რეჟისორმა. ამ თვის ბოლოს პრემიერაა. უნდა წავიდე-მეთქი, რომ ვუთხარი, გააფრინა.

**თინა.** ახალგაზრდაა?

**მანია (როლის ტექსტს ჩასცქერის).** „დელოფლად მომრთეს, ხელში ოქროს სინი მომანჩეეს“ (თინას). რა თქვი, თიკუშკი?

**თინა.** რამედ თუ ვარგა-მეთქი, ეგ შენი რეჟისორი.

**მანია.** დამპალია, მაგრამ ანგელოზად გაჩვენებს თავს.

**თინა.** სად მივდივარო, რა უთხარი?

**მანია (ეშმაკური ღიმილით).** რას მუკითხები, ქალო, სად უნდა წავსულიყვი, არ იცი? ბიძაშვილი არ გარდამეცვალა? გააფრინა. პრემიერას ხომ არ გადავდებო. აი, ნაღდი ტრაგიჩესკი მაშინ დავიჭირე, კილონახევარი ცრემლი მაინც დავაქციე და გამოუვცხადე: მიცვალელებული პრემიერას ვერ დაელოდება. იმას ეგ სპექტაკლი უკვე აღარ აინტერესებს-მეთქი. — რატომ არ აინტერესებს, ეროვნულ სპექტაკლს ვღვაძო, — კიდევ უფრო გავიჟდა. — ეგ უკვე შეეწირა ეროვნულ საქმეს და ჩვენ რომ ვასვენება გადავდოთ, მისი მეგობრები არ დაგვანებებენ-მეთქი. — ვინ მთარტყა, პოზიცია-მ თუ ოპოზიციაში, — რატომ იკითხა, ხომ იცი? უნდოდა გაეგო, ვის მხარეს ვიყავი.

**თინა.** ეგეთები უნდა აიყვანო, გოგო!

**მანია.** აიყვანო! ეგ ისეთი მეღაა... პრემიერის წინ შარი არ უნდოდა და ამიტომ გაყუნდა, თორემ...

**თინა.** რატო, ეგ პრემიერა ეგეთი რა არი...

**მანია.** ახალ მთავრობას უძერება...

ძველს აბითურებს, ნახეთ, რა ბიჭი ვარო. სანამ ისინი იყვნენ, კულში დასდევდა, მაგრამ არ გაიკარეს, ახლა...

**თინა.** უნდა მიუაღერსო, ქალო, ერთი-ორჯერ კარგად მიუაღერსე და მორჩა, შენი ვახლება! ჩვენი მთავარი ინჟინერი მიხურება. სული ამომხადა, შენაო, ჯერ პატარა ხარ და ძალიან ბევრს თხოულობ, სამსახურშიც კვირაში ერთხელ თუ შემოივლიო. გითხრა, რა დღეში ჩავაგდე?

**მანია.** რა უყავი?

**თინა.** სულ უბრალოდ გადმოვაცირავე: ქუთაისში ვიყავით ექსკურსიაზე მთელი ლაბორატორია. გელათში პურ-მარინი რომ გაშალეს, ნუ სვამთ, გული ცუდად გაგიხდებათ-მეთქი, შევეუნდი. ძალიანაც კარგად ვარო, იქაჩებოდა. ტურბაზაში ნომერში შევეყვი. თქვენი ფერი არ მომწონს, უნდა მოვხვდით-მეთქი. ოთახში მართო იყო. ეგენი დიდაცები რომ გახდებიან, მერე ხომ არავის იკარებენ. ფერიც კარგი მაქვს და ჯანიცა, იკლავდა თავს. არა, ცუდად გამოიყურები-მეთქი. ტანსაცმელი გავხადე, გახდისას აუწუწუნე და მორჩა! მთელი დამე იმასთან ვიყავი.

**მანია (სიცხით).** მოეწონა?

**თინა.** ბებიამისისამ, არ მოეწონებოდა! ასოციალიანი ცოლი ჰყავს!

**მანია (იცინის).** კარგად შეგებია!

**თინა.** ჯერ სადა ხარ! გათენებისას ტირილი დავიწყე, ჩემი ქალწულობა ნასვამ კაცს როგორ ჩავაბარე, ან მშობლებს რა ვუთხრა, ან მეგობრებს-მეთქი.

**მანია.** გადაგირევია საცოდავი!

**თინა.** სხვა რა გზა მქონდა, ვერაფრით ვერ მოვტეხე რქები!

**მანია (ინტერესით).** ამ ამბავმა სიცხლის გუნებაზე დააყენა. მერე, მერე?!

**თინა.** რა მერე, საქმე ბოლომდე ხომ უნდა მიმეყვანა! თბილისშიც ორჯერ-სამჯერ ვაკისრებინე და გამოვუცხადე, შენგან ფეხმძიმედ ვარ-მეთქი.

**მანია.** გააფრენდა!

**თინა.** გააფრინა რომელია! დაიწყო ზახოლები რესტორნებით, საჩუქრებს მორთმევით, აბორტი გაიკეთო...

**მანია** (სიყვარულით, აღერსით). ავა-  
 ზაკო! უსირცხვილო! უნამუსო! პატიო-  
 სან კაცს ასე უნდა მოექცე? (კარზე აკა-  
 კუნებენ. თინას.) ვინ არის?

**თინა** ჩუ! (პაუზა.) მეზობელთან მო-  
 ვიდნენ, გამაგიჟებს ეს ტანიია თუ ვი-  
 ლაც!

**მანია**. ქალო, ახლახან არ გაისტუმ-  
 რა? რა მავარი ვინმეა! (საუბრის თემას  
 უბრუნდება). აი, ეგ შენი მთავარი ხე  
 ეგრე აიყვანე, ჩვენი მთავარი რეჟისორი  
 კიდეც ისეთი დამპალია, დღეს რომ პო-  
 ლნი კატუშკით აგრიალო, ზვალ ზედაც  
 არ შემოვხედავს, ნევიჟუს გაგიკეთებს.

**თინა**. ეგ თუ არ მოვჩანგლე, ქალი არ  
 ვიყო. პრემიერაზე ბანკეტი ხომ გექნა  
 ბათ?

**მანია**. ბანკეტი, არა!

**თინა** (გაოცებული). როგორ, პრემი-  
 ერის მერე პურ-მარილს არ გაშლიან?

**მანია**. მოკვდა ეგ დრო! ახლა ყველა  
 მათხოვარია!

**თინა**. მანაც მოვჩანგლავ.

**მუჟიკინის ხმა**. ალაპაჟ აკბარ... აალ-  
 აჟუ აკბარ!

**თინა** (პირჯვარს იწერს). გაგიხმა ენა-  
 რა ამბავში არიან, ქალო, რამდენს ლო-  
 ცულობენ!

**მანია**. შენ რა გენადვლება.

**თინა**. ლოცვის, ვაჭრობის და (ნინი-  
 კოზე ანიშნებს), ამას რომ უყვარს, იმ-  
 ის მეტს არაფერს აკეთებენ.

**ნინიკო** (ლოგინიდან). ვითომ თქვენ  
 არ გიყვართ!

**თინა**. გაუღვიძინია!

**მანია**. ოჰ, სალამ ალეიქუმ, გურჯი  
 ხათუნ!

**ნინიკო** (ლოგინიდან თავს წამოს-  
 წევს, იზმორება). კარგით რა, გოგოებო,  
 ნამუსი არა გაქვთ?

**მანია** (თამაშით, ღიმილით). როგორ  
 გეძინათ, ნინიკო ხანუმ, როგორა ხართ?  
 ღამე ხომ ტკბილად გაატარეთ, ხომ  
 არაფერი დაგკლებიათ?

**თინა**. ყველაფერი ხომ სრულად მი-  
 იღეთ?!

**ნინიკო** (თვალეებს იფშენებს, ამ-  
 თქნარებს). მოკეტეთ ახლა!

**მანია** (სოფლურ კილოზე) დედა, დე-  
 და, რა ესმის ჩემს ყურებს! სულ გაფუ-  
 ჳდა ეს გოგო! მოკეტეთ, ამბობს. მაგა,  
 მგონი, სხვა რამეზეც არ იტყვის უარს.

**ნინიკო**. სულ არ გებრალბებით. ექვს  
 საათზე მოვედი და ისე დაეწეპი, არც  
 ერთს არ გაგივიათ, თქვენ კი რამდენს  
 ქაქანებთ!

**თინა**. ქალო, რა დროა, თუ იცი?

**ნინიკო** (ამოქნარებს). რა მნიშვნე-  
 ლობა აქვს!

**თინა**. ათი ხდება. ადგი, საუზმეზე ჩა-  
 ვიღეთ, თორემ მშვიერი დაერჩებით.

**ნინიკო**. ერთი მაგათი საუზმეც! ერ-  
 ბოკვერცხი, ჩაი, ერბოკვერცხი, ჩაი!  
 იმდენი კვერცხი მაჭამებს, მალე წიწი-  
 ლებსაც გამოვჩეკავ. კა-კა-კა-კა-კა!..

**მანია**. შენ, გეტყობა, ძალიან მშვიდი  
 ღამე გქონდა.

**ნინიკო**. მშვიდი კი არა...

**თინა**. ჟმოტი ხო არ გამოდგა?

**ნინიკო**. ვახოს დედა უნდა ვუტი-  
 როთ, ვოგოებო! (ისევ ამოქნარებს). ვა-  
 იმე, მეძინება! ვახო აფერიცტია!

**თინა**. ამ დილაადრიან ვახოსგან რა  
 გინდა?

**ნინიკო**. ერთი ეგ მუტრუკი გემრი-  
 ელად მაჭეფინა და...

**თინა** (აღერსიანი გაფრთხილებით).  
 ნინიკო ხანუმ! ვახოს შეეშვი!

**ნინიკო**. შევეშვა? იცი, ჩვენი რა  
 მაყუთს ღუნავს?

**თინა**. ღუნავს არა!

**ნინიკო**. მთელი ღამე არ მომასვენა  
 ჩემმა კაცმა. ცოფიანივით იყო შობელ-  
 ძალი! რომ ვუთხარი, დამასვენე-მეთქი,  
 იცი, რა იკისრა? ქაღალდზე ოცდაათი  
 დამიწერა. ოცდაათი დოლარი ტყუილად  
 ხო არ გადავიხადეო.

**მანია**. ოცდაათი დოლარი?

**ნინიკო**. აბა?! შენ რა გვინია! შენს  
 კაცს ნაკლებს წაართმევდა?

**მანია** (თითქმის ოცნებით). ოცდაათი  
 დოლარი, რამხელა ფულია! ერთ ღამეში  
 ოცდაათი დოლარი!

**ნინიკო**. ჩვენ კიდეც რას გვაძლევს?  
 ლენინისთავიან ქაღალდებს! ვის რაში

სჭირდება? რაში გამოგადგება? რა ფა-  
სი აქვს?

**თინა.** საჩუქრები? საჩუქრებს რატომ  
არ თვლი?

**ნინო.** საჩუქრებს ისინი იძლევიან,  
ვახო ხო არა!

**თინა.** რა გაჩვენოთ, გოგოებო, დაიბ-  
რიდებით! (საწოლის ქვეშოდან ჩანთას  
გამოაცურებს, ჩანთიდან ღამის პერანგს  
ამოიღებს). ჰა, რას იტყვიო?

**მანია.** თიკო, გლიჯავ!

**ნინო.** სადაურია?

**თინა.** შეიღ ინ ფარცხანაყანები! ამე-  
რიკაა, ქალო, ამერიკა, შეხედე!

**მანია.** რა იღბალი გაქვს!

**თინა.** ამას, გენაცვალე, იღბალი კა  
არა, საქმის ცოდნა უნდა!

**ნინო.** ეგ რომელმა დაგირტყა?

**თინა.** გუშინდელმა. შოფერი ყოფა-  
ლა.

**მანია.** შოფერი ხომ გუშინწინდელი  
იყო!

**თინა.** გუშინწინდელი ელექტრიკი  
იყო.

**ნინო.** მაგან იჟმოტა, ხომ?!

**თინა.** ისე რა, ბასანოტკები არ მომ-  
ცა?

**ნინო.** ჰო, გამახსენდა. კარგი ბა-  
სანოტკებია.

**მანია.** თბილისში ათასი მანეთი უნ-  
და!

**ნინო.** ნამუსი აღარ არი? ოცდა-  
ათი დოლარი ვახოს, ჩვენ საჩუქრები,  
ზედ ხო არ გადაგვეყვებიან. შენ იცო,  
ოცდაათი დოლარი რა ფულია? გადაიხა-  
და იმ კაცმა და მორჩა!

**თინა** (კვლავ ცდილობს საუბრის თე-  
მის შეცვლას). შენ არაფერი გაჩუქა?

**ნინო** (თვალეები გაუბრწყინდა).  
არა ბიჭო და!..

**თინა.** ჰა!

**მანია.** გვაღირსე!

**ნინო.** მაგის ჩიტები ვართ ახლ  
ჩვენ?

**თინა** (აღერსიანი გაფრთხილებით).  
ნინო, გაილაზები!

**მანია.** წამოგაქცევთ და იმ თათარივით  
გიზამთ!

**ნინო.** ვაიიი, ვაიი!.. ვინც ვარა! (იხ-  
მორება). ეს ვინ იყო, ხალხნო, ეს ვინ  
იყო, გოგოებო, რომ იცოდეთ, გააფრენ!

**თინა.** დაგლიჯა?

**ნინო.** დაგლიჯა რომელია!

**მანია.** ასეთი რა გიქნა, ქალო!

**ნინო.** ერთ ღამეს ამდენი სიაბოვ-  
ნება არ შეიძლება, მეტისმეტია!

**მანია.** თავი ხომ არ შეგაყვარა?!

**თინა.** შენ კიდევ ვახოზე ახურებ,  
ეგრე და ეგრეო!

**ნინო.** ვახოსთან სხვა საქმე მაქვს.  
მაგრამ ევეთი ვემრიელი? არა, ძალიან  
მაგარი ვინმეა! მაგან უნდა თქვას, რასაც  
ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებო. ნამუსა  
რომ იყოს, იქით უნდა ჩუქნიდე.

**თინა.** მერე მიეცი ეგ ლენინისთავი-  
ანები და სიხარულით გააფრენს.

**მანია.** გვაჩვენე ახლა, რა გაჩუქა ასე-  
თი!

**ნინო.** რატომ გაჩვენოთ, გულები  
რომ დაგისკდეთ?

**თინა.** ამოიდე, ქალო!

**მანია.** ამოიდე, თორემ იმ თათარს  
დავუძახებთ.

**ნინო.** მთელი ღამე არ მომასვენა,  
მაგრამ მაინც პაჟალუისტა, შუადა ვარ!

**მანია.** მაშინ ვახოს მოგიჩენთ!

**ნინო.** ფუი!

**თინა.** რას ჩააცვიდა ამ ვახოს, რა  
უნდა იმ ბიჭისაგან!

**ნინო.** იმის მერე ვახოს ხსენება?  
(ჩანთა მასაც საწოლის ქვეშ მოუქცევია.  
გამოაცურებს. ნელა, ხაზგასმული აურ-  
ქარებლობით ამოაქვს ბრჭყვიალა ქაღა-  
ლში გახვეული საგანი).

**მანია.** რა ჰქვია?

**ნინო.** ვისა?

**მანია.** შენს თათარს.

**ნინო.** რა ვიცი. სახელი რაში გჭი-  
რდება, პასპორტისტკა ხო არა ხარ!  
(შაიასა და თინას ინტერესი რომ კიდევ  
უფრო გაამძიეროს, შეხვეულის გახსნას  
აყოვნებს).

**თინა.** გვაღირსე ახლა!

**მანია** (შეხვეულს ხელიდან გამოსტა-  
ცებს, უცებ გახსნის. გამოჩნდება ფერად-  
ფერადი ქვებით შემკული მალაყელია-

ნ ჩექმა). ამას რას ხედავს ჩემი შურით  
საესე თვალები, მიშველეთ!

**თინა** (გაოცებული, გაოგნებულიც  
კი). რა არის ეს, ქალო, ასეთი რა უქენი  
იმ კაცს! (გაბადრული ნინიკო კმაყოფი-  
ლი შესტკერის მაიასა და თინას). ასე  
როგორ შეაყვარე თავი!

**ნინიკო**. იცის ქალმა!

**მაია**. იქნებ, ვაბშე არ უნახავს ქალი  
და ამან გადარია?!

**თინა**. ნაღდად ეგრეა!

**ნინიკო**. ჰა, დაიწყო ბოღმების დაყ-  
რა?!

**თინა**. შენ კიდევ ვაზოზე ახურებ. ეს  
იცო, რა არის?

**მაია**. ჩემი იღბლის დედა ვატირე!  
სად წამომეწია!

**ნინიკო**. რას დაიბოღმეთ, ქალმა თა-  
ვისი ხელობა უნდა იცოდეს!

**მაია**. ასეთი რა გაქვს, დამანახე ერ-  
თი!

**ნინიკო** (მაიას). ჯერ ბავშვი ხარ,  
გაიზრდები და ისწავლი!

**მაია**. რომ გაეზრდები, მერე ვიღას  
უნდივარ!

**ნინიკო** (ჩექმაზე). თბილისში ოცი  
ათასი ზომ უნდა?

**მაია**. ოცი ერთი თვის წინათ უნდო-  
და, ახლა ოცდახუთიც არ ეყოფა!

**თინა**. ბიჭმა რა ბედს გწია, სად წა-  
მოგიყვანა და შენ კიდევ რა ამბავში ხარ!

**ნინიკო**. ვაზო ნამირალაა!

**თინა**. ფულის გულისთვის ჩვენს ბი-  
ჭებს ნუ შესდგები!

**მაია** (სევდით, იქნებ, ბრაზითაც კი).  
ვითომ ამ თათრების წინწაჭრილი...

**ნინიკო**. მეფე-ბატონი!

**თინა**. მეფე-ბატონი არა, ზარბაზანი  
არ გინდა?!

**ნინიკო**. მეფე-ბატონი, ჰო, მეფე-  
ბატონი! აბა, რა გგონია! თუ ნაღდა, ა  
მეფე-ბატონია, თუ არადა...

**მაია**. რა უზრდელი ხარ, ნინიკო?

**ნინიკო**. ვისაც სხვანაირი შეხვდა,  
იმან იკითხოს, თორემ...

**მაია**. ნუ გაახურე!..

**თინა**. ჰო, კარგი, ეგრე იყოს!

**მაია**. აღიას ან ნურიეს მეფე-ბატონი  
რით სჯობია ზურიკოს თუ დათუნია  
მეფე-ბატონს?

**თინა**. გამაგიჟებს ეს ქალი! შენ აქ  
მეფე-ბატონის გულისთვის ჩამოხვედა?

**მაია**. რას ამბობ, ქალო, გადაირიე?  
მეფე-ბატონისათვის მცხეთაში არ წა-  
ვალ.

**ნინიკო**. ვაი, ვაი, ვაი! ესენიც იტყ-  
ვიან, ქალები ვართო, რას ამბობენ! თქვენ  
არ გცოდნიათ, რა არის ნაღდი მეფე-ბა-  
ტონი. თუ ნაღდი არ შეგხვედრიათ, უბე-  
ლური ქალები ხართ, მაგრამ თუ შეგხვე-  
დრია და არ დაგიფასებია, ქალი კი არა,  
მარადმწვანე ბუჩქი ხარ, ასე რომ გა-  
უშლია ტოტები, ა! (ხელებს გაშლის).

**თინა**. სექსის პროფესორს გაუმარ-  
ჯოს.

**ნინიკო**. პროფესორი კი არა, უმცრო-  
სი მეცნიერი მუშაკი ძლივს გავხდი.

**მაია**. თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით,  
მე ჩვენი ბიჭებისას არაფერი მირჩევნია.

**თინა**. შენ გენაცვალე, ეროვნული  
სულისკვეთების სიძვის დიაცო, შე-  
ნა!

**მაია** (იცინის). ეგრე არა სჯობია?!  
თუ სამსახურია, შენს ხალხს უნდა ემ-  
სახურო.

**ნინიკო**. ახურებთ და რას ახურებთ!  
რა შუაშია ჩვენი ბიჭები და იმათი ბიჭე-  
ბი! მთავარია, კაცი კაცად ვარგოდეს,  
თორემ სხვას რა ჭკუა აქვს!

**მაია**. ჩვენი მაინც ჩვენია, ნინიკო!

**ნინიკო**. ჩვენი ბიჭები წავიყვანენ,  
ბრეკით გულს შეგიჭამენ, მერე ქვეყნას  
მოსდებენ, ჩემია და ხელი არავინ დააკარ-  
ოსო, თვითონ კი საღდაც გადაიკარგებიან  
(ცხარდება). ისე დაიკარგებიან, იმათ  
ასავალ-დასავალს ვერ იპოვი. ამასო-  
ბაში ისიც გავიწყდება, რა როგორ იყო,  
კაცი გენატრება, ქალო, კაცი! ისინი კი  
დეკ... (პაუზა). მერე სხვა რომ გამოჩნ-  
დება, საქმეს რომ ააწყობ, იმ შენი და-  
თუნიას თუ ზურიკოს ძმაკაცი გაგექა-  
ჩება, ჩემს ძმას რატო დალატობო, იმ-  
ას რატო არ ელოდებიო. რატო, რისთვის

ერთი ნაწილი  
სიყვარულით

უნდა ველოდო, შინმოუსვლელის დედა ხო არა ვარ?!

**თინა.** პო, კარგი ახლა, იმას ხო იცი, რაც მოუვიდა!

**ნინიკო.** მერე ვისი ბრალია, რომ მოუვიდა? სად ვარბოდა? რას დაარბუნებდა იმ დროშებს? კვირაში ერთხელ მაინც არ უნდა გავხსენებოდი? კვირაში ერთხელ მაინც! მერე დროშა დააგდო და ავტომატი აიღო ხელში. მე? მე რა ვქნა?

**თინა (საყვედურით).** ნიი, იმას დაანებე თავი!

**ნინიკო (პაუზის შემდეგ).** დაანებე თავი! სულზე ვიფარებთ ლევდის ფოთოლს, სულზე! (პაუზის შემდეგ. ხმადაბლა.) ბერძენებმა ლევდის ფოთოლი იმიტომ კი არ დაიფარეს, რომ რაღაცას მაღაყდნენ — ყველამ იცის იქ, იმ ადგილას, რაც არის — იმ ფოთლის დადებით ის გვითხრეს, რომ ესეც არისო ცხოვრება. ამით სული ვაითაეისუფლეს.

**თინა.** ჩუ! რა ხდება?

(მეზობელი ოთახიდან ქალის კრუსუნო ისმის. ხმა ისე მკაფიოდ მოდის, თითქოს იმ ოთახში გამაძლიერებელი იდგეს).

**მანი.** რას უბერავენ!

**თინა (ხმადაბლა).** ეს ტანია რა მკვარია, ქალო, რამდენს უძლებს!

**მანი (თავშეკავებული სიცილით).** ეტყობა, ციმბირში კარგად ავარჯიშეს. (ტანიამ შეჰკვივლა).

**თინა.** თამაშობს, ახლა თამაშობს. ჰკონია, თათარს გააგიჟებს.

**მანი.** მაგას ჭამს თათარი?!

**თინა.** ციმბირში სემენას ცხრა საათზე იწყებს, აქ რვაზე შეუდგა საქმეს.

**მანი.** რა გაძლება ჰკონია, ქალო!

**თინა.** ეგენი? ეე!..

**მანი.** აქ ჩამოსვლა ოცი ათასი მანეთი ღამიჯდაო. ხომ უნდა აანაზღაუროს...

**ნინიკო (ბრაზით).** ხამაგიეროდ, რასაც შოულობს, თვითონ მიაქვს, ვახო-მახო კი არა ჰყავს განხერილი ყელში.

**თინა.** ისევე ვახო, ახლა კიდევ მახო! რა გინდა იმ ბიჭისგან, შეეშვი-

(ღუმილი).

**მანი (ნინიკოს).** თქვი რა, ნინიკო! ნინიკო (უკმაყოფილოა). რა ვთქვა, რა გინდა?

**მანი.** როგორი იყო შენი კაცი. სად იყავით?

**ნინიკო (თვალები გაუბრწყინდა).** სვეტი, ნაღდი სვეტი! ხავერაში მიმიყვანა? დაიბრიდებოდი. რა მებელი, რა სპალნა! ერთი კაიფი იმ სპალნაში გრიალი იყო!

**თინა.** შენ? შენ რა ჰქენი წუხელი?

**მანი (უხალისოდ).** რა უნდა მექნა, მეც იმას ვშერებოდი, რასაც თქვენ.

**ნინიკო.** სიმებიანი კვარტეტისათვის მუსიკა ცუდად დაგეწერიაო, შენ არავინ დაგაბრალებს. გვითხარი ახლა, სად იყავი, როგორი ტიპი იყო.

**მანი.** იყო, რა...

**თინა.** ამოიღე, ქალო, ხმა. სად წაკიყვანა, რა გაჩუქა!

**ნინიკო.** სახლში მივიყვანა?

**მანი (აშკარაა, რომ ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს).** ისე, რა უშნო სახლები აქვთ, არა?!

**ნინიკო.** აქ უშნო სახლი სად იბოვე?

**მანი.** რამდენიც გინდა! პაწია, მოგვაჯული.

**თინა.** მოიცა, მოიცა, რასაც გეკითხებიან, იმაზე რატო არ იძლევი პასუხს?

**მანი.** რა პასუხი გინდა! სიმებიანი კვარტეტისათვის ვწერდი მუსიკას.

**თინა.** (სიცილით). თუ სასულე ორკესტრისათვის?

**ნინიკო.** გაჩუქა რამე?

**მანი.** ისე, რა!

**თინა.** სულ არაფერი გაჩუქა?

**ნინიკო.** ვახოს ხომ მისცა! ამას რაღას არუქებდა! შტერია ეს ვახო — შენთვის ხნიერი კაცები უნდა შეარჩიო. პატარა გოგოები ხნიერებს უყვართ. მა ყუთსაც კარგად ღებენ.

**თინა.** სულ არაფერი გაჩუქა? სულ!

**მანი.** არ იყო, რა... სიტუაცია არ იყო.

**ნინიკო.** გამაგიჟებს ეს ქალი! მე რომ ყველაფერი მომეყოლეო, შენ არ გეკადრება? რატომ არაფერს ამბობ?

**თინა.** ამოდრე, ქალო!

**მანია.** მანქანაში გამაშიშვლა იმ შობელმადლმა!

**თინა (გაკვირებული).** მანქანაში?!  
**ენიკო.** მერე რა მოხდა. მანქანის ხეკისც არსებობს. შენ ის თქვი, პრეზენტად რა მოგცა.

**მანია.** დამანებეთ თავი, რა პროკურორებივით დამესიეთ.

**ენიკო.** ცუდად ხო არ მოგექცა? ვა ხოს დედა უნდა ვუტოროთ გოგობო!

**მანია (უჭირს. თვალზე ლამის ცრემლი მოადგეს).** არ ვიცი, არ ვიცი...

**თინა.** მაკუნი, შენ რაღაცას გვიპლავ.

**ენიკო.** ცუდად მოგექცა?

**მანია.** ფული მე მივეცი.

**ენიკო (ლამის ადგილიდან წამოიჭრას).** რა თქვი? რას ამბობს..

**თინა** გააფრინე?!

**მანია.** გააფრინე, პო, გააფრინე! შაშველი, სულ შიშველი ვეგდე იმის მატარებელივით გრძელ მანქანაში... შტერი იყო, ნაღდი იდიოტი! ისე შემცივდა... მერე პოლიციელები დაგვადგნენ თავს.

**თინა.** პოლიციელები?

**ენიკო.** პოლიციელს რა უნდოდა, აქაც ისა? აქ ხო თავისუფლება!

**მანია.** თავისუფლება!.. არ შეიძლებაო, პარკში ხართო... საბუთები მომთხოვეს. პოლიციაში ეგრე შიშველი მივყავდი... ჩაცმა რომ დავაპირე, ლამის კაბა შემომბალოვდა... ეგრე უნდა წამოხვიდეო... ის შტერი კიდე რაღაცას ელაპარაკებოდა, უხსნიდა... სურათი გადამიღეს..

**თინა (შეპრწუნებული),** სურათი? შიშველს?

**მანია.** შიშველს, პო... ოთხჯერ გადამიღეს... რაღაცას მეუბნებოდნენ, მერე იმ დებილმა ფული ამოიღო, მისცა საკმარისი არ არისო... მეც ამოვიღე და დავუმატე.

**ენიკო.** შენი ფული მიეცი?

**მანია (ცრემლი ველში ეუჯინება, თავს იკავებს, ნინიკოს თავს უქნევს).** ჩემი ფული, პო.

**თინა.** შე საცოდავო, შენა!

**ენიკო.** რამდენი მიეცი?

**მანია.** თხუთმეტი დოლარი.

**ენიკო.** როგორ... ფული როგორ? მიეცი?!

**მანია.** რაღაცაზე ხელი მომაწერონეს. იმან ჩემი თხუთმეტი დოლარი თავის ფულს დაამატა (ცრემლს ვეღარ იკავებს. ტირილი ერევა). რატომ, რისთვის?! სკამი არ გვაქვს სახლში, სკამი ერთი ტიპი მყავდა საკონსერვო ქარხნადან... ის გვარჩენდა... ქუჩაში მოკლეს... მანქანას ართმევდნენ, არ დანება დიქვე გააგორეს (მწარედ მოთქვამს).

**ენიკო (მოთმინებადალული).** კარგი, გაჩუმდი!

**თინა (ცრემლმორეული).** გაჩუმდა, გაჩუმდი, ნუ ლაპარაკობ!

(დუმილი, მხოლოდ მაიას ქვითინიღისმისი).

**ენიკო (მაიას მიუჯდება, ეხვევა, ალერსით).** კარგი, რა, მაკუნი, დაწყნარდი. მაგათი ქაღალდები ფეხებზედაც არა გკიდა? რამდენიც უნდათ, იმდენი წერონ და იკითხონ. ერთ კვირაში წახვალ აქედან და მორჩა! აი, ეს შენ! (ჩანთიდან ფულს ამოიღებს, უბეში ჩაუწურთავს, დიმილით). მაგისტრის ტირი? გადი და თხუთმეტი დოლარს ორ საათში შემოიტან. ერთი თათარი და მისი ჯანი! (მაია კვლავ ტირის).

**მუშაინის ხმა.** ალაპუ აკბარ! ალაპუ აკბარ!

**ენიკო (პირჯვარს გადაიწერს.)** ფუი!

**თინა.** სწორს ამბობს ნინიკო, მართალია. ფულისთვის ტირილი? ჩემმა კაცმა ათდოლარიანიც მანუქა, დღესაც მომცემს ვიღაც, ა, ჩაიდე ეს... ჩაიდე, ჩაიდე! შენც მოგცემენ, რა გგონია. რა არი, გოგო, თხუთმეტი დოლარი — სამი ყაყა და ნამცხვარი — მეტი ხომ არაფერი?! არც კი!

**ენიკო (თინას შეუძახებს).** კარგი, ახლა, გაათავეთ ამაზე ლაპარაკი. ეგ ამაზე დაივიწყე, მაკო! გინდა, ჩემს კაცზე გაამბოვო კიდეც.. იცი, რა სახლი იყო? გლიჯავდა. სავარძელში მოვეყუნდი თუ არა, სივარა მომართვა. თვითონ აბაზა

ნაში შევიდა, ნაბანავეებზე ხალათმოსხმული გამოვიდა და, ახლა შენ შედიო მეც ხალათი ჩამაცვა და ისე მებაასებოდა, თავი მარგარეტ ტეტჩერი მეგონა ჩვენები რო თხუთმეტ წუთში მოათავებენ ყველაფერს, ისე კი არ იყო! დინჯად იქცეოდა, არ ჩქარობდა. ერთ ჭიქ-შამპოს მთელი საათი ვსვამდით. მერკ დაიწყო, რაც დაიწყო, აი, სექსფილმებში რომ გინახათ (კარზე აკაკუნებენ. შინა ადგილიდან წამოიჭრა, კარისაკენ გარბის).

**თინა.** მაკო, ვის ელოდები?

**მანია.** ნაღდად ის არი, თხუთმეტი დოლარი მოიტანა! (კარს ალუბს. კარებში ღიმილად ქცეული, სახეგაცისკროვნებული ნური ღვას — ერთი ხანმორეული, ჭადარა, კაფანდარა კაცი.)

**ნური.** სალამ, სალამ გურჯი ხათუნებს.

**ნინიკო.** მია ნურის მივესალმემა ორმოცი ცხენოსნით!

**ნური.** აი, გურჯისტანული! ეს მექლექეთურია! ჩვენ, ოსმალეთის გურჯები გვიხარეთო გურჯი ხათუნების ჩამოსვლა (თინას). ჩემი თინათინ ხათუნი როგორ არის?

**თინა.** კარგად, მია ნური, ისე, როგორც უნდა იყოს გურჯი ხათუნი!

**ნური.** (სიყვარულით). ჩემი თინათინ ხათუნი! რა კარგია, გურჯები დასასვენებლად ოსმალეთში ჩამოდის. ავერ, აირანი ფეშქეში! (ჩანთიდან ქილებს ამოალაგებს და შავიდაზე აწყობს.) დალიეთ!

**თინა.** როგორ სწუხდებით, მია ნური! გუშინ ლეღვი, დღეს — აირანი! ძალიან გთხოვთ...

**ნური.** აირანი — დილის მადლი. აი, ისა... ვითომ რძე... მუავე რძე, ლამაზი გოგო, ლამაზი ბიჭი... გუშინ ჩემი ფრიდონი გნახა.

**თინა.** (შეშფოთებული). სადა?

**ნური.** აქ, ოტელთან მოვიყვანე, სალამოს.

**ნინიკო** (ხმადაბლა). ლამე არ სჯობდა?

**მანია.** ფრიდონი ვინ არის?

**ნური.** ფრიდონი! ჩემი ძე! ფეხლებანი ფრიდონი... აფრიდუნი!

**ნინიკო** (თინას გადაუჩურჩულა). ქმარიც დაირტყი?

**ნური.** ახლა ნური წავიდა, აფრიდუნი მოვიდა. თინათინ აფრიდუნ გვბეჭე... გაისეირნოს... ხო? თქვენში ურავლი იცის?

**თინა.** ურავლი რა არის?

**ნური.** ურავლი, თინათინ, ურავლი!

**თინა** (გოგოებს გადახედა). არ ვიცი, არ გამიგია...

**ნური.** აი, ისა... (სიტყვა ვერ მოუგონებია). სიმემ შენს მამას... სიმამრი...

**თინა.** სასიმამროს...

**ნური.** ჰო, ჰო, ჰო... სასი... სასიმამროს ფული მოუტანა, მადლობა, ეგ გოგო ჩემთვის გავიზრდიაო.

**ნინიკო** (ეს ინფორმაცია მხიარულ გუნებაზე აყენებს). რაო, რაო.

**მანია.** ჩემთვის გავიზრდიაო?!

**თინა.** ფულს აძლევს?

(სამივენი — თინა, მანია, ნინიკო გულიანად იცინიან).

**ნინიკო** (მანიას ხმადაბლა). მამაშენი რა მაყუთს დაირტყამდა!

**მანია.** უზრდელო!

**თინა.** არა, ჩვენში ასეთი რამ არ არის!

**ნური.** გურჯისტანის ხალხი — მდიდარი ხალხი! გურჯისტანში ყველას დიდი სახლი, დიდი ავტო... გურჯისტანის გურჯი ხათუნ თინათინ და თურქიეს გურჯი ფეხლებან ფრიდონ, აფრიდუნ იქნებოდეს ერთი ოჯახი! (მიდის) ახლა ნური წავიდე, ფრიდონი მოვიდეს... ორი გვხვებენ... გვხვებენ! სეირნობა წავიდე (გაღიბს).

**ნინიკო** (სავარძელში ჩაეშვება). დაირტყი?

**მანია.** მაგასაც დოლარი არ მოსთხოვო, გოგო!

**ნინიკო.** ერთი დამანახა, როგორ ავიხსნის სიყვარულს.

**მანია** (გათამაშებს). გურჯისტანის მზეხათუნო თინათინ... მზე აღარ ამოღია ჩემთვის... მე აღარ მინდა მზე იმიტომ, რომ შენ ანათებ ქვეყნიერებას, გაანათო



ჩემი სულიც... გაანათე ღამე, მემლექეთი-  
დან ჩამოსული სხივო, გაანათე სული  
ჩემი!

**ნიკიპო.** და ლოგინიც ჩემი. ოცდა-  
ათი დოლარი ფეშქეშ!

**თინა.** რატომ ღადაობთ? ამ კაცს  
რომ ველაპარაკები, ასე მგონია, ნამდვი-  
ლი საქართველო, ნამდვილი ქართველი  
კაცი დგას ჩემს წინ.

**ნიკიპო.** გააფრინე? ის არ არის ნა-  
მდვილი საქართველო?

**თინა (პაუზის შემდეგ).** მე აქ უფრო  
მომწონს (ფიქრობს). ქართველობა ამათ  
შეუნახავთ, ხედავთ, რა მორიდებულნი  
არიან... ერთიმეორისადმი პატივისცემა  
სუფრაზე, საღვებრძელოში კი არა,  
ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. იქნებ,  
ძლიერ სიყვარულს არც ამჟღავნებდნენ  
ერთმანეთის მიმართ, მაგრამ როგორ  
უფრთხილდებიან ერთმანეთს! ჩხუბი არ  
მინახავს ქუჩაში, ჩხუბი!

**მანია (მრავალმნიშვნელოვნად).** სიყ-  
ვარული, ძლიერი სიყვარული! (პაუზის  
შემდეგ, თითქმის მრავალმნიშვნელოვ-  
ნად.) ნეტავი, რანაირია?

**ნიკიპო.** მიშველეთ, სიყვარული მო-  
უნდა!

**თინა (იცინის).** რა კარგი ტიპია!

**მანია.** ვითომ თქვენ არ გინდათ! (თი-  
ნას) არ გინდა?

**თინა.** კარგი, რა!

**მანია.** თქვე, მართალი მითხარი — არ  
გინდა?

**თინა (პასუხს თავს არიდებს).** რაზე  
მეკითხები...

**მანია.** იცი შენ, რაზეც ვეკითხები —  
მიპასუხე. არ გინდა?

**ნიკიპო.** პა, გამოტყედი ახლა, რომ  
სლაბი ხარ!

**თინა.** რა ვიცი, აბა, ისე — რატომ  
არ უნდა გინდოდეს, მაგრამ სად... (პაუ-  
ზა). რა აზრი აქვს... მაგრამ ისე...

**ნიკიპო (მაიას).** მაკუშკო, იცი, რა  
სასაცილო ხარ?

**მანია.** ახლა შენ მიპასუხე, მხოლოდ  
სიმართლე მითხარი — არ გინდა?

**ნიკიპო (სიცილით).** რა — სიყვარუ-  
ლი? შენ იცი, სიყვარული რა არის? არ

იცი! ახლავე გეტყვი. სიყვარული გამო-  
იგონეს იმ ქალებმა და კაცებმა, რომლე-  
ბიც არავის არ უნდა, სიყვარული არ  
არსებობს. არის სურვილი, სურვილი  
სექსის, სურვილი ოჯახის შექმ-  
ნის, სურვილი ბავშვის გაზრდის,  
მაგრამ მთავარი მაინც არის სექსი — ამ  
ადამიანის სხეულის დოფულების სურ-  
ვილი, რომელიც გგონია, გიყვარს... იმ  
ადამიანთან აღერსის...

**ნიპალი (შემოდის, ორ-სამ ნაბიჯს  
გადმოდგამს, ოთახს მოათვალიერებს;  
ერთობ გამოშფეველად ჩაქმულს თავი უბ-  
რალოდ უჭირავს, მეგობრულადაც კი).**  
სალამი, სალამი, მოვესალმებით, გურ-  
ჯისტანიდან ჩამოსულ მეგობრებს! რა  
კარგი ვოგოები ხართ! მე ნიპალი მქვია,  
ვიცნობდეთ ერთმანეთს, ჩვენ ყველანი  
ერთ საქმეს ვეშასხურებით. თქვენ იქ —  
გურჯისტანში, ჩვენ აქ — თურქეთში.  
ამიტომ მეგობრები უნდა ვიყოთ (ნინი-  
კოს, მაიას, თინას უახლოვდება და თი-  
თო კოლოფ სუნამოს გადასცემს). იცო, რა  
სუნამოა? იაფფასიანი არ გეგონო! შესაძლოა,  
მეც ჩამოვიდე გურჯისტან-  
ში... როცა სროლას — ბახ-ბახ-ბახ —  
მოათავებთ, ჩამოვალ, არა სამუშაოდ, —  
სასეირნოდ, ქვეყნის დასათვალიერებ-  
ლად. თქვენ გულს ხომ არ გატყენთ.  
ჩვენში ასეთი წესია: აქაური ქალები  
ხოფაში დადიან, ხოფიდან კი აქ ჩამოვ-  
დივართ, ზოგჯერ სტამბოლშიც მივდი-  
ვართ... ზოგჯერ... დღეს ეს ქალაქი ჩვე-  
ნია. ორი თვეა, აქ ვმუშაობთ. ისინი, ვინც  
ჩვენამდე იყვნენ, ტრაპიზონში გადავიდ-  
ნენ. როგორც კი ქალაქი შეეჩვევა ქალს,  
ქალი უნდა წავიდეს. ისინი წავიდნენ,  
თუ სხვა საქმეს არ მოჰკიდეს ხელი, თუ  
არ გათხოვდნენ, ორი-სამი წლის შემ-  
დეგ დაბრუნდებიან. მერე ჩვენ წავალთ  
და ისევ დაბრუნდებით. აქ ასეთი წესი  
გვაქვს. თქვენ კი მოხვედით და ჩვენი  
წესი დაარღვიეთ. თქვენ ყანალობთ. ჩვენს  
საქმეში უნამუსობა არ შეიძლება (პაუ-  
ზა). იქ, გურჯისტანში რას უშვრებიან  
იმას, ვინც წესს არღვევს? (ღიმილით).  
აჰ, თქვენთან სულ ბახ-ბახ-ბახ! სროლა!  
აი, თქვენ? თქვენ რას უშვრებით წესის

დამრღვევთ? (კურტაკს გადაიწევს, წელზემით სრულიად შიმშილი დგას, ეს ამლიერებს ქალების დაბნეულობას, იქნებ, დააფრთხობს კიდევ სამივეს.) გასაგებია, რასაც უზამთ, ჩვენ კი მეზობლები ვართ. გურჯისტანი სამი საათის სავალზეა (ღიმილით.) ამიტომ ამ საღამოს ხუთ საათზე, ხუვსტად ხუთ საათზე, სამივენი სასტუმროს ფოიეში ჩამოხვალთ. საზღვრამდე მე თვითონ მიგაყვანთ... (კარისაკენ მიემართება. ორიოდ ნაბიჯს გადადგამს, მობრუნდება, გაფრთხილებით) — დღეს, ხუთ საათზე! (გადის. ღუმილი. ქალებს დაბნეულობა ვერ დაუძლევიათ).

მანიბ. რა უნდოდა?

(ღუმილი.)

რა ვქნათ?

(ღუმილი.)

რა ვქნათ-მეთქი!

(ღუმილი. მეზობელი ოთახიდან ვიღაც გავიდა და კარი ძლიერ გაიჯახუნა. ამაჲ კიდევ უფრო დაძაბა ქალები.)

თინა. გამაგებინეთ, რა ვქნათ-მეთქი! უნდა წავიდეთ, უნდა დავტოვოთ აქაურობა?

ნინიკო. ერთი მაგის პრასტიტუტკადედა არ ვატირე? მაგის ჭკუაზე ხომ არ ვივლით? (საწოლზე ჩამოჯდა, სივარეტი ამოიღო, მოუკიდა.)

თინა. მეც მომეცი, რა!

(ნინიკო თინას სივარეტს მიაწვდის, მოუკიდებს.)

მანიბ. გოგოებო...

(ყურადღებას არ აქცევენ.)

გოგოებო!

(ღუმილი. თითქმის ყვირილით.)

გოგოებო!

ნინიკო. რას დავგჩხავი თავს, რა გნდა!

მანიბ. ჩვენც ამნაირები ვართ?

თინა. ეგ რა... ეგ რა შუაშია...

მანიბ. ჩვენც ისეთები ვართ, როგორიც ეს იყო?

ნინიკო (ღიმილით მისჩერებია მაიას). აბა, შენ რა, აზრზე არა ხარ? (იცინის). ამნაირები ვართო? რა კარგი

ვიმე ხარ, მაკო, რა საყვარელი!.. ლამის შეგჭამო...

მანიბ (ნერვიულად, დაძაბულია). როგორ, ეს როგორ — ჩვენც ამნაირები ვართ?!

ნინიკო (პაუზის შემდეგ). შენ არა, შენ მაგნაირი ვერც გახდები. ეგ ნამდვილი პროფესიონალია... თავისი საქმე კარგად იცის... შენ კი... შენ (ხელს ჩაიქნევს). შენ უბრალოდ, თამაშობ... ცელები!

თინა. ძალით ხომ არ გაგვეყრიან აქედან? არაფერს გვაფუჭებთ, არაფერს დავაშავებთ და ძალით გავგაგებენ?!

ნინიკო. მიშველეთ! კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში ვარ თუ საქმეზე ჩამოვედი აქ! (თინას). ნუ გეშინია, შენს აფრიდუნას არავინ ჩამოგაშორებს.

თინა. მოკეტე!

ნინიკო. თუ იმ აფრიდუნას პირველსავე საღამოს არ გაუკოტრიალდები და დოლარს არ მოსთხოვ, ქორწილს გადაიხდით, ამათ ისე აქვთ თვალი დაბნელებული, რომ მაგასაც იზამენ. რა კარგი სანახავი იქნები!

თინა (ბრაზით). ეგ რა შუაშია... განა მაგიტომ...

ნინიკო (თინას ყურადღებას არ აქცევს). გაზეთებშიც ერთი ამბავი ატყდებოდა. „ქართველი ქალის ქორწილი ოსმალეთში“, „შეერთდა ისტორიული და დღევანდელი საქართველო“; „ქორწილი საზღვრის გადაღმა“; „თინათინასა და ფრიდონის ქორწინება“. ისიც ხომ შეიძლება, რომელიმე გაზეთმა დაწეროს — „საკახბოდ ჩამოსული ქალის ქორწილი“.

თინა (ყვირის). ნინიკო!

ნინიკო (ღიმილით). ამას აქ დაწერენ, ესენი, იქ, ჩვენში ასეთ რამეს არ დაწერენ, უზნებობა არისო... ბაზ-ბაზ-ბაზ შეიძლება, ბოზის ქორწილზე წერა არ შეიძლება!

(მეზობელ ოთახში რაღაც გაბრაზუნდა. ქალმაც შეჰკვივლა.)

მანიბ. ჩუ... რა ხდება?

ტანინას ხმა. პომოგიტე, პომოგიტე! მანიბ (ნინიკოს ჩაეკურება). რა ამბავია?!



**ტანიას ხმა.** ლიუდი დობრიე, პო-  
მოგიტე, პომოგიტე!

**თინა.** სცემენ!

**მანი** (შეშინებული), ვაი!

**ნინიპო.** წამო, სამივენი შევუცვიე  
დეთ!

**მანი** (ნინიკოს ეხვევა). არა, არაა,  
არა!

**ნინიპო** (მაიას). რა გინდა, ქალო-  
რას მეხვევი, შენი დედიკო ხომ არა ვარ!  
**ტანიას ხმა.** დევიჩი, პომოგიტე,  
უბოვიაუტ!

**მანი** (თინას). ჩაკეტე, კარი ჩაკეტე!  
(კარს თვითონ მივარდება, ჩაკეტავს.)

**ნინიპო** (ლოგინზე ახტება, კედელს  
მუშტებს ურტყამს). მოდით, მოდით, ყვე-  
ლამ ერთად ვურტყათ და ვიკივლოთ  
(ყვირის). ეეე! ეე! (მაია და თინაც შეუ-  
ერთდებიან. ჯერ გაუბედავად აბრახუნე-  
ბენ კედელზე შემდეგ უფრო ინტენსიუ-  
რად, ძლიერად) ეეე! ეეე!

**ნინიპო.** მაგრად, მაგრად!

**მანი** (ცრემლი ერევა). რა გინდაა,  
რა! ჩვენგან რა გინდათ! ყაჩაღებო, ბან-  
დიტებო!

**ნინიპო** (მაიაზე). ერთი ამისთვის  
მომადებინა, რა ატირებს!

**თინა.** მაკო!

**მანი.** რა უნდათ ჩვენგან, რა! (კედელზე  
უაზროდ აბრახუნებს მუშტებს. მე-  
ზობელ ოთახში ხმაური შეწყდება, მაგ-  
რამ ემოციურ შოკში ჩავარდნილი მაია  
ამას ვერ გრძნობს).

**ნინიპო** ჩუ!

(მაია და თინა შინც აბრახუნებენ კედელზე).

მაიკო, თიკო!

(მაია და თინა შეჩერდებიან. გასძახის).  
ტანია! (დუმილი). ტანია! (დუმილი.  
შეშფოთებული) ტანია!

**მანი** (ლამის ისტერიულად). მოკლე,ს.  
მოკლეს ყაჩაღებმა!

**თინა** (ყვირის). ტანია, ტანია!

(ტანიას ხმა თითქმის მოთქმით.) ნუ  
ჩტო, დევიჩი, უშლი ონი, უშლი... ნუ უბ-  
ილი.

**ნინიპო.** ჩვეო ონი ხოტელი?!

(ტანიას ხმა). ვიდიმო, მესტნიე პროს-

ტიტუტკი პრისლალი... ნე პოსლუშაღას  
ია იხ... ვისო ზაბარალი... ი დენგი... ი  
ოდეჟდუ... ნიჩევი, ნიჩევი ნე ოსტავა  
ლი... იზნასილოვალი, იზბილი... იხუ  
როდოვალი... კტო ყე ზახონეტ სო  
მნიო...

**ნინიპო** (საწოლზე უღონოდ დაეშვა)  
უკ, შენი!

**თინა** (საწოლზე დაეშვა). აღარ შემა-  
ძლია მეტი!

(სამივენი უხმოდ სხედან — შიშგამოვ-  
ლილნი, სასოწარკვეთილნი, სახეებზე  
ტანჯვა აღბეჭდვით.)

**მანი.** რა უნდათ ჩვენგან, რა!

**ნინიპო** (მაიას საყვედურით გადახე-  
დავს). კარგი რა, მაკო, ნუ ახურებს! და-  
ლევა მინდა: ერთი შევუბეროთ! გამოი-  
დე კონიაკო!

**მანი.** აღარ არის, გუშინ ვახომ და-  
ლია.

**ნინიპო.** ვახო, ვახო, ვახო! არ წა-  
ლო ტენი ამ ვახომ? (წამოდგება, ნიპა-  
ლის მოტანილ სუნამოს კოლოფებს მა-  
გიდიდან მოკრეფს და აივნის ღია კარში  
მოიხვრის.) შენი მომტანის დედა ვატი-  
რე, შენი!..

(დუმილი. სამივენი უხმოდ სხედან.)

**ნინიპო.** რა ვქნათ ახლა ჩვენ?

**თინა** (პაუზის შემდეგ). რა ვიცი...

საღამომდე რა უნდა აკეთო.

**მანი.** ჩვენთანაც მოვლენ?

**ნინიპო.** ნუ ჩაისვარე!

**მანი.** რომ მოვიდნენ?

(ნელა, უხმაუროდ იღება კარი. ჯერ  
ყვაკილების თაიგული გამოჩნდება, შემ-  
დეგ აზიზი — ელევანტურად ჩაცმული;  
ახალგაზრდობას გადაცილებული მამაკა-  
ცი).

**მანი** (ლოგინზე შესტება). ვაი, ვინ  
არის?

**აზიზი** (სახეგაბრწყინებული, თავა-  
ზიანი). სელამ, სელამ, სელამ! ჰოო, ნი-  
ნიკო ხანუმ — გურჯი ხათუნ!

**ნინიპო** (სიხარულმორეული). ოჰ!  
**აზიზი** (ნინიკოს ხელზე ჰკოცნის).  
სელამ, სელამ, ნინიკოოო!

**ნინიპო.** ამას ვის ხელავს ჩემი თვა-  
ლები!

**აზიზი** (თინასა და მაიას მიუბრუნდება). სელამ, გიუხელ გურჯი ხათუნ!

**ნინიკო** (ამ სტუმრობით ძალიან გახარებულია). ჩემი კაცი მოვიდა, გოგოებო! ეს არი ჩემი კაცი, ამასთან ვიყავი წუხელ.

**აზიზი** (ალერსით). ნინიკოლო, ნინიკოლო!

**ნინიკო** (თინას და მაიას). ამას, მგონი, შეუყვარდი (აზიზს). საიდან მომავენი, ბიჭო, რამ მოგიყვანა აქ! მოგნატრე? ა, ხო უყურებთ, როგორი სიყვარული სცოდნიათ ამათ! ჩვენი ბიჭები ერთხელ მოვლენ და მთელი წელიწადი გალოდინებენ. არშიეობაშიც თავადები არიან! ხომ ხედავთ, როგორ მოცუნტულდა.

(აზიზი ყვავილების თაიგულს დაშლის და სამივე ქალს თანაბრად დაუნაწილებს).

**თინა**. მერსი!

**მანია**. თენქიუ!

**აზიზი**. თეშექიურ ედერიმ, თეშექიურ ედერიმ...

**მანია** (ნინიკოს) რა უნდა?

**ნინიკო** (სიხარულით ატაცებული). რა ვიცი მე, მაგასთან ვიწქეძი, თორემ ენას კი არ ვსწავლობდი, ვმუშაობდით, ქალო, ვმუშაობდით!

**აზიზი** (დაჟინებით). თენქიუ იეს, — თეშექიურ ედერიმ!

**ნინიკო**. უი, ვერ მიხვდი? მადლობა თურქულად ყოფილა თეშ... (აზიზს მიუბრუნდება). თეშ...

**აზიზი**. თეშექიურ ედერიმ.

**ნინიკო**. თავში ქვაო, რა!

**აზიზი**. თეშექიურ ედერიმ.

**ნინიკო**. გავიგე, ბატონო, გავიგე! თეშექიურ ედერიმ (მაიას და თინას). ხომ გუუბნებოდით, ნამდვილი სვეტი არის-მეთქი.

**თინა**. ჰგავს კი.

**მანია**. ნიი... ცოტა ბებერი ხო არ არი?..

**ნინიკო**. ახალგაზრდა ვახო გვაყოვერ...

**აზიზი** (ნინიკოს კარისაკენ ანიშნებს). გიდელიმ, გიდელიმ... პლიზ... პლიზ!

**ნინიკო**. ორმოცდახუთისაც არ იქნება ჯერ.

**მანია**. თუ ორმოცდაათი ხუთი წლის წინათ შეუსრულდა?

**აზიზი** (ნინიკოს). გიდელიმ, პლიზ! (მაიას ყურადღებით ათვალიერებს).

**ნინიკო**. რა გინდა, ბიჭო, ასე რა? გადაგრია. ხო გესმის, რას ამბობენ გოგოები, ბებერიაო.

**აზიზი** (მაიას მიუახლოვდება, მუშტრის თვლით ზომავს, ხელსაც კი გადასხვებს). პლიზ, პლიზ!

**მანია** (ნინიკოს). ნიი, დაგერხა!

**ნინიკო**. უიმე, შენ, მგონი, მართლა ბებერი ყოფილხარ... პატარა გოგოს ეხვევი. მითხარი, მაკო გინდა? მაკოს ირჩევ?

**აზიზი** (მაიაზე მიათითებს). მაკო? მაკო?

**ნინიკო**. ჰო, ჰო... მაკუშკები გინდა?

**მანია**. წაგართვა? კაცი წაგართვა?

**აზიზი** (ნინიკოს). პლიზ, პლიზ! გიდელიმ!

**ნინიკო** (მიუხვდა). წავიდეთ?

**აზიზი** (გახარებული). იეს, იეს!

**ნინიკო**. მაინც ჩემთან არჩიე, ხო? ბოროლას მაინც უღრანი ტყე არჩიე, ხო? ახლავე ჩავიცვა (ხალათის გახდას აპირებს). მიტრიალდი, ბიჭო უნდა გავიხადო (თინას და მაიას). ვახო აქაც ხო არ იქნება წილში.

**აზიზი** (ხალათის გახდის საშუალებას არ აძლევს, კარისაკენ მიჰყავს). ნო-ნო!

**ნინიკო**. აბა, რა გინდა, ბიჭო?

**აზიზი** (ნინიკო კარისაკენ მიჰყავს). გიდელიმ, გიდელიმ, პლიზ!

**ნინიკო**. რა ვქნა, გოგოებო, ხომ ხედავთ, როგორაა შეყვარებული! არ გაყვე? გადავრიო? (მაიას) შენ კიდე მუუბნებოდი, წაგართმევო. (მიდიან). ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, ჩვენი ფიცო მტკიცე არის... (გადიან).

(ღუმლი.)

**მანია** (თითქმის ოცნებით). წავიდნენ... წაიყვანა!

**თინა** (პაუზის შემდეგ). ჩვენზე ამბო-



ბლა და ყველაზე ადრე თვითონ იშოვნა-  
(ღუმილი).

მანი. კარგია, მაინც კარგია.

თინა. ნეტა, რა ნახა ასეთი... რასა  
ჰგავს!

მანი. ბებერიცაა.

(ღუმილი.)

მანი. რა ვქნათ?

(ღუმილი.)

ჩვენ რა ვაკეთოთ, თიკუშკი?

თინა (ანგარიშმიუცემლად, უაზროდ).  
არ ვიცი, აბა, რა ვიცი... (პაუზა) მე პი-  
რადღა ვწვები. (საწოლისაკენ მიდის.  
მიუახლოვდება თუ არა, კი არ დაწვება,  
პირდაღმა დაეცემა და ლოგინში ჩაემხო-  
ბა).

(ღუმილი).

მანი. (უღონოდ გადადგამს, ნაბიჯს.  
მაგიდაზე მიმოყრილ ფურცლებს — რო-  
ლის ტექსტს დასწვდება. უაზროდ, ან-  
გარიშმიუცემლად კითხულობს თითქოს  
მაიას კი არა, სხვისი ხმა გვესმის). „იცი,  
რა მოხდა შენს შემდეგ? ნადირად ქცე-  
ული მაჰმადიანნი მუშლივით მოესიენენ  
ჩვენს სიმაგრეს. ვხედავ, ანანია გლახა  
მოფოფხავს მტკერის პირას, ფრიალო  
კლდეზე გაჭირვებით, ძლივს მოადწია  
ჩემს სარკმელამდე, ხელში ბავშვი ეჭი-  
რა“.

თინა. კარგი რა, მაკო, კარგი რა, რა  
დროს ანანია გლახაა!

(პაუზა.)

მანი (ერთხანს უხმოდ დგას. განაგრ-  
ძობს). „ვხედავ, ანანია გლახა მოფოფ-  
ხავს (უინტერესოდ, ყურადღებადაფან-  
ტული) მტკერის პირას, ფრიალო კლდე-  
ზე გაჭირვებით, ძლივს...“

თინა (თითქოს წაიძლერებს, მაგრამ  
ეს წაიძლერება გმინვას ჰგავს). ჩვენ  
ვერავინ დავეაშორებს, ჩვენი ფიცი მტკი-  
ცე არიი... (ღუმილი.)

(ღუმილი.)

მანი (განაგრძობს, მაგრამ ყურადღე-  
ბა უფრო მეტად დაეფანტა, ტექსტს წა-  
რმოთქვამს პაუზებით, როგორც ჩანს,  
ტექსტიც დაავიწყდა). „გაჭირვებით,  
ძლივს მოადწია ჩემს სარკმელამდე, ხე-  
ლში ბავშვი ეჭირა“ დიდებული საქმე

მოხდა იმ დამეს, ოთარბეგ, დიდებული!“  
(ფრთხილად იღება კარი, გამოჩნდება  
ფრიდონი. ერთობ შორიდებულად შემო-  
დის ოთახში.)

მანი (შეკრთა, დაიბნა). თიკო, თიკო!

თინა (თავი ასწია. ფრიდონს აცქერ-  
დება). შენ... შენ... ფრიდონი?

ფრიდონი. აფრიდუნი... ფრიდონი...  
თინათინ ხათუნი?

თინა (ლოგინიდან სიხარულმა წამო-  
ახტუნა). ფრიდონ! რა კარგია, რომ მოხ-  
ვედი, ფრიდონ! ძია ნურის ფრიდონი!  
(მაიას) მაკო, იცნობდე. ეს ძია ნურის  
ფრიდონია.

ფრიდონი (მაიას მოკრძალებით გა-  
ხედავს). ბაბამ ვითხრა, გურჯისტანის  
თინათინი ჩამოვიღებო... გეზმეკ... ერ-  
თად გეზმეკ...

თინა. ვიცი, ფრიდონ, ვიცი! ყველა  
ფერი ვიცი... მეც გელოდი (ხელი მკლა-  
ვში გაუყარა). წავიდეთ, გავისეირნოთ,  
ხო! (სიხარულმა აიტაცა, მაიას.) მაკო,  
გავალთ, ზღვის პირას ყავას დაუღვეთ, გა-  
ვისეირნებთ, ხო? შენ ხო არ გეწყინება?  
(მაია თავს გააქნევს). თურქეთში თურ-  
ქული ყავა არ უნდა დავლიოთ? (მიდის.  
ფრიდონი მიჰყავს — ამყვს, სიხარულმო-  
რეულს).

მანი (თვალებში სევდანამდგარი).  
კარგი, თიკო, წადით, წადით.

(ღუმილი. როლის ფურცლებს აიღებს,  
ერთხანს უაზროდ ფურცლავს, მერე კი-  
თხვას განაგრძობს. ვნებადცლილი, ში-  
ნაგანად ცარიელი კითხულობს.) „დიდ-  
ბული საქმე მოხდა იმ დამეს, ოთარბეგ,  
დიდებული... როგორც სვეტი ნათლისა,  
ისე მინათებს ის ამბავი მთელი სიცოც-  
ხლის...“ (ცრემლი ერევა, როლის ფურ-  
ცლებს მოისვრის, თვითონ კი ლოგინზე  
დაემხობა).

### მოკვლევა პიორა

იგივე ოთახი, გავიდა სამი-ოთხი დღე.  
ღრუბლიანი საღამო ხანია. აივნის კა-  
რი ღიაა. მკაფიოდ ისმის ზღვის ტალ-  
ღების ცემის ხმა, დროდადრო ღრიალიც  
კი. მაია აივნის კართან დგას და მღელ-  
ვარე ზღვას ნაღველმორეული შესცქე-

რის. ნინიკო ღიღინით ემზადება აბაზანაში შესასვლელად. ხალათი უკვე ჩაუცვამს, ახლა გამჭვრევალე ჩანს იხურავს თავზე, რომ წყალმა თმა არ დაუსველოს. **მუშეპინის ხმა.** აალაპუ, აკბარ... აალაპუ, აკბარ!

**ნინიკო** (პირჯვარს იწერს). ფუი! **მანია.** ასე რატომ ღრიალებს ზღვა? **ნინიკო.** სამაგვიროდ, ის მღერის, ეგე!

**მანია.** ასე არსად არ ღრიალებს ზღვა. **ნინიკო** (იცინის). იღრიალოს მერს, შენ რა გენადლება? გთხოვს რამეს? **მანია.** კი, ასე მგონია, რაღაცას მთხოვს და მეგონია.

**ნინიკო.** მოგვლია ერთი, რას უნდა გთხოვდეს?

**მანია.** ორმოცდაათი ათასი მანეთი დაგროვდა.

**ნინიკო.** მეტი არა?

**მანია.** ბავშვების საწოლსა და ტანსაცმელს ვერ ვიყიდი? ზამთარი მოდის, ბავშვებს თბილი ტანსაცმელი არა აქვთ, არც საწოლი.

**ნინიკო.** აბა, რა ვიცი. ვერაფერს გეტყვი. ყველაფერს ახლა ხომ ვერ იყიდი. ჯერ თბილი ტანსაცმელი უყიდე, აცივდება მალე, მეორე ჩამოსვლაზე — საწოლები.

**მანია** (თითქოს გააჟრჟოლა), მეორე ჩამოსვლა? არა! არა, არა!

**ნინიკო** (ღიმილით). ჩამოხვალ, მაკო, მეორედაც ჩამოხვალ და მესამედაც. შენ სახლიდან რამდენ ხანში გავხვალ?

**მანია.** არ ვიცი, ვახოს ველოდები.

**ნინიკო.** დღემდე არაფერი უთხრა. ფეხებიც რომ გაფშოკოს, არაფერი უთხრა, დილას, კიდევ არ გკითხოს, მიახალე. ერთი მაგრად გაუსკდეს გული არ ეკუთვნის თუ! დედაჩემის სახლი ხო კარგად გავსოვს?

**მანია.** კომერციულის თავზე არისო, არ მითხარი?

**ნინიკო** (შუბლზე ჰკოცნის). გენაცვალოს ნინიკო მაგ ჰკუაში! (სააბაზანოსაკენ მიდის.) წავედი... კოსტიუმი?

**მანია.** სააბაზანოში კოსტიუმი რად გინდა?

**ნინიკო** (კოსტიუმს სააბაზანოს კარზე ჰკიდებს). ავე, აქ უნდა იყოს გვეთა წესი მაქვს. ნუ მიიწყენ, ათ წუთში გამოვალ (აბაზანაში შედის, მოისმის წყლის ჩხრიალი).

**მანია** (ჩანთიდან შარვალს ამოიღებს, იცვამს, კარადის სარკეში კარგად ათვალიერებს საკუთარ თავს. გაიხდის და კვლავ ჩანთაში დებს. მაგიდიდან როლს აიღებს, ჯერ ბუტბუტებს, შემდეგ ხმაძილა კითხულობს ტექსტს). „გაიხსენე საქართველოს პირქვე დამხობისა და თეიმურაზის მოკვლის დამე, შენ — დანჩეხილი, სისხლში მოთხერილი მოიჭერ ჩემთან (შეყოვნდა. ფიქრობს.), მოიჭერ ჩემთან... (პაუზა.) მოიჭერ ჩემთან (პაუზა.) მოიჭერ ჩემთან... (ტელეფონის ზარი. მაია უკმაყოფილოდ გახედავს აპარატს, ყურმილს აიღებს.) ჰო... კი... ჰო... კარგი (ყურმილს დადებს, აბაზანის კართან მიდის.) ნიი, ნიი... (ყვირის.) ნიიკო, ვახომ დარეკა, არსად წავიდე, მანდ მოვდივარო. დაჩქარე, თორემ მოგისწრებს.“

**ნინიკოს ხმა** (წყლის ჩხრიალში იმის). გავივე, მოვდივარ.

**მანია** (როლის ფურცლებს მიუბრუნდება. კითხვას განაგრძობს). „გაიხსენე საქართველოს პირქვე დამხობის და თეიმურაზის მოკვლის დამე, შენ — დანჩეხილი, სისხლში მოთხერილი მოიჭერ ჩემთან მეტეხის ციხეში, რათა საქართველოს დაღუპვა და ჩემი ქმრის სიკვდილი გეუწყებინა. სისხლი თქრიალით გამოვდიო...“ (შეჰკვივლა). აჰ! (ოთახში ორი ყმაწვილი შემოვარდება). ნინიკო! ნინიკო! ტანია! მიშველეთ! (ერთი თავ დამსხმელი მაიას მივარდება, ხელთ ვერ მოიგდებს, ოთახში დასდევს. მეორე მაგიდაზე პაწია მაგნიტოფონს დებს, მთელი ხმით ააღრიალებს; მაგნიტოფონის ხმა ფარავს მაიას ყვირილს. იგი ოთახს დაუვლის — რაც ხელში მოხვდება, ერთ დიდ ჩანთაში აქცევს. კარადას გამოადრებს, ტანსაცმელს, ნაჩუქარ ნივთებს ჩანთაში ყრის, მაია კი ოთახში მიმორბის, ცდილობს, პირველ თავდამსხმელს გაეჰქვს.) ნინიკო, ნიი! (იატაკზე დაგებულ

ხალიჩაზე ფეხი დაუცდება. თავდაპირველი წამოეწევა, ურტყამს, ცდილობს ტანსაცმელი გახადოს. შემოახვევს კიდევ, რაც აცვია. საწოლისაკენ მიათრევს. იღება აბაზანის კარი, ნინიკო ხელს გამოყოფს, კოსტიუმს ჩამოსხნის და აბაზანაში შეიტანს). ნიი, ნიიი, ნინიკო! (თავდაპირველს უშეყოფ ებრძვის, ცრემლი ახრნობს. თავდაპირველი საწოლთან მიიყვანს, ზედ დააწვენს) ნიი, ნიი! (საწოლს თავს დააწვენს, გაქცევას ლომობს, ამაოდ. — თავდაპირველი იატაკზე მოიგდება, ახლა იქ ცდილობს მის დაუფლებს.)

**ნინიკო** (სააბაზანოდან მორთულ-მოკაშული გამოდის,) რა ამბავია, მაკო, ასე ხმამაღლა მაგნიტოფონი!.. (უცებ ყველაფერს ხვდება, კოსტიუმის ჯიბიდან პისტოლეტს ამოიღებს, თავდაპირველს ფეხს ჩაჰკრავს, იატაკზე გადააგორებს, პისტოლეტს დაუმიზნებს და ესვრის კიდევ). უჰ, შე თათარო, შენა! (მეორე თავდაპირველი, ნინიკოს შემახილს რომ გაიგონებს, გამოეჭანება, მაგრამ როგორც კი პისტოლეტს მოჰკრავს თვალს, შედგება).

**თავდაპირველი** (შეშინებული) აა-აა! (ხელებს მალა სწევს.)

**ნინიკო** (პისტოლეტს დაუმიზნებს). შენც, შენც მოკვდი, თათარო! (ესვრის, თავდაპირველი შებარბაცდება, ჩაიკეცება და იატაკზე მოადენს ზღართანს) დაიძინეთ, თათრებო! ადე, მაკო, ადე, ხომ ხედავ, რა დღეში არიან თათრები!

**მანი** (ნაცემი, ტირილით წამოდგება). მათხოვრები, დამპლები. ეს რა მიყვეს! (ხალათს მოისხამს, სახეს იმშრალავს).

**ნინიკო** აქაურობას მოვაშორეთ ეს მძორები!

**მანი** (შეძრწუნებული) მოკალი?

**ნინიკო** მოდი, მოდი, მომეშველე!

**მანი** ეს რა ჰქენი, ნიი!

**ნინიკო** დაგბრიდეთ, თათრებო?

**მანი** (თითქმის კანკალავს). არ შემიძლია, არ შემიძლია, მკვდრები არიან.

**ნინიკო** ნუ ჩაისვარე, გაზის პისტოლეტია!

**მანი** (იმედმოცემული) ა?

**ნინიკო** თხუთმეტ წუთში აზრზე მოვლენ. მოიცა! (ფიქრობს). ესენი შეიძლება კიდევ შემოგიცვიოდნენ აქ. მომეცი ის თოკი, თოკი მომეცი! ჩქარა! (მათი კარადიდან თოკს გამოიღებს.) ეგრე, აბა, მომეშველე, ჯერ ფეხები... ჰო, ეგრე, მეორე ხელები და მორჩა ამათი ამბავიც! (თავდაპირველებს ხელ-ფეხს უკრავენ). ახლა ვადამთრევი. აწი ესენი გურჯი ხათუნებს აღარ გაეკარებიან (თავდაპირველს დერეფანში გაათრევენ, უმაღლეს მობრუნდებიან მეორეს უკრავენ ხელ-ფეხს). რამე ხო არ გატკინეს?

**მანი** რა ვიცი... კი, მგონი... მუცელში მირტყამდა...

**ნინიკო** შენც ფეხშიმედ არ იყო! არ მომიხსწროს იმ შობელმადლმა ვაზომ.

**მანი** არ წახვიდე რა, ჯერ არ წახვიდე.

**ნინიკო** ნუ გეშინია, ესენი აწი ჩვენ აღარ მოიხედავენ.

**მანი** მართლა ცოცხლები არიან?

**ნინიკო** სჯობია, მკვდრები იყვნენ, მაგრამ ცოცხლები არიან. გაზის პისტოლეტია, ქალო, არ გაგიგია? ასწიე, ასწიე! რა მიმივა ეს შობელმადლი! (მეორე თავდაპირველსაც გაათრევენ და უმაღლეს ბრუნდებიან). ვინდა, დაგიტოვებ, იქნება დაგჭირდეს, რა იცი, რა დამპალს გადაეკიდები... ლენინგრადში... ბოდიში, სანკტ-პეტერბურგში მანუქა ერთმა ფინელმა. დაგიტოვო?

**მანი** (ხელები გაახავსავა). არა, არა, არა!

**ნინიკო** ახლა კი წავედი. სად არი ხანთა!

**მანი** ცოტა ხანს დაცადე, რა... შეშინია.

(შემოდის თინა. ერთობ უხალისოდ გამოიყურება.)

**ნინიკო** მიტირეთ! ამას რა მოუვიდა?

**მანი** თიკო, რა მოხდა? (თინა არ პასუხობს, ლოგინში ჩაეშობა, მათი მიუახლოვდება, თავზე ხელს უსვამს). თიკუ-შეი, რატომ ტირი? იცი, აქ რა დღეში ვიყავით?

**ნინიკო** (თინას შეუტევს). გამაგიჟებს ეს ქალი! შენ იცი, რას აკეთებ?

შენ იცი, ეს რას ნიშნავს? ან ნამდვილი ქაჯი ხარ, ან კიდევ.. (მაიაზე მიათითებს.) ან ამ ბავშვს რას ასწავლი? ვინც ლოგინში არ გაეთამაშება, ყველა შეიყვაროს?

**თინა.** მაგის ბრალია ყველაფერი! ყველაფერი მაგან აურია!

**მანი** (გაოცებული). მე?

**ნინიკო** (თინას): შენ აქ საქმეზე ჩამოხვედი, თუ სიყვარულობანას სათამაშოდ? მორჩი, მეჩქარება!

**მანი.** მე რა დავაშავე, გამაგებინე!

**თინა.** შემეშვი, დამანებე თავი! გუშინ რა კარგად იყო ყველაფერი, რა კარგად!

**ნინიკო.** რას ჰგავს, ქალო, რას, რადღი ჩანჩურაა! ან როგორ დადის, ან როგორ აცვია!

**მანი.** ნინიკო!

**ნინიკო.** რა ნინიკო, რა!

**მანი.** წადი, ვახო მოვისწრებს.

**ნინიკო.** ერთი მაგ ვახოს დედაც, ფეხები არ მომჭამოს ძირში! ასეთ დღეში როგორ დაეტოვო! სანამ არ ამიხსნის, რატომ ტირის, არსადაც არ წავალ!

**თინა** (ცრემლები კიდევ უფრო ვრევა). წადი რა, ნინიკო, წადი!

**ნინიკო.** კაცს მაინც ჰგაუდეს! რა შეგიყვარდა, ქალო, მაგისი — ვაჟკაცობა თუ სილამაზე? ლოგინშიც არ გყოლია, რომ ვერ ივიწყებდე. ფული აქვს ბევრი? გამაგებინე, ასე რამ გადაგრა!

**თინა.** ქართველია, ქართველი!

**ნინიკო** (გაოცებული). რაო, რა თქვი!

**თინა.** ქართველია!

**ნინიკო.** აუუ! ამას სულ დაუსტკენია! ქართველი მხოლოდ ვგ ნახე?

**თინა.** ეგ ნაღია, ისეთი, როგორიც უნდა ვიყოს (წამოდგება, ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს. შლის). წარბშეკრული მოვიდა, აი, ეს გაზეთი ხელში მომაჩენია, გაშალე და ნახეო, მეუბნება. შენ გაშალე, წაკითხვა არც არის აუცილებელი. გაეშალე (ცრემლები ასრჩობს, ვერაფერს ამბობს).

**ნინიკო** (გაზეთს ხელიდან გამოსტაცებს). ასე რამ გადაგრაათ, რა არი ამ გაზეთში ასეთი (ათვალიერებს). მე აქ

ვერაფერი... რა არი... აბა, რა არი... (უცებ შეჰკვივლებს). მაკო?!

(თინა კვლავ ატირდება.)

**მანი** (დაბნეული). რა მოხდა?

**ნინიკო.** ერთი მაგათიც, რა უნდა იქოს! არაფერი. (თინას ბრაზით შესტკერის.) ერთი შენი თავი მაწეწინა. შე ქაჯო და კეკელა ვირიშვილო, შენ აქ რა გინდა, შენ აქ რა საქმე გაქვს... წადი, ქალო, შენს ლაბორატორიაში, ვინ მოგდევს უკან... შენ სინჯარები და კოლბები უნდა გეჭიროს ხელში, მხოლოდ სინჯარები და კოლბები! შენ უცხო კაცთან კაბას როგორ იხდი!

**მანი** (შეშფოთებული აწვევტინებს). გამაგებინეთ, რა მოხდა?!

**ნინიკო.** ქაჯობა!

**მანი.** რა წერია გაზეთში?

**ნინიკო.** მე თურქულს ინგლისური ვამჯობინე!

**მანი** (ხელს გაუწვდის). მომეცი!

**ნინიკო** (გაზეთს კოსტიუმის ჯიბეში ჩაიღებს). თურქული, მე მეონი, არც შენ იცი.

**მანი** (თინას უწარადლებით აცქერდება). ჩემი ბრალი რა არის?

**ნინიკო.** ის, რომ მაია გქვია და ასეთი ქაჯი დაქალი გყავს.

**მანი** (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაქვებული). ნიი, მომეცი გაზეთი.

**ნინიკო** (ალერსით). კარგი რა, მაკუ შეი, შენც ქაჯი ხომ არ უნდა იყო? წავედი მე, აბა, თქვენ იცით!

**თინა.** შენ კი ხარ კარგი გოგო, მაგრამ ეგეთი დოსტი როგორა გყავს გურჯი ხათუნსაო, ბაბამ მაინც არაფერი გაიგოს, თორემ...

**ნინიკო** (თინას ეკვეთება, ხელებს მხრებში ჩააგლებს და ბრაზმორეული აჯანჯლარებს). შენ... შენა... ხო ვითხარი, კეკელა და ქაჯი ხარ-მეთქი, შე... მოგლებ კიდევ, შე ტუტუცო... ამდენი ჭკუა როგორ არა გაქვს ამხელა ქალს!

**თინა** (ლამის ცრემლი სდის). ბაბასთვის ყველა გურჯი ხათუნი ქეთევან დედოფალი არისო.

**ნინიკო.** რა ქაჯი ყოფილა! როგორ იპოვეთ ერთმანეთი, რანაირად. ყველა



ქართველი ქეთევანი როგორ იქნება, გა-  
მაგებინე, ან რატო უნდა იყოს! ასე რა-  
ტო იტყუებთ თავს!

**მამია (ნინიოს ეკვეთება).** მომეცი  
გაზეთი! ახლავე მომეცი გაზეთი!

**ნინიკო (მაიას).** შენ კიდევ მაია წყნ-  
თელივით ნუ დაძვივებ თავს!

**მამია (ხმადაბლა. საკმაოდ დამაჯერებ-  
ლები მუქარით).** მომეცი გაზეთი, თორემ  
მიგახრჩობ!

**ნინიკო (ერთხანს დაფარული ბრა-  
ზით, თავშეკავებით შესტკერის მაიას)**  
გაზეთი მე მჭირდება.

**მამია (ნინიოს ყელში სწვდება).** შენ  
გჭირდება? მე რომ მინდა, მე რომ...

**ნინიკო (მაიას უმალ მოიშორებს. გა-  
ზეთს ჯიბიდან ამოიღებს და მაიას მიუგ-  
დება).** ქაჯუბო, იდიოტებო, ასეთეზო  
როგორ განდით ქვეყნად! შენც კველა

ყოფილხარ! ყველა გიჟს მე როგორ უნ-  
და გადავეყარო! აჰა, აიღე, თქვენ ხომ  
მეტი ჭკუა არა გაქვთ, მაგ სურათის გა-

მო ქვეყანას დაიქვევთ თავზე (გურული  
აქცენტით აჯავრებს). დიღუ, დიღუ,  
რა მიქნეს ეს... გამჯაყეს დუნიაზე... დი-

ღუ... დიღუ... რას მევესწარი ამას! (პაუ-  
ზა, სული მოითქვა). ასეთი რა გიქნეს...

ტაკნი-ტუკნი, ტაკნი-ტუკნი და ფულის  
ჯიბეში ჩადება კარგია? მდინარეში თეე-  
ზაობა გინდათ, ფეხის დასველება — არა!

(ჩანთას იღებს, გასასველისაკენ მიე-  
მართება. ამასობაში მაია გაზეთს შლის,  
ფურცლავს).

ვერაფრით ვერ გავხდით  
პროფესიონალები, სულ წივილ-კივილი,  
ცრემლი და სიცილი! საქმე?

**მამია (შეჰკვივლა).** აჰ! (გაზეთს გა-  
ხევებული დასწერებია.)

**ნინიკო (კართან შედგება, მაიას შე-  
ჰყურებს).** ჰო, მერე რა მოხდა, დიდი ამ-  
ბავი! თუ შეიძლება გაზეთში მიშვლად  
იყვენე ჟაკლინა და ლუჩია, მაკო ან ნატო  
რატო არ შეიძლება?

**მამია (ხმა თითქმის წაერთვა, თითქოს  
სულ სხვა ადამიანი ლაპარაკობს).** აქ რა  
წერია?

**ნინიკო.** ეგ მაგას ჰკითხე. შენი  
ბოზობით უბედური მიჯნური ეტყოდა.  
**მამია (თინას).** თიკო, რა წერია?

(ღუმელი. მაია თინას მიუახლოვდება).  
თიკო!

**თინა.** არ ვიცი!

**მამია.** მითხარი, თიკო, რა წერია აქ!  
**ნინიკო.** ამ ქალის სიმფონიურ მუ-  
სიკას პაწა ნაკლოვანება აქვს და ნუ გე-  
წვინებათო.

(მაია თინას პასუხს ელოდება).

**თინა.** არ ვიცი-მეთქი!

**ნინიკო.** გაიცინეთ, გოგოებო, მაგაზე,  
გაიცინეთ და მორჩა! რაში გენადლებო,  
რას წერს შენზე ეგ იდიოტური გაზეთი,  
დაჭმუჭნე და გადაავლე!

**მამია (ტრანსში).** თინა, მითხარი!

**თინა.** საქართველოდან ჩამოსული  
გურჯი ხათუნები, განა ჩვენი ქალები-  
ვით კულაბიკები არიან. გურჯი ხათუ-

ნი მაია მანქანაში თამამად მიშვლდება,  
მაშინ, როდესაც ჩვენი კახა ლამაზები  
ამას არ კადრულობენ, ან მანქანაში თუ

გაიხადეს, ორჯერ, სამჯერ მეტიც კი  
მიაქვთ. გაუმარჯოთ გურჯი ხათუნებს!

**ნინიკო.** აჰა, მორჩა კინო!

**მამია (თითქმის უხმოდ, ჩურჩულით).**  
საქართველოდან ჩამოსული გურჯი ხა-  
თუნები... ჩვენი კახები ამას არ კადრუ-  
ლობენო?!

**ნინიკო.** გადაუჯოკრეთ ორმოცდა-  
თერთმეტმილიონიანი ქვეყნის ლამა-  
ზებს?

**მამია:** ნიი, ჩვენ ბოზები ვართ?

**ნინიკო.** თქვენ გგონიათ, ბოზები  
მხოლოდ აქ უნდა იყვნენ — სან-ფრან-  
ცისკოში, ან ნეაპოლში, ჰამბურგში, ან...

**მამია (ყვირის).** ნინიკო!

**ნინიკო.** არა, მაკო, შენ ბოზი არა  
ხარ, არც თინა ბოზი... ხომ გესმით,  
როგორ ღრიალებს ზღვა, როგორ გვი-

ღრენს. აი, ისე გვიღრენს ცხოვრება, ეს  
ერთი ხანია... უნდა ავიტანოთ... დაივიწყ-  
ეთ ეს ამბავი... რამდენიმე დღეში და-

ბრუნდებით საქართველოში, შენ მიხვალ  
იმ სახალხო თეატრში, ითამაშებ შენს  
როლს... თეატრში დახოცავთ სამშობ-

ლოს მტრებს, მაგრამ მაინც არ იქნებით  
ბედნიერი. ასე შეიცვალა ჩვენი ცხოვ-  
რება! იმის გამო, რომ შრომა, ოფლის-

ღერა არ გინდათ, სხვა გზა არ დაგრჩათ.

კიდევ ღვართ ეგ ოფლი, რა გამოვივით, — შიმშილით ამოვხდებით სული, (პაუზა.) ეს გზა, ასეთი ცხოვრება არავის მოსწონს, მაგრამ... (პაუზა.) მერე იქნებ, გათხოვდეთ კიდევ... და მე მჯერა, მშვენიერი ცოლები იქნებით. (მაიას.) მე წავედი, დედაჩემს აუტანე ყველაფერი, მოსკოვში ვაფრინდა მეგობრის დისერტაციის დაცვაზე-თქო უთხარი (კოცნის. მაია თითქმის ატროფირებული ზის. არც ნათქვამი ესმის ნინიკოსი, არც კოცნა უგრძობია. ნინიკო თინას უახლოვდება, დაიხრება და კოცნის). ო, რა მისატყეპი ხარ, რომ იცოდე, რა მისატყეპი! როდის უნდა გამოვიდეთ ამ ნაჭუჭიდან... როდის უნდა დავამთავროთ კეკელობა!

მანი (სკამზე მჯდომარე, თითქმის თავისთვის. მოგვიანებით წამოდგება, თინასა და ნინიკოს ყურადღებასაც მოგვიანებით მიიქცევს). შარშან ჩვენი თეატრი საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს... ერთ დღეს ჰამბურგში საოცარ სანახაობას შევესწარი... ახალგაზრდობას გრიალს, დღესასწაულს... უამრავი ახალგაზრდა მოდიოდა ქუჩაში, მუსიკით, სიმღერით, ცეკვა-ცეკვით: სამი, ოთხი, ხუთი ათასი შიმისაგან თავისუფალი, და უმფრთხალი გოგო და ბიჭი. ღარიბნიც იყვნენ იმათ შორის და მდიდრებიც. შერევილებიც და წიგნზე ღამის მათემატიკის... მაგრამ ყველა თავისი ქვეყნის თავისუფალი და შეუზღუდავი შვილი იყო... ჩვეულებრივი ადამიანები... გრიალებდა მუსიკა... ისინი კი მანქანებზე, ქუჩაში, ტროტუარებზე ხტუნაობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ... ნახევრად ჩადმულნი, ნახევრად შიშველნი, სექსუალურნი, სექსუალური, მაგრამ მაინც თავისუფალნი, უზრუნველნი... განა უღრუნდნენ ვინმეს, განა ეშუქებოდნენ... ყველას თავისკენ ეძახდნენ — საცეკვაოდ, სამღეროდ იწვევდნენ, თავისუფალ ენერგიას ხალხისში ღვრიდა ხალხი და ვერც კი ვიგრძენი, ისე ამსუბუქდა, აცეკვდა ჩემი სხეული... გადავეშვი იმ უზრუნველი, თავისუფალი, ხალისიანი ადამიანების მდინარეში, ვიღაცას ვეცეკვებოდა,

ვიღაც მეცეკვებოდა, ვიღაც ვიღაცას ვკოცნიდი და ვერც კი წარმოიდგენო, რა ახლობელნი, რა საყვარელნი გახდნენ ადამიანები... მაგრამ უცებ... უცებ სიხარულით ატაცებულს, ყოველ ადამიანზე შეყვარებულს გული ყელში მომეხვინა და ავტირდი... ჩემი უბედური, ჩემი გასაცოდავებელი ქვეყანა მომავონდა... აქ ახალგაზრდები ერთმანეთს სასიყვარულოდ, საალერსოდ ეძახდნენ, იქ, ჩემს სამშობლოში კი ერთმანეთს იმისთვის ეძებენ, რომ რამე წაჰკლიჯონ, წაართვან, მოკლან, სისხლის გუბეში ჩადგენ... ვადექი ამ ამდერებულ, აცეკვებულ მდინარეში და ვტიროდი... (გრემლი ხდის). რატომ, რატომ, რისთვის წავიდა ასე ჩვენი ცხოვრება...

ნინიკო (მაიას უხვევს). მაკო!  
 მანი (ტრანსში). ჩვენ ხომ გვიყვარდა ერთმანეთი, ჩვენ ხომ ერთმანეთის ნახვა გვიხაროდა... ერთმანეთის იმედი გვქონდა... რატომ, რატომ.

(თინა უხმოდ, თავჩაქინდრული ზის).  
 ნინიკო. დაჯექი, მაკო, ვთხოვ, გეხვეწები, დაჯექი!.. (სკამზე დახვამს.)

მანი. რატომ... რატომ? მიპასუხეთ!

ნინიკო. იმიტომ, რომ საკუთარი თავის ჭამა დავიწყეთ, იმდენი ჭკუა არ ეყოთ, რაც ჰქონდათ, იმისთვის მოეცლოთ. ამიტომაც ჭერი თავზე ჩამოვიქციეთ. დღეს არავინ იცის, როგორ იცხოვრებს ხვალ. სხვათა ლოგინებში თავდავიწყება თუ გადავკარჩნენ. თუ ეს არ მოგწონს, თოფი უნდა აიღო ხელში. მე თოფს ვერ ავიღებ. ამიტომ იმას ვაკეთებ, რაც შემეძლია.

მანსო (შემოდის). გოგოებს გაუმარჯოს! როგორა ხართ, ბავშვებო, ჩემი გულის ვარდებო! ცხოვრებას ხომ არ ემდურით? აბა, რატომ უნდა ემდუროდეთ, გრიალებთ და გრიალებთ, სად წამოვიყვანეთ, არა? ხო კაიფია! ო, როდეს იქნება, თქვენ რომ ჩავიგორებთ (მაიას). რა გატირებს, რა მოხდა ასეთი, მოგცემ იმ თხუთმეტ დოლარს და ეგ იქნება! (თინას მიუახლოვდება, თავზე ხელს გადაუსვამს.) როგორა ხარ, ლამაზო? ჩი არ მოიწყინე? აქ რა მოგაწყენს! რა ცხო-

ერებაა, ა? რა სიფათები გაქვთ, უკმა-  
ყოფილო ხო არა ხართ?

**6060კო.** როგორ გეკადრება! შენით  
უკმაყოფილო ვინ იქნება!

**33სო (ნინიკოს).** გამაგებინე ერთი, რა  
ხდება — რა უსპეხები გაქვს თათრებში,  
არ დაგლიჯე? უნდა გაგსინჯო, რა ხარ  
ამნაირი!

**6060კო.** ბებიაშენისამ!

**33სო (პაუზა).** რას მიწუნებ, ლამა-  
ზო?

**6060კო.** ყველაფერს.

**33სო (ირონიული ღიმილით).** რატომ,  
იუზგარ!

**6060კო.** ათმაგი, თუ ათმაგს დადებ,  
ჰო!

**33სო.** ცხრამაგი რომ მოგცე?

**6060კო.** ათმაგი!

**33სო.** ათმაგი რატომ, მაღარინია?  
ბედსა გწოე, ამხელა მაყუთს ტეხავ და  
ათმაგს მახდევინებ? რატომ?

**6060კო.** იმიტომ, რომ ჩათლახი  
ხარ!

**33სო (ხანგრძლივი პაუზა).** ჰო? ნა-  
ხეთ, რას უბერავს? ალბათ, გაგივია...

**6060კო.** მე არაფერი არ გამივია.

**33სო.** ალბათ, გაგივია...

**6060კო (აწყვეტინებს.)** არაფერი არ  
გამივია-მეთქი!

**33სო (მცირე პაუზის შემდეგ).** მე სა-  
მჯერ ვპატიობ.

**6060კო (აწყვეტინებს).** ეგ მე არ  
მაინტერესებს.

**33სო.** შენც სამჯერ ვაპატიებ, იმი-  
ტომ, რომ ყველა სტერვა იღბლიანია.  
მერე მიფრთხილდი: ახლა საქმე: შენ  
რაც გიყვარს, დიდი მაყუთის გამოც გი-  
ყვარს: არი შანსი დიდი მაყუთის მოტე-  
ხვის. თაუმა მოიფიქრა, რა! (ნინიკოს რე-  
აქტია აინტერესებს. ნინიკო უხმოდ შეს-  
ცქერის). აქ მაღაზიებს დათირავდი. ტყა-  
ვის კურტკები, პლაშები, ღუბლიონ-  
კები. ეს მაღაზიები ორ სართულზეა,  
რა! დაბლა ყველაფერი, ყველანაირი სა-  
ქონელია, მაღლა — ვიბორნი... მაღლა  
პატრონის სამუშაო ოთახია, ესე იგი,  
მაგიდა, ტახტი, ხელსაბანი, დააკვირდი?  
ხავერაა, ნაღდი ხავერა!

**6060კო.** დაუშვით, მერე?

**33სო.** ახლა იწყება კინო. კარონე,  
რა ხდება? მაღაზიაში შეედივართ მე და  
შენ — ცოლი და ქმარი.

**6060კო.** ვეგო ბედს მე შენ ვერა  
გწეპ.

**33სო.** მე ხომ ყოველდამე სიზმრებში  
გხედავ!

**6060კო.** ცუდი ძილი გქონია!

**33სო.** მე მოვიკითხავ პატრონს და  
ვეუბნები, რომ ჩემს ცოლს უნდა კარგი  
კურტკა ან ღუბლიონკა, ან პლაშნი. სულ  
ერთია, რა! გასაგებია, ხომ? (ნინიკო  
თავს დაუქნევს). მერე ყველაფერი შენ-  
ზეა. რას აკეთებ შენ? იწყებ თამაშს.  
ირჩევ კურტკას, ღუბლიონკას... ჩაიცვამ,  
დაიწუნებ, ჩაიცვამ, დაიწუნებ, ამასობა-  
ში მე მიმართმევენ ფავას, მართობენ.

**6060კო.** ის რომ იცოდნენ, ვისთან  
აქეთ საქმე...

**33სო.** მაგრამ შენ არც ერთი არ მო-  
გწონს.

**6060კო.** ჩემი დასაწუნი რა სჭირს?

**33სო.** ფერი, ზომა, ვიკროცია. — ყვე-  
ლაფერს იწუნებ. ბოლოს პატრონს ხმადა-  
ბლა ეუბნები, მაღლა ხომ არ ავიდეთ, იქ-  
ნებ, იქ შევარჩიოთ რამეო. შენ და პატრო-  
ნი აღიხართ მაღლა... პატრონს უნდა აგრ-  
ძნობონ, რომ მე მტეხავ... უჩემოდ გი-  
ნდა მასთან... მე დაბლა ვრჩები იმიტომ,  
რომ დებილი ქმარი ვარ... შენ კი, როგ-  
ორც იქნა, მასთან მარტო დარჩი. იცვამ...  
სინჯავ კურტკას. ალერსიანად ევაჭრე-  
ბი... ეუბნები იმის ნახევარს, რასაც და-  
აფასებს... ის კი იწყებს ზახოლებს; შენ  
ნებას დაჰყვები, კოცნამდე მიუშვებ. ამას  
ყველაფერს — მაღლა ასვლას, კურტკის  
ჩაცმას, ზახოლების დაწყებას, ხელის  
ფათურს უნდა სამი-ოთხი წუთი. შენ არ  
ნებდები, ერთი-ორჯერ აკოცნიებ, მაგ-  
რამ ტახტისაკენ არ მიჰყვები. ოთხი-  
ხუთი წუთის შემდეგ შემოვდივარ მე...  
ვიწყებ ყვირილს, რომ ჩემს ცოლს აუპა-  
ტიურებენ... მე ვიჩიელებ... მე მინდა პო-  
ლიცია, შენ კი მამშვიდებ და მთხოვ,  
რომ პოლიცია არ არის საჭირო, თან  
გამოგყვარ გარეთ. ასე გამოგვაქვს კურ-

ტკა, დუბლიონკა, პლაშნი, რომელიც გაცვია.

**ნინიკო.** კი მაგრამ... კი მაგრამ... დუბლიონკას, კურტკას თუ მომცემს, რატო არ უნდა ვიკისრო?

**პასო.** ჩემს ფეხებს მოგცემს. დაწოლისას გაგზდის და ბოლოს, შეიძლება, ჯიბეში ჩაგიდოს ოცდაათი-ორმოცი დოლარი.

**ნინიკო.** აბა, ასე როგორ შემარჩენს მაგ დუბლიონკას?

**პასო.** სწორი კითხვაა! კი არ შეგარჩენს, იძულებული იქნება, შეგარჩინოს. ესენი შარს ერიდებიან, კანონის ძალიან ეშინიათ. აქ პოლიციას ჩვენსავით კი ვერ იყიდი. მაღაზიის პატრონს სულაც არ უნდა, საქმე ჰქონდეს პოლიციასთან, თუ შენ პირზე დაადგები, გაუპატიურებას მიპირებდაო, თუ მე ერთი აბაზი ავტეხე — ჩემი ცოლი კურტკის ასარჩევად შეიფვანა და გაუპატიურება მოუნდომა-მეთქი, იცი, ეს აქ რას ნიშნავს? ამიტომ იმ კურტკას თუ დუბლიონკას ფეხებზე დაიკიდებს. ოღონდ შეეშვი, ოღონდ წამოდი და... ა, როგორია?

(**ნინიკო ფიქრობს. პასუს არ აძლევს**). როგორია-მეთქი, არ მოგწონს? ხომ მაგარია!

**ნინიკო.** არა!

**პასო.** რა?

**ნინიკო.** არა-მეთქი!

**პასო (გაღიზიანებული).** რატომ, ლამაზო?!

**ნინიკო.** მე მაგ საქმისთვის არ ჩამოვსულვარ აქ.

**პასო.** მაგ საქმეს შენსავით ვერავინ გააკეთებს.

**ნინიკო.** ვიცი.

**პასო.** ცოტა, სულ ცოტა თამაში...

**ნინიკო.** მე ჩემი საქმე მირჩევნია. თამაში შემიძლია, მაგრამ ჩემს საქმეს ვარჩევ.

**პასო.** შენ იცი, კურტკა რა ღირს თბილისში?

**ნინიკო.** ვიცი.

**პასო.** დუბლიონკა?

**ნინიკო.** აფიორაზე არ წავალ.

**პასო.** ეს დიდი მაცუთია. შეიძლება

დღეში ხუთი კურტკა დაითრიო (ნინიკო უარის ნიშნად თავს გააქნევს) ამ ქალაქში კი არა, იქით გადავიდეთ, დღისით იქ ვიმუშაოთ, საღამოს, — აქ (ირონიით) შენ რომ მშვიერი არ ღამრჩე (ნინიკო კვლავ თავს გააქნევს, ვახოს ბრაზი ერევა). რა პატიოსანი ბოზი ყოფილხარ!

**ნინიკო.** ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

**პასო.** უნდა აკეთო ის, რასაც ფული მოაქვს.

**ნინიკო.** მაგრამ ყანაღად არ უნდა იქცე!

**პასო.** ვითომ ყანაღობას ის სჯობია, რაც შენ აირჩიე?

**ნინიკო.** ამარჩევინე.

**პასო (იღიშება).** ე! რას ამბობს! მე? მე აგარჩევინე?

**ნინიკო.** მხოლოდ შენ არა. ყველამ.

**პასო.** შენ რაღაცას ურევ, აი, ჯანაბას, შენს საქმეს მოგცემ.

**ნინიკო.** გისმენ.

**პასო.** დღეში მიიღებ ორმოც დოლარს. იცხოვრებ ოთხვარსკვლავიანში, იქვე იმუშავებ.

**ნინიკო.** გასაგებად მელაპარაკე.

**პასო.** კაცია ერთი. სტამბოლში წაგიყვანს სამუშაოდ, დღეში ორმოც დოლარს გაძლევთ.

**ნინიკო.** რა უნდა ვაკეთო?

**პასო (ირონიით).** ზღვა რომ ასე ღრიალებს, იმის წამალი უნდა გამოიფონო.

**ნინიკო (ვახოს გამგმირავ შერას არ აცილებს).** მე არ ვიცი, ზღვის დღევა როგორ უნდა დაცხრეს.

**პასო.** რაც იცი, იმაში მიიღებ ორმოც დოლარს.

**ნინიკო.** რაც ვიცი, იმის გაკეთება ჩემი ნებაა და არა შენი!

**პასო.** გეცოტავენბა?

**ნინიკო.** შენ?

**პასო.** ჩემგან რა გინდა?

**ნინიკო.** მე რომ ათას მაიმუნთან უნდა დავწვე, შენ რამდენს აიღებ?

**პასო.** ორმოცდახუთიც გეცოტავენბა?

**ნინიკო.** არ მინდა.

**პასო.** ორი კვირის ფულს წინასწარ მიიღებ, ახლავე!

**წინიპო.** არ მინდა!

**პასო** (პაუზის შემდეგ მუქარანარევი ხმით). რატომ არ გინდა?

**წინიპო.** მე უშენოდაც მივედივარ სტამბოლში.

**პასო** (გაოცებული). სადა? სად მივედივარო?

**წინიპო.** სტამბოლში.

**პასო** (ახალაღა მიაქცია ფურადლება ჩანთას, რომელიც კართან დგას. პაუზის შემდეგ). ჰოპლა! როდის აპირებ, იუზგარ?

**წინიპო.** დღეს, ახლავე!

**პასო.** თუ საიდუმლო არ არის, ვის მიყვები?

**წინიპო.** ჩემს კაცს. ისიც იცოდებ. სადაცაა მოვა.

**პასო** (ოთახში დაბიჯებს). გა-სა-გე-ბი-ა! ახლავე მოვა და თუ ჭკუით არ ვიქნები, კისერს მომიგრებს, ხომ?!

**წინიპო.** კი, აუცილებლად.

**პასო.** დამბრძანებს?

**წინიპო.** ეგ იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევი.

**პასო** (მაგიდაზე ხელს დაჰკრავს, თითქმის ყვირის). და ამ ამბავს ახლა უნდა ვიგებდე?

**წინიპო** (მშვიდად). ადრე რატომ უნდა გაგეგო? შენ ვინ ხარ?

**პასო.** მე ვაზო ვარ და დაიმახსოვრე: უკვე მეორედ გაატიობ.

**წინიპო.** მე სადაც მინდა, იქ წავალ.

**პასო.** შენ გგონია, უყვარხარ და ამიტომ გეძახის? სხვებისთვის მიყევხარ, სხვებთან უნდა გამუშაოს (წინიპო ირონიულად იღიმის). იქნებ, იმას ფიქრობ, ცოლად შეგირთავს?

**წინიპო.** ცოლობა და ქმრობა თქვენა მოგონილია!

**პასო.** ჩაგიყვანს სტამბულში და გაგაქირავებს.

**წინიპო.** მიჩრევენია, იმან გამაქირაოს, ვიდრე ვაზომ. სული ამოგეხადე. დღეში ორ-სამ სეანსს გვაპართინებ და რას გვაძლევ?

6. „ცისკარი“, № 4.

**პასო.** იქ რას გაძლევენ, თბილისში. იქ შენთან დაწოლაში სამი ათას მანეთს ვინ იხდის?

**წინიპო.** შენ რამდენს იღებ?

**პასო.** ეგ შენი საქმე არ არის!

**წინიპო.** აი, მაგიტომაც მივედივარ (ჩანთას იღებს).

**პასო** (ღუმილის შემდეგ). კარგი, ეკრე იყოს, წადი! წადი, მაგრამ... გინდა შენ, გინდა — იმ შენმა კაცმა ხარჯი გადაიხადეთ: შენ რა გგონია, თქვენი აქ ჩამოყვანა რა დაჯდება? წესიერი კაცი ვერ წამოსულა იოლად და სამი ბოზის ჩამოყვანას რამდენი უნდა? მე ეგ ფული მუშტაიდში კი არ დამიკრფვია! მაყუთი დაყარეთ და სადაც გინდა, იქ წადი! მხოლოდ დოლარით უნდა გადამიხადოთ.

**წინიპო** (პაუზა. კბილებს შუა გამოსცრის). ვაზო დამპალო, შენ აქ სამი ბოზი კი არ წამოიყვანე, ეს არის სამი ქალი, რომლებსაც ცხოვრებამ თამაში ასწავლა. ეს თამაში იმათი გადარჩენის შანსია, შენთვის — ფულის შოვნის. ეს ერთი. მეორე — ჩვენ უკვე იმაზე ათჯერ მეტი მოგვეცით, რაც დახარჯე, გაიგე? თუ გაიგე, გამატარე!

**პასო.** დადე ეგ უკანალი, თორემ მოვალ!

**წინიპო.** გამატარე!

**პასო.** დადე-მეთქი!

**წინიპო.** გამატარე, თორემ...

**პასო** (მუშტს მოუქნევს). ვის აშინებ შენი!

**წინიპო** (ვახოს მოქნეულ მუშტს აიცდნის, ჯიბიდან პისტოლეტს ამოიღებს). ხელები მაღლა! ასწიე ეგ დამპალი ჩელები მაღლა!

**პასო.** ეე, რას შვრები!

**წინიპო.** ასწიე-მეთქი, ხელები, შე დამპალო! (ვახო ხელებს ასწევს) შემოგვყარე ამ სოროში, დღეში რამდენ კაცს გვიგზავნი, ვითომ მანქანები ვიყვით! დოლარს კი შენ იღებ ჯიბეში. კაცის მოკვლა რომ შემეძლოს, დიდი სიამოვნების მიგაბრძინებდი, შე დამპალო. ჩამოუშვი ხელები, საფრთხობელას რომ გავხარ!

(პისტოლეტს ჯიბეში ჩაიდებს, ჩანთას დასწვდება). იცოდე, თუ ამ გოგოებს აურევე, საფლავიდან ამოვიღებ (კარისაკენ მიემართება).

**პოლიციელი (შემოდის).** სალამ ალეიქუმ, ჩვენებურებო! (ყველა დაბნეული, შეშფოთებულიც კი მიუბრუნდება პოლიციელს. მხოლოდ მაია ზის გაუნძრევლად. მას არაფერი ესმის იმისა, რაც ოთახში ხდება). რა ჰაბერია, გურჯებო, ზღვა დელვამ ხომ არ შეგაშინა? გამარჯობა!

**პასო (გამოერკვა).** გურჯი ხართ?

**პოლიციელი.** გურჯია, გურჯი აბა! **პასო.** გამარჯობათ, მობრძანდით, და ბრძანდით!

**პოლიციელი.** ო, რა გურჯი ხათუნები, ო, რა გიუზელ, გიუზელ ხათუნები.

**პასო (პოლიციელის გამოჩენამ შუაშინა).** რა კარგი ქართული გცოდნიათ!

**პოლიციელი.** მენა? მენა მემღებქეთის ენა ცოტა იცოდი, იცის... ახლა იმდენი გურჯი მოდის... ისწავლე (მაგიდას მიუახლოვდება, მიუჯდება, ჯიბიდან ქაღალდებს ამოიღებს, რაღაცას დაეძებს. დიღინებს): ქაარში ოვავლაარ ქარარდიიი... გურჯი ხათუნი მაია? (ნინიკოს). ეს ხარ გურჯი ხათუნი მაია? (ნინიკომ ვერაფერი გაიგო, კითხვის გამოძახატველი მჭერით მიუბრუნდა პოლიციელს, რა გნებათო). გამარჯვება გურჯისიტანს, გამარჯვება ჩვენებურები!

**ნინიკო (ვახოს მრავალმნიშვნელოვნად).** მე წავედი, ვახო. ვახო ბეი! ბავშვებს ყურადღება მიაქციე... არაფერა დაუშავდეთ, თორემ ხომ იცი, დედა რა დღეს დაგაწევს.

**პოლიციელი.** სიმღერა მასწავლეს: დედაა, დედააა, საღვარელი ჩემო დედააა!

**პასო (ნინიკოს გზას მოუჭრის).** ჯერ პოლიციელ ბეის მოეუსმინოთ, ჯერ ვერსად ვერ წახვალ... ადამიანი საქმეზე მოსულა.

**პოლიციელი (ნინიკოზე მიათითებს).** მაია ეს?

**პასო.** ასე ხომ არ შეიძლება, ერთად მამოვედით, ერთად უნდა წავიდეთ, ასე

არ არის, პოლიციელ ბეი? მარტო წასვლა იქნება?

**პოლიციელი.** მაია? მაიას პოლიციამ საქმე უთხრას... არ შეიძლება აქ ყოფნა, წავიდეს!

**პასო (პოლიციელის მოსვლის მიზეზს ალღო აუღო).** თქვენ მაია გჭირდებათ? რა მოხდა?

**პოლიციელი.** მაია, მაია! ბრძანება: პოლიციის ემირი, ბრძანება არის.

**ნინიკო.** თქვენ მართალი ხართ, როგორ მიცანით?

**პასო (ღაიბნა).** რა... შენ?

**პოლიციელი.** გურჯი ხათუნი მაია ეს?

**ნინიკო.** აბა!

**პოლიციელი.** მაია წასვლა! მაია გა... გამგ... გამგზავრება!..

**პასო.** ჰო, ჰო, ჰო! აბა! ამას წასვლა უნდა! აი, ჩვენ გეტოვებს, მიდის.

(მანქანის სიგნალი. ნინიკო აივანზე გადის. ვიღაცას ხელს უქნევს).

**პოლიციელი.** მაია ახლა გამგზავრება თუ არ იქნა, ერთ საათში პოლიციაში დავდომა.

**მაია (აღვილიდან წამოიჭრა).** რა?

**ნინიკო (მაიას მივარდება, კვლავ სკამზე დავაძს).** ეს შენი საქმე არ არის, შენ ავად ხარ... იყუნე!

**პოლიციელი (მაიას აკვირდება).** პოლიციის ბრძანება... სწრაფი, ჩაბუქ-ჩაბუქ შესრულდეს.

**პასო (ნინიკოსაკენ უითთებს, დაბნეული).** კი მაგრამ, ეს რა... ეს რა შუაშია? **პოლიციელი.** ეს ხომ მაია?

**ნინიკო (ღიმილით).** თავიც არ წავაო, ვახო! შენ ხომ მაიას მანც კარგავ? (ვახოს მზრუნველად უსწორებს საყვლს) აბა, დაფიქრდი! მე ისედაც წავალ...

**პასო (პოლიციელს).** არა... კი... კი.

**პოლიციელი.** არა, არა, კი... კი... ვერ გაიგებს. მაია ეს თუ არა!

**პასო.** მაია, მაია! აბა! რა მოხდა, რა დააშავა?

**პოლიციელი.** ქალაქის ბაღში შიშველი არ შეიძლება... ქალაქის ბაღში სექსი არა, აპ! იასაქ. იასაქ! აკრძალული!



ქალაქის ბაღში გეზმექ, გეზმექ!.. სეირ-ნობა... აპა-აპა იოფმექ, იოფმექ! კოცნა!  
**ნინიკო.** ვიცი, ვიცი და, მაგრიტოვაც მიეღივარ, ხომ ასეა, ვახო? აბა, კარგად იყავი! (ჩანთას აიღებს).

**პოლიციელი (ნინიკოს დაედევნება).** არა, არა, არ იქნება! (ქალაღლს აჩენებს). დაწერა, დაწერა!

**ნინიკო.** დაწერო?

**პოლიციელი.** ჰო, ჰო, ჰო დაწერო!

**ნინიკო (გაკვირვებულიც კი).** რა და-წერო?

**პოლიციელი.** ხელი, ხელი დაწერო!

**ნინიკო (მიხვდა).** ხელი მოვაწერო?

**პოლიციელი (გახარებული).** ხელი მოვაწერო, ხელი მოვაწერო!

**ნინიკო.** ახლავე! გნებავთ თქვენ, გნებავთ ვახოს, მაგაზე გატკენთ გულს? (ქალაღლზე ხელს მოაწერს.)

**პოლიციელი (ნინიკოს ხელზე ჰკოცნის).** კეთილად იარ! (ქალაღლს კმაყოფილი ჩაიდებს ჯიბეში. დიდინებს). დედაა, დედაა, საღვარელო ჩემო დედაა!

**ნინიკო.** აი, ხომ ხედავ, ვახო, პოლიციელ ბეი მე ხელზე მკოცნის, ზოგიერთი ვირი კი რა ამბავში იყო ხუთი წუთის წინ (ირონიულად). ეგრე რატომ მოღუშულხარ? თავი ხომ არ გტკივა? თუმცა, თავი რომ გტკიოდეს, უნდა გქონდეს კიდევ (ღიმილით). ხომ ასეა? (პოლიციელს) კეთილად დარნით, არივე დერნი! (გადის).

**პოლიციელი (როგორც ეტეობა, სიტყვებიც მოსწონს, პათეტიკურად წარმოთქვამს).** კეთილად იარ!

**მანკო (თითქმის თავისთვის).** მოტყვლა, მანკო მოტყვლა! (ნინიკოს დაედევნება.)

**პოლიციელი (მაიას).** შენ ავად არის? (მაია უმწურო უკრავს თავს) ილაჯი? ილაჯი (ფიქრობს), წამალი არის? **მაია.** არა... არა... კი.

**პოლიციელი.** არა, არა, კი. ეს არის რა?.. არ არის ილაჯი? არის?

**მაია (თავს უკრავს).** კი... კი.

**პოლიციელი (დაეჭვებული).** აბა... თუ ილაჯი არის... (ჯიბეებში რაღაცას დაეძებს, ვერ პოულობს. იჭვი უძლიერ-

დება). სურათი? სურათი სად არის? (მაიას მიანერდება, თითქოს დამშვიდდება). მშვიდობით იყავ! (ღიმილით გადის). დედაა, დედაა, საღვარელო ჩემო დედაა! (ხანგრძლივი დუმილი).

**მანიკინის ხმა.** აალაპუ აკბარ... აა-ლაპუ აკბარ!

**მანიკ (ხმაწარმეული, გატეხილი).** რა ხდება, თიკო?

(პაუზა). თიკო, რა ხდება?

**თიკო.** არ ვიცი.

**მანიკ.** პოლიციელს ჩემგან რა უნდოდა?

**თინა.** ამ ქალაქში განერებას გიკრძალავენ, გაგასახლეს.

**მანიკ.** რატომ?

(დუმილი.)

რატომ-მეთქი?!

**თინა (თითქმის ვვირილით).** იმიტომ, რომ არ შეიძლება ფულის გულისთვის პარკშიც კი იკისრო!

(მაიამ თავი ჩაჰკიდა. ხანგრძლივი დუმილი. ისმის ზღვის ღმუილი.)

**მანიკ.** თიკო ძალიან ცუდი გოგო ვარ? (დუმილი.)

მითხარი, თიკო, ძალიან ცუდი გოგო ვარ?

**თინა (მიუახლოვდება. თმაზე ხელს უხვამს, ვალერსება),** არა, მაკო, შენ არა ხარ ძალიან ცუდი გოგო... ჩვენ ერთნაირად ცუდი და ერთნაირად კარგი გოგოები ვართ. ყველა ერთნაირად უბედური და ერთნაირად ბედნიერი... (პაუზა. თინა ერთ წერტილს მისხერება). თუმცა, ბედნიერნი ახლა თავ-თავიანთ ოჯახებში არიან. ბავშვებს აძინებენ.

**მანიკ.** ბავშვი... ოჯახი... სწორედ ბავშვის სიყვარულმა... (პაუზა). თექვსმეტი წლისას ისე მინდოდა შვილი მჭკროდა ხელში, რომ ის ბიჭები ჩემს კლასელებად კი არა, იმ კაცებად წარმოედგინა, ვისგანაც შეიძლებოდა შვილი მყოლოდა. ისინი... ბიჭები კი... იმათ არაფერი იცოდნენ... იმათთვის, უბრალოდ, თანაკლასელი ვიყავი... მათი ფანტაზია ამის იქით არ მიდიოდა... მაგრამ ერთ-ხელ ერთმა ლამაზმა ბიჭმა, — სტუდენტი იყო, მიყვარხარო, მითხრა... (პაუზა).

მიყვარხარ. მი-ყვარ-ხარ! რა მაგიური ძალა აქვს ამ სიტყვას. მიყვარხარ! მეც ამას ვეძებდი, მეც ეს მინდოდა... რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, რა ბედნიერი!

**თინა.** დღეს კი აქ დავეძებთ ბედნიერებას... სასაცილოა! ჩვენ ბედნიერებას აქ დავეძებთ. იმიტომ, რომ ან აქ უნდა იყო, ან რუსთაველზე, მიწისქვეშა ვასასვლელებში უნდა გაიშვირო ხელი... თუმცა, ეს სიბერეში იქნება. ჯერჯერობით კი აქ, ან სხვაგან... სულ ერთია, სხვა გზა აღარ დავგრძელებ — მთავარია, მოახერხო, რამენაირად უნდა მოახერხო თავდავიწყება უცხოთა ლოგინებში, ან თუნდაც თამაში თავდავიწყებისა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რა მსურს მე, მომწონს თუ არა ყველაფერი... ეს... ეს არავის არ აინტერესებს... უნდა ითამაშო, უნდა ითამაშო! სხვა გზას ვერ ვხედავ (პაუზა). ან იქნება... იქნება გამოჩნდეს?

**პასო (შემოდის, დაღლილ-დაქანცული, სახეარული მძიმედ დაეშვება სკამზე).** მაინც მოტყდა, მაინც წავიდა.

(ღუმელი. ისმის ზღვის ღრიალი. ვახო წამოდგება, აბაზანაში გადის, პირს იბანს, გამოდის, სახეს იმშრალავს.) სულ სტამბოლში ხომ არ იქნება, ერთხელაც ხომ დაბრუნდება თბილისში? (სკამზე დაეშვება. პაუზა). მე თათარი მირტყამდა, იმას კი სახეზე ღიმილი დასთამაშებდა... პირისახე უცინოდა, ბედნიერი იყო.

(მაია კვლავ უხმოდ ზის. უნდა ვივარაუდოთ, რომ მწარე ფიქრებში გახვეულს არც ესმის, თუ რა ხდება ოთახში, რაზე საუბრობენ).

**თინა.** თათარი გირტყამდა?

(ვახო ღუმს).

**მუშაქინის სმპ.** ალაპკუ აკბარ, ალაპკუ აკბარ...

**თინა (ვახოს მიუახლოვდება, აღერხით).** ხომ არაფერი გტკივა? გეტკინა? რამე?

**პასო.** კარგით, დამღება უკვე! დაიკრასკეთ, წასვლის დროა, გელოდებიან. შენ გუშინ საღამო ისედაც გამოციდინე. სად დადიხარ? ლევი საქმე ხომ არ გაი-

ჩინე? დავიჯერო, ის ტიპი მოგწონს? შაქელი, გაემზადე.

**თინა (ნირწამხდარი).** მე არ შემოდელია, ვახო, ძალა არა მაქვს.

**პასო.** არ გავიგონო მე აქ, ძალა არა მაქვს... არ შემოდელია, მეზარება! ნუცას სკოლაში ხო არა ხართ! საქმეს მიხედეთ, დროზე!

**თინა.** არა!

**პასო (გამომწვევად).** ბატონო, ბატონო!..

**თინა.** არა-მეთქი!

**პასო.** არას გაჩვენებ მე შენ! იმის ბოლმას შენზე ვიყრი!

**თინა (ირონიით).** მაგას შენგან ვერ დავიჯერებ!

**პასო (ერთხანს უხმოდ შესცქერის თინას. მშვიდად).** გამაგებინე, ერთი, რა ხდება შენს თავს.

**თინა.** არ შემოდელია.

**პასო.** ის თათარი... ის ქართველი... რა ჰქვია?

**თინა.** ფრიდონი.

**პასო.** ფრიდონი! დავიჯერო ასე ჰქვია?

**თინა.** ყველა შენნაირი ხო არ იქნება, ვახო, შენნაირად დაუნდობელი...

**პასო.** არ გინდა ახლა ბებიანემის დროის ამბები! მე ძმაკაცურად გელაპარაკებ... სიყვარულით...

**თინა.** სიყვარულით შენ სამი წლის წინათ მელაპარაკებოდი, დღეს აქ მომიყვანე.

**პასო.** მერე რა წააგე, რომ მოვიყვანე? შენ ეს მითხარი, — ის ტიპი სერიოზულად ფიქრობს რამეს თუ თამაშობს?

**თინა.** არ ვიცი... მგონი, სერიოზულად.

**პასო.** გააფრენ კაცი და ეს არის!.. მერე შენ რად გინდა ეს ამბავი? დავიჯერო, გინდა?

**თინა (ერთხანს უხმოდ ჩასცქერის ვახოს თვალებში).** რა კარგი ბიჭი იყავი, ვახო! რა კარგი ბიჭი...

**პასო.** რა? გინდა? (ღუმელი). თუმცა... (ვახო ღუმს. ფიქრობს). თუმცა, კაცმა რომ თქვას, არ უნდა იყოს ცუდი საქმე... შენ თუ აქ დარჩები... თუ შენ აქ დარ-



ჩები... შეიძლება რაღაც საქმეც ააწყოს კაცმა.

**თინა.** თვალებიც რა სუფთა გქონდა მაშინ.

**პასო (იდეამ გაიტაცა).** უნდა აიყვანო ეგ ბიჭი, რამენაირად უნდა აიყვანო! კარგი საქმეა ეს და მგონი, არც უნდა იყოს ძნელი... (ღიმილით, თითქმის სიცილით). რომ იცოდე, რა მითხრა გუშინ მამამისმა... აი, ისა... რა ერქვა? ისა პო... ქეთევან დედოფალი თუ ახსოვთ თქვენში, ეგ ხათუნები, ჩვენი თინათინი, ნინო და მაია იმას მაგონებენო... არ გაგიჟდები?! რა ქაჯები არიან...

**თინა (ყვირის).** ვახო!

**პასო.** არ უნდა მაგას ვახო და მახო! დილიდან ეგ საქმე უნდა გაშანსო. ახლა კი ადექით, გაემზადეთ!

**პოლიციელი (შემოვარდება. მაია ისევე უძრავად ზის, როგორც დატოვია, სწორედ მასთან მიიჭრება).** ბაშპორტ, ბაშპორტი! (მაიას ვერაფერი გაუგია, უაზროდ შეჭყურებს.) პასპორტი! (ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს, გაშლის, ხან შიგ დაბეჭდილ ფოტოს დასცქერის, ხან მაიას შესცქერის.) შენ ვინ არის? (მაია ჩანთიდან პასპორტს ამოიღებს, მიაწოდებს. პოლიციელი ყურადღებით აკვირდება პასპორტში ჩაქრულ ფოტოს). მაია! (ვახოს მოუბრუნდება) ტყუილი? (მაიას) ერთ საათში დასტოვოს ქალაქი, ერთ საათში! არ შეიძლება. იასაქ, იასაქ! პოლიციელის მოტყუება — ჯარიმა ათი ათასი ლირა!

**პასო.** ეე... ეს რას ამბობს?

**პოლიციელი.** ტყუილი! მაია დარჩა, ბაშქა, ბაშქა... სხვა წავიდა... ტყუილი... შენ ჯარიმა ათი ათასი ლირა!

**პასო.** აი, შარი!

**პოლიციელი.** მაია წავიდეს... ჩაბუქ, ჩაბუქ, მალე, მალე! (ჯარიმის ქვითრის გამოსაწერად ემზადება).

**პასო.** მოიცა, კაცო, მოიცა! რას შერები! ეს რა... ეგრე იქნება? ბნელა?

**პოლიციელი.** გისმენს. ფრთხილად, პოლიციაში წავიყვანო! იქ დიდი ჯარიმა.

**პასო (შეშინებული).** მოიცა, კაცო, მოიცა, შე კაცო, აზრზე მოვიდე, ქართველები არა ვართ?

**პოლიციელი.** პოლიციაში!

**პასო.** რაო, რამდენიო ჯარიმა?

**პოლიციელი.** ათი ათასი ლირა!

**პასო.** მერე რა მოხდა! რა არი ეგ შენი ათი ათასი ლირა! აჰა (ფულს ამოიღებს, პოლიციელს წინ დაუდებს). ა, შე კაცო, მაგის ხალხი ვართ ჩვენ? (მაია წამოდგება, გასასულელისაკენ მიდის) შენ საით, შენ სად მიდიხარ?

**მაია.** მოვალ, ახლავე მოვალ (გადის).

**პასო.** დროზე, დროზე, გაემზადი. ხალხი გველოდება!

**პოლიციელი (ჯარიმის ქვითარს წერს. მაიას მისამართით).** მალე, მალე ჩაბუქ!

**პასო.** რას შობი, ეს რა არი?!

**პოლიციელი.** კვიტო... ჯარიმა... ქიალით... ქაღალდი დაიწეროს!

**პასო (ღიმილით)** არ გრცხვენია? ჩვენ მაგის ხალხი ვართ? ქვითარი რად გინდა? ეგ ფული (ფულს ჯიბეში ჩაუჩურთავს) ჯიბეში ჩაიდე, შე კაცო, ოჯახის პატრონი კაცი ხარ! ქვითარი რად გვინდა? ფეშქეშ, ფეშქეშ! მაიას ამ საღამოს იმდენი საქმე აქვს...

**თინა.** ვახო!

**პოლიციელი.** არ იქნება. კანონი კანონია! (ქვითარს წერს).

**პასო.** ე, კაცო, რად მინდა ეს ქვითარი, ვერ გაგავებინე? შენი იყოს ეს ფული, შენი! ქვითარი არ არი საჭირო.

**პოლიციელი (ვახოს ყურადღებით აკვირდება).** რატომ?

**პასო.** რა რატომ?

**პოლიციელი.** ფული ჩემი რატომ? ჯარიმა?

**თინა.** ვახო, რას შერები, ვახო!

**პასო.** იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მაგის ხალხი ვართ ჩვენ? ქართველები არა ვართ? შენ ხო ხარ ქართველი?

**პოლიციელი (სიამაფით).** აბა!

**პასო.** ჰოდა, მორჩა! ჩვენს შორის ეგ ამბავი რა მოსატანია!

**პოლიციელი.** ვერ გავიგო (ჯარიმის ქვითარს წერს. ვახოს აწოდებს). მაია? პოლიცია მანქანა წაიყვანს.

**პასუ.** სადა, კაცო, რატომ?

**პოლიციელი.** კანონი, კანონი შესრულდება.

**პასუ** (სკამს აიღებს, პოლიციელის სკამის გვერდით დადგამს, ახლოს მიუჯდება, ჩაჯონებით). ყური მიგდე, ყარდაშ (თინას), გადი შენ გარეთ, რას მეჩითები აქ, გადი, მალაპარაკე კაცთან, ამხანაგურად! (თინა უხმოდ გადის აივანზე. პოლიციელს) ჩვენ თუ ერთმანეთს არ გავუვეთ, სხვა ვინ გავვიგებს. გავვიგებს ვინმე? არა! ჩვენ აქ დიდი საქმისთვის ვართ ჩამოსული... რა ჰქვია იმას... აი, უნდა შევისწავლოთ, როგორ ლაპარაკობენ გურჯები ქართულად: მივახვედრე, ხომ!

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** აი, მაია მაგას სწავლობს... მაგისტრისაა ჩამოსული...

**პოლიციელი.** შიშველი? ბაღში, მანქანაში შიშველი?

**პასუ.** რა მოხდა ახლა... გოგოა, იქნება კი მოუნდა რაღაცა. გაიგე, ხო?

**პოლიციელი** (თავს უკრავს). კი.

**პასუ.** მთელი საქართველო მაგის ჩაწერებს ელოდება. მიხვდი, ხო?

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** ავაშენა ღმერთმა! ამ საღამოს ეგ ხალხს უნდა შეხედეს, გურჯებს, უნდა ჩაიწეროს, როგორ ლაპარაკობენ ქართულად, გაიგე, ხო?

**პოლიციელი.** კი, კი...

**პასუ.** ჰოდა, ამის გამო... ამიტომაც... აი, ამ მიზეზით, ამ საღამოს ვერსად ვერ წავა. რას იტყვის ის ხალხი... არ იტყვიან, ეს გურჯები მატყუარები ყოფილანო? მე იმ ხალხს ვერ მოვატყუებ... რა ვქნა, ვერაფრით ვერ მოვატყუებ. გაგაგებინე, ხომ?

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** ჰოდა, ავაშენა ღმერთმა! ესე იგი, ამ საღამოს მაია...

**პოლიციელი.** კანონი? არ შეიძლება. ახლავე ავტო წაიყვანს.

**პასუ.** რაო? აბა, გავიგეო?

**პოლიციელი.** კანონი?

**პასუ.** რა კანონი, კაცო, რის კანონი... არ გადამრიო ახლა მე შენ! ერთი მოტყედა, მეორეს აგდებ... მე რა ვქნა აქ... მე ისა ვარ? ამდენი ხარჯი, ამდენი შრომა... გამიგე, რა, კაცურად გვხვეწები — ორი საღამო მანუქე... დღეს და ხვალ. ზეგ დილას ვინც თქვენ შევაწუხოთ... მე თუ თონ წაიყვან...

**პოლიციელი.** არ იქნება. პოლიციამ ემირი ჰქნა! ახლავე!

**პასუ.** ე, ბიჭო, მომისმინე ერთი წუთი!

**პოლიციელი.** ისმენს, ისმენს...

**პასუ.** ხო ხარ შენ ქართველი კაცი!

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** მერე? ქართველებმა ერთმანეთს არ უნდა გავუვოთ?

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** როგორც ქართველმა ქართველს მანუქე ამ ორ საღამოს ის გოგო.

**პოლიციელი.** კანონი?

**პასუ.** ვახ, შენი! რა არი ასეთი ეგ შენი კანონი?

**პოლიციელი.** ოო, კანონი!

**პასუ.** კანონი ჩვენცა გვაქვს, მაგრამ ხალხს სულს კი არ ვხდით. შენ მარდ ხელი ხო მოგიწერეს, ამ ქალაქიდან გაედივარო.

**პოლიციელი.** სადა?

**პასუ.** აი, ნინიკომ ხომ მოგიწერა ხელი, თქვენს ბრძანებას გავეცანი და ვტოვებ ამ ქალაქს.

**პოლიციელი.** კი.

**პასუ.** მეტი რა ვინდა? მიიტანე ეგ ქალაქი პოლიციაში და მორჩა! შენ რა გენაღვლედა!

**პოლიციელი.** მაია აქ არის, მაია არ წავიდა, კანონი?

**თინა** (აივანიდან შემოვარდება, ყვირის). მაკო, მაკო! მაია ზღვაში შედის!

**პოლიციელი** (გაოცებული). ზღვაში? (რადაც აზრმა გაუელვა. გარბის).

**პასუ** ზღვაში რა უნდა მაგ შობელძალღს! (პოლიციელს მისდევს).

**თინა** (აივანზე გადის). მაკო, მაკო, რას აკეთებ, მაკო! მობრუნდი!

**ვრიღონი** (შემოდის, მიმოიხედავს. სადამოს ბინდბუნდში თინას აივანზე დალანდავს). თინათინ, თინათინ! (თინა მობრუნდება. ფრიდონისაკენ გამოეჰქანება). თინათინ, ბაბამ თქვა...

**თინა** (ფრიდონს ჩაეკურება). აფრიდუნ, აფრიდუნ... მაია თავს იხრწობს... მიეშველეთ, მიეშველეთ!

**ვრიღონი.** (სიტყვა ვერ გაიგო). იხრწობს?

**თინა.** ზღვაში, ზღვაში...

**ვრიღონი.** აჰ! ჰო... (ახლადა მიხვ-

და) თავის დახრწობა... დოღრუ... დოღრუ... სუფთა გახდება... მართალი... მართალი მაია. (თინას ეხვევა).

ერთმანეთს უერთდება მრავალი ხმა: ზღვის ღრიალი, ადამიანების ყვირილი. მოისმის მაიას ხმა. იგი კვლავ ზეინაბის მონოლოგს კითხულობს. "დიდებული საქმე მოხდა იმ დამეს, ოთარბეგ, დიდებული! როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებს ის ამბავი მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაშინდა მივხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ადამიანად..."

ნელ-ნელა იხურება ფარდა.



## მანა სარიშვილი

●

მე თქვენი მეგობარი ვარ, ხეებო...  
 გადმოვლახე საზღვარი და მორჩა!  
 მდიონ ახლა რამდენიც უნდათ და მეხვეწონ.  
 აღამიანებთან აღარ დავბრუნდები!  
 აი, მიყურეთ, თუ ვინმეს გაუვლიძო...  
 ანდა ვინმეს მივწერო წერილები...  
 დავიბრუნებ ყველა უკვე თქმულ საიდუმლოს.  
 დავიბრუნებ ყველა უკვე მოყოლილ სიზმარს  
 და მერე ნახონ!..  
 მერე ნახონ, როგორია უჩემობა.  
 არავეინ რომ არ ეყოლებათ წვიმებთან და ყვაველებთან შუამავალი,  
 არავეინ რომ არ ეყოლებათ გრძელ და ოქროსფერთმიანი,  
 არავეინ რომ არ ეყოლებათ მოსაფერებელი ან გასაკიცხი,  
 არავეინ მონაყოლში რომ არ შეეპარებათ ეჭვი: ხომ არ იგონებსო,  
 მაშინ კი მინატრებენ, მაგრამ ბოდიში...  
 აღამიანებთან მე აღარ დავბრუნდები!  
 ისინი არასდროს არ ფიქრობენ იმას, რომ შესაძლებელია,  
 შენ შენი ტყუილებით ათასჯერ უფრო მართალი იყო  
 იმათ სიმათლევზე  
 და კიდევაც რომ უფრო მეტად, ვიდრე ათასჯერ.  
 მე ახლა თქვენი მეგობარი ვარ, ხეებო!..  
 გადმოვლახე საზღვარი და მორჩა!..

●

მოვედი!

ღურჯად შემოვიღვარე ღია კარიდან, როგორც საღამო.  
 თაიგულივით მეჭირა ხელში ყველა სიზმარი, რომელშიც  
 გნახე.

სევდის ნაცნობი სურნელი ჰქონდა ღიმილს — ბაკემდე ვეღარ  
 მოღწეულს  
 და ყაყაოსფერ მძივში მიჩქეფდა სისხლი, რომელიც ვერ  
 დავიტიე.

მქონოდა მაინც ენა, რომ მეთქვა.

გქონოდა მაინც გული, რომ გვერძნო,

როგორ ნისლივით ჩუმად ეფინა ოთახში ნივთებს ჩემი სიგიჟე.

გქონოდა მაინც გული, რომ გვერძნო...

მქონოდა მაინც ენა, რომ მეთქვა...

ღუღლა ლარნაკში წყლისფერი სიტყვა გვირილის მწვანე ღეროს  
 გარშემო...

●  
 მოიწყინა ღიმილმა —

ყვაკვილივით ჩარგულმა ბაგის კუთხეში.  
 ვეთქვა მაინც, თუ სამუდამოდ მიდიოდი.  
 სხვა სიტყვებს ვეტყვოდი.

სხვანაირად დავხურავდი კარებს.

შერჩენია დამტკვერილ ნაძვის ხეს ერთი სათამაშო შემთხვევით  
 და თბებიან ახლა ორივენი ჩვენი აივნის წილი მზით.

ბედნიერი შუშის კურდღელი, ბრჭყვიალა და ვარდისფერი.

სხვა სათამაშოებს კი გული უწუხთ ბნელ ყუთში.

„მომავალ დეკემბრამდე, ალბათ, ათასი საუკუნეა“ —  
 ფიქრობენ ისინი...

●  
 იწვიმე, ცაო, იწვიმე და გულზე მოგეშვება,  
 თორემ არავის აქვს შენსავით გადამღები სევდა.

აი, მოიწყინეს და აღარ შემიძლია აღარც ამ ხეების ყურება —  
 ჩაიბრუნეს სხეულებში კვირტებიდან ახლად ამომსკლარი  
 ღიღინი.

აღარაფერი უხარიათ...

მეც სულ მაფრთხილებენ:

ნუ გენანება ხოლმე თვალებიდან ცრემლების ამოწურვა,

ხომ იცი, მათ გულის შხამი მიჰყვებათო,

მაგრამ არასდროს უტირი სხვების დასანახად.

იმიტომ, რომ ტირილიც საიდუმლოსავითაა და ყველას ვერ  
 გაუმხელ.

შენ კი, სად უნდა გაიქცე, სად უნდა დაიმალო?..

სულ ვფიქრობ: ალბათ, როგორ ძნელია,

ყველას დასანახად გიხაროდეს და

ყველას დასანახად გწყინდეს.

●  
 როცა ვედარ დავიტევ ხოლმე, მზეო,  
 ჩემგან ბალახებში გადაგღვრი, კარგი?

ო, ისე მრცხვენია მათი და ყვაკვილების.

სითბო, რომელსაც მე მახარჯავ, ხომ

ასი ათას მკედარ მინდორს ეყოფოდა გასაცოცხლებლად.

არ იმალება ბედნიერება.

აი, ეს მბზინვარე ველური თმის შადრევანიც —

თითქოს თავის ქალიდან სხეულში ვედარ დატეული

შენი სიოქროსფერე ამომსკდომოდეს.

არადა, ხომ შეიძლება, ასე ნათელს თვალი მომკრან

ჭიამაიებმა,

რომელთაც სცივათ

და ერთმანეთს ჰაწია, გაყინულ ფეხებს უორთქლავენ..

## უაღვა მჭედლიშვილი

70 წლისა გახდა ცნობილი პოეტი უაღვა მჭედლიშვილი, კაცი, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში საბჭოთა საპეროდიკებსში, საპატიმრო ბანაკებში და გადასახლებაში ქმნიდა თავის ლექსებს.

„ცისკრის“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს მრავალჭირნახულ პოეტს და მის რამდენიმე ლექსს სთავაზობს მკითხველს.

### ორი ნუბეში

ეს ლექსი შესანიშნავმა მწერალმა და მკვლევარმა რეივან ლერენხილასემ მოიძია „სტუქის“ არქივში (ავტორი).



განჰქრა, წავიდა, ქარს მიჰბარდა ძველი დიდება,  
 თითქოს აროდეს არ ყოფილა შოთა, ილია.  
 ო, ნუთუ კეთილს მომავალიც აღარ გვპირდება,  
 წრფელი ცრემლებიც, ცრემლებიც კი გამოილია.  
 პატიოსნებას ვინ დასტირის წუმბეში ნათრევს,  
 აღარც სინდისი, აღარც რწმენა, აღარც დანდობა!  
 ორი ნუგეში დარჩა მხოლოდ დღევანდელ ქართველს:  
 ერთი — სიკვდილი და მეორე — არამზადობა...

### გვიანია

გიორგი კიაბრიშვილს\*.

გვიანია! განშორების გრივალები გუგუნებენ: გვიანია!  
 გვიან მოგაქვთ ეგ გვირილის გვირგვინები, გვიანია!  
 ო, ამაოდ ნუ აწყდები ნაპირს, ტალღავ! გვიანია!  
 ეგ ნაპირიც პირქუში და ქვიანია, გვიანია!..  
 განა ვინმეს განწირულ ხმას გავაგონებთ?! გვიანია!..  
 აღარ, გზა ხნის აღარა ჩანს...  
 აღარც ადამიანია!

1949 წელი. ვორკუტა.

\* ცნობილი პედაგოგი, ფილოლოგი; ერთად ვიმყოფებოდით ვორკუტის პოლიტპატიმართა სარეჟიმო ბანაკში (ავტორი).

## ცივიბირის გზაზე

ჩალით დახურულ რუსეთს სალამი,  
სისხლიანი რომ ამკობს ალამი!  
მე სტოლიპინის რონოდით მოველე  
ვრცელი რუსეთი, ბნელი რუსეთი  
და ყველგან შეეხვდი ქედმოხრილ მონებს  
და ყველგან დამხვდა ბრმა ბურუსეთი.  
წამართვეს ქნარი ტკბილმოუბარი,

მომწყვდიტეს მშობელ მთებს და  
ტრამალებს  
და ჟანგიანი ხელთ მომცეს ბარი,  
რომ თვით გაუთხარო ჩემი სამარე.  
კაცი ჩალად ღირს, სიცოცხლე—გროშად,  
ყველგან მტარვალთა ელვარებს დანა,  
აქ ყოვლისშემძლე ატომის დროში  
ჯერ კიდევ სუფევს ბრინჯაოს ხანა...

ვერ დავივიწყე...

ის ცა, მიმავალ

წეროების წივილით სავსე —

მთრთოლვარე ხელით დაწერილი

ის მწუხარე მამის წერილი.

## ტუნდრაში თქმული

დავით კვიციანიშვილს\*

სხვაც შეიძლება, სხვაც კიდევ განა,  
შმაგ შერკინებას შავ უკუნეთთან?  
უკუნი იყო, უკიდევანო,  
უკუნი შუასაუკუნეთა!  
არ დაგვივიწყოთ ქვესკნელის მკვიდრნი,  
ვისაც ხასხასა სხივი გვეწადა,  
გულს გვისუდრავდა სუდარა ბინდის

და გრიგალები სულს გვიღწავდა.  
არ დაივიწყოთ სახელი მათი,  
ვინც ჯოჯოხეთშიც, აქ, თქვენზე  
ვწუხდით,  
ვისაც ციცინათლის უმწეო ნათლით,  
სურდა გაფანტვა პოლარულ მწუხრის.  
1950 წელი. ვორკუტა.

\* ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე; ერთად ვიმყოფებოდით ვორკუტის პოლიტა-ტიმართა სარეჟიმო ბანაკში (ავტორი).

## დაგრუნების უეფლე თქმული

დაიწვას ჩემი ბედი, აკვანიცი!  
ჰოი, როდემდე, როდემდე ვლუმდე...  
მომენატრება „მარტო საკანიც“,  
ამდენ ცრუსა და მავნეს რომ ვუმზერ.  
აღარ ვხედავდე ამ მაცდურ ნიღბებს,  
გულქვა, ღვარძლიან, ცრუ ერისკაცთა...  
ყველგან მრისხანე ჯალათი მიბღვერს,  
მისი ნასროლი ტყვია თუმც ამცდა!

გაუხარელი, შავბნელი წლები,  
ბილწი მონები, სული რომ უყართ...  
ქვეყანა ხარბ და ცოფიან მგლებს,  
სადაც არავის არავინ უყვარს.  
სიყრმეჩამკვდარი და უბედური  
მხოლოდ იმასლა, იმასლა ვნატრობ,  
გადავიხვეწო სადმე, უდაბურ,  
უბირ კუნძულზე, მთლად მარტოდმარტო.

### მჯერა

ყოვლისშემძლე ძალა გვფარავს,  
 მზეზე უფრო ცხადი —  
 ივერიის ყოვლადწმინდა  
 ღვთისმშობელის ხატი.

მჯერა მისი ყოვლისშემძლე,  
 ჯადოსნური ძალის.  
 განკითხვის და განკიცხვისა  
 კვლავ ჩამოჰკრავს ზარი!

ნუთუ უკვალოდ გაქრა ის ღელვა,  
 გამონაკრთობი იმ ნაზ შუქისა?..  
 ო, ნუთუ მართლა ლექსიც, სიმღერაც  
 ხვედრია მხოლოდ სიჭაბუკისა?!  
 ო, არა, არა!.. როცა სიბერე

კარს მოგვადგება ყინვის ლახვართ...  
 თუ არ ვიმღერეთ...  
 ზომ გავითოშეთ  
 ამოების ცივი ხარხართ!





# ვლადიმერ ნაბოკოვი

## ლოლიტა

ერთხელ საბრალო „იკაროსიდან“ გამოვიღე და გავანადგურე საყმაწვილო ჟურნალების მთელი გროვა. ამგვარ გამოცემებში აღწერილია ქვის ხანის დროინდელი განცდები: ჰიგიენის მზრივ, ისინი, ალბათ, მიკენის ეპოქას განეკუთვნება. ლამაზი, მაგრამ უკვე მეტისმეტად მოწიფული მსახიობი ქალი, რომელსაც უზარმაზარი წამწამები და წითელი, ფაფუკი ქვედა ტუჩი აქვს, ახალ შამპუნს გეთავაზობს. რეკლამების ბედლამი. ნორჩ მოსწავლე გოგონებს მოსწონთ ნაოჭიანი ქვედატანები — რა შორეული იყო ყველაფერი ეს! როდესაც სტუმრებს ღამისთევით იწვევთ, დიასახლისმა ყოველი სტუმარი ქალისთვის ხალათი უნდა გაამზადოს. აბნეული დეტალები თქვენს მეტყველებას ყოველგვარ ლაზათს უკარგავს. კანტორის მოსამსახურეთათვის გამართულ საღამოს წვეულებაზე ყველას შეგვხვედრია „ჩინკია“ — ქალიშვილი, რომელიც სახის კანს ფრჩხილებით იჩინქნის. მხოლოდ ძალზე ხანდაზმულმა ან დიდი თანამდებობის პირმა არ უნდა გაიძროს ხელთათმანები, როდესაც ქალს ართმევს ხელს. ყველას გულს დაიპყრობ ჩვენი „მუცელდამმალავის“ ტარებისას: არც თემოები გამოგიჩნდება, არც მუცელი. ტრისტანი და სამი ქალის ტანი კინოში. დიან-დიან, ბატონებო: ბერტისა და ბერ-

ტას ქორწინება ნაცნობების ბურტყუნს იწვევს. შეგიძლია, სწრაფად და იაფად ჭადიქცე რომანტიკულ ლამაზმანად. კომიქსები: ცუდი (შავკერემანი) გოგონა, მისი მსუქანი, სივარიანი მამა; კარგი (წითური) გოგონა, მისი ლამაზი (მოკლეუღვაშიანი) მამიკო; ან ამაზრზენი სერია, რომლის პერსონაჟებსაც წარმოადგენდნენ გორილისმაგვარი აზმაზი და მისი ცოლი — გნომის მსგავსი არჯალი დედაკაცი. „და მე, რომელიც ჩემს გენიას გთავაზობდი...“ გამახსენდა საკმაოდ დახვეწილი საღალღობო ლექსები, რომელთაც პატარა ლოლიტას ეუწერდი. „საღალღობო კი არა“, ამბობდა ის დაცინვით, „უბრალოდ, სულელური“:

„ციცქნა კოლიბრები აეროპლანებზე სხედან და აპობენ სივრცეს, გველს კი ჯიბეებში უწყვია ხელები, მიდის, მისრიალებს ისე“

ან  
„მამალი ბოცვერი დედალს უკეთებს ისეთ რამეს, რომ მებოცვრები იქვე სიცილით წაიქცნენ ლამის“.

ლოლიტას ზოგიერთი ნივთის გადაგდება მეტად გამიჭირდა. 1949 წლის ბოლომდე ვეფერებოდი, და ვაღმერთებდი, და კონცნით, ცრემლითა და ღორწითი ვებლწავდი მის ძველ ფლოსტებს, ნახმარ ბიჭურ პერანგს, გაცრეცილ კოვბოურ შარვალს, მოწაფურ დაჭმუჭნილ ქუდსა და სხვა ამგვარ საგანძურს, რაც ავტომობილის საბარგულში ვიპოვე. როდესაც მივხვდი, რომ

ვფიქრობდი, ეს ნივთები მოვაგროვე, დაუშატე ბერძნული საწყობში დარჩენილი წიგნებით სავსე ყუთი, ევლოსაჰედი, ძველი პალტო, ბოტები — და ლოლიტას დაბადების თხუთმეტი წლის თავზე ყოველვე ეს ინკოგნიტოდ გავუგზავნე ობოლთა თავშესაფარს, რომელიც კანადის საზღვართან, ქარიანის ტბის მახლობლად მდებარეობდა.

ფიქრობ, კარგი ჰიპნოზოტიკური ჩასწვდებოდა და ლოგიკური ნაყმის მიხედვით განლაგებდა ზოგიერთ შემთხვევით მოგონებას, რომლებიც წინამდებარე თხზულების ქსოვილში გაცილებით მკვეთრად გამოსჭვივის, ვიდრე ჩემი მეხსიერების არეში იჩენს ხოლმე თავს. ახლა, როდესაც უკვე ვიცი, რა და ვინ უნდა ვეძიო წარსულში, ეს კიდევ უფრო ნათელია. ზამთრის დასასრული და გაზაფხულის დიდი ნაწილი კვებულის მახლობლად გავატარე, იმ სანატორიუმში, სადაც ადრეც მემკურნალობდნენ. შემდეგ გადაწყვიტე, ნიუიორკში ჩემი საქმეები მომეგვარებინა და კალიფორნიაში გავემგზავრებულიყავი უფრო საფუძვლიანი ძიებისთვის.

აი, ლექსი, რომელიც სანატორიუმში შევთხზე:

თქვი, სად მემალეები, დოლორეს ჰეიზ?  
ვერ ვაგნებ სიმართლეს, პატარა ქალო.  
ვბოდავ ჯოჯოხეთში: „ველარ  
გამოვდივარ“ —  
სტვენს სტერნის შოშია, ამ ხმაზე  
გალობს.

სად დამოგზაურობ, დოლორეს ჰეიზ?  
სად ფრენს ჯადოსნური ხალიჩა შენი?  
მოდაში თუ არის თეთრი კაგუარი?  
მითხარ, რომელ პარკში გიხილავ  
შთენილს?

ვის სახავ შენ გმირად, დოლორეს ჰეიზ?  
ცისფერ მოსასხამში მოგწონს

სუპერმენი?  
ო. შორო მირაჟო, ზღვისპირა პალმებო!  
ძვირფას მანქანაში მჯდომი ხარ კარმენი!

ლამის გამაყრუა ჯაზის ხმამ, დოლორეს,  
შენ ვის ეცეკვები, რომ გითრთის

კანჭები?

ტანზე ძველმანები აცვია ორივეს,  
მე ვზივარ კუთხეში, ჩუმად ვიტანჯები.

სვებედნიერია ბერი მაკ-ფატუმი,  
სადა არ მიმოდის. ცოლი ჰყავს ჰაწია.  
ყოველ შტატში ჭმუჭნის იგი თავის

მოლის,

თუმცაღა კანონი იცავს თვით ბაჭიას.

დოლი, ტკივილი ხარ! ნაცრისფერ  
მზერას

აღერსი ვერ ბინდავს და რჩება ფხიზელი.  
ერთი სუნამოა — „სოლეილ ვერი...“

რაო, ეს თქვენა ხართ, მისტერ,  
პარიზელი?

ოპერის არიამ ის ღამით გააცივა;  
ბგერა გაბზარული: მას ბრყვი ენდობა!  
თოვს, ბარდნის, ეცემა ძირს დეკორაცია!  
რა გიყავ, ლოლიტა! ვინ მითხრას  
შენდობა?

წვკალობ, ვეწამები, ლოლიტა ჰეიზ,  
ეს არის მუქარაც და მონანიებაც,  
სასოწარკვეთილი მჯიღს ვიქნე  
ბალნიანს,

კვლავ ვზედავ შენს ცრემლებს,  
დაცენილს იებად.

პატრულო, პატრულო, აი, იქ, წვიმაში,  
ღამე შუქნიშანმა დათრგუნა, გაქელა...  
თეთრწინდებიანი ჩემი ზღაპარია,  
დოლორეს ჰეიზი ჰქვია მას სახელად.

პატრულო, პატრულო, ისინი მოდიან —  
დოლორეს ჰეიზს თან ახლავს კაცი.  
ჩქარა, დაწვიე, დააძრე კოლტი და  
გამო მანქანიდან, იქვე გაწექ!

ექებენ, ექებენ დოლორეს ჰეიზს,  
მზერა დანისლული კვლავ ისრებს  
ისერის,

ოთხმოცდაათამდე ფუნტია წონა და  
სამოცი ღუმიოა სიმაღლე მისი.

ჩემი იკაროსი დაკოჭლდა, დოლორეს,  
ძნელია ბოლო გზა. ბედს ვწყველი  
უნდილს...

მალე ჩამაგდებენ გზისპირა შამხნარში,  
სხვა ყველა ჟანგია და ვარსკვლავთ  
გუნდი.

ემებენ, ემებენ დოლორეს ჰეისს,  
ვარდისფერტუჩებამ, ქერამ გამიმეტა.  
იგი ხუთიათას სამასი დღისაა.  
რად უნდა ჩავთვალოთ ეკრანის  
ნიმფეტად?

ამ ლექსის ფსიქოანალიტიკური გან-  
ხილვა ააშკარავებს, რომ ჩვენ წინაშეა  
შეშლილის შედეგები. მკვეთრი, ტლან-  
ქი, მყვირალა რითმები საკმაოდ ზუს-  
ტად შეესაბამება იმ ბრტყელ ლანდ-  
შაფტებსა და ფიგურებს (და მათ გაზ-  
ვიადებულ ნაწილებს), რომელთაც ხა-  
ტავენ ფსიქოპათები მათი ცბიერი მხედ-  
ნელების მიერ მოგონილი ცდებისას.  
სხვაგვარი ლექსებიც ბლომად შევთხზე.  
ზოგჯერ სხვისი პოეზიით ვიქარავები  
დარდს. მაგრამ შურისგების წყურვილი  
წამითაც არ გამნელებია.

ამასთან, ლოლიტას დაკარგვის შე-  
დეგად განცილდმა ელდამ პატარა გო-  
გონებისადმი ლტოლვისგან როდი გან-  
მკურნა. მართალია, ლოლიტა ახლაც  
მიყვარდა, მაგრამ ჩემი წყველი ბუნება  
ამის გამო არ შეცვლილა. სათამაშო  
მოედებზე, ზღვისა და ტბების სანაპი-  
როებზე ამღვრული, ქურდული მზე-  
რით უნებლიეთ ვეძებდი ნიმფეტის შიშ-  
ველ ფეხებს ან ლოლიტას იმ ფარეშთა  
და მესაიდუმლეთა სანუკვარ ნიშნებს,  
რომელთაც ვარდების თაიგულები ეპ-  
ყრათ ხელთ. მაგრამ ერთი მთავარი  
ზმანება გამოხუნდა: ახლა აღარ ვოცნე-  
ბობდი რომელიმე უკაცრიელ და უზი-  
ფათო ადგილას პატარა (კერძო ან გან-  
სჯილადებულ) ცოგონასთან შესაძლო  
ბედნიერებაზე; აღარ მეგონა, რომ ოდ-  
ესმე დაეტკებოდი ლოლიტას რომე-  
ლიმე დაიკოს სათუთი სხეულით სად-  
ღაც, შორს-შორს, მოლანდებული კუნ-  
ძულების კლდეებს შორის, ქვიშიან თავ-  
შესაფარში. ეს დამთავრდა — ან, ყო-  
ველ შემთხვევაში, გარკვეული დროით  
დამთავრდა. მეორე მხრივ... სამწუხა-

როდ, ორი წლის განმავლობაში შემზა-  
რავი ჟინის ნებაზე მიშვებამ შემჩნეია  
სქესობრივი ცხოვრების გარკვეულ  
წესს. ვშიშობდი, რომ აწინდელი სიცა-  
რიელის ზეგავლენით უეცარ, სივარდის-  
თვის ჩვეულ თავისუფლებას ვიგრძნობ-  
დი და რომელიმე ვიწრო ქუჩაში ჩემ  
წინ მიმავალ მოსწავლე გოგონასთან  
შემთხვევით ცოუნებას ავყვებოდი. მარ-  
ტობამ ვნება კიდევ უფრო გამიღვავა.  
საერთოდ, მზრუნველი მეგობარი მჭირ-  
დებოდა — ჩემი გული ხომ ისტერაული,  
არასაიმედო ორგანო იყო. აი, ასე მოხ-  
და, რომ რიტას დაუუახლოვდი.

## 26.

რიტა ათი წლით უფროსი იყო ლო-  
ლიტაზე. წარმოდგინეთ მოწიფული  
შავკერემანი, ძალზე ფერმკრთალი, ძალ-  
ზე ტანწერწეტი (მხოლოდ ას ხუთ  
ფუნტს იწონიდა) ქალი, რომელსაც  
მოშხიბვლელი ასიმეტრიული თვალები,  
წამახვილებული, თითქოს სწრაფად მო-  
ხაზული პროფილი და ძალზე მიმზიდ-  
ველი გაზნეკილი წელი ჰქონდა. მგონი,  
ესპანელი (ან — ბაბილონელი) იყო. მას  
მაისში შევეყარე, „ბიწიერ მაისმა“,  
როგორც ელიოტი ამბობს, „სადღაც,  
მონრეალსა და ნიუ-იორკს შორის ან,  
თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ტოილეს-  
ტონსა და ბლეიკს შორის. ღამის ჯუნგ-  
ლებში, „ვეფხვისებრი პეპელას“ ნიშ-  
ნის ქვეშ მრუმედ მოციმციმე ბარში  
ის მეტად სიმპათიურად დათვრა: მარწ-  
მუნებდა, რომ ერთსა და იმავე გიმნა-  
ზიაში ვსწავლობდით; განუწყვეტლივ  
ჰკიდებდა მთრთოლვარე პაწია ხელს  
ჩემს მაიმუნისებრ თათს. ქალი არცთუ  
ძლიერად მდღეღვებდა, მაგრამ ვადავწ-  
ყვიტე, მაინც მესინჯა; ცდამ წარმატე-  
ბით ჩაიარა და რიტა ჩემს მუღმივ  
სატრფოდ იქცა. ისეთი გულჩვილი, ის-  
ეთი გულისხმიერი იყო, რომ ბუნების  
ნებისმიერ პათეტიკურ ქმნილებას —  
ძველ, ვადატეხილ ხეს ან დაქვრივებულ  
მანვზდარბს — დანებდებოდა.

როდესაც რიტა გავიცანი (1950  
წელს), ის იყო, მესამე ქმარს გაცილ-

და, შემდეგ კი მეშვიდე ოფიციალურმა მიჯნურმა მიატოვა, არაოფიციალური ხანმოკლე თავადასავლების აღრიცხვა ხომ შეუძლებელი იყო. მის პოლიტიკან მმას სახე ჯიქანს მიუგავდა, აზღუდებსა და ხელით მოხატულ ჰალსტუხს ატარებდა და მერი იყო ქალაქ გრეინბოლისა; სადაც ბეისბოლისტები, ბიბლიის გულმოდგინე მკითხველები და ხორბლის ყიდვა-გაყიდვით გართული საქმოსნები ცხოვრობდნენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში თავის შესანიშნავ დაიკოს თვეში შეიღას დოლარს უზხდიდა აბსოლუტური პირობით, რომ რიტა არასოდეს, არასოდეს, არასოდეს სწევოდა ამ შესანიშნავ ქალაქს. რიტამ მიაგბო (თან გაკვირვებისგან ზმუოდა), რომ რატომღაც — ეშმაკმა იცის, რატომ — ყოველ ახალ სატრფოს ის სასწრაფოდ მიჰყავდა გრეინბოლში; გრეინბოლს საბედისწერო მიმზიდველი ძალა ჰქონდა და რიტას მყისვე ისრუტავდა მშობლიური ქალაქის მიზიდულობის ველი და ქალი დიდხანს მთვარესავით ბრუნავდა ხოლმე პროექტორებით გაჩირადღნებულ წრიულ ბულვარზე.

მას ორადგილიანი კოჭია ავტომობილი ჰქონდა, რომლითაც კალიფორნიაში გავემგზავრეთ (ჩემს მხცოვან იკაროსს დასვენება სჭირდებოდა). საჭვსთან, ჩვეულგბრივ, რიტა იჯდა — და საათში ოთხმოცდაათი მილის თანდაყოლილი სისწრაფით მიჰქროდა. ჩემი ძვირფასი რიტა! ერთად ვმოგზაურობდით ორი ბუნდოვანი წლის განმავლობაში (შესვენებებით) და ვერ წარმოიდგენთ სხვა ასეთ სანდომიან, მიამიტ, ნახ, სრულიად უტყინო რიტას! მასთან შედარებით ვალერია შლეგელი იყო, შარლოტა კი ჰეგელი! სიმართლე რომ ითქვას, არ ვიცი, საერთოდ რატომ მოვიხსენიე ჩემს სევდიან მეგუარებში, მაგრამ მაინც მინდა, ავხსნათ (გესალმები, რიტა, სადაც უნდა იყო, მთვრალი ხარ თუ ფხიზელი, გესალმები!), რომ ამ ყველაზე უწყინარმა, ყველაზე გულისხმიერმა მეგობარმა უთუოდ მიხსნა სიგიჟისგან. აუხსენი, რომ გაპარული მიჯნურის

მოძებნა და მისი გულის მურაზის ჩაძაღლება მინდოდა. რიტამ დიდმნიშვნელოვნად დამიქნია თავი. სან-ჰუმბერტინოს მახლობლად ქალი თავად შეუდგებუნას (თუმცა საქმის შესახებ არაფერი იცოდა) და ვიდაც ბანდიტს გადაეკიდა: ჯოჯოხეთურად გაეწამდი, სანამ დავიხსნიდი — ნახმარი და შელახული იყო, მაგრამ საკმაოდ მხნედ გრძნობდა თავს. ერთხელ ჩემი წმიდათა წმიდა პისტოლეტი იპოვა და „რუსული რულეტი“ ვითამაშოთო, შემომთავაზა; ვუპასუხე, რომ ეს შეუძლებელი იყო, პისტოლეტს „დოლი“ არ ჰქონდა. მან წართმევა მონიღომა და ბოლოს პისტოლეტმა გაისროლა; ტყვია მოხვდა ჩვენი ნომრის კედელს, საიდანაც ცხელი წყლის ძაღზე წვრილმა და ძაღზე სასაცილო ჩქერმა ამოხეთქა; მახსოვს, როგორ კისკისებდა და სიცილისგან კვნესოდა რიტა.

მისი უცნაური, გაზნეილი ზურგი, სორბლისფერი კანი, დინჯი, ნახი, მტრედისებრი ამბორი ზიფათისგან მიცავდა. ხელოვანის ნიჭი კი არაა მეორეული სქესობრივი ნიშანი (როგორც ზოგიერთი შამანი და შარლატანი ამტყიცებს), არამედ სქესი მხოლოდ მსახურია ხელოვნებისა. ჩვენს ერთ საკმაოდ ბუნდოვან ქეიფს კომიკური შედეგი მოჰყვა: ის იყო, ძებნა შევწყვიტე, რადგან ეშმაკი არსად ჩანდა — ან ქვესკნელში ჩამძვრალიყო, ან მხიარულად იწვოდა ჩემს ნათხემში (სადაც ოცნება და დარდი ცეცხლს აღვივებდნენ). ყოველ შემთხვევაში, მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა სან-დიეგოში გამართულ ჩოგბურთის ტურნირთან, სადაც ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თექვსმეტი წლის ტლანქმა, აწოწილმა დოროთეა ჰააზმა. როდესაც აღმოსავლეთში ებრუნდებოდით, ყოველად საძაგელ სასტუმროში (ისეთში, სადაც კომერციული ყრილობები იმართება ხოლმე და ბარბაცით დახვტილალებენ იარლიყებიანი, სავაჭრო გარიგებებით გართული სქელ-სქელი მამაკაცები, ერთმანეთს „ჯოს“ ან „ჯიშის“ რომ უწოდებენ) ნა-

შუადღევს, გამოღვიძებისას აღმოვაჩინე-მოვინიშნე „პერცეფციული დროის“ ნეთ, რომ ჩვენს ნომერში კიდევ ერთი ადამიანი იმყოფებოდა. ეს იყო ფერმკრთალი ქერა ჭაბუკი, თითქმის ალბინოსი; თეთრი წამწამები და ფართო, გამჭვირვალე ყურები ჰქონდა. მას არც რიტა იცნობდა (უწინდელ სედიან ცხოვრებაში), არც — მე. ოფლიანი, ფლანელის ჭუჭყიანი კომბინეზონსა და თასებით შეკრულ ძველ სამგზავრო ჩექმებში ჩაცმული კაცი ჩემი უბიწო სატრფოს გვერდით, ორადგილიანი საწოლის საბანზე გაშხლართულიყო და ხვრინავდა. წინა კბილი აკლდა. შუბლს ქარვისფერი ბუერი უმკობდა. რიტამ მოხდენილი სხეული ჩემი მაკინტოსით შეიმოსა — პირველად ეს მოხვდა ხელში; მე კი ტრუსი ჩაიცივი. შემდეგ ოთახი დაკათვალდირეთ. სინზე იდგა ხუთი ბინძური ჭიქა, რაც მხოლოდ ართულებდა საქმეს; კარი მჭიდროდ არ იყო მიხურული. იატაკზე ეგლო მამაკაცის სვიტერი და წყვილი ზაკისფერი უფორმო სამხედრო შარვალი; ბოლოს ამ უბედურმა გაიღვიძა. მესხიერება სრულიად დაჰკარგოდა. მის აქცენტში რიტამ „ბრუკლინური გამოთქმა“ შეიცნო. ნაწყენმა უცნობმა დაგვაბრადა, რომ ჩვენ (როგორ?) მისი (მეტად უმნიშვნელო!) პიროვნება მიგვეთვისებინა. სასწრაფოდ ტანთ ჩაცვით და უახლოეს საავადმყოფოში წაიყვანეთ. როგორც გზაში გამოვარკვიეთ, თურმე ყოველივე ყბადაღებულ გრეინბოლში შეგვემთხვა. ნახევარი წლის შემდეგ რიტამ მისწერა იქაურ ექიმს და ამ უკანასკნელმა გვიპასუხა, რომ „ჯეკ ჰუმბერტსონს“ (ასეთი უემონონ სახელი მისცეს უცნობს) ჯერ კიდევ ვერ დაემყარებინა კავშირი თავის წარსულთან. ო, მნემოზინა, ტკბილო, ლალო მუზაჰ!

ამ შემთხვევას არ გავიხსენებდი, მაგრამ მან დასაბამი მისცა აზრებს, რომელთა ზეგავლენით სამეცნიერო ჟურნალ „ქანთრიფში“ (რაც შოტლანდიურად ჯადოსნობას ნიშნავს) გამოვაქვეყნე ეტიუდი „მიმირი და მნემოზინა“; ზოგადად

ორია, რომელიც ამ საუცხოო ყოველთვიური ჟურნალის კეთილმოსურნე მკითხველთა აზრით, ორიგინალური და მნიშვნელოვანი იყო. პერცეფციული დრო ემყარებოდა „სისხლის მიმოქცევის“ შეგრძნებას და კონცეფციურად გამომდინარებოდა (მოკლედ რომ ვთქვათ) ჩვენი გონების განსაკუთრებული თვისებებიდან. გონება ზომ არამარტო საგანთა სამყაროს აღიქვამს, არამედ საკუთარ არსსაც შეიმეცნებს. ამის გამო მყარდება მუდმივი ურთიერთკავშირი ორ პუნქტს შორის: ერთი მათგანია მომავალი (რომელიც საწყობში უნდა გაიგზავნოს), მეორე კი — წარსული (რომელიც უკვე გაგზავნილია საწყობში). ამ სტატიამ დაასრულა ჩემი ადრინდელი, საკმაოდ გახმაურებული ნაშრომების რიგი. მისი გამოქვეყნების შედეგად ერთი წლით მიმიწვიეს ქანთრიფის უნივერსიტეტში; ის მდებარეობდა ნიუ-იორკიდან (სადაც მე და რიტამ ბინა დავიქირავეთ) ოთხასი მილის მანძილზე. ბინის ფანჯრებიდან ხშირად ეხედავდი ცენტრალური პარკის მუხნარში მოთამაშე ბიჭუნებისა და გოგონების გლუვ სხეულებს. ქანთრიფის პოეტებისა და ფილოსოფოსებისთვის განკუთვნილ საგანგებო აპარტამენტებში ეცხოვრობდი 1951 წლის ოქტომბრიდან 1952 წლის ივნისამდე, ხოლო რიტა — მგონი, არც ისე წესიერად — არსებობდა გზისპირა სასტუმროში, სადაც მას კვირაში ორჯერ ენახულობდი. შემდეგ გაქრა, არანაკლებ უღმობლად, ვიდრე ლოლიტა. ერთი თვის შემდეგ ქალი ქანთრიფის ციხეში ვიპოვე. დირსეულად ეჭვრა თავი, ციხის საავადმყოფოში ჭიანაწლავი მოეცილებინა და საკმაოდ დამაჯერებლად შემომფიცა, რომ საუცხოო ცისფერი ბეწვი (რომელიც ერთი მედიდური ქალბატონის, მისის მაკ-კრუმის თქმით, რიტამ მოიპარა) სინამდვილეში ცოტათი შეზარხოშებულ მისტერ მაკ-კრუმს ეწუქნა მისთვის. ჩემი სატრფო ციხიდან ისე ვიხსენი, რომ მისი

ნერვული ძმა არ შემიწუხებია. მალე ნიუ-იორკში დაებრუნდით და კვლავ ცენტრალური პარკის დასავლეთით დაესახლდით. ვზად ბრაისლანდი მოვინახულეთ, სადაც მე და რიტა შარშანაც ვიყავით.

ბრაისლანდში დამუფლავა გაუსაძლიესი სურვილი, კვლავ ვევერდით მყოლოდა ლოლიტა. გაქცეული გოგონასა და მისი გამტაცებლის კვალს რომ ვერ მივაგენი, არსებობის ახალ ფაზაში გადავინაცვლე. ახლა ძველ დეკორაციებს ვებღაუჭებოდი და ვცდილობდი, წარსულის ჰერბარიუმი მაინც გადამერჩინა. „მოგონებავ, მოგონებავ, რა გინდა ჩემგან?“ ბროლის ჰაერში ვერლენისეული შემოდგომა წკრიალებდა. როდესაც პროფესორმა ჰამბურგერმა ღია ბარათით ორსაწოლიანი და აბაზანიანი ნომერი შეუკვეთა, ზრდილობიანი უარი მიიღო. ყველა ნომერი დაკავებული აღმოჩნდა. თავისუფალი იყო მხოლოდ სარდაფის ერთადერთი ოთხსაწოლიანი, უაბაზანო ოთახი, მაგრამ ის არ გამომადგებოდა. აი, მათი საფოსტო ქაღალდის სათაური:

**მოჯადოებულ მონადირეთა  
თავშესაფარი**

ყოველგვარი სსმელეზი

ეკლესიები

ქალღაბი

(სანიტრიანის გარდა)

(როგორღაც მორწმუნეთათვის

მარჯვამ ადგილზეა ზანლაგაბაული)

(არ ღაიშვება)

პირველ განცხადებაში ეჭვი შემეპარა. ყოველგვარი? განა ევროპის ტროტუარებზე განლაგებული კაფეების მსგავსად, გრუნდინიც ჰქონდათ? იმითაც დავინტერესდი, ხომ არ გაიმეტებდა მოჯადოებული ან ნორმალური მონადირე ეკლესიაში მის კუთვნილ ადგილს ძაღლისთვის. უეცრად მტკივნეული სპაზმი ვიგრძენი და გამახსენდა დიდი ხელოვანის საკადრისი სცენა: „დაჩოქილი პატარა ნიშფა“. მაგრამ ის აბრეშუმით მბზინვარე კოკერ-სპანიელი, შესაძლოა, მონათლული იყო. არა — არ

ძალმიძდა ნაცნობი ჰოლის ნახვით გამოწვეული ტანჯვის ატანა. შემოდგომის ალერსიან, მტერისფერ ბრაისლანდში წარსულის გაცოცხლების სხვა საშუალებებიც მოიპოვებოდა. რატი უახლოეს ბარში დავტოვე და ქალაქის ბიბლიოთეკას მივაშურე. შინაბერა ბიბლიოთეკარმა ჭიკჭიკით გამოთქვა უდიდესი მზადყოფნა, დამხმარებოდა 1947 წლის აგვისტოს შუა რიცხვების „ბრაისლანდის მოამბის“ აკინძული ნომრების მოძებნაში. და აი, უკვე განმარტოებულ კუთხეში ვიჯექი შიშველი ლამპის ქვეშ და ვათვლიერებდი კუბოსავით შავი და ლოლიტასავით თხელი ტომის უშველებელ, სიფრიფანა ფურცლებს.

მკითხველო! ბრადერ! რა ბრიყვი ჰომბურგი იყო ეს ჰომელბურგი! მისი ზემგრძნობიარე სული სინამდვილეს უფრო ხოდა და მხოლოდ ამ სინამდვილის ნაფლეთით ტკობას ლამობდა. ასე აფარებს ხოლმე შავ თავსაფარს მოძალადეთა რიგში მდგარი მეოცე ფრიცი თუ ივანი ქალის თეთრ სახეს (რაია მის აუტანელ მზერას არ შეეფეთოს), სანამ თავის ჯვარისკაცურ სიამოვნებას მოიპოვებს პირქუშ, გაპარტახებულ სოფელში. მიხილოდა, მომენახა სურთით, რომელზეც გაზეთის ფოტოგრაფს დრბრადოკსა და მის ვაგუფთან ერთად მეც უნდა აღებეჭდე. მეზნებარედ ვოცნებობდი, შემონახულიყო „უცნობი მტარვლის პორტრეტი“. უმანკო აპარატის მიერ აღბეჭდილი, ლოლიტას სარტელისკენ ბნელი გზით მიმავალი ბოროტმოქმედი — რა საუცხოო თემაა მწეოზინანსთვის! ამოდ ვცდილობ ჩემი სურვილის არსის წვდომას. ალბათ, ის უნდა შეეადაროთ გულშემადონებელ ცნობისმოყვარეობას, რომლის ზეგავლენით გამადიდებელი შუშით ვაკვირდებით ხოლმე საჯალათო კუნძთან დილაადრიან შეგროვილ მომცრო მწუხარე ფიგურებს (საერთოდ, ნატურ-მორტიკა — და ახლა ყველას გული აერევა), მაგრამ პაციენტის გამომეტყველებას მაინც ვერ ვარჩევთ. მოკლედ, სული მეხუთებოდა, და საბედისწერო ფოლიანტის ერთი კუთ-

ხე მტკივნეულად ირქინებოდა, სანამ გაზთებს ვათვალთვლებდი და ვფურცლავდი. კვირას, 24-ში, ერთ-ერთ ადგილობრივ (სულ ორი იყო) კინოთეატრში აჩვენებდნენ ფილმს „შემლილებს“, მეორეში კი — „ტლანქ ძალას“. თამბაქოს დამოუკიდებელი აუქციონისტი მისტერ პურდომი ამტკიცებდა, რომ 1925 წლიდან მხოლოდ „ომენ ფაუსტუმ“-ს ეწოდა. ახოვანი ახმენი (ფეხბურთელი) და მისი მინიატურული საცოლე სადამოს წვეულებაზე ესტუმრნენ მისის ჰუმბერტ პერიბოს, ერანის აჟენიუ, 58. არსებობს პარაზიტი, რომლის სიდიდე შეადგენს მისი მკვებავი ორგანიზმის ერთ მეექვსედს. დიუნკერკი პირველად მეთე საუკუნეში გაამაგრეს. იყიდება წინდები გოგონებისთვის, 39 ცენტი; სორტული ოქსფორდული ფეხსაცმელი, 3 დოლარი და 98 ცენტი. ღვინო, ღვინო, ღვინო, წარმოთქვა „ბნელი ასაკის“ ავტორმა (რომელმაც არ მოინდომა, ჩვენს ფოტოგრაფს მისთვის სურათი გადაეღო). ალბათ, გამოადგება სპარსულ ბულბულს, მაგრამ, ჩემი აზრით, სოლყავრის სახურავზე ახმაურებული წვიმა, წვიმა, წვიმა ვარდებისა და შთაგონების საუკეთესო მეგობარია. ეგრეთ წოდებული „ნაჩვრეტების“ საფუძველია კანის შეზრდა შედარებით ღრმად განლაგებულ ქსოვილებთან. ბერძნებმა მოიგვიერეს პარტიზანთა ძლიერი იერიში. ოჰ, აი, ისინიც: თეთრკაბიანი გოგონა და თალხებში გამოწყობილი პასტორი ბრადოკი; მაგრამ თუ პასტორის ზორბა სხეულს აჩრდილის მხარი შეეხო, სურათზე ამის კვლიც არსად ჩანდა.

პარანოიდული პარაზიტი რიტას სანახავად ბარში შევიდა. ქალმა ნაღვლიანი ღიმილით (ჭარბი ალკოჰოლის გავლენით რომ უცისკროვნებდა ხოლმე სახეს) გამაცნო ვიღაც მთვრალი, აგრესიული ბებერი; მიიხრა, რომ — თქვენი გვარი დამავიწყდა, ძვირფასო, — სკოლაში ერთად სწავლობდნენ. თავზეღმა კავალერმა რიტას შეყოვნება მოინდომა, რასაც ცემა-ტყევა მოჰყვა. ცერი მტკივნეულად ვიღრძე მეტოქის მეტად მკვრივ

თავზე. შემდეგ „მოჯადოებულ მონადირეთა“ შემოდგომის მიერ შეფერადებულ პარკში რიტას გასეირნება და განიავება მომიხდა. ის ქვითინებდა და იმეორებდა, რომ მალე, მალე გავწირავდი, როგორც ყველამ გასწირა. ხმადაბლა ეუმღერე ნაღვლიანი ფრანგული ბალადა და მის გასართობად საალბომო ლექსიც შევთხზე:

ნეკერჩხლების პალიტრა ტბაში ჭრილობასავით ირეკლება. ისინი, რათა დაკლას მთლიანად, მიჰყავს ქალღმერთს მშვენიერს. მოწისფერ მოსასხამით, ცისფერი სასტუმროს წინ მიიხრება დიანა.

მკითხა: „რატომ ამბობ, ცისფერი, როდესაც ის თეთრიან? რატომ — ღმერთო ჩემო...“ — და კვლავ აქვითინდა. ხელი მოვიკიდე, ავტომობილისკენ წავიყვანე და ნიუ-იორკში გავემზავრეთ. იქ რიტა კვლავ მეტ-ნაკლებად ბედნიერად ცხოვრობდა; ოცდამეათე სართულზე განლაგებულ ჩვენს პატარა ტერასაზე, დაბინდული ლურჯი ცის ქვეშ ნებიერობდა. ვამჩნევ, რომ ურთიერთში საბოლოოდ ამერია ორი განსხვავებული ეპიზოდი — ჩემი ვიზიტი ბრაისლანდის ბიბლიოთეკაში და ქანთრიფში გამგზავრების წინ პარკში გასეირნება, მაგრამ მხატვარმა-მწემომზინისტმა არ უნდა ითაკილოს გათითხნილი საღებავების ამგვარი ნახავი.

## 27.

შენობის ვესტიბიულში მიმაგრებული ჩემი საფოსტო ყუთის შემინულ ნაპრალში ნაწილობრივ მოჩანდა ფოსტალიონის მიერ მოტანილი გზავნილები. შუქის არლეკინული ციმციმის გამო უკვე რამდენჯერმე ვიღაც-ვიღაცების ხელწერა ლოლიტას ხელს მივამსგავსე და თითქმის გრძნობა დაკვარევი. ასეთ წუთებში ვეყრდნობოდი უახლოეს ურნას, რომელიც კინაღამ ჩემს სამგლოვიარო ურნად გადაიქცა. ყოველთვის, როდესაც ეს ხდებოდა, ყოველთვის, როდესაც საყვარელი, ღვლარჭნილი, ბავშვური ბატისფეხური ნაჯღაბნი შემზარავი სისწრაფით კვლავ იქცეოდა ზოლ

მე ჩემი ან რიტას კორესპონდენტის ერთფეროვან ხელწერად, ავადმყოფური ღიმილით ვიკონებდი ევზომ შორეულ, მიმდობ, დოლორესამდელ წარსულს. რამდენჯერ გამცრუებია იმედები განათებულ ფანჯარასთან, რომლის მიღმა მსუნაგი მზერით — საკდემელი ბიწიერების თვალფხიზელი პერისკოპით — ვუთვალთვალავდი ნახევრად შიშველ, გახევებულ (თითქოს კინოფირზე აღბეჭდილ) ნიშნებს; გრძელი (დავარცხნილი ან დასავარცხნი) თმა მას „სასწაულთა ქვეყანაში მყოფ ალისას“ (ჩემი უფრო იღბლიანი თანამოძმის პაწაწინა თვალისჩინს) ამსგავსებდა. ცეცხლოვანი ლანდის სრულყოფილება ჩემს უზომო ნეტარებასაც სრულყოფილებას ანიჭებდა — ლანდი ხომ მიუწვდომელი იყო და ტკობას ხელს ვერ შეუშლიდა მისაწვდომი სიამოვნების თანმხლები აკრძალვები. ვინ იცის, ეგებ ჩემი მანკიერების ჭეშმარიტი არსი გოგონების გამჭვირვალე, წმინდა, ნორჩი, აკრძალული, ჯადოსნური მშვენების უშუალო ხიბლით არაა განპირობებული; შესაძლოა, ის ეფუძნება იმ მომხიბვლელი უსაფრთხოების შეგნებას, რაც უზადო სრულქმნილებას ანიჭებს შუალედს მცირეოდენ საბოძვარსა და აღთქმულ განუზომელ განცხრომას შორის, აუხდენელი ხმანებების უკიდვანო, თვალისმოძჭრელ არეებში რომ გამოსჭვივოს. ჩემი ფანჯრები! მიმწუხრის ღრუბლებითა და მოძალებული ღამით გარემოცული, კბილების ღრჭიალით ვაგროვებდი ვნების დემონებს და უკვე ატოკებული აივნის მოაჯირზე ვასრესდი: წამიც და, ეს სურათი სველი მარაოს მოყვითალო ბინდში განზავდება; და მართლაც, შორეულ ფანჯარაში ირხეოდა განათებული სილუეტი — და ევა კვლავ იქცეოდა ნეკნად, ხელახლა ისხამდა ხორცს და ფანჯარაში უკვე არაფერი ჩანდა, ნახევრად შიშველი ოტროველას გარდა, გაზეთს რომ კითხულობდა.

გამონაგონისა და სინამდვილის მოცილებლაში ხანდახან მაინც ვიმარჯვებდი. ამიტომ ზოგჯერ გაწბილებასაც ვურიც-

დებოდი. ვერ ვურიცდებოდი ჩარევას მტანჯველი შემთხვევითობისა, რომელიც ჩემს კუთვნილ ტკბილ განცხრომას მართმევდა. „იცი თუ არა, რომ ჩემს გოგონას ათი წლის ასაკში გაფუჭებით უყვარდით?“ — მითხრა ერთმა ქალბატონმა პარიზში, ჩაის სმის დროს; ამასთან, გოგონას უკვე მოეწრო სადღაც, ცხრა მთას იქით გათხოვება, მე კი არც მახსოვდა, შევამჩნიე თუ არა ის ოდესღაც ამ ბაღში, ჩოგბურთის კლუბის ტერასაზე, განმარტოებული ეზის სიახლოვეს. და აი, ახლა, შემთხვევამ (და ჩემი სატრფოს შემცირებულმა, თითქოს გაცრეცილმა ხელწერამ) აღმიკვეთა ნაპრალის მოციმციმე მინაში წინასწარი მხედველობითი სიამოვნებისა და დამედების შესაძლებლობა. იმედი მაცდუნებლად იყო სიმუღირებული და კეთილშობილურად უნდა აღსრულებულიყო. როგორც ხედავთ, ჩემი ფანჯარა პრაქტიკულად სარეცელზე პრუსტიესულ წამებას განიცდიდა, — რადგან იმ დღეს, 1952 წლის 22 სექტემბერს, როდესაც ფოსტის ამოსატანად ჩავედი, სუფთად ჩაცმულმა და მეტად ღვარძლიანმა შვეიცარმა, რომელთანაც ცუდი დამოკიდებულება მქონდა, მისაყვედურა. მისი თქმით, რიტას რომელიღაც ახალმა თანამეინახემ ქალი შინ მოაცილა და „ძალიებით არწყია“ სადარბაზოს საფეხურებზე. სანამ მას ვუსმენდი და ფულს ვაძლევდი, შემდეგ კი ამბის მეორე, უფრო დახვეწილ ვერსიას ვისმენდი, ბუნდოვანმა აზრმა გამიიღვა: იმ კურთხეული ფოსტით მოსული ორი წერილიდან ერთ-ერთი რიტას დედის გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო. ეს საკამოდ გულფიცხი ქალბატონი ერთხელ მოვიანახულეთ კეიპ კოლზე და მას შემდეგ ჩემი კანტორიდან, მოგზაურობის სხვადასხვა პუნქტებში ხშირად გვიგზავნიდნენ მის უამრავ წერილს. ის იწერებოდა, რომ რიტა და მე საოცრად ვუხდებოდით ერთმანეთს და კარგი იქნებოდა, დავეპოწინებულიყავით; მეორე წერილი, რომელიც ლიფტში გაუხსენი და სასწრაფოდ გავხსენი, ჯონ ფარლოსგან იყო.

ხშირად შემიმჩნევია, რომ ჩვენს მეგობრებს ურყევ თვისებებს მივაწერთ ხოლმე. ასევე აღიქვამს მკითხველი ლიტერატურულ გმირებს. რამდენჯერაც უნდა გადავიკითხოთ „მეფე ლირი“, კეთილი ბერიკაცი ვერასოდეს დაივიწყებს საკუთარ ვაი-ვაგლახს და საოჯახო ნადიმზე ვერასოდეს დაღვევს სადღეგრძელოს თავისი ქალიშვილისა და მათი გოშეების გარემოცვაში. კნენინა № არასოდეს გაემგზავრება იტალიაში ონგენთან ერთად. ემა ბოვარის ვერასოდეს იხსნის ავტორის მამის სიმპათიური მარილებით გაჯერებული დროული ცრემლი. რა სახის ევოლუციაც უნდა განვლოს ამა თუ იმ ცნობილმა პერსონაჟმა ეპიგრაფსა და წიგნის დასასრულს შორის, მისი ბედ-იღბალი ჩვენს აზრებში წინასწარ არის დადგენილი. ზუსტად ასევე ველით, რომ მეგობრებიც ერთგულად დაიტაცენ ჩვენ მიერ მათთვის ნაგულისხმევ ამა თუ იმ ლოგიკურ და საყოველთაოდ მიღებულ პროგრამას. მაგალითად, იქსი ვერასოდეს შექმნის უკუდავ მუსიკალურ ნაწარმოებს, ვინაიდან ის მკვეთრად დაუპირისპირდება ადრე შეთხზულ მდარე სიმფონიებს. იგრეკი არასოდეს ჩაიდენს მკვლელობას. ზეტი არავითარ შემთხვევაში არ გვიღალატებს. რაც უფრო იშვიათად ეხედავთ კონკრეტულ პიროვნებას, მით უფრო სასიამოვნოა იმაში დარწმუნება, თუ რა თვინიერად ექვემდებარება ის ჩვენს წარმოდგენებს. ამგვარად შემუშავებული ბედ-იღბლისგან ყოველგვარი გადახვევა არა მარტო არანორმალურად მიგვაჩნია, არამედ — უკადრის საქციელადაც ვთვლით. გვირჩევნია, დავივიწყოთ მეზობელთან (სოსისებით ყოფილ მოვაჭრესთან) დიდი ხნის ნაცნობობა, თუ აღმოჩნდება, რომ მან ახლახან გამოუშვა ამ საუკუნის საუკეთესო ლექსთა კრებული.

ამას იმიტომ ვამბობ, რათა ავიხსნათ, როგორ დაჰაბნია ჯონ ფარლოს ისტერიულმა წერილმა. ვიცოდი მისი ცოლის სიკვდილის ამბავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ველოდი, რომ უნუგემო ქვრივი

სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა მოსაწყენ, თავდაჭერილ და დადებით ადამიანად. ის მწერდა, რომ შეერთებულ შტატებში ხანმოკლე ყოფნის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა და გადაწყვიტა, თავისი საქმეები გადაეცა ერთი რამზღველელი ადვოკატისთვის, რომელიც ჩვენი საერთო ნაცნობი იყო. მას ჯვაც ვინდმიულერი ერქვა. ჯონს განსაკუთრებით სიამოვნებდა „ჭეიზების კომპლიკაციებისგან“ გათავისუფლება. თურმე ახლახან ცოლად შეირთო ესპანელი ქალი. ოცდაათი ფუნტით გასუქდა მას შემდეგ, რაც თამბაქოს წვევა მიატოვა. მისი სულ ახალგაზრდა ცოლი სათხილამურო სპორტის ჩემპიონი გახლდათ. თავლობის თვე ინდოეთში უნდა გაეტარებინათ. ჯონი „საოჯახო ერთეულების ინტენსიურ წარმოებას“ აპირებდა და აღარ ეცალა ჩემი „ძალზე უცნაური და საკმაოდ გამაღიზიანებელი“ საქმეებისთვის. ვიდაც ზედმეტად ცნობისმოყვარე ადამიანებისგან (რომელთაც მთელი კომიტეტი ჩამოეყალიბებინათ) შეეტყყო, რომ პატარა დოლი ჰეიზის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული იყო, ხოლო მე სამხრეთ კალიფორნიაში ვცხოვრობდი გარკვეულ წრეებში კარგად ცნობილ სიმარგაციოებულ ქალთან ერთად. მისი სიამამი მდიდარი გრაფი იყო. ოჯახს, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჰეიზების სახლს ქირაობდა, ახლა ამ სახლის ყიდვა სურდა. ფარლო მირჩევდა, დაუყოვნებლივ წარმოემდგინა დაკარგული გოგონა. თვითონ ფეხი მოეტეხა. წერილს ერთვოდა ჯერ კიდევ საღსალამათი ჯონისა და თეთრი შალის კოსტიუმში ჩაცმული შავგვრემანი ქალის ფერადი ფოტოსურათი. ისინი ტკბილად უღიმოდნენ ერთმანეთს ჩილეს ლურჯი თოვლის ფონზე.

მახსოვს, ბინაში შევედი და ხმამაღლა გავიფიქრე: რას იზამ, ყოველ შემთხვევაში, ახლა მივაგნებთ-მეთქი — და უეცრად მეორე წერილი საქმიანი ხმით გამოიმელაპარაკა.

„მეირფასო მამიკო,

როგორ ხარ? მე გავთხოვდი. ფეხმძიმედ ვარ. ვფიქრობ, უშველებელი ბავშვი მეყოლება. ალბათ, საშობაოდ იქნება. მიჭირს ამ წერილის წერა. მაგიჟებს, რომ ვერაფრით მოვახერხებ ვალების გასტუმრებასა და აქედან გაღწევას. დიკს შესანიშნავ სამუშაოს პირდებიან ალასკაში (მექანიკაში მისი ვიწრო სპეციალობით). ამის გარდა, არაფერი ვიცი, მაგრამ ჩინებული პერსპექტივებია. მაპატიე, რომ ჩემს მისამართს არ გაძღვე, ჩემი ვარაუდით, შენ ჯერ კიდევ საშინლად ბრაზობ, დიკმა კი არაფერი არ უნდა იცოდეს. რა საშინელი ქალაქია. ჭვარტლის გამო, აქაურთა კრეტინულ სახეებსაც კი ვერ დაინახავს კაცი. თუ შეიძლება, მამიკო, ჩეკი გამოგვიგზავნე. სამასი ან ოთხასი დოლარი გვეყოფა, მაგრამ ნაკლებზეც, ნებისმიერ თანხაზეც მაღლობელნი ვიქნებით. შეგიძლია, მაგალითად, გაყიდო ჩემი ძველი ტანისამოსი, რადგან ალასკაზე უამრავ ფულს ვიშოვით. მომწერე, თუ შეიძლება. ბევრი დარდი და გასაჭირი განვიცადე.

შენი მომლოდინე დოლი, (მისის რიჩარდ ფ. სკილერი)

28.

კვლავ გზას დავადექი, კვლავ ლურჯი „სედანის“ საჭესთან ვიჯექი, კვლავ მართო ვიყავი. როდესაც ამ წერილით გამოწვეულ განუზომელ სიძიმბილს ვუმკლავდებოდი, რიტას ღრმად ეძინა. თვალი შევაავლე: ძილში იდუმებოდა. ნამიან შუბლზე ვაკოცე და სამუდამოდ მივატოვე: ახლახან საწყაღმა ქალმა ჩემთან მოსვლა მოინდომა, მაგრამ არ ვლებულობ საიქიოს (თქვენთვის — „სააქაოს“) მკვიდრთ. ალერსიანი გამოსამშვიდობებელი წერილი სალბუნით მივაწებე ჭიპზე — სხვაგვარად, ალბათ, ვერ იპოვიდა.

მართო-მეთქი? არა, ასე არ იყო. შავი „მამიკო“ მაზღდა და როგორც კი განმარტოებული ადგილი მოვნახე, გულმშვიდად შევემზადე მისტერ რიჩარდ ფ. სკილერის მკვლევლობისთვის. ავტომობილის საბარგო განყოფილებაში — რო-

მელიც აურაცხელ საგანძურს შეიცავდა — მოვნახე ჩემი ყველაზე ძველი, ყველაზე ბინძური სვიტერი და უწყინარ კორომში (სადაც გზატკეცილის განტოტბამ მიმიყვანა) ერთი ხის ტოტზე დაეკიდე. განაჩენის შესრულება იმან შეაფერხა, რომ გაშეთის მოძრაობას რაღაც უშლიდა ხელს. ჩემთვის გაუგებარ ამ ნივთს, ალბათ, გაპოხვა ესაჭიროებოდა, მაგრამ დროის დაკარგვა არ მსურდა. ავტომობილში დაბრუნდა მკვდარი რუხი სვიტერი, რომელსაც სხვადასხვა ადგილას ახალი ნახვრეტები გაუნდა; ჩემი ჯერ კიდევ თბილი „მამიკო“ კი ხელახლა დავეტენე და გზა გავაგრძელე.

წერილი 1952 წლის 18 სექტემბერს იყო დაწერილი, ხოლო ლოლიტას მიერ მოცემული მისამართი იყო „მოთხოვნამდე“, კოულმონტი (არა ვირჯინიაში, არა პენსილვანიაში, არა ტენესიში — და, საერთოდ, არა „კოულმონტი“ — ყველაფერი შევნიღბე, ჩემო საყვარელო). გამოირკვა, რომ ეს იყო ნიუ-იორკიდან რვაასიოდე მილის დაცილებით განლაგებული სავაჭრო ქალაქი. ვადაწვევით, არსად შექჩერებულებიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. გარიჟრაჟზე კოულმონტის მახლობელ მოტელს მივადექი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სკილერი ადრე ნახმარი ავტომობილებით ვაჭრობდა და, ალბათ, ჩემი ლოლიტა ბერდსლეის გარეუბანში გაიცნო — მაგალითად, იმ დღეს, როდესაც მუსიკის გაკვეთილზე მიმავალ გოგონას ველოსიპედის სალტე გაუსკდა. შემდგომ ის, როგორც ჩანს, განსაცდელში ჩავარდა. სიკვდილით დასჯილი სვიტერის გვამი უკანა სავარძელზე ეგდო და განუწყვეტლივ ცდილობდა — რაც უნდა შემეწონებინა მისი ნაკეცები — ტრაპ-სკილერის სრულ, ვულგარულ სხეულს დამსგავსებოდა, მისი უხეში და ბიწიერი გემოვნების გასანეიტრალებლად ვადაწვევით, განსაკუთრებით მოზღენილად ჩამეცვა. ამ აზრით გამეღვიძა და მოვასწარი მაღვიძარას ღერძზე თითის დაჭერა, რათა დანიშნულ დროზე არ აფეთქებულიყო, შემდეგ დუელზე მიმავალი

კაცის მკაცრი და რომანტიკული გულ-  
მოღვინებით შევაძოწმე, წესრიგში იყო  
თუ არა საბუთები, ვიბანავე, სუნამო და-  
ვიპკურე, სახე და მკერდი გავიპარსე,  
სუფთა პერანგი და პერანგის ამხანაგი  
შევარჩიე და გამჭვირვალე, მუქი ფერის  
წინდები ჩავეცვი. მეტად გამიხარდა,  
რომ სკივრში კოხტა ტანისამოსი აღმო-  
ვჩინე. ასეთი იყო, მაგალითად, სადა-  
ფისილილებიანი ნატის ჟილეტი და ქიშ-  
მირის მკრთალი ჰალსტუხი.

სამწუხაროდ, საუზმის შემდეგ გულს  
მაზიდა, მაგრამ ასეთ უმნიშვნელო გასა-  
ჭირს ყურადღება არ მივაქციე, სახე-  
ლოდან (ინგლისური მოდის მიხედვით)  
ბატისტის ცხვირსახოცი ამოვიღე და  
პირი მოვიწმინდე. მკერდში გულის ნაც-  
ვლად, ყინულის ბელტი მოვთავსე,  
პირში აბი ჩავიგდე, ჩემს მომაკვდინე-  
ბელ „ძამიკოს“ კი შარვლის უკანა ჯე-  
ბეში მივუჩინე ადგილი. კოლუმონტის  
სატელეფონო ჯიხურში მარჯვენდ შევედა  
(აჰ-აჰ-აჰ, წარმოთქვა ამ დროს დასა-  
კვცმა კარმა); გაქუცულ წიგნში ერ-  
თადერთი სკილერის (სკილერი, პოლ,  
ავეჯი) ნომერი მოვნახე და აკვრიფე.  
ზრინწიანმა პოლმა მიპასუხა, რომ რი-  
ჩარდი მისი ძმისწულია, ის ცხოვრობს  
— ახლავ ვნახავ — კილერის ქუჩაზე, ათ  
ნომერში (ყოველივე ეს, რა თქმა უნდა,  
შემთხვევითი ფსევდონიმებია). აჰ-აჰ-აჰ,  
კვლავ წაილაპარაკა კარმა.

კილერის ქუჩის მეათე ნომერი მრავალ-  
ბინიანი, გვერანებული შენობა აღ-  
მოჩნდა. ინტერვიუ ჩამოვართვი რამდენიმე  
უხალისო მოხუცსა და ორ გრძელ-  
თმიან, ვარდისფერ, არაჩვეულებრივად  
ბინძურ ნიფეტს (ვაღიარებ, რომ საკმაოდ  
უგულისყუროდ ვარჩევდი ამა თუ იმ  
გოგონას, ვისაც მკვლელობის შემდეგ —  
როდესაც ყველაფერი ნებადართული იქ-  
ნებოდა — ჩავეკონებოდი). დიახ, დიკ  
სკილერი აქ მართლაც ცხოვრობდა ერთ-  
ხანს, მაგრამ ქორწინების შემდეგ სხვა-  
გან გადასახლდა. მისი ახალი მისამარ-  
თი არავინ იცოდა. „შეიძლება, მაღაზიაში  
იციან?“ — ამომმახა ბოხი ზმით  
ტროტუარის ჭაში მომუშავე ხელოსან-

მა, რომლის მახლობლადაც შემთხვევით  
შევერდი და ორ ბუნდოვან დელაბერს  
გავესაუბრე (თან თვალი შევაველე მათი  
შიშველფეხება შვილიშვილების ნატიფ  
ტიტველ მკლავებს). სხვა მაღაზიაში  
მოვხვდი და ფრთხილმა ჭადარა ზანგმა  
უარყოფითად გააქნია თავი, სანამ რაი-  
მეს ვიკითხავდი. ქუჩა გადავჭერი და  
მომცრო ალაფხანაში შევედი. იქ ჩემი  
თხოვნით გამოძახებული ქალის აჩრდილ-  
მა უძირო სარდაფიდან ხმამაღლა მიპა-  
სუხა (რითაც ტროტუარის ჭის ბინადარი  
მამრობითი სქესის აჩრდილის თემა  
განმეორდა): პანტერის ქუჩა, უკანასკ-  
ნელი სახლი.

პანტერის ქუჩა ძალზე შორეულ გა-  
რეუბანში მოვნახე, ნაგვის მომადლო  
გროვებსა და ღრმა თხრილებს, მატლე-  
ბით გაჭვდილ ბოსტნებსა და დარე-  
ცილ კასრებს, რუხ წვიმასა და წითელ  
თიხნარს შორის, ახრჩოლებული საქარ-  
ხნო მილების მახლობლად. უკანასკნელ  
სახლთან შევეჩერდი. ის იყო ფიცრების-  
გან შეკოწიწებული ქოხმაზი, რომლის  
მიღმა, გზიდან მოშორებით, კიდევ ორი-  
სამი ასეთი ხუხულა და დამჭკნარი სა-  
რეველათი დაფარული ფართო უშენი  
ადგილი მოჩანდა. სახლს უკან ვივად  
ჩაქუჩს აკაკუნებდა. რამდენიმე წუთის  
განმავლობაში ჩემს ბეხრეკ მანქანაში  
გაუნძრევლად ვიჯექი. თვითონაც ბე-  
რეკი და უსუსური, როგორც იქნა, მი-  
უუახლოვდი ხანგრძლივი გზის დასას-  
რულს. მივადექი უღიმღამო მიზანს და  
finis, მეგობრებო, finis, ავაზაკებო.  
დღის ორი საათი იქნებოდა. მაჯისცემა  
ხან მინელდებოდა, ხან კი წუთში ასს  
აღწევდა. იკაროსის კაპოტზე ყუჟუნა  
წვიმა ჩქრიალებდა. პისტოლეტი შარვ-  
ლის მარჯვენა ჯიბეში გადავდე. გაბურ-  
ძენილი ქოფაკი, რომელსაც მუცელზე  
სველი ჭუჭყიანი ბეწვი ეკიდა, სახლი-  
დან გამოვიდა, გაცეცხვით მომანერდა,  
თვალები მოჭუტა, მზიარული წკმუტუ-  
ნით ცხვირის ქნევას მოჰყვა, დაღუძდა,  
შორიახლოს გაისეირნა და ერთხელ კი-  
დეგ შემომწყემუტუნა.

29.

ავტომობილიდან გამოვედი და კარი მიკეკტე. როდენ ერთმნიშვნელოვნად და პროზაულად გაისმა გაჯახუნების ხმა უმზეო დღის სიცრეულში! „წკაკ“, კომენტარი გააკეთა ძაღლმა. ზარის დილაკს თითი დავაჭირე; მისი ეიბრაციისგან მთელი სხეულით ავცახცახდი. არავინაა! ვერკავ კვლავ, არა, კვლავ! საიდან, რომელი სიღრმეებიდან ამოტივტივდა ეს განმეორებადი სისულელე? „წკაკ“, ჩაურთო ძაღლმა. ანაზდად ვიღაცის ფეხის ფრატუნე და კარის გაღების (წკაკ) ხმაური მოისმა.

ორი დუმიით გაზრდილა. ვარდისფერჩარჩოიანი სათვალე უკეთია. ახლებური მაღალი ვარცხნილობა, ახლებური ყურები. რა მარტივია ყოველივე! ეს წაბი, ეს სიკვდილი, რომელსაც სამი წლის განმავლობაში მოუხუმობდი, უცერად ნაფოტივით ხმელი აღმოჩნდა. ლოლიტა აშკარად და უზომოდ ორსული იყო. სახე თითქოს დალეოდა (ამასობაში სულ ორმა წამმა განვლო, მაგრამ მინდა, ხისებრი დღევრძელობა მივანიჭო დროის ამ პაწაწინა მონაკვეთს); ჭორფლი აღარ ეტყობოდა, ლოყები ჩაცვენოდა, გაშიშვლებულ ხელ-ფეხს მზისფერი აღარ დაჰკრავდა და ზედ ღინღლი ემჩნეოდა; ბამბის ყავისფერი, უსახელო კაბა და ქეჩის ფლოსტები ემოსა.

„ღმერთო ჩემო!“ — ამოიხვნეშა პაუზის შემდეგ განცვიფრებისა და სიხარულის მთელი სისრულით.

ჯიბიდან ხელი არ ამომიღია, ისე დავიჩხავლე: „შემი ქმარი შინაა?“

ლოლიტას მოკვლა (რასაც, ალბათ, ზოგიერთი მოელოდა) ვერ შევქელი. მე ხომ მიყვარდა ჩემი გოგონა: ეს იყო ერთი ნახვით, უკანასკნელი ნახვით, სამარადისო ნახვით გულში აღბეჭდილი სიყვარული.

„შემოდ“, — მითხრა მხიარულად და მტკიცედ. დოლი სკილერი ხის მკვდარ, დახეთქილ კარს აუკრა და შეეცადა, შემღებისდაგვარად მეტი გასავლელი ადგილი დაეტოვებინა (ფეხის წვერებზეც კი აიწია) და წამით ასე, ჯვარცმუ-

ლივით გახვედა თავისი ჩაცვნილი ლოყებით, მრგვალი ყვრიმალებითა და წყალნარევი რძესავით თეთრი, გაშლილი მკლავებით. ზღურბლს უდიმოდა. ისე გავიარე, რომ მის ამობურცულ ბავშვს არ შევხებივარ. დოლის ნაცნობი სითბო შევიგრძენი, რასაც სამზარეულოს ოდნავ საგრძნობი სურნელი დაჰკრავდა. კბილები რეგვენივით მიკაწკაწებდა. არა, შენ გარეთ დარჩებიო, უბრძანა ძაღლს, კარი მიხურა და თავისი მუცლით შემომყვა ღარიბულ, პატარა ოთახში.

„დიკი იქაა“, მითხრა, ტენისის უხილავი ჩოგნით მიმითითა და თითქოს შემომთავაზა, წარმოსახვით გამეველო სასტუმრო და საძინებელი ოთახები, შემდეგ — ერთი ციკქნა სამზარეულო და გამეღწია იმ ადგილისკენ, სადაც, უკანა კარის ჭრილის საკმარად პრიმიტიულ პერსპექტივაში, სამუშაო კომბინეზონიანი შავიმიანი ახალგაზრდა უცნობი მოჩანდა (მისი სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება მყისვე გაუაუქმე). ვაჟი ჩემკენ ზურგშექცევით, კიბეზე იდგა და მეზობლის (კიბესთან მდგარი ცალხელა ჩაფსკენილი ჭაბუკის) ქიხზე რაღაცას აჭედებდა.

ქალმა ეს სურათი მობოდიშების გამოზატველი ოხვრით განმარტა („მამაკაცებს შენება უყვარო“) და მკითხა, ქმარს ხომ არ დავუძახო.

„არა“.

ოდნავ დამრეცი იატაკის შუაგულში მდგარმა დოლიმ კითხვის გამოზატველი ჩუმი ბგერები გამოსცა და ხელეების ნაცნობი აღმოსავლური მოძრაობებით ხალისიანად შემთავაზა, ამერჩია სარწევლა ან დივანი (რომელიც დამამობით საწოლად იქცეოდა ხოლმე). ვამბობ, „ნაცნობი“ — მეთქი, რადგან ერთხელ ბერდსლეიში ასეთივე ხელების რაკვით მიმიპატიჟა ჩვენს სასტუმრო ოთახში გამართულ საღამოს წვეულებაზე. ორიენი დივანზე დავსხედით. საინტერესოა: თუმცა მისი სილამაზე, არსებითად, დაჭკნა, მაგრამ მხოლოდ ახლა — ჩემი ცხოვრების ამ უიმედო, გვიანდელ ჟამს

— მიუხედავად, როგორ ჰგავდა ის — და როგორ ჰგავდა ყოველთვის — ბოტინელის წითურ ვენერას — ისეთივე ნატიფი ცხვირი, ისეთივე მიბნედილი მშვენიერება. ჯიბის სიღრმეში ხელი შევეუშვი გამოუყენებელ კოლტს.

„ეს ის არაა, ვისაც დავეძებ“, — უთხარი.

მისი თვალებიდან გულითადობის გამოხატველი ბუნდოვანი გამომეტყველება გაქრა. შუბლი შეიჭმუნა, როგორც მაშინ, მწუხარე დღეებში.

„ვინ — ის?“

„სადა? სწრაფად!“

„მისმინე, — შემესიტყვა დოლი, თავი გვერდზე გადასწია და ასეთ მღვთმარეობაში მის ქნევას მოჰყვა: — მისმინე, თავიდან ნუ დაიწყებ ვეელაფერს.“

„ღიახაც დავიწყებ“, — უპასუხე მე, ორივენი ავიფხორეთ და ერთი წუთის განმავლობაში (უცნაურია, მაგრამ ეს იყო ჩვენი შეხვედრის ერთადერთი სასიკეთო, სასიამოვნო წუთი) ერთმანეთს ისე უცქერდით, თითქოს დოლი ისევე მე მეკუთვნოდა.

ჭკვიანმა გოგონამ დამასწრო და თავი შეიკავა.

მისი შემდეგი მონაყოლიდან გამოიჩინა, რომ დიკმა არაფერი იცოდა ამ ამბის შესახებ; ეგონა, რომ დოლი ჩემი ქალიშვილი იყო; ეგონა, რომ ის წარჩინებულ ოჯახში დაიბადა და სახლიდან მისთვის გაიქცა, რათა დუქანში ჭურჭელი ერეცხა. ვეელაფერისა სჯეროდა. რა საჭირო იყო ისედაც რთული მღვთმარეობის გამწვავება, რა საჭირო იყო ამ სიბინძურეში ქექვა?

უპასუხე, რომ მას კეთილგონიერება — დიდი კეთილგონიერება — უნდა გამოეჩინა (თხელი ყავისფერი მატერიის ქვეშ ამობერილი ამხელა მუცლით) და თუ ჩემგან დახმარებას მოელოდა, ვეელაფერი უნდა ეუწყებინა.

„აბა, ვეთაყვა, მისი სახელი!“

როგორ — განა აქამდე ვერ მიხვდიო, მითხრა.

„ეს იყო ისეთი (აქ მან ეშმაკურად დანაღვლიანად გაიღიმა) სენსაციური სა-

ხელი, რომ მე არ დავიჯერებ. თვითონაც არ სჯერა“.

„მისი სახელი, ჩემო შემოდგომის ნიმაფა?“

„ოჰ, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მოწვევა ხომ არ გინდა?“

„არა. მისი სახელი!“

დოლიმ ძალზე მტკიცე გამომეტყველებით გადააქნია თავი. მიაჩნდა, რომ ახლა უკვე გვიან იყო სკანდალის მოწყობა — და რომ მაინც არასოდეს დავიჯერებ არაჩვეულებრივ, წარმოუდგენელ...

აუღექი, უთხარი, უნდა წავიდე, ქმარი მომიკითხე, სასიამოვნო იყო შენი ნახვა-მოქიქი.

მომიგო, რომ ამოდ დავიჟინე. არასოდეს დასახელებს... თუმცა, მეორე მხრივ... ბოლოს და ბოლოს...

„შენ მართლა გინდა, იცოდე, ვინ იყო? კეთილი, ეს იყო...“

თხელი წარბები მაღლა აწკიპა, გამშრალი ტუჩები გამოპურცა და ჩუმად, კონფიდენციალურად, მსუბუქი ირონიით და ოდნავი სინაზით, თითქოს ყრუდ დაუსტვინაო, ისე წარმოთქვა სახელი, რომელსაც გამჭრიახი მკითხველი დიდი ხნის წინ მიხვდებოდა.

„უოტერპარუფ“, — თქვა შარლოტამ. რატომ გამიღელვა მოგონებამ ტბის პირას გატარებული ზაფხულის უმნიშვნელო დღის შესახებ? მეც დიდი ხნის წინათ გამოვიცანი მისი ვინაობა, მაგრამ ქვეცნობიერად, შეუგნებლად ჩაეწვდი. ახლა არც ტკივილი განმიცდია, არც — გაოცება. აუჩქარებლად განხორციელდა შერწყმა, დეტალებმა თავისი ადგილი დაიკავე; დავასრულე ურთიერთგადახლართული ლერწმების ნაყში, რომელსაც ჩემი თხრობის დასაწყისიდან მოყოლებული, ნელ-ნელა ვადგენდი. დიახ, გარკვეული და ბიწიერი მიზანი მამომრავებდა (დოლი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მაგრამ უკვე ოქროსფერ სიმშვიდეში ჩავიძირე და აღარ ვუსმენდი): ჩემი ოქროსფერი, საზარელი სიმშვიდე იმ ლოგიკური დაკმაყოფილების მეშვეობით უნდა გამოეხატა, რომელსაც ახლა განიცდის თვით

ჩემი ყველაზე არაკეთილმოსურნე მკითხველი.

უკვე აღვნიშნე, რომ დოლი კვლავ ლაპარაკობდა. ბოლოს და ბოლოს მოვახერხე მისი ლაღი მეტყველების ნაკადში ჩართვა. თურმე ერთადერთი მამაკაცი, ვინც უყვარდა, სწორედ ის იყო. „დაიცა, დიკი არ გიყვარს?“ „ოჰ, დიკი — შესანიშნავი ჭაბუკია, სრულ ოჯახურ ბედნიერებას განვიციდით და ასე შემდეგ, მაგრამ ეს არ მიგულისხმია“. „კეთილი, მაგრამ მე — მე სათვალავში ჩასაგდება არა ვარ?“

ერთხანს დოლი ისე მიმზერდა, თითქოს მხოლოდ ახლა გაიცნობიერა გაუგონარი და, ალბათ, საკმაოდ აბეზარი, რთული და უსარგებლო ფაქტი, რომ მის გვერდით მჯდარი ორმოცი წლის ყველასთვის უცხო, გამხდარი, მოხდენილად ჩაცმული, სათუთი, ჯანგატეხილი, ზავერდის პიჯაკში გამოწყობილი ჯენტლმენი ოდესღაც მისი ბავშვური სხეულის ყოველ გოჯს, ყოველ ჩანასახობრივ ბუსუსს აღმერთებდა. ბაც ნაცრისფერ თვალებში, უცნობი სათვალის მიწებს მიღმა წამით აირეკლა ჩვენი უბადრუკი რომანი. დოლიმ აწონ-დაწონა ის და მყისვე კვლავ დაივიწყა, როგორც ივიწყებდა მოსაწყენ ვიზიტს, ან ღრუბლიან ამინდში გამართულ პიკნიკს (რომელზეც მხოლოდ ყველაზე უინტერესო ადამიანები გამოცხადდნენ), ან ერთფეროვან სავარჯიშოს, ან კიდევ — გამხმარი ტალახის ქერქს, მის ბავშვობას რომ მიეწება.

ძლივს მოვასწარი, სწრაფი მოძრაობით დამეხსნა მუხლი სქემატური მუჯღუგუნისგან, რაც მისი ერთ-ერთი ახალი შესტი იყო.

მთხოვა, სისულელები არ მელაპარაკა. რაც იყო, იყო. აღიარა, რომ საერთოდ კარგი მამა ვიყავი — მაინც აღიარა. განაგრძე, დოლი სკილერ.

ვიციდი თუ არა, მაგალითად, რომ ჩვენი მღევარი შარლოტას იცნობდა და ოჯახის ძველ მეგობრად ითვლებოდა? რომ ის ბიძამისთან ჩამოვიდა რამზღელში — ოჰ, ძალზე დიდი ხნის წინათ

— და ლექცია წაიკითხა შარლოტას კლუბში, და უცებ ხელი ჩაავლო დოლის შიშველ მკლავს და მუხლებზე დაისვა ყველა იმ ქალბატონის თვალწინ, და ჩაკონცა, გოგონა კი მხოლოდ ათი წლისა იყო და გაბრაზდა? ვიცოდი თუ არა, რომ მან ჩვენ შევეგამჩნია იმ რაღაცნაირი მონადირეების სასტუმროში, სადაც სწორედ იმ პიესას წერდა — დიახ, „მოჯადოებულებს“ — რომელშიც დოლი ბერდსლეიში თამაშობდა ორი წლის შემდეგ. რომ ის საოცარ სიტყვებს ეუბნებოდა ქვემოთ, ჰოლში? ვიცოდი თუ არა, რომ — ოჰ, რა ცუდად მოიქცა დოლი, რომ თავგზა ამინდია და დამარწმუნა, კლერი ხანდაზმული მანდილოსანიაო — და, ღმერთო ჩემო, რა ადვილად დავიჭირე დოლი ჩემში, უეისის გაზეთში გამოქვეყნებული იმ კაცის პორტრეტი რომ მენახა!

ბრაისლანდის გაზეთს პორტრეტი არ დაუბეჭდავს. მართლაც სასაცილო იყო.

„დიახ, — განაგრძო მან, — სიცოცხლე — კომიკური ნომრების სერიაა“. რომანისტს რომ დოლის ცხოვრება აეწერა, არავინ დაუჯერებდა.

ამ დროს სამზარეულოდან მოგვესმა მხნე, ოჯახური ყოფის დამახასიათებელი ბგერები — იქ დიკი და ბილი ლუდს ექებდნენ. ღია კარში სტუმარი დაინახეს და დიკი ოთახში შემოვიდა.

„დიკ, ეს ჩემი მამიკოა!“ — დაიყვირა დოლიმ წკრიალა, დაძაბული ხმით; მისი ხმა ჩემთვის უცხო იყო, და სიზარულით აღსაეს, და ნაცნობი, და ნაღვლიანი, რადგან ვმარწვილი კაცი შორეული ომის ვეტერანი გახლდათ და ყურთ თითქმის არაფერი ესმოდა.

ზღვისფერი თვალები, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა, ვარდისფერი ლოყები და გაუპარსავი ნიკაპი ჰქონდა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვი. დისკრეტული ბილი, როგორც ჩანს, ამყობდა იმით, რომ ცალი ხელით სასწაულების ჩადენა შეეძლო და ლუდის გახსნილი თუნუქულები მოგვიტანა. პროლეტარებისთვის დამახასიათებელი გადამეტებული ზრდილობით წასვლა დააპირა.

აიძულეს, დარჩენილიყო. ლუდის რეკლამაზე ოჯახური სურათი იყო გამოსახული. არსებითად, არც მე და არც სკილერებს პირისპირ დარჩენა არ გესურდა. გადავჯექი სარწველაში, რომელიც ნერვულად აქანავდა. ფეხშიძე დოლი ხარბად ნთქავდა და მეც მთავაზობდა ალთეს კვერებს, არაქისსა და კარტოფილს ბურბუშულას. მამაკაცები უთვალთვალეზდნენ მის სუსტი აღნაგობის, მცივანა, მინიატურულ, ახალგაზრდული, მაგრამ ავადმყოფური იერის მქონე მამას, რომელსაც ხავერდის პიჯაკი და ჩალისფერი ჟილეტი ეცვა: შესაძლოა, ვიკონტი იყო.

ეგონათ, რომ რამდენიმე დღით ჩამოვედი და დაძაბული აზროვნების ნიშნად შუბლშეჭმუხნილმა დიკმა ივარაუდა, ამაღამ მე და დოლი სამზარეულოში დავიძინებთო. ხელი ოდნავ გავაქნიე და აუუხსენი დოლის (მან კი ჩემი ნათქვამი ხმამაღლა გაუმეორა დიკს), რომ, უბრალოდ, ერთი საათით შემოვიარე და ლექტორბურგში მელოდებოდნენ. ამ დროს შევამჩნიეთ, რომ უიღბლო სასწაულთმოქმედს, ბილს თითო გაეჭრა და სისხლი სდიოდა. რაოდენ ქალური იყო დახრილი დოლის მკრთალი მკერდის ჩრდილოვანი ვანაყოფი, როდესაც ის ხეიბრის ხელს ათვალთვალდა! მან ბილი შესაკეთებლად გაიყვანა სამზარეულოში (სააბაზანო არ ჰქონდათ). მე და დიკი მარტონი დაერჩით და ჩვენი გულითადი გრძნობებისგან სამი-ოთხი პაწაწინა მარადისობა გაიბუხა. ის სკამზე იჯდა, წინა კიდურებს ისრესდა და შუბლს კვლავ იჭმუხნიდა; მინდოდა, მის გაოფლილ ცხვირზე ჩემი კრძელი, ბრჭყვიალა ჭანგებით ფერისმჭამელები გამომერწყა. მომეწონა ჭაბუკის სათნო, სევედიანი თვალეები და ძალზე თეთრი კბილეები. ნაკლებად მომეწონა უშველებელი, გაბანჯკველული ხვანჩი. რატომ უფრო ხშირად არ იპარსებიან ეს ახალგაზრდა, ჩასხმული ყმაწვილები? მას და დოლის, ალბათ, ას ოთხმოცი თავაწყვეტილი სქესობრივი კავშირი მაინც ექნებოდათ ამ დივანზე, სანამ ქალმა მუცლად არ იღო.

მანამდე კი — როდიდან იცნობდნენ ერთმანეთს? უცნაურია, მაგრამ მის მიმართ მტრობას როდი ვგრძნობდი; მხოლოდ ტანჯავასა და ზიზღს განვიცდიდი. დიკი ახლა ცხვირს ისრესდა და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ პირის გაღებისთანავე (თავის ქნევით) მეტყვოდა: „ეჰ, მართლაც რომ საუკეთესო ქალიშვილი გვაეთ, მისტერ ჰეიზ. ასეა. და საუკეთესო დედაც იქნება“. საწყალობა პირი დააღო — და ლუდი მოსვა. ამან თავდაჯერება შემატა და ყლუპ-ყლუპად სმა განაგრძო, სანამ თვალებიდან ცრემლები არ წამოსცივდა. შესანიშნავი ჭაბუკიაო, თქვა დოლიმ. ის ხელისგულებით ელაციცობოდა ქალის ფლორენციულ მკერდს. თვალის მოკვარი შავსა და დატეხილ ფრჩხილებს, მაგრამ ფალანგები, მაჯის სახსრები და ღონიერი, ნატიფი მტევანი ჩემს ხელთან შედარებით გაცილებით დახვეწილი ჰქონდა. იმდენი მსხვერპლი დავეჯიჯგნე ჩემი საბრალო დაღრეცილი ხელებით, რომ საამაყო არაფერი მაქვს: ფრანგული ფრაზეები, ღორსეტელი გლეხის მსხველი ძვლები, ავსტრიული თერძის ბრტყელი თითები — აი, ასეთია ჰუმბერტ ჰუმბერტი.

კეთილი. თუ ჭაბუკი დუმს, მეც გაუჩუმდები. კაცმა რომ თქვას, არ მაწყენდა ამ გაყუნებულ, შიშისგან მისიკვდილებულ სარწველაში დასვენება, სანამ ნადირის ბუნავის საებრად გავეშურები. იქ პისტოლეტის ლაგამს გადავწვევ და სასხლეტის ორგაზმით დავტყებები — ყოველთვის ვენელი შამანის ერთგული ვიყავი. თანდათან სიბრაღული მომერია საწყალი დიკის მიმართ, რომელსაც საშინელი, თითქმის ჰიპნოზური ხერხით ხელს ვუშლიდი, წარმოეთქვა მის მიერ მოფიქრებული ერთადერთი ფრაზა („საუკეთესო ქალიშვილი გვაეთ...“).

„ამგვარად, — ვკითხე მე. — კანადაში მიემგზავრებით?“

სამზარეულოში დოლი იცინოდა ბილის სიტყვების თუ საქციელის გამო.

„ამგვარად, — დავიყვირე მე, — კანადაში მიემგზავრებით? უფრო სწორად, კა-

ნდაში კი არა, — დაიყვირე ხელახლა, — ალასკაში?“

დიკმა ხელისგულები ჭიქას მოუჭირა, ბრძნული გამომეტყველებით თავი დააქნია და მიპასუხა: „ღიახ. ვფიქრობ, რომ ბასრი კედით გაიჭრა. ხელი კი იტალიაში დაკარგა“.

საუცხოო, იისფერ-მოვარდისფრო, აყვავებული ნუშის ხეები. მათ პუნტილისტურ ფონზე დაკიდებული, მოგლევილი სიურრეალისტური ხელი, რომელს ზურგზე პატარა მეყვავილე ქალი იყო მოსვარინებული. დოლი და დაწებებული ბილი კვლავ შემოვიდნენ. ალბათ, ქალის ორაზროვანი სილამაზე და ყავისფერი კაბით ხაზგასმული მკრთალი კანი აღაგზნებდა ხეიბარს. დიკმა შევებით გაიღიმა და სკამიდან წამოდგა. მიანდა, რომ ბილთან ერთად სამუშაოს უნდა დაბრუნებოდა; მიანდა, რომ მისტერ ჰეიზს და დოლის ბუერი რამ ჰქონდათ სალაპარაკო; მიანდა, რომ ჩემს წასვლამდე კიდევ მნახავდა. რატომ მიანნიათ ამდენი ამ ადამიანებს, და რატომ იპარსებიან ასე უხეიროდ, და რატომ არ იყენებენ სასმენ აპარატებს?

„დაჯექი“, — მითხრა დოლიმ და ხელი ბარძაყზე დაიტყაპუნა. შავ სარწევლაში კვლავ ჩავეექი.

„ამგვარად, საქმეს მიუბრუნდეთ. მასადამე, შენ მიღალატე. საით გაემგზავრეთ? სად არის ახლა?“

დოლიმ ბუხრის თავიდან პრიალა შეხენქილი ფოტოსურათი აიღო. ჩათქვირული, კოჭლი, ძალზე მოკლე თეთრ კაბაში გამოწყობილი ხანდაზმული ქალი; ფილტიანი მაჰაკაცო: გრძელი უღვაში, საათის ძეწკვი. ქმრის მშობლები. დიკის ძმის ოჯახთან ერთად ჯუნოში ცხოვრობენ.

„მოწვევა მართლა არ გინდა?“

და პაპიროსი გააბოლა. პირველად ვხედავდი მწვეველ დოლის. ჰუმბერტ მრისხანეს მეფობის ეპოქაში ეს სასტიკად იყო აკრძალული. მოღურჯო ნისლეულით გარემოცული შარლოტა ჰეიზი ნარნარად წამოდგა საფლავიდან. რა თქმა უნდა, ადვილად ვიპოვი დანტისტი

ბიძის დახმარებით, თუ დოლიმ არაფერი მითხრა.

„გიღალატე? არა“. პაპიროსი ბუხარს მიუშვირა და საჩვენებელი თითი დემისივით სწრაფად დაუკაკუნა და, ღმერთო ჩემო, ზუსტად შარლოტას მსგავსად, ფრჩხილით მოიცილა ქვედა ტუჩიდან პაპიროსის ქაღალდის ნაგლეჯი. არა, მას არ უღალატია. ყოველივე მეგობრულად მოხდა. ეღუზამ თავის დროზე გააფრთხილა, რომ კუს მოსწონდა პატარა გოგონები — ერთხელ, სხვათა შორის, კინლამ დააპატმირეს; დოლიმ იდაყვი ხელისგულს დააყრდნო, ნაფაზი დაარტყა, გაიღიმა, კვამლი გამოუშვა და ფერფლი ისევ გატყორცნა ბუხრის მიმართულებით. მოგონებებში ჩაფვლო. საქმე ისაა, რომ ადამიანებს შესანიშნავად იცნობდა, იმიტომ, რომ შენნაირი ან ჩემი მსგავსი არსება კი არა, გენიოსი გახლდათ. და შესანიშნავი ადამიანი იყო. და ისეთი მზიარული. კინლამ მოკვდა სიცილით, როდესაც დოლიმ ჩვენი ურთიერთობის შესახებ მოუთხრო. განა ეს ღალატია, თუ მისთვის ყველაფრის გაზიარება სასუბით უზიფათო იყო?

მაშ ასე. კუ — მას ყველა კუს ეძახდა...

შემოკლებით ასე ეძახდნენ ლოლიტას საზაფხულო ბანაკსაც („კუდრაჭა“). სასაცილო თანხვედნა. მაშასადამე, კუმ დოლი წაიყვანა საუცხოო რანჩოზე, რომელიც იქიდან... ელფანტიდან (ელფინსტონიდან) სამასი მილის დაცილებით მდებარეობდა. რა ერქვა რანჩოს? ოჰ, ძალზე სულელური სახელწოდება: დუკ-დუკი — უაზრო სიტყვა (არც ისე უაზრო)... მაგრამ ეს ახლა სულ ერთია, რადგან რანჩო აღარ არსებობს, აორთქლდა. ლამაზი კი იყო — მე ვერ წარმოვიდგენ ამ რანჩოს ფენომენალურ ფუფუნებას — იქ ყველაფერი იყო, ყველაფერი — სახლში ჩანჩქერიც კი იყო მოწყობილი! იქნებ მახსოვს წითური კაცი, ჩვენ (ჩვენ!) ჩოგბურთს რომ ვეთამაშებოდით? რანჩო, სიმართლე რომ ითქვას, იმ წითურის ძმას ეკუთვნოდა, მაგრამ მან ზაფხულის განმავლობაში კუს დაუთმო. როდესაც დოლორესი და

კუ რანჩოს მიაღწენ, წყვილს თავზე  
ვეირვეინი დაადგეს, შემდეგ კი აუზ-  
ში ჩააგდეს, კინაღამ დაახრჩვეს, რო-  
გორც ეკვატორის გადაკვეთისას სწაღიან  
ხოლმე, ზომ იცი...

დოლიმ ხელოვნური მორჩილების  
ნიშნად თვალები გადაატრიალა.

„განაგრძე, თუ შეიძლება“.

ჰოლა, იგულისხმებოდა, რომ სექტემ-  
ბერში ის დოლის ჰოლივუდში წაიყვან-  
და. იქ შეეცდებოდა, გოგონასთვის ეპი-  
ზოდური როლი მიეცათ ფილმში, რო-  
მელსაც კუს პიესის („ოქროს სიმები“) მიხედვით იღებდნენ. ლო იმედოვნებდა  
აგრეთვე, რომ მას ერთ-ერთი სახელ-  
განთქმული მსახიობი ქალის დუბლი-  
რების უფლებას მისცემდნენ ჩოგბურთ-  
ის განაჩნახებულ კორტზე. სამწუხა-  
როდ, ასე არ მოხდა.

„ახლა სადაა ის არამზადა?“

რატომაა არამზადა? ყოველმხრივ  
შესანიშნავი აღმინანია. მაგრამ რანჩოზე  
მხოლოდ ალკოჰოლითა და ნარკოტიკე-  
ბით იქცევდნენ თავს. და კუ, რა თქმა  
უნდა, ნამდვილი სექსუალური ურჩხუ-  
ლი იყო; მეგობრები ბრმად ემონებოდ-  
ნენ. მე ვერ წარმოვიდგენ (მე, ჰუმბერ-  
ტი, ვერ წარმოვიდგენ!) რაებს სწა-  
დიოდნენ ლუკ-ლუკის რანჩოს მოზინად-  
რეები. დოლიმ უარი განაცხადა ამ სა-  
ზიზღრობაში მონაწილეობის მიღებაზე  
და კუმ ის გააგლო.

„რაებს სწადიოდნენ?“

„ოჰ, ბინძურად, ფანტასტიკურად იქ-  
ცემოდნენ. ბიჭები, გოგონები და რამდე-  
ნიმე მამაკაცი უნდა ვაშიშვლებულიყე-  
ნენ და ღმერთმა იცის, რა ეკეთებინათ,  
სანამ მაღამ ღამორი კინოს იღებდა  
(მარკიზ დე სადის ჟიუსტინა თავდა-  
პირველად თორმეტი წლისა იყო)“.

„მაინც, რას აკეთებდნენ?“

„ოჰ, საშინელებებს... ოჰ, არა, ღმე-  
რთმანი, მე...“ (ეს „მე“ შეკავებული  
ყვირილივით, თითქოს გულის გამაწვე-  
რილებელი ტკივილის ნიშნად აღმოხ-  
და; შესაფერი სიტყვები ვერ იპოვა და  
გაფარჩხული თითები ჰაერში ირიბად  
აიქნია). არა, უფრო დაწვრილებით ვე-

რაფერს მასწავებდა მის სხეულში მო-  
კალათებული ჩვილის თანდასწრებით.

რას იზამ.

„მერე-ღა განა ამას ახლა რაიმე მნიშ-  
ვნელობა აქვს? — იკითხა დოლიმ, მუ-  
შტით ბალიში მოსრისა და დივანზე  
პირაღმა გაიშოტა. — გაუგონარ, უკად-  
რის რამეებს სწადიოდნენ. ვუთხარი,  
რომ არაფრის გულისთვის არ... (აქ  
მან გულუბრყვილოდ იხმარა უხამსი  
ვულგარიზმი ჩემთვის და მისთვის კარ-  
გად ნაცნობი ახორების აღსანიშნავად)  
შენს საძაგველ ბიჭებს, რადგან მხოლოდ  
შენ მჭირდები-მეთქი. ჰოლა, გამომაგ-  
ლო“.

მოსაყოლი ცოტაღა დარჩა. იმ ზამ-  
ზარს (1949-1950) ფეი და დოლი  
მძიმე შრომით შოულობდნენ ლუკმა-  
პურს. ორი წლის განმავლობაში გოგო-  
ნა ერთი ადგილიდან მეორეზე გადა-  
დიოდა, მუშაობდა პატარა გზისპირა  
რესტორნებში, შემდეგ დიკს შეხვდა.  
არა, არ იცის, სად იმყოფება ის კაცი.  
აღბათ, სადმე, ნიუ-იორკშია. ისეთი  
სახელგანთქმულია, რომ დოლი ადვი-  
ლად იპოვიდა, თუკი მოინდომებდა.  
ფეიმ რანჩოში დაბრუნება სცადა, მაგ-  
რამ ის, უბრალოდ, აღარ არსებობდა —  
მთლიანად დამწვარიყო, არაფერი დარ-  
ჩენილიყო, ნაგვის შავი გროვის გარდა.  
დოლის აზრით, ყოველივე უცნაური  
იყო, ისეთი უცნაური...

რას იზამ, მაკ-კუს მსგავსი გვარი  
ჰქონდა და სახლი მასაც დაეწვა.

დოლი ბალიშზე გადაწვა, ცალი ფეხი  
ძირს ჩამოუშვა და თვალები მილულა.  
იატაკი ოდნავ დაქანებული იყო, ფოლა-  
დის ბურთულა აქედან პირდაპირ სამზა-  
რეულოში შეგორდებოდა. ახლა ყველა-  
ფერი ვიცოდი, რისი ვაკებაც მსურდა.  
არ მინდოდა ჩემი თვალისწინის წყაღე-  
ბა. სადღაც, ბილის ქოხის უკან, სამუ-  
შაო დღის დამთავრების შემდეგ, რადიო  
ამღერდა უგონო, განწირული სიყვარუ-  
ლის შესახებ და სწორედ მისი განსა-  
ხიერება ჩემ წინ დივანზე იწვა. ვამ-  
ჩნევდი ქალის უკვე შეღახულ იერს,  
ვიწრო ხელებზე არაბავშვურად ამობე-

რილ ძარღვებს, წინამხრების მკრთალ, ხორკლიან კანს, სიფრიფანა, მაიმუნი-სებრ ყურებსა და გაუპარსავ ილღიებს. ის (ჩემი ლოლიტა!) უკვე საბოლოოდ დამ-ჭენარეო. მუცელში მჯდარი ბავშვი, ალბათ, უკვე ოცნებობდა, ბობოლა კაცი გამოსულყო და 2020 წელს სამსახუ-რიდან გადამდგარიყო, — მე კი ვუცქერ-დი, და ცქერით ვერ ვძღვებოდი, და ვი-ცოდი (ისევე მტკაცედ, როგორც მოსა-ლოდნელი სიკვდილის შესახებ), რომ ლოლიტა ყველაფერზე მეტად მიყ-ვარდა, რაც კი მინახავს ან წარმომიდ-გენია ამქვეყნად ან რის ნახვასაც ვიმე-დოვნებდი საიქიოში. მისგან იმ ნიშნე-ტის ოდნავ შესაგრძნობი სურნელი თუ ფოთოლტყვენის ექოლა დარჩენილიყო, რომელსაც ყვირილით ვაცხრებოდი ხოლმე წარსულში; ეს ექო გაისმოდა წითელი ხევის ნაპირას, იქ, სადაც თეთ-რი ცის ქვეშ შორეული ტყე შრიალებ-და, ნაკადულის ფსკერი ჩამუქებული ფოთლებით იყო მოფენილი, ხმელ შამ-ბნარში კი ერთადერთი, უკანასკნელი ჭრიჭინა იჯდა... მაგრამ, მადლობა ღმერთს, მარტოოდენ ექოს როდი შეე-ტრფოდი. შეეცოლება, რომელსაც ოღეს-ღაც გულის გადახლართულ ლერწებში ვუნანავებდი, ჩემი უდიდესი, სხივმოსი-ლი შეეცოლება, დაპატარავდა და თავის ჭეშმარიტ არსს დაემთხვა: ეს იყო უნაყოფო და ეკოისტური ბიწი; სწო-რედ მას ვირეცხავდი გულიდან და ვწყველიდი. შევიძლიათ, მასხარად ამიგ-ლოთ და სასამართლოს დარბაზიდან გა-ყვანით დამემუქროთ, მაგრამ სანამ პირ-ში ალიკაპს ამომიღებენ და მომგუდა-ვენ, ყვირილით მოვებე ქვეყნიერებას ჩემს გულსაკლავ სიმართლეს. ყელში მძვინვარე სურვილი მებჯინება — მინ-და, ყველამ გაიფოს, როგორ მიყვარს ჩემი ლოლიტა, ეს ფერმკრთალი და შებღალული ლოლიტა, სხვისი ბავშვი რომ უზის გულქვეშ. ჯერ ისევ ნაცრის-ფერთვალეაა, ჯერ ისევ შავი, გრძელი წამწამები და ოქროსფერი თმა აქვს, ჯერ ისევ დამატორობელი კარმენსიტაა, ჯერ ისევ ჩემია, ჩემი...“ შევიცვალეთ

ბედ-იღბალი, ჩემო კარმენ, ვიცხოვ-როთ იქ, სადაც არასოდეს დავცილდე-ბით ურთიერთს\*.

ოპაიო? მასაჩუსეტის უღრანები? მერი მეი? სულ ერთია, მა-ინც მეყვარები, თუნდაც ეს თვალეში თევზის თვალეებს დამსგავსოს, კერტე-ბი შეისვლეს, ხოლო მშვენიერი, ნორ-ჩი, ხავერდოვანი საშო წაბილწოს და დახეტქოს მშობიარობამ — მაინც უგო-ნოდ მეყვარება შენი ძვირფასი, გამხდა-რი სახე, შენი ღრმა, ყმაწვილური ხმა, ჩემო ლოლიტა!

„ლოლიტა, — ვუთხარი, — ეს, შეიძ-ლება, უაზრო და უსარგებლოა, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა. სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა. აქედან შენს ნაცნობ ძველ ავტომობილამდე ოცი-ოცდახუთი ნაბიჯია. ძალზე ხანმოკლე გასეირნება მოგიწევს. გადადგი ოცდახუთი ნაბიჯი. და ტკბილად ვიცხოვროთ უკუნისამდე“ („კარმენ, გინდა თუ არა, ჩემთან წამოხ-ვიდე?“)

„შენ იმის თქმა გსურს, — მიასუსხა მან, თვალეები გაახილა და ოდნავ წა-მოიწია (იერიშისთვის გამზადებული გველი), — იმის თქმა გსურს, რომ ჩვენ (ჩვენ!) ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემ, თუ სასტუმროში დაგნებდები? შენ ამის თქმა გსურს?“

„არა, არა. ვერ გამოგე. მინდა, რომ მიატოვო შემთხვევითი დიკი და ეს სა-შინელი ჯურღმული, და ჩემთან გად-მოხვიდე საცხოვრებლად — ჩემთან იც-ოცხლო, ჩემთან დალიო სული, ყველა-ფერი, ყველაფერი ერთად გადავიტა-ნოთ“ (ნათქვამის ზოგად არსს წარმო-ვიდგენთ).

„არანორმალური ხარ“, — მითხრა და ბავშვურად დაიმანჭა.

„მოიფიქრე, ლოლიტა. არავითარი განსხვავება არ იქნება, ერთი რამის გარდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს (სიკვდილით დასჯას გავაუქმებ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არ ვთქვი). ყოველ შემთხვევაში, უარიც

\* მერიმეს „კარმენიდან“ (ავტორის შენიშვნა)

რომ მიიხრა, მინც მიიღებ შენს... მზითეუქ“.

„არ ხუმრობ“? — მკითხა.

პასუხად გადავეცი კონვერტი, რომელშიც იღო ოთხასი დოლარი და ჩეკი სამი ათას ექვსას დოლარზე.

ქალმა გაუბედავად, ფრთხილად გამომართვა ეს პატარა საჩუქარი და უცერად შუბლი მომხიბვლელად შეუფაკლდა.

„დაიცა, — წარმოთქვა ვაი-ვაგლახით, — შენ ოთხი ათას დოლარს გვაძლევ?“

სახეზე ხელები ავიფარე და ავტირდი — ასე ცხარედ არასოდეს მიტირია. ვგრძნობდი, როგორ იღვწითებოდა ცხელი ცრემლები თითებს შორის და ნიკაპს მისველებდა, და სუნთქვა შემეკრა, და ტირილს ვერაფრით ვიკავებდი, და მაჯაზე ხელი მომიკიდა.

„თუ შემეხები, მოკვდები, — ვუთხარი. — სავსებით დარწმუნებული ხარ, რომ არ წამომეყვები? ოდნავი იმედი მაინც არ მქონდეს, რომ წამოხვალ? მხოლოდ ამაზე მიპასუხე“.

„არა, — მომიგო მან, — არა, ჩემო კარგო, არა“. ჩემს სიცოცხლეში პირველად მომმართა ასე.

„არა, — გაიმეორა დოლიმ. — არავითარ შემთხვევაში. კუს უფრო დაუბრუნდები, ვიდრე შენ. საქმე ისაა, რომ...“

როგორც ჩანს, სიტყვები არ ჰყოფინდა. წარმოვიდგინე, რისი თქმა სურდა („...მან გული მომიკლა, შენ მხოლოდ ცხოვრება დამინგრიე“).

„რა კარგია, — განაგრძო მან. — უფს! (კონვერტი დივანიდან იატაკზე ჩაცურდა და დოლიმ ის აიღო). — რა არაჩვეულებრივი საქციელია შენი მხრივ... ამდენი ფული! ეს ყველა საკითხს გადაწყვეტს. შეგვიძლია, თუნდაც მომავალ კვირას გავემგზავროთ. ნუ ტირი, ვთხოვ! უნდა გამიგო. კიდევ ხომ არ მოგიტანოლუდი? ოჰ, ნუ ტირი. ვნანობ, რომ ასე

გატყუებდი, მაგრამ ახლა ვერაფერს გამოვასწორებ“.

სახე და თითები გავიმშრალე. დოლი იღიმებოდა და საჩუქარს უყურებდა. ზეიმობდა. დივის დაძახება უნდოდა. ვუთხარი, რომ მალე უნდა წავსულიყავი და სულაც არ მინდოდა მისი ქმრის ნახვა. შევეცადეთ, სხვა სასაუბრო თემა მოგვეძებნა. რატომღაც განუწყვეტლივ თვალწინ მედგა (ეს სახე სველ ბადურაზე ტოკავდა და აბრეშუმით ელვარებდა) თორმეტი წლის მწყაზარი გოგონა, ზღურბლზე რომ იჯდა და კენჭებს მარჯვენდ ესროდა ცარიელ თუნუქელას. უკვე დავიწყე ლაპარაკი — უმნიშვნელო რეპლიკას ვეძებდი — „ნეტავ, რა დაემართა პატარა მაკკუს — გამოჯანმრთელდა თუ არა?...“ — მაგრამ დროზე დავდუმდი. შემეშინდა, რომ დოლი შემესიტყვებოდა: „ნეტავ, რა დაემართა პატარა ჰეიზს?“ ბოლოს იძულებული გახვდი, ფულის პრობლემას დაებრუნებოდი. მისთვის მიცემული ჩეკი წარმოადგენდა დედისეული სახლის გაქირავების შედეგად მიღებულ წმინდა მოგებას. ქალს გაუკვირდა — ეგონა, რომ ის დიდი ხნის წინათ გავყიდე. ჯერ არამეთქი, ვუთხარი (თუმცა თავის დროზე ამაში დავარწმუნე, რათა რამზღელთან ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა). რწმუნებული მალე გამოუგზავნის სრულ ანგარიშს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მდგომარეობა — შესანიშნავია. შეიძლება, სახლი გვარიან ფასად გაიყიდოს. დედამისის კუთვნილი ზოგიერთი აქცია არაჩვეულებრივად გაძვირდა. არა, მართლა ჩემი წასვლის დროა. უნდა წავიდე, ვიპოვო მტერი და მოვსპო. ვიცოდი, რომ მის ამბორს ვერ ავიტანდი. ამიტომ საკმაოდ დიდხანს უკან ვიხვედი (რაც მანერულ ცეკვას წააგავდა), როგორც კი თავისი მუცლით მიახლოვდებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერი

თარგმნა თაბარ ლომიკაძე



# ბჰინან ბრებჰჰჰჰ

## ანტიკური ნიჰილიზმის გმირგმინი

(პლატონის „ტიმოსი“)

ივეგოთ პატარა მონუმენტი ყოველ სიძნელეს, პატარა ტაძარი — თვითეულ კითხვას. თავისი სტელა — ყოველ ენიგმას.

პოლ ვალერი

### I

#### ფილოსოფიურ და მეცნიერულ სისტემათა ენციკლოპედია

„თავის დიდებულ ფრესკაზე აათენის სკო-სწავლობდა „ტიმოსის“. ეპიკურემ, როგორც ლა“ რაფაელი გვიხატავს პლატონს, რომელსაც ხელში უჭირავს „ტიმოსის“. ასე გამოხატავენ მას ჭერ კიდევ ბიზანტიელი მხატვრები და ზოგჯერ მინიატურისტებიც — ხელნაწერების კაბადონებზე. ერთნიცა და მეორენიც ძველისძველი ტრადიციის ერთგულნი იუვენენ, ტრადიციისა, რომელიც თვით პლატონის ეპოქიდან იღებს დასაბამს. უკვე პლატონის უშუალო მოწაფეები „ტიმოსის“ თვლიდნენ თავიანთი მოძღვრის მთავარ ქმნილებად. არისტოტელემ, რომელიც სწორად იმოწმებს „ტიმოსის“, მასში ხედავს პლატონის აზროვნების ყველაზე ნიშანდობლივ გამოხატულებას. კრანტორმა დაწერა მისი კომენტარები: როგორც ამბობენ, ეს იყო „ტიმოსის“ პირველი განმარტება. სპევსიპე და ქსენოკრატე ეპაექრებოდნენ დიალოგის არაერთ პასაჟს. უფრო გვიან მრავალი სტოელი

ჩანს, არ დაიზარა და საგანგებო შრომა მიუძღვნა მის უარყოფას. მეორეს მხრივ, ალექსანდრიელები და ეკლექტიკოსები თავისებურ კულტს ქმნიან ამ დიალოგისგან. პლუტარქე სადავოდ მიიჩნევდა მის ზოგიერთ გაქიანურებულ პასაჟს; მანვე დაწერა „ტიმოსის“ არასრული კომენტარიც. ანტიკური ცვილიზაციის დასასრულს არ შეუწყვეტია ეს ტრადიცია. ქრისტიანი, არაბი თუ ებრაელი სწავლელები არანაკლები გულმოდგინებით იკვლევდნენ „ტიმოსის“ ტექსტს და თითქმის ისეთსავე თავყვანს სცემენ მას, როგორც კანონიკურ წიგნებს. საშუალო საუკუნეების ავტორები, რომლებიც იცნობენ „ტიმოსის“ ლათინურ თარგმანს, შესრულებულს ჩვენს წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ქალკიდისის მიერ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმოწმებენ მას. ზუსტად ასევე, შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ფრანგული სკოლა, შარტრის სკოლა, ცდილობს ერთმანეთს შეუთანხმოს სამყაროს შექმნის „ტიმოსისიული“ კონცეფცია და „დაბადების“ ტექსტი, რომელიც შესაქმნეს ენება. „ტიმოსის“ ლათინური თარგმანი სწავლულთა ბიბლიოთეკების თარგმანზე არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და ფსევდო-დონისე არეოპაგელის კორპუსის გვერდით იკავებს ადგილს.

გამოკვლევას თან ერთვის მრავალრიცხოვანი შენიშვნები, რომელთა აწყობა ტექნიკური მიზნების გამო ვერ მოხერხდა; მთელს ბიბლიოგრაფიას მკითხველი გაეცნობა წიგნში — პლატონი, „ტიმოსის“ (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ), რომელსაც უახლოეს ხანში გამოსცემს გამოცემლობა „განათლება“.



XVII საუკუნემდე ჩვენი დიპლომატი უწყვეტ შემოქმედებას ახდენს დასავლურ აზროვნებაზე. რენესანსი უჩვეულო ჩაიბიბით ფიქლებს და დაეპყრება კიდევ „ტიმოისს“. ფილოლოგები, მათემატიკოსები, ასტრონომები ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რათა ჩასწვდნენ იმ სახელგანთქმული პასუხების ფარულსა და იღუმალ აზრს, რომელიც „სამყაროს სულს“ ეხება.. მიუხედავად იმისა, რომ პლატონი ყოველთვის ეძებდა უზუსტეს ფორმულებს, მიუხედავად იმისა, რომ თავდაუზოგავად ცდილობდა თავისი აზრი გასაგები გაეხადა მკითხველისათვის (ეს მცდელობა ზოგჯერ დამღლევი და მოსაბეზრებელიც კი ჩანს), „ტიმოისი“ ჩვენს თვალში მაინც ანტიკური ეპოქის ყველაზე ბნელ და ბუნდოვან წიგნადა რჩება. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რეალურმა თუ მოჩვენებითმა სიბნელემ უფრო მეტად შეუწყო ხელი მის გავრცელებას, ვიდრე უშუალო ინტერესმა მასში გადმოცემული მოძღვრების მიმართ. დიდხანს ფიქრობდნენ, რომ „ტიმოისში“ გაცხადებული იყო მისტიური სიბრძნე, ნაშვირი პითაგორელთა დაკარგული სიბრძნისა. მასში ეძებდნენ სიმბოლოებს, საიდუმლო მოძებრებებს და უგულვეტყოფდნენ პლატონის ქმნილების მეცნიერულსა და პოლიტიკურ ხასიათს. ბევრი სახელგანთქმული წიგნის მსგავსად, „ტიმოისიც“ პოპულარული გახდა, უწინარეს ყოვლისა, იმ გაუგებრობის შედეგად, რასაც განაპირობებდა მისი მკითხველების საღვთისმოსაო გზნება. ეგვიპტ არ იყოს, პლატონის ყველა ქმნილებათა შორის „ტიმოისი“ ერთადერთია, რომელიც ნამდვილ ენციკლოპედიად, ადამიანური ცოდნის ჯამად წარმოგვიდგება (le seul qui ait l'aspect d'une encyclopédie, d'une somme des connaissances humaines), და ეს ცოდნა, სხვათა შორის, უსასრულოდ მდიდარია, დიპლომატის სიმცირისა და სიმოკლის მიუხედავად. შუა საუკუნეების სწავლულნი, რომლებიც თავდაუზოგავად ცდილობდნენ საბოლოო სინთეზის შექმნას, ფიქრობდნენ, რომ სწორედ „ტიმოისი“ უნდა ყოფილიყო ამნაირი სინთეზის მოდელი. აი, რატომაა, რომ „ტიმოისის“ ისტორიული მნიშვნელობა არისტოტელეს „ორგანონის“ მნიშვნელობის ტოლფარდია. ესაა ერთი იმ წიგნთაგანი, რომელთა აზრწვედაც ურიცხვ თაობას უფეროა და რომელთა არსიც საუკუნეების მანძილზე თანდათანობით მდიდრდებოდა უცხო ელემენტთა უსასრულო სიმრავლით. ჩვენი ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ პირისპირ დავრჩეთ დიპლომატის ტექსტთან და ვცადოთ მისი გაგება, ისე, რომ ნაკლები ყურადღება დავეთხოთ ყოველივე იმას, რაც უფრო გვიან უძებნიათ მასში“.

ეს ამოცანა მთელი თავისი უჩვეულო სირთულით დგას „ტიმოისის“ ყველა თანამედროვე „ციცკარი“, № 4.

ვე მკვლევარის წინაშე. პლატონის ბევრი სხვა დიპლომატისაგან განსხვავებით, „ტიმოისი“ მეთოდის მათემატიკური სიზუსტითა და სიმეცხრით გამოირჩევა. ეს ვიზონერის პოეტური ქმნილება კი არ არის, არამედ მათემატიკოსისა და ლოგიკოსის მეცნიერული ტრაქტატი, სადაც აზრის დინება მღორე მდინარისავით ზანტად მიიზღავნება გვერდიდან გვერდამდე და მსჭელოებს განვითარების ღრუე რიტმი არისტოტელეს დოკმატური თხზულებების სტილს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე დიალექტიკური აზროვნების პლატონურ მანერას. „ტიმოისის“ უდიდესი ნაწილი ეძღვნება კოსმოლოგიას. მისი საგანია მთელი სამყარო, მთელი გრძობადოკონკრეტული სინამდვილი, რომელსაც ის განიხილავს სამყაროს შემოქმედის — „დემიურგოსის“, კაუზალური ძალმოსილების, ანუ იდეალურ პირველსინუთა — „პარადიგმათა“ და ამ სინუთა „მიმტქმელი“ მატერიის თანაფარდობის თვალსაზრისით. კოსმოლოგია, სამყაროს დაბადება, სიცოცხლის, არსებობის, ყოფიერების გენეზისი, უსასრულოდ და უკიდვანოდ განფენილი მატერიალური სინამდვილის დასაბამი, ვარსკვლავებიც მოქმედილი ციდან, პლანეტების მიმოქცევიდან აჩვენამდე, გრანდიოზული მაკროკოსმოსიდან ჩვენი გრძობებისათვის მიუწვდომელ და მოუხელთებელ ინფრასტრუქტურულ სისტემებამდე, — ეს მარადიული პრობლემა ყოველთვის იდგა ადამიანური ცნობიერების წინაშე, ყოველთვის შეადგენდა ძველი ცივილიზაციების წიაღში აღმოცენებული რელიგიური თუ მითოლოგიური მსოფლმხედველობრივი სისტემების ბირთვს. მაგრამ მხოლოდ ბერძნულმა ცივილიზაციამ შესძლო მყარ რაციონალურ საფუძველზე დაეფუძნებინა მოძებრება სამყაროს შექმნის შესახებ, რომელიც თამაშად შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების ერთ-ერთი უშიშვნელოვანესი დარგის — კოსმოლოგიის პროტოტიპად. თურცა აქვე უნდა შევინშოთ, რომ ძველი ცივილიზების მოძებრება სამყაროს შექმნის შესახებ, მთელი მისი რაციონალურობის მიუხედავად, გამუდმებით საზრდოობს მითურ-რელიგიური წარმოდგენებით. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება პლატონის „ტიმოისს“, რომელიც არა მარტო მეცნიერულ კოსმოლოგიად, არამედ, იმავდროულად, ნამდვილ წარმართულ „შესაქმედ“, პავანისტურ „დაბადებად“ აღიქმება მკითხველის მიერ. ფილოსოფიის ისტორიკოსები პლატონს ზნირად ადარებენ ორსახიან იანუსს, ვისი მჭერაც ერთდროულად მიმართულია როგორც ჰალარა წარსულის, ისე შორეული მომავლისაკენ. ალბათ, არც ერთ დიპლომატი ისე მკვეთრად არ იგრძნობა პლატონის ბასრი, ღრთა მრუმე წიაღის გამკვეთი მჭერის ეს ორმხრივობა, როგორც „ტიმოისში“.

„ნებისმიერი ცივილიზაცია, რომელიც იმის ღირსია, რომ ამ სახელით იწოდებოდეს, ჰქმნა მართების ძიებას ისახავს მიზნად. მოაზროვნე ადამიანებს შეუძლებელია არ ეცადათ გავგოთ ბუნების მოვლენათა მრავალფეროვნება, გამოეცნოთ დედამიწაზე ადამიანის წარმოშობის საიდუმლოება, ჩასწვდომოდნენ სიცოცხლის აზრს და გაცხადებინათ ადამიანის დანიშნულება. ყველა ძველ ცივილიზაციაში, ვარადა ერთისა, ამ კითხვებზე რელიგიური ლიდერები იძლეოდნენ პასუხს, რომელსაც ყველა იღებდა და აღიარებდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ძველი ბერძნების მიერ შექმნილი ცივილიზაცია. ბერძნებმა მოახდინეს უდიადესი აღმოჩენა, რომელიც ოდესმე მოუხდენია ადამიანს: მათ აღმოაჩინეს გონების ძალბოსილობა...“ ბუნების საიდუმლოებათა კვლევისას ბერძნული გენია რჩენას კი არ ეურდობოდა, არამედ გონებას, სამყაროს შემეცნების ამ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს თუ საშუალებას. მაგრამ ცნობიერების პირისპირ მდგარი მარადიული კითხვებისა თუ პრობლემების წინაშე, იქ, სადაც ეს ინსტრუმენტი აშკარად არასაკმარისი ჩანდა, ის უწყალოდ იშველიებდა რჩენას, რელიგიური მსოფლგაგების საკრალურ სისტემას, მითოლოგიური წარმოდგენების უსასრულოდ მდიდარ არსენალს. ბერძნული ცივილიზაციის წიაღში, ევროპის სულიერი ცხოვრების საწყის ეტაპზე, რელიგია და მითოლოგია კი არ უპირისპირდება ფილოსოფიას, არამედ მხარს უდგავს, აღრმავებს და ამდიდრებს მას. მეცნიერებას ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სისხლბოროცეული კავშირი თავის პირველსაწყისთან — რელიგიასთან. მართებულად შეინიშნავს პოლ ვალერი: „რელიგია რომ არ არსებდებოდა, ალბათ, არც მეცნიერება იარსებებდა, ვინაიდან ადამიანის თავი ვერ შესძლებდა აბსტრაქტობას იმ უშუალო და მუდმივი ემპირიზმისგან, რასაც მას უსაზღვრავს რეალობა“. „ტიმეოსი“ მეცნიერული შემეცნებისა და რელიგიური მსოფლგაგების სწორედ ამ ორგანული სინთეზისგან იღებს დასაბამს.

პლატონის ქმნილების თემა სამყაროს ბიოლოგიური რეალობაა, მოქცეული ორ უდიდურეს ზღვარს შორის: ერთის მხრივ, იდეათა ინტელიგენციური სინამდვილე, ხოლო მეორეს მხრივ, მათი მიმრქმელი მატერია; სამყაროს მწვერვალი და მისი ფსკერი — „ტიმეოსისეული“ სინამდვილის ამ ორ პოლუსს შორის იშლება დიალოგის უჩვეულოდ ღრმა, მდიდარი და მრავალფეროვანი შინაარსი, მაქსიმუმი მინიმუმი — ამ სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს აზრის საოცარი სისავსე და სიუხვე. მოქცეული ფორმის ზღვრულად შეკუმშულ სივრცოვანი კომპოზიციური თვალსაზრისით, დიალოგი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა:

პირველი ნაწილი შესავალია, ექსპოზიცია

(17ა—27დ), სადაც ავტორი გვაცნობს თხზულების გმირებს (სოკრატე, ტიმეოსი, პერმოკრატე, კრიტია) და მათი საუბრის მეშვეობით თანდათანობით უახლოვდება დიალოგის ძირითად თემას.

მეორე ნაწილი (28ა—47დ) პლატონი ერთმანეთისგან მიეგნავს და განასხვავებს იდეალურ სინამდვილეს, როგორც უცვლელსა და წარუვალ პირველსაშეშს, ხოლო მეორეს მხრივ, მის მატერიალურ ხატებას, „ყოვლისმომცველ ცას“, ანუ კოსმოსს (28ა—31ბ). აქვე გარმოცემულია პლატონური ფილოსოფიის ისეთ კარდინალურ საწყისთა ზოგადი დავალები, როგორცაა კოსმიური გონება (დემიურგოსული პრინციპი), სამყაროს სული და სამყაროს სხეული; ოთხი ძირითადი ელემენტის, ოთხი სტიქიონის (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) ფიქციური კონცეფცია და მათი პროპორციული თანაფარდობებით სამყაროს სხეულის ფორმირება დემიურგოსის მიერ (31ბ—34ბ). სამყაროს სულის შექმნა სამი მეტაფიზიკური საწყისის — „იგივეობრივის“, „სხვისა“ და „არსის“ ბუნებისაგან, მისი პარამონული დანაწევრება, ორი კოსმიური წრის — ციური ევატორისა და ექლიპტიკის, ისევე როგორც პლანეტარული სფეროების ფორმირება და, ბოლოს, სამყაროს სულისა და სამყაროს სხეულის ურთიერთშერწყმა (34ბ—37ც). დრო და მარადისობა (37ც—38ხ), უძრავ ვარსკვლავთა ცისა და ცალკეულ პლანეტათა დროული (სადღეღამისო) მოძრაობა (38ხ—39ე). ცოცხალ არსებათა უზენაესი გვარის — ა. წ. „მეორეული (უმცროსი) დემიონების“, ანუ ვარსკვლავების შექმნა, დედამიწის მდებარეობა და პლანეტების მიმოქცევა (39ე—40დ), ბერძნული მითოლოგიისა თუ ტრადიციული ხალხური რელიგიის ღვთაებათა წარმოშობა (40დ—41ა). ადამიანის შექმნა არა უზენაესი დემიონის — დემიურგოსის, არამედ უმცროსი დემიონების მიერ და ადამიანობის ბუნების უზოგადესი კანონები (41ა—დ); ადამიანის სულის ფორმირება — დემიურგოსის უშუალო ქმედითობის შედეგი (41დ—42ე); ამ ქმედითობის ვარსკვლავთა — ადამიანის სხეულის შექმნა უმცროსი დემიონების მიერ (42ა); ადამიანის სულიერ და სხეულეობრივ მოძრაობათა და კოსმოსისა და ვარსკვლავების მოძრაობის ურთიერთთანაფარდობა (42ბ—45ხ); მზერის შექმნილობა (45ხ—46ც); გონიერული და მექანიკური, ანუ პირველადი და მეორეული მიზეზების ურთიერთანსხვავება (46დ—47ე).

„ტიმეოსის“ მესამე ნაწილი (47ც—49ც) ანტიკური ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ერთერთი ყველაზე ორიგინალური თეორიის — მატერიის, ანუ აუცილებლობის თეორიისადმი მიძღვნილი, სადაც პლატონი ერთმანეთისაგან განასხვავებს, ა. წ. პირველად მატერიას, როგორც ყოველგვარ ფორმისეულ განსაზღვრულ-



ლობას მოკლებულ, პირწმინდად ირაციონალურ ქმნადობას (47e—53c) და მეორეულ მატერიას, რომელიც გეომეტრიული პრინციპით, კერძოდ, ორი სხვადასხვა ტიპის პირველადი, ანუ ელემენტარული სამკუთხედის შეშვებითაა ფორმირებული (53c—54b). ხუთი წესიერი მრავალწახნადა სხეული (ე. წ. „პლატონური სხეულები“) — პირამიდა, კუბადერი, იკოსაედრი, კუბი და, ბოლოს, დოდეკაედრი, რომლებიც თანმიმდევრულად შეესაბამებოდა ხუთ სტიქიონს (ცეცხლი, წყალი, წყალი, მიწა, ეთერი) და რომელთა წახნაგების უმეტესს შემადგენელ ელემენტებად სწორედ შემოსხენებული პირველადი სამკუთხედები გვევლინებიან (54b—56c). ელემენტთა ურთიერთგარდაქმნის ფიზიკურ-ქიმიური კონცეფცია ((56c—57d). მოძრაობისა და უძრავობის ზოგადი პირობები (57d—58c). ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის სახესხვაობანი, რაქლებიც არსებობდა, ნივთიერებათა მთელ კლასებად თუ ამ ნივთიერებათა სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობებად გვევლინებიან (58c—61c). სხეულთა ფიზიკური თვისებების თეორია, რომლის მიხედვითაც ყველა ეს თვისება, უწინარეს ყოვლისა, გრძნობად-კონკრეტულ საგანთა „უმეტერესი საშენი აგურების“ — ელემენტარულ სამკუთხედთა ინფრასტრუქტურით, კერძოდ, შათი გეომეტრიული კონფიგურაციებითაა განსაზღვრული (61d—65b). სხეულის ზოგადი შეგრძნებები, ანუ სითბოსა და სიცივის, სიმძვარისა და სიბრძლის, სიმსუბუქისა, სიმძიმის და სხვა მისთანა შეგრძნება (61d—63c), სასიამოვნო და უსიამოვნო (64a—65b). გრძნობანი, ანუ რეცეპციის ორგანოთა ანატომია და ფიზიოლოგია, მათი ფუნქციონირების მექანიზმი: მგრება, სმენა, ყნოსვა, გემო (65b—68d). დიალოგის ორი ძირითადი — მეორე და მესამე ნაწილის მოკლე რეზიუმე (68e—69c).

და ბოლოს, დიალოგის მეოთხე — დასკვნით ნაწილს (69c—92b) თავიდან ბოლომდე განწონის ადამიანისა და სამყაროს, მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის იგივეობის ფუნდამენტური იდეა, რაც თვალნათლივ ვლინდება პლატონის ფსიქოლოგიურად და ბიოლოგიურ თეორიაში, რომლის ცალკეულ მომენტებია: მოძღვრება სულის სამი სხვადასხვა ნაწილის შესახებ, რომელთაგანაც ერთი — ღვთაებრივი და გრძიერი — უკვდავია, დანარჩენი ორი კი მოკვდავი; სხეულის ცალკეულ ორგანოთა — თავის, ხერხემლისა და ძვლების ტვინის, გულის, სისხლძარღვების, ფილტვის, ღვიძლის, ელენისის, ნაღვლის, კუჭ-ნაწლავების, პირისა და ცხვირის დარღუხ, ხორცის, სისხლის, ძვლების, მუცხების, სახსრების, იოგების და სხვა მისთანათა ანატომია და ფიზიოლოგია (69c—76e); სუნთქვის, საკვლის მოწოდების, სისხლის მიმოქცევის პროცესები; სიკაბუყე და სიხბრე, სიცოცხლე და სიკვდილი (77a—81e); ეტიოლოგია (მოძღვრება

სხეულების მიზეზთა შესახებ) და თერაპიული სულისა და ხორცის სხეულებანი; სულისა და ხორცის პარაზიული თანაფარდობა (81e—90e); გამრავლების მექანიზმი, ცხოველური სიცოცხლის სხვადასხვა საფეხურები (90a—92b); დასკვნა (92c).

შეითხველს ახვევს თემატიკის ეს თვალის-მომჭრელი სიბრტე, ცნობიერება გაოგნებული დაბორილობის ამ ინტელექტუალური ლაბირინთის ილუმინებით მოკულ სიღრმეში. ძელია მიაკვირო გზის მაჩვენებელ იდეას, კვლადაკვალ მიხვევ ავტორის მაძიებელი აზრის დინებას, თავიდან ბოლომდე გაადევნო თვალი დიალოგის ძირითად მიზანს. ეს მიზანი კი ძალზე რთულია. პლატონს სურს გვიჩვენოს, როგორ გადაიდ მარად უცვლელი, უძრავი და თვითგადაბრვი სინამდვილე გამუდმებით ცვალებადსა და მოძრავ სინამდვილეში, ყოველწამიერად რომ განსხვავდება თავისი თავისაგან, მოკლედ, როგორ იქცევა მეტაფიზიკა ფიზიკად, როგორ იქნება უთვალავი ფერით მოცემული გრძნობად-კონკრეტული სამყარო, სადაც ყველაფერს განწონის სიკეთისა და მშვენიერების ციური შუქი, უნივერსალური დინამიზმი, სიცოცხლის ცხოველყოფილი სუნთქვა. დასახული მიზნის ხორცშესხმის პლატონი ეყრდნობა არა მარტო თავის უმდიდრეს გამოცდილებას, არამედ წარსულისა თუ მისი თანამედროვე ფილოსოფიური აზრისა და ზუსტი თუ საზუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა დარგის ყველა უმნიშვნელოვანეს მიღწევას. ამ თვალსაზრისით, „ტიმოსის“ სამართლიანად უწოდებენ არა მარტო „პლატონიზმის ენციკლოპედიას“, არამედ „მთელი ეპოქისა და მთელი ცივილიზაციის მეცნიერულ შედეგთა ჯამსაც“ (la somma dei risultati scientifici di tutta un'epoca e d'una civiltà).

„ტიმოსის“ პირველწყაროთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ორფიკული ტრადიცია, რომლის გაუღენაც დიალოგში ორი მიმართულებით იჩენს თავს: ერთის მხრივ, პალინგენეზი, სულის ტრანსმიგრაცია, მისი ამქვეყნიური სიცოცხლის ციკლთა თანმიმდევრული მონაცვლეობა, განსხეულებათა თუ გარდასხეულებათა უსასრულო მწყობრი, რომელშიაც ისე გადის სული, „როგორც ძაფი ყელსაბამის მიივებში“ (como un hilo entre las varias cuentas de un collar).. „სიცოცხლე დაფრინავს სხეულიდან სხეულზე, შემკრთალი მათი უდღეურობით, როგორც დაფრინავს ტოტიდან ტოტზე მათი მოცაცაზე უმყოფობთ დაფრთხილი ჩიტი“, — პოლ ვალერის ამ მომხილავ მინიატურაში „სიცოცხლე“ რომ „სულით“ შეცვალებო, მივიღებთ მტემფსიკიზონს ორფიკულ-პლატონური კონცეფციის პოეტურ სურათს. თუმცა ეს შეცვლა, შესაძლოა, არც დაგვირდეს, რადგან, მეორეს მხრივ, ორფიზმის გავ-

ლენის კვალი „ტიმოსში“ სულის, როგორც სიცოცხლისა და მოძრაობის პირველსაწყისის ძველთუძველეს წარმოდგენას უკავშირდება.

პლატონის შემოქმედების, უწინარეს ყოვლისა კი „ტიმოსის“ ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პითაგორას და მის მიმდევრებს (პლატონისა და პითაგორელთა ფილოსოფიის ნათესაობას ხაზგასმით აღნიშნავდა ჭერკიდევ არისტოტელე: „... შემოხსენებულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა შემდეგ აღმოცენდა პლატონის ფილოსოფია, რომელიც მრავალმხრივ უახლოვდება პითაგორელებს, მაგრამ თავისი საკუთარი თავისებურება აქვს, იტალიელთა ფილოსოფიასთან შედარებით“). სნტიკური ეპოქიდან მომდინარე ტრადიცია „ტიმოსს“ მჭიდროდ უკავშირებს პითაგორელთა ფილოსოფიურ სკოლას. „პითაგორული ტიმოსი“ — დიდხანს ასე იხსენიებდნენ დიალოგს, რომელშიც ყველაზე სრულად აირტყა პითაგორისმის — ბერძნული ფილოსოფიური აზრის ამ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმართულების მეცნიერული მიღწევები, უპირატესად რიცხვთა თეორიისა და აკუსტიკის დარგში.

პითაგორელთა მოძღვრება რიცხვის შესახებ, არსებითად, მთელს ყოფიერებას მოიცავს. რიცხვები თავისთავად იგივე ღმერთებია; რიცხვია კოსმოსი, რიცხვია ყველა საგანი, რიცხვია სული, რიცხვია მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ფერწერა, პოეზია, საერთოდ, ხელოვნება. რიცხვის გნოსეოლოგიური სტატუსი ონტოლოგიურის ტოლფარდია: „რადგან რიცხვის ბუნება ისაა, — ამტკიცებს ფილოლაოსი, — რომ შემეცნების საშუალებას გვაძლევს, წარმართავს თვითეულს და ასწავლის ყველაფერს, რაც საეჭვო და უცნობია მისთვის. და მართლაც, რიცხვი და მისი არსი რომ არა, არავისთვის არაფერი არ იქნებოდა ცხადი, არც თვით საგნებში და არც მათს ურთიერთმიმართებაში...“

როგორც სამყაროული კანონწმენიერების საფუძველი (ერთი მრავალში და მრავალი ერთში) პითაგორასა და მისი თანამოაზრეებისათვის რიცხვი ყოვლისერთობის სიმბოლოდ და ფორმად ვეკვლინება. პითაგორელებმა პირველად შეისწავლეს ბგერითი მარმონის ბუნება, მისი კანონები და აღმოაჩინეს, რომ ის განაპირობებულება ზომით და რიცხვით, ინტერვალითა რიცხობრივი თანაფარდობით. მეორეს მხრივ, ციურ სხეულთა მოძრაობამ ისინი დაარწმუნა, რომ მათობათა მიმოქცევის მყაცრი კანონწმენიერება, მათი გზა კითხვით და მათ შორის არსებული დისტანციებიც რიცხობრივ თანაფარდობებს ექვემდებარება, საიდანაც პითაგორელებმა დაასკვნეს, რომ მთელი ცა სხვა არა არის რა, თუ არა რიცხვი და მარმონია, კვლავ კიდევ რომ განწონის მთელს სამყაროს და მწყობარ წესრიგს აშყარებს მასში. რიცხობრივ თანაფარდობებზეა დამოკიდებული სამყაროს

წონასწორობა, მისი მოძრაობის, ცვალებადობის, განვითარების უწყვეტი რიტმი; რიცხვით იზომება ყოველგვარი სიდიდე როგორც დროში, ისე სივრცეში; რიცხვი აშყარებს რაოდენობრივ თანაფარდობებს როგორც მყაროკოსმოსის საგანთა თუ მოვლენათა, ისე მყაროკოსმოსის სხეულთა თუ ნაწილთა შორის; რიცხვის გარეშე ყველაფერი განუსაზღვრელი და განუზომელი რჩება, ყველაფერი ინთქმება უსაზღვროების ქაოტურ წიაღში. მხოლოდ რიცხვი ზღუდავს უსაზო უსაზღვროებას და ფორმისეულ განსაზღვრულობას ანიჭებს მას. ამ თვალსაზრისით, პითაგორელები ითვისებენ, სრულყოფენ და შემოქმედებთადა ავითარებენ ძველ ბერძენ „ფიზიკოსთა“ თეორიულ დასკვნებს.

იონიური ნატურფილოსოფიის ერთ-ერთი ფთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ანაქსიმანდრე ამტკიცებდა, რომ უსასრულო, ზღვარდაუდები სივრცე — „აპეირონია“ მთელი მატერიალური სინამდვილის, ყოველივე არსებულის პირველსაწყისი („აჩქე“). მაგრამ, პითაგორელებს თანახმადა, მარტოოდენ დაუსაზღვრელი თუ განუსაზღვრელი სივრცის მეშვეობით შეუძლებელია ფიზიკურ თუ გეომეტრიულ სხეულთა დასახამის ახსნა. სხეული სიმბრტყეებითა შემოფარგლული, სიმბრტყე — საზღვით, ხაზი — წერტილებით, რომლებიც ქმნიან ხაზის ზღვარს („პეირას“). სამყაროში ყველაფერი ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისის — „ზღვრისა“ და „განუსაზღვრელის“ შერწყმით მიიღება. „სამყაროს ფორმირებისას — ამტკიცებს ფილოლაოსი, — ბუნება განუსაზღვრელისა და ზღვრის ურთიერთშერწყმით შეიქმნა. მთელი სამყაროული წესრიგი და სამყაროს ყველა საგანი ზღვრისა და განუსაზღვრელის ნაერთად ვეველინებინა“. ზღვრის, ანუ საზღვრისა და უსაზღვროს, განუსაზღვრელის თანაფარდობა პლატონის „ფილოლოსის“ მიხედვით, ზომითი თანაფარდობაა. ზომა („მეტრონ“) ზღვარს უდებს უსაზღვროს უწყვეტ და უშუალოდ ერთფეროვნებას და ამრიგად განაპირობებს მის წიაღში ათასსაზოგან საგანთა ურიცხვი სიმრავლის განსაზღვრა-გამოვლენას. ზომა ურთიერთსაპირისპირო საწყისთა დიალექტიკურ ერთობას, მარმონიულ თანხმობას ნიშნავს და სწორედ ამ თანხმობისგან იღებს დასახამს იდეალური წარმონაქმნი — რიცხვი, რომელიც დაცლილია ყოველგვარი ნივთიერი თვისობრიობისაგან და თავისი ფორმალური ასპექტით უახლოვდება მას, რასაც აბსტრაქტულ რიცხვს ვუწოდებთ დღეს (ჩვენ ვამბობთ: „ერთი კაცი“, „ერთი სახელი“, „ერთი ზე“; სამივე ამ საგნის საერთო თვისება ისაა, რომ თვითეულში მათგანი ერთია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი საგნობრივი მიმართებისაგან განყენებულად წარმოვიდგინოთ ეს „ერთი“ და მშინ მივიღებთ თვისობრიობისაგან დაცლილ წმინდა ფორმას, რომე-



ლიც შეიძლება ავსებულ იქნეს ნებისმიერი თვისებით, ნებისმიერი შინაარსით, თუმცა თვით ეს ფორმა თავისთავად ყოველგვარ თვისებაზე, ყოველგვარ შინაარსზე უმალეხსია).

ფიზიკური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, ისევე როგორც მექანიკურ ძალებს შორის რიცხვითი, ანუ რაოდენობრივი თანაფარდობები არსებობს. ესაა უნივერსალური კანონი, რომელიც განაპირობებს სამყაროს წესრიგს, მაგრამ მეორეს მხრივ, რიცხვი, როგორც კოსმოური მარშონისა და სამყაროულ საგანთა თანაფარდობის განმსაზღვრელი საწყისი, პითაგორელებს არის ემპირიკულად და სულად ესახებათ. ამნაირად გაგებულ რიცხვი უკვე აღარ ხასიათდება მარტოდენ რაოდენობრივი თავისებურებით და ერთგვარად მეტაფიზიკურ, თვისობრივ ხასიათს იძენს. ჩვეულებრივი არითმეტიკული რიცხვი აბსტრაქტულ-რაოდენობრივი ბუნებისაა. ყოველი რიცხვი ერთეულების ჯამია, ხოლო თვით ერთი, აბსოლუტურად პირვითი თავისი უსასრულო დაყოფადობით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც წილადთა სასრული თუ უსასრულო ჯამი, მაშინ, როდესაც პითაგორელთა მეტაფიზიკური რიცხვი ჯამი კი არ არის, არამედ ის, რაც აჯამებს, კრებს, აღრიცხავს, აერთებს. მატერიალურ სინამდვილეში შეუძლებელია ისეთი „ერთი“ პოვნა, რომელიც არაფრით არ განსხვავდება მეორისაგან. სხვაა გრძობად-კონკრეტული სამყაროს ერთი რომელიმე საგანი, რომელიმე გრძობადი „ერთეული“ და სხვა მეორე, მაშინ როდესაც მეტაფიზიკური „ერთი“ მთლიანად „ერთიანად“ იდენტურია, არაფრით არ განსხვავდება მისგან და არ განაჩნა არავითარი ნაწილი, არავითარი განწილდობა, ესე იგი, ლოგოკურად დაუყოფადია. მეტაფიზიკური რიცხვი აბსოლუტურად მარტივია, წმინდა აზრის წილში არსებული და ამიტომ აზრითვე საწვდომი, ინტელიგიბილური, მთლიანი და განუყოფელი (მეტაფიზიკური „სამი“, მათემატიკური „სამისაგან“ განსხვავებით, სამი ერთეულის ჯამი კი არ არის, არამედ ინტეგრალური „სამი“, შეიძლება ითქვას, „სამების“ იდეა). როგორც იდეალური წარმონაქმნი და მარტოდენ გონთა საწვდომი, მეტაფიზიკური რიცხვი ბევრი რამით ენათესავება პლატონის „იდეას“. ობიექტური იდეალიზმის მამამთავრის ფილოსოფიურ შეხედულებათა ევოლუციის კვალდაკვალ სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება იდეისა და რიცხვის იგივეობის პრობლემა. შეიქმნა იდეების ბოლო პერიოდში „იდეა“ პლატონისათვის სხვა არა არის რა, თუ არა „ინტელიგიბილური რიცხვი“ („არითმოს ნოეტოს“). ზუსტად ასევე, „ქეშმარტი არისი, („ტო ონტოს ონი“), „სიკეთე“ („ტ'ავათონ“) და თვით „ზღვარი“ („პერას“) „მონადად“, „ერთად“ („ტო ჰენ“) იქცევა, ხოლო „განუსაზღვრელი“ („აპერიონ“) — „მატერიად“ („პოლე“), დაყოფადო-

ბის, განწილულობის, ცვალებადობის საწყისად, ე. წ. „იდეად“, ანუ „განუსაზღვრელ ორად“ („იდეას აორისტოს“).

„აი, როგორ იქცევიან პითაგორელები პირველსაწყის ცნებებსა თუ ხატებთან დაკავშირებით: მათ არ შეუძლიათ სიტყვით გადმოგვცენ უხსებულო ხატებანი თუ პირველსაწყისი და ამიტომ რიცხვებს მიმართვენ მათ საჩვენებელად. ასე, ერთობის, იგივეობის, ტოლობის, ერთსულოვნების, ერთგარძნობელობის, ყოვლისერთობის ცნებას, — იმას, რისი წყალობითაც ყველა საგანი ის არის, რაც არის, — პითაგორელები უწოდებენ „ერთს“; ეს ერთი არის ყველაფერი, რაც ნაწილებისაგან შედგება, ის აერთებს ამ ნაწილებს და ერთსულოვნებას ანიჭებს მათ, ვინაიდან პირველმინიჭეთანა წილნაყარი, ხოლო განსხვავების, უტოლობისა და ყოველივე იმის ცნებას, რაც დაყოფადია, ცვალებადი და ხან ამაღ გვევლინება, ხან იმაღ, ისინი უწოდებენ „ორს“. ასეთია ორის ბუნება ყოველივე იმაშიც, რაც ნაწილებისაგან შედგება. ვერ ვიტყვით, რომ ეს ცნებები პითაგორელებს ჰქონდათ, სხვა ფილოსოფოსებს კი არა: ჩვენ ვხედავთ, რომ სხვებიც აღიარებენ ჯამის გამართიანებელი და გამითიშავი ძალების არსებობას, სხვებსაც აქვთ ტოლობის, არამსგავსებისა და განსხვავების ცნებები. აი, სწორედ ამ ცნებებს პითაგორელები სწავლობის გასაიოტლებლად უწოდებენ „ერთსა“ და „ორს“, რაც, მათი აზრით, იმასვე ნიშნავს, რასაც „ორადი“, „არატოლი“, „სხვაგვარი“. ასეთივეა სხვა რიცხვების აზრაც: თვითთული მათგანი ამა თუ იმ მნიშვნელობას შეეხებააშემა. ასე მაგალითად, ყველაფერს, რასაც ბუნებით დასაწყისი, საშუალო და დასასრული აქვს, ამ ბუნების მსგავსებით, ისინი „სამს“ უწოდებენ და ყველაფერს, რაშიც არის საშუალი, სამად თვლიან, ისევე როგორც ყოველივე სრულქმნილს. „ყველაფერი, რაც სრულქმნილია, — ამბობენ ისინი, — ამ საწყისისგან იღებს დასაბამს და მის მიერა მოწესრიგებული, ამიტომაც მას სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ, გარდა სამისა... იგივე ითქმის სხვა რიცხვების მიმართაც“.

არისტოტელეს მოწმობით, „რიცხვის ელემენტებად („ტო სოზონია“) პითაგორელები მიიჩნევენდენ ღუწუა („ტო არტონ“) და კენტს („ტო პერიტონ“), რომელთაგანაც პირველს განუსაზღვრელად („ტო აპერიონ“) თვლიდნენ, მეორეს კი საზღვრულად („ტო პეპერასმენონ“). „ერთი“ („ტო ჰენ“) შედგება პირველ ამ ელემენტისაგან, ხოლო რიცხვი ერთისაგან იღებს დასაბამს, და, როგორც უკვე ითქვა, მთელი ცა არის რიცხვი“... როგორც ვხედავთ, პითაგორელთა „ერთი“ არა მარტო ერთობისა და იგივეობის განყენებული საწყისია, არამედ თავისი სამირისპირო სიმრავლისა და სხვაობისაც, ყოველი რიცხვი დასაბამს იღებს ერთისაგან,

რომელშიაც კოტენციურად მოცემულია მთელი სიმრავლე, და რაკი ნებისმიერი რიცხვი პირველი ათი რიცხვისაგან შედგება, აქედან უშუალოდ გამოდინარეობს ერთის, ანუ მონადისა და ათის, ანუ დეკადის შინაგანი იგივეობა. დეკადა სხვა არა არის რა, თუ არა მონადის ექსპლიკაცია, მისი გაშლა-განვითარება, მისი გამოვლენა თუ გამოცხადება, რაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმის წყალობით, რომ მონადია არა მარტო მთვითიგივეობის, არამედ თვითგანსხვავების პირველსაწყისიც, თვითგანსხვავებისა, რომლის სიმბოლურ გამოხატულებადაც პითაგორიზმი „ორს“ („დიადს“) თვლის: როგორც ვიცით, ესაა სიმრავლის, დაყოფის, განუსაზღვრელობის, განსხვავების, მოძრაობის, ცვალებადობის, მოკლედ, ქმნადობის პრინციპი.

ლუწი „დიადის“ გამოყოფა და გამოიშველ ძალმოსილებას მონადა აქარწყლებს განუყოფელი (ეენტი) სამის, ანუ „ტრიადის“ დაბადებით, რომელიც მონადის პირველ რეალიზებად, დასრულებული მონაგანი სტრუქტურის მქონე პირველ რიცხვად გვევლინება: ტრიადაში ერთმანეთს ერწყმის ყოველი საგნის დასაწყისი, საშუალო და დასასრული. „როგორც ამბობენ პითაგორელები, — გვაუწყებს არისტოტელე, — „მთელი“ („ტო პან“) და „ყოველი“ („ტა პანტა“), „სამით“ განისაზღვრება: დასაწყისი, საშუალო და დასასრული — ესაა მთელის რიცხვი და თანაც „სამი“. ტრიადა პირველი მოვლინებაა მონადისა, რომელიც ფარული სახით კვლავინდებურად რჩება სამში ( $3=1+1+1$ ). მაგრამ ამ სამი მომენტიდან თვითიული არსებითად განსხვავდება მონადის სუბსტანციური ერთობისაგან, ახე რომ, აქ ჩვენს წინაშეა რიცხვის პოზიტორ ძალთა ოთხეული — ერთის მხრივ, საკუთრივ სამის, ზოლო მეორეს მხრივ, მასში შერწყმული სამი ერთეულის (დასაწყისი, საშუალო, დასასრული) ძალმოსილება. ამრიგად, „ოთხი“ („ტეტრადა“) თავის თავში იმარჩავს რიცხვის მთელ სისავსეს და სიცოცხლეს. როგორც პირველი კვადრატე (2<sup>2</sup>), ოთხი, უწინარეს ყოველისა, რიცხვის თვითმამრავლი ძალმოსილების პირველ გამოხატულებად გვევლინება. ერთი შეესაბამება წერტილს, ორი — ხაზს, სამი — სიბრტყეს, ოთხი — სხეულს. „პითაგორელთა მოძღვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ რიცხვები: 1, 2, 3 და 4, რომლებიც ქმნიდნენ „ტეტრაქტისს“, ანუ „ოთხეულს“. გადმოცემით, პითაგორელთა ფიცი ასეთი იყო: „უფიცივ ჩვენი სულებისათვის წარმოგზავნილი ტეტრაქტისის სახელს. მასშია მარად მოღალანე ბუნების წყარო და ფესვი“. პითაგორელები თვლიდნენ, რომ ბუნების ყველა ობიექტი ოთხეულებისაგან შედგება, როგორც მაგალითად, ოთხი გეომეტრიული ელემენტი: წერტილი, ხაზი, სიბრტყე, სხეული. უფრო გვიან პლატონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას

მიანიჭებს ოთხ მატერიალურ ელემენტს: მიწას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს. ტეტრაქტისში შემავალი რიცხვების ჩამი ათის ტოლია, ამიტომ ათი ითვლებოდა იდეალურ რიცხვად და სამყაროს სიმბოლურ გამოხატულებად. და რაკი ათი იდეალური რიცხვია, ამიტომ ცაშიც ზუსტად ათი სხეული უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით, პითაგორელებმა შემოიტანეს „ცენტრალური ცეცხლი“, რომლის ირგვლივაც ბრუნავდნენ დედამიწა, მზე, მთვარე და ძველად ცნობილი ხუთი პლანეტა, აგრეთვე, ანტი-დედამიწა, რომელიც ცენტრალური ცეცხლის საპირისპირო მხარეს იყო მოთავსებული... აქ არსებითი ისაა, რომ პითაგორელები ცდილობდნენ რიცხობრივ თანაფარებებზე დაფუძნებინათ თავიანთი ასტრონომია...“

აქ ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ მხოლოდ რიცხვის პითაგორელებისეული მეტაფიზიკა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება „ტიმოქონის“ არსში საწყობად. მაგრამ პლატონის მოლოდინებდროობაზე არანაღლები ვაღივანა მოახდინა პითაგორელთა მოძღვრების ბევრმა სხვა ასექტამაც, რომლებსაც არაერთხელ მივუბრუნდებით ქვემოთ, „ტიმოქონის“ სათანადო პასუხთა ანალიზისას. ექვს გარეშა, რომ თავის კოსმოლოგიას პლატონის უშუალოდ აფუძნებს როგორც ძველი, ისე მისი თანადროული პითაგორიზმის მეცნიერულ მიღწევებზე არითმეტიკის, გეომეტრიისა და მუსიკის დარგში: სამყაროს სულის შექმნა დემიურგოსის მიერ ორი სხვადასხვა მეტაფიზიკური საწყისის — „იგივეობა რივისა“ („ტაუტონ“) და „სხვისი“ („თატერონ“) ბუნებისაგან, რისთვისაც შემოქმედი, უწინარეს ყოველისა, იყენებს რიცხვთა პირწმინდად სიმბოლურ ორ სხვადასხვა თანმიმდევრობას, ე. წ. „დიადურ“ და „მონადურ“ მწკრივს, ან, უფრო ზუსტად, ორ გეომეტრიულ პროგრესიას (I. 1, 2, 4, 8; II. 1, 3, 9, 27); ამ ორი პროგრესიის ურთიერთშერევით მიღებული რიცხვით თანმიმდევრობის (1, 2, 3, 4, 9, 8, 27) მეზობელ წევრებს შორის არსებობს ინტერვალების შეესება, ანუ მარშიონიზაცია („მარშოტეინ“) მუსიკალური და გეომეტრიული პროგრესიების საშუალებით; მარშიონული თანაფარობების დამყარება ოთხი ძირითადი ელემენტის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შესატყვის ოთხ წესიერ მრავალწახნაგ სხეულს (კუბი, იკოსაედრი, ოქტაედრი, პირამიდა) შორის; გრძობად-კონკრეტულ საგანთა „უმცირესი საშენი აგურების“ — ე. წ. პირველად სამკუთხედთა გეომეტრიული სტრუქტურა; სამყაროული მარშიონა, პლანეტარული სისტემა, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტი („კოსმიური ოქტაკორდი“) და ა. შ., — „ტიმოქონის“ ამ უმნიშვნელოვანესი მომენტების გაგება შეუძლებელი იქნებოდა პითაგორელთა მუსიკალური და მათემატიკური თეორიების გარეშე..“

შედარებით უფრო უმნიშვნელო და ნაკლებად ღრმა „ტიმოსში“ სხვა ფილოსოფიური სისტემების კვალი. მათ შორის მკვლევარნი პირველ რიგში ასახელებენ ელეელთა (ქსენოფანე კოლოფონელი, პარმენიდე, მელისე, ძენონი) მეტაფიზიკას, რომლის ცენტრალურ პუნქტადაც გვევლინება მოძღვრება ჭეშმარიტი არსის ერთადერთობისა და ფიზიკური სინამდვილის ილუზორულობის შესახებ. „არსი არის აზრისი არ არის“, — ამტკიცებს პარმენიდე. „რაკილა ფიქრობს, რომ არსის გვერდით საერთოდ არ არის არავითარი არარსი, პარმენიდე თვლის, რომ აუცილებლობით არსებობს მხოლოდ ერთი, კერძოდ, არსი და სხვა არაფერი“, — წერს არისტოტელე... პარმენიდეს ამ „ერთარსის“ სპეციფიკური ნიშანია სისრულე და სრულქმნილება, ვინაიდან სრულქმნილი რომ არ იყოს, ნაკლულევანი იქნებოდა, ეს უკანასკნელი კი არარსის თვისებაა. მაგრამ არარსი არ არსებობს. მაშასადამე, არსი სრულქმნილია და არა მარტო სრულქმნილი, არამედ უცვლელიც, ვინაიდან, რომ იცვლებოდეს, ორში ერთთა: ან უნდა იძენდეს იმას, რაცა აქვს, ან, პირიქით, კარგავდეს იმას, რაც არა აქვს. თუ არსს რამე არა აქვს, მაშინ მასში წილი სდებია არარსს, ხოლო თუ ის კარგავს რაიმეს, მაშინ თვითონ იდებს წილს არარსში, მაგრამ ერთიცა და მეორეც თანაბრად შეუძლებელია. უზუსტად ასევე მტკიცდება არსის მარადიულობაც: ის არც წარმოიშობა და არც იხსობა, თუ დავუშვებთ, რომ ის წარმოიშობა, მაშინ მისი წარმოშობის მიზეზად უნდა მიგვაჩინდეს ან მეორე არსი, ანდა არარსი, რაც შეუძლებელია, ვინაიდან არსი ერთადერთია, არარსი კი არ არსებობს. ხოლო თუ დავუშვებთ, რომ არსი იხსობა, ამით ჩვენ დავუშვებთ, რომ ის არარსად იქცევა, მაგრამ არარსი არ შეიძლება არსებობდეს და, მაშასადამე, შეუძლებელია არსის მოსობაც.

ამრიგად, არსი მარადიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არც წარსულშია, არც აწმყოში და არც მომავალში, ესე იგი, უფამოა, დროის გარეშეა, დაუსაბამოა და დაუსრულებელი. მაგრამ არსი არა მარტო დროის გარეშეა, არამედ სივრცის გარეშეც. ის მთლიანია, განუყოფელი და დაუნაწევრებელი, ყველად და ყველთვის თავიფივე თავის მსგავსი, თავისივე თავის სწორი, თვითიდენტური: რაკი ნაწილები არ გააჩნია, რაკი არც სადმე შეტია და არც ნაკლები, ის მთლიანად სავსეა არსებობით და უწყვეტად განფენილია, როგორც ერთგვაროვანი, მომოგნური მთელი, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი შინაგანი სხვაობა, ყოველგვარი თვითგანსხვავება, ვინაიდან ყველაფერი ერთიანია, სუველადფერი არის ერთი. როგორც აბსოლუტური სისახვე, რომლის გარეშეც არა არის რა, არსი არა მარტო სრულქმნილია და უცვლელი, არამედ უძრავიც, ვინაიდან მოძრაობის აუცილებ-

ბელი პირობაა სიცარიელე, სიცარიელე კი არარსია, რომელიც არ არის. მხოლოდ თავისივე თავით შემოსაზღვრული, თავისივე თავით ზღვარდებული და თვითიფივეობრივი არსი ურყევად ამკვიდრებს თავისავე თავს, ვინაიდან „ყოველისმძლე აუცილებლობა ზღვრის მარწუხებში აქცევს არსს, რათა ყოველმხრივ შეზღობილი ამყოფოს იგი“. მაგრამ თვით ამ „ყოველისმძლე აუცილებლობის“ მიერ დადგენილი ზღვარიც კი არსისთვის შინაგანია და არა გარეგანი. რადგანაც არარსი არ არის, არსს არ შეუძლია არსი არ იყოს. სწორედ ესაა შინაგანი აუცილებლობა, რომელიც ის არის შეკრული და თავისივე თავით შემოსაზღვრული, როგორც სისახვეს და სრულქმნილებას, არსს არაფერი აქვს თავის გარეშე, არამედ ყველაფერს, თვით საკუთარ ზღვარსაც კი თავის თავშივე იმარხავს. ამიტომაც არის იგი ერთადერთი, თავისთავადი და თვითმქარი სისრული, პარმენიდეს მიერ აღეგორიულად გაიგივებული სრულყოფილად მრგვალ სფეროსთან, ასე რომ, არსი წარმოგვიჩინდება ერთადერთ ჭეშმარიტ თვითყოფილად საგანთა ბუნებაშიც და მთელს კოსმოსშიც, რომელიც სამყაროული სფეროთაა გარემოსული.

წმინდა ყოფიერების, „ერთარსის“ მეტაფიზიკური სამყაროდან პარმენიდე უშუალოდ გადადის ფიზიკაზე — გრძნობად საგანთა შრავალფერივან სამყაროზე, თუმცა მისი ფიზიკა, მკაცრად რომ ვთქვათ, ფიზიკა კი არ არის, არამედ ფიზიკის უარყოფაა, ვინაიდან ბუნების კვლევას კი არა, მხოლოდ იმის დამტკიცებას ისახავს მიზნად, რომ ბუნება მოჩვენებაა, ილუზია და არა ნამდვილი არსი. ყველა ცალკეული, ყველა სასრული საგანი, გარკვეული აზრით, არსის შეზღუდვად და მის უარყოფად გვევლინება; ნებისმიერი წარმავალი არსებობა უარყოფს არსის მარადიულობას დროში, ნებისმიერი სასრული სიდიდე — არსის უსასრულობას სივრცეში. ამიტომ ყოველი ცალკეული საგნის არსებობა, როგორც არსის უარყოფა, თავის თავში შეიცავს არარსს. ეს კი ნიშნავს, რომ გრძნობადი სამყარო არსისა და არარსისაგან არის შეთხზული. მაგრამ ჭერაკლიტესაგან განსხვავებით, რომელიც ნივთიერ საგნებისა და მთელ ნივთიერ სინამდვილესაც არსისა და არარსის ორგანულ ერთიანობად თვლიდა, პარმენიდეს აზრით, მთელი ბუნება ამ ორი საპირისპირო საწყისის შექანიკური ნაწვავია მხოლოდ და მხოლოდ. არსი და არარსი ერთმანეთს კი არ ერწყმიან, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმანეთის გვერდი-გვერდ, თითქოს ერთმანეთის პარალელურად არსებობენ, თუმცა სინამდვილეში არსებობს მხოლოდ არსი, მაშინ როდესაც არარსის არსებობა პირწმინდად მოჩვენებითი და ილუზორულია. ამ ილუზიაში, ამ უარყოფითი საწყისის ბნელსა და მრუმე წიაღში


ირკვლება „ერთარისს“ წმინდა ნათელი და აშრიგად იბადება ხილული სინამდვილე, გრძობად-კონკრეტულ საგანთა თუ მოვლენათა კალიდოსკოპური სიჭრელე და სიმრავლე, შემთხვევითობისა და არარსებობის საშუარო, რომლის გარდუვალი ზედრია ქმნალობა, უხასრული დაუყოფლობა, ცვალებადობა, მსწრაფლ-წარმავლობა.

ყოვლად შეუძლებელია გრძობებით აღვიქვათ, აზრით „მოვიხილოთ“ ან სიტყვით გამოვთქვათ არარისის ეს მარად მედინი, წამითი. წაბად ცვალებადი საშუარო, ცნობიერებისთვის ისევე მიუღწეველია გამუდმებით ცვალებად საგანთა თუ მოვლენათა წვდომა, მათი თვითიგივეობის ფიქსირება, როგორც კვადრის ციმციმის, ხანთვის მოლაპაპა აღის ან შუქჩრდილის უნიანი თამაშისა. ჩვენი შეგრძნებები ისევე ცვალებადნი არიან, როგორც მათი ობიექტი — ფიზიკური საშუარო, გრძობად-კონკრეტულ საგანთა სინამდვილე, რომლის აღქმაც დასაბამს აძლევს ილუზორულ ცოდნას, ირაციონალურ „წარმოდგენას“ („დოქსას“). „არარის ვერც გამოთქვამ და ვერც მოიარება, — ამტკიცებს პარმენიდე, — რადგანაც გამოუთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის“. მხოლოდ ქუშპირიტი არსია აზრის ერთადერთი საგანი, მეტიც, აზრი იგივეა, რაც არის: „ერთი და იგივეა აზრი და ის, რასაც აზრი იაზრებს. არისის გარეშე ვერ ჰპოვებ აზრს; აზრი არსში გამოითქმის. სხვა რამ არ არის და არც იქნება...“

„პარმენიდესაგან პლატონმა შეშვიდრებობით მიიღო იმისი რწმენა, — წერს თანამედროვე ინგლისელი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი ბერტრან რაუსელი, — რომ რეალობა მარადიულია და დროის მიღმური, და რომ ყოველგვარი ცვლილება, ლეგიკური თვალსაზრისით, ილუზორული უნდა იყოს“. ეს აზრი უთუოდ დაზუსტებას მოითხოვს: პლატონი იმდენადვე დიდი ელემლის შემკვიდრე, რამდენადაც მისი უარყოფელი. ეს უარყოფა თანაბრად ენება პარმენიდეს მეტაფიზიკასაც და ფიზიკასაც. თავის დიად ქმნილებაში „პარმენიდე“, რომელიც *ერსადერთი*ა პლატონის დიალოგებს შორის, ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური აზრის მთელ შემდგომდროინდელ განვითარებაზე შე-მიქმედების თვალსაზრისით რომ უტოლდება „ტიმეოსს“, პლატონი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ თუ ყოველგვარი სიმრავლის, განსხვავების, განვითარების გამოშრიცხველი „ერთარისი“, ანუ „ერთი“ მართლა ისეთია, როგორც მას გვიხატავნ ელემლები, მაშინ ის საერთოდ არ არსებობს და, ამდენად, მისი აზრით წვდომაც შეუძლებელია; რომ „ერთი“, საშუაროს მწვერვალიცა და, იმავდროულად, მისი ფესვიც თავის საკუთარ სისხვესნა და სრულქმნილებაში, თავის განუყენებელ ერთადერთობაში ჩაქტილი

კი არ არის, ელემლთა აბსოლუტური ერთის მსგავსად, რომელიც პირწმინდად გამოირცხავს ყველაფერს, თავისივე თავის გარდა (თუმცა პლატონი გვიჩვენებს, რომ ამით ის გამოირცხავს საკუთარ თავსაც), არამედ ექსპანსიურად ქმედითა და ქმედითად ექსპანსიური (ამ ექსპანსიურობისაგან განვითარებად შემდეგ ნეო-პლატონური „ემანაცია“), ცოცხალი, ცხოველ-ყოფელი და ნაყოფიერი. იგი იმგვარადვე გადადის სიმრავლეში, როგორც სიმრავლე მადლებება მის ერთობაშივე. ეს მრავლისშემოცველი „ერთარის“ (ნუ ვუცხოვთ ამ ტერმინს: ის „სამების“ ანალოგიით არის შექმნილი, — შერ „წმიდა სამება“) არის ღმერთი, ხოლო „ერთებით“ შექრული, განსაზღვრული და ფორმირებული სიმრავლე არის როგორც გრძობადი, ისე ზეგრნობადი საშუარო. მეორეს მხრივ, ელემლთა ფიზიკა ისევე უარყოფს საშუაროს „ტიმეოსისეული“ კონცეფციით, როგორც მათ მეტაფიზიკას უარყოფს დაპირისპირებულთა ერთობის „პარმენიდესული“ დიადექტიკა. და მართლაც, საშუარო, „ტიმეოსის“ მიხედვით, პირწმინდად მოჩვენებითი და ილუზორული კი არ არის, არამედ მხოლოდ უფრო დაბალი რანგის რეალობაა იდეათა ინტელიგიბილურ სინამდვილესთან შედარებით.

თავისებური გამოძახილს პოულობს „ტიმეოსში“ ჰერაკლიტე ეფესელის მოძღვრების ზოგიერთი ძირითადი მოტივი: საშუაროულ საგანთა თუ მოვლენათა გამუდმებული ცვალებადობა და მსწრაფლწარმავლობა; ყოვლისერთობა; დაპირისპირებულთა ურთიერთბრძოლა და, იმავდროულად, მათი ერთიანობა, როგორც კოსმისური პარმონის პირელესაწყისი... პლატონი წერს: „ჰერაკლიტე სადღაც ამბობს, რომ ყველაფერი მოძრაია და არა არის რა უძრავი; ის მდინარის დინებას აღარებს არსს და ამბობს, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“. ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება, ყველაფერი გამუდმებით იქმნება და ილუპება. ასეთია ყოველი საგნისა და თვით მთელი საშუაროს ძირითადი კანონი, მათი არსებობის ერთადერთი ფორმა: „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ვერც მოყვადვ ბუნებას ჰპოვებ ორჯერ ერთსა და იმავე მდგომარეობაში, რადგან ცვლადობის უწყვეტობა და სისწრაფე გამუდმებით ფანტავს და ხელახლა კრებს მას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, არა ხელახლა და არა შემდეგ, — ის ერთდროულად იქმნება და ილუპება, ახლოვდება და შორიედდება“. არ არსებობს ცვალებადობა, — ამტკიცებს პარმენიდე. ყველაფერი იცვლება, — სასუნობს ელემლთა სკოლის მეთაურს პერაკლიტე. არ არსებობს მოძრაობა, — აი, პარმენიდეს თეზისი. არსებობს მხოლოდ მოძრაობა, — ასეთია ჰერაკლიტეს ანტითეზისი. ჰერაკლიტემ საშუაროდან გააძევა უძრავობა და



სიმშვიდე. რადგან ერთიცა და მეორეც მიცვა-  
ლებულთა თვისებაა. ის მოძრაობას მიაწერდა  
ყველა საგანს: უფამოს — უფამურთ და ეამერს  
— ეამერთ“.

მთელი სამყაროული პროცესი სხვა არა  
არის რა, თუ არა ერთი მდგომარეობიდან მეორეში  
გადასვლა. ამ ურთიერთგანსხვავებულ თუ  
ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობათა გარე-  
შე შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი გა-  
დასვლა მათ შორის, შეუძლებელი იქნებოდა  
ესა თუ ის პროცესი, მოძრაობა, ცვალებადობა,  
განვითარება. ყველაფერს საპირისპირო საწყის-  
თა გამუდმებული ორთაბრძოლა უდევს საფუძ-  
ვლად, ყველაფერი ამ ბრძოლისგან იღებს და-  
საბაზს: „ბრძოლაა ყოვლის მამა და მბრძანებელი,  
ერთნი მან ღმერთებად შექმნა, მეორენი —  
ადაშიანებად: ერთთ მონობა არგუნა წილად, მე-  
ორთ — მეუფება“. „უნდა ვიცოდეთ ისიც,  
რომ ომი ყოველადია, რომ დიე ბრძოლაა, და  
რომ ყველაფერი ბრძოლისა და აუცილებლო-  
ბის წყალობით ეზიარება არსებობას“. ამ სა-  
ყოველთაო ომში, დაპირისპირებულთა ამ უწყ-  
ვეტ ბრძოლაში ყველაფერი ერთმანეთს ცვლის  
— დღე და ღამე, ზათარი და ზაფხული, ბედ-  
ნიერება და უბედურება, სიცოცხლე და სიკვ-  
დილი, სიყვით და ბოროტება; ერთნი კვდებიან,  
მეორენი იბადებიან; ერთთა სიცოცხლე მეორე-  
თა სიკვდილისგან იღებს დასაბაზს, და პირუ-  
კუ, მეორეთა სიცოცხლის წყაროა პირველთა  
სიკვდილი: „ცეცხლი მიწის სიკვდილით ცოცხ-  
ლობს, პაერი კი ცეცხლის სიკვდილით; წყლის  
სიცოცხლე პაერის სიკვდილია, ხოლო მიწის  
სიცოცხლე — წყლის სიკვდილი. ცეცხლის სიკ-  
ვდილია პაერის დაბადება, პაერის სიკვდილი —  
წყლის დაბადება; მიწის სიკვდილი დასაბაზს  
აძლევს წყალს, წყლის სიკვდილი — პაერს, პა-  
ერის სიკვდილი — ცეცხლს, და პირუთუ“. „უკვადენი  
მოკვადენი არიან, მოკვადენი — უკ-  
ვადენი; პირველთა სიცოცხლე მეორეთა სიკვ-  
დილია, ხოლო მეორეთა სიცოცხლე — პირველ-  
თა სიკვდილი“.

მაგრამ დაპირისპირებულნი არა მარტო ებრ-  
ძვიან, ემთხვევიან კიდევ ერთმანეთს; ემთხვე-  
ვიან და ერთდებიან ცეცხლით — ყოვლის და-  
საწყისით და დასასრულით, ბუნების ურღვევი  
კანონთა თუ სამყაროული ცეცხლოვანი სიტყ-  
ვით — ლოგოსით: „ყველაფერი ერთია. გაყოფა  
და — გაუყოფადი, დაბადებული — დაუბადე-  
ბელი, მოკვდავი — უკვდავი, ლოგოსი — მარა-  
დისობა, მამა — ძე, ღმერთი — სამართლიანობა.  
მე კი არა, ლოგოსის ხმას მიუგდე ყური და,  
როგორც ბრძენმა, აღიარე, რომ ყველაფერი  
ერთია მხოლოდ“. დაპირისპირებულთა ერთი-  
ანობა, მათი დამთხვევა და თანხმობა, აი, ჰე-  
რაკლიტეს მიხედვით, ყოვლისერთობისა და სამ-  
ყაროული ჰარმონიის უშრეტეი წყარო: „მათ არ  
ესმით, რომ დაპირისპირებულნი ერთდებიან

და ერთმანეთს ეთანხმებიან წმინდა ლოგოსში,  
საპირისპირო ძალთა უწყვეტევალი ჰარმონია,  
მსგავსად მშვილდის და ლირის“. „წინააღმდ-  
გომნი თანამდგომნი ხდებიან, დაპირისპირებულ-  
თაგან დასაბაზს იღებს დიდმშვენიერი ჰარმო-  
ნია, ხოლო ყველაფერს არსებობას აძიებებს  
ბრძოლა“. „კავშირნი: მთელი და არამთელი,  
ერთსულოვანი და არაერთსულოვანი, ჰარმო-  
ნიული და დისჰარმონიული, ყოვლისგან ერთი  
და ერთისგან ყოველი“.

დაპირისპირებულთა ერთობის ჰერაკლიტე-  
სეულმა დიალექტიკამ უზარმაზარი გავლენა  
მოახდინა არა მარტო ანტიკური, არამედ შუა  
საუკუნეების, რენესანსისა თუ ახალი დროის  
ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე. აქ, აღ-  
ბათ პირველი რგვში უნდა დავახსენოთ ნიკო-  
ლა კუზანელი, „დაპირისპირებულთა დამთხვე-  
ვის“ (coincidentia oppositorum) მისი სახელ-  
განთქმული კონცეფციითურთ; დიდი იტალიე-  
ლი აბრონოზი და ფილოსოფოსი ჭორდანო  
ბრუნო, ვისი მტკიცებოთაა სამყაროს სწორედ  
დაპირისპირებულთა ერთობა უდევს საფუძ-  
ვლად („ვისაც სურს ჩასწვდეს ბუნების ყველა-  
ზე დიდ საიდუმლოებებს, დაე, განიხილოს და  
დაუკვირდეს წინააღმდეგობათა და დაპირისპი-  
რებულობათა მინიმუმს და მაქსიმუმს. დრმა  
მაგისი. შემცველია დაპირისპირებულთა გამოყ-  
ვანის უნარი, მას შემდეგ, რაც მიკვლევ ერთ-  
ობის წერტილს“); სახელგანთქმული ფრანგი  
მოაზროვნე ლეჟე მარი დეშანი, რომელიც და-  
პირისპირებულთა თანაფარდობას სინამდვილის  
ძირითად თანაფარდობად თვლიდა და აშტი-  
ცებდა, რომ დაპირისპირებულინი აბსოლუტურ-  
ად კი არ გამოირცხვენ ერთმანეთს, არამედ  
მხოლოდ ფარდობითად, ასე რომ, ურთიერთსა-  
პირისპიროთა ყოველი წყვილის თვითული წვე-  
რი მეორის უპრყოფად კი არა, მხოლოდ „სხვად“  
გვევლინება ამ უკანასკნელის მიმართ; და ბო-  
ლოს, კატეგორიათა უნივერსალური დიალექტი-  
კის შემქმნელი ჰეგელი, ვისი კონცეფციითაც  
მთელი სამყაროული პროცესი, მოძრაობა, ცვა-  
ლებადობა, განვითარება დაპირისპირებულთა  
ერთობის შედეგად წარმოგვიდგება. მაგრამ  
ჰერაკლიტეს დიალექტიკის სიღრმე ყველაზე  
უმალ შეიგრძნო პლატონმა; შეიგრძნო და, რო-  
გორც კერძო მომენტე, ჩართო კიდევ იგი თა-  
ვის ფილოსოფიურ თეორიაში, უწინარეს ყოვე-  
ლისა, ეს ენება „ტიმოოსს“, რადგან ლეიჯი  
სტეფანინის მართებული შენიშვნით, „ტიმე-  
ოსზე“ უფრო დიდი ყურადღებით არც ერთი დი-  
ალექტიკარ განიხილავს უნივერსალური დინა-  
მიზმისა და დაპირისპირებულთა თანაფარდობის  
(la correlazione dei contrari) ჰერაკლიტესე-  
ულ მოძღვრებას. ქმნადობის ეს სპეციფიკური  
თავისებურებანი, რომლებიც ადრე წამოყენ-  
ებულნი იყვნენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჰე-  
მარიტ არსთა სტატეურობას დაპირისპირებოდ-

ნენ, „ტიმოსო“ მათი საკუთარი კანონების, მათი განვითარებისა და მათ ცალკეულ გამოვლინებათა სფეროში არიან განხილულნი“.

ორფთაულობითი ტრადიციებისა და ორი ურთიერთსაპირისპირო მოძღვრების — პარმენიდესა და პეტრელიტეს დოქტრინებს გარდა, „ტიმოსოს“ მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის კიდევ ერთ ფილოსოფიურ სისტემას: ეს პეტრელიტის სწავლულის და მოაზროვნის, მოგვიანა და ქურუმის ემპედოკლეს მოძღვრება გახლავთ. ემპედოკლე ცდილობს ერთმანეთს შეუთანხმოს, ერთის მხრივ, თავისი მასწავლებლის პარმენიდესა და, მეორეს მხრივ, პითაგორელთა და პეტრელიტის ფილოსოფიური სისტემები. ისევე როგორც პარმენიდი, უზენაეს საწყისად ემპედოკლეც არის აბსოლუტური სისხვეს სხავს, რაც, ელემენტა მსგავსად, ყოველგვარი თვისობრივი სხვაობისგან დაცილი, ერთგვაროვან და სრულქმნილ სფეროდ წარმოუდგენია. მაგრამ პარმენიდე არა სცნობს თავის სისხვესა და სრულქმნილებში ჩაკეტილი ერთ-არსის განვითარებას, მის გადასვლას სიმრავლეში. არსებობს მხოლოდ ერთარსი, ყოველივე დანარჩენი ილუზიაა. სწორად ამ მოქმენბა ემპედოკლე თავისი მასწავლებლის მოძღვრებას, კი მაგრამ, საიდან იბადება ეს ილუზია, ანუ გრძნობად საკანთა და მოვლენათა საშუალო? მატერიალური სინამდვილის მრავალფეროვნება, მისი უწყვეტი მოძრაობა, ცვალებადობა, განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას არსის დასაბამიერი ერთობის საფუძველზე, თუ მას ვალიარებთ რეალური ძალის პროდუქტად, ძალიან, რომელიც დასაბამიერი ერთარსის განწილვის, მისი დანაწევრებისა და დაქუცმაცების შედეგად ბადებს სიმრავლეს. ხოლო თვით სიმრავლის წიაღში, ანუ უწყვეტი ქმნადობის საშუალოში ყოველგვარ გენეზისს, ყოველგვარ წარმოშობას თუ დაბადებას ემპედოკლე მის მიერ „ყოვლის ფესვედად“ („რიძომატა პანტონ“) დასახული ოთხი დასაბამიერი პირველსაწყისის — ცეცხლის, წყლის, ჰაერის, მიწის შერევა-შეერთებად („მიქსის“), დალუპვასა და გადაგებას კი ამავე საწყისთა გათიშვად („დიადლაქსის“) თვლის.

ამ ოთხი ერთმანეთზე დაუყვანელი, დაუსაბამო და წარუვადო პირველსაწყისის შერწყმე-შეერთება წარმოქმნის მთელ მატერიალურ სინამდვილეს, სიცოცხლეს, ორგანულ არსებებს, სულს, ხოლო მათი გათიშვა სპობს ყოველგვარ თვისობრივ სხვადასხვაობას და ქაოსის მდგომარეობაში აბრუნებს საშუაროს. მაგრამ რაკი ოთხივე ეს პირველსაწყისი, ოთხივე ეს ელემენტი მატერიალურია, ამიტომ მათი მოძრაობის მიზეზი, ემპედოკლეს აზრით, თვით ამ ელემენტებში კი არა ძევის, არამედ მათ მიღმა, ასე რომ, მამოძრავებელი ძალა იმანენტური კი არ არის მოძრაობის მიმართ, არამედ ტრანსცენ-

დენტური. ოთხი ელემენტი, რომელთა ოდენობა, ემპედოკლეს სწავლით, ყოველთვის თანაბარია, საშუაროს ციკლური განვითარების თანაბარზომიერ პერიოდთა რიტმული მონაცვლეობის პროცესში ხან სრული და ერთგვაროვანი შერევა-შეერთებიდან ასეთსავე სრულ განხზო-ლობაშივე ეთიშება ერთმანთს ე. წ. „მტრობის“ („ნეიკოს“) კოსმიური ძალის შემოქმედებით, ხან კი „სიყვარულის“ („ფილოტის“) ძალით გათიშულობიდან კვლავ უბრუნდება დასაბამიერ ერთობას, ყოფიერების სისხვეს — აბსოლუტურად სრულქმნილსა და ერთგვაროვან სფეროს, რომელშიაც „სიყვარული“ და ოთხი ელემენტი მთლიანად ერწყმიან და განწილიან ერთმანეთს; მხოლოდ „მტრობა“ რჩება ან სფეროს გარეთ. მაგრამ საშუაროს ეს ღვთაებრივი და პარმონიული მდგომარეობა, ბოლოს და ბოლოს, კვლავ ირღვევა სფეროში „მტრობის“ შეღწევით; იწყება ერთობის დაშლისა და დივერსიფიკაციის უწყროცესი. პარმენიდესათვის ორი სხვადასხვა გზა, რომელთაგანაც ერთს ერთობისაკენ მივყავართ, მეორეს კი სიმრავლისაკენ, შემეცნების ორი სხვადასხვა მეთოდია. შემეცნების საგნისადმი ადამიანის შემეცნებელი ინტელექტის მიმართების ორი სხვადასხვა ხერხი, მაშინ როდესაც ემპედოკლესათვის ეს ორი სხვადასხვა გზა ორი ურთიერთსაპირისპირო საშუაროული პროცესი გახლავთ:

„ორმაგს გაუწყებ; ვინაიდან ხან სიმრავლი-საგან იზრდება ერთი, ხან კი, პირიქით, ერთი-საგან ამოიზრდება მრავალი. ორმაგია მოკვდავთა დასაბამი, ორმაგია მათი გადასვლა: რადგან ეს უკანასკნელი ყოვლის შეროებით იბადება და ისპობა, ხოლო დასაბამი, რომელსაც არსებობისათვის იწყებს საყოველთაო ზრდა, კვლავ განაქრდება. და ეს დაუსრულებელი გადასვლა უწყვეტია: ხან „სიყვარულის“ ძალით ყველაფერი ერთად იურის თავს, ხან კი, პირიქით, „მტრობის“ სიძულვილით ერთმანეთს ეთიშება. ამრიგად, რაკი ერთობა გრძელდებით იბადება სიმრავლისაგან, ხოლო ერთის ზრდით ხელახლა გამოიყოფა მრავალი, ამიტომ ისინი განუწყვეტლივ იქმნებიან და არამდგრადია ყოფა მათი, მაგრამ რაკიდა არასოდეს არა წუდება ერთი მდგომარეობიდან მეორეში ეს დაუსრულებელი გადასვლა, ამიტომ ისინი ყოველთვის არსებობენ უცვლელი წერბრუნვით. მაშ, უფრო უღდე ჩემს სიტყვას: რადგანაც, მოგხსენება, სწავლით იზრდება გონი. ამრიგად, როგორც თავში აღვნიშნე, რათა მომენიშნა ჩემი თხრობის ზეგარი, ორმაგს გაუწყებ, ვინაიდან ხან სიმრავლისაგან იზრდება ერთი, ხან კი, პირიქით, ერთისაგან ამოიზრდება მრავალი; ცეცხლი და წყალი, მიწა და ჰაერის თვალშეუდგამი სიმადლე, მათ გარეშე — დაძლუპველი „მტრობა“, რომელიც აწონასწორებს თვითეულ მათგანს, მათ შორის კი „სიყვარული“, თანაბარი



სიგრძე-სიგანით. თვალდავხილი ნუკი წიხარ, სწორედ მას უჭვრიტე გონების თვალთ. სიყვარულია, დაბადებითვე თან რომ დაჰყვება მოკვდავ ასობს; მისი წყალობით იბადება ერთ-მოკლავი წრახვა, სრულდება კეთილი საქმე; მას უწოდებენ „გეფოსინეს“ („სიხარულს“). მასვე სდებენ სახელად „აფროდიტეს“. მოკვდავ კაცთაგან არავის შეუცვნია, რომ ის ვრცელდება სტიქიონთა შორის; შენ კი ყური უგადე ჩემს უტყუარ სიტყვას. ყველა სტიქიონი სწორია და ტოლი წარმოშობით, მაგრამ სხვა ერთის დანიშნულება და სხვა მეორის, და მონაცვლეობით მბრძანებლობენ ისინი დროის წერტილებზე, რადგან თანშობით არაფერი ემატება მათ და არც რომელიმე მათგანი არა წყვეტს არსებობას. ვინაიდან ისინი რომ გამუდმებით ისპობოდნენ, მათი ნახსიცი აღარ დარჩებოდა და, ეგვიპ არ იყოს, რომელ ან საიდან მოგვინილ ძალას უნდა შეეცხო გამჭირებელი სამყარო? ამბრავად, ისინი ერთი და იგივენი რჩებოდნენ, მაგრამ ურთიერთგამწონნი ერთ ადგილას ერთ საგნად იქცევიან, მეორეგან მეორედ, მიწვევ თვითიგივეობრივნი და თვინათვე თავის მსგავსნი“.

„სიყვარულისა“ და „მტრობის“ ზემოქმედებით ოთხი დასაბამიერი ელემენტი შეერთებისა და მათი გათიშვის შედეგად სამყაროს ციკლური განვითარება ოთხი სხვადასხვა პერიოდის თანმიმდევრულ მონაცვლეობად წარმოგვიდგება: 1). „სიყვარულის“ ერთპიროვნული სუფევა და ოთხი ელემენტის სრული ერთობა, რასაც ემპედოკლე უმეტესწილად ღვთაებრივ „სფეროდ“ უფრო იშვიათად კი „ერთად“ („ტო პენ“), ან „ღმერთად“ („თოუს“) სახავს; 2). ელემენტთა თანდათანობითი გათიშვისა და გათავისთავადების პროცესი „მტრობის“ მძლავრობის შედეგად; 3). „მტრობის“ განუყოფელი მბრძანებლობა და ელემენტთა სრული გათიშვა-განზოხლოება; 4). „სიყვარულის“ ზემოქმედებით ელემენტთა ზეგანაზლი შერწყმა-შეერთების პროცესი... სტრაქლიტე და პითაგორელები დაპირისპირებულთა მარადიული ბრძოლის წიაღში სამყაროული პარმონიისა და ყოვლისერთობის საფუძველს ჰვრტდნენ. ემპედოკლეს აზრით, საპირისპირო საწყისთა ეს უწყვეტი ბრძოლა „მტრობის“ სახით ვლინდება სამყაროს განვითარების პროცესში, ხოლო სიმრავლის საფუძვლად მდებარე ერთიანობა „სიყვარულის“ ძალით განისაზღვრება.

ყოველივე არსებული, ყოველივე ცოცხალი და სულდგმული მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლისაგან შედგება. მატერიის ფორმათა სხვადასხვაობა ამ ოთხი ერთმანეთზე დაუყვანელი ელემენტის სხვადასხვა რაოდენობრივი თანაფარდობითაა გაპირობებული. მათგან სამი უკვე გვხვდება ემპედოკლეს წინამორბედთა ნაწარგეში. ესენია — წყალი (თალესი), ჰაერი (ანაქ-

სიმენე), ცეცხლი (პერაკლიტე). მათ რიცხვს ემპედოკლემ უმატებს მიწას, როგორც „სიყვარულის“ სტიქიონს, ესე იგი, იმ თვისებისას, რომელიც აკლად დანარჩენ სამ ელემენტს, ოთხი ელემენტის ემპედოკლესეულმა თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა პლატონისა და, არა მარტო პლატონის, არამედ მთელი ანტიკურობის, ისევე როგორც შუა საუკუნეებისა თურქენსანისის ეპოქის ფიზიკურ კონცეფციითა განვითარებაზე. მაგრამ აქ უცვლილებულა ხაზი გავსვას არა მარტო მსგავსებას, არამედ იმ განსხვავებასაც, რომელიც ჰქვს პლატონსა და ემპედოკლეს ფიზიკურ თეორიებს შორის.

ჭერ ერთი, პლატონის ოთხი სტიქიონი (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) მარტო ოთხ ელემენტარულ სხეულს კი არ აღნიშნავს, არამედ შესაბამის ნივთიერებათა მთელ კლასებსა და ამ ნივთიერებათა სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობებსაც. მეორეც, სტიქიონებს მთელი ემპირიული სინამდვილის მატერიალურ საფუძველად რომ სახავს, ემპედოკლე უმარტივეს, ე. ი. ელემენტარულ სხეულებად მიიჩნევს მათ, მაშინ როდესაც პლატონის ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა ელემენტარული კი არა, რთული ინტრასტრუქტურის მქონე მატერიალურ ნაწილაკებად გვევლინებიან (ოთხსავე ელემენტს ოთხი წესიერი მრავალწახნაგა — პირამიდა, ოქტაედრი, იკოსაედრი და კუბი შეესაბამება, ხოლო ამ უკანასკნელთა წახნაგები ორი სხვადასხვა ტიპის პირველადი სამკუთხედებისაგან არის შექმნილი). მესამეც, ემპედოკლეს არც ერთი ზემოხსენებული ელემენტი ერთმანეთზე არ დაიყვანება, ე. ი. ერთმეორედ არ გარდაიქმნება, მაშინ როდესაც, პლატონის მიხედვით, იგივე ელემენტები ერთმანეთში გადაიქცევიან, ერთმეორედ გარდაიქმნებიან. ელემენტების, ანუ წესიერი მრავალწახნაგა სხეულების ურთიერთგარდაქმნას მათი შინაგანი სტრუქტურის შეცვლა განაპირობებს, ხოლო ყველა ამნაირი ცვლილება თავად უცვლელი უმარტივესი სტრუქტურული კომპონენტების დონეზე ხორციელდება, კომპონენტებისა, რომლებიც საერთოა ისეთი წესიერი მრავალწახნაგა სხეულებისათვის, როგორცაა პირამიდა, ანუ ტეტრაედრი, ოქტაედრი და იკოსაედრი. „ტრობის“ თანახმად, ეს უმარტივესი სტრუქტურული კომპონენტებია ერთი და იმავე ტიპის ელემენტარული სამკუთხედები, რომლებიც თანამედროვე ატომური ფიზიკის ელემენტარულ ნაწილაკებს შეესაბამება. არსებითად, ეს გასლავთ ნივთიერებათა გარდაქმნის და ცვალებადობის უაღრესად მნიშვნელოვანი ფიზიკურ-ქიმიური კონცეფცია, რომლის ავტორიც ათასწლეულებით უსწრებს წინ თავის ეპოქას და ახალი დროის საბუნებისმეტყველო თვალსაზრისის უახლოვდება. და ბოლოს, მეოთხე, ემპედოკლესათვის მთელი სამყაროული მატერია ესაა ოთხი სხვადასხვა


ელემენტის საერთო ჯამი, მათი ერთობლიობა, მაშინ როდესაც პლატონის აზრით, ეს ისეთივე აბსურდია, როგორც, ვთქვათ, დღეს რომ ვინმემ დაიწყო ის მტკიცება, თითქოს მატერიალურ იყოს ოქრო, ვერცხლი, მავნებელი, კალციუმი, ფანგბალი, წყალბადი ან, თუ გნებავთ, მენდელეევის მთელი პერიოდული სისტემა თავისი ასევე მეთვალყურეობით...

კიდევ ერთი ფილოსოფოსი, ვისი გავლენის კუთხითაც „ტიმეოსში“ პოულობენ მკვლევარნი, ანაქსაგორა კლამორიანი გახლავთ, რომელიც, არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ასაკით ემპედოკლეზე უფროსი, შრომებით კი უმცროსი იყო“. ანაქსაგორას ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების გზა დაახლოებით ემპედოკლესს მოგვაგონებს. ორივე ცდილობს ერთმანეთს შეუთანხმოს ორი ურთიერთსაპირისპირო დოქტრინა — „თვითთავიდან არის უძრავობისა და უცვლელობის პარამენდეტული მოძღვრება და საპირისპირო საწყისთა ურთიერთბრძოლით გაპირობებული მარადიული ქმნადობისა და ცვალებადობის პერაკლიტისეული კონცეფცია. არის მარადიულია და უცვლელი, — კვერს უქრავს ანაქსაგორა პარამენდეს. მაგრამ სიმრავლისა და მოძრაობის დაშვებას სულაც არ მივუვართ წინააღმდეგობაშიდ, როგორც ფიქრობდნენ ელემენტები. სამყარო მოძრაობადა და ცვალებადობა, — ეთანხმება ანაქსაგორა პერაკლიტესაც. მხოლოდ ეგაა, რომ თვით ქმნადობისა და ცვალებადობის სამყაროში ანაქსაგორა, ისევე როგორც ემპედოკლე, არა სცნობს არავითარ წარმოშობას და მოსაზრებას, რომლებსაც ემპედოკლესავით შერევა-შერთებასა („სინკრისის“, „სიმექსის“) და გათავგანმხოლოებასთან („დიაკრისის“) აიგივებს. ცვალებადობას საფუძვლად უდევს უცვლელობა, რაკიდა ყოველგვარი ცვალებადობის ერთადერთი სუბსტრატის — სამყაროული მატერიის საერთო მასა უცვლელი რჩება. „ფიზიკის“ პირველ წიგნში ანაქსაგორა გარკვევით ამბობს, რომ წარმოშობა და მოსაზრება სხვა არა არის რა, თუ არა შერევა და გათავშა. კერძოდ, ის შეიძლება წერს: „სიტყვებს — წარმოშობა და მოსაზრება არასწორად ხმარობენ ბერძნები, ვინაიდან სინამდვილეში არც რა წარმოშობა და არც რა ისაობა, არამედ ყველაფერი არსებულ საგანთა შერევით ან მათგან განმხოლოებით იქმნება. ამრიგად, მართებელი იქნებოდა, „წარმოშობის“ ნაცვლად „შერევაზე“ გვეჩვენოდა, „მოსაზრების“ ნაცვლად კი „გათავშავზე“.

ყოველივე იმას, რაც ნარევათა თუ ნაერთში შედის, ან გათავშავ-განმხოლოებას განიცდის, ანაქსაგორა „საგნებს“ („ხრემატა“), უფრო ხშირად კი „თესლს“ („სპერმატა“) უწოდებს. ეს თესლისებრი ნაწილაკები ნივთიერებათა პირველადი ელემენტებია. მაგრამ ემპედოკლესგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ-

სებობს მხოლოდ ოთხი ფიზიკური ელემენტი, ანაქსაგორას აზრით, ელემენტთა რიცხვი უსასრულოა, ისევე როგორც ემპირიული სინამდვილის თვისობრივ განსაზღვრულობათა რაოდენობა. დაკვირვებისათვის მისაწვდომი, გრძობებით აღქმადი ყველა საგანი თავისი შინაგანი სტრუქტურით რთულია და, ანაქსაგორას მიხედვით, სახელწოდებას იღებს იმ ნივთიერებისაგან, რომელიც მოკუმულ მთქმენტში ყველაზე ჭარბადაა ამა თუ იმ საგნის შემადგენლობაში. რაც შეეხება თვისობრივ ცვალებადობას („ალოლოისის“), ეს უკანასკნელი იმითაა გამოწვეული, რომ საგანთა შემადგენლობას ზოგიერთი სხვა ნივთიერება უერთდება ან გამოეყოფა. „ანაქსაგორას მოძღვრებით, ოქროდ ჩვენ გვეჩვენება ის, რაშიაც ბევრი ოქროა, თუმცა მასზევა ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, ანაქსაგორა ამბობს: „ყველაფერია ყველაფერი“ და „რაც ყველაზე მეტია საგანში, იმად ჩანს ან ჩანდა ყველა ცალკეული საგანი“.

„ყველაფერია ყველაფერი“ — ანაქსაგორას ფილოსოფიის ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ნიშნავს, რომ ყველა „თესლი“, მატერიის ყველა ძირითად, შეუმსრავსა და წარუვალ ნაწილაკში მოქცეულია ყველა დანარჩენი შესაძლო ელემენტი. ამ ვარაუდს, როგორც ჩანს, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ხასიათის დაკვირვებები უდევს საფუძვლად. ორგანიზმის ყველა ნაწილის — ზორცის, სისხლის, ძვლების, თმების და სხვა მისთანათა ფორმირებისათვის აუცილებელია სასმელ-საქმელი. მასთანადავე, ყოველივე ეს უკვე მოკუმული იყო წყალსა და პურში. კვებისა თუ საქმლის მოწოდების პროცესში ხდება მხოლოდ გარკვეული შინაგანი სტრუქტურის მქონე ერთგვაროვან ნივთიერებათა დაშლა და ახალ სტრუქტურათა სინთეზი. თვით დაშლის პროცესი, ანაქსაგორას მიხედვით, უსასრულოა. საკუთარი თვისების, ხასისა თუ არისის მქონე ყოველი ელემენტარული ნაწილაკი შეიძლება უსასრულოდ დაიყოს, ასე რომ, არა მარტო სხვადასხვა თვისების მქონე ელემენტთა რიცხვია უსასრულო, არამედ ნებისმიერი ერთგვაროვანი ელემენტიც უსასრულოდ დაყოფადია. უსასრულოა ყოველივე არსებული, მთლიანად არსი; უსასრულოა არისის ყოველი ელემენტარული ნაწილაკიც. უსასრულოა მთელიც და ნაწილიც, მაქსიმუმიც და მინიმუმიც. ამ თვალსაზრისით, ანაქსაგორას თეზისი — „ყველაფერია ყველაფერი“ შეიძლება გავიზაროთ როგორც ურთიერთგანმწონ უსასრულობათა ერთობლიობა — „უსასრულობა უსასრულობაში“. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ პრინციპის მნიშვნელობა, რომლის თანახმადაც ნაწილი მთელის ტოლია და რომელიც ასე უაზღვრდება უსასრულო სიმრავლეთა თანამედროვე ფილოსოფიურსა თუ მათემატიკურ კონცეფციას. და მარ-



თლაც, ზემოხსენებული კონცეფციის თანახმად, უსასრულო სწორედ ისეთი სიმრავლე, რომლის ნაწილებიც მთელი სიმრავლის ტოლია, ასე მაგალითად, უსასრულო ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე, მაგრამ სიმრავლე ლუწი რიცხვებისა, რომლებიც ნატურალურ რიცხვთა ნაწილს, კერძოდ, მათ ნახევარს შეადგენენ, ასევე უსასრულოა. როგორც ჩანს, ანაქსაგორა სწორედ ამ „მათემატიკური“ თვალსაზრისით კერძოდ უსასრულო სიმრავლეს და სიმრავლეთა უსასრულობას..

მაგრამ თუ ყველა ელემენტი მოცემულია ნებისმიერ ცალკეულ ელემენტში, რა თქმა უნდა, არ არსებობს მათი გარჩევა-განსხვავების არავითარი სხვა კრიტერიუმი, ელემენტთა უსასრულო სიმრავლის გარკვეული სტრუქტურის, სხვადასხვა კომბინაციებით მათი ურთიერთშერწყმის, მათი შინაგანი მოწესრიგებულობის ამა თუ იმ ხარისხის გარდა. არისტოტელე „ჰომოიომორებს“ („შავანწლიანთ“) უწოდებდა ანაქსაგორას ელემენტებს. „ჰომოიომორია ამა თუ იმ მატერიალური თვისების რთული, მაგრამ მინიმალური ელემენტია. ის თავის თავში შეიცავს ყველა არსებულ ელემენტს. მეორეს მხრივ, მასში შემავალი ყველა ცალკეული ელემენტი ასევე უსასრულოდ დაყოფად. მასხადასამე, თუ ავიღებთ, მაგალითად, თბილს ანდა ცივს, წყალს, ციცხლს, ოქროს, ხორცს და ა. შ. ჩვენ მივიღებთ ელემენტთა უსასრულო რაოდენობას, რომელიც უსასრულოდ მეორდება.. ჰომოიომორია — ესაა მოცემული ტიპის ელემენტთა უსასრულობა, რომლებიც შეიცავენ ცალკეულ ელემენტთა უსასრულო რაოდენობას, ხოლო ეს უკანასკნელი ასევე ინარჩუნებენ თავიანთ საყოფარტისს“.

რაც შეეხება ზაკუთრივ ელემენტთა მოძრაობის პინციებს, ანაქსაგორა, ისევე როგორც ემპედოკლე, მამოძრავებელ ძალას თვით მატერიალურ ნაწილაკებს კი არ მიაწერს, არამედ მათ გარეთ გააქვს. მოძრაობის ამ არამატერიალურ მიზეზს ანაქსაგორა კოსმიურ გონებას („ნუს“) უწოდებს. სამყაროს ფორმირებაზე ყველა ნივთიერება ერთმანეთში იყო არბული, ხოლო დასაბამიერი ნარევი უსასრულოდ მცირე ნაწილაკთა უსასრულო სიმრავლისაგან შედგებოდა: ეს იყო მთლიანი, დაუნაწევრებელი, ყოველგვარი თვისობრივი განსაზღვრულობისაგან განსარცალული მატერიის პირველადი მდგომარეობა, სამყაროული ქაოსი. მაგრამ გონების ზემოქმედების შედეგად, ნივთიერებათა გაყოფა-გათიშვის გზით, მათში თანდათანობით იჩინა თავი თბილის და ცივის, მშრალის და სველის, ნათლის და ბნელის და სხვა მისთანათა დაპირისპირებულობამ. დაიწყო პირველადი მატერიის დივერსიფიკაციის, სამყაროს ფორმირების პროცესი: „ყველა სავანი ერთად ეგო; მეორე მოვიდა გონება და მოაწესრიგა ისინი“.

გონება — სამყაროული მოძრაობის პირველადი ზეწი, მატერიისაგან განსხვავებით, აბსოლუტურად წმინდაა, შეუზავებელი და შეურეველი; უსასრულო, ყოველისგანწმუნო, ყოველგვარი ზემოქმედებისაგან თავისუფალი („აპათეს“); არისტოტელე უძრაობას მიაწერს მას. „დანარჩენი საგნები — ამტიკებს ანაქსაგორა — ყველაფრის ნაწილს შეიცავენ, გონება კი უსასრულოა, თვითმპყრობელი და არც ერთ სავანთან არა შეერეული, არამედ თავისთავად არსებობს. რადგან თავისთავად რომ არ არსებობდეს და სხვა რამესთან იყოს შერეული, მაშინ წილნაყარი იქნებოდა ყველა სავანთან, — თუკი შერეოდა თუნდაც ერთ რამეს: ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, ყველაფერშია ყოველის ნაწილი. ეს შერევა ხელს შეუშლიდა ისე სრულად წარმართა ყოველი, როგორც წარმართავს ახლა, როცა, თავისთავად არსებობს განმარტებით. და მართლაც, ისაა სავანთა შორის უწმინდესი და უნატიფესი, უსრულქმნილესი ცოდნის მქონე და უღვიძისი ძალის მფლობელი. და ყველაფერზე, რასაც სული აქვს, როგორც დიდზე, ისე მცირეზე, განუყოფლად მბრძანებლობს იგი. სამყაროულ წრებრუნებას თვითონ წარმართავს, მთელმა წრებრუნებამ მისგან მიიღო დასაბამი. თავდაპირველად წრებრუნება მცირედით დაიწყო, — ახლა კი ნივთიერების უფრო მეტ მასაზე ვრცელდება, და კიდევ უფრო მეტს მოიცავს მომავალში. რაც ერთდება, რაც იყოფა და ითიშება, — ყველაფერი იცის გონებამ. რაც იქმნება, რაც იყო უწინ (ამჟამად კი აღარ არის) და რაც არის, — ყველაფერი მოაწესრიგა გონებამ. მანვე დააწესა ვარსკვლავების, მზის, მთვარისა და გამოყოფილი ჰაერისა თუ ეთერის აწინდელი წრებრუნება. თვით ამ წრებრუნებამ გამოიწვია მათი გამოყოფა-განცალკევება. ასევე ნათივს ეუფოვა სქელე, ცივს — თბილი, ბნელს — ნათელი, მშრალს — სველი, მაგრამ მთლიანად არაფერი იყოფა და არც რა გამოყოფა დანარჩენთ, გონების გარდა...“

არისტოტელე მძალე შეფასებს ამლევდა გონების, როგორც სამყაროს მფორმირებელი და მამოძრავებელი ძალის ანაქსაგორასეულ კონცეფციას, რადგანაც თვლიდა, რომ გამუდმებით ცვლადი და მარად მოძრავი მატერია არ შეიძლებოდა თვითონვე ყოფილიყო თავისი ცვალებადობისა და მოძრაობის მიზეზი. „ამიტომ ვინც თქვა, — წერად დიდი სტაგირიელი, — რომ გონება ისევეა ბუნებაში, როგორც ციხალ არსებებში და რომ ისაა სამყაროული წესრიგის მიზეზი, გონებაფხიზელი კაცი ჩანდა თავისი წინამორბედების თავქარიან მსჯელობებთან შედარებით. ჩვენ ვიცით, რომ ანაქსაგორა დაბეჭივით გამოთქვამდა ამნაირ აზრებს..“ თუმცა არისტოტელე იმასაც დასძენს, რომ გონება ანაქსაგორასათვის, არსებობდა, სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობისა და სამყაროული

წესრიგის ახსნის მექანიკური საშუალება: „ანაქსაგორა განიხილავს გონებას, როგორც საშაქაროს შექმნის იარაღს, და როცა უტირს იმისი თქმა, თუ რა მიზეზის გამო არსებობს რამე აუცილებლობის ძალით, გონებას იხვედრის, დანარჩენ შემთხვევებში კი ის ქმნადობის მიზეზად აცხადებს ყველაფერს, რაც გნებავთ, გონების გარდა“.

პლატონის არა ერთი და ორი მკვლევარი (სტეფანინი, ბარნეტი, რიტერი, პრელერი და სხვ.) არცთუ უსაფუძვლოდ ავლებს პარალელს ანაქსაგორასეულ „გონებასა“ და „ტიმოქისის“ „დემიურტოსის“ შორის; მაგრამ ზოგიერთი მათგანი აშკარად აპარბებს ამ მხრივ: ახე მაგალითად, ფრანგი მეცნიერი მკოუსტ დე წერს: „ტიმოქისი“ დემიურტოსი ესაა მარგანიზებელი გონება, რომელიც პლატონმა ანაქსაგორასაგან მიიღო და რომლის სპირიტუალიზაციასა და დივინიზაციასაც ის ახდენს (qu'il achève de spiritualiser et de diviniser). საშაქაროს მარგანიზებელ საწყისთა ანაქსაგორასა და პლატონისეულ კონცეფციებს შორის არსებულ მსგავსებასაც და განსხვავებასაც „დემიურტოსის“ ანალიზისას გაეცნობა მკითხველი, გერმანურრობით კი გვიანა დაგემაოფილდეთ ანაქსაგორასეული „გონების“ იმ კრიტიკით, რასაც თავის „ფედონში“ გვთავაზობს პლატონი და რასაც შემდეგ მთლიანად გაიზარებს არისტოტელი:

„ერთხელ ასეთი რამ გავიგე, — მიმართავს დილაოგის მთავარი გმირი სოკრატე მისი სიკვდილოდ დასჯის დღეს საპრობოლის საკანში გარსშემოხვეულ მეგობრებს და მოწაფეებს, — ვიდაცას, როგორც თვითონ ამბობდა, ანაქსაგორას წინაშე წაუკითხავს, გონებაა ის, რაც ყველაფერს აწესრიგებს, გონებაა ყოვლის მიზეზი, ამან დიდად გაძახარა და მაფიქრებინა, რომ გარკვეული თვალსაზრისით მარაოლიც იყო გონების მიჩნევა ყოვლის მიზეზად. მე ვამბობდი: თუ ეს ასეა, ცხადია, ყოვლისგამრიგე გონება ისე აწესრიგებს და იმნარა მისთვის მიუჩინს თვითეულ საგანს, რომელიც ანთვის უკეთესია-მეთქი. ამრიგად, თუ კაცი მოისურვებდა მიგნებას მიზეზისას, რომლის წყალობითაც ესა თუ ის საგანი იხადება, ილუება ანდა არსებობს, მას იმ პირობისათვის უნდა მიეცვლია, რომელშიაც ეს საგანი ყველაზე უკეთ არსებობს ან განიცდის თუ სხვას განაცდევინებს რამეს. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობდი, როგორც ამ საგნის, ისე ყველა სხვა საგნისთვისაც კაცი მხოლოდ იმას უნდა ეძებდეს, რაც ყველაზე უკეთესია და სრულქმნილი-მეთქი, ხლო ვინც იცის უკეთესი, უთუოდ შეიცნობს უარესსაც, რადგან ერთის ცოდნა მეორის ცოდნასაც გულისხმობს. ასე ვფიქრობდი და მიხაროდა, რომ ანაქსაგორასა სხვით ვპოვე მოძღვარი, რომელიც, ჩემი სურვილისამებრ, ამიხსნიდა ყოველს... მე

ისე ძვირად მიიღრდა მაშინ ჩემი იმედი, ამიტომ დიდი გულშოდინებით ჩავუტევი წიგნებს და პირდაპირ შთანთქე იხინი, რათა რაც შეიძლებოდა მალე ვზიარებოდი ყველაზე უკეთესის და უარესის ცოდნას.

მაგრამ რა მალე გამიძრუდა იმედი.. რაც უფრო წინ მივიწვედი წიგნის კითხვისას, მე ვხედავდი კაცს, რომელიც არაფრად ავლებს გონებას და საგანთა შორის არსებული წესრიგის მიზეზად მას კი არა თვლის, არამედ ჰაერს, ეთერს, წყალს და სხვა მრავალ უადგილო და უაზრო რამეს. ამან ჩემზე ზუსტად ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორსაც მოახდენდენ იმის სიტყვები, ვინც ახე მოკუვერდა მტკიცებას: ყველაფერს, რასაც სოკრატე აკეთებს, გონების კარნახით აკეთებსო, მერე კი, როცა თვითეული ჩემი მოქმედების მიზეზზე დაიწყება დაპარაკს, უწინარეს ყოვლისა, იტყუა, თითქოს დღეს აქ იმითომ ვზიარ, რომ ჩემი სხეული ძვლებსა და კუნთებისაგან შედგება, რომ ძვლები მკვრივია და ერთმანეთისაგან ხახხრებით გამოყოფილი, ხოლო კუნთებს დაკმებისა და მოდუნების უნარი შესწევთ, რომ ძვლებს გარედან ხორცი აკრავს, ხორცს კიდევ კანი, ამიტომ, რაკი ძვლები თავისუფლად მოძრაობენ ხახხრებში, ხოლო კუნთებს დაკმებისა და მოდუნების უნარი შესწევთ, მე შემიძლია ჩემი ასოები მოგზარო და იმის მიზეზიც ესაა, რომ დღეს აქ ვზიარ, აგრე მოხრილი, ასეთსავე უაზრობას იტყუა ისიც, ვინც თქვენთან ჩემი საუბრის მიზეზად ხმას, ჰაერს, სმენას თუ სხვა მისთანთ მიიჩნედა და ერთი სიტყვითაც არ შეეხებოდა ქეშპირტი მიზეზს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ, რაც ათენებებმა შეეცნოდა მიჩნევის ჩემი დამნაშავედ ცნობა, მცე უკეთესად ჩავთვალე აქ ვმკადარიყავი და მშვიდად დავლმრდებოდი სასკელს, რომელიც მე მიმესჯა. რადგან, ვფოცავ ძაღლს, ჩემი ძაღლი და ჩემი კუნთები დიდი ხანია უკვე შეგარას იქნებოდენ ან ბეოტიას, მე რომ ეს უკეთესად მიმჩინა და არ მეფიქრა — გაქცევასა და გაპარავზე ბევრად უფრო უმკობესია და მართებული, აქ დავჩრე და მოვიხადო ის სასკელი, რომელიც ქალაქმა მომისაჯა-მეთქი. ამრიგად, ყოველივე ამის მიზეზად მიჩნევა ფრიად უაზრო და უცნაური. თუ ვინმე ახე იტყუა: რომ არ გქონდეს ძვლები, კუნთები, ერთი სიტყვით, არ გქონდეს ის, რაც გაქვს, შენ ვერ შეძლებდი განზარბულის სისრულეში მოყვანასო, უთუოდ მართალს იტყუდა იგი. მაგრამ თუ ის იტყუა, რომ სწორედ ჩემი ძვლები და კუნთებია მიზეზი იმის კეთებისა, რასაც ვაკეთებ, და რომ თუმცა გონების კარნახით ვაკეთებ ყველაფერს, მაგრამ არა უკეთესის შერჩევის მიხნით, ეს აშკარა სისულელე იქნებოდა მისი მხრივ. რადგან ეს ნიშნავს, ვერ გაარჩიო, რა არის მიზეზი და რა არის ის,



რის გარეშეც მიზეზი ვერასოდეს ვერ იქნებოდა მიზეზი. მე მგონია, კაცთა უმრავლესობა სწორედ ამ უკანასკნელს დაეძებნენ ხელის ფათურით, ბნელში მოარულთა მსგავსად, და მიზეზს რომ უწოდებდნენ, მისთვის უცხო სახელით იხსენიებდნენ მას...

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ბერძნული ფილოსოფიური აზრი, ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის ცალკეული ასპექტები და „ტიმოქოსთან“ მათი კავშირის, მათი მიმართების პრობლემა. ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი მსოფლმხედველობრივი სისტემა — ბერძნული ატომიზმი, რომლის ფუძემდებლებადაც სახელგანთქმული აბდერელი მოქაზროვნეები — ლევკიპე და მისი მოწაფე დემოკრიტე გვევლინებიან. ლევკიპე, თავის მხრივ, ელემენტთა სკოლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ძენონის მოწაფე იყო და ატომისტთა მოძღვრება, ისევე როგორც ემპედოკლესა და ანაქსაგორას ფილოსოფიური სისტემები, ელემენტური მსოფლმხედველობის გარკვეული ზემოქმედებით ყალიბდება. ემპედოკლესი და ანაქსაგორასი არ იყოს, ატომისტების აზრითაც არ არსებობს საგანთა არავითარი წარმოშობა და არც მათი მოქსობა. ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებაა, ილუზია; სინამდვილეში კი ყველაფერი მატერიის მარადიული და უცვლელი ელემენტების შეერთებასა თუ გათიშვაზე დაიყვანება. ამ ელემენტებს, რომელთა რაოდენობაც უსასრულოა და რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმით („სქემა“, ანუ „იდეა“), წესრიგითა თუ მდებარეობით განირჩევიან, ლევკიპე და დემოკრიტე „ატომებს“, ანუ „განუყოფელთ“ უწოდებენ.

მაგრამ ატომისტები არა მარტო ეთანხმებიან ელემენტებს, არამედ კიდევ უპირისპირდებიან მათ: უპირისპირდებიან, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ სიმრავლის, მოძრაობისა და როგორც ერთის, ისე მეორის აუცილებელი პირობის — ცარიელი სივრცის არსებობის შესაძლებლობას აღიარებენ. ცარიელ სივრცესა თუ სივრცეაღელს ელემენტები არარსად, არარაობად თვლიდნენ, ატომისტების თანახმად კი არარსი, გარკვეული აზრით, ისევე არსებობს, როგორც არსი. სივრცისთვის გარეშე წარმოუდგენელია მოძრაობა, ვინაიდან ვერაფერი ვერ იმოძრაავებს სავსე სივრცეში. ნებისმიერი რთული საგანი თავის თავში შეიცავს სივრცეებს. მხოლოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სხეულის მოცულობა შეიძლება შემცირდეს (ვთქვათ, გაცივებისას), მასა კი უცვლელი დარჩეს. ამითვე აიხსნება განსხვავებაც სიმკვრივესა და გაუზოგებულ მდგომარეობას შორის, რაზედაც დამოკიდებულია სხეულის ზედაპირით წონა, ამასთან, ნებისმიერი რთული, ნებისმიერი შედგენილი სხეულის ესა თუ ის თვისება განპირობებულია თვით მისი შედგენილობის თავისებურებით, თუ თვისე-

ბა იცვლება, მასა კი უცვლელი რჩება, ეს ნიშნავს, რომ ცვლილება შემადგენელი ატომების წესრიგისა თუ მდებარეობის შეცვლითაა გამოწვეული.

არისტოტელეს მოწმობით, „ლევკიპე და მისი მიმდევარი დემოკრიტე ელემენტებად სისავსესესა და სივრცეაღელს თვლიან, რომელთაგანაც ერთს არსად, მეორეს კი არარსად მიიჩნევენ; კერძოდ, სავსეს და მკვრივს — არსად, ცარიელს და გაუზოგებულს კი არარსად (ამიტომაც ამბობენ ისინი, რომ არსი სულაც არ არსებობს უფრო მეტად, ვიდრე არარსი, რადგან სხეულიც უფრო მეტად როდი არსებობს, ვიდრე სივრცეაღელი), ხოლო არსებობის მატერიალურ მიზეზად როგორც ერთს, ისე მეორეს აღიარებენ. და იმათ მსგავსად, ვისი აზრითაც ძირითადი არსი ერთიანია, ხოლო ყოველივე დანარჩენი მისი თვისებებიდან გამოიყვანება, ლევკიპეც და დემოკრიტეც ამტკიცებენ, რომ ატომთა განსხვავება ყოვლის მიზეზი, ამასთანავე, მიუთითებენ სამ განმასხვავებელ ნიშანს: მოხაზულობას, წესრიგს და მდებარეობას. რადგანაც არსი, ამბობენ ისინი, განსხვავდება მხოლოდ „წყობით“, „შეხებითა“ და „მოქცევით“; ამთგან „წყობა“ მოხაზულობაა, „შეხება“ — წესრიგი, ხოლო „მოქცევა“ — მდებარეობა. სახელგებოთ, A განსხვავდება N-ისაგან მოხაზულობით, AN—NA-საგან წესრიგით, N—N-საგან მდებარეობით...“

როგორც აღვნიშნეთ, მატერიის პირველადი ელემენტების — ატომების რიცხვი უსასრულოა („ლევკიპე, დემოკრიტე... ეპიკურე: ატომების სიმრავლე უსასრულოა, სივრცეაღელი კი უსაზღვროა სიდიდით“). ამ მხრივ, ატომისტები ანაქსაგორას თვალსაზრისს იზიარებენ. მაგრამ ისინი თვლიან, რომ ყოველი ცალკეული ელემენტი ასევე უსასრულოდ დაყოფადი კი არ არის, არამედ მას დაყოფადობის აბსოლუტური ზღვარი აქვს და ეს ზღვარი არის ატომი. „ზოგიერთები აღიარებენ ატომებს და ფიქრობენ, რომ დაყოფა დაუაოფლებზე ჩერდება და უსასრულობაში აღარ გადადის“, — გვაუწყებს აცილუსი, ხოლო დიოგენე დარტელი შემდგენიარად გადმოგვცემს ლევკიპესა და დემოკრიტეს მიმდევრის ეპიკურეს თვალსაზრისს: „უნდა უარყოფთ უსასრულო დაყოფადობა სულ უფრო და უფრო მცირე ნაწილებამდე, რათა მთლიანად არ განვძარცვოთ ძალისაგან ყოველივე არსებული, თორემ შეიძლება რთულ სხეულთა ჩვენეულ ცნებებში არარაობად ვაქციოთ არსი და, ამრიგად, მის გარეშე დავრჩეთ“. ამ ცნობებს მხარს უმაგრებს სიმპლიციუსის მოწმობაც: „სხვები კი, რომლებიც უარყოფენ უსასრულო დაყოფადობას იმ მოხაზრებით, რომ ჩვენ, არსებობთად, არ შეგვიძლია უსასრულოდ გავაგრძელოთ დაყოფა და ამრიგად დავრწმუნდით დაყოფადობის უსასრულობაში, — ამტკიცებენ, რომ

სხეულები განუყოფელთაგან შედგებიან და სწორედ ამ განუყოფელბაშივე იყოფიან. ლექვი-პე და დემოკრატე განუყოფლობის მიზეზად პაწაწინა პირველად სხეულებს მიიჩნევენ არა მარტო მათი შეუღწევლობის, არამედ მათი სიმცირისა და ნაწილთა უქონლობის გამოც“.

მატერის ეს უმარტივესი და უმცირესი ელემენტები, ანუ ატომები აბსოლუტურად მკერძივ და წარუვალაი ნაწილაკებია. ყოველი მათგანი-სათვის დამახასიათებელია პარმენიდეს „არსის“ ესა თუ ის არსებითი ნიშანი: ისინიც მარადი-უფლი, უცვლელნი, განუყოფელნი, შეუღწეველნი, მთლიანად „სავსენი“ არიან. მათი განუყოფ-ლობა ლექვიპებს პირდაპირ გამოჰყავს „არარსის“ ელვატური განსაზღვრებიდან; ყოველი არსი მთლიანად არსია, რომლისთვისაც უცხოა ყო-ველგვარი არარსი, ყოველგვარი სიცარიელე. და რაკი სიცარიელის გარეშე შეუძლებელია გა-ყოფა (ელველთა თეზისი), ამიტომ ატომებიც განუყოფელნი არიან. პარმენიდეს ფილოსოფიის ძირითადი ცნება არსის სისავსე გახლავთ, ატო-მები კი სისავსის ელემენტებად გვევლინებიან; ამიტომაც არიან ისინი მარტივი, უცვლელნი და განუყოფელნი. ამასთან, ატომებს არავითარ თვისება არ მიეწერებათ, სიცარიელის ავ-სების გარდა: „თავიანთი რაოდენობით უსას-რულო არსნი, უხილავნი და განურჩეველნი, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი თვისება და არავითარი გარეგან ზემოქმედებას არ ექვემდებ-არებიან, უთავბოლოდ რიალებენ, ცარიელ სივრცეში მიმოფანტულნი“ — ამ სიტყვებით ახასიათებს ლექვიპესა და დემოკრიტეს ატო-მებს პლუტარქე, ვის აზრსაც უცვლელად იმ-ერებს გალენუსიც: „ატომები არიან ათასნა-ირი პაწაწინა სხეულები, რომლებსაც თვისებე-ბი არ გააჩნიათ...“

თუმცა ლექვიპესა და დემოკრიტეს სახელ-განთქმული მიმდევარი ეპიკურე ერთგან შეინიშ-ნავს: „უნდა ვიფიქროთ, რომ ატომები არ ფილოსოფი ხილულ საგანთა არავითარი თვისებას, ფორმის, წონის, სიდიდის და ყველა იმ თავი-სებურების გარდა, რომლებიც ბუნებრივად უკავშირდებიან ფორმას. რადგანაც ყოველი თვისება ცვალებადია, ატომები კი უცვლელ-ნი არიან, ვინაიდან აუცილებელია, რომ შედ-გენილ სხეულთა დაშლისას ყოველთვის რჩე-ბოდეს რაღაც მუდარი და დაუშლელი, რაც გა-ნაპირობებდა ცვალებადობას... ამ თუ იმ ნა-წილაკთა გადანაცვლებით, ან კიდევ მათი დაკ-ლებიან თუ მიმატების საშუალებით...“ მაგ-რამ ყველა ზემოაღნიშნული თვისება თუ თავი-სებურება (ფორმა, წონა, სიდიდე და სხვ.) უშუალო ატომის გამოვლენას უკავშირდება, ვი-ნემ მის არსს. სინამდვილეში კი ატომისტები ყოველთვის ზანჯანით აღნიშნავენ არა ატომთა თვისობრივობას, არამედ სწორედ ჰვისებების უქონლობას.

მეტოც, ლექვიპესა და დემოკრიტეს თანხმად, გრძობებით აღქმადი ესა თუ ის თვისება არამე-ტო ატომებს, თვით ერთულ სხეულებსაც არ გააჩნიათ; „მხოლოდ ზოგად წარმოდგენაში არ-სებობს ფერი, წარმოდგენაში არსებობს ტკი-ლი, წარმოდგენაში არსებობს მწარე, სინამდვი-ლეში კი არსებობენ მხოლოდ ატომები და სი-ცარიელე“. ამას ატაკიცებს დემოკრიტე, ვისი აზრითაც, გრძობებით აღქმადი ყველა თვისება ატომთა შეერთებისაგან იღებს დასაბამს: ყვე-ლა თვისება მხოლოდ ჩვენთვის, მათ აღქმელ-თათვის არსებობს, ბუნებით კი არაფერია არც თეთრი და არც შავი, არც ყვითელი და არც წითელი, არც მწარე და არც ტკბალი; — წერს გალენუსი. ამ აზრს სიტყვასიტყვით იმერებს სექსტუს ემპირიუსიც: „დემოკრიტე ზოგჯერ უარყოფს გრძობებით აღქმად მოვლენებს და ამბობს, რომ არც ერთი მათგანი არ არსებობს კერძობრივად, არამედ მხოლოდ წარმოდგენაში, კერძობრივად კი არსებობენ მარტოდენ ატო-მები და სიცარიელე...“

რადა რჩება? — მხოლოდ სიცარიელეში უთავ-ბოლოდ მოფუთფუთე ატომთა ნაირგვარობა, რაც ისევე უსასრულოა, როგორც მათი რიცხ-ვი. ატომების ფორმა წარმოუდგენლად მრავ-ალფეროვანია: „რადგან ასეთია დემოკრიტესა და უფრო ადრე ლექვიპეს ურცხვი მტკიცება, თითქოს არსებობენ ერთგვარი პაწაწინა მსუ-ბუქი სხეულები — ზოგი მქინე, ზოგი მრგვალი, ზოგი კაუჭა და კუთხიანი, ზოგი მრულე და ჩაწეწილი, და სწორედ ამ სხეულებისაგან წარ-მოიქმნა ცა და მიწა, ამასთან, ეს წარმოქმნა ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედების გარეშე მოხდა, გარეგნებთა შემთხვევითი დაშთხვევის შედეგად...“ საკუთრივ ატომებისათვის ნიშ-ნეულია მხოლოდ ფორმა, კონფიგურაციათა თუ გეომეტრიულ სტრუქტურათა სხვადასხვაობა. ნაირგვარ ატომთა შერწყმა-შეერთება წარმოქ-მნის არა მარტო გრძობად-კონკრეტულ საგან-თა უსასრულო სიმრავლეს, არამედ მათი თვი-სებების უსასრულო მრავალფეროვნებასაც, ვინაიდან ატომთა შერწყმა დასაბამს აძლევს რაღაც ახალს, რაც შერწყმამდე სულაც არ იყო თვით ატომებში. ასე რომ, გრძობად-კონკრე-ტული სინამდვილის მთელი მრავალფეროვნება, არსებითად, ატომთა გეომეტრიაზე დაიყვანება.

თანამედროვე ატომური ფიზიკის ერთ-ერთი ბურჯის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვერნერ კარლ მაიხენბერგის შეფასებით, ატომისტების თეორია წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მათი ზოგიერთი წინამორბედის ფილოსოფიურ სის-ტემებთან შედარებით: „...ყველა ზემოხსენე-ბული კონცეფცია (იგულისხმება თალესის, პარ-მენიდეს, ანაქსაგორასა და ემპედოკლეს კონ-ცეფციები — ბ. ბ.) საფუძველს უმზადებდა იდეას, რომლის თანხმადაც ფიზიკური სამყა-როს თვისობრივი მრავალფეროვნება რაოდენობ-



რივ თანაფარდობებზე, მათი პროპორციულობის ცვალებადობებზე დაიყვანება, — იდეას, რომელიც თანამედვერულად გატარებულია ლევიკი-სეა და დემოკრატის ატომისტურ მოძღვრებაში. ამ მოძღვრების მიხედვით არსებულად ითვლება მხოლოდ მატერიის შემადგენელი უმცირესი და დაუყოფელი ნაწილაკები, ანუ ატომები, რომლებსაც ერაღერტი თვისება აქვთ. — თვისება სივრცის ავსებისა. გრძობად-კონკრეტულ მოვლენათა ყველა თვისობრივი სხვაობა აიხსნება ატომთა ფორმის, ცარიელ სივრცეში მათი მოძრაობისა და მდებარეობის სხვადასხვაობით.

მატერიის ცნების განვითარება თალესიდან დემოკრიტმდე უთუოდ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნივთიერების თვისებათა ახსნისა და შეცნობის გზაზე. უშუალოდ და თვალსაჩინოდ იქნა წარმოდგენილი ნივთიერების სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობათა შესაძლებლობა; მეცნიერებამ შეძლო რაციონალურად გაეფარტა რამდენიმე სითხის შეზავებისთან დაკავშირებული მოვლენები და (როგორც დღესაა ცნობილი) ფაქტობრივად, უკვე მაშინ მიღწეულ იქნა იმხანად ჭერ კიდევ უცნობი ქიმიური კავშირის თვალსაჩინო გეომეტრიული ინტერპრეტაცია. იმავდროულად, — თუმცა სერიოზული საფუძველი გვაქვს საიმიხოდ, რომ აღფრთოვანებულნი ვიყოთ ამნაირი პროგრესითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზრის თანმიმდევრულ განვითარებაში მიღწეული წარმატებებით, — უნდა გვახსოვდეს, რომ ამ წარმატებებს მომდევნო პერიოდში გარღვევალად უკავშირდება საკმაოდ სარისკო უარის თქმა თვისებათა „უშუალო“ წედომასა და გაგებაზე. ჩვენს აღქმაში ფერი, სუნი, გემო და სხვა მათნაირი თვისებები ისეთსავე უშუალო მიწანაცემებად გვევლინებიან, როგორც ფორმა და მოძრაობა. ატომთა განძარცვა ამ თვისებებისაგან — ხოლო ატომისტური ჰიპოთეზის ძალას სწორად ეს აბსტრაქცია განაპირობებს,— იმასა ნიშნავს, რომ წინააწარვე უარი ვთქვათ საკანთა თვისებების „გაგებაზე“ საერთო ატომის შესახებ ჩვენი წარმოდგენების გამოყენებით. ნაცვლად იმისა, რასაც ჩვენ „უშუალო გაგება“ ვუწოდებთ, ატომისტურ თეორიაში ჩნდება ერთგვარი „ნადავტყუარი“ ახსნა: თვისებები — „წითელი“, „მწავი“ და სხვა მისთანანი წარმოიდგინება ატომთა განლაგების ამა თუ იმ გეომეტრიული ანდა დინამიკური სქემით. თვისებებს შორის ცდით დადგენილ ურთიერთკავშირს შეესაბამება თითქმის თვალსაჩინო გეომეტრიული ურთიერთკავშირი, რასაც ვეთავაზობს ატომისტური სქემა. სამყაროს თვისობრივი მრავალფეროვნება „აიხსნება“ გეომეტრიულ კონფიგურაციათა სხვადასხვაობაზე მისი დაყვანით...“

9. „ცისკარი“, № 4.

ატომური გეომეტრიზმის ანტიკურ პრინციპს თანამედროვეობის ატომისტურ კონცეფციას რამე ადარებს, მეორე დიდი ფიზიკოსი, ვერნერ ჰაიზენბერგთან ერთად კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ერვინ შრედინგერი თავის სტატიაში „კვანტური თეორიის 2400 წელი“ წერს: „ხოლოდ ახლა გეომეტრიულ პროტოტიპებად მატერიალურ ნაწილაკთა თვისებებში კი არა, უშუალო თვით სივრცე-დროის კონტინუუმის გეომეტრიული თვისებების (სახელობარ, სიძრუდის) გარდა. ასე რომ, არ არსებობს განსხვავება ნაწილაკთა გეომეტრიასა და კონტინუუმის გეომეტრიას შორის“.

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ანტიკურ ატომიზმს. მატერიის მარადიული, უმცირესი, უხილავი და ურცხვე სხვადასხვა ფორმის მქონე ნაწილაკები გაშუღმებით რიალებენ ცარიელ სივრცეში, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა უკვეღვარო თვისობრივი განსაზღვრულობის უქონლად, აბსოლუტური ამორფულობა და განურჩევლობა. ამასთანავე, ატომისტები ერთი სიტყვითაც არ ეხებიან ატომთა მოძრაობის მიზეზს, მაგრამ ამას დაუდევრობის გამო როდი სჩადიან, როგორც ფაქტობდა არისტოტელე. საქმე ისაა, რომ ატომისტების აზრით ელემენტთა მოძრაობის მიზეზი მათ მიღმა კი არა ძევს, როგორც, ვთქვათ, ემპედოკლესა თუ ანაქსაგორასათვის, არამედ ამ ელემენტებისაგან განუყოფელი გახლავთ. ატომი და მოძრაობა ორმხრივად განსაზღვრავენ ერთიმეორეს. ატომი წარმოუდგენელია მოძრაობის გარეშე, ხოლო მოძრაობა, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ატომის მოძრაობა. ასეთია მატერიისა და მოძრაობის დაღლიტქცია. მატერია მოძრაობაა, მოძრაობა კი მატერია.

უსასრულო სივარდილის წიაღში შმაგად მროკავი, მარადიული წრებრუნვის ფერხულში ჩაბმული ატომები მზის სხივებში მორიადე პაწაწინა ცახებევით წმადუწმად ეხლებიან და ეკახებიან ან ისხლებენ და ირეკლავენ ერთმანეთს, განუწყვეტელივ ერთდებიან ან შორდებიან, კვლავ ეწეწიან თუ ერწყმიან ერთიმეორეს და, ამრიგად, ქმნიან უცნაურ და უცხო ნაერთებს, უთვალავფერად ნაქარგი ნაყუებით მოჩითულ ქსოვილად რომ აქცევენ უსახო და უსაზნო ქაოსს. მარადიული მოძრაობისა და ცვალებადობის, ანუ სამყაროლო ქმნადობის მთელი ეს დაუსაბამო და დაუსრულებელი პროცესი ატომების „კოსმიური ქორეოგრაფითა“ განპირობებული, ხილული საყაროს ყველა საგანი ატომთა შერთების წყალობით ენარება არსე-

ბოზას და მათივე გათიშვის შედეგად უბრუნდება არყოფნის წიაღს. აქ ყველაფერი ცვალებადია და წარმავალი, გარდა თვით ატომებისა.

„ატომები არიან ათანხარი პაწაწინა სხეულები, რომლებსაც თვისებები არ გააჩნიათ. სიციველი კი ერთგვარი ადგილი, რომელშიაც და სხეულები მთელი მარადისობის მანძილზე დაპქირიან წემოთ და ქვემოთ, ხან თავისებურად ეწვნიან, ხანაც ეტახებიან და ისლეტენ ერთიმეორეს, შორდებიან, კვლავ ერთდებიან სხვადასხვა შენაერთებად და ამრიგად ქმნიან რთულ საენებს, ისევე როგორც ჩვენს სხეულებს, მათ მღვამარობებს თუ შეგარძნებებსაც. ატომისებრი თვლიან, რომ ეს პირველადი სხეულები არავითარ წემოქმედებან არ განიცდიან... შეუძლებელია ასე თუ ისე შეიცვალონ ისინი, შეუძლებელია დაქვემდებარონ რაიმე ცვლილებას, რაც გრძნობადი ცდის საფუძველზე ურყევად სწამს ყველას. ასე მაგალითად, არც ერთი ატომი არა თბება და არც ცივდება, არც მშრალი თუ სველი ხდება, მით უმეტეს, თითრად ან შვად არ იქცევა და, საერთოდ, არ იღებს არავითარ სხვა თვისებას, ვინაიდან ატომისათვის უცხოა ყოველგვარი ცვალებადობა“.

ბერკენ ატომისტია ამ კონცეფციის გალენუსისეულ ინტერპრეტაციას თითქმის უცვლელად იმეორებს დიოგენე ლაერტილიც: „...ატომები ურიცხვნი არიან სიმრავლითა და სიდიდითა სხვადასხვაობით. ისინი დაპქირიან მთელს სამყაროში, გრივალში შმაგად მბრუნავნი, და აწინარად იბადება ყოველივე რთული: ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელნი ამა თუ იმ ატომთა ნაერთებად გვევლენიან. თვით ატომები კი არავითარ წემოქმედებას არ განიცდიან და უცვლელნი არიან სიმკვრივის გამო“. ურიცხვი და უსასრულოდ მრავალფეროვანი ატომები, რომლებიც ისე დაპქირიან, ისე ბრუნავენ ცარიელ სივრცეში, როგორც, დანტეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „გრივალის სუნთქვით ატაცებულ ქვეშა“ (come la rena quando a turbo spira), ურთიერთშეჯახებისა და შეერთებისას ქმნიან ყველაფერს, ელემენტარული სხეულებიდან (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) მოყოლებული მთელს სამყაროდ:

თავდაპირველად წარმოიქმნება ატომთა რთული კომპლექსი, რომელიც ზელსაყრელ ვითარებაში სულ უფრო და უფრო იზრდება. სხვა ატომური კომპლექსებთან შეჯახება განაპირობებს მის უსასრულო წრიულ მოძრაობას. ასე ყალიბდება მბრუნავი სფეროსებრი ბირთვი, რომელიც თავის მოძრაობაში ატომთა სულ უფრო და უფრო მეტ მასას ითრებს. ამ მბრუნავი მასის ზედაპირს თანდათანობით ეკვრის მკვრივი ქერქი, რომელიც სამყაროული სივრცისაგან გამოყოფს და, იმავდროულად, გარეგანი წემოქ-

მიედებისგანაც იცავს მას. თვით სფეროს შიგნითაც კი წრებრუნვის შედეგად ხდება ატომთა მექანიკური სეგრეგაცია, მათი თავისებური დახარისხება: სფეროს ცენტრში გავლულებიან ყველაზე მძიმე და ზანტად მოძრავი ატომები, მაშინ როდესაც ყველაზე სწრაფი, ყველაზე ნატიფი და მსუბუქი ატომები პერიფერიის გასწვრივ იყრიან თავს. სფეროს ცენტრში, სულ უფრო და უფრო მზარდი კონცენტრაციის შედეგად, თანდათანობით, ყალიბდება მკვრივი კოსმიური სხეული — დედამიწა, ნატიფი პერიფერიული ატომები კი მწეს, მთვარეს, პლანეტებს და სხვა ვარსკვლავებს აძლევენ დასაბამს. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს სამყაროს უსასრული სივრცის ყველა სხვა ნაწილშიც, ასე რომ, სამყაროთა რიცხვი უსასრულოა („ლევკაზე და დემოკრიტე ამტკიცებენ, რომ უსასრულო სიციველიში არსებობს სამყაროთა ურიცხვი სიმრავლე, და რომ ისინი ატყობა უსასრულო სიმრავლისგან იღებენ დასაბამს“). ყველა ცალკეული სამყარო დასაბამის მქონე და სასრული, მაშინ როდესაც მთელი კოსმოსი დაუსაბამოა და უსასრულო.

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ სამყაროული პრობლემის მთელი ეს უსასრულო პროცესი, ატომისტების თანახმად, აუცილებლობის უშუალოდ კანონებით წარიმართება: „უკვლავური აუცილებლობის ძალითა ხდება, რადგანაც ყოვლის აღმოცენების მიზეზია გრივალი, რომელსაც დემოკრიტე აუცილებლობას („ანდაქა“) უწოდებს...“ „დემოკრიტე აბდერელი... ფიქრობდა, რომ დასაბამიდან, უსასრულო დროის განმავლობაში ყველაფერი — წარსული, აწმყო და მომავალი — აუცილებლობის ძალით ხდება“. მართებულად შენიშნავს ა. ლოსევი: „ატომისტები გამოდიოდნენ აუცილებლობის ცნებიდან; მათ მთელი სამყარო მოძრაობის მკაცრ კანონებს დაუმორჩილეს და, თუ ამ კანონებს პედანტურად თანმიმდევრული თეორემებით არ აუალიბებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდათ დაშორებოდნენ ატომთა მოძრაობის ინტუიტურ სურათებებს და ატომთა ამ, ერთის შეხედვით, ქაოტურ ნაერთებს აღქვამდნენ, როგორც კანონზომიერ, როგორც აუცილებლობის ძალით არსებულ და თვით ატომთა ბუნებისაგან წარმოშობილ. აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა ინტუიტური სახით უკვე სრულიად ნათელი იყო პირველი ატომისტებისათვის.

თვალში საცემია ისიც, რომ ატომისტებმა ვერ შექმნეს გვერდი აველოთ ვერც ქაოსისა და ვერც კოსმოსის ცნებისათვის... მარადიული ქაოსი, რქველიც თავისი წიაღიდან ბადებს უსასრულო კოსმოსთა ურიცხვ სიმრავლეს, დედობის ირაციონალურობის აღიარებისა და ყოველივე არსებულის რაციონალური კანონზომიერების უღრმესი რქმენის ვასოცარი შე-



სამება, — ყოველივე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მარადიული და აბსოლუტურად განუ-საზღვრელი უწყისიგობისა და საგნების ჰედურ ფორმათა დიალექტიკური შერწყმის წყალობით, საგნებისა, უშუალოდ რომ გვიმოწმებენ თავიანთ მოწესრიგებულობას, კანონზომიერებასა და ლოგიკურობას. ქაოსისა და კოსმოსის ეს დიალექტიკა თავისუფლებისა და აუცილებლობის ზემოთ ფორმულირებულ დიალექტიკას ენათე-სხვება, მაგრამ მისი იდენტური როლია... ეგვიპ არ იყო, ატომთა მთელი ეს კოსმიური ქორე-ოგრაფია რომელიდაც უცნობი ძალითა და აუ-ცილებლობით წარმოართება, რასაც ატომისტე-ბი, რა თქმა უნდა, ბედისწერისაგან არ ასხვა-ვებდნენ. ესაა მარადიული ცეკვა, ღმერთმა იცის, ვის მიერ წარმართული ატომებისა. მეტიც, ესაა ერთგვარი კოსმიური სექტაკლი თუ სცე-ნა, აბსოლუტურად თავისუფალი და ერთმანე-ნისაგან დამოუკიდებელი მოცეკვავე ატომების ერთგვარი კოსმიური ბალეტი, რომლის მიღმაც იმალება ვიღაც უცნობი დამდგმელი; მაგრამ ირკვევა, რომ ეს დამდგმელი იგივე ატომებია და სიცარიელე, სხვა არაფერი. ესაა შუდღე დაბამდებთა და გადაღებთა უსიხარულო, მაგ-რამ, იმავდროულად, უმწუხრო მარადისობაც, რომელშიაც უველაფერი მათემატიკურად ნა-თელია, მაგრამ ამათთანვე — იდუმალიც...

ლევიკებსა და დემოკრიტს მოძღვრების ცალ-კეულ ასპექტთა ეს ზოგადი მიმოხილვაც კი ვერაწმუნებს, რომ პლატონს ბევრი რამ ანა-თესავებს ატომისტებთან, რასაც ხაზგასმით აღ-ნიშნავდა ჯერ კიდევ არისტოტელე. მართალია, ისტორიულად ცნობილი გახლავთ, რომ ბერძ-ნული ფილოსოფიური აზრის მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულების მამათავრები — დემოკრიტე და პლატონი თითქმის სრული-ად არ სცნობენ და ხშირ შემთხვევაში დუმი-ლით უვლიან ვერადს ერთიმეორეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ ფიზიკასა თუ კოსმო-ლოგიას, ანთროპოლოგიასა თუ გნოსელოგიას შეხვედრის არაერთი წერტილი მოეძებნება. ჯერ ერთი, პლატონიცა და დემოკრიტეც ჰემ-მარიტად მხოლოდ გონით სავდომ, ინტელი-გობილურ რეალობასა თვლიან. მაგრამ ამ პირ-წმინდად ფორმალური მსგავსების მიღმა ისეთი-ვე განსხვავება იჩენს თავს, როგორც ორივე მოაზროვნისათვის ნიშნული ტერმინის — „იდე-ისა“ თუ „იდეოსის“ ხმარებისას, რომლითაც პლატონის ნააზრევში ზეგრძნობადი სინამდვი-ლის ჰემმარიტი არსნი იწოდებიან, მაშინ რო-დესაც დემოკრიტე გრძნობადი სამყაროს პირ-ველადი ელემენტების, ანუ ატომების აღსანიშ-ნავად იყენებს მას. „პლატონისა და დემოკრი-ტის მიმდევრები — წერის სექსტუს ემპირიკუ-სი, — ჰემმარიტად მხოლოდ გონით სავდომს მიიჩნევდნენ. მაგრამ დემოკრიტე ასე ფიქრობ-და იმიტომ, რომ ბუნების საფუძვლად არა

დევს არავითარი გრძნობადი. რადგანაც ვე-ლაფერი წარმოიქმნება ატომებისგან, რომელ-საც არავითარი გრძნობადი თვისება არ გააჩ-ნიათ. პლატონი კი ასე ფიქრობდა იმიტომ, რომ, მისი აზრით, გრძნობადი გამუდმებით იქ-მნება, მაგრამ არასოდეს არ არსებობს. ვინაი-დან სამყარო მდინარეებზე მიედინება...”

ეგვიპ არ იყო, ბერძნული ფილოსოფიის მკვლევართა და ისტორიკოსთა აზრით, ასეთივე მსგავსება არსებობს პლატონისა და დემოკრი-ტის გნოსეოლოგიურ სისტემებს შორისაც. როგორც ვიცით, პლატონისა მისელებით, მთე-ლი არსებობა, მთელი ყოფიერება პირთარქიუ-ლია: ორი სხვადასხვა „ზონისა“ თუ „ფენისაგან“ შედგება, რომელთა ღირებულებისა და რეალო-ბის ხარისხიც სხვადასხვაა. პირველი — ესაა ინტე-ლიგიბილური სინამდვილე, იდეათა სამყარო, რო-მელსაც ელემენტა „არსის“ პრედეკატები მიე-წერება: სუბსტანციური ერთობა, თავისთავა-დობა, მარად უცვლელიობა, წარუვალობა, თვით-იგივეობა, ჰემმარიტი არსებობა („ტო ონტოს ონ“). მეორე — მატერიალური სინამდვილე, გრძნობად-კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა სამყარო — სანირისპირო პრედეკატებით ხსნი-ათდება: მრავლობითობა, არათავისთავადობა, მიწყვე ცვლადობა, წარმავლობა, თვითგანსხვა-ვება და მარად ქმნადობა („გენესის“), ანუ არს-თან და, იმავდროულად, არარსთან წილნაყარო-ბა, ზლოდ არსი ამ შემთხვევაში იდეაა, არარსი კი მატერია. ყოფიერების ამ ორ სხვადასხვა სფეროს შემცენების ორი სხვადასხვა სახე შე-ესაბამება, იდეალური სინამდვილე აზროვნების („ნონესის“) ობიექტია, მატერიალური სინამდვი-ლი გრძნობადი აღქმისა („აიბთესის“). ამათგან მხოლოდ „აზროვნება“ მყარი და ჰემმარიტი ვინაიდან ჰემმარიტია მისი საგანი, მაშინ როდე-საც გრძნობადი აღქმით მიღწეულ „შეხედულე-ბას“ თუ „წარმოდგენას“ („დოქსას“) ჰემმარიტე-ბის ან მცდარობის რაციონალური კრიტიკიუმი არ გააჩნია, რაც მისი საგნის მუდმივი ქმნადო-ბითა და ცვალებადობითაა განპირობებული.

ახლა ვნახოთ, როგორ გვიხსნიათებს შემეც-ნების დემოკრიტესეულ თეორიას სექსტუს ემ-პირიკუსი: „წესებში“ დემოკრიტე ლაპარაკობს ცოდნის ორ სახეზე, რომელთაგანაც ერთს გრძნობადი აღქმები უდევს საფუძვლად, მეო-რეს კი გონივრული განსჯა („ადანოა“). ამა-თან, გრძნვირულ განსჯას ის უწოდებს ჰემმ-არიტს, ზოლო გრძნობადი აღქმებით მიღწეულ ცოდნას „ბნელის“ („სკოტიე“) სახელით იხსე-ნიებს და მას ჰემმარიტების გარჩევის ვერაშე-ძლედ თვლის“. სექტუს ემპირიკუსი იქვე დას-ძენს: „მაშასადამე, დემოკრიტეს მიხედვითაც, კრიტიკურად გონება („ლოგოს“) გვევლინება, რომელსაც ის უწოდებს „ჰემმარიტ“ ცოდნას“. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შემეცნების დემოკრიტესეულ თეორიას სულ სხვა სახით

გაღმრველებს არისტოტელე, ვისი შტიციებიცაა, დემოკრიტე, ისევე როგორც ანაქსაგორა, ემპედოკლე და სხვები, ჰემშარიტად მიიჩნევადა თურმე გრძნობადი აღქმის მონაცემებს, რაც, არისტოტელეს აზრით, ძალზე ბუნდოვანსა ხდის შემეცნების შექანის არსს. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ დემოკრიტეს ვნახოლოგიურ კონცეფციას უფრო ზუსტად გვიხასიათებს სექსტუს ემპირიუსი, ერთი რამ მაინც აშკარაა: შემეცნების პლატონისა და დემოკრიტეულ თეორიებს შორის მხოლოდ პირწმინდად ფორმალური მსგავსება არსებობს. ვინაიდან პლატონის „გრძნობადი აღქმისა“ („აისტეისი“) და „აზროვნების“ („ნოესის“) საგანი რეალობის ორი სხვადასხვა საფეხურია — მატერიალური და იდეალური სინამდვილე, მაშინ როდესაც დემოკრიტეს „ბნელი“ და „ჰემშარიტი“ ცოდნის საგანი ერთი და იგივე — ფიზიკური სინამდვილე გახლავთ. ჰემშარიტი ცოდნის წყალობით ადამიანი მხოლოდ უფრო ღრმად იჭრება საგანთა ბუნების არსში, რაც გრძნობადი აღქმისათვის მიუწვდომელი რჩება: „როცა შემეცნების ბნელ სახეს უკვე აღარ შეუძლია მჭერით, სწენით, ყნოსვით, გემოთი ან შეხებით აღიქვას მეტისმეტად მცირე, კვლევა კი აუცილებლად უნდა ჩასწვდეს იმას, რაც უფრო ნატიფია და გრძნობადი აღქმისთვის მიუწვდომელი, მაშინ საქმეში ერთვან შემეცნების ჰემშარიტი სახე, რაკილა აზროვნების სფეროში ის უფრო დახვეწილ შემეცნებითს ორგანოს ფლობს“.

თვალში საცემია პარალელიზმი დემოკრიტესა და პლატონის ანთროპოლოგიაში შორისაც. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება სამყაროს, როგორც მიკროკოსმოსისა და ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც საერთოა ორივე მოაზროვნისათვის. „მსგავსად იმისა, როგორც სამყაროში ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მხოლოდ მართავენ, როგორც მაგალითად, ყოველივე ღვთაებრივი; მეორენი მართავენ და სხვის მიერაც მართულნი არიან, როგორც მაგალითად, ყოველივე ადამიანური (კერძოდ, ისინი მართულნი არიან ღვთაებრივის მიერ და იმავდროულად, მართავენ უფროსი ცხოველებს), შესამენი კი მხოლოდ მართულნი არიან, როგორც მაგალითად, უფროსი ცხოველები, — ზუსტად ასევე ადამიანშიც, რომელიც დემოკრიტეს მიხედვით, მიკროკოსმოსად გვევლინება, იგივე სურათი გვაქვს, ადამიანშიც, ზოგიერთი ნაწილი, როგორც მაგალითად, გონება მხოლოდ მართებს, მეორენი, როგორც მაგალითად, გული მართავენ და სხვაა მიერაც მართულნი არიან, შესამენი კი მხოლოდ მართულნი არიან, როგორც მაგალითად, გულისქემანი“.

ვარდა იმისა, რომ აქ ადამიანი სამყაროსთან (მიკროკოსმოსთან) შეპირისპირებით, მიკრო-

კოსმოსადაა დასახული, აშკარად საგრძნობად ნათესაობა დემოკრიტესა და პლატონის ქოლოგიურ წარმოდგენებს შორის: ადამიანის გონივრული და სულიერი საწყისის სამად განწილულობის დემოკრიტესული კონცეფცია საქმოდ ახლოს დგას სულის სამსახოვანი განწილულობის პლატონურ თეორიასთან, რომელიც ჰერ კიდევ „ფედროსიდან“ იღებს დასაბამს და საბოლოო სახით ყალიბდება „ტიმეოსში“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ფილოსოფოსის აზრით, სული გვევლინება სხეულის გამოძავებელ საწყისად. მაგრამ ვიდრე ზოგიერთი მკვლევარის მსგავსად გადაჭარბებულ მნიშვნელობას მივანიჭებდით ამ ორი ფსიქოლოგიური კონცეფციის ერთგვარ სიახლოვეს და ნათესაობას, უნდა გავითვალისწინოთ ის უზარმაზარი განსხვავება, რომელიც დებს მათ შორის: დემოკრიტეს მიხედვით, სული მატერიალურია, პლატონის მიხედვით კი იმმატერიალური; პირველის მიხედვით, სული მოკვდავია, მეორის მიხედვით კი უკვდავია... ამიტომ შეიძლება დაბეჭთებით ითქვას, რომ პლატონისა და დემოკრიტეს ანთროპოლოგიურ შეხედულებებს შორის საერთოა მხოლოდ ერთი მომენტი, რომლის მიხედვითაც ადამიანი, სამყაროსთან (მიკროკოსმოსთან) შეპირისპირებით, მიკროკოსმოსად გვევლინება.

ბერძნული ფილოსოფიისა და მეცნიერების მკვლევარნი ბევრს ლამაზაჟობენ არა მარტო ორი მოაზროვნის ატომისტური მოძღვრების მსგავსებაზე, არამედ დემოკრიტეს დოქტრინისაგან პლატონის უშუალო დამოკიდებულებაზედაც. მართლაც, ხომ აშკარაა, რომ დემოკრიტესა და პლატონიც კორპუსკულარული თეორიით ხსნიან ელემენტთა და გრძნობადი თვისებათა წარმომავლობას? როგორც ვარაუდობენ, დემოკრიტეს ატომიზმი მატერიის მათემატიკური კონცეფციისაგან იღებს დასაბამს, რაც, ერთის შეხედვით, თითქმის უფრო თვალსაჩინოს ხდის ორივე ფილოსოფოსის შეხედულებათა მსგავსებას. მაგრამ აქ აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: ორიგინალობისა და სენსაციური „აღმოჩენების“ დაუოკებელი სურვილი ზშირად ჩრდილავს და აყალბებს ისტორიულ სიმართლეს. გულმოდგინედ ჩხრეკთ, აჭვოვებენ, ახარისხებენ და ანალიზებენ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებსა თუ დოკუმენტებს, პარალელურ პასაჟებს, ლექსიკურ ერთეულებს და თვით მხატვრულ ტროპებს, შეტაფორებს თუ შედარებებს, რათა მეტი დამაჭერებლობა შესძინოს ხელოვნურად შეოქონებულ თეორიებს თუ ჰიპოთეზებს. ამასობაში კი აღარ ახსოვთ, ან არ ესმით, არსებითი ხასიათის რა გამაღვანებელი სხვაობა იმალება ყურით მოთრეული მსგავსების მიღმა. აი, კვლევის ამ მანიკერი მეთოდის ერთი ტიპური ნიმუში:

სექსტუს ემპირიუსი დემოკრიტეს მოძღვრე-



ბის ერთ კერძ ასპექტთან დაკავშირებით წერს: „დემოკრატე შემდეგ ვაგანავლის სულიერი არსებების და უსულო საგნებისთვისაც: სულდგმულიანი — ამოხსნის ის, — იმავე სახეობის არსებებთან იყრიან თავს, რომელსაც ეკუთვნის თავდაცვა; ასე მაგალითად, მტრედები — მტრედებთან, წეროები — წეროებთან... იგივე ითქმის უსულო საგნების მიმართაც, როგორც გვარწმუნებს თხსლის გაცხრილებისა და ზღვის პირას გამოირყეული კენჭების მაგალითი. პირველ შემთხვევაში, ცხრილის ტრილისას, ოსპის მარცვლები ოსპისავე მარცვლებთან იყრიან თავს, ქერისა კი ქერის მარცვლებთან, ხლო მეორე შემთხვევაში, ზღვის ტალღების მოქცევისას, მოგრობ კენჭები ცალ მხარეს გროვდებიან, მრგვალი კენჭები კი მეორე მხარეს. ასე რომ, საგანთა მსგავსების თითქმის იმის უნარი აქვს, რომ ერთგან მოქუჩოს ისინი და ერთად მოუყაროს თავი“.

მეორეს მხრივ, პლატონი თავის „ტიმოქონს“ სივრცის ქოატურ მოძრაობას, რომელიც ასევე ქოატურად არყევს და აქეთ-იქით ფანტავს მის წიაღში ნახევრად ფორმირებულ ელემენტებს, მის შედეგადაც ყველაფერს, რაც ერთმანეთის არს გავსია, ერთად ქუჩდება, განსხვავებული კი „განზე გახსტება“... — ხორბლულის გაცხრილვას, ცხრილში გატარებას ადარებს: „...ის, რაც იძვროდა და ირყეოდა, ყოველწამიერად ნაწევრდებოდა და წარმოქმნილი ნაწილები სხვადასხვა მიმართულებით იფანტებოდა, როგორც ხორბალი გაცხრილვისას თუ ცხვში გატარებისას, როცა მკვრივი და მძიმე ერთ ადგილას იყრის თავს, რბილი და მსუბუქი კი განზე გახსტება და ცალკე გროვდება. ზუსტად ასევე, აქაც, ოთხი ზემოხსენებული საწყისი (ოთხი სხვადასხვა ელემენტი, — ბ. ბ.) ირყეოდა ყოველის მიმრქმელის (პირველადი მტერიის, — ბ. ბ.) მიერ, რომელიც თავისი მოძრაობით ერთგვარ ცხრილს მოგაგონებდათ, ყოველივე იმას, რაც ყველაზე ნაკლებად ჰგავს ერთიმეორეს, ყველაზე შორ-შორს ფანტავდა, ყველაზე მეტად ურთიერთმსგავსს კი ერთ ადგილას უყრიდა თავს...“

შედემა მკვლევარმა ქალმა ი. ჰამერ-ინსენმა, რომელმაც ჩვენი საუკუნის დამდეგს პირველმა გამახვილა ყურადღება პლატონისა და დემოკრატეს შედარებათა ამ მსგავსებაზე, გაუმართლებლად გადაჭარბებული ნიშნელობა მიანიჭა მას და წამოაყენა საქმოდ მახვილგონივრული ჰიპოთეზა, რძელის თანახმადაც, „ტიმოქონის“ თავდაპირველი ვარიანტი თითქმის მანამდე უნდა დადგურა პლატონს, სანამ დემოკრატეს თხზულებებს გაეცნობოდა. მაგრამ მათი წაკითხვის შემდეგ, თუ ჰამერ-ინსენს ვერწმუნებით, „ტიმოქონის“ ავტორზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დემოკრატეს ატომისტურ თეორიას, რომ პლატონს გადაუწყვეტია ატომ-

ნიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილი საქმოდ ვრცელი ნარკვევი ჩაერთო თავის თხზულებაში. მაგრამ უცვლელად კი არ უსარგებლია დემოკრატეს მიღწევებით, არამედ თავისი მიზნების შესაბამისად გადაუქეთებია და გადაუმუშავებია ისინი. მიუხედავად ამისა, ჰამერ-ინსენის აზრით, „ტიმოქონი“ შეიცავს ზოგიერთ ისეთ მომენტს, რაც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ დემოკრატეს ატომისტური თეორიის არაერთი და ორი ასპექტი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ სხვა წყაროებით.

მაგრამ ორი შედარების ურთიერთმსგავსებიდან აღმოცენებული ჰიპოთეზა, რაგინდ მახვილგონივრულ არგუმენტებსაც უნდა ეყარებოდეს იგი, ვერავითარ კრტიკას ვერ უმძღვრებს. ნუარაფერს ვიტყვით იმ ორი კონტექსტის აშკარა სხვაობაზე, რომელთა მთელი „მსგავსებაც“ ერთადერთი შედარებით ამოიწურება, ერთს კი შევნიშნავთ: ჩვენ რომ მხატვრული შედარების, ტროპების, მეტაფორების ან თუნდაც პოეტური სახეების ფორმალური მსგავსებით ვსაზღვრავდეთ და ვაფასებდეთ მოაზროვნის ორგანიზაციის ხარისხს, ღმერთმა იცის, ვისი გამოცხადება მოგაწივედა ვის პლაგიატორად ან მიმბაძველად. მეორეც, პლატონი დემოკრატეზე ნაკლებ როდი იცნობდა ბერძნული ნატურფილოსოფიის ფუნდამენტურ პრინციპს: „მსგავსი ყოველთვის მსგავსიკენ ისწრაფვის“. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დემოკრატესაგან განსხვავებით, პლატონის მიერ „გაცხრილვისას“ ელემენტთა ერთად მოქუჩება ან მიმოფანტვა, უმალ, მათი სიმძიმითა და სიმსუბუქითაა ახსნილი, ვიდრე მათი მსგავსებით ან არამსგავსებით. შესაშვ, ნუთუ პლატონისათვის, ვის დიალოგებშიაც ამაღლებულ სტილს არცთუ იზივთად ენაცვლება სასაუბრო ინტონაციები; ვინც ესოდენ სრულყოფილად ფლობს მდაბიორთა შეტყუვების ყველა ნიუანსს; ვინც მხატვრული, სტილისტური ან სხვა რამ მიზნით ისე ხშირად იყენებს ზელოვანთა თუ ზელოსანთა საქმიანობისა და მიწათმოქმედთა შრომისათვის ნიშნეულ ატრიბუტებს, ყოფითი ზასიათის ურთივხვ დეტალს თუ წვრილმანს, რომ მათი მშრალი ჩამოთვლაც კი რამდენიმე ვერცხლს დაიკრება, — დაიხვ, ნუთუ პლატონისათვის მართლაც ესოდენ უჩვეულო მოვლენად უნდა ვთვლიდეთ ქოატურად მოძრავი მატერიის მიერ აქეთ-იქით მიმოფანტული ელემენტების შედარებას ხორბლის გაცხრილვისათა?

ეგაც არ იყო, ვერც იმას უარყოფს „ტიმოქონის“ ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი, რომ ატომისტური კონცეფცია ზელოვნურად კი არაა ჩართული დიალოგის ტექსტში, არამედ მის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გვევლინება, უშუალოდ რომ გამომდინარეობს იმ მეტაფიზიკური წანამდღვრიბიდან, რომლებსაც დიდოსტატური ზელოვნებით აყალიბებს პლატონი

ჭერ კიდეც „სოფისტში“, „პარმენიდესა“ თუ „ფილეტოსში“. მაგრამ, რაც ყველაზე არსებითია, თანადროული ფიზიკის გამოგონებელი მილ-წევების ფონზე თანდათანობით გამოიკეთა რადიკალური სხვაობა პლატონისა და დემოკრიტის ატომიზმს შორის, ასე რომ, რაც მეტად თუ ნაკლებად მისატყვებელი ჩანდა მეოცე საუკუნის დამდეგს, სრულიად შეუწყნარებელი შეიქმნა დღეს.

დემოკრიტის ატომებზე საუბრისას ზოგიერთი მკვლევარი არცთუ იშვიათად აღნიშნავს მათი არტიკეტაციონიის სინატაფის, მათ დახვეწილ გამოკრწილად სტრუქტურას. მაგრამ ვიცნობთ ანტიკურ წყაროებს და ჩვენს თვალწინ იხილება სულ სხვა სურათი, სადაც ძალზე ტლანქადა მოხაზული ატომთა მხოლოდ ზოგადი კონტურები. ამ უსასრულოდ ნაირგვარ პირველად სხეულთაგან ზოგი კაჟუა და კუთხოვანი, ზოგი მრულე და ჩანჭილი, ზოგი მრგვალი და ა. შ. ყოველივე ამას დავუმატოთ აეციუსის მოწმობაც, რომელიც ვაჟუწყებს, რომ „დემოკრიტის აზრით, შეიძლება არსებობდეს ჩვენი სამყაროს ოდენა ატომი“, რაც მკითხველში თავისი უჩვეულობითა და მოულოდნელობით მხოლოდ ერთ გრძნობას — შეცბუნებას იწვევს.

რა შორსაა ყოველივე ეს ატომის პლატონური წარმოდგენისგან, სადაც ყველაფერს განსაზღვრავს მკაცრი მათემატიკური წესრიგი, ელემენტარულ ნაწილაკთა წატიფი სტერიუმეტრიზმი, მათი კრისტალური სტრუქტურა: ემპედოკლეს ოთხ ძირითად ელემენტს (ციცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა), რომლებსაც პლატონი მეზუთეს — ეთერს უშეატებს, ჩვენთვის ცნობილი ხლთი წესიერი მრავალწახანავა სხეული — ტეტრაედრი, ანუ პირამიდა, ოქტაედრი, იკოსაედრი, კუბი და დოდეკაედრი შეესაბამება, ხოლო ამ უკანასკნელთა წახანავებს ორი სხვადასხვა ტიპის მართკუთხა სამკუთხედი ქმნის, რომელთაგანაც ერთი ტოლფერდაა, მეორე კი არატოლფერდა, კერძოდ, ისეთი არატოლფერდა მართკუთხა სამკუთხედი, რომლის ჰიპოტენუზაც ორჯერ აღემატება პატარა კათეტს. პლატონის წესიერი მრავალწახანავა სხეულების ინფრასტრუქტურაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექმნება საუბარი. აქ კი შემოვიფარგლებით ვერნერ ჰაიზენბერგის ერთი შენიშვნით: „თანამედროვე ატომური ფიზიკის „ელემენტარული ნაწილაკები შეიძლება პლატონის „ტიმეოსის“ წესიერ სხეულებს შევედაროთ. ისინი პირველსახეობია, მატერიის იდეებია... ეს პირველსახეობი მთელ შემდეგში პროცესს განსაზღვრავენ. ისინი ცენტრალური წესრიგის წარმომადგენლები არიან“.

რა თქმა უნდა, პლატონს ცოტა რამ აქვს საერთო თანამედროვე ატომური ფიზიკის მიღწევებთან. „ტიმეოსის“ ავტორისათვის უცნოა ატომის მლანეტარული მოდელი, მისი ინფრასტრუქტურის დღევანდელი სქემა, კვანტური

მექანიკის საფუძვლები, „მაგრამ მან დასვა პრობლემა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ ელემენტთა ნაწილაკები (ხოლო ელემენტებად მაშინ ითვლებოდა ოთხი სტიქიონი — ციციხლი, ჰაერი, წყალი და მიწა) უფრო პატარა სტრუქტურული ერთეულებისაგან შედგება, რომლებიც უფრო მეტად იმსახურებენ „ელემენტარულთა“ სახელს, ვიდრე მათგან მიღებული რთული წარმონაქმნები. რას წარმოადგენენ ეს ერთეულები და როგორ იქმნებიან მათგან ელემენტთა ნაწილაკები? ახლა ჩვენ ვიცით, რომ ამ პრობლემის დასმასა და მის საბოლოო გადაჭრას შორის გაქაშილთა დროის შუალედი, რომელიც დაახლოებით 2300 წელს მოიცავს. მაგრამ ამ პრობლემის მართლად დასმითაც კი პლატონი მთელი თავით მაღლა დადგა ყველა მის წინამორბედსა თუ თანამედროვეს, ისევე როგორც მომდევნო თაობათა ბევრ სხვა სწავლულსედაც (არისტოტელის ჩათვლით)“.

თუმცა ერთია პრობლემის დასმა და მეორე — მისი გადაჭრა. პლატონმა სცადა მის ხელთ არსებული საშუალებებით თავისებურად გადაეჭრა ზემოხსენებული პრობლემა. უსასრულოდ მრავალრიცხოვან და სრულიად უწყნარგო ფორმის მქონე ატომთა დემოკრიტისეულ კონცეფციას მან დაუპირისპირა მიკროელემენტთა გაცილებით უფრო მწყობრი და თანმიმდევრული მათემატიკური თეორია, სადაც თვითეულ ფიზიკურ ელემენტს ესა თუ ის მათემატიკური ობიექტი — წესიერ მრავალწახანავა სხეულთა ესა თუ ის ტიპი შეესაბამება, ხოლო ამ უკანასკნელთა ფორმირებაში გადაწყვეტს როდეს ასრულებს არა მარტო ეკონომიურობის, არამედ ელემენტარობის, სინატაფისა და დახვეწილობის პრინციპიც; რასაც, უწინარეს ყოვლისა, გომეტრიული სიმეტრიზმი უდევს საფუძვლად. ყოველივე ეს კი გაცილებით უფრო ახლოა მიკრონაწილეთა თანამედროვე ფიზიკურ სურათთან, ვიდრე ანტიკური ან მომდევნო ეპოქათა ატომიზმი. ვერნერ ჰაიზენბერგი შენიშნავს: „დასაწყისში იყო სიმეტრია“ — ნამდვილად უფრო სწორია, ვიდრე დემოკრიტის თეზისი: „დასაწყისი იყო ნაწილაკი“. ელემენტარული ნაწილაკები სიმეტრიებს განასაზღვრებენ, ისინი მათ უმარტივეს გამოხატულებებს წარმოადგენენ. მაგრამ, ამასთანავე, — მხოლოდ ამ სიმეტრიების შედეგსაც...“

როგორც ვხედავთ, პლატონის ნააზრევად მოძღვრება ელემენტთა შესახებ ორგანოვლად ერწყმის ნივთიერების აგებულების ატომისტურ კონცეფციას, რაც მას, გარკვეული აზრით, ლევიკიანესა და დემოკრიტის ატომიზმთან ანათესავებს. ანტიკური საზერმნიეთის დიდ მოხზროვნეთა ეს ფუნდამენტური იდეა ათასწლეულების შემდეგ კვლავ აღორძინდება და შემდგომ განვითარებას აწვდის ექსპერიმენტული ქიმიის



ფუძემდებლების — ლაუჯაზის, დალტონის, ავ-  
ოგადროსა და სხვათა შრომებში, მხოლოდ, რა  
თქმა უნდა, ელემენტთა ბუნების არსში უფრო  
ღრმა წვდომის საფუძველზე. მაგრამ პლატონის  
ატომისტურ თეორიას მეორე — სრულიად უჩ-  
ვეულო და უნიკალური განსჯით აქვს, რაც  
მას არა მარტო ძირეულად ახსნავს დემოკ-  
რიტის ატომიზმისაგან, არამედ იმის უფლებ-  
საც ვვაძლებ, რომ „ტიმოქოსს“ ავტორს თანა-  
მედროვე ატომური ფიზიკის კორიფეთა შო-  
რედელ წინამორბედ ვთვლიდეთ.

დემოკრიტის ატომები მატერიის მარადიული  
და უცვლელი, აბსოლუტურად მარტივი და ერთ-  
მანეთზე დაუყვანელი პირველადი ნაწილაკე-  
ბია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან  
მხოლოდ მასით, სიდიდითა და კონფიგურაციითა  
უხასრულ სხვადასხვაობით. რაკილა აბსოლუ-  
ტურად მარტივი არიან, ცხადია, მათ შინა-  
გან სტრუქტურაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.  
მაშინ როდესაც პლატონის ელემენტარულ ნა-  
წილაკთა, ანუ ატომთა ბუნების განმსაზღვრელ  
ფაქტორად გარეგანი კონფიგურაციები კი არა,  
სწორედ მათი კრიისტალურად ნატოვი შინაგანი  
სტრუქტურა გვევლინება. აქედან გარდუვალად  
გამომდინარეობს, რომ პლატონის ელემენტა-  
რულ ნაწილაკებს მარტივად ვერ მივიჩნევთ.  
მაგრამ ყველად არსებითი მინც ის გახლავთ,  
რომ ისინი არც უცვლელნი და, მაშასადამე,  
არც მარადიულნი არ არიან. და კიდევ ერთი  
მომენტი, რომლითაც პლატონი დიამეტრალუ-  
რად უპირისპირდება მის წინამორბედ ატომის-  
ტთა თვალსაზრისს:

ლაუჯაზისა და დემოკრიტის მიხედვით, ატო-  
მები ერთმანეთზე დაუყვანელნი არიან, პლატო-  
ნი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ისინი ერთმა-  
ნეთზე დაიყვანებიან, ერთიმეორედ გარდაქმნე-  
ბიან. პლატონის „ატომების“ — წესიერი მრავ-  
ალწახნაგა სხეულების ურთიერთგარდაქმნას  
მათი შინაგანი სტრუქტურის შეცვლა განაპი-  
რობებს, ხოლო ყველა ამნაირი ცვლილება  
თავად უცვლელი უმარტივესი სტრუქტურული  
კომპონენტების დონეზე ხორციელდება, რომლე-  
ბიც საერთოა ისეთი მრავალწახნაგა სხეულე-  
ნისათვის, როგორცაა ტეტრაედრი, ოქტაედრი  
და იკოსაედრი. როგორც უკვე ითქვა, ეს უმარ-  
ტივესი, სჭივიე ზემოხსენებული სხეულისათ-  
ვის საერთო სტრუქტურული კომპონენტებია  
ელემენტარული სამკუთხედები.

მხოლოდ დიდი მათემატიკოსისა და ბუნების-  
მეტყველის იშვიათ ნიჭთან ორგანულად შეერწყ-  
მულ გენიალურ ინტუიციას თუ შეეძლო ესო-  
დენ ღრმად შეჭრილიყო მიკრონაწილაკთა იდუ-  
მალ სამყაროში და ჩამოეყალიბებინა თავისი  
სირთულით და სითამამით გამოაგნებელი მეც-  
ნიერული ჰიპოთეზა, რომელიც ათასწლეულებ-  
ბით უსწრებს წინ მთელ ანტიკურობას და თანა-  
მედროვე ატომური ფიზიკის თვალსაზრისს

უახლოვდება. ყოველივე ამის შემდეგ ი. პა-  
მერ-იენსენის ზემოთ განხილულ შრომაში გა-  
მოთქმული მოსაზრება მხოლოდ იმის ნიმუშად  
რჩება თუ რა შედეგი მოსდევს ობიექტურო-  
ბისა და ისტორიული სიმართლის იგნორირებას.  
მართებულად შეინანებს ო. რიჯანსკი: „მთელი  
თავისი მახვილგონიერულობის მიუხედავად  
ი. პამერ-იენსენის თვალსაზრისმა ვერ ჰპოვა  
მხარდაქერა მკვლევართა უმრავლესობის თაღ-  
ში. გასაგებია რატომაც: მართალია, ცალკეული  
დამთხვევები გვაფიქრებინებს, რომ პლატონი  
მართლაც იცნობდა დემოკრიტის თხზულებებს,  
რაცა თავის „ტიმოქოსს“ წერდა, მაგრამ სხვაო-  
ბა დემოკრიტეს ატომისტისა და პლატონის  
თეორიას შორის მეტისმეტად მკვეთრია საიმი-  
სონად, რომ ეს უკანასკნელი პირველის უზარალო,  
თუნდაც გადამუშავებულ გადმოცემად წარმო-  
ვიდგინოთ. მატერიის აგებულების პლატონური  
თეორია არც დემოკრიტეს მოძღვრების გამო-  
რებაა, არც მისი გადმოცემა თუ გადამუშავება.  
ესაა სრულიად ორიგინალური ფიზიკური თეო-  
რია, გაცილებით უფრო რთული, უფრო ღრმა  
და... უფრო საინტერესო ჩვენი დროის ფიზი-  
კის თვალსაზრისით, ვიდრე ყოველივე ის, რა-  
საც დემოკრიტეს ანტიკურ ატომისტიაში ვპო-  
ულობთ“.

პლატონის ატომისტური თეორიის მთელი  
სირთულისა და ორიგინალობის გასააზრებლად  
წარმოვიდგინოთ, რა სურათს გვთავაზობს გა-  
სული საუკუნის დამლევს ევროპული მეცნიე-  
რების განვითარება. ატომურ ფიზიკაშიც და  
ექსპერიმენტულ ქიმიაცაშიც გაბატონებულია ჭრ-  
ტივდ დემოკრიტედან მომდინარე, ხოლო შემ-  
დეგ ლაუჯაზის, დალტონისა და სხვათა ფუნ-  
დამენტური გამოკვლევებით განმტკიცებული  
თვალსაზრისი: ატომები უცვლელნი არიან, არც  
ჩნდებიან, არც ქრებიან და არც ერთმანეთში  
შეუქმლიათ გადასვლა. და აი, ჩვენი საუკუნის  
დამდევს, ბეერელის, მარია სკლოდევსკია-  
კიურის, პიერ კიურის, რენერფორდისა და ატო-  
მური ფიზიკისა თუ ქიმიის მრავალი სხვა კო-  
რიფის ექსპერიმენტების წყალობით მსოფლიო  
ხენსაციური აღმოჩენის მოწმე შექნა, რაც მოწ-  
მენდელ ცაზე მეხის გავარდნას გვავა: აზრი  
ატომთა უცვლელობის შესახებ მცდარია; ქიმი-  
ურ ელემენტთა ატომები, რადიოაქტიური დაშ-  
ლის შედეგად სხვა ნივთიერებათა ატომებად  
გადაქცევიან. ეს იყო მეცნიერული რევოლუ-  
ცია, რომლის ბადალიც იშვიათად თუ მოიძე-  
ნება კაცობრიობის ისტორიაში და რომელმაც  
ძირეულად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ნივ-  
თიერებების აგებულებაზე.

ჩვენ ვიცით, რა მძიმე იყო ტრადიციული შე-  
ხედულებების, ათასწლეულების მანძილზე შე-  
სისხლბორცებული წარმოდგენების მხსნერვა,  
ბევრ, ძალიან ბევრ მეცნიერსაც კი — ფიზიკოსს  
თუ ქიმიკოსს, ბუნებისმეტყველს თუ ფილოსო-

ფოსფორის გაუქმებელი მატერიის ინფრასტრუქტურის ან ახალი შოდოლის აღიარება და გაწვავება, მაშ, რა ვასაკვირია, რომ პლატონის ატომისტური კონცეფცია ოცდასამი საუკუნის მანძილზე ან შთიანად იგნორირებული იყო, ან დიდი მოაზროვნის უცნაური ახირების, ფანტაზიის უნიანი თამაშის ნაყოფად ითვლებოდა... მაგრამ 1919 წელს რეზერვორადმა მესტლო ვახტანგმა ატომის ბირთვი. ეს იყო ადამიანის მიერ განხორციელებული ელემენტთა გარდაქმნის პირველი ზედიზედური რეაქცია: ალფა-ნაწილაკებით აზოტის ატომის ბირთვის ბომბარდირების შედეგად ბირთვიდან ამოვარდა პროტონები, ხოლო აზოტის უნიანი იქცა. მალე შესაძლო გახდა არა მარტო აზოტის, არამედ ბორის, ფტორის, ნატრიუმის, ალუმინის, ფოსფორის და სხვა მსუბუქ ელემენტთა ბირთვის დახლეჩა. ექვსი და ორპროტონისათვის ადგილი აღარ დარჩა. პლატონის გენიალური სიბრძნეა ექსპერიმენტულად დადასტურდა. მაგრამ თვით ექსპერიმენტატორებს წარმოადგენდა არა ჰქონდათ, რომ მათი აღმოჩენა 2800 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ადამიანმა, რომელსაც თანამედროვე ატომისტები მხოლოდ მოგვიანებით მიადგენენ მის კუთვნილ პატივს:

„დემოკრიტეს ფილოსოფიაში — წერს ვერნერ ჰაიზენბერგი, — ატომები მატერიის მარადიულად განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან, მათ არ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაიქმნან, თანამედროვე ფიზიკა დემოკრიტეს ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის და პლატონისა და პითაგორელების მხარეზე დგება. ელემენტარული ნაწილაკები არ არიან მატერიის მარადიული და განუყოფელი ერთეულები; ფაქტობრივად, მათ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაიქმნან, ორი ელემენტარული ნაწილაკის შეჯახებისას, რაც დიდი სიჩქარისას ხდება, წარმოქმნება ბევრი ახალი ელემენტარული ნაწილაკი; მოძრაობის ენერჯისაგან რომ იღებენ დასაბამს, ნაწილაკები ერთმანეთთან შეჯახებისას შეიძლება გაქრნენ. ასეთი პროცესები ხშირია, რაც ზედმიწევნით გვიდასტურებს იმას, რომ ყველა ნაწილაკი ერთი და იმავე სუბსტანციის — ენერჯისაგან შედგება. მაგრამ თანამედროვე ფიზიკური წარმოდგენებისა და პლატონისა და პითაგორელების შეხედულებათა მსგავსება კიდევ უფრო ღრმაა. ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც განხილულია პლატონის „ტიმეოსში“, ბოლოს და ბოლოს, მატერია კი არა, მათემატიკური ფორმები არიან. „ყველა ხავანი რიცხვია“, — ასეთია დებულება, რომელიც პითაგორას მიეწერება. იმ ბუნად ცნობილი ერთადერთი მათემატიკური ფორმები გეომეტრიული და სტერეომეტრიული ფორმები იყო, წესიერი მრავალწახნაგა სხეულებისა და სამუთებების მსგავსი, რომელთაგანაც შედგება წესიერ სხეულთა ზედაპირი, თანამედრო-

ვე კვანტური თეორიის მიხედვით, შეუძლებელია იმაში ექვსი შეტანა, რომ ელემენტარული ნაწილაკები, საბოლოო ანგარიშით, მათემატიკური ფორმები არიან, მხოლოდ გაცილებით უფრო რთული და აბსტრაქტული ბუნებისა. ბერძენი ფილოსოფოსები ფიქრობდნენ სტატიურ, გეომეტრიულ ფორმებზე და წესიერ მრავალწახნაგა სხეულებში პოულობდნენ მათ. ახალი დროის ბუნებისმცოდნეობამ აღმოცენებისთანავე, XVI-XVII საუკუნეებში, ცენტრალურ პრობლემად შემოიტანა დროის ცნება. ნიუტონის დროიან მყოლებული ფიზიკა უცვლელად იკვლევს არა კონფიგურაციებსა და გეომეტრიულ ფორმებს, არამედ დინამიკურ კანონებს. მოძრაობის განტოლება დროის ნებისმიერ მომენტს ეხება; ამ აზრით, ის მარადიულია, მაშინ როდესაც გეომეტრიული ფორმები, მაგალითად, პლანეტთა ორბიტები, იცვლებიან. ამიტომ მათემატიკური ფორმები, რომლებიც ელემენტარულ ნაწილაკებს წარმოადგენენ, საბოლოო ანგარიშით, მატერიის მოძრაობის უცვლელი კანონის გადაწყვეტას უნდა ვეძებოდნენ...“ ატომური ფიზიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ამ ვრცელ ციტატაში ხაზგასმულია ანტიკური და თანამედროვე ატომიზმის როგორც მსგავსების, ისე მათი განსხვავების მომენტებიც. მაგრამ მთელი ამ სხვაობის მიუხედავად, პლატონის დეკლარის მისი მეცნიერული დამსახურების ნამდვილ პიოტურად იმის იმავე ჰაიზენბერგის სიტყვები: „...თანამედროვე ფიზიკა იმავე ზვით მიიწევს წინ, რომლითაც მიდიოდნენ პლატონი და პითაგორელები. ფიზიკის ეს განვითარება ისე გამოიყურება, თითქმის ამ ზვის ბოლოს მიღწეულ უნდა იქნეს ბუნების კანონის ძალზე მარტივი ფორმულირება, ისეთი მარტივი, როგორის ხილვასაც იმედითა და სასოებით მოელოდა ჰერ კიდევ პლატონი“.

დემოკრიტეს უცვლელი, განუყოფელი და ერთმანეთზე დაუყვანელი ატომები სამყაროული ყოფიერების საბოლოო ინსტანციაა, უკანანქნელი ზღვარი, რომელზედაც ჩერდება ბუნება, რათა ამ მარადიული საფუძვლიდან დაიწყოს ურცხვ სამყაროთა და მთელი მატერიალური კოსმოსის შექმნა. არსად დროისის ნაცვალად, არსად ურყევი და მყარი წესრიგი; სამყაროდან პირწმინდად გამორიცხულია ყოველგვარი ტელეოლოგიური პრინციპი, ყოველგვარი მიზანი, უწინარეს ყოვლისა კი აზრი და მისი შობილი გონიერება. სამყაროული ქაოსის უსასო წიაღში, როგორც უსიცოცხლო უდაბნოში, მხოლოდ აქა-იქ ჩნდებიან მწვანედ მოზსახსე ოაზისები — შლეგურად მროკავ ატომთა შერწყმა-შეერთების შედეგად წარმოქმნილი და დროებით მოწესრიგებული სამყაროები, რათა მალე კვლავ დაინთქან ქაოსის პირქუშ უფსკრულში, ყველაფერი მოკვდევია და წარმავალი, თვითონ



ღმერთებიც. მარადიულისა მხოლოდ დაბადებთა და გადაგებთა დაუსრულებელი მონაცვლეობა. ყველაფერს წარმართავს, ყველაფერს ქმნის და ანგრევს მხოლოდ ატომთა თავაწყვეტილი თარეში თუ ბრმა შემთხვევითობა, რომელიც ზოგჯერ ბედისწერასთანაა გაიგივებული:

„თავაწყვეტილსა და უმიზნო კოსმოსურ თამაშში, დაუსაბამოდ და უზაროდ, მიაპიტურად და შლევგურად დათარეშობენ სამყაროული სიცარიელის უფსკრულთა სიღრმეში, ღმერთთა იცის, ზიადან მოვარდნილი და საითენ მქროლი უმიზნეზოდ და უმიზნაპართა გრიგაღნი, გზადაგზა ბრმად და ანგარიშმიუცემლად რომ ქმნიან თავიანთი თავიდან და მარად მოცინარე უპრინციპობით იქვე ანგრევენ ურცხვ სამყაროს. რა არის ამ გრიგაღთა მიზეზი ან რატომაა, რომ მათ წილად ატომები სწორედ ასე ერწყმინან ერთმანეთს და არა სხვაგვარად? — ამ კითხვავზე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე პასუხი, მაგრამ, დემოკრატებს თანახმად, სწორედ ესაა კარგი. რა მიზნით, ვისთვის ან რისთვის იბადებიან ატომებიდან და ცვლავ ინგრევიან სამყაროები? არავითარი აშნაირი მიზანი არ არსებობს და მთელს სამყაროში ვერაფერ ვერაფერს გვეტყვის მასზე, — ვერც ადამიანები, ვერც ღმერთები, ვერც თვით ბედისწერა. უმწუხრო და უსიხარულოდ არსებობა, მიაპიტურად მომღიმარე ამორალური მარადისობა, თავისი გულუბრყვილო თამაშით გართული ბაღდის სახით რომ ევლინებოდა ჰერაკლიტის, — ვინ იცის, იქნებ სწორედ ესაა ბერძნული კლასიკური აზრის ყველაზე უკეთესი ქმნილება? აქ ჩვენ მკაფიოდ ვგრძნობთ შემთხვევით აღმოცენებული ანტიკური კოსმოსის მარბარილოს ძარღვებით კლაკნილ ზვეულებს, კოსმოსისა, რომელიც მშვენიერია სწორედ იმიტომ, რომ თავის თავზე, სტიქიონებზეა დაფუძნებული, მშვენიერია სწორედ იმიტომ, როდ შემთხვევითია. ფარნეზის ჰერას იდეუმბლი დიმილი და ფარული სევდა, ღიმილი ყოვლისმცოდნე, მაგრამ სამყაროულ კატასტროფათა პირსპირ მშვილად გარინდებული ქალღმერთისა, — აი, რა არის, საერთოდ, დემოკრატებს ესთეტიკური მსოფლმხედველობა“.

პლატონის ფიზიკაში, პირიქით, ატომი რეალობის ის უკანასკნელი საფეხური როდია, საიდანაც დასაბამ იღებს გრძნობად საგანთა უსასრულო სიჭრელი და მრავალფეროვნება. ატომი მხოლოდ სხეულბერძვი სუბსტანციის უკანასკნელი ფრაგმენტია, რომლის მიღმაც იშლება მასზე „უწინარესი“, უფრო შორეული და უფრო ფუნდამენტური რეალობა, უსხეულო სუბსტრატია — „ღვარი“ („პერას“). ესაა კოსმორფი პრინციპი, რომელიც სამანს უღებს სიცარიელის ქოატურ უსაზღვროებს და რომლის მშვეობითაც პლატონი აგებს არა მარტო თავის ელემენტარულ ნაწილაკებს და მათი ურ-

თიერთგარდაქმნის მექანიზმს, არამედ უთვალავი ფერით მოცემული სამყაროს საგნებსა თუ მოვლენებსაც. არა, სამყარო ატომურ გრიგაღთა და შემთხვევითობის თავაწყვეტილი თარეშის შედეგად როდი იქმნება: ნუთუ ყოველივე არსებულს „ბუნება ქმნის რომელიმე თვითონებრი მიზეზის ძალით, გონების წინაღმდეგობის გარეშე რომ შობს ყველაფერს? თუ, პირიქით, ვალიარებთ, რომ ეს მიზეზი მოსილია გონებით და ღვთიური ცოდნით, რაც ღმერთთაგან იღებს დასაბამს?“ — ეკითხება უცხოელი თეეტეტეს პლატონის „სოფისტო“.

ყველაზე სრულად და ამომწურავად ამ კითხვის პასუხს „ტიმოოსი“ იძლევა. სამყარო, უწინარეს ყოვლისა, „ღვთებრივი მიზეზთა“ ქმედითობის შედეგია: შემოქმედი — დემიურგოსი, ანუ კოსმოსური გონება ინტელიგიბილურ პირველნიშუთა — იდეათა მიხედვით ქმნის სამყაროს, რომელიც იდეალური სინამდვილის ხატად და ასლად გვევლინება, მაშინ როდესაც შემთხვევითობა, აუცილებლობა თუ ბედისწერა ე. წ. დამხმარე, ანუ „მეორეული მიზეზებთანაა“ გაიგივებული და მატერიის ინერტულობას უკავშირდება. სამყარო — იდეალური სიკეთისა და მშვენიერების სრულქმნილი ზატი — თავდაც კეთილია და მშვენიერი, სულისა და სიცოცხლის სავანე, გონიერების სხივისანი შექმით მოსილი: „...შეუძლებელი იყო დასაბამითვე და შეუძლებელია ახლაც, რომ ყველაზე უკეთესს შეექმნა რაიმე ისეთი, რაც ყველაზე მშვენიერი არ იქნებოდა. აზრით ვანსაჯა, რომ თავიანთი ბუნებით ხილულ საგანთა შორის გონიერებისაგან განმარტული არც ერთი ქმნილება არ შეიძლება უფრო მშვენიერი ყოფილიყო, ვიდრე გონებაშოსილი... გონიერების სავანე კი შეუძლებელია სხვა რაიმე იყოს, გარდა სულიისა. ამ აზრის თანახმად მან გონიერება ჩაუწერგა სულს, სული კი ჩაუდგა სხეულს და აშნაირად აავსა სამყარო, რათა შეექმნა უმშვენიერესი და, თავისი ბუნებით, ყოვლის უმჭობესი ქმნილება. ამრიგად... უნდა ვალიაროთ, რომ ეს ჩვენეი კოსმოსი არის სულითა და გონიერებთ მოსილი ცოცხალი არსი, და რომ ის დაიბადა ქეშმარიტად ღვთიური წინაწარბედვის წყალობით“.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბევრს ვერაფერს გავუგებთ „ტიმოოსს“, თუკი არ გავითვალისწინებთ სამყაროს, როგორც ზელოვნების ქმნილების პლატონურ კონცეფციას. დიდოსტატი შემოქმედი — დემიურგოსი — ზელოვნების კანონების თანახმად აგებს კოსმოსს. მთელი სამყარო თავისთავად, მისი ხილული ცითა და ვარსკვლავებით, მატერიალური თუ სულიერი სუბსტანციის წრებრუნვით, განვითარების უწყვეტი რიტმითა და შინაგანი კანონზომიერებით, რასაც ბუნების კანონებს ვუწოდებთ დღეს, პლატონს ესახება

ღვთებრივი ხელოვნების, ყოვლისმძლე შემოქმედებითი აქტის გრანდიოზულ შედეგად. ბუნების ჭადრქრულ ხიზლს, მის მომწუხველ მშვენიერებას, სამყაროს მწყობრსა და დახვეწილ წესრიგს არქიტექტურულ, მუსიკალურ და პლასტიკურ საწყისთა ერთობლიობა განაპირობებს, ხოლო ყოველივე ამას მათემატიკის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი გეგმა უდევს საფუძვლად. ასეთია პლატონის მრწამსი, საუკუნეების მანძილზე უწყვეტად რომ გასდევს ფილოსოფიურ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას...

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ პლატონის წინამორბედთა მიერ შემქმნილი ფილოსოფიური სისტემების ზოგირთა კერძო ასპექტი; მიმოვიხილეთ იმ კუთხით, რომელიც ცხადად გეოჩვენებს, რამდენად ენათესავებიან ისინი „ტიმოსს“ ან რა მხრივ განსხვავდებიან მისგან, მაგრამ პლატონის ქმნილებს წყაროები მართლაც ფილოსოფიური სისტემებით როდეს ამოიწურება. „ტიმოსს“ უხვადა საზრდოობს ბერძნული მეცნიერების სხვადასხვა დარგის — მათემატიკისა თუ ასტრონომიის, მედიცინისა თუ ბიოლოგიის მიღწევებითაც, რომლებიც პლატონს შექანიერად ეთ არ გადმოაქვს, არამედ შემოქმედებითად ავითარებს მათ, რათა მის წინაშე დასახული ურთულესი ამოცანის გადაწყვეტად [გამოიყენოს. ზემოთ, დიალოგის კომპოზიციაზე საუბრისას, ჩვენ ვნახეთ, რა დიდი ადგილი უჭირავს მასში მედიცინისა და ბიოლოგიის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სხეულის ორგანოთა ანატომია და ფიზიოლოგია, სუნთქვის, საკმლის მონელებისა და სისხლის მიმოქცევის პროცესები, ეტოლოგია, პიენეზა, თერაპია და ა. შ. ჩვენც სწორედ ამით დავიწყეთ და ვნახეთ, როგორ აიხასა ზემოხსენებულ მეცნიერებათა მიღწევები „ტიმოსში“.

ძველი წელთაღრიცხვის VI—V საუკუნეების საბერძნეთში ცნობილი იყო ხუთი სხვადასხვა სამედიცინო სკოლა — როდოსული, კირენული, იტალიური (კროტონული), კნდოსური და კოსური, რომელთაგანაც ყველაზე დიდი სახელით სარგებლობდა სამი უკანასკნელი. ე. წ. „დიდი საბერძნეთის“, ანუ სამხრეთ იტალიის (ბრუტის) ქალაქი კროტონი ოდითგანვე ითვლებოდა პითაგორისმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად (გადმოცემით, სწორედ აქ დააარსა პითაგორამ თავისი ფილოსოფიური სკოლა). მთელს ელადაში და მის ფარგლებს გარეთაც სახელგანთქმული კროტონელ მკურნალებს შორის (ღემოკლედი, პავსანია, აკრონი და სხვ.) ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო პითაგორას უშუალო მოწაფე ალკმეონი, ფილოსოფოსი და ექიმი, ექსპერიმენტული ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელსაც მიეწერება ევსტაქის მილისა და მხედველობითი ნერვის აღ-

მოჩენა. ემბრიოლოგიის სფეროში, თავისი დიდი მოძღვრის კვალდაკვალ, ალკმეონი თვლიდა, რომ თხილი („სპერმა“) ტვინიდან მოედინება, და რომ თავი — გონივრული სულის ადგილსამყოფელი — ჩანასახში ორგანიზმის სხვა ნაწილებზე ადრე ყალიბდება. ჭანმრთელობა, ალკმეონის მიხედვით, ესაა სხეულისა და მისი თვისებების — თბილის და ცივის, მშრალის და სველის, მწარის და ტკბილის ჰარმონიული წონასწორობა, სნეულება კი — სხეულისა და მისი თვისებების დისჰარმონია.

როდესაც „ტიმოსის“ ბიოლოგიური ნაწილის სათანადო პასაჟებს ვეცნობით, თვალნათლივ ვრწმუნდებით, რომ პითაგორელთა გავლენა პლატონის ფილოსოფიურით თუ საბუნებისმეტყველო შეხედულებების ჩამოყალიბებაზე მართლაც მათი მათემატიკური და მუსიკალური თეორიებით არ ამოიწურებოდა. ასე მაგალითად, პლატონის, ისევე როგორც ალკმეონის მიხედვით, სულის უკვდავი, ღვთაებრივი და გონივრული ნაწილის ადგილსამყოფელი თავია ან, უფრო სწორად, — თავის ტვინი („ტო ენკეფალონი“). თუმცა აქვე უნდა შევნიშოთ, რომ თავის ტვინის, როგორც უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ორგანოს განსაკუთრებული როლი ალკმეონს კი არა, თვით პიპოკრატესაც არა ჰქონია წარმოდგენილი პლატონისთვის სრულად და ამომწურავად („...ტვინშია ჩაიჭრული ყველა სასიცოცხლო კავშირი, რომლებიც სულს აკავშირებენ სხეულთან, ტვინშია მოკვდავთა მთელი მოდგმის ფესვი“). ანტიკური ბიოლოგიისა და მედიცინის ისტორიაში უნიკალურია თავის ტვინის, როგორც მატერიის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის პლატონური კონცეფცია, რომლის თანახმადაც ტვინი ყველაზე ნატიფი და დახვეწილი ელემენტარული ნაწილაკებია, ანუ ატომებისაგან არის შექმნილი.

არაფერს ვიტყვით ბერძნული მედიცინის კნდოსური სკოლის წარმომადგენელთა შესახებ, ვინაიდან მათი შეხედულებები ორგანიზმის ფუნქციონირების ბუნებაზე, ისევე როგორც დიაგნოსტიკისა თუ თერაპიის მათი სპეციფიკური საშუალებები და მეთოდები საკმაოდ შორს დგანან პლატონის ანალოგიური წარმოდგენებისაგან, და უშუალოდ გადავალთ კოსურ სკოლის მეთაურის — პიპოკრატესა და მისი მძმედვრების, ე. წ. პიპოკრატეოსთა სამედიცინო თუ საბუნებისმეტყველო კონცეფციებისა და „ტიმოსის“ ავტორის ბიოლოგიური თეორიის ურთიერთკავშირთა განხილვაზე. ტრადიცია პიპოკრატეს მიაწერს 60-სა თუ 70 თხზულებას, რომლებსაც აერთიანებენ „პიპოკრატეს კორპუსის“ (Corpus Hippocraticum) ზოგადი სახელწოდებით, თუმცა დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისი შედგენილობით ამ უკიდურესად რთულსა და კრებულ კრებულში ყველა თხზულება როდია ავთენტური: ზოგი



უფრო გვიანდელია — ჰიპოკრატოსთან ხელი-დანა გამოსული, ზოგი — უფრო ადრინდელი, ზოგი კი სხვა სამედიცინო სკოლებს ეკუთვნის. კორპუსში შესული ტრაქტატების ერთობლიობა ძველი ბერძნული სამედიცინო ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგს მოიცავს: მედიცინის ზოგადი თეორია, ანატომია და ფიზიოლოგია, პათოლოგია, პროგნოსტიკა და დიაგნოსტიკა, პიეგია და დიეტეტიკა, თერაპია, ქირურგია, ოფთალმოიატრია, ემბრიოლოგია, გინეკოლოგია, პედიატრია და სხვ.

სამეცნიერო მიზნებისათვის გვამების ანატომირების აკრძალვამ, რაც განპირობებული იყო მცვალებელთა რელიგიური კულტიდან, მკერხელთად შერაცხვას რომ უქადავ ყველას, ვინც ამ ღვთისმგამობლური საქმიანობით შეიბღალავდა სულს (მკრეხელობა კი სიკვდილით ისჯებოდა), აქედან გამომდინარე, ცდილული მსახლისა თუ ემბრიოლოგი ფაქტების სიმწირემ და, საერთოდ, მუარის ფიზიოლოგიური საფუძვლის უქონლობამ თავისი დალი დასვა ჰიპოკრატესა და მისი მიმდევრების მიერ პრაქტიკას და თეორიას (რაღა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, არც „ტიმოსის“ ბიოლოგიური დოქტრინა დაწვდვული უმარავ ნაკლისა თუ ხარვეზისაგან), მათი წარმოდგენები ორგანიზმის მორფოლოგიისა და ფუნქციონირების შესახებ არცთუ იშვიათად ძალზე მიაბიჭურია, უკიდურესად ბუნდოვანი და გაუგებარი. ამიტომაც, რომ ჰიპოკრატოსთან ცალკეული პასუხების კითხვა ისეთ-სავე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც, ვთქვათ, ალქიმისოსთა ენიგმური რეტეკტებისა, ვინაიდან გამუდმებით თავს იჩენს უზარმაზარი სხვაობა, ბიოლოგიური მეცნიერების ოცდამასამაუწყუნოვანი განვითარების შედეგად ესოდენ მკვეთრად რომ ყუფს ერთმანეთისაგან ანტიკურობისა და თანამედროვეობის ანატომიურსა თუ ფიზიოლოგიურ თეორიებს.

და მაინც, გონების იშვიათი გამჭრიახობის, დაკვირვების უძბარი უნარისა და ანალიტიკურ ანგების წყალობით, ჰიპოკრატემ შესძლო ჩამოყვალბებინა და მეცნიერულ დისციპლინად ექცია მედიცინისა თუ ბიოლოგიის არა ერთი და ორი დარგი. ამას დაუმატეთ ობიექტურობა, შეუფარავი სიმართლე, ლაბილარული სტილი და მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოტარებული სიყვარული როგორც პაციენტების, ისე თავისი ჰუმანური ხელობის მიმართ, რომლის ღვთაბერევი წარმომავლობაც ურყევად სწამდა („მედიცინა ისეთი დიდებული რამ არის, რომ მის გამოკონებას ღმერთს მიაწოდენ, და ეს რწმენა დღემდე ურყევად დგას“: „სადაც არის სიყვარული ადამიანებისადმი, იქვე იქნება სიყვარულიც ხელობის მიმართ...“). „თავისი ეპოქის ყველა დიდი მოაზროვნის მსგავსად, — შენიშნავს ს. კოვნერი, — ჰიპოკრატე უჩვეულოდ უტყუარი ადლოთი გრძნობდა ცოდნის

სხვადასხვა დარგებს შორის არსებულ თანაფარდობებს. ყველა მის თხზულებაში ვლინდება ზოგადის ცნება, ჭეშმარიტად ენციკლოპედური ცნება ყოვლისერთობისა. ადამიანის შესწავლა მისთვის ყოველი ფენის ნაბიჯზე დაკავშირებულია სამყაროს შესწავლასთან, ხოლო ბიოლოგია მისი დროისათვის ცნობილი ზედვის ყველა შესაძლო წერტილიდან განიხილება“.

ეს ფართო გონებრივი პორიზონტისა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე კაცი ფილოსოფიური თვალსაზრისით ჭვრეტდა სამყაროსა და ადამიანების ბუნებას. ცნობილია მისი უშუალო კავშირი და შემოქმედებითი თანამშრომლობა თავისი დროის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან, რომელთა შორისაც პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ დემოკრიტე აბდერელი. გამორიცხული არ არის, რომ ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, პლატონი და დემოკრიტე პირადად იცნობდნენ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში „ტიმოსის“ ავტორი თავის დიდიძველში რამდენჯერმე იხსენიებს სახელგანთქმულ კოსელ მკურნალს „ფედროსში“ ის სოკრატეს პირით იწონებს ჰიპოკრატეს თეოსის; რომლის თანახმადაც, შეუძლებელია შეიქცნა ადამიანის სულის ბუნება მთელის, ანუ, რაც იფიგია, სამყაროს ბუნების შეუცნობლად, თუმცა იქვე, ცოტა ქვემოთ, საკმაოდ კრიტიკულად აფასებს ჰიპოკრატეს სამედიცინო თეორიის ზოგიერთ ასპექტს.

ძველი რომაული მედიცინის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი წარმომადგენელი, ავგუსტუსის თანამედროვე ავლუს კორნელიუს ცელსუსი წერს, რომ „ჰიპოკრატემ ღირსსასოვარ კაცთა შორის პირველმა განაცალკევა ეს მეცნიერება (მედ.ციცნა-ბ.ბ.) სიბრძნისმეტყველები-საგან (a studio sapientiae disciplinae hanc separavit), — მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გავეზიარებინა მისი სიტყვები. ჰიპოკრატე მხოლოდ ერთი რამის წინააღმდეგი იყო: მედიცინაში ბერძნული ფილოსოფიის დედუქციური მეთოდის გადმონერგვის და განყენებული მეტაფიზიკური თეორიების მოღვევებისა; მკვეთრი ზღვარი კი არასოდეს გაუვლია სამედიცინო და ფილოსოფიურ მეცნიერებებს შორის, რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მედიცინისათვის ისევე აუცილებელია ფილოსოფიის ზოგადი ჭეშმარიტებანი, როგორც ფილოსოფიისათვის — მედიცინის მიერ მიწოდებული ფაქტები:

„აუცილებელია ფილოსოფია გადმოკითხნოთ მედიცინაში, — წერდა იგი, — მედიცინა კი ფილოსოფიაში. ექიმი-ფილოსოფოსი ღმერთების სწორია! არ არსებობს დიდი სხვაობა მედიცინასა და ფილოსოფიას შორის და რაც შემფერის ფილოსოფიას, თანაბრად შეიძლება გამოყენებულ იქნას მედიცინაშიც...“ ჰიპოკრატეს სამედიცინო ტრაქტატები ამ აზრის საუცხოო

დასტურია. მედიცინა და ფილოსოფია აქ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. სანიმუშოდ გამოგვადგება თუნდაც ჰიპოკრატეს ბიოლოგიური თეორიის ერთი მომენტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის სხეული, ემპედოკლესაგან მომდინარე ტრადიციის თანახმად, ოთხი ძირითადი ელემენტის — მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლისაგან არის შემდგარი, ხოლო ამ უკანასკნელთ ოთხი ელემენტარული ფიზიკური თვისება — მშრალი, სველი, ცივი და ცხელი შეესაბამება. ამ ფილოსოფიურსა და იმპედროულად, ბიოლოგურ კონცეფციას მთლიანად იზიარებს პლატონი თავის „ტიმოლოსი“, სადაც ე. წ. „უმცროსი ღმერთები“ იმავე მახალისგან (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) აგებენ ადამიანის სხეულს, რომლისგანაც დემიურგოსმა შექმნა სამყაროს სხეული.

ბერძნული მედიცინისა და ფილოსოფიის უდიდეს წარმომადგენელთა ბიოლოგიური კონცეფციები არცთუ იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ჰიპოკრატეს მიხედვით, ოთხ ზემოხსენებულ ელემენტს შეესაბამება სხეულის ოთხი მთავარი, ოთხი კარდინალური სითხე: სისხლი, ფლეგმა, ყვითელი და შავი ნაღველი, რომლებიც, ელემენტარულ თვისებათა მეშვეობით, სხვადასხვაგვარი თანაფარდობით ეწავეებიან ერთმეორეს. ეს თვალსაზრისი თავიდან ბოლომდე ვასდევს ჰიპოკრატეს ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას. ჯანმრთელობის საწინდარი ისაა, რომ ზემოხსენებული ელემენტებიც, თვისებებიცა და კარდინალური სითხეებიც შერევისას („კრასის“) ზუსტი პროპორციულობითა და პარპრონიული თანაფარდობით ერწყმიან ერთმანეთს, სხეულება კი იმავე საწყისთა სიჭარბითა თუ ნაკლებობითა გამოიწვეული, ან მათი დისპროპორციული თანაფარდობისგან იღებს დასახამს.

„ტიმოლოსი“ ჩვენ ვხვდებით იმავე წარმოდგენებს პათოლოგიის ბუნებაზე, რომლებიც დომინანტობდნენ ჰიპოკრატისთან შორის. დიალოგის არა ერთ და ორი პასუხი ყუველგვარი კომენტარის გარეშე ვკვირვებებს აშხს. აი, თუნდაც, ერთი მათგანი: „რაკი ჩვენი სხეული ოთხი სხვადასხვა გვარის — მიწის, ცეცხლის, წყლისა და ჰაერისაგან არის შეთხზული, ამიტომ საკმარისია ერთ-ერთი მათგანი მოგვჭარბდეს, დაგვკლდეს ან თავისი ადგილიდან სხვისაზე დადანიაცვლოს, ან კიდევ — რაკი ცეცხლსაც და დანარჩენ სამ საწყისსაც თავისი სახეები აქვთ, — რომელიმე ნაწილმა არ მიიღოს ის, რაც სჭირდება, რომ მაშინვე თავს იჩენს აშლილობა და სხეულდება. ამ ბუნების საპირისპირო გარდაქმნათა და დადანიაცვლებათა შედეგად, სხეულის ესა თუ ის ცივი ნაწილი ცხელდება, მშრალი — სინესტი ივსება, მსუბუქი — მძიმდება და, საერთოდ, მთელი სხეული ათასნაირ ცვალებადობას განიცდის. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ სხეულის ყველა ნაწილი მხოლოდ

მაშინ შეინარჩუნებს თვითიგივეობას და სიმრთელეს, მხოლოდ მაშინ დარჩება უვნებელი, როცა მსგავსი თავისთავად მსგავსს უახლოვდება, არამსგავსს კი შორდება ერთი და იმავე წესითა და თანაფარდობით, მაშინ როდესაც ყუველზეც ის, რაც თავისი მოღენითა თუ უმუდღენით არღვევს ამ წესს, ურიცხვი სხვადასხვა ცვალებადობის, სწეულებისა და, ბოლოს, სიკვდილის მიზეზიც ხდება“.

შეიძლებაოდ უსასრულოდ გავვეტაკებინა მსგავსი პარალელიზმების ჩამოვლა: მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ერთმანეთს ელენთის ჰიპოკრატისა და პლატონისეული ანატომია; პლატონი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ვენებსა და არტერიებს (ორივეს ერთი და იმავე სახელით — „ფლეგს, ფლეგოს“ ინსენების), მაგრამ ამ განსხვავებას ვერ ხედავდა ჰიპოკრატეც; გიმნასტიკას, როგორც სხეულის გაკეთების უფრო საშუალებას, ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰიპოკრატეც და პლატონიც; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პლატონის ფიზიოლოგიური თეორიის ზოგიერთი მცდარი მომენტი უშუალოდ ჰიპოკრატესაგან იღებს დასახამს: ასე მაგალითად, როდესაც პლატონი წერს, რომ ფილტვს შემოუღოს შეისრტულის არა მარტო ჰაერი, არამედ სითხეც, ეს შეცდომა სწორედ ჰიპოკრატისა და, საერთოდ, ძველი ბერძნული მედიცინის მცდარი თვალსაზრისიდან მომდინარეობს: „სასუნთქ ორგანოთა ფიზიოლოგიაში ვხვდებოდა კუროსეუთ შეცდომას, რომელიც გახატონებული იყო მთელი ანტიკურობის მანძილზე და იმაზე მდგომარეობდა, რომ თუმცა ხორხსარქველი ხელს უშლის სასულეში საჭმლის შეღწევას, მაგრამ სასმლის რამდენიმე წვეთს მაინც ატარებს სასულისაკენ, საიდანაც ისინი ფილტვებში, იქიდან კი გულში ხვდებიან“, — წერს ს. კოენერი ჰიპოკრატეს ფიზიოლოგიური თეორიის მიმოხილვისას; ჰიპოკრატისგანვე იღებს დასახამს პლატონის კიდევ ერთი აშკარად მცდარი ფიზიოლოგიური კონცეფცია, რომლის თანხმადაც, ფილტვების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია თურმე ისაა, რომ დააცხროს შინაგანი ცეცხლის სიჭარბით გამოწვეული გულის უჩვეულო სიფიცხე, რაც ორგანიზმისათვის საშიშ ხასიათს იღებს დიდი მიღვევარების, შრისხანებისა თუ მქვიანობებისას. ჰიპოკრატეს ტრაქტატის „კოენერილისათვის“ ანალოგის საფუძველზე ს. კოენერი შემდეგნაირად გადმოგვცემს ანტიკური მედიცინის ამ ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლის აზრს: „გულის პერანგის მიდამოში მოთავსებული „შარის მსგავსი სითხე“, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ ჩააქროს გულის ცეცხლი, რომელიც მარცხენა პარკუჭშია მოქცეული, — თვით გულის მიერვე გამოიყოფა, გულისა, ნაწილობრივ რომ „ლოკავს“ ფილტვებში სასულეს გზით შეღწეულ წყალს. ჰაერი და



წყალი... ადამიანის საზრდო კი არა, წამალია, რომელიც ანელებს გულისა და ფილტვების სიფიცხეს“.

ზემოთ, დემოკრატეს ფილოსოფიაზე საუბრისას, ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსისა და სამყაროს, როგორც მაკროკოსმოსის ფუნდამენტურ იდეაზე, ესოდენ მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებს „ტიმოსში“. მაგრამ სკრუპულოზური გულმოდგინება, რომლითაც პლატონი რატე იკვლევს სამყაროსა და ადამიანის თანაფარდობის, მათი მსგავსებისა და ნათესაობის პრობლემებს, გვაფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული იდეა უმალ საბუნებისმეტყველო კონცეფციად უნდა ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე თავის დასრულებულ სახეს მიიღებდა ფილოსოფოსთა, უწინარეს ყოვლისა კი, პლატონის ნააზრევში.

ტრაქტატებში „დეიტისათვის“ („პერი დიაიტის“) და „შვიდეულთათვის“ („პერი ჰებდომადონ“), რომლებიც პლატონისაა წერია შექმნილი, დიდი ადგილი უჭირავს ემპირიოლოგიის პრობლემებს, სადაც ჩანასახი სამყაროს ბუნებასთანაა შედარებული, ვინაიდან ჩანასახშიც და სამყაროშიც თანაბრად ვლინდება ერთი და იგივე შემოქმედებითი ძალა, ერთიგორის ხატად რომ ქმნის მაკრო და მიკროკოსმოსს, ამას მოსდევს ორი სამყაროს ურთიერთშესაბამისობათა საკმაოდ ვრცელი ნუსხა. ასე მაგალითად, შუტლის ღრუ, სადაც თავს იყრის მშრალი და სველი, ზღვასთანაა შედარებული, ხორცი ისე აკრავს შუტლის ღრუს, როგორც ხმელეთი — ზღვას; სისხლძარღვებისა თუ სისხლის მიმოქცევის სისტემა ციური სფეროების შესატყვისია და ა. შ. ანალოგია ადამიანსა და სამყაროს შორის კიდევ უფრო სრულია ტრაქტატ „დეიტისათვის“ ბოლო, მეოთხე წიგნში, რომელსაც სიზმართა წიგნი („პერი ენისიონ“) ჰქვია და რომელიც გვთავაზობს მაკრო და მიკროსამყაროსა ურთიერთშესაბამისობის შემდეგ შვიდეულთა: ციური სფერო, ცარგვალი — კანი, თავი; მისი სფერო — შუა ტანი; მთავრის სფერო — ქვედა ტანი; ზღვა — მუცელი; მდინარეთა წყალი — სისხლი; ჰების წყალი — შარდი; მიწა — ხორცი.

შეიქონა და მაკროკოსმოსური ანალოგიები „ტიმოსში“ ვაცილებით უფრო მასტაბურია, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. პლატონის ხუთი სხვადასხვა ასპექტით განიხილავს ორ სამყაროს შორის არსებულ შესაბამისობებს — ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მორფოლოგიური, სოციოლოგიური და სტატრიოლოგიური ასპექტით, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება გაანალიზებული. აქ კი ზოგადად უნდა ითქვას შემდეგი: როგორც პლატონის, ისე პლატონის ბიოლოგიური თეორია თანამედროვე მკითხველში საკმაოდ ორჭოფულ განცდას იწვევს.

ცივილიზებული თუ ექსპერიმენტული მანქანის სიმჭირისა და უკმარისობის კომპენსაციას როგორც ერთი, ისე მეორე განუყვანებელი ლოგიკური მსჯელობის ხარჯზე ცდილობს, რასაც მხირ შემოხვევაში მცდარ დასკვნებამდე, ზოგჯერ კი აშკარა გაუგებრობამდე მივყავართ. ყოველივე ამის შემყურეს არცთუ მთლად უსაფუძვლო გეჩვენება პოლ ვალტერის ირონიული ღიმილი: „ფილოსოფიაც, მისი ლექსიკაც და მისი პრობლემებიც იმ დროიდან იღებენ დასაბამს, როცა ფიზიკა და ფიზიოლოგია ზავზეები იყვნენ...“ მადლობა ღმერთს, იშვიათად, მაგრამ მაინც დგება მომენტი, რომელიც გვიპარწყვლებს სექსისის და თამამად გვაფიქრებინებს, რომ ის „ბავშვი“ ვუნდერლიდი იყო. ამ ბედნიერ მომენტთა რიცხვს ეკუთვნის „ტიმოსის“ ბიოლოგიური თეორიის ერთი ასპექტი, რომელიც პლატონის ატომისტური კონცეფციისაგან იღებს დასაბამს და ახალი კუთხით წარმოგვიჩენს მისი მანვალმზრივი ინტუიციის კიდევ ერთ ფხანას:

ელემენტარულ სამკუთხედთა უნატიფესი სახეობებისაგან ტვინის ფორმირების პროცესს რომ გვაცნობს, პლატონი წერს: „...დასაბამირი სამკუთხედთა შორის ღმერთმა შერჩია და განაცალკევა ყველაზე უფრო სწორი და ზუსტი სამკუთხედები, რომლებსაც შეეძლოთ უწმინდესი სახით წარმოეჩინათ ცეცხლი და წყალი, მიწა და ჰაერი; მათი საკუთარი გვარებისაგან გამოჰყო ისინი და თანაზომიერად აზილა ერთ-მანეთში; ასე გაამზადა ყველა მოკვდევ აჩრის თესლი და მისგან ტვინი შექმნა, შემდეგ სულის სხვადასხვა სახე ჩანერგა ტვინში და უშუალოდ მისი პირველადი დანაწევრებით იმდენ სხვადასხვა ფორმად დაჰყო მთელი ტვინი, რამდენი ფორმაც უნდა მიეღო სულდგმულთა თვითეულ სახეს“.

ცნობილმა ფრანგმა პლატონისტმა შარლ მიუგლერმა მახვილგონივრულად და, რაც მთავარია, ექვშეუვალი სიზუსტით დაასაბუთა, რომ დენისიეული „თანაზომიერად აზილა ისინი ერთმანეთში“ („მეფანის დე ალუმლოის სიმეტრია“) მხოლოდ ერთ რამეს — „საერთო საზღვრის დადგენას“ (constituant une limite commune) ნიშნავს, ამ საზღვრად კი, როგორც „ტიმოსის“ ტექსტი გვიჩვენებს, ესა თუ ის პირველადი სამკუთხედი იგულისხმება, რომელიც ორი სხვადასხვა ატომის, ანუ, რაც იგივეა, ორი სხვადასხვა წესიერი მრავალწახნაგა გეომეტრიული სხეულის საერთო წახნაგის როლს ასრულებს. საერთო საზღვრით (ელემენტარული სამკუთხედი) ამანარად გაერთიანებული სხვადასხვა ტომის ორი ან მეტი ატომი მაკრომოდელეკულურ შენაერთს ქმნის. დემიურგოსი სწორედ საეციფიკური მაკრომოდელეკულებით ახასიათებს და განსაზღვრავს თვითეულ

ბიოლოგიურ სახეობას („სულდგმულთა თვითეულ სახეს“).

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ცოცხალ არსებათა თესლი („სპერმა“), „ტიმოსის“ მიხედვით, ესაა ძვლის ტვინის სეკრეცია (ამ მხრივ, პლატონი იზიარებს ალკმეონის აზრს), და რომ ორი მშობლის თანაყოფის შედეგად ჩასახული ახალი ორგანიზმი ტვინის ნაწილაკის გარშემო თანდათანობით ზრდისა და განვითარების პროცესში უკლებლად. პლატონის ატომიზმისაგან გამომდინარე ეს თვისებადი, აბსოლუტურად ორიგინალური მოძღვრება უფრო მეტად ენათესავება ჩვენი დროის გენეტიკურ წარმოდგენებს, ვიდრე ყოველივე იმას, რაც პიპოკრატეს ან, საერთოდ, ანტიკურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებს შეუქმნია. „ტიმოსის“ ზემოთ ციტირებულ პასაჟში, რაზელიც მოკლედ მიმოიხილავს ცოცხალი სუბსტანციის დიფერენციალურ სტრუქტურას, ბიოლოგიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს მემკვიდრეობითობის მექანიზმის პირველ მეცნიერულ კონცეფციად. თანამედროვე „გენის“ ერთგვარ პრიმიტიულ პროტოტიპად“.

დღევანდელი გენეტიკის შთაბეჭედავი წარმატებების შედეგად, რომლებსაც მხოლოდ ატომური ფიზიკის მიღწევები თუ შეიძლება შევადაროთ, ჩვენ ვიცით, რომ ორგანიზმის უჭრედის ბირთვში მდებარეობს დეზოქსირიბონუკლეინის შუავის (დნმ) გიგანტური, ძაფის მსგავსი მოლეკულები — ქრომოსომები, რომლებშიაც მოქცეულია ორგანიზმის მომავალი განვითარების მთელი დაშიფრული კოდი. ამ მაკრომოლეკულების ცალკეულ უბნებს, რომლებიც „პასუხისმგებელი“ არიან ამა თუ იმ მემკვიდრეობითი ნიშნისათვის, გენები ეწოდე-

ბათ. ქრომოსომებს, სქემატურად, გულქანდის ძაფს ადარებენ, რომელზედაც მძივებივით ასხმულია გენები. თვითეულ ბიოლოგიურ სახეობას შეესაბამება ქრომოსომების ესა თუ ის კომპლექტი, რომელიც ქრომოსომების რაოდენობითა და მათი გენური მახასიათებლებით განისაზღვრება. ასე მაგალითად, შიმპანზეს 48 ქრომოსომა აქვს, ადამიანს კი 46. ქრომოსომების საერთო რაოდენობა, თავის მხრივ, უჭრედთა სხვადასხვა ტიპზეა დამოკიდებული. უჭრედები ორგვარია: სასქესო (გამეტა) და არასასქესო (სომატური). ყოველი სომატური უჭრედის ბირთვი შეიცავს ქრომოსომების სრულ კომპლექტს (რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმის თვითეულ უჭრედში მოცემულია სრული მემკვიდრეობითი ინფორმაცია). მაშინ რაღვთაა გამეტის ბირთვში ქრომოსომების რიცხვი ორჯერ ნაკლებია. განაყოფიერების, ანუ სინგამიის აქტში მამრული გამეტა (სპერმატოზოიდი) და მდედრული გამეტა (კვერცხი) ერთმანეთს ერწყმის, რათა წარმოქმნას განაყოფიერებული კვერცხუჯრედი (ზიგოტა), რომლის ერთი ქრომოსომული კომპლექტი მამისაგან იღებს დასაბამს, მეორე კი დედისაგან. თანამედროვე გენეტიკური კონცეფციის თუნდაც ძალზე ზოგადი და ზედამიწრული მიმოხილვაც კი შორს წაგვიყვანდა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვიტყვით მხოლოდ, რომ „ტიმოსის“ ავტორს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვს მემკვიდრეობითობის ქრომოსომული თეორიის ყველა ამ ურთულეს კომპონენტზე, რაც თანამედროვე გენეტიკის მეცნიერულ მიწაპოვრად გვევლინება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერც იმას უარვყოფთ, რომ მემკვიდრეობითობის მექანიზმის მაკრომოლეკულური სტრუქტურის ზოგადი სქემა მის მიერ სწორადაა მოწმუნული.

ბაბრქველია იქნება



# კომუნისტური პარტია

## ისე „ამბას“ მბამორფოზების გავრცელება

ანუ

### ვის უნდა ვუთხრო?

ამის წინათ გავით „საქართველოში“ (№ 44, 6-12 ნომბ. 1992) გამოვაქვეყნე ფელეტონი „პროვინციული მხარე — ამბასის მრავალსახეობა“. როგორც სათაურიდან ჩანს, პროვინციულობის სენი ამბასს არსებებს შევადარებ, შესაბამისი მინიშნებით: პროვინციულობაში, ამბასავით, შეიძლება სხვადასხვა ფერით და ფორმით გამოვლინდეს, მაგრამ ამით მისი შინაარსი არ შეიცვლება-მეთქი.

ფელეტონს ათიოდ ადრესატი ჰყავდა, თუმცა არავინ დამისახებლობდა და ამის მიზეზიც, ფელეტონის უანრობრივი თავისებურების გარდა, იქვე მივანიშნე: ამ მოვლენას სახელ-გვარი არა აქვს, მისი სახელი საერთოა — პროვინციულობაში!

მაგრამ ფელეტონის ერთ-ერთმა ფარულმა, ჩემგან ნამუსუნესულმა ადრესატმა, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორმა გ. გოგოლაშვილმა, თავმთონედ გაამუდუნა თავისი ვინაობა („საქართველო“, № 47, 2-8 დეკ.). — ფელეტონში ნაგულისხმევი წერილი აკაკისა და ვუას ენობრივი „გზების“ შესახებ („მაცნე“, 8, 1991) და მისი წყალგაუვალი დებულებები „ჩვენ“ გვეკუთვნისო! თანაც იგი, საკუთარი „ძიებების“ მართებულობაში დაუკვების ნაცვლად, შეეცადა „გამოღმა“ მე ჩავეყენებინე თავის დამცველის მდგომარეობაში; კერძოდ, საჭერ (!) მკვებედ გავაფორთხილა მეც და მკითხველიც, ა. არაბულის ფელეტონი „გაუაღებდა საქმისა და ცილისწამება“. „საქმის გაუაღებდა“ რას ნიშნავს, არ მესმის, მაგრამ „ცილისწამება“ რომ მრისხანე საბუთია არასასურველი ოპონენტების საზამართლოში „მისაწვევად“ (თანაც სამი გაფორთხილების შემდეგ!), ეს მეც კარგად გამეგება. ამიტომაც, თუ საფუძვლიანად არ დავასაბუთებ ფელეტონში გავკრით ნათქვამი, რომ გ. გოგოლაშვილის „აკადემიური“ წერილის ტონი და აზრი შეურაცხყოფაა ქართველი კლასიკოსისა, ხოლო საერთო დამოკიდებულება — პროვინცი-

ულობის ფესვებზე ნაყარი, შეიძლება მართლა დაიჭიროს, რომ მე მას — სერიოზულ მკვლევარს — ცილს ვწამებ და, როგორც დამანაშავე, საზამართლოს გზასაც გამოიყენოს.

ამის გამო მე, როგორც ვალდებული და იძულებული, დავუბრუნე ხაზგასმული წინადადების დასაბუთებას. ამასთანავე, თვით მისივე კადნიერი ნება რომ არა, კვლავაც თავს ავარიდებდი ჩემი ფელეტონის ერთ-ერთი ადრესატის გვარ-სახელის ხსენებას, ორი მიზეზის გამო მაინც: ჭერ ერთი — სახელი პირს ეკუთვნის, მაგრამ გვარი შთამომავლობის განძია; პირი თუ შეცდა, პატიოსანმა გვარმა რა დააშავა? მეორეც — ზემოთ ნათქვამს ილიას ფრაზით გვიმერობ: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჰიზრედა ვწერთ“. არც ფელეტონს ჰქონია პიროვნული მისამართი და არც წინამდებარე წერილი ისახავს კერძო მიზანს. თუმცა მათში თავი შეიძლება იმანაც „ამოიცნოს“, ვინც სახელდობრ არ ყოფილა ნაგულისხმევი... ესეც ხსენებული „სტენის“ ერთ-ერთი თვისებაა...

ბოლოქმულის გათვალისწინებით, ჩემი მხრივ, ერთი პირობაც უნდა დადგო: ვინც და როგორც უნდა გამოემკობოს, მკითხველს (და რედაქციებს) ამ თემაზე მეტს აღარ შევაწუხებ. დაე, ისე ჩამეთვალოს, თითქოს ეს წერილი ყველას პასუხი ყოფილიყო, დოქტ. გ. გოგოლაშვილთან — ნაღდი ანგარიშით, დანარჩენებთან — ავანსის სახით. ბოლოს და ბოლოს, ამ უმადურ საქმეს — პროვინციულობისთან ბრძოლას — მეორე პროფესიად, ბიზნესის საგნად ზომ არ ვავიხდები! ამას ჭობია, წავიდე და წისქვილის ქვების მოკოდვა დავიწყო...

ეს საქმე რომ ბევრად ჭობია პროვინციულობას საქმის დაჭერას, ქვემოთ დარწმუნებით... ერთი აუცილებელი განმარტება: ყველა თემას შესაფერისი სტილი სჭირდება. ამ წერილის სტილსა და ფორმასე რომ ვფიქ-

რობდი (აქ ფელეტონი აღარ გამოდგებოდა), დაყენებით შემასხენა თავი თ. წიფვიძაძის საპოლემიკო სტილია. იმ დალოცვილს თითქოს სწორედ პროვინციალიზმთან საბრძოლველად მოუგონია პოლემიკის ეს მეთოდი: სერიოზულად, საფუძვლიანად, მაგრამ მსუბუქი იუმორით! იმედია, ბატონი თამაზ მომიტყეებს, რომ მისი სტილის პლაგიატისათვის ოფიციალური ნებართვა არ ვითხოვე.

ასე რომ, სტილი გამოცდილი და აპრობირებულია... ადრესატისაგან განსხვავებით, მრისხანე სერიოზულობას არ ვაპირებ; აღნიშნულ სტილს ამგვარი რამ არ მიესადაგება. თანაც, წინაპრებს უნდა ვუდღღოთ ყური: „გულსწყრომამან ცაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის“.

\* \* \*

ყველაფერი სათაურით უნდა დაიწყოს კაცმა, — ჩვენი სათაური დაიწყოთ.

ვერ დავუყარავ: გ. გოგოლაშვილს თავისი პოლემიკური ოპუსისათვის (ამ სიტყვას ჩვენი კოლეგა გაუღიზიანებია, მაგრამ მასში საგამობი არა არის რა) დიახაც მოხდენილი სათაური მოუძებნია — „პროვინციალიზმს პროვინციალიზმით ვერ დავამარცხებთ!“

აქაც და შემდგომაც დავრწმუნდებით, რომ პროვინციალიზმი რაციონალურ ლოგიკას ვერ პგუობს, პროვინციალიზმის ლოგიკას საფუძვლად ვონება კი არა, გრძობა და გული აქვს, კუთხე-კუნჭული იმ გულისა, რომელიც, ილიას თუ დავისესხებით, ზხირად ფხანას მოითხოვს.

მაგრამ ჩვენ გრძნობა-ემოციების მიყოლა არაფერს გვარგებს, მშრალი ლოგიკით განვსაკოთ ეს სათაური.

ამ ლოგიკით, მადლიერება უნდა გამოვხატო, შრომა დამიფასა ავტორმა; სათაურის პირველი სიტყვა იმას ადასტურებს, რომ არ შევძვდარვარ, მართლაც პროვინციალიზმთან მიბრძოლია ჩემი ფელეტონით.

მაგრამ სათაურის მეორე სიტყვით ავტორი იმ ექვს და იმედს გამოთქვამს, რომ ოპონენტიც პროვინციალიზმის ციხე-სიმაგრეიდან უნდა ებრძოდეს; და თუ ეს ნამდვილად ასე აღმოჩნდება, ფელეტონის ადრესატს თავი ქულში ჰქონია: მართლაც, ასე „პროვინციალიზმს ვერ დავამარცხებთ“.

მაგრამ ამ ბრძნულ სათაურში მისთვის სასურველი კუშმარტების ქრთილი რომ მაინც აღმოჩნდეს, ამისთვის მისდამი ჩემი პრეტენზიის პროვინციალიზმთან კავშირი უნდა დასასუბუთოს. საამისოდ კი ზელმოსასკიდს ვერაფერს პოულობს: მე, მისგან განსხვავებით, რომელიმე კლასიკოსს აუგს (მითუმეტეს, ტენდენციურს) არ შევკადრებ; ფელეტონში ცალმხრივობას და მიკერძოებას ვერ იპოვის; ფსევდობას ვერ დამაბრალდებს და ვაჟას მემკვიდრეობის გამო ჩემი თავგამო-

დების მიზეზად ჩემი „მთიელობა“ რომ დასახელოს, უაზრობა გამოვა, — საქართველოს ნახევარი ხომ მთიელია! აღმოსავლეთ-დასავლეთობაშიდე რომ დავშვას, თვითონვე მოიპრის თავს... ამიტომაც სათაურის გასაპართებლად აშკარად ვერაფერს ამბობს (გულში ეგებ ამბობს კიდევ, ჩემი შენ ვითხარობ...), ერთადერთი, რასაც გამოვხეივ ბრალდებად მოყენებს, არის ის, რომ მე, თურმე, ადრე აკაკის პოზიციაზე ვმდგარვარ, ახლა კი, როგორც ჩანს (ამას გარკვევით ვეღარ ბრძანებს), ვაჟას პოზიციაზე გადასულვარ!

სერიოზული არ მეჩვენება ამ „საბრალდებადებულეზაზე“ ზემოაღნიშნული კუთხით შეჩერება, მას სხვა თვალსაზრისით დავუბრუნდები..

სათაურის გამო კი ისდა უნდა დავსძინო, რომ იგი ავტორისავე მამხილებელი აღმოჩნდა. ერთადერთი, რაც ამ სათაურს რეალობასთან აქვს საერთო, მისი პირველი სიტყვაა, ანუ ის, რომ, პარტნიორისავე დიდსულოვანი დასტურით, მართლაც პროვინციალიზმთან ჰქონია საქმე.

მაგრამ ამით სულაც არ მინდა, ჩემს პარტნიორს ქედღმადლობაში ვაგვიბრო.

იმ ავადახსენებელი ფელეტონის დასაწყისშივე პროვინციალიზმი გლობალურ ეროვნულ სენად მივიჩნიე. ეს კი, თუ მართალია, იმას ნიშნავს, რომ პროვინციალიზმის ჭიას მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანის სულსა და გულში შეუღწევიია. თუკი მოკვდავთა უმეტესობას ეს სენი შეჰყრია, აბა, რომელი ძელქვა მე ვარ, რომ არაწარი ჭია არ შეყარებოდეს. მეც, ცხადია, საერთო ჭევაში ჭიხარშები. მაგრამ, ჩემი ფელეტონის ადრესატებთან შედარებით, მე ვასიგრძეგანებულეი მაქვს ამ სენის დამღუჭულობა და შეძლებილდაგვარად ვებრძვი მას ჩემშიც და ჩემს „კოლეგებშიც“. ამიტომ სულაც არ გავიგლეჯ საუელოს; თუ ვინმე ამგვარ გადაცდომაში მამხილებს; თავმდაბალ სინანულს მივიცემი მამხილებლისადმი ქრისტიანული მადლიერების გრძნობით. ოღონდაც ამჭერად, ღვთის წინაშე, გ. გოგოლაშვილთანაც და, ცხადია, დიდ ვაჟასთანაც ამ თვალსაზრისით სრულიად უბრალო ვარ.

\* \* \*

სათაურის შემდეგ უპირველესად ის უნდა ვკითხოთ, გზადგზა ხომ არ შეიცვალა გ. გოგოლაშვილმა ჩემს მიერ ფელეტონის საგნად ქცეული პოზა და პოზიცია ვაჟას ენის დამწუნებლისა.

თუ ასე იქნებოდა, მაშინ ჩემგან საპასუხო წერილის დაწერა მაინც სუბიექტური თავგამოდება გამოვიღებოდა, პიროვნული ემოციების გულისთვის კი დროის, ადგილის და ენერჯიის ხარჯვა მართლაც არა ღირს.

მაგრამ არა! გ. გოგოლაშვილი კვლავაც და-



ჭერებული იმაში, რომ ვაჟი-ფშველა ქართული ენის მაგისტრალური გზიდან არის გამდგარი და ამის აღმოჩენის პრიორიტეტსაც იჩენებს (ნაწილობრივ, წინამორბედთა „დამსახურების“ მიჩქმალვით)!

მართალია, ფილ. მეც. დოქტორი საპოლემიკო ოპუსში ნაწილობრივ არბილებს და კვეცავს თავისი პირველი ღრმადმეცნიერული წერილის გამონათქვამებს, საკუთარ ფრაზეზსაც ამოკლებს და თვით კლასიკოსებისასაც კი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სათქმელის არსს არ ცვლის, როგორ, რა ფორმით გამოხატავს იმავე პოზიციას ავტორი საპოლემიკო ოპუსში?

არ გავევირდეთ: ამის ერთ-ერთი ფორმა ჩემდამი საყვედურია! თურმე ადრე, როდესაც მე ერთი „დამწვები პოეტის“ (ავტორის სიტყვებია) ლექსების ენობრივ მხარეს ვეხებოდი, „აკაკის პოზიციანზე“ ვმდგარვარ, ახლა კი, ჩანს, ვაჟას მხარეს გადავსულვარ... და ამის მოქმედს ავტორი სამართლიანად მიაწერს „მანანსეს პოლიტიკას“ (ო. ეს „პოლიტიკა“!).

თავდაბალი მადლობა უნდა მოვახსენო ავტორს ასე დადი შეფასებისათვის. სიზმარშიც ვერ გავკადნიერდებოდი ისე, რომ ჩემი ორიოდვე წერილისათვის „აკაკის პოზიციანზე“ დგომა (თუნდაც მხოლოდ „ადრე“) დამეჩვენა.

მაგრამ ავტორის მთელი მსჯელობა ცნობილ გამონათქვამს მავანებს: „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი...“

მე მეცნიერთან ხელჩართულ ბრძოლაში იმ ელემენტარული ჭეშმარიტების იმედად ჩავები, რომ აკაკიც და ვაჟაც, სხვა კლასიკოსებთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენის საერთო დიდ გზაზე დგანან, უფრო სწორად, სალიტერატურო ენა აკაკისა და ვაჟას გზით მიემართება და ამ გზას ისინი ისე მხარდამახარ მისდევენ, როგორც „შუშანიის წამების“ მშვენიერი ფრაზა ამბობს: „ვითარცა ხარნი მხნენი დღუღელინი ზესენელისა მის ფასისანი...“

მერე რა, თუ ტიტანები ზოგჯერ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დამახასიათებელ განაწყენებულ თუ გამანაწყენებელ რეპლიკებს ესროდნენ ერთმანეთს — ისინი გენიოსი თანამედროვენი იყვნენ (ზოგ საკითხზე უქომარობისო პოლემიკა ვაჟასა და ბაჩანასაც ჰქონიათ. მაშ, ამაშიც „გაზები“ ვეძებოთ?!). ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მათი დავალი დასაფასებლად კი უნდა დავყვარდნოთ მათ შემოქმედებით შემეკიდრეობას და არა მათ ცალკეულ გამონათქვამებს.

აკაკის და ვაჟას რომ არ ვმიჩნავ, მე მოკრძალებით ვყვარდნობი და ვიცავ ქართული ფილოლოგიის ჭეშმარიტი ავტორიტეტების თვალსაზრისს.

გ. გოგოლაშვილი კი, თითქმის კუთხეში დაყენებული მოწაფე ვიყო, აქეთ მიქნევს თითხ: 10. „ცისკარი“, № 4.

არ დაგავიწყდეს, ადრე „აკაკის პოზიციანზე“ იდეტი, ახლა კი ვაჟასკენ გადახრილხარო!

რად გავაგრძელო, მეცნიერის დამოკიდებულებას უცვლელთა ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური გზიდან გადაშვევი ვაჟას მიმართ მკითხველის ეჭვს აღარ გამოიწვევს და მეც ისევე გულდაჩერებით მიყვები ჩემი კულეგისა და მეგობრის „ძველი გზის“ უკეთესობაში დაჩერებას.

\* \* \*

ზემოთ პროვინციალიზმის ერთ-ერთ ნიშნად ლოგიკის დეფიციტს დავასახელებ. ერთი „დეფიციტი“ კიდევ აწუხებს პროვინციალიზმს — იუმორისა, როდესაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს იუმორი და ირონია მის მიმართ არის გამოხატული. ფელეტონი იმის ფელეტონია, ირონია დი იუმორი მსჯელადვეს; ავტორს კი ჩემი ფელეტონისეული გამონათქვამები უსახელო ადრესატების მიმართ ისე სერიოზულ ციტატებად უქცევია, თითქმის კლასიკური გამოკვლევებიდან მოჰქონდეს. ერთი მაგალითი: მე ერთ-ერთ დონისძიებაზე ირონიით ვამბობ, ამ დიდებულ საქმეში დასაწუნი რა იქნებოდა, რომ პროვინციალიზმის ნიშნით არ იყოს აღმუქდილი-მთქი. გ. გოგოლაშვილი კი გავეივრებით კითხულობს, თუ დიდებულია და დასაწუნი არ არის, შეცოდება რაღაში არისო?!

რა ჩვენი ბრალია, თუ ამგვარი მსჯელობები ფელეტონის გუნებაზე გვაყენებს?

\* \* \*

ახლა იმაში გავერკვეთ, რას ემყარება მეცნიერი გ. გოგოლაშვილი, როდესაც აკაკის და ვაჟას სხვადასხვა გზაზე მდგომებად მიიჩნევს?

ტიტულოვანი მკვლევარი თვითონვე აღიარებს, რომ ვაჟას შემოქმედების ენობრივი ანალიზი არც უცდია. ერთადერთი, რასაც საკუთარი დასკვნებისათვის მოიხმობს ავტორი, ეს არის ცალკეული, საქმოდ ცალმხრივი ამონარიდები კლასიკოსთა შეხედულებებიდან, უფრო კი სხვადასხვა ემოციური დატვირთულობის რეპლიკები (რომლებზე დაყრდნობაც სერიოზული კვლევის დროს საფრთხილია). ამ მასალის საფუძველზე გ. გოგოლაშვილი დასკვნის, რომ ძალექტებში არსებული ლექსიკისადმი აკაკის და ვაჟას დამოკიდებულება თანხმიერია, მსგავსია — მას ენის სიმდიდრედ მიიჩნევენ. ერთადერთი, რაც მათ პოზიციას განასხვავებს, როგორც ავტორი მიიჩნევს, დიალექტური ვრამატიკული ფორმებია. აკაკის მათი შემოქმედება ლიტერატურულ ენაში დაფუძვლად მიიჩნია, ვაჟას — დასაშვებად.

თვალსაზრისთა ეს სხვაობა ორ დიდ მწერალს შორის მასალის მხრივაც რომ მართლაც ასეთი გამოკვეთილი იყოს, განა შეიძლება ისე წარ-

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

შოდგენა, თითქოს ვაჟა სალიტერატურო ენის განვითარების „სხვა გზა“ ადგენ? ერთადერთი, რისი თქმაც აქ იქნებოდა მიზანშეწონილი, არის ის, რომ მწერლის ენის შეფასების თვალსაზრისით ერთ-ერთი კონსერტული საკითხის გამო ორი კლასიკოსის პოზიცია განსხვავებულია. ესაა და ეს სხვათა შორის, მეოცე საუკუნის ყველა თაობის მწერალთა შორისაც დავეხებით ანალიტიკურ სხვაობებს, — მაშ, აქაც სხვადასხვა „გზებზე“ ვილაპარაკოთ?!

საზოგადოდ, ენის განვითარების გლობალური პროცესები ისტორიული პერსპექტივიდან ხშირად სხვაგვარად იხილება, ვიდრე ამას თანამედროვენი აღიქვამენ და განიცდიან. ცნობილია, რომ „მამათა“ და „შვილთა“ შიდარი დაპირისპირების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ენობრივ შეხედულებათა განსხვავებულია იყო. მაგრამ თანამედროვე გამოკვლევათა დონეზე მამათა და შვილთა შესახებაც კი უხეშ, დაუშვები ანტიკონსტრუქციული მოდელების რეციტივად აღიქმება ასე მსჯელობა: მამები და შვილები სხვადასხვა გზას ადგენენ..

ბუნებრივია, მით უფრო მეტირალა ანაქრონიზმა ამის თქმა აკაცისა და ვაჟის შესახებ. ანაქრონიზმი კი პროვინციალიზმის მოსუიციდელი ნიშანია.

აი, მეცნიერის ნეილი ამონარიდი ვაჟს ერთი საპოლემიკო წერილიდან, რომლის საფუძველზეც გ. გოგოლაშვილი ვაჟას სალიტერატურო ენის გზიდან გადამცდარად მიიჩნევს:

„ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვლეთ, ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა ვაყენოს ლიტერატურულ ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფარებოდა ენის ხასიათს, იმის ბუნებას... ამიტომ იმათი (იგულისხმება — ფშავლები) სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვთ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკულ ფორმები ხელჩასაქიდებელია, ღირსსაყოფნელი...“

რალაც არ უღერს ეს ციტატა „სხვა გზაზე“ დადგომის უაიდაზე, საუბარია მწერლის მიერ ენის ბუნების შესატყვისი დიალექტური სიტყვები და ფორმების სალიტერატურო ენისათვის გაცნობაზე.

მაგრამ უხედურება ის არის, რომ გ. გოგოლაშვილმა ვაჟას ეს — მისი აზრით, თავისთვის გამოსაღვი — ციტატაც გააყალბა (მისი ტერმინი „გაყალბება საქმისა“ სწორედ ამას მითუხლებია), ანუ შეკვეცა ჭერ სამეცნიერო სტატიაში, შემდეგ — უფრო მეტად — საპოლემიკო ოპუსში. აქ, ციტატის გამოიშავი მრავალწერტილის ადგილას, ვაჟას ისეთი რამ უყვრია, რაც კიდევ უფრო ნათებს ხელს მისი პოზიციის არაკატეგორიულობას. აი, ეს ფრაზაც: „თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგია, თუ არადა, არც არაფერი ამითი წახდება. „ციცხლი ვსთქვი და პირი არ დაწვაო“;

ტყუილად არ ამბობს ქართული ანდაზა... და შორს რომ არ წავიდეთ, გ. გოგოლაშვილს მწერლის ეს სამკვერდიანი წერილი უთუოდ ექნება ბოლომდე წაითხული და ასევე ვაჟახუნებ ცოტა ქვემოთ მეცნიერის მიერ უყურადღებოდ დარჩენილ თუ, უფრო, მიუღირობებულ გამოთქვამებს მწერლისას, რომლებიც, ზემომოყვანილთან კონტექსტში, ყველა ახიკრიტა მკვლევრის კრიტიკას გაუძლებენ:

„მწერალს არ შეუძლიან საგაღებულოდ გახადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა, მხოლოდ იმ ნებას კი ვერაფერს წართმევს, რომ მწერლობას მიანიც არ გააცნოს, როგორც სამეცნიერო, საეთნოგრაფიო საგანი“.

„რაც უნდა იყოს, ეს ფორმები ხალხურია და სახალხო მწერალს, როცა ხალხს ალაპარაკებს, ეპატება ამ ფორმების ხმარება...“

ცხადია, ეპატება, თუ მწერლის ენას ისეთი ხელეჩიანი მკვლევრები არ მოეკლინენ, როგორც კოლეგა გ. გოგოლაშვილი აღმოჩნდა.

შეიძლება უფრო გამოწვლილივითაც გვემსჯელო ვაჟას ენობრივ შეხედულებებზე, როგორც მისი წერილების, ასევე ენობრივი მასალის საფუძველზე. თვით ჩვენგან, მოაპერტოვან, ციტატები გამოგლყლილი სამკვერდიანი წერილი ძალიან მნიშვნელოვანი განზოგადებების საშუალებას იძლევა. მაგრამ ამგვარი შრომა ფუჭია ორი მიზეზის გამო: პირველი — როგორც ვხედავთ, გ. გოგოლაშვილის კატეგორიის მკვლევართათვის ბევრს არაფერს ნიშნავს მეცნიერული ლოგია და ფაქტობრივ არგუმენტაცია, ისინი გულისწადილის კარნახით სჯიან და არა გონებისა. ასე რომ არ იყოს, განა ცოტა სერიოზული გამოკვლევა არსებობს ჩვენი კლასიკოსების (მათ შორის, ვაჟას) ენისა და მათი ენობრივი შეხედულებების შესახებ, რომ ავტორს გათვალისწინებინა (სხვათა შორის, ნურავის ეგონება, რომ ორი გენიოსის პატივობის ეს ჭეტალები, გოგოლაშვილმა წინ რომ წამოხწია, სხვა მკვლევარებმა არ იცოდნენ; და თუ ისინი გოგოლაშვილივით არ იქცეოდნენ, ჩანს, უფრო ტაქტიანი იყვნენ დიდი მემკვიდრეობის მიმართაც და ისტორიის მიმართაც); მეორეც, უფრო ხულია მეოცე საუკუნის მიწურულს ვაჟას ენისა და მისი პოზიციის სერიოზულად დაცვა. ჩემი აზრით ეს, საზოგადოდ, შეურაცხყოფს ქართველოლოგიას და პირადად მე ამ უხერხული მდგომარეობიდან უკეთეს გამოსვლად იუმორი და ირონია მივიჩნვი. იქნებ, სხვათა უკეთეს გზა და ხერხი მოხანოს..

დღეს რომ დიდა შემოქმედა ენობრივად სხვაგვანამდგარ პოეტად მიიჩნიო, საპროგრა-მო-საბალტურიენტო მასალას არ უნდა იყო გამცდარი, წაითხული არ უნდა გქონდეს მწერლის ბიბლიოტეკა გაწონასწორებულ მოთხრობები, მისი ფილოსოფიური ლირიკა, მისი წერილები..

მეტიც, წაითხული არ უნდა გქონდეს ვაჟს შემოქმედების ხილრმისეული, კომპლექსური (მხატვრულ-ენობრივი მთლიანობით) გამოკვლევები გრ. რობაქიძისა, გრ. კიკნაძისა, აკ. ბაქრაძისა, თ. ჩხენკელისა, დ. რეიფელისა, სხვათა და სხვათა...

თუ ჩემი პარტნიორი უცილობლბობას დაიწყებს, ეგენი მწერალ-ლიტერატორები არიან, ენობრივ საკითხებში ვერ ვენდობიო, დიდ ენათმეცნიერულ ავტორიტეტებს — არნ. ჩიქოვას, ივ. გიგინეიშვილს, ბ. ფოჩხუას... დავუსახელებ, — მათ ვაჟა ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნდათ!

განა შეიძლება, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბიზანს განხვ მდგომი ამავვე სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყოს?!

მაგრამ ვატყობ, ისევ იმ წყუულ ლოგიკას მივადექით!

დაიხ, ვაჟს (და ნებისმიერი კლასიკოსის) ენობრივ პოზიციასზე საუბრისას ყოველივე აღნიშნული გულდასმით და თავმდაბლად უნდა გქონდეს გათავისებული. წაითხული არა გაქვსო, — ამისი თქმა პარტნიორისათვის მეტისმეტი ულმობლობა იქნებოდა, ამიტომაც, მანვეარიებობისათვის, გალაკტიონის ცნობილ სტროფს შევთავაზებ:

არის მკითხველი მშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ გადამკითხველი...  
ის ფურცლავს, ნიშნავს, ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი?

\* \* \*

ბ. გოგოლაშვილმა ჩემს ფელეტონისეულ გადაკრულზე ბრძანა: „მაცნე“ ჩვენი წერილი პირველ ადგილზე იმითომ დაბეჭდა, რომ აკაკის საიუბილეო წელი იყო! ვითომ რა შესძინა ამ წერილმა აკაკის და მის საიუბილეო წელს მეცნიერული თვალსაზრისით? ნუთუ ის, რომ დიდი თანამედროვე დაუპირისპირა, ამით კი, უპირველესად, შთამომავლობაში ერთობის და სიწმინდის განამტკიცებელი დიდი აკაკის შარავანდედმოსილი აჩრდილი შურაბცეყო? სწორად რომენციული სულისკვეთების გამოკვლენა ვინმეს განდიდების მცდელობა (აკაკის გრანდიოზულ ფიგურასთან მიმართებით ეს შესიტყვება მართლაც დიმილისმომგვრელი იქნებოდა) სხვათაან დაპირისპირების ხარჯზე. ამიტომაც დავიმოწმე ფელეტონში ქუეშარტი დირსების გამომხატველი სიტყვები ილიასი: „სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები...“

რედაქციას კი შეიძლება შევკადროთ: თუ წერილის შინაარსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იგივე წერილი შეიძლება ვაჟს საიუბილეოც (სხვათა შორის, შარშანდელი წელი ვაჟს საიუბილეოც იყო!) გამოქვეყნდეს, ოღ-

ონდ შებრუნებული სათაურით: „ვაჟა და აკაკი“!

\* \* \*

გალაკტიონის დამოწმებული სტროფი (განსაკუთრებით სიტყვა „ჩიჩქნა“) კიდევ რამდენიმე გამაფრთხილებელ ფრაზას გვიკარნახებს: კლასიკოსი მწერლის ენა რომ განსჯის საგნად ვაქციოთ, ვერ მწერლის ენის ფენომენი უნდა გქონდეს გააზრებული. ქუეშარტი მწერლის ენის შეფასება კუ, პუ, ტუ-ს დონეზე დაუშვებელია, საზიფათოა. არ შეიძლება მწერლის ენას მხოლოდ „ენობრივ მასალად“ აღვიქვამოდეთ, მხატვრული ენა როული და განუყოფელი წარმონაქმნია. ამ მხრივ განსაკუთრებით როულია პოეზია, კარგად უნდა გვესწოდეს, ვგრძნობდეთ, ვწვდებოდეთ პოეზიას, რომ მისი ენობრივი ანალიზი თავს ვიღოთ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პირველი ფუძემდებელი ილიაა, მაგრამ მისი პოეზია თითქმის თვითონვე ეწინააღმდეგება ენის კანონმდებელს და არქაულისაკენ იხრება. ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის პრობლემა სხვა კუთხით წარმოსდგება: ვაჟა საკულდაგულოდ ეტებდა თავისი პოეტური სათქმელის ფორმას და ბოლოს ამისთვის ხალხური პოეტური კონიე აირჩია — თავისთავად დიდი პროდუქტი ძველი პოეტური კულტურისა. ვაჟა მას თვითონვე მიუთითებს, როდესაც ამბობს, რაფიელ ერისთავის ლექსების გაცნობამდე „საერო კილოზე წერას ვერ ვებედავდი, რადგან მწერლობაში ლექსის წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა“, შემდეგ კი „მეც გაბედულება მომემატა“-ო. აი, აქ არის ვაჟს პოეზიის სათავე, ოღონდ, „საერო კილო“ უნდა გავიგოთ არა დიალიქტად (და „გრამატიკულ ფორმებად“), არამედ სწორედ ხალხურ პოეტურ კილოდ, პოეტურ კონიედ. ვაჟამ ერთგვარ შუა მასალად გამოიყენა პოეტური კონიე — თავისი ხალხური ლექსიკით, ფორმებით, გამოთქმებით, მხატვრული სახეებითაც კი..

ამის გათვალისწინება აუცილებელია ვაჟას ენაზე საუბრისას.

მაგრამ ამ საკითხს ამჭერად მეტად ვეღარ გავყვებით.

\* \* \*

აქ სათქმელს უნდა გადავუხვიო და პროვინცილობის კიდევ ერთ გარეგნულ ნიშანზე უნდა მივუთითო. პროვინციალიზმი პოლემიკისას არგუმენტებს ცვლის გარეგნულად ეფექტიანი საშუალებებით: ხმის აწევილ და მაგარი გამოთქმებით. მაგრამ ქუეშარტიც არც ყვირილით დგინდება და არც მკვეთრი ფრაზებით, ხოლო რაციონალური მსჯელობა ეფექტების მოსახდენად სულაც არ არის გამოხსული. მე არ ვებედი მხოლოდ წებობის პოლემიკის ნიშნებს, ნაწერში ყვირილს „გაგონებას“ გულისხმობი მკითხველი მაინც მოახერხებს. რაც შეეხება

ვყავს ენობრივი პოზიციის გოგოლაშვილისეულ შეფასებას, ეს რომ წმინდად ეფექტუა „გათვლილი“, ამაში პირადად მე ეჭვი არ მეპარება.

\* \* \*

ფელეტონის მკითხველი სათაურიდანვე გავფრთხილებ: პროვინციალიზმს ამებას თვისება აქვს, თუ წინააღმდეგობას შეხვდა, უშაღ ფორმას შეიცვლის, მაგრამ ამაზე არ შეგაცდინოთ, ამითი მისი შინაარსი არ შეიცვლება-მეთქი.

ამგვარ ფორმაცვალებას საპოლემიკო ოპუსშიც არ უნდა ძებნა, აი, ერთი მაგალითი:

ამ ოპუსში ავტორმა თავი მოიპაჩლა (იდიოშია, ლანძღვა არ გეგონოთ!):

„ჩემს წერისს არ ჰქონდა „ღრმად-მეცნიერული და საშეიღმელო გამოკლევის“ (ფელეტონისტისეული შეფასება) პრეტენზია. პაექრობის ისტორიას გადავხედე და დასმულ კითხვას ასეთი პასუხი გავეცი: პაექრობას საწერლო ენის საკითხებზე აკაისა და ვაჟას შორის ხანგრძლივი ისტორია და მწვევე ხასიათი ჰქონდა...“ არ შეცდეთ, მანვერია და არა თავმდაბლობა! ავტორის მიზანი რომ მართლად ასეთი უპრეტენზიო ყოფილიყო, მართლაც, რა მრჩადა ან თვითონ რა რქიდა: „ხანგრძლივი ისტორია“ — „მწვევე ხასიათი“ რომ ჰქონდა, ეს ხომ დოკუმენტურად არის ცნობილი, გ. გოგოლაშვილმა რომელი ახალი დოკუმენტები აღმოაჩინა?! ან რატომ ჰგონია, რომ ეს ფაქტები სხვა მკვლევრებმა არ იცოდნენ? არა, როგორც უკვე დარწმუნდებოდით, მეცნიერის „მაცნესული“ წერილი სწორედაც კადნიერი პრეტენზიით არის დაწერილი — იგი კლასიკოსებს (უფრო სწორად, ვაჟას) ენობრივი „გზისაზღვრას კისრულობს.

წერილის ამ მიზანდასახულებასაც რომ თავი დავენებოთ (მის სიღრმეზე რა წარმოდგენისაც ვარ, ფელეტონში უკვე გამოვხატე), აბა, მის სათაურს შეხედეთ: „აკაი და ვაჟა!“ ეს არის უპრეტენზიოება და უამბიციოება? ეს ხომ კოლოსალური ნაკლევის საკუთრია და მართლაც სახარტოა მისი კონკრეტულ თემაზე დაწერილი შეიდეგერდანი წერილის სათაურად გამოტანა!

რამდენადაც ეცი, ეს სათაური XX ს-ის დასაწყისში ერთმა ავტორმა წიგნის სათაურად გამოყენა და იგი მართლაც ფართოდ ეხებოდა ორი კლასიკოსის პოეტურ ფიგურას.

ამიტომაც არ დაუჭროთ მეც. დოქტორის ფიცი-მტიცს, დიდი პრეტენზიები არა მქონიაო, პრეტენზიები დიახაც რომ უსაზღვრო გამოსკვივის, აი, შედეგებზე კი რა მოგახსენოთ!..

\* \* \*

აქ უნდა აღვნიშნოთ ინტელექტუალური პროვინციალიზმის კიდევ ერთი ნიშანი: ცრუმეც-

ნიერულობა, ცრუსერიოზულობა, ცრუმეცნიერულობა. მაგალითების საძებნად კი სამოცდაათწლიან მეთოდოლოგიურ ქვაბში ხელის ფართი ნამდვილად არ მოგვიწევს..

\* \* \*

გ. გოგოლაშვილი უთუოდ დაუდევარ და გულუბრყვილო მკითხველს ვარაუდობს, როდესაც პროვინციალიზმის მამხილებელი ფელეტონის ავტორს აბრალებს, მისთვის „გოგოლაშვილი პროვინციალი არის იმიტომ, რომ იმერელია“, მოხვე — რადგან მოხვეეაო! და ა. შ. აქვე იგი პროვინციული წასისიანების მეთოდსაც მიმართავს:

მე ფელეტონში იმას ვჩიოდი, რომ ჩვენს სინამდვილეში დიდი ქართველი კლასიკოსის, ალ. ყაზბეგის ძეგლის დადგმა მოხვევის სახრუნავი გამხდარა, გ. გოგოლაშვილი კი ყაზბეგის გულშემატიკარი მოხვევის ემოციების გამოსაწვევად წერს: ყაზბეგის ძეგლის დადგმის „ინიციატივის ავტორის მოხვევმა რატომაა ცოდვა?!“

ამ კითხვების დამსმელი იმ ინტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც არ იყოს, არნ, ჩიქობავას სახელს რომ ატარებს, სახელს იმ მეცნიერისა, რომელიც სწორედ პროვინციალიზმად თვლიდა კუთხურ კარ-და აზრჩაეტილობასა და მიკერძქებას, მწვევე ირონიით ამთარახებდა „რაიონულ პატრიოტიზმს“ (ადგილი რომ იყოს, მრავლისმთქმელი მოგონებებიც არსებობს ამის შესახებ)..

ფელეტონის ბოლოსაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ: სერიოზულ სენს, პროვინციალიზმს, რომ ვებრძოლოთ, ჭერ მისი ცნობა უნდა ვისწავლოთ (თავის თავშიც და სხვაშიც).

პროვინციალიზმი არც კუთხური წარმომავლობაა და არც ამ წარმომავლობიდან გამომდინარე ბუნებრივი პოზიტიური ემოციები. კუთხურობა ან ნიშნით დაპირისპირების დროს ხდება პროვინციალიზმი, პროვინციალიზმი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის დაღია და არა წარმომავლობის ნიშანი. პროვინციალიზმი ის კი არ არის, რომ, ვთქვათ, გოგოლაშვილს ან არაბულს აკაი გამორჩევი უყვარდეს, პროვინციალიზმი ის არის, როდესაც ამ სიყვარულის დამტკიცებას სხვა დიდი მწერლის დამცრობით შევეცდებით. უხედურება ის კი არ არის, მოხვევ რომ თბილისში ყაზბეგის ძეგლს მოსაკლავებს და ამის გამოსწორებას ხევის შესაძლებლობათა მომიღწაკით შეეცდება (რაც, თავისთავად, პროვინციული პროტესტია საყოველთაო პროვინციალიზმის წინააღმდეგ), უხედურება ის არის, რომ ეს გულსტიკვილი მე და გოგოლაშვილს არ გვიჩნდება და მოხვევის ინიციატივის გაგებისას მხრებს ავიჩივავთ, — მერე რა მოხდა, თუ მოხვევ მოუვლიყო. ამიტომაც, პროვინციალიზმი ლოკალური და ცალ-



სახა პრობლემა არ არის, ის გლობალური მოვლენაა (მრავალფეროვანი სახით და ფორმით გამოვლენილი). ასე რომ, ეს ამბავი მხოლოდ მეცნიერის თავს არ არის, ერთადერთი, რამაც გ. გოგოლაშვილი (და ბევრი სხვაც) გამოარჩია, არის ის, რომ მას არ ეყო თვითონტროლის ვაიმობა, რათა „მოეზღუდა თავი მისი მტკიცება“.

მაგრამ გ. გოგოლაშვილი ყოველმხრივ ტიტულოვანი პირია და მისი მაღალ დონეზე ნებადართული გადაცდომის მიჩუმათება არა ეგებოდა: მეცნიერულ-ინტელექტუალურ სამოსელში გამოწყოილ პროვინციალიზმს განსაკუთრებით დიდი მავალითის ძალა აქვს. ამიტომაც ვწერდი ფელეტონში: განსაკუთრებით ფხიზელი უნდა ვიყოთ გარეგნული ნიშნებით სავსად შენდებული, ტიტულოვანი, დიპლომათი და წიგნაკიანი პროვინციალიზმის მიმართ, თუ საერთოდ ვაპირებთ ამ სენისგან განკურნებას.

იმედია, ამიერიდან ბატონი კოლეგაც ამგვარ მებრძოლთა რიგებში ჩადგება.

\* \* \*

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გ. გოგოლაშვილი წასისიანების კიდევ ერთ შესაძლებლობასაც არ უშვებს ხელიდან: შემახსენებს ათი წლის წინათ გამოქვეყნებულ ერთ ჩემს წერილს, რომელშიც, სხვათა შორის, ძალიან მოკლედ, ჩემი დამოკიდებულება ერთი ახალგაზრდა პოეტი ქალის პოეზიის ენისადმიც გამოვხატე, მაშინ „აკაკის პოზიციაზე“ იდექი და ახლა სხვა „გაზაზე“ ვადასულებარო. იმდენად დიდია ავტორის სურვილი, სხვებაც ამიხედროს, რომ თვითონაც ვერ ხვდება, რაოდენ უხერხულ მდგომარეობაში იყენებს თავს (თუმცა, როგორც გამოჩნდა, უხერხულ კი არა, სწორედაც მისთვის ბუნებრივ პოეზიაში). იგი ამ შესხენებით არაორაზროვნად მუშუბნება: როგორც შენ მოეპყარი „იმამად დამწყებ პოეტს“ (მისი სიტყვებია), ისევე ეპყებოდა მე ვაჟა-ფშაველასო. ვაუგონრად მკრეხელური პოზიციაა: ჯერ ერთი, ავტორი მისთვის დამახასიათებელი უდიერობით ექცევა ვაჟას სახელს იმით, რომ კლასიკოსს თანამედროვე „დამწყები პოეტის“ გვერდით აყენებს, თუმცა ამ ორი მითითებული ავტორის ენობრივი გამოხატულება პრინციპულად განსხვავებულია: მეორეც, დაეკვირდით „გამკრიტიკებელ-გაკრიტიკებულთა“ ოპოზიციურ წყვილებს: მე — თანამედროვე „დამწყები პოეტი“, გ. გოგოლაშვილი — ვაჟა-ფშაველა! ამიტომაც მოგახსენებდით ფელეტონშიც და აქაც, გ. გოგოლაშვილი ტოლივით ელაპარაკება, მეტიც — ზემოდან უყურებს-მეთქი კლასიკოს პოეტს.

მოკლედ, ამის შემხედვარეს გ. გოგოლაშვილის მიერ ჩემი დიაგნოზის მდებლობა როგორდა უნდა გამიკვირდეს? ჩემი თავი ჭანდაბას, ვა-

უხსაც რომ ისე ეპყრობა, როგორც ზემდგომი თავის ქვეშევრდომს, ეს მიკლავს გულს.

\* \* \*

პროვინციალიზმისათვის ნიშანდობლივი ამპარტავნობის მეორე, ირონიული სახელი კულაბიკობაა. სწორედ ასე, მწარე ირონიით უყურებს ამ მოვლენას აკაკი ფელეტონში „კულაბიკეითი“. განგებისად, აკაკის ეს ფელეტონი მკითხველს შეუძლია იმავე „საქართველოში“ ვად: მობეჭდილი წაიკითხოს, რომელშიც გ. გოგოლაშვილის წერილია გამოქვეყნებული. ფელეტონს პოლიტიკური დატვირთვა აქვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „კულაბიკეითი“ კულაბიკების, ანუ პროვინციალიზმის სასპარეზო ქვეყანაა. ასეთი „წინასაარჩევნო“ ვითარებაა დახატული ფელეტონში: „...იყო ერთი ქვეყანაც „კულაბიკეითი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაეკუმული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქქიაობის მეტს ვეღარას ახერხებდნენ: უჯდენენ კერას და ერთმანეთს უჩუჩხებდნენ...“ აი, როგორნი არიან კულაბიკეები: „ცარიელი გულა ადვილი გასაბერვია!.. კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კულაბიკების ქვეყანაშიც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა, თავისაში დვორესაც ვეღარ ხედავდა...“

ასე უყურებს დიდი აკაკი თავის თანამედროვე ქვეყანას, აბა, მაშინდელთან შედარებით რადა ხმა ამოგვეღება ჩვენ, პროვინციალიზმმა კუთხურ მეთოდებამდეც რომ მიგვიყვანა!.

ეს უსულმართო ტენდენცია ჩვენს სინამდვილეში იწვევს სხვადასხვა ფორმითა და წინაარსით იჩენს თავს. გ. გოგოლაშვილის წერილი, სავალალოდ, ამ საერთო „პოლიტიკურ უნისონში“ აღმოჩნდა!

\* \* \*

გ. გოგოლაშვილის მიერ ხელმოწერილ წერილში მისი ავტორი ხან „მე“-თი მოიხსენიებს თავს, ხან „ჩვენ“-ით (მაგალითად, ერთი ფრაზა: „ეს კითხვები გავეჩინა და მათზე პასუხის გაცემა ცეცადეს უპირველესად. რა ვიცი, ახლაც საინტერესოდ მეჩვენება ეს საკითხი...“). მე სულ „თქვენობით“ ველაპარაკები, მაგრამ მეც არ ვიცი, ეს მრავლობითობა ზრდილობიან ფორმად ჩავთვალო თუ გ. გოგოლაშვილის ზურგს უკან კიდევ ვინმე ვივარაუდო.

\* \* \*

უკვე ითქვა, რომ პროვინციალიზმის ერთ-ერთი ზენე შეიფე თვდაჭერბულობაში, თავმოთინებობასა, ქედმაღლობასა და ამპარტავნობაში ვლინდება.

ამის საპირისპიროდ, კეშმარიტ, წენობრივ გონიერებას ეკვერთ, თავმდაბლობა და თვითორიონი აშშვენებს, იგივე ქრისტიანული პოზიცია: „რომელმან დაიმდაბლოს თავი...“ ვაჟა ამბობს, „პოეტად ვისხენიები, თუშეცა ხარი ვარ ღაბაო, ჩემისთანები ბაგებზე ასი, ათასი აბაო“. გ. გოგოლაშვილმა, ისე ჩანს, დააჭერა (ირონიითა და იუმორით ნათქვამს სერიოზულად რომ იღებს, ზემოთაც ვნახეთ), რომ ვაჟასთანები მართლაც ათასია და, ისევე ზემოთ მოტანილი შემთხვევისა არ იყოს, სიცოცხლეშივე სვეგამწარებულ პოეტს ტოლივით, მეტტიც, — მოწყაელიდ ელაპარაკება.

ამის საბუთად ფელეტონში მოხმობილი ორი ფრაზად იქმარება, მაგრამ, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კონკრეტული საბუთებით კიდევ ვავამაროთ ეს „ბრალდება“. აი, მეცნიერის გამონათქვამების „თაი-გაული“ როგორც „მაცნეს“ სტატიიდან, ასევე საპოლიტიკო ოპუსიდან:

...1901 წელს ვაჟა „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს „ენა“, სადაც თავისი ენობრივი პოზიციის დაცვას ცდილობს.

„1900-იანი წლების დასაწყისიდან ვაჟა სხვადასხვა ლექსში (ოპუსში „მაცნესეულ“ ამ ციტატას „და წერილში“ ჩაურთავს. ა. ა.) ცდილობს დაიცვას თავისი ენობრივი პოზიცია: 1913 წელს „დაგვიანებულ პასუხში“, ასე ეთქვით, აჯამებს თავის შეხედულებებს და ვრცელ, ავტორის აზრით, დასაბუთებულ პასუხს ამღვებს აკაცის პოზიციას“.

„ენის უწინაესობა და ღვთაებრიობა ვაჟასაც რომ გაცნობიერებული აქვს, ფაქტია“.

„ვაჟამ იცის, რომ მხოლოდ ისე უნდა დაიწეროს, როგორც წერს და, როცა ვერ გაუგებენ, ცდილობს, თეორიულად დაასაბუთოს თავისი პოზიცია“.

ყოველივე ამას შესაფერისად ავტორი გვჩვენებს მკვლევრის ასეთი „შეფასებანი“: „ეს იყო პოზიცია ვაჟა-ფშაველასი. ამ თვალსაწიერიდან, პოეტი არათუ ამახინჯებს, ბლალავს სალიტერატურო ქართულს, პირიქით, ცდილობს დააფუძნოს იგი ფშაურ დიალექტზე! ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე“.

... ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა-მეთქი ბოლომდე. იღვწოდა და იბრძოდა თავისი პოზიციის დასამყიდრებლად და გასამართლებლად; მაგრამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე სალიტერატურო ქართული იმ გზით მიედინება, რასაც აკაცი იცავდა. ვაჟას ენობრივი პოზიცია რომ უნარესად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით მას, ფაქტია“.

უთუოდ შეგვეცოდებათ ვაჟა-ფშაველა გოგოლაშვილის ხელში: რადან არ „ცდილობს“ პოე-

ტი („დასაბუთებას“, „ფშაურზე დაფუძნებას...“ „თავისი პოზიციის დაცვას... გამართლებას... დამკვიდრებას...“ (საქიოთავია, დამკვიდრების მცდელობაზე როგორდა საუბრობს, თუკი გვარწმუნებს, შემოქმედება ამ მხრივ არ განიხილავსო?!), მაგრამ არაფერი გამოსდის! აი, გოგოლაშვილი კი ყველაფერს ამტკიცებს და ბეჭედსაც თავადვე ასვამს. სხვათა შორის, არავის შესახებ ავტორი „ცდილობს“ სიტყვას არ ხმარობს, ვაჟას გარდა, თანაც ყველა შესაძლებელ შემთხვევაში. შეიძლება ამგვარი ტენდენცია გააზრებული კი არა, ქვეცნობიერი იყოს, მაგრამ ვანა ეს უფრო არ ამჟღავნებს დამოკიდებულების ფარულ შრეებს?!

ამის ვიჩიოდ ფელეტონში და პოლიტიკური ოპუსით უფრო განამტკიცა მეცნიერმა ჩემი ეკვერები (ყოლევა გამწერალა, მაგრამ, აბა, მე მისთვის ფელეტონში ისეთი რა მიკადრებია, რასაც ავტორი კლასიკოსის მისამართით ბრძანებს?!).

როგორც მოხმობილი ფრაზებიდან ჩანს, ვაჟას საქებას ისე მოწყაელიდ მოიღებს ხოლმე ავტორი, მაღლობას და აღიარებას იქით გამოვლის. მაგრამ ის, რაც მან ფელეტონის „პასუხში“ ბრძანა, მართლაც გამოაგნებელია:

„მე ვაცილებით მაღალი შეხედულებისა ვარ ვაჟას ენაზე, ვიდრე ფელეტონისტს სურს, რომ ვიყო“.

წარმოვიდგინოთ, რა მოწყალებაა? მეცნიერი, მართალია, მაღალი შეხედულებისა არ ყოფილა ვაჟას ენაზე, მაგრამ იმიოაც შესაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ იმაზე მაღალი შეხედულებისა ყოფილა, ვიდრე მე მეგონა. თუ რადენად „მაღალია“ ეს შეხედულება, იმაზეა დამოკიდებული, როგორი მგონია მე ის. ავტორის დავიკრებით კი, ჩემი სურვილია, რომ „მისი შეხედულება“ ძალიან დაბალი იყოს, — შესაბამისად, არც მისი შედარებით „მაღალი შეხედულება“ იქნება საშუალოზე ბევრად მაღალი!

მინც, მთლად წყალი არ მინდა გადავიწურო მეცნიერის მოწყაელი „შეხედულებებზე“ და იმის იმედადლა ვრჩები, რომ ბატონი გ. გოგოლაშვილი ზუსტად ვერ ახერხებს იმის გამოხატვას, რისი ბჭმაც სურს.

ღმერთმა ეს იმედი ნუ წაგვართვას!

\* \* \*

პროვინციალიზმის ერთ-ერთი მკვეთრი ნიშანი პირადი და სხვისი დიქციების შეფარდებათა უკიდურესად დიფორმირებული წარმოდგენა: პირადი ღირსების გრძნობა ავადმყოფურადაა გამაფრებული, ხოლო თავმოყვარეობა პატრიოტული გრძნობისა და ამპარტავნობაში არის გადაზარდილი, სხვისი ღირსებისადმი დამოკიდებულება გაუბრალოებული და ატყვევებულია.

გ. გოგოლაშვილი, უნდა დავიჭიროთ, გულუბრყვილი გაკვირვებით კითხულობს: „რატომ ჩანს ვაჟა ასე გაღიზიანებული, განრისხებული“.



როდესაც აკაის, გარდა ფრანსისა „ენის გიწუ-  
ნებ, ფშველო“, ისეთი არაფერი უთქვამს!

გავხსენოთ: აკაის ლექსი გამოქვეყნდა 1918  
წელს, ვაჟა გარდაიცვალა 1915 წელს. ამ დროს  
ვაჟას, ფაქტობრივ, ყველა ძირითადი ნაწარ-  
მოები შექმნილი აქვს.

ვაჟას უფროს თანამედროვეს, მეფე-პოეტს,  
აკაი წერეთელს, ალბათ, ჰქონდა უფლება თა-  
ნამყოლაშისათვის თავისი შეფასება ასეთი პირ-  
დაპირობით ეთქვა. და ამაში ვერც გ. გოგოლა-  
შვილი ხედავს რაიმეს საგანგებოს...

მაგრამ რატომ ართმევს იგივე გ. გოგოლაშ-  
ვილი მეორე დიდ კლასიკოსს იმის უფლებას,  
რომ უკვე შემოქმედებულადმოაგრეიფულ პოეტს  
გული ჩასწყდეს („თავჯარი დამეცა“ — ამბობს  
იგი) ასეთი მკვეთრი შეფასების გამო, თანაც  
გ. გოგოლაშვილისაგან კი არა, მთელი საქარ-  
თლოს სათაყვანებელი აკაისგან?

არ შეიძლება ჩვენ, მოკვდავი, კლასიკოსების,  
გენიოსების ურთიერთობაში ასე უცერემონი-  
ოდ შევიტყაოთ, მათს პირად თუ შემოქმედებით  
ურთიერთობებს არამყოფე მოსამართლეებად  
დავუდგეთ. ამ ფაქტს სფეროს ცოტა ფრთხილად  
უნდა მოსყარება.

მაგრამ ამ „მოსამართლეობას“ ვინდა ჩივის;  
ავტორი, როგორც ვნახეთ, თვითონვე გვევლი-  
ნება ვაჟას ტნობრივი „გზის“ შემფასებლად.  
სხვათა შორის, ავტორმა ფელეტონისადმი გა-  
მომხმარებელი ეს საკუთარი ციტატაც გადაკე-  
თებულ-დამახინჯებული მოიტანა: „მე ვაჟას  
პოზიციაზე საუბრისას ვწერ: „...პოეტი არათუ  
ამახინჯებს და ბლაღავს-მეთქი ენას“. აი, დამა-  
ხინჯავს ამას ჰქვია! მე ძალიან მეთაყვილება ამ  
ფრანსის გამეორება, მაგრამ თვალსაჩინოებისათ-  
ვის კიდევ უნდა დავიმოწმო: „ეს იყო პოზიცია  
ვაჟა-ფშაველასი. ამ თვალსაწიერიდან, პოეტი  
არათუ ამახინჯებს, ბლაღავს სალიტერატურო  
ქართულს, პირიქით, ცდილობს დააფუძნოს იგი  
ფშაურ ლიტერატურა! ვაჟა ამ შეგნებით მოვი-  
და...“ და ა. შ.

ბევრჯერ გამოჩნდა, რომ ამის დამწერი ლო-  
გიკოსთან მწყურალად ბრძანდება, მაგრამ შოტა-  
ნილი ლოგიკური ფორმულა მარტივია და ამ  
ფორმულის აგება რამდენიმე ვარიანტად შეიძ-  
ლება, აწრობრივად უფროვე ადეკვატური კი  
შემდეგია: „ამაოდ ჰგონია, რომ არ ბლაღავს და  
არ ამახინჯებს...“ და ა. შ.

ამ სიტყვების ავტორი საპოლიემიო ოპუსში  
განმარტავს: „ამახინჯებს“ სიტყვა აკაისგან ავი-  
დის, „შეიბლაღვა“ სიტყვა — ვაჟასაგანო. ვითომ  
ეს რას ცვლის? ახეთვი პრინციპით, ილიას შიშა,  
დებია სიტყვა „შერყვნა“ ვუპოვოთ, უახზებგს  
სიტყვა „წაბილწვა“ (დმერთო, გვაპატიე!) და  
„შეფაყებათა“ უფრო მძაფრსურენლოვანი კონა  
შეიკვრებოდა!

ილიასი, აკაისი და ვაჟასი რა მოგახსენოთ  
შეაბრთლავს სოცრად ეხმარება ეს ფრანსა

სარდიონ ალექსიევი-მესხიევის გამოხატუებებს  
ილიას მისამართით: „ჩვენს დედა-ენას თქვენს  
უნებურად და შეუგნებლად თქუნივე ფიციებრ  
ჰკოდავთ და ამახინჯებთ და წენობრივად  
ჰრყენით და აუფლურებთ!“

ყოველივე ამის შემდეგ კი ჩვენს კოლეგას  
შეუძლია გაკვირვებით იკითხოს: „რატომ არის  
ვაჟა გალიზიანებული?!“; „რატომ მდებენ ბრა-  
ლად ვაჟას უპატივცემლობას?!...“

მაგონი, პირობას ვარდევთ და სერიოზული  
მსჯელობისკენ გადავუხვევ ხოლმე, მაგრამ მწერ-  
ლის ენის ფენომენის შესახებ წემოთ ნათქვამს  
ერთიც უნდა დავუშვათ:

ენა ტეშმარიტი მწერლისთვის, გრამატიკოსი-  
საგან განსხვავებით, მხოლოდ მასალა არ არის,  
ენა მწერლის სულია, მისი არსებობის აზრი, და  
მისი დაწუნება ალბათ უშიძისი განაჩენი იქ-  
ნება. როგორ მტკივნეულ ხმას გამოსცემს ვა-  
ჟას სულის სიმები (რომლებსაც ასე უხეშად  
ეძება გ. გოგოლაშვილი) პოეტის სიტყვებში:  
„მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა  
რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში თუ ენაც  
დასაწუნია, მაშ არაფერი ყოფილა და ბარემც  
ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება...“

წარუვალ ტეშმარიტებას ბრძანებს პ. იაშვილი:  
„პოეტი, რომელსაც შემოქმედების მთავარ ია-  
რალად აღვუთვლი აქვს მშობლიური სიტყვა, რჩე-  
ბა თავის ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ერი  
მისი წინააღმდეგი იყოს.“

\* \* \*

ერთი ბრძენი კაცისა არ იყოს: აწროვნების  
პატიოსნება უფრო რწვიათი ზილია, ვიდრე ყო-  
ფაქცივისაო, ორივეს დეფიციტი — მით უარესი!  
ფელეტონში გ. გოგოლაშვილს მეცნიერული  
კეთილსინდისიერების ერთ მნიშვნელოვან მო-  
მენტზე მივუთითებ: კერძოდ, მოხსენებაში იგი  
თავისი ძირითადი თვალსაზრისის — ვაჟას ენა  
რომ „სხვა გვას“ ადგა — განსაზღვრებლად კ.  
გამსახურდიას მოსაზრებას იმეორებდა (უნდა აღი-  
ნიშნოს, რომ პრინციპული შენიშვნები მოხსენე-  
ბის გამო მასწინე გამოითქვა, მაგრამ „ნება  
სიბრძნესა სძლევდა...“), გამოქვეყნებულ წე-  
რილიში კი დამოწმება გაქრა. ნუ გეგონებათ,  
თითქოს ამ შენიშვნას მხოლოდ მეხსიერებაზე  
დაყრდნობით ვაკეთებდი. სახესიოდ მოხსენე-  
ბათა თეზისები გამოქვეყნდა: გ. გოგოლაშვილის  
თეზისებში, სხვათა შორის, ფაქტობრივად, მთლი-  
ანად არის აღმოცემული „მაცნეს“ სტატია, აქ-  
ვე არის დამოწმებული კ. გამსახურდიას თვალ-  
საზრისი: „იმდენად დიდი იყო ვაჟა-ფშაველა,  
რომ მეორე მხარეს ილია და აკაი არ მდგარიყ-  
ვნენ, სალიტერატურო ქართულს ვაჟა თავისკენ  
გადასძლევდაო“. მე დავსვი კითხვა: რას მივა-  
წეროთ კ. გამსახურდიას ავტორისთვის სახარ-  
ებლო თვალსაზრისის გაქრობა — პოლიტიკურ  
კონუნქტურას თუ რაიმე მეცნიერულ მიზანს-

მეთქი, გ. გოგოლაშვილმა, ამ სერიოზულ ბრალდებებზე პასუხის მაგიერ, შენიშვნა პოლიტიკური დემოკრატიისთვის თუ თავმოთენ თვითრეკლამისთვის გამოიყენა. ამ კონტექსტში ასხენა სუკის აგენტობის, ზვიადისტობის და მსგავსი ბრალდებები, როგორც „საზოგადოებრივი პოლიტიკური მეზობლის“ ფორმა. ამ ტერმინებისა და ამგვარი მეთოდების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, როგორც ჩანს, ყველა თავისთვის ნაცნობი და ორგანული ტერმინოლოგიით სარგებლობს; ღმერთმა ხელი მოუშარათო... ჩემი შენიშვნა მეცნიერული კეთილსინდისიერების, ზნეობის სფეროს შეეხებოდა; ჩვენი თვალსაზრისის წინამორბედი შეხედულების დამაძვინებობრივი არ არის, რა მოტივითაც უნდა კეთილზოდეს ეს და, თუ ობიექტური ვიქნებით, უფრო მეტად სახელიც ჰქვია. ამიტომაც ნაკლებად საინტერესოა, როდის მოხდა ეს — „მაშინ“, თუ „შას შემდეგ“, რატომ მოხდა — „ზვიადისტობის“ თუ „ანტიზვიადისტობის“ გამო...

მეორე მხარეც აქვს ამ „საქმეს“ — ისევ პროვინციალიზმის ნიშან-თვისებებს რომ უკავშირდება: ვაზიადებული თავმოთენობის თუ ამბიციური გამჩვენების ყველა შესაძლებლობის გამოყენება. გ. გოგოლაშვილი შენს არ უშვებს, რომ საქვეყნოდ განცხადოს, „მაშინ“ ზვიადისტი არავის ვეგონოთ, ანტიზვიადისტი ვიყავით და, თანაც, „მე და არაბული მაშინ ერთ პოლიტიკურ ვიდეოთ და ეს საჯაროდ გვითქვამსო!“ რა კადნიერება! ვითომ რომელი პოლიტიკური მოღვაწეები გოგოლაშვილი და არაბული არიან, რომ შათს „პოლიციას“ რაიმე საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდეს! ეს ხომ მხოლოდ ვიდეის წინაშე თავგამოჩენისთვის შეიძლება იყოს გამოწვეული. ეს კი, არა ვგონია, ზნეობრივი იყოს, მავანისთვის „ერთ პოლიტიკურ დგომის“ ფაშისარულ შეხსენებას რომ თავი დავანებოთ...

\* \* \*

სწორედ ფაშისარობის — პროვინციალიზმის ამ ერთ-ერთი ძველიდა ასატანი გამოვლენის — გამოხატულება უნდა დავამთავრო. ღირსეული ადამიანები ფაშისარობას პირად ურთიერთობებშიც ერიდებიან. მით უფრო აუტანელია ეს გამოვლენება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება სერიოზულ პრობლემებს, მაღალ ღირებულებებს, წინადაც ჰუმანიტარულ... ამ თვალსაზრისით უცოდველი ცოტა... მით უფრო აუტანელია ფაშისარული დამოკიდებულება ისტორიის, სულიერი მემკვიდრეობის მიმართ...

ჰუმანიტარული ძიებისა და მიხილების დროს ნაცნობ-მეგობრობა და ნათლიამამა უხერხული ცნებებია.

„ჰუმანიტარული ყველაზე დიდი მეგობარია“ — აი, პროვინციალიზმის ჰუმანიტარული ანტიფორმული. პროვინციალიზმი თითქმის ადამიანებს, ჰუმანიტარული — აკავშირებს და აახლოებს. დე,

ჰუმანიტარული ვახდეს ჩვენი, პროვინციალიზმი ვაახლოებო, გაერთიანების საფუძველი.

\* \* \*

ჩემს განწყობას ამ წერილის დასასრულს უსიტად გამოხატავს რუსთაველის სიტყვები: „მე თუ ზვიად მიცინია, ქვე-ქვე მიტყეამს იღუმალ — ვა!“

დაიხ, უსიამოლო განცდით ვამთავრებ წერილს. მტანჯავს სირცხვილისა და სინანულის გრძობა იმის გამო, რაზეც ჩვენ დროს და ენერჯის ვფლანგავთ — უპირველესად კლასიკოსების წინაშე!..

მაგრამ ისტორიის გამოკვლევა მჭერამ არ დამანება დუმილი. სწორედ ბრძენი ისტორია ვაფრთხილებს: ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დაბრუნებ! უფრო ღრმა კვალი რჩება დაწერილ-დაბეჭდილ სიტყვას; ლათინთა დაკვირვებით, მას ისტორიიდან ნაჯახითაც ვეღარ ამოკვეთი ვისაც სიტყვის ისტორიასთან (და ისტორიის სიტყვასთან) ჰქონია საქმე, კარგად მოხსენება, რომ ერთი მხრედ სიტყვის ნაკვალევს გამოვლინებს ზოგჯერ მთელი წიგნების დაწერა სჭირდება, ერთი დებულებისაგან ანაბეჭდვის დაწმენდას შეიძლება წლები და ათწლეულები მოუნდეს... გ. გოგოლაშვილის წერილში მე ამგვარი „სიმართლე“ და „სიმღვრივე“ დავინახე და ჩემს წერილს დავაკისრე არცთუ საპატიო — ნაჯახის — როლი, რათა ისტორიის წინაშე აღნიშნული „აკადემიური“ წერილისათვის საფუძველშივე დამხსნიდა საეჭვო ფესვები... იმედი მაქვს, ამ უმადურ შრომას მეცნიერის შეილიშვილები მაინც დამიფასებენ...

მაგრამ თუ მათ დროსაც ისევ შესაძლებელი იქნა წინააპრის „დასმულ საკითხზე“ სერიოზულად მსჯელობა, მაშ, ამაო უყოფილა (ჩემი რაღა დავიჩინოლო) ქართული მწერლობის მთელი თაობების დეწელი და შრომა!

\* \* \*

გთხოვთ მონორარი, სიმბოლური მოსაზრებით, გადურაცხო ქართული კულტურის ხსნის კომიტეტს, თუ ეს ტერმინოლოგიის არის შესაძლებელი; და თუ ეს ვერ მოხერხდება, გადაირიცხოს ეროვნული თავდაცვის ფონდში, სიმბოლური მოსაზრების გარეშე.

\* \* \*

P.S. დოქტ. გ. გოგოლაშვილმა თავისი „გამოკვლევა“ ერთ თვეში სამჭერ-ოთხჭერ გამოაქვეყნა, მე ერთ ოთხჭერადიანი „ფელეტონი“ დაბეჭდვას ნახევარი წელი მოვუნდი. ამ ფელეტონზე გ. გოგოლაშვილმა მეორე კვირასვე მომეყოლა „პასუხი“. მე კი ისევ ნახევარი წლის შემდეგ თუ მივაწვდენ სათქმელს. იქნებ ამ „სტატისტიკაში“ არის საფუძველი იმ „დაუსჯელობის სინდრომისა“, ზოგ თანამედროვეს კლასიკოსებზე მაღლა რომ წარმოადგენინებს თავს?!

# ლანა კლანდია

## სულის „თავგადასავალი“

ბენიკ ხარანაშვილის პოემას „ხეივანი თოჯინა“ წამძვარებული აქვს ვაფა-ფშაველას სიტყვები: „უქმად ჩამაძლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა...“ ეპიგრაფი მიგვანიშნებს ნაწარმოების სულისკვეთებაზე. „ემა უსიუფეტოა. მისი ლირიკული გმირი ლექსანდრე, მაძიებელი პიროვნებაა. ამ კოტრეტულ სახეში პერსონიფიცირებულია ზოგადადამიანური, ჭეშმარიტების მაძიებელი სული. პოემაში დარღვეულია მოვლენათა თანმიმდევრობა, უგულბებლყოფილია დროითი ქრონოლოგია. ამ ფაქტით აქცენტირდება ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემათა ზედროლეობა. „მოქმედების ადგილი“ არ არის კონკრეტული, არ მნიშვნელობს დრო, სივრცე. მოქმედება, რომელიც პოემაში ხდება, განმეორებადია, მარადიულია, რადგან სულის „თავგადასავალს“ წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით სრულიად გასაგებია სიუჟეტის „ქოტური“ სახე.

ნაწარმოები იწყება დღის დადგომით. ეს დღე უჩვეულოა, არ ჰგავს დანარჩენს, ვერ შეედრება მათ თავისი მნიშვნელობით. ამ დღიას „გაიღვიძა ადამიანი“, „აღმე, ალექსანდრემ“. მერამდენედ გაახილა თვალი, თითქოს „კიდევაც დაოსტატდა გაღვიძებუნი“. ირგველი ძველებური წესრიგია. ოჯახის წევრები მშვიდად არიან. დედა, როგორც ყოველთვის, სამზარეულოში ჩხაკუნობს. ცოლი იცვამს, იმეორებს ძველისძველ კლასიკურ რიტმს, „ძველ მოძრაობას“, — ყველაფერი ჩვეულ ადგილზეა, მაგრამ გმირის სულში რაღაც არაჩვეულებრივი ხდება. ნაცნობ სახტებს ხარბად აკვირდება ალექსანდრე.

თითქოს ეს დღია კი არ იყოს, ჩიტების შრომით, ნაგვის მანქანის საყვირებით გათენებული და თითქოს ეს ორშაბათი კი არ იყოს, შაბათ-კვირას რომ მოჰყვება, როცა ჩვენნიარი კაცი ისვენებს, თითქოს ეს იყოს რომელიმე შუა კვირა, რომელშიმე ხუთშაბათი ან პარასკევი დღე — დილიდანვე დაღამებული.

ლირიკული გმირი ვეღარ პოულობს თავის ადგილს ძველებურ წესრიგში, რადგან „სიშორება, სიშორები ხომ უნდა ვაცხადდეს!“ მისი სული იწყებს საკუთარი არსის შემეხებებს. ამ დღის დადგომით გმირის არსებაში სულიერი ნათელი შემოდის. თითქოს „ვიღაც“ თუ „რაღაც“ უბი.

ღავი ძალა ბრძანებს: „იქმენინ ნათელი“. პერსონაჟი ისწრაფვის სრულქმნის, სრულყოფისკენ, რათა გახდეს ის, რისთვისაც მოწოდებულია თავისი ღვთიური არსით. მას ეშინია ამ ქმნადობის:

ღა გაიღვიძა აღმე, ალექსანდრემ,  
თითქოს დიდი ხნის ფიქრის შემდეგ  
მეტრს დანებდაო.

გადააბიჯა უცნობის ღობეს.  
გული რაღა აქვს შეზინებული.

ავტორი მზერას მიაპყრობს ცხოვრებას, ადამიანურ ყოფიერებას. ცდილობს, იპოვოს საყრდენი ემპირიულ სინამდვილეში, მაგრამ ხედავს, რომ „ყველაფერი უკვე დაწინდული და დაკავშირებულია“. უსახური, მასობრივი ცნობიერებას ადამიანები შეზრდილ-შეთავსებულები არიან ერთმანეთს და ინტელექტუალი, მოაზროვნე ინდივიდი გარდაიქმნება საზოგადოებისგან:

სასაცილოა,  
ასჯერ უფრო სასაცილოა, როცა ამ ცის ქვეშ  
არაფერი უნ არ გეკუთვნის  
და მაინც მასვე იმეორებ კიდევ და კიდევ  
და ისევ ცდილობ შეეგუო, დაუკავშირდე,  
დაეწინდო, დაუახლოვედ  
და იმავე დროს მწარედ გრძნობდე,  
რომ არაფერია, რომ არაფერი  
არ შეგიცვლის ქვეყნად არაფერს.

ეს ტრაგიკული მონოლოგი ძალიან ჰგავს პამეტის სულის მოძრაობას:

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ  
წყუთის სოფლის  
როგორ ფუქია, უნაყოფო, დაობებული.  
თითქოს ქვეყანა იყოს ბალი გაუმარგალიკი,  
რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი,  
ცული ბალახი.

საკოველთაო ძილის, აპათის მდგომარეობაში პოეტი მოუწოდებს ლირიკულ გმირს — ადგეს, „იქვემეხოს“, „იალექსანდროსს“, იგრძნოს ბრძოლაში დახარჭული სიცოცხლის სიყვარული. „ადექი, გადი, დაანახე სამყაროს თავი!“ პათეტიკური, ხმაურიანი მოწოდება მთავრდება მოულოდნელი ირონიით, რომელსაც ავტორი უფრო დაბალი ტონალობით გვაძენვობს: „ადგებოდა, მას ლოცინში ხომ არ შეირცხვენდა თავს ალექსანდრე“. ლირიკული გმირის ყოველ მოძრაობას, ფიქრს თან ახლავს ეჭვი („იუჯი ის, რაც ხარს... კი მაგრამ ღირს ვითომ?“)

პოემის ეს თავი სრულდება საინტერესო მსო.

ფლავქმით, ადამიანის მაღალი მნიშვნელობის გააზრებით. ამ სტრიქონებში კიდევ ერთხელ, განსხვავებულად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაიხვა კაცობრიობის მარადიული კითხვა ადამიანური არსის შესახებ. „შემკრთა-ლი ღმერთი“ კითხულობს:

საიდან არის თქვენი სული თავის თავის აღმატებისა.  
რა თესლი, ანდა რა მარცვალი შემიყვა,  
ნეტავ,  
მე იმ თიხაში, რომ თქვენს თავს ვეღარ  
ყაბულდებით!

ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი ისწრაფვის ჰუმანიტებისკენ, მაგრამ მის ცნობიერებაში „ღმერთი მკვდარია“. ღმერთი, როგორც „სულის განსახვედნელი“, სიმშვიდე, პარმონია, დაკარგულია. ამის გამო აღქმანდრეს მარტოკაცობა მეტად დრამატულია. უმიწო ხეტიალით, გულგრილობით, უმეგობრობით დაღლილი ადამიანის ფიქრები ისევ საკუთარი „მეს“ ირგვლივ კონცენტრირდება და ეგოცენტრული სიჭიუტით იმერობს: „თუ იმდერებ, ისევ შენს თავზე იმდერე“.

პოემის გმირის პიროვნული ტრაგიაში გაცილებით ფართოა, ვიდრე ერთი კონკრეტული ადამიანის განწყობილება. ამგვარი უნუგეშობა საზოგადოების წიაღში არსებული უფულისყურობის, შეუწყნარებლობისა და უნდობლობის ნაყოფია. პოეტის ემოციური, პირდაპირი მონოლოგი თავისი სიმპატიით ტრაგიზმის, სასოწარკვეთის ატმოსფეროს ქმნის. ამავე დროს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს აღსარება, უპირველესად, ჩვენს წევრბრძვ სიმებს ეხება და ცდილობს, გამოადვილოს ვიებერთელა სულიერი გამყინვარების ქვეშ მოქცეული ჩვენი მორალური საყარო:

როცა ამ ქალაქში,  
ამ მილიონიან ქალაქში,  
ტყუილად დადიხარ სმენადაქვეტილი,  
არავინ გეძახის არც ერთი ფანჯრიდან,  
არავინ გამოდგება არც ერთი აიენიდან,  
სათის გუგულივით.  
არავინ გაშლის ხელებს შუა ქუჩაში, შენს  
დანახაზე,

თითქოს შენ აქ დიდხანს,  
დიდხანს კი არ გეცხოვროს,  
არამედ საყიდლებზე ჩამოსული გლეხი  
იყო, —

მაშინ სიბრალოლით აგვესება შენდამი გული  
და თუ იმდერებ, ისევ შენს თავზე იმდერე  
და გწამდეს, წმიდა არის თავის თავის  
სიყვარული.

მაგრამ ბესიკ ხარანაული ყველაზე მაკარი, „შეშვარავი“ სიმართლის აღიარების უმსაქცე უტოლებს მკითხველს შორეული იმედის კუნძულს. მისი ტკივილი გამორჩეულია, მე და პეტრეს საერთო მარტო ხერხემალი გვაქვს —

ირონიულად ამბობს. კარგად იცის, ვარდების საკრფად რომ არ მოუვლენია განგებას („ვარდებისათვის კი არ ვიზრებ, პალეონს ვაძრებ“), მაგრამ მაინც არ განერიდება ყოფიერების სცენას, არ იყურება „მწყალობელ მზისკენ“, დიდი, ტოტალური შიშის აჩრდილი დგას მისი პოეტური ხილვების მიღმა, შიში შეუცნობლისა:

რა უბასუხოს ამ სიჩუმეს,  
რომელიც თურმე მთელი სიცოცხლე  
აკვირდებოდა?

უნდა მიეღვა კარადა და კედელი ერთად?  
უნდა ამოვესო ყველა სივრცე, ყველა  
კუნჭული!

ის ხალხი, ჩვენ რომ დიდ პატივსა ვცემთ,  
ამ შეკითხვის შიშით შრომობდნენ.

ზოგად-ფილოსოფიური განსჯის შემდეგ ავტორი მებსიერების საწყაროს უბრუნდება. ბავშვური განცდების ქვეყანა სავსეა წინააღმდეგობრივი მოვლენებით. მისი ფიქრები ტკივილიანად არის და რომანტიკულიც. ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი თავის თავში აერთიანებს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავლსაც. ერთ წერტილში ნივთდება დრო. პიროვნების ცნობიერება აკავშირებს მოვლენებს. მის შიგნით არსებობს სულიერი დრამა, იგია „სიუყარულის პირველშემტანი“ და „გამომგონებელი“. პოეტი მახსოვრობის ლაბირინთებში ეძებს ისეთ მდინარეს, რომლის ნაპირზეც ბედნიერი იყო, მაგრამ არ ფასობს ბედნიერება ადამიანების, საზოგადოების გარეშე. პიროვნების შინაგანი მარტოობა, გამორჩეულობა არ იძცევა გულბრლილობის, განდგომილობის საფუძვლად. მისთვის უცხოა განუცნებელი, სისხლდასლილი მსჯელობა ჰუმანიზმზე. იგი აქ არის, ადამიანებთან, თანაგრძობისთვის, ნუგეშისთვის:

ჩრა სხვა რამე,  
არა სხვა რამე,  
ჩემი სიბოლუე ჭაერთიანებდეთ.

აღექსანდრეს სულში იბადება აქტიური მოქმედების სურვილი, მაგრამ ობიექტურ რეალობასთან შეუთავსებლობა, სიცუხოვე ნიმილიზმის, ამათის ატმოსფეროს ქმნის.

„ობიექტურად ფიქრის უნარი — გონია, ხოლო გონზე დაფუძნებული ემოციური განწყობა არის სიმშვიდე. ობიექტურობა, საკუთარი გონით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სიმშვიდისადმი განწყობის მიღწევისას, როცა ბავშვობისათვის დამახასიათებელი ყოვლისმცოდნეობასა და ყოვლისშემძლეობაზე ოცნებისაგან ვთავისუფლდებით“ (კარლოს კასტანედა).

აღქმანდრეს ენერგიული შემართებაც ინერტულობით, შემგუებლობით მთავრდება. იგი ხედავს რომ შინაგანი გასწავისება „დისკონსოლბა“ ანაკრონიზმად, უწინტიგობად აღიწ-

მება. პერსონის ტრაგიკის ამჟამებს ის, რომ საკუთარ თავში ეძებს „სამყაროს მოუწყობლობის“ მიზეზს. იგი მკაცრი და სარკასტული საკუთარი თავის მიმართ:

მე რომ არ ვიყო ამ ქვეყანაზე, ყველაფერი კარგად, კეთილად იქნებოდა. მე ვარ მიზეზი ამ სამყაროს მოუწყობლობის, და ამდენ ხალხში არ აღმოჩნდა ერთი მკითხავეი, რომ მოიშვიროს ჩემსკენ ხელი და დაიხახოს, ეგ არისო, დიპირეთ და ჩაქოლეთო.

„ხეიბარი თოჯინას“ ლირიკული გმირი ილტვის ტრანსცენდენტული, არაცნობიერი, მიღმური სამყაროს შეცნობაა. ცდილობს, მიაწვდინოს გონების თვალს ემპირიული სინამდვილის, ყოფიერების მორიზონტს იქით არსებულს. მისი აზრი „განეფინება“, „არსისა“ და „არარსის“ არსს, იგი განიცდის უსასრულო არარსებობას, „ფიქრობს ფიქრზე“ (რევაზ სირაძე).

სამყაროს პოეტისეული შემეცნება, განსახიზენება ხორციელდება „მე“-სთან დიალოგით. საკუთარი სულის დაბირინთებში ხეტილი უმთავრესი პირობაა სამყაროს სულის ამოცნობისა. მზერის ჩაბრუნება, საკუთარ სულში ჩაურყუმალება დიდ შინაგან ენერჯიას, გამბედაობას მოითხოვს პიროვნებისგან, რადგან იგი გვაიძულებს, „შიშველნი ვენახოთ ჩვენივე თავს“. საკუთარ სიშიშველსთან, სულიერ ხეიბრობასთან მარტო დარჩენილი აღქმანადრე სარკასზის, ირონიის სამიზნედ ხდის საკუთარ პიროვნებას:

როცა მე მოვეკვდები, პანაშვილებზე ვიოლინოები ააწრუწუნეთ, რომლებსაც ჩემი მსგავსი ხელმოცარული წაუძღვება, პირისუფალთა შორის დასვით სრული უფლებით

ჩვენს ოჯახში ყველაზე ძველი თოჯინა, რომელმაც იმდენხანს იცხოვრა ხალხში, რომ მახსოვრობაც კი შეიძინა. დამ, იჯდეს ის ფეხებგაჩნებით, მისჩერებოდე მუდამ ერთ წერტილს, როგორც მე მზერაჩაბრუნებულნი. და, დაე, მისი ყოფა ამბობდეს, რომ როგორც გინდა ძვირფასი ვიყო, სულ ერთი არის, ნაკავი ვარ და ადრე თუ გვიან უნდა გამოიტანონ.

პოემა სრულდება ქემშარტიებით, რომლის აღიარებაც ასე უჭირთ ადამიანებს:

ამო იყო ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა დღის სინათლეზე. „ამაოება ამაოთა, — თქვა ეკლესიასტი, —

ამაოება ამაოთა, ყოველივე ამო“ (ეკლესიასტი I, 2).

„ხეიბარი თოჯინა“-ს ლირიკული გმირი თვით-ჩაღრმავებით, ანალიზით ცდილობს ენაიროს ყოფიერების საზრისს. იგი ისწრაფვის „სიცოცხლისაკენ — სიკვდილის გავლით“ (იბნენი). ამ რთულ გზაზე პიროვნებაში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ცოცხლდება წარსულის ხილვები. რეალური და ილუზიური ადრეულია ერთმანეთში. ადამიანის სული ცდილობს გასცდეს ემპირიული ყოფიერების საზღვრებს. ამ უსასრულო სწრაფვით დაუქმყოფილებლობა თვით-გვემის, თვითუარყოფისაკენ უბიძგებს, მაგრამ ამ ტანჯვაში იგრძნობა სიცოცხლის სიყვარული, რადგან „უკველი ვეს, რაიც იტანჯვის, სიცოცხლის სურვილი აქვს“ (ნიცუხე).

ბესიკ ხარანაულის პოეტური სამყაროს მოვლენათა ცენტრში დგას პიროვნება, რომლის გარშემოც კონცენტრირდება მთელი რაციონალური და ირაციონალური სამყარო. ეს პიროვნება თავად ავტორი. ბესიკ ხარანაულის პოეზიაში „ღმერთი მკვდარია“. ამის გამო დარღვეულია ადამიანის სულიერი ერთიანობა. პოეტის ცნობიერებაში უდღვივად არსებობს ეკვი ადამიანური ყოფის შესახებ. რეალობის დრამატული აღქმა მას უბიძგებს რაქისტიანული, არარეალიზური თვითგვემისაკენ. ლირიკული გმირის ან პოეტის პიროვნება მდინარებაში, მოქმედებაში ნამდვილდება. მიუხედავად იმისა, რომ ბესიკ ხარანაული „მკაცრი“ პოეტია, მის შემოქმედებაში შინაგანად მუდამ იგრძნობა სიბოლო და სიყვარული ადამიანებისადმი. შემოქმედის პოეტური სამყარო გამოირჩევა არტიტივით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფორმალური ცვლილებები, რომელთა დაშვადრება ქართულ პოეზიაში უდავოდ ბესიკ ხარანაულის დამახასურობაა; იგულისხმება ვერლიბრის გაბატონება თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ცნობილია, რომ ვერლიბრი ევროპული სალექსო ფორმაა. მისი შესაძლებლობები მეტად მრავალფეროვანია. ბესიკ ხარანაულმა გამოიღო „ქართული ვერლიბრის“ შექმნა, რაც შეიძლება ამ „ევროპული“ სალექსო ფორმით ღრმად ეროვნული პოეზიის შექმნაში. ბესიკ ხარანაულის ადგილი ქართულ პოეტურ აზროვნებაში სწორედ ამ თვალსაზრისით არის გამოჩენილი. მან შეძლო, სხვა „ვერლიბრის სტილისაგან“ განსხვავებით, განარიდებოდა მშრალ მედიტაციასა და ანალიზს, ხელოვნურობას. მის პოეზიას ახასიათებს საოცარი რიტმულიობა, მუსიკალობა. ბუნებრივობითა და უშუალოდ ბესიკ ხარანაულის პოეზია განუმეორებელია და სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს ქართულ პოეზიაში.



## „სემონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ პინოპრავში“

ამ სათაურით ახლახან გამოიცა პროფ. ვალერიან ითონიშვილის წიგნი (თბილისი, მეცნიერება, 1991, რედაქტორი პროფ. ოთარ შორაძანიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი აკაკი კაცაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ გემუქვიანი).

3. ითონიშვილი ქართველ ეთნოგრაფთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც კლასიკოს მწერალთა და მეცნიერთა ნაშრომებში ეთნოგრაფიულ მონაცემებს ავლენს, აკამებს, კრიტიკულად აფასებს და წიგნებად და სტატიებად აწვდის ფართო მკითხველს. მან 1963 წელს დაბეჭდა მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია“; 1989 წელს დასტამბურ „ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევებში“ ვრცლად განიხილა რაფიელ ერისთავისა და ალექსანდრე ყაზბეგის ყოფითი ხასიათის შემოქმედებები; საინტერესო წერილები უძღვნა ვუა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩიჭიაის და რუსულად ხარაძის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას. ასეთი ნაშრომები ეროვნულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ თერთ ლაქებს მნიშვნელოვნად ამცირებენ, თან ეთნოგრაფიის დარგის განვითარებას წინ სწევენ. ამისი კარგი ილუსტრაციაა სარეცენზიო ნაშრომი, სადაც განხილულია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ძირითადი საკითხები, სახელდობრ, ქართველთა ეთნიკური ისტორია, საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფის თავისებურებანი, ნათესაობისა და ნაქაბის სტრუქტურა, რელიგიის ისტორიის საკითხები. აქვე წარმოჩენილია აფხაზთა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები (ეთნონიმია, განსახლება, მატერიალური კულტურა, რწმენა-წარმოდგენები, საოჯახო ყოფა და ტრადიციები). ბოლოს ნახევრება სიმონ ჯანაშიას, როგორც ორგანიზატორის როლი ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში. წიგნს რუსულ ენაზე ერთვის რუსულად და გამოყენებული ლიტერატურის სია. სიმონ ჯანაშია ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მოვლენა იყო. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად (გარდაიცვალა 47 წლისა). მან წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მკვლევარმა და ერთწეული მეცნიერების მომავალმა. სწორად აღნიშნავს 3. ითონიშვილი: სიმონ ჯანაშია იმ ქართველ ისტორიკოსთა ტრადიციის გამგრძელებელია, რომლებიც საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევაში წერილობით წყაროებთან ერთად მაქსიმალური სისრულით სარგებლობდნენ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებით (დმიტრი ბაქრაძე,

ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი). ს. ჯანაშია ამგვარ მასალებს იუენებდა და აანალიზებდა უმეტესად წერილობით წყაროების უქონლობის ან ნაკლებობისა და მოითხოვდა მათ შევსებას ახალი მონაწივრებით.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზი რთულია და თვით კაცობრიობის ცივილიზაციის საწყისებში იღებს სათავეს. ამ თვალსაზრისით, ს. ჯანაშიამ მეცნიერების მახინდელი მიღწევები მთლიანად ასახა, გაითვალისწინა და ცხადყო, რომ ფეოდალური მონარქიის შექმნის შედეგად ცნება „ქართველი“ ფართო შინაარსს იძენს, ხოლო „საქართველო“ ქართველთა გამაერთიანებელი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ტერმინი ხდება. „ქართველობის“ განმსაზღვრელია შემდეგი ფაქტორები: ფეოდალური მოქალაქეობა-ქვეშევრდომობა, ერთიანი და დამოუკიდებელი ქალკედონური ეკლესიისა და კუთვნილება, ერთიანი კულტურის ფლობა (ერთიანი საეკლესიო, ლიტერატურული და სახელმწიფო ენა, ამ დროისათვის აუვავებული ერთიანი ლიტერატურა, საერთო ქართული სტილის ერთიანი ხელოვნება და მატერიალური კულტურა). ეს ფაქტორები შეტანაკლებად მარადიულია და ყველა ეპოქაში გასათვალისწინებელია.

ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების ანალიზის შედეგად ს. ჯანაშიამ კავკასიის მთიანეთისა და საქართველის ბარის მკვიდრო ეკონომიკური კავშირი აჩვენა, რაც გასაგები მიზეზების გამო ბარის სოციალური უპირატესობით წარმართებოდა. მთა და ბარი მეურნეობრივად მკვიდროდ იყო დაკავშირებული და ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში ერთი ქვეყნის — საქართველოს ორ გეოგრაფიულად განსხვავებულ არეს წარმოადგენდა. ამდენად, სტრამონის ცნობების ინტერპრეტაცია სვანეთის ჩამორჩენილობასთან დაკავშირებით გადასინჯავს საჭიროებს.

ქართველმა ხალხმა განვითარების ყველა საფეხური განვლო და ერთ მთლიან ერად ჩამოყალიბდა. უაღრესად მდიდარია მისი ეთნოგრაფიული ყოფა, რომელიც ბოლო ხანებამდე საბატო სიძველის სურნელს ინარჩუნებდა. ჩვენს ყოველდღიურობასა და ენაში მრავალი რეალობა ვლინდება, რომელთა დანახვას განსაკუთრებული ნიჭი, მეცნიერული აღლო და მახვილი თვალი სჭირდება. ამის უნარი უზნად მქონდა მიმადლებული სიმონ ჯანაშიას, ამიტომ იგი ისტორიულ კვლევაში ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მასალას უდიდეს როლს ანიჭებდა და მნიშვნელოვანი დასკვნები მათ გარეშე არ გამოქ-

სტრუქტურული  
განმარტება

ქონდა. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, ჩვენი ისტორიოგრაფია დღეს ძალიან ღარიბად გამოიყურება.

ს. ჯანაშია — ისტორიული წერილობითი წყაროების უზადლო მცოდნე, ეთნოგრაფიულ მასალასთან შეკრებებით იმდენა ოჯახის სტრუქტურის და მასთან დაკავშირებული ამა თუ იმ სოციალური მოვლენის სრულ ანალიზს. გარდა ამისა, მან განსაზღვრა „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული „მსახურის“ რაობა და მოვალეობანი, ბასილ ზარზმელის თხზულების საფუძველზე წარმოაჩინა მიწის თემური საკუთრებიან და კერძო საკუთრებაზე გარდასვლის საფეხურები, ზოლო არჩილის ლექსად დაწერილი ტრაქტატის განხილვით შუქი მოჰფინა ქართული ფეოდალური აღზრდისა და განათლების მთელ სისტემას; დაწერილობით განიხილა „ზნე“, „წიხისა“, „ჩვეულება“ და მათთან დაკავშირებული ყველა ყოფითი მოვლენა (ქორწილი, სუფრის ტრადიციები, გლოვის რიტუალი და ა. შ.), ხაერო და სასულიერო აღზრდა, ნადირობა, სპორტული ასპარეზობანი და ა. შ.

არჩილის თხზულების ისტორიული თვალთახედვით შეფასების შედეგად ს. ჯანაშიამ წარმოაჩინა ქართული ფეოდალური არისტოკრატის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის მახასიათებლები. იგი საოჯახო ყოფის ცალკეულ საფეხურებს სწავლობდა ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობათა ფორმებთან შვიდრი კავშირში, წერილობითსა და ენობრივ მონაცემებთან ერთად იყენებდა ეთნოგრაფიულ მასალასაც. საოჯახო ყოფის შესწავლის თანამედროვე ეტაპზე სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ს. ჯანაშიას დაკვირვებას ოჯახის სახეობათა შესახებ, რაც აქტუალურად უკავშირდება სოციალურ ურთიერთობათა ყოველმხრივი კვლევის ამოცანებს.

ქართული ნათესაობის რთული სისტემა, გვართა წარმოშობა და მათი განშტოებანი, ტომონომიკასთან კავშირი, სატომო სახელების გვარებში გადასვლა და ა. შ. სიმონ ჯანაშიას კვლევის სფეროს შეადგენდა. მან ბევრი ქარაგმა გახსნა და ბევრ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა ნათელი, სანამ ტრადიციული გვარ-სახელები, „მეტგვარები“ და „მეტსახელები“, ადგილდებარეობის სახელწოდებანი ხალხის მეხსიერებაში კიდევ არსებობენ, გადაუღებელი საქმა მათი მეცნიერული ფიქსაცია. იკარგება უმდიდრესი განძი, რომელსაც ქართველი ერი ვერასდროს ვერ დაიბრუნებს. ჭერ კიდევ ს. ჯანაშიას კვლევაშივინა დაგვანახა, სამამულო ისტორიისათვის თუ არა ფასდაუღებელი მნიშვნელობა აქვს სწორად შოკოვებულ კონკრეტულ მასალას, როცა ის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით შეიკრებება და გამოიცემა, შეუძლებელი გახდება ზეუსურული „ძირის“ მსგავსი შეცდომის გამეორება. ეთნოგრაფიულმა მასალამ უპი-

რველსად ისტორიული წყაროს ყველა შესება უნდა შეიძინოს და მხოლოდ ამის შედეგად იქნება იგი სანდო. სწორედ ასეთი გზით ავიცდნით ისეთ უზუსტობას, როგორცაა დავაღთა და ოსთა გაიგივება და სხვა მრავალი, რაც, ძირითადად, ფაქტობრივი მასალის უქონლობით და გაუზრტელობის გამო ხდება. რა თქმა უნდა, ასე გაგრძელება ყოველად შეუძლებელია. მეტად დასანანი დაგვიანების მიუხედავად, დღეს მაინც, შესაბამის მეცნიერებებში და მეტადრე ეთნოგრაფიაში, გადაუღებელ საქმედ კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის ფიქსაცია უნდა იქცეს. სათანადოდ კლასიფიცირებული, წყრილობით წყაროებთან შეკრებულ, უახლესი მეცნიერული საშუალებებით გამოცემული ეს მასალა ეროვნულ ისტორიას ფასდაუღებელ სამსახურს გაუწევს და ბევრ, ასე უზედ დახვავებულ „თეორიას“ ზედმეტს გახდის. ნუთუ აღარ უნდა დადგეს დრო, წინასწარ აკვიატებული „თეორიის“ გასამართლებლად „მასალის“ ძებნის ნაცვლად, გულდაღინჯებული, მიუკერძოებელი საველე მუშაობა შეწყვიტოთ და ის ნამცეცხები მაინც გადავარჩინოთ, რაც ჩვენმა მრავალტანჯულმა ყოფამ დღემდე შემოგვინახა?

ს. ჯანაშიამ ქრისტიანობა საქართველოში სამართლიანად აღიარა აღმავალი ფეოდალიზმის იდეოლოგია; სადაც ფეოდალიზმი ნაკლებან ვითარებული იყო, ის რელიგია ძნელად იყოღებდა ფეხს და ზოგჯერ ოფიციალური ზეღისუფლება მახვილსაც იყენებდა. ეს მოსაზრება მეტნაკლებად ს. ჯანაშიასაც აქვს ვაზიარებული, მითუმეტეს — შთის ჩამორჩენილობის თეორია. სტრატონინად მოკიდებულ დღემდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ადგილს იკუერს. მართალია, ზორციელდება ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით ამ პრობლემის გადასინჯვა, მაგრამ ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიების უფრო მეტად გარღმავება საჭირო. ჩემი აზრით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი უბრალო გარემოების გათვალისწინებაა აქცილებელი: საქართველოს მაღალმთიანეთი მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს განუსრული ნაწილია და შეუძლებელია ერთ ქვეყანაში პირველყოფილი თემური წყობილება და განვითარებული ფეოდალიზმი თანაარსებობდეს. ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საქართველოს მაღალმთიანეთი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განვალლობაში ყოველთვის იყო სტრატეგიული სანაპირო ზოლი, რომელსაც მომთაბარე ხალხების შემოსევებისაგან უნდა ესხნა არა მარტო საქართველო, არამედ ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული სამყარო, ამიტომ საქართველოს მეფენი ყოველთვის ცდილობდნენ, მაღალმთიანეთი „უბატონო“, სასურთივ მეფეს დამორჩილებული ყოფილიყო. ქრისტიანობა როცა გაქართველდა, ე. ი. კეშმარიტ ქართულ რელიგიად

იქცა, მივიღებმა არათუ მიიღეს, არამედ თავი-  
ანთ მეფეთა თაყვანისცემვაში გააოგოვეს და ჩრდი-  
ლოეთ კავკასიაში მისიონერებადაც მოგვევლი-  
ნენ. ასე იკავებდა ზღას ქართული „რჭული“ და  
კულტურა კავკასიის ქედს გადაღმა. შემდგომ ეს  
პროცესი ველის მცხოვრებთა — „ველეურთა“  
განუსწვეტებდა შემოხვევება შეაჩერა. საქართველოს  
მთა გაიყინა და ჩამორჩა; ასე შეიქმნა  
პირველყოფილობის ილუზია. თეორეტიკოსებიც  
გამოჩნდნენ — თემური წყობილების, სამხედრო  
დემოკრატიის, მთური ფეოდალიზმის და სხვა  
ათასგვარი თეორიაც შემუშავდა. ეთნოგრაფიის  
კვლევის საგანიც კარგ ხანს არქაიზმებისა და  
გადმონათების ძებნა იყო. აქედან გამოვიდნა-  
რე, ხეხუროთი და სვანეთი თვით ქართულ ის-  
ტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც კი  
„სოციალურ განათხრობა“ შექადა დასახული,  
ქართლის 1948 წლის ეთნოგრაფიულმა ექსპე-  
დიციამ ნათელი გახადა, რომ, ფეოდალიზმის  
განვითარების მიუხედავად, არანაკლებ მდიდარი  
ეთნოგრაფიული მასალაა საქართველოს ბარში,  
მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კვლე-  
ვა-ძიება აღარ გაგრძელდებოდა. რაც შეეხება  
„სატაძრო თემებს“, არქეოლოგიური მონაცემე-  
ბის გაუთვალისწინებლად მათი განხილვა უკვე  
არაფრის მომცემია. ე. წ. „წარმართული ტაძრე-  
ბი“, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მადლიან მი-  
წაზე ასე უხვად ჩნდება, ნათელყოფს, რომ ქარ-  
თველმა ხალხმა რელიგიის წარმოშობა-განვითარ-  
ების ყველა საფეხური წარმატებით გაიარა,  
ოღონდ არასდროს დაუთმოა საკუთარი რწმენა-  
წარმოდგენები, რჭული, ბოლოს ქრისტიანობას  
ეზიარა და ისიც ქართულად გაიარა და გარ-  
დასახა. ასე მივიღეთ ჭერჭერობით საკმაოდ შე-  
უსწავლელი „ქართული ქრისტიანობა“. რა თქმა  
უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს მითინეთის  
ჯვარ-ხატების, კულტმსახურების და მიწათფე-  
ლობელობის შედარება თუ გაიგივება ძველი  
აღმოსავლეთის სატაძრო მეურნეობასთან გადა-  
ქარბებულია, მაგრამ მათში შემონახული საკულ-  
ტო ქმედებანი აშკარად არაქართული და ზოგიერ-  
თი მკვლევარი ამჟამად ამაოდ ცდილობს ყველა-  
ფერი ქრისტიანობით ახსნას. ეს ისეთივე უკი-  
ადურესობაა, როგორც საქართველოს მთაში  
ქრისტიანობის უარყოფა.

ჩანაშაისეულ შეფასებას არაბობის დროს მაჰ-  
მადიანობის გავლენების შესახებ მნიშვნელობა  
დღესაც არ დაუკარგავს. იმ უაქტმა, რომ მა-  
შინ არც ერთ მუსლიმანს დაპყრობილ ქვეყანაში  
მინისმფლობელობის უფლება არ ჰქონდა, ხო-  
ლო არაბთა მორჩილი მოქალაქე ხაყისიანს არ  
თავისუფლდებოდა, მაჰმადიანობის გავრცელება  
ძლიერ დააბრკოლა, მაგრამ მოგვიანებით ირან-  
მა და, განსაკუთრებით, თურქეთმა თითქოს ყო-  
ველივე ეს გაითვალისწინეს და მაჰმადიანობა  
სოციალური პრივილეგიების საღარიფო აქციეს.  
ასეთი პოლიტიკა კავკასიის ზოგიერთი ხალხი-

სათვის საბედისწერო გამოდგა, მართო მუშაქი-  
რობის მაკალითებიც კმარა.

ს. ჩანაშაი უღიდესი დეაწლი დასდო აფხაზ-  
თა ეთნოგრაფიულ შესწავლას, რითაც მამამისის  
— ცნობილი ეთნოგრაფის ნიკო ჩანაშაის დაწყე-  
ბული საქმე განაგრძო. მკვლევარი ყოველმხრივი  
იზიარებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის  
ვახუშტის ბაგრატიონის მიერ აფხაზთა დანასია-  
თებას: „კაცი მგვანენი მეგრეთა და უმეტეს  
ცქვიტინი და ტანოვანნი... ენა საკუთარი თუნი  
აქუსთ, არამედ უწყინან წარჩინებულთა ქართუ-  
ლი“. რაც შეეხება მწიგნობრობას, ვახუშტი  
ხაზგამხმთ აღნიშნავს: „ხოლო რაოდენნი ქუეყა-  
ნანი ანუ ადგილნი დახვწერენით — მათთა, ბარ-  
თა ანუ კავკასთა შინანი — საქართველოსანი, გარ-  
ნა თუ აქუსთ ზოგთა ენა სხუა, თუნხი საკუთარ-  
ნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს-  
თუნენი ქართულის წიგნისა საკუთარი“.

ეურდნობოდა რა წერილობით წყაროებასა და  
ლინგვისტურ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ს. ჩა-  
ნაშაი ასკვნია, რომ ქართულ ნიადაგზე მწიგ-  
ნობრობისა და კულტურის განვითარება აფხა-  
ზებში ერთ ტერიტორიაზე ხანგრძლივმა თანა-  
ცხოვრებამ განაპირობა. აფხაზეთი ყოველთვის  
საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო და  
აფხაზთა კულტურა ქართული სახელმწიფოებ-  
რივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური,  
მეცნიერული და ლიტერატურულ-მწიგნობარუ-  
ლი აღმავლობა-დაცემის კვალობაზე ვითარდე-  
ბოდა.

რუსეთის იმპერიალიზმმა ყველაფერი გააკე-  
თა მკვიდრი აფხაზი მოსახლეობის განადგურე-  
ბისათვის. აი, რას წერს ს. ჩანაშაი: „რუსული  
ადმინისტრაციის პოლიტიკის წყალობით 70-იანი  
წლების დანასხარულამდის ოსმალეთში აფხაზეთი-  
დან გადასახლდა დაახლოებით ნახევარი მო-  
სახლეობისა (40.000 კაცამდის). ზღვისპირა  
ზონაში აფხაზებს საერთოდ აეკრძალათ ცხოვ-  
რება. მთლიანად გაქპრა აფხაზეთი მოსახლეობა  
წებელდებოდა, გალხი, გუშისთის რაიონში. განთა-  
ვისუფლებული მიწები დაუბრუნდა რუსის მო-  
ხელეებს და შემდეგში ამ რაიონებში დასახლე-  
ბულ იქნენ უცხო ტომის კოლონისტები (ბერძ-  
ნები, სომხები, ესტონელები, უკრაინელები და  
სხვ.)“.

ქართული კულტურისა და ენისგან მოწყვეტა  
აფხაზებისათვის საბედისწერო გამოდგა. მათმა  
უმეტესობამ სამშობლო დაკარგა და მუშაქირობის  
მწარე ხვედრი გაიზიარა. ასეთია ისტორიის მწა-  
რე გაკვეთილები და რაოდენ სამწუხაროა, რომ  
მათ დღეს ნაკლებად ითვალისწინებენ.

ქართულ-აფხაზეთი კულტურისა და ყოფის  
დიდი მხგავსება, ამ ორი ხალხის თანაცხოვრე-  
ბა და ერთ ბედქვეშ ყოფნა ვახდა იმის საფუძ-  
ველი, რომ აფხაზეთისა და აფხაზების ეთნო-  
გრაფიული შესწავლით დაინტერესება საქარ-  
ველოში უშუალოდ ეროვნულ-განათავისუფ-

საქართველო  
საქართველო

ლებზე მოძრაობას დაუკავშირდა. როდესაც ეთნოგრაფიული მუშაობის პროგრამა შეადგინა ილია ჭავჭავაძემ, ეს დიდი ეროვნული საქმე მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს მიანდო; აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდნენ ნიკო ჭანაშია, პეტრე ჭარია, მოსე ჭანაშიელი, თედო სახოკია და სხვა ქართველი სწავლულები. ისინი აქ ისეთივე მუშაობას ეწეოდნენ, როგორსაც ბესარიონ ნიჟარაძე — სვანეთში, ალექსანდრე ყაზბეგი — ხმელ-ვფა-ფშაველა და ნიკო ჭიჭინაშვილი — ფშაველურეთში და ა. შ. იმდროინდელ აფხაზ მოაზროვნეებს კარგად ესმოდათ, რომ ქართველი მოღვაწეები იბრძოდნენ როგორც ქართველი ხალხის, ისე აფხაზების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის.

ს. ჭანაშია, ყველა მონაცემის გათვალისწინებით, გულმოდგინედ სწავლობდა აფხაზთა ყოფას და ტრადიციებს, რომელთაც პარალელურ სუბიექტურ მუშაობებში ხალხებში და ეთნოგრაფიულ მონაპოვარს ისტორიულ ქრონოლოგიურ ანალიზებში. მისი ეთნოგრაფიული ძიებისათვის დამახასიათებელია დრმა ისტორიზმი, რამაც განაპირობა აფხაზეთში ფიქსირებული მასალების მეცნიერული გააზრება ქართულ-კავკასიურ კულტურასა და ყოფასთან მიმართებაში. წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ტოპონიმიკური და ფოლკლორული მონაცემების შეჭერების საფუძველზე მკვლევარმა ცხადყო, რომ აფხაზთა მატერიალური და სულიერი კულტურა, ეროვნული თვისებები და ტრადიციები ქართულ-კავკასიურ ეთნო-ისტორიულ სამყაროსთან უშუალო კავშირში ვითარდებოდა. ს. ჭანაშიას კვლევის შედეგებიდან აშკარად ჩანს, რომ აფხაზთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური პროცესების შესწავლაში გათვალისწინებულია, ჭერ ერთი, წყაროები მათ წინაპრებზე საფუძვლებზე აფხილების (აფშიღლების) თუ აბაზგების შესახებ, მეორეც — მონაცემები უმთავრესად გვიანფეოდალურ ხანაში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებული და ადგილობრივ მცხოვრებლებთან შერეული მულსიმანური, ადიღურ-ჩერქეზული მოდგმის ეთნიკური მასის შესახებ. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შეუსლებელია აფხაზთა შორეულ წინაპრად ნავარაუდები აფხილების ყოფა-ცხოვრების დახასიათება. სამაგიეროდ, დიდი მსავსება შეინიშნება აფხაზებსა და ადიღურ-ჩერქეზული მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში. ეს მშვენივრად გამოჩნდა ეპოქათა მიხედვით წარმოებული შედარებითი კვლევა-ძიების შედეგებიდან, რაშიც, უსათუოდ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. ჭანაშიამ.

შე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან საკუთრივ აფხაზთა ეთნოგრაფიული შესწავლა საქმიად და-

წინაურდა, იქ მცხოვრები ქართველები ერთოდ მეცნიერული შესწავლის გარეშე დარჩნენ. ამ საეპოქო ფაქტს არავითარი გამართლება არა აქვს და ეს მიუტყვევებელი შეცდომა თუ წინასწარ გამიზნული დაუდევრობა დღეს მაინც უნდა გამოსწორდეს.

სამართლიანად მიუთითებს ვ. ითონიშვილი, რომ აფხაზ ეთნოგრაფთა ტენდენციურ, ქართველი და აფხაზი ხალხის სამტროდ დაწერილ ნაშ. რომებზე ქართველ მეცნიერებს, ფაქტობრივად, ეკრძალებოდათ პასუხის გაცემა. ჭერ კიდევ 1978 წელს დაწერილი ზოგიერთი რეცენზია (ა. ბაქრაძის, დ. მუსხელიშვილის) მხოლოდ 1989 წელს გამოქვეყნდა. ასლა უკვე დროდადრო იბეჭდება არაერთი წერილი თუ ნარკვევი, მაგრამ კვლავინდებურად გრძელდება საქართველოს ისტორიის გაუაღებება, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძარცვა.

საკეროა გამოიყენებინა ფუნდამენტური კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური ისტორიის სფეროში, რაც, დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხესთან ერთად, მოიხსოვს აფხაზეთის ისტორიის კარდინალური პრობლემების ობიექტურ შესწავლას. თავის მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის, როგორც უძველესი დროიდან დღემდე საქართველოს ორგანული ნაწილის კომპლექსურ შესწავლაში უნდა დადგინდეს ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის ასევე კომპლექსური კვლევა, სხვაგვარად აფხაზეთის შესწავლა წარმოუდგენელია. იქ, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობას 45%-ს ქართველები შეადგენენ და მხოლოდ 17%-ს აფხაზები (აქედან 9%-მა არ იცის აფხაზური ენა, რაც მათი არააფხაზური და, ამდენად, ქართული მოდგმის მატარებელია), ქართველი ხალხის ყოფა და ტრადიციები აბსოლუტურად შეუსწავლელია. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის შესახებ საცნობარო მასალების ერთი სტატიაც კი არ გავყარინა. ჩვენ რატომღაც ისე ვუდგებით საქმეს, თითქოს აფხაზეთის შესწავლა, და თანაც ქართველების გამოკვლევით, მხოლოდ აფხაზი ეთნოგრაფების კომპეტენცია იყოს. ამ მხრივ ასევე უპატრონოდ მივატოვეთ დღეა-ამდევანს მოყვებატილი სანდოლო, არავითარ ინტერესს არ ეიჩნით საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში განსახლებული ქართველების მიმართ. აღნიშნული ვითარების ძირითადი მიზეზია ეთნოგრაფიული მეცნიერების ინერტულობა, მაღალკვალიფიციური კადრების ნაღვლებობა და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე.

ისტორიკოსთა ბორჯომის შეკრებებზე თითქოს გზა გამოინახა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოდ დაისახა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლა, რაც ერთობლებდა უნდა განეხორციელებინათ ქართველ, აფხაზ და ოს მეცნიერებს. მოეწყო რამდენიმე ექსპედიციაც, მაგრამ მცდარმა

მეთოდოლოგიურმა მიდგომამ არავითარი შედეგი არ მოგვცა. შეიქმნა მხოლოდ იმხანად ძალიან საკირო ხალხთა მეგობრობის ილუზია და „ხელახლებადი მუშაობის“ მოჩვენებითობა. საბოლოოდ დაზარალებული გამოვიდა ქართული ყოფა და კულტურა, რომელიც დღემდე ზღაღღებთ იძარცვება და პატარინე, ვაჟიოხაი ჯერჯერობით არაფერს ჩანს. ასე მიიჩქამა სიმონ ჯანაშიას და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა დეაწლი. ობიექტური მეცნიერული კვლევის ნაცვლად ქართველი ხალხის ისტორიის გაყვალბება მოედურ, სარეჟინი სამეცნიერო ბეჭდვა ხელი მოითხოვს და მაღალი სპეციფიკური ხარისხები და წოდებები მოიპოვა. ასეთია ახლო წარსულის მძიმე შემკვიდრება. დროა ყოველივე ამას ზღვარი დაედოს. შეუძლებელია, არ დაეთანხმოს პროფ. ვ. ითონიშვილს: „მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ გზად გვესახება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ერთიანი ნოვარაფიული შესწავლა. ეს აუცილებელი პირობაა რეალური სურათის ჩვენებისათვის, იმიტომ, რომ აფხაზეთის მოსახლეობაზე, მის ისტორიულ წარსულზე, ყოფა-ცხოვრებაზე და თანამედროვეობაზე მკითხველს სათანადო წარმოდგენა მივცეთ. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა მთელი ქართველი ხალხის კომპლექსური შესწავლის ინტერესებს ემსახურება და ქართული ისტორიოგრაფიის გადაუღებელ ამოცანას შეადგენს. ასე ფიქრობდა ს. ჯანაშია, ასე ფიქრობდნენ ჩვენი წინამორბედები, ასე უნდა ფიქრობდეს დღეს ყველა ქართველი მეცნიერი და საზოგადოებრივი მოღვაწე“.

ნაყოფიერი იყო სიმონ ჯანაშიას ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ადიღესა და ყაბარდოში. მართალია, მას მხოლოდ საველე დღიურების დონეზე ჩაწერილი მასალა დარჩა, მაგრამ გამოქვეყნებისთანავე ცხადი გახდა მისი დიდი სამეცნიერო ღირებულება. კავკასიის ხალხების ერთიანი წარმოშობის თეორია, მრავალათასწლოვანი ნათესაური და ეკონომიკური კავშირები წარმოაჩენენ საერთო კავასიურ კულტურას, რომლის წინამდებელ მიმართული იყო რუსი დამპყრობლების მახვილი. „გათიშე და იბატონეს“ მწკარული პოლიტიკა საზღვრისწერა გამოდგა ადიღურ-ჩერქეზული მოდგმისათვის. ეს რჩეული ხალხი ცალკეულ ტომებად დააქუც. მაესე, ეროვნული თვითშეგნება დაუკარგეს, რის შედეგადაც მათი უპირავლისობა სამშობლოს მოწყობის და თურქეთში მუჰაჯირად გააქცევის. სამწუხაროდ, ასეთივე ბედი ეწია მამამადისანი ქართველების მნიშვნელოვან ნაწილს. ცა-

რიზმის იდეოლოგიები და უმაღლესი ჩინოვნიკობა ცდილობდა ქართველთა ტომობრივი პინციპით დანაწილებას და ეროვნულობის მოშლას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა; „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, თვითყოფადი უძველესი კულტურა, ანბანი, ლიტერატურა და ქრისტიანული სარწმუნოება მტკიცე დუღაბი აღმოჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები კი დაღუპვის პირამდე მოვიდნენ. 1859 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ადიღეს ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის 70%-ს რუსები შეადგენენ, ხოლო ადიღელები 23,5 პროცენტია. ცხოვრების წესი და დედაენა უკვე რუსულია. ასეთივე მდგომარეობაა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. კავკასიის ხალხების ხსნა და გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ძირძველი, ერთიანი კავასიური კულტურის აღდგენით შეიძლება, რისი მეოხებითაც ყველა ხალხს საკუთარი სახისა და მეობის შენარჩუნება გარანტირებული ექნება.

რუსი კოლონიზატორებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო ადგილობრივი მოსახლეობის დარბევა-ამოხოცვა, ხოლო გადარჩენილთა აყრა და უცხოეთში გაყვება ან ჭაობიან, ცივბინადგილებში ჩასახლება, მათი მონურ მდგომარეობაში ჩაყენება. საბჭოთა პერიოდში მეთოდები უფრო დაიხვეწა. ერის აქტიური ნაწილი ბოლშევიკურ პარტიაში შეჰყავდათ, რომელთაც განათლებას რუსეთში აძლევდნენ, ხელს უწყობდნენ იქ მათ დაოქანებას. ასე იქმნებოდა შერეული ოჯახები, სადაც მშობლიურ ენად მშინვე რუსული იქცეოდა. კარიერას მიძალბებული ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც ცარიზმის დროს „ტუზუცებს“ ეძახდნენ, ეროვნულ ინტერესებს ავლილად ყიდდნენ და, წითელი იმპერიის სახლით, თანამეამულეებს გეგმაზომიერად არუსებდნენ. ეს მუხანათური მეთოდები უფრო ქმედითი გამოდგა და 70 წლის განმავლობაში მთელი ჩრდილოეთ კავკასია ღამის გადაგვარდა.

ადგილობრივი ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლა ამ უკულმართ პროცესს აბრკოლებდა და ეროვნული თვითშეგნების ზრდას უწყობდა ხელს. ამდენად, ს. ჯანაშიას დეაწლი პოლიტიკური თვალსაზრისითაც ფრიად დასაფასებელია.

მეტად სასიამოვნოა, რომ სიმონ ჯანაშიას ეს დამახსურება ვ. ითონიშვილის განხილულ მონოგრაფიაში ამოწურავად არის წარმოჩენილი. ასეთი წიგნების საკიროება ცხაზე ცხადია და ისღა დაგვრჩენია, ავტორს შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა, წარმატება ვუსურვოთ.



### ტექნიკური რედაქტორი ზიული სიჩაძე

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75, საკორექტორო — 98.47.62.

---

გადაეცა ასაწყობად 10.05.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.07.93 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. სბგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 687. ტირაჟი 3200.

---

ქურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

